

## გოდერძი ჩოხელი

### თევზის წერილები

\_ სულს არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული, \_ მითხრა გუშინწინ გამიხარდაიმ და გამცილდა.

იმის წინა დღეს ვეკითხებოდი სულის არსებობის შესახებ, მაგრამ მაშინ არაფერი მითხრა. არ ვიციო, მხრები აიჩეჩა, გუშინწინ დილით კი ზუსტად ასე თქვა. მეტი არაფერი უთქვამს, სათიბზე მიიჩქაროდა. სიჩქარით საგზლიანი გუდაც კი სახლში დარჩენოდა, თავისმა პატარა გოგომ დასწია გზაში.

ჯერ კარგად არც კი იყო გასინათლებული. ორღობის თავში ბრიგადირი გამოჩნდა და გამიხარდაის შეუტია:

\_ გამიხარდავ, სად მიხვალ, ჰა!

\_ სათიბზე.

\_ სათიბზე კი არა, ბატკნის საპარსავად წამოდი.

\_ მერე ვინ გამითიბს, ხო იცი, რომ ხელმარტო კაცი ვარ.

\_ რად გინდა ბევრი ლაპარაკი, \_ უთხრა ბრიგადირმა თავის თავში დაჯერებული კაცის ხმით და ჩემსკენ წამოვიდა.

გამიხარდაი შებრუნდა და საპარსავზე კი არ წავიდა, ისევ სათიბებისაკენ შეუყვავა აღმართს.

\_ გამიხარდავ! \_ დაჰკვივლა ბრიგადირმა, \_ სად მიხვალ, ჰა!

\_ სამუშაოდ, \_ ჩამოსძახა გამიხარდაიმ და გზა გააგრძელა.

\_ მაგასაც გაგახსენებ, \_ მიამახა ბრიგადირმა და მე მომიბრუნდა.

\_ დღეს აღარ ამოხვიდე ჩასაწერად, გაიგე?

\_ რატომ? \_ ვკითხე მე.

\_ რატომ და, ხალხს აცდენ შეკითხვებით.

მე ორი დღეა ცხვრის მპარსავებთან ავდივარ და სულის არსებობაზე ვეკითხები. ოთხი დღის წინ გამიხარდაისაც ვკითხე, მაგრამ მაშინ არაფერი მითხრა. გამიხარდაი ალალი კაცია, ბეჩავიანო, ჩემმა სოფლებმა იციან თქმა. ბეჩავს იმიტომ ეძახიან, რომ ღარიბად ცხოვრობს, ალალი ლუკმით ირჩენს თავსაც და წვრილშვილსაც. ამ დილით რატომღაც შემეცოდა, არ ვიცი პური რომ სახლში დაავიწყდა და შვილმა რომ დასწია იმიტომ, არ ვიცი... არ ვიცი, არ ვიცი... მიდის აცმა, ისე ადგამს მიწას ფეხს, თითქოს ამ მიწისათვის უცხო იყოს მისი სხეული და ამიტომ ერიდებოდეს ზედ ფეხის დადგმა.

\*

\_ გუშინაც გაბრაზდა შენზე თავმჯდომარე, \_ გამიმეორა ბრიგადირმა.

\_ შენ როგორ გგონია, სული სად მიდის? \_ ვკითხე მე.

- \_ მე არაფერი არ მგონია, \_ მითხრა იმან და წასასვლელად გაემზადა უცებ.
- \_ სული კვდება?
- \_ რა სული, რომელი სული, რას მიედ-მოედები.
- \_ რა სული და კაცს რომ უდგას, ისა.
- \_ კაცს არაფერიც არ უდგას, \_ თქვა იმან, \_ გავჩნდებით და მოვკვდებით, ეგ არის და ებ.
- \_ ეგ არის და მეტი არაფერი?
- \_ ეხლა შენთვის არა მცალია, იქ აღარ დაგინახო ამოსული, \_ თქვა და აღმამიმავალ გამიხარდას გააყოლა:
- \_ გატარებ შენ სათიბზე!
- \_ რას ერჩი?
- \_ იმას ვერჩი, რომ საპარსავად არ წამოვიდა.
- \_ მერე რა რომ არ წამოვიდა, ხომ მუშაობს.
- \_ რას მუშაობს?
- \_ თიბავს, ხვეტს, თივებს აგებს.
- \_ ეგ ხვალ გამოჩნდება, \_ თქვა იმან და წავიდა შუაგულ სოფლისკენ.

\*

გუშინ კვირა იყო. მთელი დღე მუშაობდა გამიხარდაი, თივები ჩამოჰქონდა ქვემოთ ჭალაზე. ცოლი და შვილებიც შველოდნენ.

ცხელოდა. მიწას მტვერი ასდიოდა, თივას რომ მოათრევდა და იმისი ბაღლები მტვერში იყვნენ ამოგანგლულნი.

საღამოთი ჩამოაგულეს თივა, და იქვე, წყაროსთან, ჩამოსხდნენ პურის საჭმელად.

ქვემოდან რამდენიმე სატვირთო მანქანა გამოჩნდა, გზიდან გადმოუხვიეს და თივებთან გაჩერდნენ.

\_ სულ ეს არის შენი თივები? \_ ჰკითხა ბრიგადირმა გამიხარდაის, რომელსაც გამხმარი პურის ყუა ეჭირა ხელში.

- \_ ჰო, ეს არის.
- \_ მეტი არა გაქვს?
- \_ მეტი არა.
- \_ რამდენია?
- \_ ოცდაათია.
- \_ ოცდახუთი უნდა ჩაგვაბარო.
- \_ რატომ ოცდახუთი, თხუთმეტი არ მაწერია?
- \_ თხუთმეტი გაწერია, მაგრამ საპარსავზე რომ არ წამოხვედი, ოცდახუთი დაგაწერეთ.

– მერე ხუთი თევით რა შევინახო, ერთ ძროხასაც არ გამიკვებავს. ე ბალებს რა ვუყო.

– როგორც გეუბნებიან, ისეა, – თქვა ბრიგადირმა და მანქანები მიაყენეს თევებთან. მუშებმა ხუთი თევალა დაუტოვეს გამიხარდაის და ისინიც მანქანებზე დასხდნენ.

გამიხარდაი გაოგნებული ტრიალებდა, ხან თავის წვრილშვილს შეხედავდა, ხან დატვირთულ მანქანებს და ერთიანად კანკალებდა.

– წავედით, – თქვა ბრიგადირმა. მანქანები მძიმედ კანკალებდა.

გამიხარდაი ხმის ამოუღებლად იდგა და კანკალებდა, მერე ჯიბიდან ასანთი ამოიღო, ერთი თევის ძირთან ჩაიმუხლა და გაჰკრა ასანთის ღერი.

– რას შვრები, კაცო! – ჩაებლაუჭა ცოლი.

– მომშორდი თავიდან! – ხელისკვრით მოიცილა გამიხარდაიმ ცოლი და ანთებული ასანთი თევას მოუკიდა.

– მთელი ზაფხული იშრომე და ეხლა სწვამ?! – ისევ მიეჭრა ცოლი. ქალმა ჩიქილა მოიხადა და იმით დაუწყო ცეცხლს ჩაქრობა, მაგრამ უკვე გვიანი იყო, გამომშრალ თევას უცებ მოედო ცეცხლი და ყვითელი ენები აიჭრა ჰაერში ხუთ ადგილას.

გამიხარდაის ცოლი თმაგაწეწილი იდგა და ტიროდა. ბალები შემოხვეოდნენ და ებლაუჭებოდნენ კაბის კალთებზე.

გამიხარდაი იდგა და ცეცხლს უყურებდა. მერე ქვემოთ მიმავალ თევთან მანქანებს გახედა და თავ\_პირის მტვრევით გამოიქცა თავქვე.

არაგვისაკენ გარბოდა, რაც კი შეეძლო. უკან ცოლი მისდევდა, მერე ბალები, მერე მთელი სოფელი. ყველას ეგონა, რომ თავის დასახრჩობად მირბოდა.

სანამ მივიდოდით, ტანსაცმელი გაიხადა, არაგვის ნაპირზე დაყარა და დედიშობილა შევიდა წყალში. შუამდე რომ მივიდა, ერთი მორევი ნახა და იქ ჩაჯდა. მარტო თავი ჰქონდა მაღლა ამოშვერილი და არც კი გვიყურებდა, სადღაც ცაში იყურებოდა.

ხალხი მდინარის პირას დასხდა და ელოდა, როდის გამოვიდოდა გამიხარდაი ნაპირზე. ის კი გამოსვლას აღარ აპირებდა.

– წავიდეთ, იქნებ ჩვენი რცხვენია, – თქვა ბერმა და დანარჩენებიც თან გაიყოლა.

გამიხარდაის ცოლი და შვილები იქვე დარჩნენ. მე შორიახლოს ჩამოვჯექი ქვაზე.

– აღარც უნდა გამოხვიდე? – გასმახა ცოლმა. იმან ხმა არ გასცა. მერე ცოლმა ხვეწნა დაუწყო. გამიხარდაი არ განძრეულა. ბალებმა ტირილი დაიწყეს.

საღამომდე გაუნძრევლად იჯდა ერთ ადგილას. მზის ჩასვლისას ისევ მოქუჩდა სოფელი მდინარის პირზე. ემახოდნენ, გამოდი გამიხარდავ, გეყოფა წყალში ჯდომა, თორე გაცივდები და მოჰკვდებიო. იმან ერხელაც არ მოიხედა ხალხისკენ, თავი ისე ეჭირა, ვითომ არც კი ესმოდა იმათი ხმა.

გამიხარდაის ცოლ-შვილს ღაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლები.

სოფლიდან ყველანი არაგვთან ჩამოვიდნენ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე მოვიდა ბოლოს და გასძახა გამიხარდაის:

\_ უსაქმურო, გამოდი ჩქარა ნაპირზე!

არც იმას უგდო ყური.

\_ კაცო, რას ველაპარაკებით ამდენს, მივიდეთ და გამოვათრიოთ. \_ თქვა ბრიგადირმა და წყალში შევიდა. იმას რამდენიმე კაცი მოჰყვა თან.

გამიხარდაი წყალს გაჰყვა ქვემოთ და ზედ ჩანჩქერის თავზე გაჩერდა. ცოტაც რომ ჩაეწია, წასული იყო მისი საქმე. კაცები ჯერ ისევ მისკენ წავიდნენ, მაგრამ გამიხარდაიმაც რო თანდათან ქვემოთ ჩაიწია, შეეშინდათ, არ გადავარდესო და მობრუნდნენ სოფელში.

\_ მოსწყინდება და თვითონ გამოვა, \_ თქვა გაბრიელმა.

\_ წამო, გაანებეთ თავი, რო დადამდება, ბნელში გამოვა, ეხლა ალბათ რცხვენია \_ უთხრა თავმჯდომარემ ხალხს. გამიხარდაის ცოლ-შვილიც სოფელში წაიყვანეს, თქვენ რომ აქ აღარ დაგინახავთ, უფრო გამოვაო.

იმ დამეს ისე ბნელოდა, არაფერი ჩანდა. მარტო არაგვის ხმა ამოდიოდა სოფლამდე.

მეორე დილით ისევ შეკრიბა არაგვზე ხალხი. გამიხარდაი ნახევრად ამოსულიყო წყლის ზემოთ და კანკალებდა. ხალხი რომ დაინახა, ისევ ყელამდე ჩაჯდა არაგვში.

\_ აღარ უნდა გამოხვიდე? \_ შესტიროდა ცოლი.

\_ ხალხს აცდენს, მე ამისი!... \_ ბრაზობდა ბრიგადირი.

\_ შენ ხომ არ მუშაობ და ხალხსაც აცდენ. თუ არ გამოხვალ, მილიციას მოვიყვან, \_ დაუძახა თავმჯდომარემ და მერე დაამატა: \_ ხუთამდე ვითვლი, აბა, გამოდი ჩქარა!

გამიხარდაიმ სულაც არ მოიხედა აქეთ. მზეს შეჰყურებდა, როდის ამოვაო. ეტყობა, შესცივდა.

ნახევარ საათში მილიციაც მოიყვანეს.

\_ არ გამოხვალ? \_ შეეკითხა, თავის მხრივ, მილიციელი.

გამიხარდაიმ ყური არ უგდო.

\_ გამოხვალ თუ შემოვიდე? \_ გაუმეორა კითხვა, მაგრამ პასუხი რომ ვერ მიიღო, შესვლა დააპირა.

გამიხარდაიმ ჩანჩქერისაკენ ჩაიწია, და ხალხმა უკან მოაბრუნა მილიციელი.

\_ თუ არ გამოხვალ, დაგაპატიმრებთ ხუთი წლით! \_ გაბრაზდა მილიციელი.

გამიხარდაიმ ყური არ უგდო.

\_ ხუთი წელი იმიტომ, რომ ხალხის თხოვნას ყურს არ უგდებ და რაღაც სისულელეებს უჩვენებ, ერთი წელი დაგემატება, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე შიშველი რომ ხარ, ორი წელიც ცოლ-შვილს რომ გაექეცი და აწამებ, სამი წელიც, ხალხს რომ აცდენ და ჯერჯერობით, ერთნახევარიც იმიტომ, რომ მე არ მემორჩილები.

მილიციელმა რევოლვერიც კი გაისროლა ჰაერში, მაგრამ გამიხარდაიმ ისე დაიჭირა თავი, ვითომ აქ არაფერი არ ხდებოდა.

მზე ამოვიდა, გამიხრდაიმ ხარბად შეხედა. ისევ გავანებეთ თავი.

– თუ გამოვა, უჩვენოდ უფრო გამოვა. – თქვა თავმჯდომარემ. იმის ცოლ-შვილიც წამოვიყვანოთ.

სახლში ქალაღდზე წერილი დავუწერე გამიხარდაის:

«გამიხარდავ!

რატომ არ გამოდიხარ?! ან რატომ ხმას არ გვცემ?! ცოლ-შვილი მაინც არ გენანება? შენ ხომ ისეთი არა ხარ, რომ სურვილებს აჰყვე, მოგესურვოს წყალში ჯდომა და ჩაჯდე.

გამაგებინე, რაშია საქმე.

ლუკა».

წერილი სხვა საქალაღდეში გავახვიე, შიგ კალამი ჩავდე და გამიხარდაის ჩავუგდე მორევში. იმან მიიხედ-მოიხედა და მარტო რომ დამინახა, გახსნა ჩემი წერილი, წაიკითხა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. კალამი აიღო და მომწერა:

«დღეის მერე მე ხალხთან საქმე აღარა მაქვს. მე აღარა მსურს ადამიანად ყოფნა იქ, სადაც არც სიმართლე გადის, არც შრომა ფასდება და კაცს კაცად არ გთვლიან. მე მიყვარდა ადამიანები, მაგრამ აღარ მიყვარან. აღარ მიყვარან იმიტომ, რომ აღარა ვარ ადამიანი.

მე თევზი ვარ!

ადამიანებთან აღარაფერი მინდა მქონდეს საერთო. მე დაგივიწყებთ თქვენ, რომელ ცოლ-შვილზე მელაპარაკები, წყალში რომ შემომტირიან? ჰო, მართალი ხარ! მე მყავდა ცოლ-შვილი, ოღონდ ეს აღრე იყო, როცა ადამიანი ვიყავი, მაშინ. თუ გინდაც, ორი დღის წინათ. დღეს კი თევზი ვარ და თქვენთან საერთო აღარაფერი მაქვს!

მე ასე მსურს.

თევზი».

«გამიხარდავ!

შენ ამბობ, რომ თევზი ხარ, მაგრამ ეს ასე არ არის. ჩვენ ხომ ვიცით, რომ შენ ადამიანი ხარ. როგორ შეგიძლია მთლად დაივიწყო შენი წარსული, ამას ხომ ვერავინ დაგიჯერებს და რამდენიც არ უნდა ეცადო, თევზი ვერ იქნები. რა გიგავს თევზს? ის, რომ წყალში ზიხარ?

არა, თევზი არა ხარ და ვერც იქნები, ეგ სისულელეა, ჯობია, მალე დაუბრუნდე საზოგადოებას, ცოლ-შვილს, მიწას.

არ გშია?

ლუკა».

«არა მშია, ჯერჯერობით არა მშია.

რაც შეეხება საზოგადოებას, ხალხს, მიწას, ჩემთვის აღარ არსებობს: მე მივატოვე ყველა და ყველაფერი.

აღარც კი მახსოვს: მართლა ადამიანი ვიყავი?!

მე კი თევზი ვარ ახლა. რა კარგია, როცა თევზი ხარ! სულ სხვა სამყაროა აქ. ადამიანები ერთიმეორეს სჭამთ მიწაზე. მერე როგორ გიყვართ ადამიანად ყოფნა! აბა, ვინმემ გითხრათ, ადამიანი არა ხარო, შეაკვდებით იმ წუთში. ხშირად გიჭირთ ადამიანად ყოფნა, მაგრამ არ შეგწევთ ძალა, რომ ასეთ ყოფნაზე უარი თქვათ.

ნუთუ არც ერთ თქვენთაგანს არ მოგნატრებიან თევზაობა?

მე ვიცი, რომ ხშირად ფრინველად ყოფნას ნატრობთ ხოლმე. ამით ხომ გაურბიხართ ადამიანურ ყოფას.

ჰაა?..

თევზი».

«გამიხარდავ!

ჩვენ როცა ვნატრობთ, ნეტავი ჩიტად მაქცია, ერთი გავფრენილიყავიო, მაშინ ადამიანად ყოფნას და ფრენას რომ ვნატრობთ, ამას იმიტომ, რომ ადამიანად ყოფნა გავალამაზოთ, მეტი თავისუფლება მოვიპოვოთ ფრენით.

ადამიანები ერთიმეორეს ვჭამთ მიწაზე?..

შენ შეიძლება მართალი ხარ. განა შენც გაჭირვებას არ გაექცევი?

შენ ვერ გაუძეულ ადამიანურ გაჭირვებას და იმიტომ გაგვიდექი. ჩაიხედე შენს გულში: გაჭირვების გულისათვის ვინც გაექცევა ადამიანებთან ყოფნას, ის განა თევზად კი გამოდგება?

განა თევზებს არ უჭირთ?

რატომ არ ამოდიან ხმელეთზე, როცა ნიაღვარი მოდის?

განა თევზები კი არ ჭამენ ერთიმეორეს.

ჯერ ეშინიანთ შენი და ალბათ, ვერც კი გეკარებიან ახლოს. ეს იმიტომ, რომ მაგათზე ძლიერი ხარ. აბა, სისუსტე შეგამჩნიონ, იმ წუთში ისე გამოგხრავენ, ძვლებსდა დასტოვებენ შენგან. უყვირე მერე, რამდენიც გინდა, თევზი ვარ, თევზი-თქო!

გირჩევნია, დროზე გამოხვიდე, თორემ მე მგონი, რაც გითხარი, ის არ აგცდება.

ხალხს არ უნდა გაექცე, არა!

ლუკა».

«ჯერ ერთი, რომ მე თევზი ვარ და არა გამიხარდაი, როგორც შენ მწერ, მერე – რომელ თავისუფლებაზე მელაპარაკები? თქვენ გინდათ თავისუფლება და ჩიტად ყოფნას იმიტომ ნატრობთ? მერედა თუ გიყვართ, რატომღა იმონებთ ერთიმეორეს. თავისუფლება კი არა, უფრო მეტად ერთიმეორის დამონება და დამცირება გიყვართ.

შენ მართალი ხარ, მე ვერ გავუძელებ ადამიანურ გაჭირვებას და თევზად ვიქცევი. მერე რა არის ამაში ცუდი? მე თევზად ყოფნა მსურს.

თევზად არ გამოვდგები? მერე რა, მოვკვდები ისე, როგორც მინდა, თევზად.

სიკვდილისა კი არ მეშინია. ეს ადამიანებს გეშინიათ, ჩვენ არა.

რატომ არ მეშინია?

იმიტომ, რომ სულს არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული.

თევზი».

«თევზო!

შეიძლება სულს მართლა არა აქვს დასაწყისი და დასასრული, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ ადამიანში მდგარი სული თევზის სული ვერ იქნება, სხეული მატერიაა, მატერიას ფორმა აქვს, ფორმა დროს ემორჩილება. სულმა შეიძლება სხვადასხვა სხეული გამოიაროს, ოღონდ ამ სხეულებმა, წესის მიხედვით, ამ სულში თავიანთი გარკვეული ფორმა უნდა დაასრულონ. მერე შეიძლება კაცის სული თევზს ჩაუსახლდეს, მაგრამ არა მგონია. ასეც რომ იყოს, ის მაინც აღარ იქნება ის ადრინდელი სული, მას ყველაფერი დავიწყებული ექნება, სრული დავიწყება კი დასასრულია. ეს კი იმას ნიშნავს (თუ მართლა ასეა), რომ სული სხეულთან ერთად ასრულებს თავის არსებობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, სული აგრძელებს თავის არსებობას, ოღონდ იმას უნდა ახსოვდეს, და თუ ახსოვს ადამიანის სულს, მაშინ ის ისევ ადამიანის სულად რჩება და მატერიის გარეშე აგრძელებს ადამიანობას. ასე რომ, შენ არც ერთ შემთხვევაში არ შეგიძლია თევზად ყოფნა. სურვილი ერთია, არსი კი მეორე.

განა ჩვენ არ გვიჭირს? კი, მართალი ხარ, ჭირს, ძალიან ჭირს, მაგრამ ყველანი რომ შენსავით წყალში ჩავსხდეთ და ვიძახოთ, თევზები ვართო, რა გამოვა? ახლა მანდ დავერევით ერთმანეთს და საინტერესოა, მერე სადღა გაიქცევი, ალბათ თევზად ყოფნაზეც უარს გვეტყვი.

ჯობია, მობრუნდე. ხომ ხედავ, როგორ ტირიან შენი შვილები.

ლუკა».

«სულს უფლება აქვს აირჩიოს ის, რაც მას სურს.

ამაზე ხომ უარს ვერ მეტყვით.

ჩემ სულს არ უნდა ადამიანებთან ყოფნა და სრული უფლება მაქვს, ვიყო თევზი.

სულს დავიწყება შეუძლია, ხომ?

მეც დავივიწყებ ადამიანებს. მორჩა და გათავდა.

თევზი».

«ადამინებს ვერ დაივიწყებ, შენ სულს ყოველთვის ემახსოვრება ადამიანური სიხარულით და მწუხარებით სავსე წუთები.

შენ სულს ყოველთვის ემახსოვრება მარტოობის ტკბილი სევდა.

შენ სულს ყოველთვის ემახსოვრება ადამიანური ცოდვა-მადლი.

შენ სულს ყოველთვის ემახსოვრება ღმერთი, რომელიც შენ გწამდა და თუ არ გწამდა, მაინც გყავდა არსებაში.

შენ სულს ყოველთვის ემახსოვრება ადამიანები, რომლებიც შენს გარშემო იყვნენ.

შენ სულს ყოველთვის ემახსოვრება მიწა, რომელზეც შენ დადიოდი.

შენ სულს ყოველთვის ემახსოვრება ის საგნები, რომელთაც შენ შეეჩვიე.

შენ სულში ყოველთვის იქნება შიში, არყოფნის შიში.

და ვინ იცი, რამდენი სხვა რამე.

ვინ იცის, შეიძლება შიმშილმა ერთ კვირაში დაგაბრუნოს ადამიანებთან. მერე ესეც დიდხანს ემახსოვრება შენს სულს.

მოკითხვას გითვლიან შენი შვილები.

გელით.

ლუკა».

«მე აღარაფრად მიმაჩნია, ადამიანური სიხარულით სავსე წუთები, არც მწუხარება.

მარტოობა თევზებსაც შეგვიძლია.

ღმერთი ისე დგას ჩვენში, როგორც ადამიანებში.

თევზებსაც გვიყვარს ერთიმეორე. წყალი უფრო მეტად, ვიდრე თქვენ მიწა, რომლის გულისთვისაც ერთიმეორეს ჭამთ.

არყოფნის შიში?

და განა მარტო ადამიანებს გაქვთ ეს შიში?!

როგორც არ უნდა მომშივდეს, ადამინებთან არ დავბრუნდები.

შვილები მყავდა? აღარ მახსოვს...

მე გადაწყვეტილი მაქვს, აქ ვიყოლიო შვილები. სხვა რა დამრჩა კიდევ თქვენთან? არაფერი, მიწაც თქვენ გქონდეთ და საჭმელ-სასმელიც, მე გამანებეთ თავი. დავიწყებაში ხელს ნუ მიშლით.

თევზი».

\*

მესამე დღეს ისევ მოიყარა არაგვის ნაპირზე სოფელმა თავი. ზოგმა რა წინადადება წამოაყენა, ზოგმა რა.

– თუ ორ დღეში არ გამოხვალ მანდედან, მერე იძულებული ვიქნები, საყვედური გამოგიცხადო და კოლმეურნეობიდან გაგრიცხო. იმიტომ, რომ ხალხს აცდენ. – დაუძახა თავმჯდომარემ. იმან კი ხმა არ გასცა, ვითომ ვერ გაიგონა.



ერთხელ კიდევ მოვიდა მილიციელი და ოქმის შედგენით დაემუქრა «თევზს». მის საპასუხოდ იმან უფრო ქვემოთ ჩაიწია ჩანჩქერისაკენ.

არაფერმა არ გასჭრა, არც კი უყურებდა ხალხს. დროდადრო წყალში ჩაიყურყუმელავებდა.

იმ ღამეს მთვარემ გააკაშკაშა მიდამო და ხალხმა დაინახა, როგორ ეხვეწებოდა წყლის პირას მდგარი ფეხშიშველი პატარა გოგო გამიხრდაის:

– მამიკო, გამოდი რა! ოღონდ გამოდი და არასოდეს არ გაგაბრაზებ. კანფეტებს გიყიდი. ნუ იქნები თევზი, გეხვეწები.

მერე ხვეწნით რომ ვერაფერი შეასმინა, ტირილით წამოვიდა სოფლისაკენ პატარა გოგო.

იმ ღამესვე აჯანყდა ხალხი. შეიკრიბნენ და მითხრეს, დილით წერილი მისწერე, თუ არ გამოვა, იძულებული ვიქნებით, ძველი წესით მოვიკვეთოთო.

– ნუ, თქვენი ჭირიმი, – შეეხვეწა ხალხს იმისი ცოლი, – ნუ დამღუპავთ, ჯერ დავაცადოთ, იქნებ მორჯულდეს ეს საშავეთო, ეგა!

– ერთ დღეს დავაცდი და მერე მეტი გზა არ არის. თუ მაგას არ ვუნდივართ, ჩვენ სადამდე ვეხვეწოთ, – თქვა დეკანოზმა მწარიამ და მერე მე მომიბრუნდა:

– დილით მისწერე, შუდღემდე თუ არ გამოვა, ხალხს შევყრი და მოვიკვეთავთ. სად გაგონილა, ადამიანს ადამიანობა არ უნდოდეს. ეგ ღმერთის გმობა არის და მეტი არფერი. ვინ მისცა მაგას უფლება, ხალხი მასხარად აიგდოს და წინ წაუაროს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ადამიანობაზე როგორ ამბობს უარს. მაშინ ჩვენ რანი ვართ, აღარაფერი... ეგაც არაფერი, ღმერთს როგორ იგდებს მასხარად, იმას რომ სდომებოდა, გაუჭირდებოდა მაგის თევზად გაჩენა, თუ რა? თევზი უფრო იოლი გასაჩენი არ არის? ფუი! გაწყდეს მაგ კაცის სახსენებელი. რისთვის ააწყვე ღმერთო, მაგისი ძოღმანი, ან შენი წმინდა სული რად ჩაუბერე ეგეთ უმადურს...

კარგა ხანს ირისხებოდა მწარიამ და ხალხიც უსმენდა.

მეორე დილით წერილი მივწერე გამიხარდაის:

«თევზო!

შენ, შენი საქციელით ხალხს შეურაცხყოფა მიაყენე, შენ რომ უარს ამბობ ადამიანობაზე, მაგით სხვებსაც რწმენას უკარგავ. თანაც ფსიქოლოგიურად მოქმედებ საზოგადოებაზე. ძალაუწებურად შენზე ფიქრობს ხალხი. როგორ გგონია, მაგათთვის ადვილი ხომ არ არის, უცებ დაგივიწყონ და შენზე სულ არ იფიქრონ. გიჟი რომ იყო, სხვა საქმეა, შენ კი სრულ ჭკუაზე ხარ.

როგორ გეხვეწებოდა წუხელ შენი პატარა გოგო, გამოდიო. ყველას გული ჩაგვეთუთქა, შენ კი ხმაც არ გაეცი.

გამწარებულია ხალხი და დამავალეს გადმოგცე, რომ თუ შუადღემდე არ მოუბრუნდები ადამიანებს, ისინი შენ მოგიკვეთენ. შენ თუ იმათზე აცხადებ უარს, იმათაც ხომ აქვთ თავმოყვარეობა.

ნუთუ ამისი მაინც არ გეშინია? ზამთრის პირზე რომ აცივდება, მაშინ ხომ გადმოსვლა მოგიწევს. წინააღმდეგ შემთხვევაში გაიყინები.

თუ მოგიკვეთეს, მერე ვისლა მიადგები კარებზე?  
დაფიქრდი... შუადღემდე დრო გაქვს.

ლუკა».

«ძლივს არ მოიფიქრეთ?

ადამიანის მოკვეთა თქვენი ძველისძველი ხერხია, სხვათაშორის, თევზებს არა გვაქვს ეგეთი კანონები.

მე თქვენზე უარი განვაცხადე და თქვენ ეს შეურაცხყოფად მიიღეთ. აუჰ!.. როგორი პატივმოყვარეები ხართ. მაშინებთ იმით, რისიც არ მეშინია. მე ხელს მაძლევს კიდეც მოკვეთა, უფრო დამეხმარება თქვენს დავიწყებაში. კარგია, კარგად მოგიფიქრებიათ, მერე მაინც გამანებებთ თავს.

გამწარებული ხალხი? \_ რა სასაცილოა, ვინ იცის, რამდენი მოძმე მოუკვეთიათ და რამდენი ყოფილა იმათში მართალი.

ზამთრისა მეშინია? \_ სულაც არა. მე თანდათან შევეჩვევი წყალში თევზად ყოფნას. შემოდგომამდე ყვინთვას ვისწავლი და წავყვები არაგვს თბილ ქვეყნებისაკენ. თქვენ კი, როგორც გინდათ, ისე მოიქეცით. მე ადამიანებზე იმაზე უწინ განვაცხადე უარი, ვიდრე ისინი უარმყოფდნენ, ამიტომ მაგ მოკვეთისა არ მეშინია».

თევზი».

\*

მე თევზის წერილი ხალხს წავუკითხე. იმათ საშინელი ჩოჩქოლი ატეხეს და შუადღისას თემის საყრილობო გორაზე მოგროვდნენ.

დიდი ხანია, რაც ამ გორაზე აღარ შეყრილან. ამას მოწმობს დასარისხებელი სამნები, რომელთაც ოდნავდა ამოუშვერიათ მიწიდან სანთლით შემურული კბილები.

ვინ იცის, რამდენი ადამიანი მოუკვეთიათ აქ. მერე რა საზარელი სიტყვა არის: «მოკვეთა!»

\_ მიწა იზრდება, ხედავთ, ხალხო! \_ სამანებზე წამოზრდილ მიწას დაადო მწარიამ ხელი.

შეკრიბეს სანთლები და აანთო მწარიამ.

ხალხი გამტკნარებული ელის რისხვის დაწყებას. დეკანოზს ხელზე ეღვენთება სანთელი და სიჩუმეში ვიშის ჩხრიალივით ისმის იმის ხმა:

«ღმერთო! შენ ხარ სადიდებელი!

ღმერთო! შენ ხარ სახსენებელი!

შენგან შექმნილმა ადამიანმა ადამიანობაზე უარი განაცხადა და ამით ხალხსაც შეურაცხყოფა მიაყენა, შენზეც უარი თქვა.

ნუ გვიწყენ დალოცვილო, უმადურობაში ნუ ჩამოგვართმევ, ჩვენც უარი გვინდა განვაცხადოთ მასზე.

დღეის მერე ნულარავინ მოიხსენიებს გამიხარდაის ადამიანთა შორის.

ნულარავინ დასძრავს იმისთვის სიტყვას. ნულარავინ აუნთებს სანთელს.

ნულარავინ გაუღებს სახლის კარებს.

ნულარავინ მიაწვდის პურს.

დღეის მერე მოკვეთილი იყოს ჩვენგან!

\_ ამინ! \_ დაიგუგუნა ხალხმა.

\_ ღმერთი გაუწყრეს ხალხის პირის გამტეხს!

\_ ამინ! \_ ისევ ამოიხრიალა ხალხმა.

მწარამ სანთლები მიწიდან ამოშვერილ სამანზე მიაკრა.

ხალხი ჩურჩულით ჩამოდიოდა გორიდან.

გამიხარდაის ცოლი ტირილით მოჰყვებოდა უკან. კაბის კალთაზე ბალღები ჰყავდა გამობწკნეული.

\*

ერთი კვირა გავიდა იმის მერე, რაც გამიხარდაი წყალში ჩაჯდა. იმისი შვილები მოსვენებას აღარ მაძლევენ \_ მისწერე, რომ გამობრუნდესო.

რამდენი რამე მივწერე, მაინც არ გამოვიდა. აღარც წერილებს მიბრუნებს. შიმშილმა ძვალ-ტყავადლა აქცია. ეტყობა მართლა არ აპირებს გამოსვლას.

წუხელ ჯერ ჭექა-ქუხილი ატყდა, მერე კოკისპირული წვიმა წამოვიდა.

\_ იქნებ ნიაღვრის შიშით გამობრუნდეს, \_ თქვეს სოფელში და არაგვისკენ დაიწყეს ყურება.

ცოლ-შვილი, შეშინებული, ტირილით ეხვეწებოდა, გამოდი, თორემ არაგვი ადიდებულება. იმან ერთ მაღალ ლოდზე აიწია აღმა.

მთელი ღამე ლოდები მოჰქონდა არაგვს.

მეორე დღეს ხალხის ხმაურმა გამომადვიდა.

იმ ღამეს არაგვს შეშა გამოერიყა და მთელი სოფელი ჭალაზე იყო მოფენილი. ერთიმეორეს აღარ აცლიდნენ შეშის შეგროვებას. ცულები ეჭირათ და ყველა ხეს თავის ნიშანს უკეთებდნენ. ერთი რომ დანიშნავდა, მეორე გადაუშლიდა მალვით და თავის ნიშანს ადებდა. ვერაფრით ვერ მორიგდნენ და საჩხუბრად დაერივნენ ერთურთს.

გამიხარდაის თავი ამოეყო მღვრიე წყლიდან და ჩემ დასანახად იცინოდა. მერე წერილი მომწერა:

«და ამის მერე კიდევ მეტყვი, ადამიანებთან მობრუნდიო?»

შეხედე შენს ადამიანებს!

## თევზი!»

მე აღარ მივწერე წერილი. იმ წუთში მართლა უაზროდ მეჩვენა ადამიანთა გამართლება, მაგრამ ისე კი არა, რომ გამიხრდაის მხარზე ვყოფილიყავი. უბრალოდ, ისეთი არასასიამოვნო სურათი იყო! ქალი და კაცი ერთმანეთს სცემდა არაგვისაგან გამორიყულ შეშას. იყო საშინელი წივილ-კივილი, გინება, შეშის გატაცება ერთი ხალიკიდან მეორისაკენ. მერე გული რომ იჯერეს და თავ-თავისი წილი შეშა დაახალიკეს, ერთიმეორეს უმძრახად გაუხდნენ და ისე წავიდნენ სოფელში.

იმ საღამოსაც მოიღრუბლა და უარესად ჩამოხნელდა. მთელი ღამე დგანდგარებდა არემარე. საზარელი ხმით მოდიოდა არაგვი.

მე მგონი არავის სძინებია იმ ღამეს.

მეორე დილა კი ასეთი იყო:

არაგვის ღორღიანი ჭალა. ჭალაზე კუპრივით მღვრიე არაგვი. არაგვის ნაპირზე თითო-ოროლა კაცი დგას აქა-იქ.

არაგვს იმ ღამეს სულ წაეღო გუშინდამით მოტანილი შეშა. აღარავისთვის დაეტოვებინა ერთი ნაფოტიც კი. ისინი გუშინდელ ნახალიკარ ადგილებთან იდგნენ და ნაჩხუბრებს ერთიმეორისათვის ხმის გაცემა რცხვენოდათ. იმათ შორის ნიაღვრისაგან დამხრჩვალი თევზები ეყარა აქა-იქ.

მარტო გამიხარდაი აღარსად ჩანდა. იმისი ცოლი თმაგაშლილი მისდევდა შავ არაგვს და უკან ბალღები მისდევდნენ გულამომჯდრი ქვითინით.

ამ უბედურმა შემთხვევამ გამოაფხიზლა ნაჩხუბარი ხალხი და ისევ ერთად შეკრა. უბედურებამ ყველას დაავიწყა წყენა და არაგვს გაეკიდნენ დაკარგული ადამიანის დასაბრუნებლად. ისე გულსაკლავად მისდევდა ეს შავოსანი ხალხი აბობოქრებულ არაგვს, რომ უნებურად გავიფიქრე: «ღირს! ღირს!», და მეც იმათ გავყევი უკან.

## ხარისა და გუთნის მაღლითა

მაღალი ღმერთის მაღლითა, ცისა და მიწის მაღლითა, ხარისა და გუთნის მაღლითა, დღევანდლამდე მოვალწიეთ ადამიანებმა.

მეოცე საუკუნემ უღლიდან გამოხსნა ხარი და იგი თანდათან დაშორდა ადამიანს. თავისი ძველისძველი და წმინდა მოვალეობიდან გადადგა ხარი. წავიდა ჩვენგან, ოდნავ ნაღვლიანი, მშვიდი, უწყინარი, კეთილი, ჭირში და ლხინში სულ მუდამ კაცის გვერდით მყოფი და ვინ იცის, ჩვენგან არც ისე მაღლიერი, ხარი.

არავინ იცის, რამდენი საუკუნე იდგა ხარი კაცის გვერდით, რამდენი საუკუნე ეწეოდა მძიმე უღელს, უღელს რომელიც ერთი ქართული ხალხური ლექსის მიხედვით, თვითონ ხარს, თავისი ნებით დაუდგია ქედზე:

ორმაბათობით აშენდა ციხე-ქალაქი ქვაზედა,  
გარს გალავანი არტყია, ცანი დაჰყურებს თავზედა.  
სამშაბათს იყო ყრილობა, დიდი მეუფის კარზედა,  
ხარი და ადამიანი დადგნენ ერთ სამართალზედა.  
ადამიანის დარჩენა ვერვინ ვერ იდგა მხარზედა,  
ადგა, ხარმა მოახსენა: «მე დამიდვია თავზედა».  
წამოდგნენ ანგელოზები, აკოცეს ორსავ თვალზედა,  
ჩამოქნეს წყვილი სანთელი, დააკრეს ორსავ რქაზედა:  
\_ წადი, ხარო და იხარე ცასა და ქვეყანაზედა,  
ექვსი დღე კი იმუშავე, მეშვიდეს დაწექ მხარზედა,  
ვინც მეშვიდეს შენ შეგაბას, რისხვა მიადგეს კარზედა!

და ამის მერე მოდიოდნენ კაცი და ხარი. ხნავდნენ მიწას, თესავდნენ, აშენებდნენ დიდ ქალაქებს.

ქართველმა კაცმა ღვიძლ ძმასავით შეიყვარა ხარი, შეებნენ ერთ უღელში და დღემდე მოვიდნენ. არც კაცს ჩაუხრია მუხლი, არც ხარს<sup>7</sup> მხოლოდ დრო და დრო წაიბორძიკებდნენ და ერთმანეთს ამხნევებდნენ:

\_ ჰამო, ჰო, ჩემო წიქარავ, მიდი გენაცვალე, მიდი! \_ ამხნევებდა კაცი. ხარს კი ისეთი ერთგულება და სიკეთე ჰქონია თვალეში ჩამდგარი, რომ კაცს ძალა ემატებოდა, ხნავდა, თესავდა და მტერს ებრძოდა. საომრად წასულს, ცოლ-შვილზე არა ნაკლებ ენატრებოდა თავისი ხარი.

ხარს საწოლი ადგილიც კაცის გვერდით ჰქონდა მიჩენილი.

კვირაში ექვსი დღე მუხლჩაუხრელად მუშაობდა ხარი. დაიწყებოდა გაზაფხული და თბილი ქვეყნებიდან მოფრინდებოდნენ თუ არა გუთნის ჩიტები, კაცი ხარ-გუთანს გამართავდა. საუკუნეების მანძილზე შეუცვლელ იარაღს წარმოადგენდა გუთანი. რაკი მას ხვნაში დიდი ძალა ადგებოდა, მის ნაწილებს სხვადასხვა გამძლე ხისაგან თლიდნენ.

ხნავდნენ კაცი და ხარი.

ხარს დიდი, წყლიანი და ჭკვიანი თვალეები ჰქონდა. ხოლო რაკი ქართველი კაცი ჭირსაც და ლხინსაც ლექსად გარდაქმნიდა, თითქოს იმიტომ იყო ეს ქვეყანა გაჩენილი, იმიტომ ომობდნენ, იმიტომ მრავლდებოდნენ ადამიანები, იმიტომ შრომობდნენ, იმიტომ ამოდიოდა მზე, მთვარე, ვარსკვლავები, იმიტომ ხდებოდა სამყროში ყველაფერი, რომ ქართველ კაცს ყოველივე ეს ლექსად გარდაექმნა. გუთნის გაკეთება რა არის, გუთნის გაკეთებაზეც აი ასეთი ლექსი უთქვამს:

გუთანს გავმართავ მე ისე, როგორც რო მართებულა.

პირველ გათალე ხის რვილი, სახელდებული თელისა,

მოუჭერ სახლმე შუაზე, შემოუდერე ყელიცა,  
ყელი კარგად მოუვიდა და შიგ შუა წელი სრულია.  
კაკლის დედანი შევაბი შალაშინ – გადასმულია,  
ზედ გაუკეთე ხელკუდი, როგორც რო ჩამოსხმულია,  
იფნის ხმალი გავატარე ფარეშით გათანგულია,  
ღირღიტოს მორი გავთალე პიტალო კაკლის გულია,  
მუხისა სოლი ვიხმარე ხელეჩოთ დაწმენდილია,  
ჯაგრცხილის ფერხოს მოკიდე, როგორც დულაბი კირია,  
ზედ შაუბი საყვირები წნელებით გადაბმულია,  
შიგ დავუმართე უღლები ახალი დატუსულია,  
შიგ ჩავუყარე ტაბიკი დათლილი შვინდის გულია,  
შავაბი აპეურები, ახალი დაგრეხილია,  
შავაბი უღელი ხარი, რქა-კუდით შამკობილია...

არ ვიცი თუ შეიძლება თანამედროვე ადამიანმა ტრაქტორის ნაწილებზე და აწყობაზე დაწეროს ლექსი და ასე მოხვდეს გულს, როგორც ეს ლექსი. ჯერ ერთი, როგორი სულიერი დამოკიდებულებაა იმ ხის ჯიშებთან, რისგანაც გუთნის ნაწილები გამოუთლია მთქმელს, მერე როგორ მოდის, ლექსში თანდათან როგორ ეწყობა გუთანი და როგორ ლამაზადაა ნათქვამი: «შავაბი უღელი ხარი, რქა-კუდით შამკობილია»... ალბათ ისევ და ისევ ხარების სიყვარულმა ათქმევინა ასე მაღლიანად, ასე სულიერად, ხოლო ის ფაქტი, რომ ტრაქტორის ნაწილებზე ასე ვერ დაწერ, ეს ალბათ იმიტომ რომ დამოკიდებულება დაიკარგა, სული დაიკარგა, ის სიყვარული დაიკარგა რაც ხარს მოჰქონდა ადამიანის სულში.

თითქოს მიწასთან ხარი იყო ადამიანის სიყვარულის შუამავალი. ხარი სიბერით არ გამოდიოდა უღლიდან: «ბებერი ხარის რქანიც ხნავენო» და ხნავდნენ კაცი და ხარი. კაცს ყოველთვის არ ჰკმაობდა სიყვარული და უდიერად ექცეოდა ხარს. იმას კი ვისაც სიყვარული ჭარბად ჰქონდა, ხარის სათქმელი აი ასეთ ლექსად ამოსდიოდა გულიდან:

ავი გუთნისდედის სული

დაწერილია ქვაზედა

ეს უღმერთო ჩემი მეხრე მირტყამს ხმელ ბეჭის თავშია,  
თითოს ასეთსას ჩამიშვებს, თითქოს ჩამაწვენს კვალშია,  
დავიჩოქებ და შევსტირი ჩემ მეუფესა ცაშია:

« მიშველე, ჩემო გამჩენო, ჩემს გაჭირვების დღეშია!»

– მე რა გიშველო, საწყალო, მეც მაგინებენ ცაშია!

მე მაშინ მოურიგდები, როს მოვლენ სამართალშია,  
დავადგამ რკინის უღელსა, შევგზავნი ჯოჯოხეთშია,  
გარს შემოვუსვამ ეშმაკებს, ურაკუნებდნენ თავშია,

«აწი-აწი» იძახოდნენ, «სულო ამოდი ყელშია!»

და მიუხედავად მძიმე უღელისა, ხარი სიკეთის განსახიერება იყო. ხარი არ გაბოროტებულა.

არ ვიცი იმიტომ რომ ჩემ ბავშვობასთან აქვს საერთო, არ ვიცი, რატომღაც ისე ტკბილად მახსენდება ხარი და გუთანი. ვხედავ, როგორ გამოაქვთ სამშაბათ დღეს კალოდან უღელი, დაადგამენ ხარებს, წაიყვანენ სახნავად, გამოუბამენ გუთანს, რქებზე კვერცხს გაუტეხენ და ეტყვიან: «ასე გასკდეს იმის თოლი და გული ვინც შენ თოლი გცესო». მერე შეჭამანდის ჯვარს გაუკეთებენ ხარს მარჯვენა მხარეზე, სანთელს აანთებენ, დაილოცებიან და გატეხენ ყამირს. წინ ხარ-გუთანი მიდიოდა, უკან ბალები მივყვებოდით და ჩვენს უკან გუთნის ჩიტები გრძელი, ზოლებიანი ბოლოების ქნევით მოჰყვებოდნენ კვალს. ჩვენ ვაგროვებდით ფხოლას, გუთნის ჩიტები კი გუთნის ჭიებს კენკავდნენ. ფხოლაი მრგვალია, თხილის გულის ტოლა, მიწიდან ყანასთან ერთად ამოდის, ფხოლის თავაი ჰქვია მის ღეროს, ისიც საჭმელია, ტკბილი გემო აქვს. გუთნის ჭია კი ქათქათა თეთრია და მსუქანი. ერთი გოჯის სიგრძე იქნება, მეტი არა.

იმ ბავშვობაში ნაჭამ ფხოლასავით ტკბილად მახსენდება გუთნისდედა. ფარცხზე დაჯდომა. ხარების წყლევა. მერე ჯეჯილი, მწიფე ყანა, ყანაში ბარდალაი და ფხოლისთავაი. მერე ნამგლების წკრიალი, ძნები, კალო და ისევ ხარები. ახლა კალოზე ბრუნავდნენ დილიდან გვიან ღამემდე ხარები, პირზე საპირეები ჰქონდათ აკრული და ბრუნავდნენ. იმათ მაღლიან ფხებქვეშ იღეწებოდა, ის რითაც ადამიანი დღემდე მოვიდა – პური.

სანამ ჯეჯილი იყო და ყანები მწიფდა, კაცი და ხარი სხვა საქმეს აკეთებდნენ. აშენებდნენ სახლებს და ციხე-სიმაგრეებს. მართალია ხარი ბრძოლაში არ მიჰყვებოდა პატრონს, მაგრამ ხარი ზიდავდა ქვეს, რითაც შენდებოდა სიმაგრეები და უმაგრდებოდა მტერს საქართველო.

ერთხელ, თურმე, ორი ძმა აშენებდა ციხეს. ერთი კლდეს ანგრევდა, ქვეს მარხილზე უწყობდა ხარს, რომელსაც მიჰქონდა მარტოკას და მეორე ძმა ადგილზე სცლიდა მარხილს, თან აშენებდა. გზა ტყეში გადიოდა და ერთხელაც, შუა გზაზე მგელი დახვედრია ხარს... ძმებმა ის ციხე ააშენეს, ერთ ქვაზე კი იმ ხარის საპატივსაცემოდ მისი თავი გამოკვეთეს და კედელში ჩაატანეს ის ქვა – აი, ყველაზე დიდი მაგალითი ხარისა და კაცის ერთგულებისა, კაცისა და ხარის ურთიერთპატივისცემისა. ის ციხე კი დგას ახლა, სარბილიდან ნახევრადგამდგარი, ვალმოხდილი, როგორც ხარი.

კაცის დამარხვაშიც ერთგული იყო ხარი. თუ საფლავები სოფლიდან შორს იყო, ხარ-მარხილით მიასვენებდნენ მიცვალებულს. საფლავის სიპებიც ხარ-მარხილით მოჰქონდათ და ზემოდან დასადები ქვაც ხარებით მიჰქონდათ საფლავზე. ძველთაგანვე ულამაზესი დამოკიდებულება ჰქონდა ქართველ კაცს საფლავის ქვასთან. თუ გუთნისდედა იყო, ხარებს გამოჰკვეთავდნენ მიცვალებულის ქვაზე, თუ

მწყემსი იყო ვერძს და ასე, რა საქმესაც ემსახურებოდა ამ სოფელში. ახლაც უამრავი ასეთი შედეგები \_ საფლავია შემონახული ძველ სასაფლაოებზე.

ხნავდნენ კაცი და ხარი. მოჰყავდათ პური და ბრუნავდა წისქვილი. კაცმა არ იცოდა რომ მიწაც ბრუნავდა და ამბობდა: «დედამიწა ხარის რქებზე დგას»-ო. მერე გაიგო რომ მიწა ბრუნავდა. მერე თანდათან ბევრი რამ გაიგო და თანდათან დაშორდა ხარს, სხვანაირი ხასიათი გაუხდა, სხვანაირი ლექსების წერა დაიწყო. ხარს ახლაც ზრდის, მაგრამ ახლა იმ ხარს ერთი ძმიდან მეორესთან ციხე-სიმაგრის ქვები აღარ მიაქვს. ახლა იმ ხარის გზა წისქვილისაკენ მიდის. სიტყვა ხარს, ლექსის მაგიერ, სიტყვა «კარგი სახორციე» დაემატა.

თანდათან გადადგა ხარი. წავიდა თავისი მშობი ნაბიჯებით, დიდი, წყლიანი თვალებით.

მიდის.

მიდის და ჩვენს სულში ღრმა კვალს სტოვებს:

სიკეთის კვალს.

სიმშვიდის კვალს.

მოთმინების, ამტანობის, გაუტეხლობის, სათნოების კვალს.

გვიტოვებს მოგონებებს გუთნის დედებზე, ხის გუთნებზე, ურმებზე... გვიტოვებს სიმღერებს:

«ურმული»,

«გუთნური»...

და კიდევ იმდენ რამეს სტოვებს ქართველი კაცის სულში რომ კიდევ დიდხანს გვეყოფა, დიდხანს გვეყოფა კი არა, მუდამ ჩვენთან იქნება. ხარმა ხომ დიდ საუკუნეს, ტექნიკის საუკუნეს ჩააბარა ადამიანი. მან პირნათლად მოიხადა თავისი ვალი... ღმერთისა და კაცის წინაშე.

გადადგა, მაგრამ იმ წუთში ისევ გვერდით ამოუდგება ხოლმე კაცს, სადაც დასჭირდება. უტყუარია ყველა საქმეში.

ამბობენ, ყაყაჩოები მტერთან ბრძოლაში დახოცილი მამულიშვილების სისხლის წვეთებზე ამოდიანო. არსებობს ყვავილი, რომელსაც ხარისთვალა ჰქვია. არ ვიცი, იქნება ეს ყვავილი იმ ხარის ცრემლებზე ამოვიდა, უეცრად გუთნისდედა რომ მოუკვდა კვალში, ანდა იმ ხარის ცრემლებზე, ძმებს რომ ციხისთვის ქვებს უზიდავდა და გზაზე მგელი შეხვდა... ანდა კიდევ იმ ხარის ცრემლებზე, მეხრემ რომ შოლტი დაარტყა... არ ვიცი, ერთი კია რომ ის ყვავილი ცრემლზე მოსული ყვავილია. კაცმა არ იცის...

კაცმა მხოლოდ ის იცის, რომ დღემდე ის მოვიდა მაღალი ღმერთის მაღლითა, ცისა და მიწის მაღლითა, ხარისა და გუთნის მაღლითა.



## დედის ჩიქილა

ცას პირი მოსტყდა და მთელი ზაფხული გადაუღებლად წვიმდა. თიბათვის დამდეგს მოქუფრული სახე მოიწმინდა ცამ და როგორც მოსარჩენად გამზადებული ნაჭრილობევი შეიკრავს ხოლმე პირს, ისე შეიკრა, შეწყვიტა წვიმა. მთელ ზაფხულს ნასვენებმა მზემ გამოანათა და ნაწვიმარ ყამირებში ისე წამოწია სათიბმა ბალახმა, ხალხი გაოცებას ველარ ფარავდა.

ზუსტად ზეგარდობა დღეს ჩამოჰყვა თბილისიდან მანქანით ჩამოსულ თანასოფლელებს კვირია. გამხდარი მოეჩვენა ლელას შვილი, "კიდევ ხო აღარაფერს ავადობო, შვილო", შემინებული შეეკითხა და კვირიას რატომღაც მოეჩვენა, რომ მხრები და მუხლები ერთნაირად უკანკალებდა დედამისს. ერთი კი გაიფიქრა, ახლავე ხელში ავიყვან და ისე შემოვატარებ სოფელს, მაგრამ დედის სიბრალულმა რატომღაც ისევ გაუცოცხლა სადღაც გადაკარგულში მიმალული ნერვი და თავისდაუნებურად დედის შეკითხვას მკვახედ უპასუხა:

– გამხდარი კი არა და, ახლა ისა ვარ!

ყოველთვის ასე ემართებოდა ხოლმე, როცა დედის უმწეობას დაინახავდა. უნდოდა მოჰფერებოდა, მაგრამ რატომღაც ბრაზდებოდა და მერე დიდხანს მოსდიოდა თავის თავზე ბრაზი, რა ჩემი უკუღმართობადა ეჭირვებო მოხუცს. ლელას არ შეუმჩნევია წყენა: – ნამგზავრს მოგმივდებოდაო, შვილო, – ტაფა შემოდგა ცეცხლზე.

თანასოფლელებსაც გამხდარი მოეჩვენათ კვირია. ნამგლის სალეს ქვასავით გაულევნიაო ქალაქს შულლიანთ კვირია, – ახალ ამბავს ამბობდნენ წყაროზე მიმავალი დიაცები. ლელას კი გულს უკეთებდნენ: – ქალაქის ფერი დაჰკრავს, თორო კაი ჯანად არისო, ქალო!

\*

აქაურ ხალხს ჯერ ისევ ჰყავდა თავის კერპები. სათიბზე ისე როგორ გავიდოდნენ, თუ ამინდის ღვთაებას – ელიას მსხვერპლს არ შესწირავდნენ; ელიასობას ეძახდნენ ამას.

დაკლეს ციკანი და დააგორეს მაღალი მთიდან. მთის შუა ფერდზე სამანი იყო ჩარჭობილი, იმ სამანთან გამწვრივდა ხალხი. ელიასათვის დაგორებული ციკანი დაიჭირეს და "სამთიბლო სახმთო ქნეს". იმ დღის მერე ელიასაგან უფლება ეძლეოდათ სათიბზე გასვლისა.

წმინდა ბალახი მოსულიყო ყამირებში. წმინდა, სულ წმინდა. ერთი დიყის ფეხიკ კი აღარ იზადებოდა არსად. ცაზე მზე ჩახჩახებდა და ისე ირეკლებოდა გაპრიალებული ცელისპირებიდან მზის სხივები, თითქოს თითოეულ ცელს თავისი

პატარა მზე ჰქონდა გადანახული და ახლა იმ დიდ მზეს აჩვენებდნენ – ჩვენცა გვაქვსო მზე.

ეს ყამირები იყო სოფლის განაპირას. შორიდან რომ შეგეხედათ, მთის კალთას დაუძახებდით. ერთ მხარეს სათიბისა აქაურ მცხოვრებთ საკარმიდამო მიწებად ჰქონდათ მიზომილი და რაკი აქ ძირითადად მესაქონლეობას მისდევდნენ, ზაფხულობით სათიბად იცავდნენ და საზამთროდ თივას ამზადებდნენ. მთის კალთის მეორე მხარეს კი შარშან კოლმეურნეობის ახალმა თავჯდომარემ ჩამოართვა ხალხს და დააკანონა: ყველას უნდა თავისთვის ადრინდელი სანაწილო მიწა ძველებურად უნდა გაეთიბა და ნახევარი კოლმეურნეობისათვის ჩაეხარებინა. ამან, ცოტა არ იყოს, ხალხის მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ჯერ ერთი, უკმაყოფილონი იყვნენ, იმიტომ, რომ ადრე კოლმეურნეობის მარტო საერთო სათიბი მთებიდან ახარებდნენ თივას, ყამირები კი ისევ თავიანთ საკუთრებად მიაჩნდათ, როგორც თავისი სული, და როგორღაც ვერ ურიგდებოდნენ ახალ კანონს. უკმაყოფილების მეორე მიზეზი კი, თუმცა ხმამაღლა არავინ ამბობდა, მაგრამ სადღაც მაინც გულში ჰქონდათ ჩარჩენილი, მარტო სანდრუას წამოსცდა ერთხელ ბრიგადირთან ჩხუბში და ეგ იყო და ეგ, მერე აღარავის უთქვამს, – მაშინაც არ ვაპირებდი თქმას, – ამბობდა სანდრუაი.

გამოჰკიდებია ბრიგადირი:

– შენაო, ციხეში ამოგალპობო, კაპიტალისტი ხარ, თუ მამამუნის მამულები გგონია, რო არ ახარებო თივას!

– არ ჩავაბარებო.

– სხვები თუ ახარებენ, შენ რა, წითელი კოჭი ხარო, თუ... წინაი ხარო.

– წითელი კოჭიცა ვარ და წინაი ხარიცაო, გულზე რო გასკდე. მაინც არ ჩავაბარებო.

– რა უფლებითაო, რა უფლებითაო, – ასტყდა და სულ ამას გაიძახოდა ბრიგადირი.

მერე კი უთქვამს:

– იმ უფლებითაო, რო, თქვე კაი ხალხო, თქვენ რა უფლებით გვაწერთ ერთი თვის ჩაუბარებლობაში ორმოც მანეთსაო.

– ეგე ღირს თივა და მაშ რამდენი დაგაწერთო!

– ოთხი მანეთი და თორმეტი კაპიკო, – უთქვამს.

– ოთხი მანეთი, თივა არის, განა ნივრის მწნილიაო!

არ ვაპირებდი თქმასაო და ნივრის მწნილი რომ მიხსენა, მაინც ვუთხარი.

– თქვე კაი ხალხო, თქვენაო, ჩვენ რო თივას გაბარებთ, ოთხ მანეთსა და თორმეტ კაპიკს გვაძლევთო თივაში და რომ არ ჩავაბაროთ, ორმოც მანეთს გვაწერთო. აბა დაიანგარიშეთ, ოჯახში თითოეულ სულს ოც-ოც თივას რომ გვაწერთო, ორჯერ ორმოცი რამდენიაო!

ჯერ კი ანგარიში დაუწყია ბრიგადირს, მაგრამ აღარ დაუცდია სანდრუას.

– ეგ კიდევ რაო, კაცო, განა გამქცევები ხო არა ვართ, ჯანდაბას ჩვენი თავიო, მაგრამ იქნებ ამ წელს არ დგებაო მაგოდენა თივა მთაში, იქნებ ბალახი არ მოდისო, კაცო!...

გამტკნარებულია იყო ბრიგადირი. ოთხი მანეთი თორმეტი კაპიკიო... ორმოცი მანეთიო. ეგაო ძველი თავჯდომარის ბრალიაო, იმას ძველ ფულზე დაუჯარიმებინართო, ჩვენ ახალზე გადაგვიხადეთო. ეგეთი წასულა, როგორც ლურჯი რკინა.

მერე იმახოდა სანდრუაი: – არ ვაპირებდი თქმასაო; იმის მერე ხმა აღარავის ამოუღია. ისე კი, სადღაც გულში ექნებოდათ ჩარჩენილი. განა კი ვინმე ამტყუნებდა სანდრუას:

– გაბრაზებული იტყოდა, მაშ რა იქნებოდაო! – იმახოდნენ.

\*

კვირაი შუადღემდე ეხმარებოდა დედას. მერე ისევ ძველებურად დაუწყია გულსა წიწვნა. უნდოდა გაენებებინა თავი თიბვისათვის, მაგრამ დედა შეეცოდა, შეეშინდებოდაო. მერე სათიბში ცელიან მოხუცს რომ ჰკიდა თვალი, უფრო მაგრა დაეწვა გული. საიდანღაც ისევ იმ მიმალულმა სიბრალულის ნერვმა იჩინა თავი და ბოლმამორეულმა შორს გასტყორცნა ცელი. სწიწკნიდა გული.

– რა დაგემართა, შვილო, – მკვდრისფერი დაედო ლელას.

ამან უფრო გააბრაზა. იფიქრა, ვაწყენინებ რამესო და ხმა არ გაუცია, ისე გაშორდა სათიბს. არ გამოჰკიდებია მოხუცი, იცოდა შვილის ხასიათი.

იმ დღეს სულ ასე იყო. გული ვერ უძლებდა სახლში. ამოვიდოდა სათიბში, ერთ-ორ ნამსხვრევს ჩამოავლებდა და გამოიქცეოდა. სწიწკნიდა გული, თითქოს ხმაც კი ესმოდა. დედის დანახვაზე უფრო უორკვედებოდა ტკივილი. ვერაფრით აეხსნა, რატომ ემართებოდა ასე. სულ რაღაცას ბუზღუნებდა, სულ რაღაცაზე იშლიდა ნერვებს. ეხვეწებოდა ლელა: არ მინდა შენი სათიბი, როგორც იქნება, ისე გავთიბავო და უფრო სწიწკნიდა გული.

ხალხმა უცებ გათიბა ყამირები. თივები ააგეს და ახლა მთაში წავიდნენ სათიბად. დედა\_ შვილიღა დარჩა ყამირში. სიცხე იყო. თივის ხალებს მაინც დავჭრიო, გული დაუღონდა კვირიას. მეზობელს წალდი გამოართვა და ტყეში წავიდა. ოცდაათი ხალა მოსჭრა. მამულეებში რომ გადმოიტანა, დედამისს გაეცინა: – მაგდენი თივა რომ დაგვიდგეს, რაღა გვიჭირსო, დედა გენაცვალოს!

ქვემოდან სამხარათ ქეთომ ამოიარა და მეზობელთან იმას გაატანა კვირიამ წალდი.

სულ გაშიშვლდა ცაზე მზე, ისე დააცხუნა, კალიებმა ქვითინი დაიწყეს. ვეღარა და ვეღარ შესძლო კვირიამ თიბვა. მამულეებში ტყემლის ხე იდგა. იმ ტყემლისა ჩრდილს შეაფარა თავი. ცას ახედა და იმის სიმტკნარემ რატომღაც წუხანდელი ღამე გაახსენა. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, მთელი ღამე მხრებს იტკივებდა დედამისი;

კვენსოდა... ვითომ ჩუმად, კვირიას მალვით, მაგრამ მერე ჩაეძინა და სიზმარშიც მხარს იტკივებდა დედა.

შეშინებული გამორბოდა ნათიბში ლელა.

- \_ რა დაგემართა, დედი!
- \_ გველია იქ, გველი.
- \_ სად არის, ნუ გეშინია.
- \_ ვთიბავდი და ფეხებზე გადამიარა.
- \_ წავიდოდა, რამ შეგაშინა.
- \_ არა, ნამხრევში შეძვრა და დაიმალა.
- \_ წავალ, ვნახავ, ჩემი ნახვა უნდა ალბათ, არა თქვა, კვირია ჩამოვიდესო?
- \_ არ წახვიდე, გიკბენს, არ წახვიდე!

კვირია ნათიბში ჩავიდა, ცელი აიღო და ნამხრევში გველს დაუწყო ძებნა. იქვე ახლოს იპოვა დამალული, მოთიბულ ბალახებში შემძვრალიყო და დახვეულიყო. რომ გადახადა, თავი წამოსწია. მზეს ეს არ მოეწონა და დააცხუნა. გველმა დაისისინა და კვირიასაკენ კი არ წამოვიდა, მეორე ნამხრევში დააპირა დამალვა. კვირიამ იფიქრა, გავუშვებო, მაგრამ შეშინებული დედა გაახსენდა, წამოეწია და ცელის ყუით მოკლა, ცელის პირით აიღო და შორს გაიტანა. მერე რატომღაც გული დაწყდა, რატომ მოვკალიო. იმ დღეს იმ ყამირს ვეღარ გაეკარა სათიბად ლელა, თივები უნდა ავაგოო, მოიმიზეზა.

წინა დღეს გათიბული მოხვეტეს და საგულეებელში გაიტანეს ტვირთი. ცხელოდა.

სამხარათ ქეთომ გამოიარა და კვირიას დაუწყო ლოცვა:

- \_ შენამც გახეირებს ღმერთი, ჩემო კვირიავ!
- \_ რატომ ვითომ, რა დავიმსახურე!
- \_ წალდი რომ მომახელვინე.
- \_ რა წალდი, ქალო, ის წალდი სვიმონიანთ გამოვართვი, არ მიგიცია?
- \_ გუშინ ვეღარაფერი გითხარ, ჩემო კვირიავ, რომ დავინახე, მაშინვე ვიცან. შარშან დამეკარგა, გუშინ ვეღარ გითხარი, ვიფიქრე, არ გამატანს-მეთქი. ჩემი წალდი იყო. შენამც იხეირე!

- \_ რა ვუთხრა ეხლა იმათ, ქალო!
- \_ რას ეტყვი, განა იმათი იყო.
- \_ ბოჩოლებს რატო არ აბამ...
- \_ გამამექცევინ ხოლმე დილითა და ვეღარ ვიჭერ.
- \_ დააბოდე, ქალო, სუ მოგვითელეს სათიბი, ცელის პირით ვეღარ გამომაქვს შორეული ბალახი, \_ შეეხვეწა ლელა.
- \_ ამ სიცხეში არც თავად ჩამოდიან, როცა აიგრილებს, მაშინ აწყალებენ სათიბს.
- \_ აბა, ვკითხავ სამუკასა და თუ მითხრა, დააბიო, დავაბამ, უიმისოდ კი ვერა, ეწყინება სამუკასა.

უცებ მამულში ერთმანეთზე კუდებით გადაბმული სოფლის ბოჩოლები მოცვივდნენ ბზიკაობით. უკან მარტიაი მოსდევდა კივილით. მხარზე ცელი ჰქონდა გადებული და მორბოდა. მოვიდა და დაჰკვივლა სამხარათ ქეთოს:

– რატო არ აბამთ ბოჩოლებსა. მეორედაც თუ ვნახე ყამირებშია, სუ თავებს დავაჭრი ცელითა.

– სამუკაი ძალიან უშარდებაკე იმას, ვინც მე მაწყენინებს, – თავი გამოიღო სამხარათ ქეთომ.

– ცივ წყალს კი არ დალევსკეა, ვინ მიგდია სამუკაი!

– სამუკამ სუყველაფერი იცის. შენ იცი, რა თქო სამუკამა?

– რას იტყოდა, ერთ რუსულ სიტყვას სადმე გაიგონებდა და იმას იტყოდა, სხო კი რა უნდა ეთქო!

– სამუკამ ისე თქო, რომ მფრინავი თეფშები დადიან ცაში, ჰო, შენ იცოდა აბა ეგა?

– მე კიდევ იცი რა ვიცი?

– რა იცი!

– ის, რაც სამუკამ არ იცის.

– რა იცი, რა!

– ისაო, რო ჩინელებს გვირაბები გამოუთხრიათ და ეხლა თურმე ჩვენი სახლებისძირ სხედან და ყურს გვიგდებენ, რას ვიტყვით, ჩემმა დედაკაცმა დილას ორმოს თხრა დაიწყო ოთახში. აბა, იცოდა სამუკამ ეგა?

– ალბათ არ იცოდა, უი ჩემ თოლებსა, წუხელ ისეთს რამეს ვლაპარაკობდით მე და სამუკაი, ვინ იცის, სუ გაიგონა იმ ჩინელმა.

– კიდევ იცი, რა ვიცი?!

– რა, ჩემო მარტიავ!

– თუ არ დააბამთ ამ ბოჩოლებსა, სუ თავებს დავჭრი.

– წავალ და ვკითხავ სამუკასა. – კაბის ბოლოს ქნევით წავიდა სამხარათ ქეთო სახლში.

– ძალუავ, ეხლა წავა და მართლა ამოსთხრის სახლში ორმოსა. მაგან მართლა დაიჯერა, – ეუბნებოდა მარტია ლელას და ისე გულიანად ხარხარებდა, რომ მიწაზე ყირაობდა და ბოჩოლებზე ნაკლებად აღარც ის სთელავდა სათიბს.

– უბედურებო, კი ჩი... ჩინელებო, ამოგითხრით სამხარათ ქალი.

მერე ცელი აიღო, კუდებით გადაბმული ბოჩოლები წინ გაიყარა და წავიდა.

– ზემოთ, თივასთან, შენი დაჭრილი ხალები დავაწყვე და აღარ არის, კვირიავ, მოუპარნია ვიდაცას.

– რამდენი იყო, დედი!

– ათი.

– მე ვიცნობ ჩემ დაჭრილ ხალებს, თავებზე ჯვრები გავუკეთე. წავალ, ერთი ვნახავ, ვის თივებს ეწყობა ძირს.

კვირიამ თუნგი წაიღო და თან თივისძირებს სინჯავდა, თან წყაროსკენ მიდიოდა ზემოთ.

წყაროსთან ათი თივა იდგა. ათივეს მისი მოჭრილი ხალები ეწყო.

სვიმონიანთ მართაი დაინახა და ჰკითხა, ვისი თივებიაო ესენი.

– სამხარათ ქეთომ ააგო, იმათია.

– თქვენ რომ წალდი გამოგართვით, მართლა იმათი იყო?

– იმათი შავი ქვა იყო, შვილო. ქეთოს ხელში რომ ჩავარდეს და მაშინვე ის იცის, ჩემია, მე დამეკარგაო. ჩემი უბედური კაცის მოტანილი იყო, – ჩამოცრემლა მართამ.

კვირიამ ხალა გამოაძრო თივას, მერე მოკლული გველი ამოიტანა და ხალის მაგიერ ის დაუდო.

თავის დედას დაუმალა ეს ამბავი. მარტო ის უთხრა, ჩვენი ხალა ვიცან და გამოვაძრეო.

– აღარ უნდა გამოგეძრო, შვილო!

– რატო?

– დაღონდებიან მერე, ძნელია აგებული თივის დახალვა.

– დავხალე ისევ.

– რაით?

– გველით. გველი დავუდე ხალად.

– რატო ჰქენ, შვილო, ეგე, – შეწუხდა ლელა...

ცხელოდა. იმ დღესაც გააქცია სათიბიდან კვირია სიბრაღულის ნერვმა.

გული უღონავდა ლელას. ავიდა და გამოაცალა გველი ქეთოს თივას. ეშინოდა კი, ძალიან ეშინოდა, ერთნაირად კანკალებდა შიშით.

\*

თიბვაში დაიღია ერთი თვე. იმდენი თიბა ლელამ, მზემ მთლიანად გაუხუნა შავი ჩიქილა. გახდა მოხუცი. თიბათვესავით დაიღია თვითონაც. შვილის დასანახად არაფერს იმჩნევდა. მარტო ერთხელ წამოსცდა ჩუმად:

– ჭალა გავცვითეო სიარულით.

მაგათი სახლიდან სათიბი ხუთ კილომეტრზე იყო და ყოველ დღე ადიოდა და ჩადიოდა ლელა ამ ჭალაზე.

ისე თქვა, ჭალა გავცვითეო, კვირიას ერთნაირად შეეცოდა ღორლიანი ჭალა და ჯაფით ჩამომხმარი დედა. გულმა გასწიწკნა მწარედ.

– თავმჯდომარე ხომ არსად შეგვხვედრია, შვილო?

– შემხვდა გუშინ.

– ხო არაფერი გითხრა?

– გასთიბეთო, – მკითხა.

– წაღებაზე თქვა რამე?

– არა, ბრიგადირი ჯღუნაი იყო და იმას უთხარი.

– რაო?

– ჩობოლაურთას ადი ხვალეო. ხალხი გააფრთხილე, ზეგისათვის შინ იყვნენ, მანქანებს ამოვიყვან და თივას წამოვიღებო. ჯღუნამა:

– ვერ ავალო.

– როგორ არ ახვალო, ხალხი დამ-დამობით თივებს იპარავს და სახლში მიაქვსო, გააფრთხილე თივის ძირები ხომ ეტყობა მამულეებში, თითო თივის ძირზე ორ თივას დავაწერ, თუ კიდევ წაიღებენო.

ჯღუნამა:

– არ მამაკვლევიანო, კაცო! ჯერ სანდრუამ დამაყვედრა ის ოთხი მანეთი და თორმეტი კაპიკი, ახლა აქილევსი რასმე წამოაყრანტალებსო.

– ხალხი გააფრთხილე არავინ მეცემინოსო.

– რო შავებვეწო, იქნებ აღარ წავგართვას თავჯდომარემ თივები. ოცი თივა ავაგე, გასაფრენად გამზადებულ ანგელოზებსა ჰგვანან. ტატიაი გაკვირვებული იყო – რა ლამაზი თივები აგიგიაო; ვეტყვი, შავებვეწები, ხუთ თივაზე მეტს ნუ გამოგვართმევ – მეთქი, ავადმყოფმა ბაღღმა გამითიბა-მეთქი.

– როგორ გაგხუნებია ჩიქილა, დედი. დაგხევია კიდევ. ამოვალ თბილისიდან და ამოგიტან ახალს.

– თხუთმეტი თივა რო დაგრჩეს, იქნებ სამი ძროხა გავკვებო როგორმე. კარგი თივებია, თუ ქეთოს ბოჩოლებმა არ გააწყალეს.

– ჭალაზე მაგრა შენი ჩიქილა გაცვეთილა, დედი!

– ვეტყვი, ყოველდღე ბურსაჭირიდან ჩამოვდიოდი-მეთქი სათიბად. რა მალე გავიდა ზაფხული.

– შენი ჩიქილა და ეს მიწა ერთნაირად გაუხუნებია შემოდგომას, დედი!

– თბილისიდან მალე ამოდი, შვილო!

\*

ქალაქში აიტეხეს გოგოებმა:

– მთაში წავვიყვანე, კვირიავ!...

წაიყვანა.

შემოდგომა იყო, ფერი ჰქონდა დაკარგული მიწას. სანამ კვირიას სოფლამდე მოვიდოდნენ, ჩამოშლილი გზა შეხვდათ, ავტობუსიდან ჩამოვიდნენ და იარეს ფეხით. თანასოფლელი დედაკაცი დაემგზავრა გზაზე. მთელი გზა ენა არ გაუჩერებია, ხან ვის სჭორავდა, ხან ვის... მერე ის ოთხი მანეთი და თორმეტი კაპიკიც გაიხსენა. ზოგს რა ბედი აქვს, რა ვარსკვლავზე დაიბადაო. ტლიკინებდა:

– მოუტყუებია მარტიას, ჩინელებს შენი სახლის ქვეშ გვირაბი აქვსო გაყვანილი. ამდგარა და სამხარათ ქეთოსაც დაუწყია სახლში ორმოს თხრა. ზოგს რა ბედი აქვს, რა ვარსკვლავზე დაიბადება. ერთი ქოთანნი ოქრო მოუხელნია იმ ნათხარ ორმოში.

თორელათ პირდაპირ ხალხმრავლობა იყო. საქონელს იღებდა დამამზადებელი. ცხელოდა. აუარება ხარ-ძროხა ირეოდა ერთმანეთში. საცოდავად ბლაოდა სიცხისაგან შაწუხებული საქონელი.

იგვიანებდა დამამზადებელი. წესად ჰქონდა, მთელი დღე დააყენებდა ხოლმე ხალხს და სადამოთი დაიწყებდა მიღებას. ხალხი ლოდინით ისე იყო შეწუხებული, რომ იხვეწებოდნენ, ოღონდ ჩაებარებინათ და თუნდაც "ჯანდაკში" მიელო. ერთმანეთს აღარ აცდიდნენ და ძალით შეჰყრდნენ საქონელს სასწორზე. რაღაცნაირი შემზარავი სურათი იყო. შავი არაგვი ჩამოდიოდა დამზადების იქით. ერთი სული ჰქონდა კვირიას, დროზე გასცლოდა ამ ადგილს.

გზაზე მომავალი დედა შენიშნა შორიდან. ამოდიოდა ლელა და ოთხი ძროხა მოჰყვებოდა უკან.

ამხანაგ გოგოებს გააცნო დედა. ჩიქილა აღარ ეხურა ლელას. გაუკვირდა, რამოდენა ჭადრა გამორევიაო თმებში.

რამდენიმე ნაბიჯით გაჰყვა დედას.

– რამდენი ვეხვეწე და მაინც წამოიღესო, – ჩამოცრემლა ქალმა.

– ბრიგადირმა რაო?

– დადიოდა და სუ იმას იძახოდა: ოთხი მანეთი და თორმეტი კაპიკიო, ეგაო, ძველი თავჯდომარის ამბავი იყოო. ავადობა არ გამაგონოთო. ხომ გაგიკეთებიათ თივებო, წაუღებლობა არ იქნებაო. შენ ნუ წამოხვალ, შვილო, შავეხვეწები დამამზადებელს, ნუ მომატყუებ-მეთქი, ხელზე გაზრდილი საქონელია, რა ვიცი, პირველში როგორ არ მიიღებს.

მოდიოდა ლელა და მოჰყვებოდნენ ძროხები. ზოგი აქედან ულოკავდა ხელს, ზოგი იქედან.

კარგა გზა გაევლოთ სტუმარ გოგოებს. გზისპირზე ლოდისქვეშ ამოდებული გახუნებული ჩიქილა შეამჩნია კვირაიმ. დედის ჩიქილა იცნო. შერცხვენოდა მოხუცს ამ ჩიქილით სტუმრების შეხვედრა.

გაახსენდა კვირაის თავისი სიტყვა:

– ამოვალ თბილისიდან და ამოგიტან ახალს.

უკვე შორს მიდიოდა ლელა. საქონელი მისდევდა უკან.

დედის ჩიქილა ცივ მიწაზე გაშალა და რატომღაც ვეღარ გაარჩია, რომელი უფრო გახუნებული იყო, შემოდგომის მიწა თუ...

გული ამოუჯდა და გაშლილ ჩიქილაზე დაემხო პირქვე. იგრძნო, რომ ძალიან მძიმე იყო მიწა. არა, ლელა აღარ ჩანდა, მაგრამ რატომღაც მოეჩვენა, რომ შორეულ გზაზე მიდიოდა, გვერდზე შვილებივით გაზრდილი საქონელი მოჰყვებოდა და ხელებს ულოკავდნენ. მერე, ვითომ დამამზადებელს ეხვეწებოდა: – ხელზე მყვანანო გაზრდილნი. სწონიდა დამამზადებელ საქონელს და სხვებთან ერთად ამწყვდევდა შემოღობილში. ლელას შვილისაკენ მიეჩქარებოდა, მაგრამ ლობეს აწყდებოდნენ ძროხები და გამოჰბლაოდნენ... ღაპაღუპით მოსდიოდა ლელას ცრემლები და ეხლავდა,



დედის გახუნებულ ჩიქილაზე დამხობილმადა, იგრძნო კვირიამ, რომ თურმე დედამისის ცრემლები ამძიმებდნენ მიწას.

შემოდგომა იყო, გადახუნებული მიწა თეთრი ჩიქილის დახურვას აპირებდა.

## თამარ დედოფალი

გთხოვთ, ნუ მოსძებნით თამარის საფლავს, იგი დამბადებელმა ხელში აიყვანა და მზის სხივად აქცია...

მანამდე კი შეიძლება იმიტომ მოავლინა განგებამ დედოფლად, რომ ჩვენს დედებს და დებს თუნდაც ერთხელ მაინც, თუნდაც ერთი წუთით, ბაღლობაში "დედოფლობანას" თამაშით გატაცებულებს, ან ქალიშვილობის ჟამს, ოცნებაში, ან ჯვრისწერის დროს, როცა ღვთისა და ერის წინაშე მართლა დედოფალი გქვია, სულ ცოტა ხნით მაინც წარმოედგინათ თავი თამარ დედოფლად, თორემ სინამდვილეში საწამებლად გაუჩენია ქალი მაღალ ღმერთს ამ ქვეყანაზე. ჩაივლის ბავშვობა, ცასა და მიწას შორის უგზო-უკვლოდ გაქრება ქალიშვილობის ოცნება, მორჩება ჯვრისწერა და ეკლესიიდან გამოსულს დაგადგამენ მძიმე უღელს, რომელზეც ჯაჭვით გამობმულია რკინის გუთანის, ჩაგაყენებენ ცხოვრების კვალში და ამის მერე უნდა ხნა, უნდა აბრუნო შავი მიწა, სანამ იმავე მიწად არ მოგაქცევს წუთისოფელი. ხოლო უღელსა და გუთანს შორის მჭიდროდ ჩაბმული ჯაჭვი უცვეთია და უწყვეტელი...

თამარ დედოფალი ერის სულშია განფენილი და ცაზე ბრწყინავს, ხოლო ფეფო პატარა გლეხის გოგოა; გუშინ ბატონები შეეყარა და ლოგინში წევს. მიწური სახლის ბორწნელში დატანებული პატარა სარკმლიდან მკრთალად შემოდის დღის სინათლე. ფეფოს დედა კერასთან ტრიალებს და ავადმყოფი შვილისათვის მჭადს აცხობს, ოთახში სიმინდის ფქვილის სასიამოვნო სურნელი ტრიალებს. "ბატონებს" მხიარულება უყვარს და ამიტომ ფეფოს დედას საგანგებოდ სამხიარულო განწყობა მიუცია სახლისათვის, აქა-იქ თიხის ქოთნებში ველური ყვავილების თაიგულები მოჩანს. თვითონ ქალსაც, თუმცა შავად აცვია, მაინც ფეფოს ბრძანებით თავზე ყვითელი ყვავილების გვირგვინი ადგას, ფეფო და მისი საწოლი მთლად ყვავილებითაა მორთული. გოგონას ქერა ნაწნავები ბოლოებში გაუშლია და ოქროსფრად ეღვრება ბალიშს. თავზე ადევს ყვავილების გვირგვინი, ტანზე ჩაუცვამს დედამისის ნაქონი "სადედოფლო" კაბა, მკერდზე ჰკიდია თუკი რამ სახლში მძივები გააჩნდათ, თითებზეც უკეთია ყვავილებისაგან დაწნული ბეჭდები. ფეფოს სიცხე აქვს და ხანდახან აბოდებს, მაგრამ დროდადრო სიცხე გაუშვებს, გოგონა ბალიშზე წამოიწევს და ბრძანებებს იძლევა – დილას აქეთ "თამარ დედოფალია" ჩვენი პატარა ფეფო. დროდადრო კარს მეზობლები შემოადებენ და ბატონების შიშით მხიარულად იკითხავენ: – როგორ ბრძანდება ფეფო?

– ფეფო კი არა, თამარ დედოფალი ვარ! – ბრაზობს ფეფო.  
– უი, რა წამომცდა, მაპატიე, თამარ ქალო, მაპატიე! – ბოდის იხდის მეზობელი და, როგორც დედოფალს შეეფერება ყმისაგან, ისე მოიყრის მუხლს ფეფოს საწოლთან:  
– ხომ მშვიდობით ბრძანდებით, დედოფალო?  
– დიახ, მშვიდობით ვბრძანდები! – ყელს იღერებს ფეფო.  
– ხომ არ ინებებთ რამეს?  
– სამშვილდის ტყიდან იების თაიგული მომართვით! – ბრძანებს ფეფო.  
– სიამოვნებით, დედოფალო! – ამბობს მეზობელი, ფეფოს მდაბლად უკრავს თავს და ოთახიდან ფეხაკრეფით გადის.

ფეფოს დედა ბატონებს უმღერის.

ქოთანში ლობიო თუხთუხებს.

გახურებულ კეცზე დაკრულ მჭადს წითლად ებრაწება გვერდები.

სამშვილდის ტყიდან მობრუნებულ მეზობელს იების თაიგული შემოაქვს და ოთახი ახლა იის სურნელით ივსება.

მთელი დღე ფეხაკრეფით მიმოდინა "მოსამსახურეები".

წევს პატარა ფეფო ყვავილებით მორთულ-მოკაზმული, დედოფლის როლში მთლად შეჭრილი და აზრადაც არ მოსდის, რომ ეს დღე ულამაზესი დღეა მის ცხოვრებაში, იმ უკუღმართ ცხოვრებაში, რომელსაც ბედი უმზადებს შემდგომში. რაღა თქმა უნდა, ფეფო ახლა ვერ წარმოიდგენს, რომ სულ რაღაც ერთ კვირაში დამთავრდება "თამარ დედოფლობა", ისევ ძონძებით შემოსავენ ფეფოს, მეზობელი იების თაიგულის ნაცვლად ერთხელაც ტალახს ესვრის, რომ დროზე გაიქცეს და ყანაში შესული ძროხები გამორეკოს, მერე კი ათასჯერ ჩაესმის ყურში დედის ძახილი: ფეფო, სად დაიკარგე, შე საშავეთოვ, შენა, ჰა?!  
გაიზრდება ფეფო, სიყვარულით არა, ისე მიათხოვებენ გაღმასოფლელ ახიელს, უშნოს, სუმუდამ თავბედჩამომტირალს, ლხინშიაც და ჭირშიაც, რომ ვერ გაუგებ, როდის რა უხარია. თითქოს მოეკიდებიან კიდევ ცხოვრებას, თხუთმეტი წელიწადი დღე-ღამეს ასწორებს ფეფო, რომ კაპიკი კაპიკს მიუმატოს, რათა იმ ფულით სახლი აიშენონ და როგორმე გამოასწრონ ამ ჩამოსაქცევად გამზადებულ ხუხულას. ერთხელაც მეზობლის ქორწილში წავლენ, შეგროვილ ფულს შინ არ დატოვებენ ქურდების შიშით. რაკი ფეფოს ჯიბე არა აქვს, ახიელი იღებს გულის ჯიბეში ფულს.

იწყება ქორწილი.  
დოლი და გარმონი ეშხში შედის.  
ქალები ცალკე სხედან, კაცები – ცალკე.  
დაიწყო "შაბაშობა". აჭყივლდა გარმონი და აჰყვა დოლი.  
ჯერ ახალგაზრდებმა წამოიწყეს ცეკვა, მერე ხანშიშესულებიც აჰყვნენ.

სხვა დროს რო სულ თავჩაღუნული დადიოდა, ახლა გადაირია სასმელმორეული ახიელი. გადავიდა სათამაშო წრეში, გაიხსნა გულის ჯიბე და სულ თუმნიანები

ურტყა შუბლში მედოლ\_ მეგარმონეს. რომ აღარ გაჩერდა, იმის ბალები გაიქცნენ და დედას შესჩივლეს, მამა ცეკვავსო.

აღარც სირცხვილი, აღარც ხალხის წინ რიდი, \_ ეცა ფეფო საცეკვაოში ახიელს და ჩაებლაუჭა ხელებზე. ახიელმა იწყინა და ფეხებქვეშ გაიგდო ფეფო.

\_ ახია, ქმრის საქმეში რომ ქალი ჩაერევა, ეგრე მოუხდება! \_ ასე ამტყუნებდა ხალხი ფეფოს, რომელიც ძლივს გამობობლდა საცეკვაო წრიდან.

ახიელი მთელი ღამე ცეკვავდა.

მთელი ღამე ჭყვიტინებდა დოლ\_ გარმონი.

ორი კვირის მერე ხუხულა ჩამოენგრევა ფეფოს და მის ოჯახს...

მერე წავა წლები, დაქვრივდება ფეფო; თავის გზას დაადგებიან შვილები, ბიჭები ომში წავლენ და უკან აღარ მოვლენ, ქალიშვილი შორს გათხოვდება. დარჩება ფეფო მარტოკა.

აირევა ქვეყანა.

ისედაც ბინდისფერი სოფელი კიდევ უფრო გაბინდისფრდება.

ფეფოს ჯანი წაერთმის, მუხლებში სიბერე ჩაუდგება და რაკი ქვრივ-ობოლს აღარავინ გაუმართავს ხელს, ფეფო თვითონ ძლივს თიბავს საზამთროდ ბალახს. ის კი არა, მეზობელი, რომელსაც სათიბი ფეფოს მოსაზღვრედ აქვს, ღამღამობით ფეფოს სათიბში აბამს თავის ცხენს. ბალახი ითელება და ღონეწართმეულ ქალს უჭირს ჩაწოლილი ბალახის თიბვა. მეზობელი იფიცება: ჩემს სათიბში დავაბი და აშვებულაო, თუმცა ფეფო ხედავს, რომ ცხენის პატრონის სათიბში მარსლიც არ არის წაქცეული.

ერთხელ...

ორჯერ...

სამჯერ...

და ერთხელაც, როცა ფეფომ ვეღარ შეძლო ცხენისაგან გათელილი ბალახის გამოთიბვა, უღონოდ გადააგდო ცელი, გადავიდა ცხენის პატრონის სათიბში, დაწვა, ცხენივით დაიწყო ჭიხვინი და ცრემლმორეული გაგორდა და გამოგორდა.

მზიანი, ცხელი დღე იყო.

მოხუცი მიგორავდა და სთელავდა აბიბინებულ სათიბს.

უცებ შედგა, თავი წამოსწია და მიაშტერდა მოცისფრო ყვავილს, რომელსაც აქაურები "თამარის თვალებს" ეძახიან, თავბრუ ეხვეოდა და ირგვლივ ყველაფერი ტრიალებდა. მარტო ამ ერთ ყვავილს ხედავდა გამოკვეთილად მოხუცის თვალები.

ეს ყვავილი გაახსენებს დედაბერს ბავშვობას, გაახსენდება, რომ თვითონაც იყო ერთხელ "თამარ დედოფალი", რაღაც ღვთაებრივი შუქით გაუნათდება სახე და თითქოს თავის თავს საყვედურობსო, იტყვის:

\_ აი, შე ჯანდამწვარო, ჩემო ქალობავ!

წამოდგება, გაასწორებს მეზობლის სათიბში მოთელილ ბალახს, მძიმედ, ბებრული უღონო მოძრაობით დაიხრება, ცელს მხარზე გაიდებს და ასევე მძიმედ, წელში მოხრილი გაუყვება სოფლისაკენ მიმავალ აღმართს.

მაგრამ ეს ყველაფერი მერე იქნება, ჯერ კი "ბატონები" ბატონობენ, პატარა ფეფო ყვავილებით მორთულ ლოგინში წევს. დედამისი კეცზე შეწითლებულ მჭადებს ატრიალებს, სახლის კარი ნელა იღება, შემოდის მეზობელი, საწოლთან მუხლს მოიდრეკს და იტყვის:

– ხომ მშვიდობით ბრძანდებით, დედოფალო?

.....

– ღმერთმა მშვიდობა ნუ მოგიშალოს, წამკითხველო!

### ველური ყვავილების თაიგული

შემოდგომამ ყვითელი ფერხულით ჩაიარა გუდამაყრის ხეობაში.

ჩამოთოვა. ჩამოთეთრდა საჯიხვეები. მერე უფრო ქვემოთ ჩამოიწია თოვლმა. აცივდა. დღე დამოკლდა. გუდამაყრელებმა საშემოდგომო საქმეები მოითავეს და ახლომოსულ თოვლზე ნადირის კვალს გაჰყვნენ. ასეთ დროს ადვილია ნადირის მიგნება.

მწარია მექობაური დათვის კვალს წაწყდა. კვალი ძველი იყო და აღმა მიდიოდა, დეკიანებისკენ.

«ეტყობა დასაძინებლად წავიდა» – გაიფიქრა მწარიამ. ზემო ტყეში დიდი გამოქვაბული იცოდა. კვალი იქვე მიდიოდა.

დათვის ეტყობა უკვე ეძინა. გამოქვაბულის შესასვლელთან იკარგებოდა კვალი. შიგნით ბნელოდა. მწარიამ ამ შესასვლელში თივას მოუკიდა ცეცხლი და სიბნელეში კარგად გამოჩნდა მძინარე დათვი. მწარიამ თოფის კონდახი წაართყა. დათვი არ განძრეულა. მერე ტყვია ჩადო თოფში და დიდხანს ფიქრობდა:

«ცოდოა, მძინარეს ხომ არ მოვკლავ».

«არა და გაზაფხულამდე არც გაიღვიძებს».

მერე წავა და ან შევხვდები, ან არა».

დაუმიზნა. ისევ შეეცოდა და დაუშვა თოფი. სახლში წამოვიდა. ხარები შეაბა მარხილში და ტყის ქვემოთ ბალღი დაუყენა, რომ ხარები არ წასულიყვნენ. თვითონ გამოქვაბულთან ავიდა, თხილის ხეებისაგან სათარი შეკრა და შიგ თივა ჩააგორბილად. გამოქვაბულში შევიდა, დათვის ყურებში ჩაავლო ორივე ხელი და ძილბურანში მყოფი გარეთ გამოათრია. დათვმა ოდნავ გაახილა ერთი თვალი და ისევ ძილს მიეცა. მწარიამ სათარზე დადო და დაითრია.

ძლივს დადო მარხილზე. ხარები ფრთხეზოდნენ. ბალღიც გან-გან დგებოდა.

გზაზე ისევ ფრთხეზოდნენ ხარები. მწარიამ წინ მიუძღვებოდა ხარმარხილს, ბალღი კი კარგა მოშორებით მიჰყვებოდა უკან.

სოფელში ჟრიამულით გამოცვივდა ხალხი.

\_ საით მაიყვანე, ჩემო მწარიავ!

\_ მართლა ცოცხალია?

ეკითხებოდნენ ცნობისმოყვარე დედაკაცები მწარიას და ისინიც განზე იდგნენ, ახლოს ვერ ეკარებოდნენ.

\_ სძინავს, \_ თქვა მწარიამ და ხარ-მარხილი თივით გამოვსილ კალოში შეიყვანა. იქ თივის ლოგინი მოუწყო მძინარე დათვს და შიგ ჩააწვინა.

დედაკაცები კალოს შემოსასვლელიდან უყურებენ დათვს და სწყევლიან:

\_ აი, ეგ ამოსაწყვეტი და ეგ კლდეზე გადმოსავარდნი. მაგან ამაგდო აქაობა და მაგან არ მოჰკიდა ჩვენ წყემსებს თოლებში ძილი.

\_ მაგან შაჰამა ჩვენი მტრედანაი.

\_ მაგან დაგვიშალა საგულეებელში თივები.

\_ დაკა თოფი და მათორე! \_ მოიხოვეს დედაკაცებმა.

\_ გეყოფათ! \_ ხმა ჩააწყვეტინა მწარიამ ქალებს და კალოს კარები გადმოკეტა.

\_ კი, მაგრამ, რას აპირებ? \_ ჰკითხა მწარიას შემფოთებულმა ცოლმა.

\_ რას უნდა ვაპირებდე?

\_ არ მოჰკლავ?!

\_ დაძინებულს ხომ არ მოვკლავ, ცოდვაა.

\_ გააღვიძე.

\_ არ გაიღვიძებს გაზაფხულამდე.

\_ შენ რომ სახლში არ იქნები მაშინ რომ გაიღვიძოს და ბალებს რამე დაუშავოს ან საქონელს, მერე? მერე რას შვრები?

\_ დაახლოებით ვიცი რომელ დღეს გაიღვიძებს, \_ თქვა მწარიამ თავმომწონედ. მერე კალოში შევიდა და ნაბადი დააფარა ზემოდან დათვს.

დათვი ამ დროს გრძელ სიზმარში იყო \_ თავლით სავსე სკა მიჰქონდა თავისი ბუნაგისაკენ, მაგრამ გზა აღარ თავდებოდა. დათვს გზის სიშორეც სიამოვნებას ჰგვრიდა და ილიმებოდა. მწარიამაც შეამჩნია რომ ილიმებოდა.

\_ მართლა არ მოჰკლავ? \_ კითხულობდნენ მეზობლები.

\_ სძინავს, როგორ მოვკლა.

\_ ოო, ჩემო მწარიავ!

\_ შენ თუ გენანება, მე ვესვრი, \_ თავისი თოფი გაამზადა ჯღუნამ, მაგრამ მწარიამ იწყინა:

\_ ჩემ დათვთან რა ხელი გაქვს.

\_ შენი საიდანლა არის?

\_ ჯერ-ჯერობით ჩემია. მე მოვიყვანე, ჩემს კალოში სძინავს და სხვა თუ არაფერი სტუმარი ხო მაინც არის ჩემი. ჰოდა არავის ნება არა გაქვთ, ესროლოთ.

\_ რომ გაიღვიძოს და დაგვერიოს, დაგვიწიოკოს ე დედაკაცები, მერე?

\_ როცა გაიღვიძებს, მე თვითონ ვესვრი, \_ თქვა მწარიამ.

ჯღუნაი ნაწყენი გაბრუნდა და ჰაერშილა ისროლა თოფი.

თოფის ხმაზე ოდნავ შეკრთა დათვი, მაგრამ არ გაუღვიძია.

მწარის ცოლიც მიეჩვია დათვს და ახლა აღარც ის სთხოვდა ქმარს მძინარესთვის ესროლა თოფი. მეზობლები კი მოსვენებას არ აძლევდნენ. ჯღუნაი უმძრახად დაადგა მწარისას.

დათვი იწვა და დროდადრო თითებს ილოკავდა. ხანდხან ზანტად გაახელდა თვალეზს და მერე ისევ მიიძინებდა.

რამდენჯერმე, როცა თვალეზი გაახილა, დაინახა მწარიაი და მისი ცოლი, მაგრამ აზრზე ვერ მოვიდა, სიზმარი ეგონა.

ერთ მზიან დღეს, ოდნავ გაახილა მარჯვენა თვალი და დაინახა, მწარიაი და მისი ცოლი, მაგრამ აზრზე ვერ მოვიდა, სიზმარი ეგონა.

ერთ მზიან დღეს, ოდნავ გაახილა მარჯვენა თვალი და დაინახა, რომ მწარიაი თავის ცოლს ეალერსებოდა თივაზე. ქალი წინამდებობას უწევდა ქმარს:

\_ მაიცა, შე არსახეირებო, დაგვინახავს ვინმე, სირცხვილია! \_ ბრაზობდა ქალი.

\_ ვინ დაგვინახავს, არავინ არ არის, \_ ამშვიდებდა მწარიაი და თავისკენ იზიდავდა ქალს.

\_ დათვისა მაინც არა გრცხვენია? \_ თქვა ქალმა.

მწარიამ დათვს მიხედა. მას მართლა გახელილი ჰქონდა მარჯვენა თვალი და ისევ ვერ გაერკვია, სად იყო, რა ხდებოდა მის ირგვლივ.

ქალმაც დაინახა დათვის გახელილი თვალი და შემკრთალმა საკინძე შეიკრა უცებ.

დათვმა ზანტად დახუჭა თვალი და ისევ ძილს მისცა თავი.

მწარიამ ისევ გააგრძელა ალერსი.

დათვი იწვა და ლამაზ სიზმარს ხედავდა: ვითომ მწარისა მაგივრად თვითონ ეალერსებოდა იმ ლამაზ ქალს. ქალი უარობდა, დაგვინახავენო, დათვი ამშვიდებდა, ვერ დაგვინახავენო. ქალი შფოთავდა, მისი მკლავის სიმსხო ხორბლისფერი ნაწნავები ყელზე ეხვეოდა დათვს.

აღარ სრულდებოდა სიზმარი. დათვს დახუჭული თვალეზი ჰქონდა და შიგ ხატივით ესვენა მწარისაის ცოლის სახე...

და დათვი ოდნავ იღიმებოდა. მწარიაი ხშირად ამჩნევდა ამ ღიმილს.

ზამთარი ილეოდა, ხევებში უზარმაზარი ზვავები გუგუნებდნენ. იღვიძებდა დედა ბუნება. დათვს კი ჯერ ისევ ეძინა და მეხსიერებაში ჩარჩენილ ქალის სახეს ვერ იმორებდა.

\_ მოკალი, დროა უკვე! \_ შეახსენეს მეზობლებმა მწარისას.

\_ სადაცაა გაიღვიძებს და, \_ თქვა მწარიამ. მერე თოფი გაპოხა. ჟაკნები გაამზადა.

\_ დასუსტებულია, მაგას ერთი ტყვიაც ეყოფა, \_ თქვა მწარისა ცოლმა.

ჯღუნაი ნერვიულად გადი-გამოდიოდა და ჰაერში ისროდა თოფს.

მზემ დააცხუნა და თოვლი წყლად წავიდა. მზორებში ენძელები და იები ამოზიზინდა. ნაკადულებმა გაიღვიძეს. წყლის ყვავილებმა იწყეს მოსვლა.

იმ დღეს ფასანაურში წავიდა მწარიაი და ცოლს დაავალა:

– დათვზე გეჭიროს თოლი, არავინ დათოფოს.

ქალმა რამდენჯერმე შეავლო დათვს თვალი.

დათვმა გაიღვიძა და ქალს მოჰკრა თვალი, რატომღაც ისე ბედნიერად გაეღიმა, ქალმა შეამჩნია და გარეთ გაიქცა.

დათვი ინსტიქტით მიხვდა სადაც იყო. მიხვდა რომ აქ მისი ადგილი არ არის და ქალიც გარბის. წამოხტა, ქალს წინა თათები მოხვია და მთისაკენ გაიქცა.

სოფელში ვერავინ გაიგო ეს ამბავი.

სალამოს პირი იყო. დათვი უკანასკნელ ძალას იკრებდა და გაარბოლებდა შემინებულ ქალს. ასე ირბინა თავის ბუნაგამდე.

აფეთქებული გაზაფხული იყო.

დათვი გარშემო უვლიდა შიმისგან აკანკალებულ ქალს და ეალერსებოდა. ხანდახან მწარიას ბაძავდა და ისიც წელზე შემოხვევდა მკლავს, ლოყაზე ენას აუსმევდა. მერე კალთაში ჩაუდო თავი და ტკბილად ჩაეძინა.

ძილში ისევ იმ ლამაზ სიზმარს ხედავდა. ეჩვენებოდა რომ აყვავებულ დეკიანში გარბიან ისა და ქალი. მერე მთაზე დგანან. დათვი ისე ეფერება, როგორც მწარიაი ეფერებოდა. ქალი უარობს – დაგვინახავენო. დათვი ამშვიდებს – არავინ არ არის, ვერ დაგვინახავენო. მთვარე დაგვინახავსო, – ეუბნება ქალი და გორისპირ ამომავალ გაბადრულ მთვარეზე აჩვენებს. დათვი ბრაზობს მთვარეზე. მთვარე მაინც ამოდის...

მთვარე მართლა ამოდის და ქალი ნება-ნება იცილებს კალთიდან დათვის თავს. დათვს სძინავს... და ვინ იცის როგორღა ეალერსება ძილში საყვარელ არსებას.

მწარიას ცოლი აკანკალებული მირბის. სოფლის ახლო-მახლო კვილი შემოესმა – მას ეძახდნენ.

მწარიაი გვიან ღამით დაბრუნდა. იმ ღამეს ქალს თვალი არ მოუხუჭავს.

მეორე დილით, დაფეთებული შემოვარდა მწარიაი სახლში, ჩამოხსნა თოფი და გარეთ გავარდა. ქალი მიხვდა რაღაცას და შემინებული კუთხეში მიიყუჭა.

ფანჯრიდან ჩანდა – მათი სახლის წინ დათვი იდგა უკანა ფეხებზე, წინა თათებში უზარმაზარი ველური ყვავილების თაიგული ეჭირა გულზე მაგრად მიხუტებული და სახლისაკენ ნაღვლიანად იყურებოდა.

დაიგრილა თოფმა და ქალმა დაინახა დათვი ადგილზე შექანდა, შეტორტმანდა და ნება-ნება დაეშვა მიწისაკენ, ოღონდ ისე, რომ ველური ყვავილების თაიგული არ გაუშვია, უფრო მაგრად ჩაიხვია გულზე თათებით და ყრუ ხმაურით დაეცა მიწაზე.

ძლივს ააგლიჯეს ყვავილები.

დიდი ხნის მერე, სიბერეში, მწარიას ცოლს რატომღაც სინანულით გაახსენდა, რომ იმ ველური თაიგულის გარდა, მისთვის ყვავილები არასოდეს არავის არ უჩუქებია.

თუკი რამ კარგი და ლამაზი მახსოვს, ბავშვობიდან მახსოვს.

გუგულიც იქიდან მახსოვს, იქიდან გამომძახის.

– გუგუ!

– გუგუ!

და თითქოს იყო და არა იყო რა. ბავშვობაზე უკეთესი რა იქნებოდა, იყო ლამაზი ვარსკვლავებით მოჭედილი ცა. გორის იქეთიდან მხოლოდ ყურის წვერი ამოეყო მთვარეს და ეგრე ჩუმად, ფეხაკრებით შემოდის ხეობაში.

იყო ლამაზი გათენება. ჯერ ამოსულიც კი არ იყო მზე, რომ იმისი სხივები ძილს აღარ მანებებდნენ. «დილით ამდგარსა ყმაწვილსა ღმერთი უმზადებს სადილსა», ჩამჩურჩულებდა დედაჩემი ყურში და «აბა, მზეს თუ დაასწრებ ადგომასო», წამოვხტებოდი და მზეს ვეჯიბრებოდი.

იყო ყვითელი შემოდგომა და შემოდგომაზე ფრინველების წასვლით დარჩენილი სევდა. ჯერ მერცხლებს გამოვიგლოვებდით მე და ჩემი თანატოლები, მერცხლებს მიჰყვებოდნენ ტოროლები, გულყვითელები, ბოლო-ცეცხლები, გუთნის ჩიტები და სხვანი და სხვანი<sup>7</sup> მიფრინავდნენ გუნდ-გუნდად, თავის ბარტყებთან ერთად, იმ ბარტყებთან, ჩვენ რომ თითქმის ყველას ვიცნობდით, თითქმის ჩვენს ხელში დაიზარდნენ, მიფრინავდნენ და მაშინ ჩვენთვის აუხსნელ სევდას გვიტოვებდნენ. ტყეებში მარტო ჩხიკვები და შაშვები რჩებოდნენ. სოფლის ახლომახლო ყვავი დაყრანტალებდა და ამით ამცნობდა დანარჩენ ყვავებს, რომ ხის კენწეროზე შემორჩენილი მწიფე მსხალი იპოვა და ამიტომ მაგარი, ყოჩალი ყვავია.

დღითიდღე იცრიცებოდა, იძარცვებოდა შემოდგომა. კვირაში ერთხელ არწივი ჩამოიფრენდა ხეობაში, მიდამოს თვალს გადაავლებდა, შეამოწმებდა, ფრთოსნებიდან რომელიმე ხომ არ დარჩა თბილ ქვეყანაში წამსვლელი და რომ დარწმუნდებოდა, ისევ ჭიუხებისკენ წავიდოდა ყვეფით. ერთი ორჯერ თუ შეატყლაშუნებდა ფრთებს, მეტად არა.

დღეები თანდათან მსუბუქდებოდა, გამსუბუქებული დედამიწა თითქოს ზეცისკენ მიიწევდა. ცასა და მიწას ერთი ფერი დაედებოდა, ახლა ვხვდები, რომ ეს ფერი გარდაცვალების ფერი იყო, მტკნარი და მიტკალივით თეთრი.

და ამის მერე იყო ზამთარი. თოვლის ფიფქები მოდიოდნენ. ზეცის ყვავილობა გეგონებოდა. ყველაფერი თოვლის საბურველში გაეხვეოდა, და არაფერი არ უხდებოდა ბავშვობას ისე, როგორც ზამთარი. ციგაობა, თოვლის კაცების აშენება, გრძელი ზღაპრებით სავსე ღამეები და... ყოველთვის, ეს რომ მოგვწყინდებოდა, სწორედ მაშინ მოვიდოდა გაზაფხული. შეეშინდებოდა ზამთარს, დანაწილდებოდა ნაკადულებად, ზვავებად და გარბოდა, მიწაში იმალებოდა. ზეციდან მოსული იყო, მაგრამ მიწაში იმალებოდა. მიწიდან კი გაზაფხული ამოდიოდა – ენძელებად, იებად, ყოჩივარდებად, თეთრად აფეთქებულ ტყემლებად, კლდის ფხაზე ამოშვერილ



პირიმზედ, ჩრდილში მოსულ გვირილად და ისევ და ისევ ბავშვების ჟრიამულად. და ისევ, თითქოს იყო და არა იყო რა, იყო ლამაზი გაზაფხული ნაირ-ნაირი პეპლებით სავსე. დავდევდით პეპლებს და როგორმე რომ დაგვეჭირა, ვატყუებდით: «დაჯე, დაჯე, პეპელაო, თორემ დედა მოგიკვდება». პეპლებს, რა თქმა უნდა, დედის სიკვდილის ეშინოდათ და სხდებოდნენ.

გაიხსნებოდა გზები, დაიწყებოდა მგზავრების მიმოსვლა. გაზაფხულობით ჩამოივლიდა ხოლმე მღვდელი, შეკრებდნენ ერთ სახლში იმ წელს დაბადებულ ბალებს. იყო ერთი სიცილ-კისკისი და ბალების ჩხავილი. მერე მღვდელი წიგნს გადაშლიდა და კითხულობდა. ბევრს ვერაფერს ვგებულობდით, მაგრამ ერთი რამ ძალიან გვაკვირვებდა – «გიყვარდეს მტერი შენი»...

რატომ?

რატომ უნდა გყვარებოდა მტერი?!

ვერა, ვერ ვგებულობდით.

ხეობა კი თანდათან ივსებოდა გუთნის ჩიტებით, კოდალებით და ბოლოცეცხლებით. ხეობა სავსე იყო ფრინველთა გალობით და ერთ დღესაც ამ გალობაში გაისმებოდა:

– გუგუ!

– გუგუ!

ეს ხმა ყველაზე მეტად გაგვახარებდა. რატომღაც გვეგონა, რომ გუგულს მოჰყავდა გაზაფხული.

– გუგულო, რამდენი წლისა ვარ? – გავმახებდით გუგულს და ისიც, რა თქმა უნდა, იმდენჯერ დაიძახებდა «გუგუს», რამდენი წლისაც ვიყავით. მერე დედები გულებს მოგვკვიდებდნენ და გაგვაგზავნიდნენ წიფლიან ტყეში. ჩვენ მთელი დღე ჩასაფრებული ვყავდით გუგულს, რომ თუ რომელიმე ხეზე შემოჯდებოდა, იმ ხისთვის სამჯერ უნდა შემოგვერბინა ძახილით:

– გუგულო, ღალა მოგპარე!

– გუგულო, ღალა მოგპარე!

– გუგულო, ღალა მოგპარე!

თუ ამას მოვახერხებდით, გვჯეროდა, რომ იმ წელს ბარაქიანი მოსავალი გვექნებოდა. გუგულებს კი, თითქოს ეს არ უნდოდათ, მაშინვე გაფრინდებოდნენ იმ ხიდან, რომელსაც გარშემო ვურბენდით. ახლა სხვა ხეზე შემოჯდებოდნენ და ჩვენც იმ ხეს მივეპარებოდით. ამასობაში შევამჩნიეთ, რომ გუგულს ყოველ დღე სამი ნიბლია ჩიტი დასდევდა თან. ჭრელფრთიანები იყვნენ, პატარა, წვრილი ნისკარტები ჰქონდათ. თავზე ისეთი ბუმბულით იყვნენ შემოსილი, თითქოს გუგულის დიასახლისები იყვნენ და თავზე კოპლებიანი თავსახურავები ეხურათ. მერე ისიც შევამჩნიეთ, რომ დილით სამი ასეთი ჩიტი დაჰყვებოდა გუგულს, შუადღისას – ორი, საღამოს კი – ერთი. გაფრინდებოდა გუგული და ისინიც უკან გაჰყვებოდნენ. მე ეჭვი

არ მეპარებოდა, რომ ეს პატარა ჩიტები გუგულის დიასახლისები იყვნენ და ერთხელ გუგულის დევნით დაღლილ-დაქანცულმა მღვდელს ვკითხე:

– გუგულს თუკი ჰყავს დიასახლისები, რატომ სხვა ფრინველებს არა ჰყავთ?

– რა დიასახლისები?! – გაუკვირდა მღვდელს.

– აი, სამი პატარა ჩიტი რომ დაჰყვება თან.

– ეგენი დიასახლისები კი არა, გუგულს ყოველდღე სამი ეგეთი ჩიტი უბოძა საზრდოდ ღმერთმა. ერთს დილით სჭამს, მეორეს შუადღისას და მესამეს საღამოს. ერთ ჩიტს მარტი ჰქვია, მეორეს – აპრილი, მესამეს – მაისი, მითხრა მღვდელმა.

იმ დღის მერე გადავემტერეთ გუგულს. მთელი სოფლის ბაღლები ისე აგვაფორიაქა გუგულის საქციელმა, რომ ერთ დღეს «შევიარაღდით» და გუგულის მოსაკლავად წავედით.

გუგული მუხაზე იჯდა და ხეობას გასძახოდა. მოვმართეთ შურდულები და დავუშინეთ ქვები. გუგული გაფრინდა და ჩიტებიც თან გაჰყვნენ. ორნიღა იყვნენ, ეტყობა, ერთი უკვე შეჭამა. გამოვედევნეთ უკან და აღარ მივეციტ მოსვენება. შუადღემდე მუხლი არ ჩაგვიხრია. ცოტა ხნით სადღაც დაგვეკარგა და, ხელახლა რომ ვიპოვეთ, ერთი ჩიტიღა დასდევდა თან. როგორც იქნა მოხვდა ქვა. წიფლიდან ჩამოვარდა, პატარა ჩიტიც თან ჩამოჰყვა, მერე ისევ გაგვიფრინდა. ეტყობა ფრთა ჰქონდა მოტეხილი. ნიბლია ჩიტიც თან მიჰყვებოდა. გუგული ღვიის ბუჩქებში ჩაეშვა და კარგა ხანს ვეღარ ვიპოვეთ, როცა მივაგენით, სანახაობამ ერთად შეგვაყენა და ნაბიჯი ვეღარ წავდგით – ღვიის ძირში გუგული ეგდო და სულს ღაფავდა. მოტეხილ ჭროლა ფრთაზე წითლად ჰქონდა სისხლი შემხმარი. იქვე, ღვიის ტოტზე მობუზული იჯდა ნიბლია ჩიტი და თავის ტოლა ცრემლები ჩამოსდიოდა თვალებიდან. ჩვენს დანახვაზე არც კი ცდილა, რომ გაფრენილიყო. ამ სანახაობამ ისე დაგვწყვიტა გული, რომ იქვე პატარა საფლავი გავთხარეთ და ჩვენ, ბავშვებმა, პირველად, ჩვენი სიცოცხლის მანძილზე, გუგული დავმარხეთ.

ნიბლია ჩიტი კარგა ხანს იჯდა თვალცრემლიანი ღვიის ტოტზე, მერე კი, თითქოს რაღაც გაახსენდა, უცებ დაიწრიპინა, თავსაფრიანი თავი ჰაერში გააქნია, სუსტი ფრთები გაშალა და საღამოს ბინდბუნდს შეერია.

ახლა, რამდენჯერაც გაზაფხული მოვა, ყოველთვის ის გუგული მახსენდება და მაშინ ნანახზე რატომღაც ახლა ვფიქრობ და ვერ გამიგია, რატომ ტიროდა ეს პატარა ნიბლია ჩიტი. მაისი კი იქ, ჩემს ბავშვობაშიც, წვიმიანი იცოდა.

### დევების ნასოფლარი

ნასოფლარი ბევრი მინახავს, განსაკუთრებით მთაში. დავმჯდარვარ რომელიმე სახლის ჩამოტეხილ თავიხეზე და სიჩუმისათვის მომისმენია.

თითქოს მღერის მიტოვებული სახლი. არ ემღერება, მაგრამ გულში მაინცა მღერის. ეს სიმღერა სიმარტოვის სიმღერაა, ანდა მოლოდინის. ჰო, ჰო, უფრო, მოლოდინის. მიტოვებული სახლი ხომ ქმრისგან მიტოვებულ ქალსა ჰგავს, ჩამოლამებულ, ხელმხარჩამოყრილ დარდიან ქალს, რომ არ ეკადრებოდა და მაინც მიატოვეს. უკაცობით ჩამოტყდა გულთაბოძი. როგორც სახლის გულთაბოძი ტყდება ხოლმე, ისე მიტოვებული ქალის გულთაბოძი ტყდება უკაცობით, მაგრამ გულისგულში მიტოვებული სახლის გულისგულიც მღერის მოლოდინის სიმღერას და მიტოვებული ქალისაც.

სიჩუმეზე უფრო ჩუმია და იმედზე უფრო იმედიანი, მოლოდინის სიმღერა.

მოგისმენიათ?

თუ არა, ნახეთ ნასახლარებად ქცეული საქართველო და თქვენ გაიგონებთ ამ სიმღერას.

სამაგალითოდ, თუნდაც ხევსურეთი ან გუდამაყარი კმარა.

ეს ორი კუთხეა ძველთაძველი საქართველოსი, სადაც წარსული და აწმყო, ლეგენდა და სინამდვილე ისეა ერთმანეთში ჩაგრებილ-გადაჭდობილი, როგორც საკიდლის ჯაჭვი.

აკი, იმიტომაც ჰკიდებდნენ თავიხეზე, კერიის თავზე ამ ჩაგრებილ ჯაჭვს, რომ სწორედ წარსულისა და აწმყოს, ღვთიურისა და ადამიანურის ურთიერთობა იგულისხმებოდა და თითქოს სამყაროს ჭერის მარადიულ თავიხეზე ეკიდა ეს ჯაჭვი, თანაც სამყაროს ცენტრის და ურღვეველობის მიმნიშნებელ კერიაზე იყო ჩამოშვერილი.

როცა ქორწილი იყო, მოვიდოდა ნეფიონი, ეჯიბი და მისი მაყრები წესის მიხედვით შელაგდებოდნენ დარბაზში, ნეფე-დედოფალთან ერთად კერიის გარშემო ტრიალებდნენ სიმღერით.

\_ მარჯვნივ მხარესაო და  
მარჯვნივ მხარესააა,  
შენ დასწერ ჯვარსაო და  
შენ დასწერ ჯვარსააა  
ამ ჩვენს ნეფესაო და  
ჩვენს დედოფალსაა!

მღერიან, ამით ღმერთს შესთხოვენ და თავიხეზეჩამოკიდებულ საკიდელს ხანჯლებს ურტყამენ, ცეცხლს აყრევიანებენ. ამით იმას მიანიშნებენ, რომ მარადიულობას \_ თავიხეს, საკიდელს \_ კერას, დღეს კიდევ ერთი ლამაზი ნეფიონი შესძინეს და ხანჯლის ცემით უფრო მაგრდება საკიდელი, ეს მაღლიანი სვეტი ჭერსა და ფუძეს შორის.

ეს მაშინ ხდებოდა, როცა მთიულეთ-გუდამაყარსა და ფშავ-ხევსურეთში ჯერ კიდევ არ იყო ნასახლარები და ნეფიონიც ყოველ შაბათ-კვირას ადიოდ-ჩადიოდა ვიწრო ბილიკებზე.

არაგვის ღორღიან ჭალებზე ცხენები მიაგრილებდნენ ნალებს. დაქანებულ ფერდობზე ჩაქანებულ თეთრონს ხევსური სიმღერით აგულადებდა:

– ცხენო გეტყობა გემინის,  
გულს მე ჩაგიდებ მაგარსა,  
ჩაგყუდებ ბექ-ბუქიანებს,  
დაგატევენებ ნალარსა!

და თეთრონიც ორბივით მიფრინავდა ციცაბო ფერდობზე.

ეგ იყო თუნდაც მედოლე, თუნდაც ნეფიონთ მახარებელი.

და ქორწილი იყო სამდღიანი. მთებიც ლხინობდნენ მექორწილეთა ლხინით!

და

ერთხელაც,

მახარობელი მოიჭრა სოფელში.

– ჩააქრეთ სანთლები! ჩააქრეთ სანთლები! – იმახდა ის შემცბარ ხმაზე.

ყველა მიხვდა რაც მოხდა: როგორც ჩანს, მაყრიონს დევები დახვდნენ და აქაური წესის მიხედვით, თუ ღამით დევს გადაეყრები, სახლშიმისულმა სინათლე უნდა ჩააქრობინო.

გუდამაყარის ხეობაზე დღესაც არის დევების ნასოფლარი, სადაც მათი საფლავებიცაა და თუ შიგნით ჩაიხედავ უზარმაზარ ძვლებს დაინახავ. იქვე, გზის პირას აწყვია დიდი ჯამები, რომელთაც დევის პინებს ემახიან. გზა პირდაპირ ამ ნასოფლარზე გადის და თუ ვინმე ღამით გაივლიდა, აუცილებლად ჯვარ-ხატებს შეავედრებდა თავს, რომ დევი არ ასდევნებოდა. დევები ეჭიდებოდნენ ძლიერებს და დახრჩობას უპირებდნენ, მაგრამ ვისაც კი ისინი ნანახი ჰყავს, ყველა იმახის, რომ დევს ცერა თითი არა აქვს და ამიტომ გაუჭირდა მათი მორევა და დახრჩობა. ზოგს თავის ახლობლის სახითაც კი ეჩვენებიან, რომ ადვილად აცდუნონ. ფეხის ტერფები დევებს უკუღმა ჰქონიათ, ქუსლები წინ, თითები ზურგის მხარეს და, რაღა თქმა უნდა, არც ფეხის ტერფებზე აქვთ ცერა თითი.

როცა დევი შემოეყრებოდა გუდამაყარელს, ეს ლოცვა უნდა ეთქვა:

წინდა მეცვა ხეშისაო,

ქალამანი მეშისაო,

წმინდა გიორგიმ დასწყველოს

ემმაკების ფეხისაო.

მაგრამ დევი სხვაა და ეშმაკი სხვაა. დევი არ არის ეშმაკივით ბოროტი. იგი დიდია, ბალნიანი და გაქრობა შეუძლია, როგორც ეშმაკს, ამიტომ ერეოდათ გუდამაყარელებს

დევეები და ეშმაკები ერთიმეორეში. ზოგი დევი ისეთი კეთილიც კი იყო, რომელიმე ოჯახს მიეჩვეოდა და ხვნა-თესვაში ეხმარებოდა. სახლის კუთხეში საჭმლიან ჯამს დაუდგამდნენ და ამოჭამდა.

მაგრამ, როცა ღამეა და ეშმაკიც დასუნსულებს, ალიც და ქაჯიც, წადი და გაიგე, რატომ შემოგეყარა გზაზე დევი.

ერიდებიან გუდამაყრელები ღამით სიარულს, მაგრამ მექორწილებს ხშირად უღამდებათ და იმ ღამესაც ღამით მოადგნენ დევეების ნასოფლარს.

უცებ დაინახეს, რომ ნასოფლარში სუფრებია გაშლილი, დევეებს თავისი ნეფე-დედოფალი ჯარაზე უზით და ცეცხლზე შემოდგმული საარყე ქვაბებს ოხშივარი ასდით.

– ოო, ნეფიონი მოდის, ნეფიონი! – დაიძახა დევეების მბრძანებელმა და თავისთან მიიხმო ჩვენი მექორწილენი.

– ხმა არ გასცეთ და არც შეხედოთ, არც მაგათი მოწვდილი სასმელი დალიოთ, მე გამომყევით! – უბრძანა მექორწილებს ეჯიბმა, დედოფალს მარცხენა ხელი ჩასჭიდა და მარჯვენათი ხანჯალი ჩაბლუჯა.

– მოდით! მოდით!

– დასხედით, დაგვილიეთ!

– ჩვენც თქვენსავით ქორწილი გვაქვს.

– მერე ჩვენც თქვენთან წამოვალთ.

– დაგვილიეთ! – აწვდიან თასებს ფეხზე წამოშლილი დევეები.

ესენი ჩუმად მიდიან.

უცებ დევეების ნეფე წამოხტა, ნეფე-დედოფალს წინ გადაუდგა და პატარძლის სილამაზემ აღმური მოუკიდა სახეზე.

– მოდი, პატარძლები გავცვალოთ, – თქვა დევმა და ხელი წაავლო დედოფალს.

მეფის ეჯიბმა, რომელსაც მარცხენათი პატარძლის მკლავი ეჭირა, მარჯვენათი კი ხანჯლის ტარი, ხელუკუდმა მოუქნია ხანჯალი და პატარძალზე წავლებული ხელი წააჭრა დევს.

საზარლად დაიღრიალეს დევეებმა.

– გვიშველე, დიდო იაღსარო! – დაიძახა ამ დროს ვიღაცამ მაყრიონიდან და როგორც ცის ელვა, ისე რამ გაკრთა იმ ადგილას.

დამფრთხალი დევეები უშველებელ წიფლის ტყეში მიმოიფანტნენ.

ჩვენმა მაყრიონმა ცხენები გამოაჭენა და ის კაცი გამოუშვეს, სოფელს რომ აფრთხილებდა, სანთლები ჩააქრეთო.

ჩააქრეს სანთლები.

ცეცხლიც კი ჩააქრეს კერაზე.

რატომ, არ ვიცი, მჯერა, რომ დევეები არსებობდნენ, ის ღამეც ჩემი თვალით ვიხილე, მაგრამ სინათლე და დევი რა შუაშია, დღემდე ვერ მივმხვდარვარ.

სიბნელეში შელაგდა ნეფიონი ნეფის დარბაზში. ხმას არ იღებდნენ. სიმღერასაც ვეღარ ბედავდნენ. ბოლოს ხევისბერმა ბრძანა:

– ხალხნო, მოიტათ სანთლები!

მართვეს სანთლები და აანთო.

– აანთეთ კერა!

ცეცხლი აანთეს კერაზე.

– მაღლა ღმერთს, დაბლა დედამიწას, ქვეყანაზე სამართალს, ოჯახში კერას, ჭერსა და კერას შორის საკიდელს, ამ ჩვენ ნეფე-დედოფალს, იმათ ხელის მომკიდეს და თქვენ სუყველას, ჩემი ხმის გამგონეთ, გაგიმარჯოთ.

– ნეფე-დედოფალს გაუმარჯოს!

– ამინ! ამინ! ამინ!

– ეჯიბო, შენს მეფეს გაუმარჯოს!

– ამინ, გაუმარჯოს! – დაიძახეს, იშიშვლეს ხანჯლები და სიმღერით დატრიალდნენ კერის გარშემო.

ტრიალებდნენ, მღეროდნენ სანეფო სიმღერას და საკიდელზე აბრჯღვიალებდნენ ხანჯლებს.

დედოფალი ჰგავდა გველეშაპის ხახიდან გამოხსნილ მთვარეს.

ნეფე ჰგავდა ბედნიერებას.

ხოლო დევის ხელის მომჭრელი ეჯიბი იმ ზღაპრულ გმირს ჰგავდა, რომელსაც, სახელად, მარადიული ერთგულება ჰქვია.

მაყრიონი კი, ტრიალებდა კერის გარშემო.

ტრიალებდა.

ტრიალებდა.

ტრიალებდა...

და

ჩემს წარმოდგენაში დღესაც ისევე ლამაზად ტრიალებს.

დროც ტრიალებს და მიწაც ტრიალებს.

მიწაც ტრიალებს და ჩვენც გვატრიალებს.

ახლა გუდამაყარში ვინმეს რომ ჰკითხო:

– დევი გინახიაო? – სიცილით მოკვდება.

ერთ მოხუცს ჰკითხეს:

– პაპავ, მართლა იყვნენ დევები?

– იყვნენ, მაშ!

– ეშმაკები?

– ეშმაკებიც.

– მერე? მერე სად წავიდნენ თუ იყვნენ?

ყალიონი გამართა, გააბოლა, შემომხედა და მითხრა:

– ახლა შვილო, ხალხი მოექცა დევ-ემშაკებად და დევ-ემშაკებს აქ რაღა გააჩერებდა. აგე, როგორ დაიცალა სოფლები. ყველანი ქალაქში გარბიხართ და რა ვიცი, ხო გაგიგონია, უპატრონო ეკლესიასაო... მობრუნდებიან მერე, მა რას იზამენ. ჩემს ჯიელობაში კი მოვჭერი ერთ დევს მარჯვენა, პატარძლის წართმევა რომ დაგვიპირა, ვინღა იზამს მერე ამას? შენც წახვალ, ისიც წავა...

– არ წავალ, არა, აბა დედას უპატრონოდ ხომ არ დავაგდებ. – ჩავილულულე ჩემთვის.

მაინც წამოვედი.

ჩემს ქორწილში ჯვარისწინა არ უმღერიათ.

საკიდელზე ხანჯლები არ გაუბრჯღვიალებიათ. ერთადერთი, რაც ჩემს წარსულთან მაკავშირებდა ჩემი ქორწილის დღეს და გულს მიხარებდა: სამთავროს ეკლესიაში გვერდით მედგა დედოფალი, რომელიც მართლა მაგონებდა გველეშაპის ხახიდან გამოხსნილ ბადრ მთვარეს.

მერე?

მერე მეყოლა ბიჭი და დედასთან გავიქეცი მთაში.

ვახარე.

გაიხარა.

მეზობლებიც მოვიდნენ და ჟიპიტაურითაც დავილოცეთ.

– მერე?

– რა მერე, საღამო ხანს, შებინდებულზე, დედაჩემი რომ ძროხებს წველიდა, ნასვამი, ფეხშიშველი გამოვეპარე დედას.

შვილი მომენატრა და ღამით ფეხშიშველი დავადექი ოცკილომეტრიან გზას.

ნოემბერია.

ცივა, თოვს.

აქა-იქ მგლებიც ყმუიან.

მთავარია დევი არ შემხვდეს და იყმუვლონ მგლებმა რამდენიც უნდა.

სიცივე თანდათან მაფხიზლებს და დევებზე ფიქრი უფრო და უფრო მეძალეა თავში.

უკან როგორ გავბრუნდე. დევი იმის დევია, გინდა წინ დაგხვდება, გინდა უკან.

მივდივარ წინ და ვუახლოვდები დევების ნასოფლარს.

უკვე მუხლები მიკანკალებს.

სმენა დავძაბე და მესმის:

– გოდერძი! გოდერძი! – უკანიდან მეძახის ვიღაც.

არ ვიხედები.

– გოდერძი, შვილო! – დედაჩემის ხმას ჰგავს.

მივიხედე.

დედაჩემი მოდის ჩემსკენ. გულზე ჩემი ფეხსაცმელები აქვს მიხუტებული.

– მოიცა, შვილო!

– ვაიმე, ვფიქრობ, აი, დედაჩემის სახით გამომეცხადა დევი და იმით უნდა მომიტყუოს. ხო იმახიან, ხანდახან ახლობლის სახეს ღებულობსო.

გავიქეცი.

– მოიცა, შვილო! – განწირული ხმით იყვირა დედაჩემმა და გამომედევნა.

ფეხი ქვას წამოვკარი და წავიქეცი.

სანამ წამოვდგებოდი, მომიახლოვდა დედაჩემიც. მე გვერდზე გავხტი და ჯოხს წამოვავლე ხელი:

– არ მომეკარო, დეო! არ მომეკარო დეო. თორე აი, ამ ჯოხით... აი, ამ ჯოხით...

დედაჩემმა უკან დაიხია.

მე გული მომეცა: ხედავ, დევებსაც შინებიათ.

შევუტეი.

ის საცოდავად გაიქცა უკან, თან ჩემ ფეხსაცმელებს იხუტებს.

შემობრუნდა და მეუბნება:

– ფეხსაცმელები მაინც ჩაიცვი, შვილო და მერე გინდა მომკალი, ამ ყინვაში გაიყინები.

– ეგლა მაკლია დევის ფეხსაცმელები ჩავიცვა!

დაჯდა და ტირილი დაიწყო:

– ნეტავ რა დაგიშავე, ღმერთო. არა სჯობდა მართლა დევის დედა ვყოფილიყავი და ეს გიჟი და გადარეული არ გამეზარდა.

ტიროდა და თან ჩემს ფეხსაცმელებს იკრავდა გულში.

ტირილზე ვიცანი დედაჩემი. მივედი, გვერდით მივუჯექი და დამშვიდებას ვცდილობდი:

– მაპატიე, დედა, მაპატიე! მე თუ არ მაპატიებ, სიყვარულს მაინც აპატიე, მე ხომ ჩემი შვილის სიყვარულით გამოვიქეცი.

– მერე? მერე განა მე კი არა ვარ მშობელი? განა მეკი არ მიყვარს ჩემი შვილი? თუ გგონია, რომ გული კი არა, ქვა მიდევს მკერდში... ერთი ღამე... ერთი ღამე მაინც... განა ერთი ღამე მაინც რა იყო, რო დამრჩალიყავი? – ქვითინებდა, მერე სლუკუნებდა, გულში მიკრავდა და იმახდა: ჩემო შვილო! ჩემო ერთადერთო და საყვარელო შვილო! გაგეყინა ფეხები? აჰა, თბილი წინდა წამოგიღე, გამოიცვალე, – უბიდან ჭრელი, ჯვრიანი წინდები ამომიღო და თვითონ ჩამაცვა.

მერე უხმოდ ჩავეხუტეთ ერთმანეთს და უცებ ჩვენს იქით აშკარად მომეჩვენა ტირილის ხმა. ერთი კი ვიფიქრე, დევი ხომ არ არის-მეთქი, მაგამ მერე რა? დედაჩემი ხომ ჩემს გვერდით არის. რისი უნდა ეშინოდეს ადამიანს, როცა დედა გვერდითა ჰყავს და თანაც გათოშილ ფეხებზე თბილ წინდებს აცმევს.

ახლა კი, როცა დედაჩემი აქ აღარ არის, ერთი რამისა მეშინია: ვაი თუ ის გლეხი მართალი იყო, მე რომ მითხრა: – ახლა, შვილო, ხალხი მოიქცა დევ-ეშმაკებად და იმ დევებს აქ აღარც დაედგომებოდათ, შეეშინდებოდათო.



ამას როცა ვფიქრობ, ის ტირილი ჩამესმის ხოლმე ყურში, მე და დედაჩემი ჩახუტებული რომ ვიყავით და ჩვენს იქეთ ვიღაცამ შესტირა.

ვაი თუ დევის დედა იყო და შევეცოდეთ. ეს ფიქრი არ მასვენებს და ღმერთს ვევედრები:

– მაღალო ღმერთო! ეს მოთხრობა აღსარებად ჩამითვალე და ისე ნუ გააფერმკთალებ დედა-შვილობის მაღლს, ისე ნუ მოგვაკლებ სიყვარულს, რომ დევებს უფრო ვეცოდებოდეთ ჩვენი ჩადენილი ცოდვებისათვის, ვიდრე ჩვენ ერთიმეორე.

### ანგელოზთაძეობა

(საშობაო მოთხრობა)

– გაიღვიძე შვილო, გაიღვიძე, ადექი, ანგელოზების სანახავად წადი! – სიზმარში გამომეცხადა დედაჩემი და თანაც ეს სიტყვები ისე ცხადად ჩამძახა, რომ გავიღვიძე, დედაჩემს დავუწყე ოთახში ძებნა. საწოლ ოთახში რომ ვერ ვნახე, ლოგინიდან წამოვხტი და მთელი სახლი მოვათვალიერე. ჩვენება ისეთი ცხადი იყო, რომ გაღვიძებულს დამავიწყდა, რომ დედაჩემი ცოცხალი აღარ იყო და უკვე ათი წელია, რაც სააქაოდან საიქიოში გაემგზავრა მისი სული.

ვისაც დედა ცოცხალი აღარა ჰყავს, ალბათ დამემოწმებიან, რომ რაც უფრო დრო გადის, მით უფრო გენატრება დედა და სიყვარულიც უფრო გიცხოველდება მის მიმართ. სანამ დედა ცოცხალია, მანამდე გულადად ხარ, სიკვდილისა არ გეშინია, სიცოცხლით ლაღობ, ვერა გრძნობ სიკვდილის მზერას, რადგან დედაა ჩამდგარი შენსა და სიკვდილს შორის, თავისი სუსტი ბეჭებით სიკვდილს წინ ეღობება და მისი მწველი მზერისაგან გიფარავს, თვითონ იწვის სიკვდილის აღმოდებულ მზერაში. წავა დედა და ჩამოიხსნება ფარდა შენსა და სიკვდილს შორის, რომელიც მგელივით წამოგვარდება, მოსვენებას დაგიკარგავს, სილაღეს ჩაგიკლავს და თან გეშინია, თან იმას ცდილობ, ახლა შენ აეფარო ბეჭებით შენს შვილებს, რომ დაიფარო ამ ამაზრზენი მზერისაგან. რაც ხანი მიდის, ძალღონეს გაცლის ეს დამთრგუნველი მზერა და ერთი წამითაც არა გცილდება, სულ თან დაგდევს და გულ-ღვიძლს გიწვავს ქვეშეცნეულად. შენ კი მაგრობ, მაგრამ თავისი მიაქვთ გარდასულ დღეებს, თანდათან მუხლებში ძალა გელევა, ახალგაზრდობის ოცნებები უფერულდება და გრძნობ, როგორ თანდათან იზრდება შენს არსებაში შიში, სიკვდილის მზერით თუ რაღაც გარდაუვალობის შეგრძნებით გაჯერებული შიში, რომელსაც არავის არ უმხელ და ვერც გაუმხელ, რადგან ერთადერთი ადამიანი, დედა, რომელსაც შეიძლება რომ გაუმხილო ეს შიში, წასულია ამ ქვეყნიდან, შენ კი მარტო ხარ და ხან დედისაგან გაკეთებულ საჭმელს ნატრულობ, როცა გშია, ხან დედისაგან მოქსოვილ ხელთათმანებს, ან წინდებს, როცა გცივა და შენ თავსაც კი არ უმხელ, ისე იძინებ იმ

სურვილით, რომ იქნებ სიზმარში ნახო დედა, იქნებ სიზმარში მაინც განმეორდეს ის საოცარი იმედიანი მოფერება, ადამიანის სულიდან სიმარტოვესაც რომ აფრთხობს და არარაობის განცდასაც, სამაგიეროდ კი ხალისითა და იმედით გავსებს.

სწორედ იმედითა და ხალისით სავსემ გავიღვიძე იმ დილით, დედაჩემი რომ დამესიზმრა და როცა გახარებულს უცებ გამახსენდა, რომ დედა ცოცხალი აღარა მყავს და ტყუილად ვემბე აქეთ-იქით, რატომღაც მაინც არ ჩამიქრა იმ სიხარულის განცდა, სიზმარში რომ დამეწყო და ცხადში გადმომყვა: გაიღვიძე, შვილო, გაიღვიძე, ადექი, ანგელოზების სანახავად წადი! – ჩემდაუნებურად ვიმეორებდი გულში და ყურებში ისევ ცხადად მესმოდა დედაჩემის ხმა.

მიხაროდა. აღზნებული ვიყავი სიხარულით. თითქოს რაღაც დიდხანს შეგუბებული გამეხსნა სულში და ეს რაღაც იყო გულში დაგუბებული დარდი, რომელსაც ათი წელია დავატარებდი და ვერავისთვის ვერ მეთქვა. ათი წელიწადია, რაც დედაჩემი ამ სოფლიდან წავიდა და წავიდა ისე, რომ ორმოცი დღის განმავლობაში, საავადმყოფოს ვიწრო პალატაში თვალებით მელაპარაკებოდა რაღაცას, დამბლადაცემულს პირიდან ხმა არ ამოსდიოდა და მეტყველება არ შეეძლო.

ვის არ უყვარს დედა და ვინ არ ნატრობს ავადმყოფობის ჟამს მის გამოჯანმრთელებას და, რაღა თქმა უნდა, მეც ვევედრებოდი ღმერთს დედაჩემის გადარჩენას, მაგრამ როცა ის თვალებით მელაპარაკებოდა, რაღაც ისეთს ვგრძნობდი, რისი გაფიქრებაც კი ცოდვად მიმაჩნია და დღესაც ცოდვად მომყვება: "ვაითუ ისე გადარჩეს დედაჩემი, რომ მეტყველება აღარ დაუბრუნდეს!" – გამიელვებდა თავში ეს ცოდვიანი აზრი და შიშით ვკანკალებდი, ვეღარ ვუყურებდი დედაჩემს, რატომღაც მეგონა, რომ იგი ჩემს ფიქრს კითხულობდა და თვალებით სწორედ ამას მეუბნებოდა: "ნუ გეშინია, შვილო, თუ ჩემი სიცოცხლით ვინმეს შევაწუხებ, წავალ ამ ქვეყნიდან" – და აასრულა კიდევაც ეს; რომ შეატყო, რომ ექიმები ვეღარაფერს შევლოდნენ და მეტყველებაც არ უბრუნდებოდა, ჭამა აკრძალა.

ილეოდა დედაჩემი და მელეოდა გული. ნეტავი რამ მათქმევინა მისთვის: – დედი, ნუ დადიხარ სათიბად მთაში, გაყიდე ეს საქონელი, თორემ იცოდე, კიდევ თუ დაგარტყა წნევამ, აღარ მოგივლი და აღარც დაგელაპარაკები! – ეს სიტყვები ვითომ შესაშინებლად ვუთხარი მაშინ, რომ თავი გაენებებინა იმ აუტანელი ჯაფისათვის, რასაც დედაჩემი ეწეოდა ყოველდღე. მე ქალაქში ვიყავი გადმოხვეწილი და ცოტა ხნით თუ მივეშველებოდი სათიბზე, დანარჩენი სახლის საქმე დედაჩემის მხრებზე გადადიოდა. გუდამაყრის ხეობაში ზამთარი რვა თვეს გრძელდება და ოცი ძროხის სამყოფ საზამთრო თივას ციცაბო მთებში ამზადებდა დედაჩემი.

– რად გინდა მაგდენი ძროხები, ერთ-ორი არ გეყოფა?! – ვებუზღუნებოდი ალბათ უფრო იმიტომ, რომ თავი გამემართლებინა, რაკი სათიბში ვერ ვეხმარებოდი.

– რას ამბობ, შვილო, ხალხი დამცინებს ორ ძროხას რომ ავყვე-ჩავყვე, სირცხვილია, ცოცხალმა ადამიანმა უმაქნისობით როგორღა უნდა დავამძიმო დედამიწა?!

- ორი ძროხა არ გეყოფა, თუ ჩემი იმედი არა გაქვს, რომ მშიერს არ დაგტოვებ?
- მე როგორ არ მეყოფა, მაგრამ შვილიშვილებს სოფლის სახსარს ხო არ გავუწყვეტ!
- ჰოდა, წამო შვილიშვილებთან!

– ქალაქში რო ვერა ვძლებ ეს ჯანმკვდარი! – ამოიოხრა დედაჩემმა და ისე შეხედა მთებს, თითქოს დააიმედა: ნუ გეშინიათ, თქვენ არ შეგელევით, თქვენთან ერთი დღის სიცოცხლე ერთ საუკუნედ მიღირსო.

დედაჩემი ბუნების შვილი იყო და მართლა არ შეეძლო მთების გარეშე სიცოცხლე. ყველაფერს ელაპარაკებოდა: ხეს, ქვას, ყვავილებს, ფრინველებს. ისინიც თავისებურად რაღაცას ატყობინებდნენ, მოსალოდნელი ამბის ნიშანს აძლევდნენ. ერთი ყვავი ჰყავდა მაცნედ. როცა მე უნდა ჩავსულიყავი სოფელში, მიფრინდებოდა ის ყვავი ჩვენს სახლთან და ჩხავილით ატყობინებდა დედაჩემს სასიხარულო ამბავს. ერთ დილითაც ასე უმცნია ყვავს და დედაჩემი საქმეზე აღარ წასულა, რაკი ყვავმა ამცნო ჩემი ჩასვლის ამბავი. რომ დავიგვიანე და არ მივედი, ნაწყენი ხმით გაჰბრაზებია ყვავს დედაჩემი:

– კარგი, კარგი, გაჩუმდი, ხო ხედავ, არ ჩამოვიდა, შენც ტყუილები დაგისწავლია.

– ვის ელაპარაკები, ლელავ?! – გამოლაპარაკებია მეზობელი.

– ყვავს.

– როგორ თუ ყვავს?!

– დილას აქეთია მეუბნება, შენი შვილი მოდისო და მეც საქმეზე აღარ წაველ ამის ტყუილების შემყურე.

– ვაი, ჩემ თოლებსა! – იმწუთას სხვა მეზობლებში გაქცეულა შეშინებული მეზობელი, მგონი ლელაი გაგიჟდა, ყვავს ელაპარაკებო და მეზობლებიც ჩემს სახლთან მოგროვილან. ამასობაში მეც მივედი, ყვავმაც ფრთები აიქნია და ყრანტალით გაფრინდა: ანდე თუ არ მოვიდა, არაფერს რო ამ სოფელში არ მიჯერებთო, – დედაჩემმაც გაიხარა, რადგან დიდი ხანი არ ვენახე და ამ ამბის შემყურე მეზობლები კი კინალამ გამიგიჟდნენ.

მე, ჩოხიდან ბურსაჭირისაკენ მიმავალ გზაზე, ერთი მკერდმოყუდებული კლდის ძირში გამაჩინა დედაჩემმა და ახლაც მახსოვს, ბავშვობაში როგორ მეშინოდა ხოლმე იმ კლდისძირს გავლა. კლდე რაკი გადმოხრილი იყო, ასე მეგონა ეს-ესაა, წამოიქცევა და დამეცემა-მეთქი. იქვე, კლდის ძირში ამოდიოდა დაწყევლილი წყარო, რომელიც წელიწადის ერთსა და იმავე დღეს ამოედინებოდა და ერთსა და იმავე დღეს დაწყებოდა. ლეგენდის მიხედვით, ამ ადგილას უცხოვრია მკურნალ მოძღვარს, რომელმაც შეიკედლა და მოარჩინა ახალგაზრდა მოხევე ქალი, რომელიც საყვარელმა იმ წყაროსთან მოკლა, ამ ამბავზე კი შემდეგ ალექსანდრე ყაზბეგმა "მოძღვარი" დაწერა, მეორე ლეგენდის მიხედვით კი ახალგაზრდა ბიჭი დასალევად დასწაფებია წყაროს და სწორედ იმ დროს დაუკრიათ თოფი მოსისხლეებს. ძმის სიკვდილით გამწარებულ დას კი ეს წყარო დაუწყევლია, რადგან მისი მიზეზით მოუკლეს ძმა. ეს საიდუმლოებით მოცული წყარო, წამოსაქცევად გამზადებული კლდე და დედაჩემის

მონაყოლი: ამ კლდის ქვეშ გაგაჩინეო, ჯერ მაშინებდა, მერე კი იდუმალი გულისდაფებით გამომიბა და ბოლოს ისე მივეჩვიე, სამალავი გავიკეთე იმ კლდეში. ეგ კი არ ვიცი ვის ვემალეობდი. უშიშრად ავცოცდებოდი შუა კლდემდე და იქ მქონდა ჩემი ციხესიმაგრე, რომელიც ერთ პატარა გამოქვაბულს წარმოადგენდა. მტერი არასოდეს დამსხმია თავს, მაგრამ მე კი ბევრჯერ გავუხეთქე მგზავრებს გული. როგორც კი კლდის ქვეშ მიმავალ ბილიკზე მგზავრი გამოჩნდებოდა, მე გამოქვაბულიდან ჩავმახებდი:

– ვინა ხარ, ვინ?

მგზავრი გაჩერდებოდა.

– რომელი ხარ - მეთქი, არ გესმის შენა?!

– კაცილაი ვააარ!

– მერე და არ იცი, რომ ჩემი შიშით დაბლა ჭიანჭველას არ გაუვლია და მაღლა ფრინველს! – ჩავმახებდი და ისეთ ხმას გამოსცემდა გამოქვაბული, შეშინებული კაცილაი უკანვე გარბოდა ზოგიერთი მუხლებზე დაეცემოდა და შემომძახოდა:

– ეს ერთხელ მაპატიე, დალოცვილო და მეტს აქ აღარ გავივლი!

ხმა გავარდა, ხატი ჰკრძალავს კლდის ძირზე გავლასო და აღარავინ ეკარებოდა იმ გზას, არაგვის მეორე მხარეს გაიკეთა ხალხმა გზა. მეც მოვიწყინე და ჩემმა კლდემაც. დარჩა ისევე იდუმალად, როგორც და-ძმის და წყაროს ლეგენდა.

სწორედ ამ კლდესთან დაჰფრენია წინ გზაზე მიმავალ დედაჩემს ოფოფი და ბურსაჭირამდე ასე უვლიათ.

– რაო, ოფოფო, რაო, ცუდი ამბავი მომიტანე თუ კარგი? – შეჰკითხვია სათიბიდან მიმავალი დედაჩემი და ცოტა კი შეშინებულა, რაკი ოფოფი ცუდი ამბის მაუწყებლად ითვლებოდა მთაში.

ოფოფიც თურმე თავის ენაზე დაელაპარაკა დედაჩემს და მეორე დღეს, როცა შვილიშვილის მახარობლად ჩავუყედი, დედაჩემმა ღიმილით მითხრა:

– ვიცი, ვიცი, ბიჭი გეყოლა და სამახარობლოც სხვამ წაიღო.

– ვინ გითხრა?! – გამიკვირდა, რადგან როგორც კი ქალაქში პირველი ბიჭი მეყოლა, მეორე დილით დედაჩემთან გავიქეცი მახარობლად.

– რა იცი, დედი, ვინ გითხრა?!

– ოფოფმა მახარა.

რადას ვიზამდი, დამასწრო ოფოფმა, მაგრამ ოთხი წლის მერე კიდევ შემეძინა ბიჭი და ისევ დედაჩემთან გავიქეცი.

– კიდევ დაგასწრო იმ ოფოფმა, ჩემო ბიჭო, კიდევ დაგასწრო! – სიცილით შემეგება დედაჩემი.

ისევ იმ კლდესთან მიმავალს დაჰფრენია წინ ოფოფი და ისევ ისე გასძლოლია წინ.

ერთხელ, ჩემს პატარაობაში, სწორედ ამ კლდესთან მოგვასწრო საშინელმა დელგამამ მე და დედას. მთებს შორის ისეთი ნისლი ჩამოწვა, ორ ნაბიჯზე გზას ვეღარ ვხედავდით. ატყდა ჭექა-ქუხილი. ელვა გააპობდა მღვრიე ნისლს, გამოანათებდა

ვიწრო ხეობას და მერე ისეთი ხმით გავარდებოდა ცაზე მეხი, მეჩვენებოდა, რომ მთელი დედამიწა ტორტმანებდა და რატომღაც მომეჩვენა, რომ ვიღაცას ჩემი და დედაჩემის გადაყრა უნდოდა დედამიწიდან. კაბის კალთაზე ჩავაფრინდი და არანაკლებ შეშინებულმა დედაჩემმაც ორივე ხელი შემომხვია, რომ ქარიშხალს არ მოვეტაცნე. ცოტა ხანს ზემოდან მეფარებოდა. კლდის ქვეშ შეფარებას ვერ ბედავდა, ალბათ რაკი გამოქვაბულს ხშირად მეხი ეტანებოდა, მაგრამ ისეთი სეტყვა წამოუშინა, ერთი კუმფხალიც რომ მომხვედროდა თავში, სულს გამაფრთხობინებდა და დედაჩემმაც წამოშვერილ კდლდის ქიმს შეაფარა თავი. როგორც წისქვილში სარეკელა, ისეთ ხმაზე ხმაურობდა ხოშკაკალა. ასეთი გაჯავრებული და გულამღვრეული ბუნება ჩემი ამქვეყნად ყოფნის სამი წლის მანძილზე ჯერ არ მენახა. პირდაპირ ჩვენს იქი-აქა ეცემოდა მეხი და დამწვრის სუნი ტრიალებდა ირგვლივ.

– დაგვიფარე, დალოცვილო დედა ღვთიშობელო, შენი მფარველი კალთა გადმოგვაფარე! – პირჯვარს იწერდა დედაჩემი და ბეჭებით მიგერიებდა კლდეზე ასხლეტილ კვერცხისტოლა სეტყვას. მაინც მომხვდა ერთი მარცვალი, თუ იმას მარცვალი ეთქმოდა და ლამის გული წამივიდა.

– ამ კლდის ქვეშ გამახარე, დალოცვილო, ამის დაბადებით და ამ კლდის ქვეშ ნუ გამამწარებ, ნუ გამამტაცებ ხელიდან! – ევედრებოდა ღმერთს დედაჩემი.

მაშინ მართლა ვირწმუნე, რომ თუ დედაჩემი ასე ილოცებდა, ღმერთიც შეწყვეტდა ჭექა-ქუხილს და სეტყვას. გულში მეც დედის ნათქვამ ლოცვას ვიმეორებდი, რომ უფრო მეტი ძალა ჰქონოდა ღმერთთან მისასვლელად.

გაიგონა ღმერთმა ჩვენი ლოცვა. როგორც უცებ წამოუშინა სეტყვამ, ისევე უცებ შეწყდა. მთელი მიდამო რაღაცის მოლოდინში გაინახა და ეს რაღაცა საშინელი ქუხილი აღმოჩნდა. ჩვენს იქით გორაზე მდგარ უზარმაზარ მუხას მეხი დაეცა და გულიდან ცეცხლი ამოვარდა. ატკრციალდა მუხა, შავი კვამლი და ცეცხლის ენები მალა ამოდიოდა მისი გულიდან. ერთბაშად სადღაც გაქრა ხეობაში ჩამოწოლილი მღვრიე ნისლი. მთელი მიდამო თეთრად იყო გადაპენტილი. ცა გადაიწმინდა და ლურჯად ალივლივდა. როგორც მოსევადებულ ვერცხლის სინზე ოქროს თუმნიანი, ისე აბრჯღვიალდა ზედ ჩამავალი მზე. გამოღმა მთიდან გაღმა მთაზე ცისარტყელა გადაირკალა და დედაჩემი თავშესაფრიდან გავიდა. მე გარეთ გამოსვლის შემეშინდა და უფრო მივეკარი კლდის ძირს.

- გამოდი, ნულარ გეშინია, – მითხრა დედაჩემმა.
- კიდევ რომ იქუხოს?
- მეტს აღარ იქუხებს.
- სეტყვა რომ ჩამოცვივდეს?
- აღარ ჩამოცვივა.
- რატომ, მეტი აღარა აქვს ღმერთს?
- აქვს, მაგრამ, აღარ ჩამოჰყრის.
- რო ჩამოჰყაროს?

- \_ ცისარტყელა რომ გამოჩნდა, აღარ ჩამოგვყარის.
- \_ ცისარტყელა არ ჩამოუშვებს? აქეთ-იქით რომ ჩამოჰყაროს?
- \_ ნუ გეშინია, ცისარტყელა ღმერთის ნიშანია, გვეუბნება, იმედინად იყავით, აღარაფერს დაგიშავებთო.

მე გაუბედავად, მაგრამ მაინც გამოვედი კლდის ძირიდან და კაბის კალთაზე ხელჩაბღრეული გავყევი დედას ბურსაჭირისაკენ მიმავალ გზაზე. სამოვარ ფერდობებზე სეტყვისგან დახოცილი ცხვარ-ძროხა ეყარა.

- \_ ვაიმე, ჩემო ძროხებო! \_ ოხვრა აღმოხდა დედაჩემს.
- \_ იქნებ, იმათაც კლდეს შეაფარეს, დედი, თავი, \_ ვანუგეშე დედაჩემი.

ბრეზენტის ტოტებში რეზინგაყრილი შარვალი მეცვა და ისე იყო სეტყვისაგან გაყინულ-გაბერილი, ფხაკაფხუკით მივყვებოდი დედაჩემს.

\_ შენ რომ სთხოვე ღმერთს, იმიტომ შეწყვიტა სეტყვის ჩამოყრა ციდან, ხო, დედიკო? \_ დარწმუნებულმა მაინც ვკითხე დედას.

\_ ხო, შვილო, დაილოცოს ღმერთის განგება.

\_ მუხის დედამ არ სთხოვა? \_ ვკითხე ისევ და დანანებით გავხედე მუხას, გულიდან რომ ცეცხლი ამოსდიოდა, \_ რატომ არ სთხოვა, დედი, მუხის დედამ, ჩემს შვილს ცეცხლი არ მოუკიდოო, ჰა?!

\_ დედა აღარა ჰყავს მაგ მუხას და იმიტომ, შვილო.

\_ ვინ მოუკლა?

\_ კაცმა.

\_ რომელმა კაცმა?

\_ ცულიანმა?

\_ მერე შენ რატომ არ სთხოვე, დედი, რომ მუხასაც არაფერი დაუშაოო, შენ ხომ ყველაფერს გიჯერებს ღმერთი, არც მუხას ესროდა მეხს.

\_ რა ვიცი, ვეღარ მოვიფიქრე, შვილო, \_ დანანებით თქვა დედაჩემმა და მე უფრო მაგრად დამწყდა გული, რომ ეს ვერ მოიფიქრა დედაჩემმა.

ფრინველები ნელ-ნელა იწყებდნენ ჭიკჭიკს და როგორც ჩანს, ამით გადარჩენას ულოცავდნენ ერთურთს.

ბურსაჭირში რომ მივედი, სასიხარულო ამბავი დაგვხვდა: ჩვენი სახლის წინ, გორაზე გადმოდგარიყვნენ ჩვენი ძროხები და გამოგვევიროდნენ.

\_ დაილოცა დედაღვთისმშობლის მადლი! \_ სიხარულით წამოიძახა დედამ და ფეხს აუჩქარა. მეც გაფხროკებული შარვლის ტოტების ფხაკაფხუკით გავყევი თან.

არაგვზე გადებულ ხიდზე არაგვის შავი ტალღები გადადიოდა ზემოდან. ხიდის წაღებას ცდილობდა გულჯავრიანი არაგვი. აქამდე ზაფხულის გვალვებით მისუსტებულს, ახლა ღონე მოეკრიბა და ლოდებს მიაგორებდა. ჩვენი სახლი მდინარის გადაღმა ფერდობზე იდგა და მეტი გზა არ იყო, იმ ხიდზე უნდა გადავსულიყავით. დედაჩემმა ხელში ამიყვანა, კიდევ ერთხელ შეევედრა ღვთისმშობელს, პირჯვარი გადაიწერა და ხიდზე შედგა. არაგვის ტალღებმა

თვალეზი ამიჭრელა. თავბრუ დამეხვა. ნელ-ნელა, მოზომილად მიიწევდა წინ დედაჩემი. ხიდის მორებზე სიპი ქვები ეწყო ზემოდან და თუ ფეხს საიმედოდ არ დადგამდი, შეიძლება სიპზე გასრიალეზულიყავი, რადგან მდინარის ტალღები ზედ გადადიოდა და მოლიპულს ხდიდა. ის იყო, გავალწიეთ ნაპირამდე, რომ არაგვის ტალღამ ხიდის მორი ჩააგდო და მე და დედა მდინარეში ჩავცვივდით. ნაფოტებივით მოგვიტაცა აღელვებულმა არაგვმა. მე აღარაფერი მახსოვს, იმის მეტი, რომ რაც შეიძლება მაგრად ვებლაუჭებოდი დედას ტანსაცმელზე. ერთ ადგილას ტალღამ ნაპირისაკენ მიგვაგდო და დავინახე, როგორ მორბოდნენ ჩვენი ძროხები ჩვენკენ ყვირილით. დედაჩემმა ლოდს შემოხვია ხელები და ერთსა და იმავეს მიმეორებდა:

– ხელი არ გამიშვა, შვილო, ხელი არ გამიშვა! – მეც, რაც შემეძლო, ვებლაუჭებოდი კაბაზე. დედაჩემმა ძალ-ღონე მოიკრიბა და მდინარის ნაპირისაკენ წავიდა, თან ღვთისმშობელს ევედრებოდა, თან მე მეხვეწებოდა, ჩამებლუჭე ხელი არ გამიშვაო. წყალი ცივი იყო და ხელებში ღონე მელეოდა. გააღწია, როგორც იქნა, ნაპირზე გააღწია დედაჩემმა და ისე მაგრად ჩამიკრა გულში, კინაღამ დამახრჩო. ჩვენი ძროხები გარს შემოგვეხვივნენ და ზმუოდნენ, თავსა და მხრებზე დრუნჩებს ადებდნენ დედაჩემს. მოკრიალეზულ ვერცხლისფერ ზეცას, ჩამავალი მზის სხივები ოქროსფრად ასევადებდნენ. იმ დღეს სამარადისოდ შემიყვარდა ჩემი გადამრჩენელი დედაღვთისმშობელი. მერე სადაც რა გამიჭირდებოდა, შეწევნას მას ვთხოვდი და როცა გავიგე დედაჩემისთვის ბურსაჭირში წნევას დაერთყა, რალა თქმა უნდა, დედაღვთისმშობელს შევევედრე. სოფელ ჩოხამდე მანქანით მივედი და მერე, თითქმის სირბილით გავუყევი ბურსაჭირისაკენ მიმავალ გზას. მაინცადამაინც ისევ იმ მკერდწამოშვერილ კლდესთან შევხვდი დედაჩემს, რომელიც ნათესავებს სახელდახელოდ საკაცეზე დაეწვინათ და მე რომ დამინახეს, დაბლა დაუშვეს ფრთხილად. მივედი. შემომხედა დედაჩემმა.

– ხომ გითხარი დედი, ხომ გეუბნებოდი, ნუ თიბავ, თორემ წნევა დაგარტყამს და ხმას აღარ გაგცემ-მეთქი. რა ვქნა ეხლა, რა ვქნა, ჰა?! – წამომცდა საყვედური და ისევ გავუმეორე:

– რა ვქნა, ჰა?!

– ველარ ლაპარაკობს, – დანანებით წამჩურჩულა ნათესავმა. დედაჩემს შევხედე, იმან თვალის ამარიდა და მკერდწამოწეულ კლდეს მიაშტერდა. იმ დღის მერე ორმოცი დღე იცოცხლა საავადმყოფოს ვიწრო პალატაში. მე ვემუქრებოდი, არ დაგელაპარაკები-მეთქი და თვითონ ველარ დამელაპარაკა.

პალატაში ჩემი დაც იყო, ჩემი ძალუები და ბიძაშვილებიც, ჩემი დისშვილებიც, დედაჩემი კი რატომღაც სულ მე მიყურებდა, თითქოს ჩემს მოძრაობას იმახსოვრებდა, რომ იმ ქვეყანაზე არაფერი დავიწყნოდა ჩემი, არც ერთი მიმოხრა, არც ერთი დამახასიათებელი ნიშანი ჩემი არსებობისა. არც თავის დანაპირები დაივიწყა: თუ სიცოცხლის თავი აღარ მექნება, ჩემი შენახვით არავის შეგაწუხებთ, არც შვილებს, არც

შვილიშვილებს და არც დედამიწას დავამძიმებ უქმად ყოფნითო. აკრძალა ჭამა და დაილია, დაილია, როგორც ცვილის სანთელი ბნელ ღამეში.

– საჭმელს რომ არ ვჭამ, მოცემული პირობის შეუსრულებლად გინდა დამტოვო ამ ქვეყანაზე? – უსუსურობისა და უმწეობის გასაფანტავად, რაღაც გასამხიარულებელ ამბავს რომ ჩაეჭიდება კაცი, ისეთი უმარილო ღიმილით გავეხუმრე დედაჩემს.

– რა პირობის? – გოცეებული თვალებით მკითხა.

– გახსოვს, "ბაკურხეველი ხევსურის" გადაღებაზე რომ შემპირდი, ეს კინო დაამთავრე და იცოდე ისე არ მოგვკვდები, ერთი პანდური შენც არ ამოგარტყაო. აბა, თუ საჭმელს არ შეჭამ, ღონე სულ გამოგელევა და როგორღა შემისრულებ პირობას?

დედაჩემმა გამიღიმა, მერე ელდამ გადაუარა სახეზე და რატომღაც თვალწინ დამიდგა სწორედ ისეთი შემინებული, ერთ-ერთი კინოგადაღების დღეს რომ მოვიდა ავტობუსის გაჩერებიდან სახლში, დამიმარტოხელა და ღიმილით მითხრა:

– ეხლა ამოდენა ხალხში ხომ არ შეგარცხვენ და იცოდე, ისე არ მოგვკვდები, ერთი პანდური შენც არ ამოგარტყა.

სწორედ იმ დღეს, ჩემს სადებიუტო ფილმში, პანდურების სცენას ვიღებდი. ფილმის გმირები ჩემი ძაღულები და ბებიები იყვნენ, მარტო ორი-სამი პროფესიონალი მყავდა გადაღებაზე. თავიდან ძლივს დავითანხმე ფილმში გადაღებაზე ჩემი ძაღულები: რას ამბობ, შვილო, ქვეყნის სასაცხოვრებლს ნუ გაგვხდის, რაღა დროს ჩვენი კინოში მასხარაობაა – იუარეს ჩემი თხოვნა და მანამდე არ დამთანხმდნენ, სანამ დედაჩემი არ შეეხვეწა:

– ე ბაღის გულს ნუ დამიღონებთ და გინდა, წყლის მზიდავად დაგიდგებით საიქიოში!

ყველას უყვარდა დედაჩემი და დამთანხმდნენ. ხან ფეხბურთი ვათამაშე დოლით, ხან მთიდან-მთაზე ვარბენინე ეს ხნიერი ქალები და როცა პანდურების სცენის გადაღება შევთავაზე, გადაირივნენ:

– რას ამბობ, შვილო, სად გაგონილა ქალმა კაცს ამოარტყას პანდური!

– კინოში რა უშავს ძაღო!

– როგორ თუ რა უშავს? კაცსა და ქალს შორის კინოშიც უნდა იყოს ხათრი და რიდი, ცხადშიც და სიზმარშიც.

– აბა, რა ვქნა, ეგ რო არ გადავიღო, კინო არ გამომივა.

– ვერა, შვილო, ვერა, მამით არ მოგვდგამს ეგ საქციელი და პაპით, თანაც უცხო კაცია, სადღა გამოგვეყოფა თავი, სტუმარს რო წიხლი ამოვარტყათ.

ის, ვისთვისაც პანდურები უნდა ამოერთყათ, ჩემი ფილმის მხატვარი იყო და ახლა ის შეეხვეწა: მე არ მეწყინება, ძალიან გთხოვთ ამომარტყით პანდურებიო.

– აბაიმე, ქალო, აბა ამას უყურე, კიდევ რომ გვეხვეწება! – გაიოცეს ჩემმა ძაღულებმა.



მე ისევ დედაჩემისაკენ დავყარე ღონე და ისევ ვერ გაუტეხეს ხათრი, დამთანხმდნენ.

ბებიაჩემი, კოტორაანთ ქალი, გაჯიუტდა:

- \_ აქე ტყვია დამკარით და მე მაგ კაცს პანლურს არ ამოვარტყამ!
- \_ ვაიმე! მღალატობ, ბები?!
- \_ მე კი არა, შენ მღალატობ ამ სიბერეში.
- \_ მე რატო, მე რატო, როდისმე რამე გაწყენინე?
- \_ ეხლა მაწყენინე.
- \_ შენ ხომ მაინც იცი, რომ კინოა და რაც ხდება თამაშია.

ეს იმიტომ ვუთხარი, რომ მანამდე საკურსო ფილმში ვათამაშე მთავარი როლი და როცა თავის ჩამოხრჩობის სცენას ვიღებდი, ავუხსენი ბებიაჩემს, როგორ უნდა ეთამაშა ჩამოხრჩობის წინ განწირული ადამიანის ტრაგედია.

- \_ შენ მაგ აპარატის გესმის რამე? \_ მკითხა ბებიამ.
- \_ როგორ არა ბები, მეტს კი არაფერს მასწავლიან იმ ინსტიტუტში.
- \_ ხოდა, შენ შენს აპარატს მიხედე, მე კიდევ თვითონ ვიცი რა სახეც უნდა მივიღო ჩამოხრჩობის წინ, განა ერთხელ ჩამიბია ტყეში ხეზე თოკი და ორჯერ, გაჭირვებას დაუდგეს თვალი, რას არ გაგაბედვინებს, მაგრამ რო მაინც ტკბილია სული?! \_ მითხრა მაშინ ბებიამ და ისე ითამაშა ეს სცენა, ისე შეიჭრა როლში, კინალამ მართლა ჩამოგვეხრჩო. ახლა კი "ცივ ქვაზე" შედგა ფეხშიშველი ჩოხელივით.

- \_ რატო, ბები, რატო?!
- \_ მაგ კაცს ხო ცოლი ჰყავს?
- \_ ჰყავს მერე?
- \_ მერე ისა, რომ... შეყოყმანდა ბებიაჩემი და მეც მივეძალე.
- \_ რა მერე, რა მერე?!

\_ მერე ისა, რომ ერთიცი უადგილო ადგილას ამოვარტყა ფეხი და კაცობა დავაკარგვინო, ცოდვა არ არიან, ან ეგა და ან მაგის ცოლი, ჰა?!

\_ მაგაზე ნუ დარდობ ბები, ისეთი ფანერები ამოვაკარი შარვლის შიგნით, არაფერი მოუვა, \_ დავამშვიდე ბებიაჩემი და რაკი დავითანხმე, შევუდექით გადაღებას.

დედაჩემი ყველაზე გულმოდგინედ ურტყამდა პანლურებს, რომ სხვებისათვის მაგალითი მიეცა და იმათაც მაგრად ამოერთყათ. ათი თუ თერთმეტი დუბლი გადავიღე. საღამოს ქალაქიდან ავტობუსი ამოდიოდა ჩემს სოფელში და რამდენიმე წუთს მოედანზე ჩერდებოდა. დედაჩემმა ჩემი და გააცილა ავტობუსამდე. მძლოლი გადმოსულა და როგორც ჩვევიათ ხოლმე, ჯერ თურმე საბურავებს მიართყა წიხლი, მერე წაიღუნა და ყოველი შემთხვევისათვის, ქვემოდანაც შეხედა ავტობუსს. დედაჩემი ისევ გადაღების შთაბეჭდილებებში იყო გართული და წაღუნული კაცი რომ დაინახა, არც აცია, არც აცხელა, გაექანა და გულიანად ამოართყა პანლური. მძლოლი თავის ავტობუსის ქვეშ შევარდა, მერე გონზე რომ მოვიდა, ქვას წამოავლო

ხელი და გამოიხედა; დედაჩემის გარდა არავინ იდგა იქ. მძლოლმა ეტყობა, იფიქრა, გიჟიყო და უფრო შეიყუჟა ავტობუსის ქვეშ. სირბილით მოვიდა დედაჩემი სახლში და სწორედ მაშინ შემპირდა პანლურს.

– ხო გახსოვს? ხო გახსოვს? – ვეკითხები სიცილით დედაჩემს. ის ცდილობს გამიღიმოს, მაგრამ ეტყობა ამის თავიც აღარა აქვს.

– ერთი წუთით მოდი, შვილო! – პალატიდან გამიხმო მამიდაჩემმა, რომელიც საავადმყოფოს მთავარი ექიმი იყო.

– შენ უკვე დიდი ხარ იმ გრძნობის ასატანად, რასაც უდებოდ დარჩენა ჰქვია. აქ ხომ არ მოგკლავთ დედაშენს, შინ წავიყვანოთ. სჯობს, იქ დალიოს სული.

მე მომეჩვენა, რომ იმ წუთას ბურსაჭირის გზაზე წამოყუდებული კლდის ქვეშ ვიდექი, ზემოდან ლოდი გადმოგორდა და რომ არ დამცემოდა, კლდის ქვეშ შევაფარე თავი, იქ დედაჩემი იყო და კაბაზე ჩავებლაუჭე. ეს მაშინ მომეჩვენა, სინამდვილეში კი პალატაში შევვარდნილვარ და დედაჩემს ვეხუტებოდი. მამიდაჩემის მკაცრმა და მოსიყვარულე მზერამ ფეხზე წამომაყენა. მერე გუდამაყრის გზას მივუყვებოდი სასწრაფო მანქანით და როგორც ბნელ ღამეში ანათებს ციციანთელა, ისე მინათებდა არსებობას დედაჩემის უმწეო სული.

მზიანი დღე იყო. ხარები სასაფლაოსკენ მიმავალ აღმართს მიუყვებოდნენ. მარხილზე დედაჩემი ესვენა. სიჩუმეს თითქმის არავინ არ არღვევდა. მხოლოდ ხარები ფრუტუნებდნენ ხანდახან და ბიძაჩემი ელაპარაკებოდა იმათ:

– ხი, ჰო! თქვე ტივლებო. თქვენა, როგორ გივლიდათ და დარჩით ეხლა უპატრონოდ.

მერე ვიღაცას გადაულაპარაკა დანანებით:

– ეს ორმოცი დღეა, რაც ამის საქონელი გორაზეა გადმომდგარი და გზას გამოჰყურებენ; საქონელმა თუ ესეთი სიყვარული იცოდა, არ მეგონა. ისევ სიჩუმე ჩამოვარდა და რატომღაც ის მთვარიანი ღამე გამახსენდა, დედაჩემი რომ მიმიძღვებოდა ამ ადგილას წინ. მზის ამოსვლამდე უნდა აგვეხვეტა წინა დღეებში ნათიბი ბალახი და მთვარიან ღამეში წამომაყენა დედამ. წინ ის მიდიოდა მხარზე საფორცხველგადებული, უკან მე მივყვებოდი და ჩემი პირველი რომანის "ადამიანთა სევდის" დასასრულზე ვფიქრობდი.

ორი კითხვა მქონდა და ორი პასუხს ვეძებდი: – რა არის სიცოცხლე? და – რა არის სიკვდილი? ორი თვეა, პასუხს ვერ ვპოულობდი ამ კითხვებზე, არადა გადაწყვეტილი მქონდა, ამ კითხვების პასუხებით დამემთავრებინა "ადამიანთა სევდა".

მთებს შორის, ცაზე ბადრი მთვარე ანათებს. ჩემ წინ დედაჩემი მიდის და მთვარე მის აჩრდილს აგრძელებს. მთვარემ ასე იცის, ხანდახან ისე დაიგრძელებს აჩრდილს, უსასრულობაში გადალუნავს. იმ ღამესაც ასე მოხდა, გააგრძელა დედაჩემის

აჩრდილი, რომელიც ჩაუყვავ ხევს, მერე იქიდან ამოვიდა, ფერდობს აუყვავ, მეორე მთაზე გადავიდა და მთის მწვერვალს ასცდა. მე უცებ აჩრდილს თვალი მოვარიდე და დედაჩემს შევხედე: გამხდარი, ჩამოლეული, ძალიან უმწეო და უსუსური მომეჩვენა თავის აჩრდილთან შედარებით. უცებ ქვემოთ დავეშვი.

– ვიპოვე! ვიპოვე!

– რა იპოვე?!

– ადამიანთა სევდის დასასრული! – შევძახე დედას, რომელმაც ალბათ ვერაფერი გაიგო ჩემი ნათქვამიდან, მე კი გიჟივით შევვარდი სახლში და ასე დავამთავრე "ადამიანთა სევდა".

– რა არის სიცოცხლე?

– სიცოცხლე სევდა არის, ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა.

– სიკვდილი?

– სიკვდილიც სევდა არის, ადამიანად არყოფნის სევდა.

დავემშვიდობე. დავწყნარდი. თითქოს რაღაც საიდუმლო აღმოვაჩინე ადამიანებისთვის. მერე ისევ აღმართს შევუყევი, რომ დედაჩემს დავწეოდი... აი, ახლაც უკან მივდევ და რატომღაც სურვილი მიჩნდება, დედაჩემის საფლავის ქვაზე დავწერო როდესმე ეს სიტყვები.

– ხი, ჰო! – ხარებს აგულადებს ბიძაჩემი. დედაჩემი რომ სულს ლევდა, მაშინაც, ეგ მაგულადებდა:

– წადი, ძალუებს დაუძახე!

მე სოფელში დავრბოდი.

მერე ჩემი ძალუები აგულადებდნენ სულის გაყრისას დედაჩემს:

– ნუ გეშინია, ლელა, ნუ გეშინია!

და დედაჩემმაც უშიშრად შეაღო სულეთის კარი.

იმ ღამეს კი ერთ-ერთ ძალუას დასიზმრებია ისევ ცოცხალი.

– ყველაფერი მესმოდა, რასაც ჩამძახოდი: ნუ გეშინია, ნუ გეშინიაო! საშიში არც არაფერი არ ყოფილა, მარტო დარდი გამომყვავ, ლუკას ჯემპრს ვუქსოვდი და სახელოები ვერ დავუმთავრე, – დაღონებით უთქვამს სიზმარში დედაჩემს.

– ისე ცხადი სიზმარი იყო, არ შეიძლება ის ჯემპრი სადმე არ იყოს, – იძახდა ძალუაჩემი და სკივრებში ეძებდა ჯემპრს.

– აი! აი! ღმერთო, შე დალოცვილო! – წამოიძახა გაოცებულმა და დაგვანახვა დედაჩემის ნაქსოვი ჯემპრი, რომლებსაც მართლა სამხრეთთან ჰქონდა წინდის ჩხირები გაყრილი. მერე იმ ძალუამ მოაქსოვა სახელოები ლუკას ჯემპრს. დედაჩემი კი მკერდზე ხელებდაწყობილი მივაბარეთ მიწას. წავიდა ჩუმად, სევდასავით, ვერ დამელაპარაკა. სულეთის ქვეყანაში შეიყოლა ხუმრობით დანაპირები და უკვე ათი წელია მას აქეთ გასული, ასე მგონია, ის დღე არ დადამებულა, უბრალოდ, რაღაც მოხდა, ვიღაც უხილავმა, რაღაც კინოსცენა გადაიღო ჩვენი მონაწილეობით. მე კი ვიცი, რომ კინოსცენაში ყველაფერს თამაშობენ მსახიობები, მაგრამ ეს ცხადი სცენაა,

დედაჩემი მიწაში დავმალეთ, სული კი იმქვეყნად წავიდა და აი, რაღაც მოხდა, დაღამდა და სიზმარში მნახა:

– გაიღვიძე, შვილო, გაიღვიძე, ადექი, ანგელოზების სანახავად წადი! – ისე ცხადად ჩამძახა, თვითონ სიზმარიც კი, ცხადი მეგონა ერთხანს. უცებ გამახსენდა, რომ ამ დილით მთაში უნდა წავსულიყავი და რომ არა ჩემი სიზმარი, ავტობუსზე დამაგვიანდებოდა, ის-ის იყო სადგურიდან გასვლას აპირებდა, მე რომ მივედი. შორიდან დავინახე, დაიძრა და რამდენიმე მანძილი რომ გაიარა, გაჩერდა, მძლოლი დაბლა ჩამოვიდა, წაიხარა და ისე ათვალაიერებდა ავტობუსის ძირს.

ისევ გამახსენდა დედაჩემი და სიცილით ვკითხე მძლოლს:

– გაგვიფუჭდა რამე?

– რა გაცინებს მერე, არაფერიც არ გამიფუჭდა, არ შეიძლება ჩემს მანქანას შევხედო?!

– მაპატიეთ, რაღაც გამახსენდა და იმიტომ გამეცინა, – ბოდიში მოვუხადე მძლოლს და ავტობუსში ავედი.

გუშინ საპატრიარქოდან დამირეკეს და მთხოვეს წმინდა ნინოს გზაზე მომავალ მლოცველებს დავხვედროდი გუდამაყარში. ათი დღის წინ ისინი მყინვარწვერზე წავიდნენ, რომ ბეთლემის გამოქვაბულში ელოცნათ და იქედან ქვენამთის გადმოსასვლელით გუდამაყარში აპირებდნენ გადმოსვლას. გზაზე მართლა გაუფუჭდა მძლოლს ავტობუსი და თან მე მიყურებდა, თან ბუზბუნებდა:

– ისეთ თვალს დაგადგამენ რო, გაგიფუჭდება, მა რა იქნება!

რამდენიმე კილომეტრი ფეხით ვიარე და საღამო ხანს მივედი ჩოხში. ახალი ჩოხიდან ძველი ნასოფლარისაკენ ავუყევი აღმართს. მთის ფერდზე ჩოხის წმინდა გიორგის ეკლესია გამოჩნდა. ეკლესიის ერთ მხარეს საგვარეულო სასაფლაოა, ცოტა ქვემოთ კი ნახევრად დანგრეული სოფელი ჩოხი, სადაც ჩემი ბავშვობა გავატარე. ახლა აქ ისეთი მდუმარებაა გამეფებული, თითქოს რაღაცა უნდა მოხდეს, მაგრამ არაფერი არ ხდება, მარტო წარსული მახსენდება და ხანდახან ფრინველები გადაიფრენენ ხიდან-ხეზე. დედაჩემის საფლავზე ბალახია ამოსული. ამდენი ხანი ქვა ვერ დავადე და ვერც ის ვერ დავაწერე:

რა არის სიცოცხლე? და რა არის სიკვდილი?

ხან ფული არ მეყო, ხან ნებისყოფა, უფრო კი სურვილი და სიყვარული, თორემ რატომ უნდა იყოს ასე მოუვლელი დედაჩემის საფლავი. ხელით ვეფერები მიწას, სადაც ჩემთვის ყველაზე საყვარელი ადამიანის სუსტი ძვლები მოჩანს, მის ზემოთ კი ხატის დარბაზებია, სადაც აღდგომას, ამაღლებას, მარიამობას, გიორგობას, შობას, ახალ წელს და კიდევ სხვა დღესასწაულებს ვხვდებით ხოლმე ჩოხელები. ხატის მოედანზე შესვლა აკრძალულია უდღეოდღეს, მარტო დღესასწაულის დროს მიგვესვლება იქ კაცებს, ქალები კი დანიშნულ სამანებს იქით ვერ შეაბიჯებენ. რატომღაც მგონია, რომ სამოთხის ბაღის მნიშვნელობა აქვს ამ მოედანს. კაცებს მხოლოდ დღესასწაულის დროს პატიობს ღმერთი სამოთხეში ჩადენილი ადამისა და

ევას ცოდვას, ქალებს კი არც მაშინ პატიობს, არ უშვებს საღვთო მოედანზე, რადგან ევამ უბიძგა ადამს აკრძალული ხილის შესაჭმელად. ამ მოედანზე ვიცი ერთი ადგილი, სადაც კაცებიც კი ვერ მიდიან, მარტო ბალებს მიგვესვლებოდა და სწორედ იმ ადგილას აღმოვაჩინე ბავშვობაში ჩემი უცნაური შესაძლებლობა: თუ იმ ადგილას მუხლმოდრეკილი ვილოცებდი, იმ ღამეს სიზმარში ვნახულობდი, რაც შემდეგ დღეს უნდა მომხდარიყო. თავიდან მართობდა ეს აღმოჩენა, მაგრამ მერე ისე დავიტანჯე, ახლოს აღარ ვეკარებოდი იმ ადგილს. საშინელება არის, როცა წინასწარ იცი, რაც მოხდება. ეს ისეთი დამღლეელი და დამთრგუნველი გრძნობაა, ცხოვრების ხალისს გაკარგვინებს... ამიტომაც ვერიდებოდი იმ ადგილს და მხოლოდ ერთხელ თუ ორჯერ გამოვიყენე, როცა წამოვიზარდე. ორივეჯერ "ბაკურხეველი ხევსურის" გადაღებაზე ვილოცე იქ. მაინცდამაინც იმ ზამთარს არ მოვიდა თოვლი და გადაღებისთვის აუცილებელი იყო თოვლი. მე წავილე სანთლები, ხავიწის ქაღები და ვილოცე. იმ ღამეს დიდი თოვლი მოვიდა. ეს ამბავი ჩემი კინოს მონაწილეებმა შემთხვევითობას მიაწერეს და დამცინოდნენ კიდევ. გაზაფხულის პირი იდგა და თოვლი მალე აშრა, ჩვენ კი ფინალის სცენა დაგვრჩა გადასაღები. მთელი გუდამაყარი და ხევსურეთი შემოვიარეთ, რომ სადმე, სოფელთან შემორჩენილი თოვლი გვენახა. ყველგან მწვანე ბალახი ბიბინებდა.

– აბა, ეხლაც სთხოვე ღმერთს და მოგიყვანოს თოვლი, ტყუილებით რო აგვიკელი!

– ირონით მითხრა ოპერატორმა, როცა ხევსურეთის ყველაზე მაღალ სოფელში ავედით და იქაც მწვანე ბალახი დაგვიხვდა.

– კარგი, წავიდეთ! – ვთქვი დარწმუნებულმა და წამოვედით გუდამაყარში.

ახალი ჩოხი დაბლა, არაგვის ქალაქია. იქ ცხოვრობდა მაშინ დედაჩემი. გამოვაცხოვრებინე ხავიწის ქაღები, ჩამოვახვიეთ სამი სანთელი და შევუყევი აღმართს.

– ნახევარ მეტრზე მეტი არ გვინდა-თქო! – შემომძახოდა სიცილით აივანზე გადმომდგარი ოპერატორი.

– იქნებ ცოტა შაქარიც გამოურიოს! – მომძახა ვიღაცამ.

– ფქვილიც, ფქვილიც!

– ღომის ღერღილი თუ იქნება უკეთესია!

სანამ გორას მოვეფარებოდი, მანამდე მეძახდნენ და დამცინოდნენ.

ავედი იმ ადგილზე.

ავანთე სანთლები.

ჯვარედინად დავსერე ხავიწის ქაღები და დავიწყე ლოცვა. ისეთი რწმენით ვთხოვდი ღმერთს თოვლს, ისე ვევედრებოდი, რომ მისი სიყვარულით და იმედით მთელ ტანში ჟრუანტელი მივლიდა.

ვერც კი შევამჩნიე, როგორ ჩამოწვა ნისლი ჩემს გარშემო და მთელს ხეობაში. თოვლის ფიფქი ჯერ სანთლის ალს დაეცა და აშიშინდა, მერე ხელზე დამეცა, მერე შუბლზე, მერე იმხელა ფანტელები წამოუშინა, უცებ გადათეთრდა მიდამო. შეშინებული წამოვდექი, ხელში ანთებული სანთლები მეჭირა და ვკანკალებდი,

ფეხის გადადგმას ვეღარ ვბედავდი. ძალა მოვიკრიბე, სანთლები ქვაში გამოთლილ ჯვარს მივაკარი და სახლისაკენ დავეშვი სირბილით.

სახლშიც შეშინებულები დამხვდნენ.

– ვაა, ტო! ვააა, ტო! – მარტო ამ ორ სიტყვას გაიძახოდა ოპერატორი.

გარეთ ხელისგულისტოლა თოვლის ფანტელებს ბარდნიდა ზეცა.

– ვაა, ტოო, ეს რა ქნა?! – როგორც იქნა, დაამატა თავის ორ სიტყვას კიდევ ორი სიტყვა ოპერატორმა.

დაბინდებამდე მუხლამდე მოვიდა თოვლი და კიდევ ხვავრიელად ბარდნიდა.

სალამოთი დედაჩემმა დამიმარტოხელა და გაფითრებული სახით მითხრა:

– შვილო, მე ვიცი, რომ მართლა შეგისრულა ღმერთმა თხოვნა, მაგრამ ხო შენი დედა ვარ, მეც შემისრულე ერთი თხოვნა, აღარასოდეს აღარ მიხვიდე იმ ადგილზე და არაფერი სთხოვო ღმერთს.

– რატომ, დედი?!

– იმიტომ რომ ღმერთი დიდია და შენ სურვილზე არ უნდა ატარო. ღმერთს თავისი წესი და რიგი აქვს.

– მე ხომ კეთილი საქმე ვთხოვე?

– შენთვის რაც კეთილია, სხვისთვის რო არ არის კეთილი, შვილო? აბა, რა იყო ეხლა ამ თოვლის მოსვლა; რამდენი ყვავილი ჩაჭკნება შიგ, რამდენ მწერს გაუმწარდება ცხოვრება, რამდენი კიდევ სხვა რამე აირია ამ თოვლის მოსვლით. გთხოვ, შვილო, აღარასოდეს მიხვიდე იმ ადგილზე.

– კარგი, დედი, აღარასოდეს აღარ მივალ, – შევპირდი მაშინ დედაჩემს და ეხლა ვნანობ, რომ სიტყვა მივეცი. აქედან კარგად მოჩანს ის ქვის ჯვარი და ისეთი სურვილი მაქვს იქ მისვლის, ლამისაა წამოვხტე. რამდენი რამე მაქვს ღმერთთან სათხოვარი, მაგრამ დედაჩემის წილი მიწა არ მიშვებს იქ მისასვლელად.

მზე ირიბად ჩადის ოზანოს მთებში. ქვემოთ ჩამოვედი, ჩემს ნასახლართან ადრე აქ უშველებელი სამსართულიანი ბანიანი სახლი იდგა, რომელსაც ჩოხელები შულლიანთ სახლს ეძახდნენ. შულლიანი ჩვენ ვიყავით. ჩოხელების თემში კიდევ იყვნენ: ხიზანიანი, ლაზარიანი და ომარანი.

შულლიანთ სახლი წმინდა გიორგის ხატთან იდგა. იქვე იყო თეთრი ბაზილიკა, რომელიც თავის დროზე კომუნისტებს დაუკუტიათ და დღემდე აღარ გაღებულა. დღემდე აღარ ჩატარებულა იქ არც წირვა, არც ნათლობა, არც ზიარება. ეკლესიის მოედანი ქვებით არის შემოზღუდული და იქ მარტო ხევისბერი და ჩოხის წმინდა გიორგის დასტურები შედიან დღეობის დროს ზარის დასარეკად.

ეზოში მსხალტკბილა იდგა და ბალებიცი შევიპარებოდით ხოლმე იმ ეზოში. ნეკა თითის ფრჩხილისტოლა პატარა მსხლებს ისხამდა ეს მსხალტკბილა და მართალია, აკრძალული გვექონდა ეკლესიის გალავანში შესვლა, მსხალტკბილა თავისას შვრებოდა. ადამის შთამომავლები, ადამის ცოდვას ვაგრძელებდით; მთვარიან

ღამეებში მივცოცავდით იმ მსხალტკბილზე და აკრძალული ხილის ჭამით ვტკბებოდით.

ერთხელ კი იმ მსხალტკბილზე მჯდარი პატარა ანგელოზები ვნახეთ მე და ჩემმა ბიძაშვილებმა. ის იყო, პირველი მე უნდა ავცოცებულიყავი ხეზე, რომ ჩემა ბიძაშვილმა დამიძახა:

- \_ მაიცა, ბიჭო, არ ახვიდე!
- \_ რატო!
- \_ ვერა ხედავ?
- \_ რას?
- \_ რასა და ანგელოზებს?!

მე მალა ავიხედე და მსხალტკბილის კენწეროზე მთვარის სხივებით განათებული ტაბლა დავინახე. ტაბლაზე შოთი პური იდო, ზედ სამი კვერი ეწყო და იმ კვერებში სამი ანთებული სანთელი იყო ჩარჭობილი; სანთლების გარშემო თორმეტი პატარა ანგელოზი იჯდა, კვერებს ნამცეცებს ატეხდნენ და ჭამდნენ. ანგელოზები ბელურებისტოლა იყვნენ, თავი ადამიანების ჰქონდათ, ტანი კი ბელურებს მიუგავდათ და ხელების მაგივრად ფრთები ჰქონდათ მკერდზე დაწყობილი.

- \_ მე მგონი, ესენი სახლის ანგელოზებია! \_ თქვა ჩემმა ბიძაშვილმა.
- \_ რა იცი?
- \_ ხმიადს, სამ კვერსა და სამ სანთელს ხომ სახლის ანგელოზებს ვუდებთ ანგელოზთღამეობას.
- \_ ხოო!
- \_ ხო და იქნებ დავიჭიროთ.
- \_ დავიჭიროთ არა, ისაა, ღმერთი გაგვიბრაზდება.
- \_ არაფერიც არ გაგვიბრაზდება, სახლში რომ გვეყოლება, ბარაქით აგვევსება სახლი.

შუღლიანთ სახლი ყველაზე დიდი იყო ჩოხში. უზარმაზარი გრძელი დარბაზი ბორწნელებით იყო გადაყოფილი ოთხად და ზამთარში, ანგელოზთღამეობას, ზუსტად აღარ მახსოვს რა დროს ვდღესასწაულობდით ამ ღამეს, ოთხივე დარბაზში თორმეტ საათზე სახლის გულთაბოდის ნიშაზე შოთ პურს ვდებდით, რომელზედაც სამი ხავიწის მრგვალი კვერი იდო და კვერცხის გულელებში ჩარჭობილი სანთლები ენთო. ჩვენ სახლის მარჯვენა ნაპირის დარბაზში ვცხოვრობდით და დღესაც მახსოვს ის საოცარი ნათება, შოთ პურებზე ანგელოზებისათვის ანთებული სანთლები რომ ანათებდნენ შუღლიანთ დარბაზს. ბორწნელსა და ბორწნელს შორის კრთებოდა სანთლების ლიცლიცი, სულიწმინდა მიმოდოდა სახლის დარბაზებში და ღმერთის მადლით გახარებული ვიყავით შუღლიანნი, სხვა დროს ყოველთვის მოშულლარნი, ანგელოზთღამეს მშვიდად ვიყავით.

- \_ დედა, სად არიან ანგელოზები? \_ ვეკითხებოდი დედაჩემს.
- \_ აქ არიან, შვილო, აქ!

- \_ აბა სად, მე რომ ვერ ვხედავ?
- \_ დაინახავ.
- \_ როდის?
- \_ როცა დანახვა შეგეძლება.

იმ ღამეს მართლა დავინახე, ეკლესიის გალავანში მდგარ მსხალტკბილზე.

ჩემმა ბიძაშვილმა შურდულში ქვა ჩადო.

- \_ რას შვრები, ღმერთი გაგიწყრება.
- \_ არაფერიც.
- \_ აი ნახავ.

\_ აი, ნახავ, ანგელოზს რომ მივიყვან სახლში როგორ გავმდიდრდებით. დაატრიალა შურდული და ესროლა ქვა. ატრიალდა მსხლის ტოტებზე დასვენებული ტაბლა, დაბლა ჩამოცვივდა ხმიადი და ხავიწის კვერები, რომელთაც ერთი ფრთამოტეხილი ანგელოზი ჩამოჰყვა მიწაზე.

ჩემი ბიძაშვილი დასაჭერად გაეკიდა, მაგრამ ანგელოზმა ეკლესიის კარის ღრიჭოში შემაღვა მოასწრო. დანარჩენი ანგელოზებიც სარკმლიდან შეფრინდნენ ეკლესიაში.

\_ რა ქენი, რატო მოტეხე ფრთა? \_ ვეცი ბიძაშვილს და ისეთი ჩხუბი მოგვივიდა, ხალხი იძულებული გახდა ეკლესიის გალავანში შემოსულიყო ჩვენს გასაშველებლად.

\_ შულლიანნი არ არიან, მაგათთვის სულ ერთია სად იშულლებენ, \_ დიდხანს დაგვცინოდნენ დანარჩენი ჩოხელები იმ ჩხუბის მერე. მე კი თითქმის ყოველდამე ვდარაჯობდი, რომ მსხალტკბილის კენწეროზე კიდევ მენახა ის ანგელოზები, მაგრამ წლები წლებს მისდევდა და მაინც აღარ გამოჩნდნენ. ის მსხალტკბილიც ერთმა ურწმუნო კაცმა მოჭრა ზამთარში შეშისათვის.

ეკლესია კი არავის არ გაუღია. დღესასწაულებს ვზეიმობდით ჩოხის წმინდა გიორგის დარბაზებში, ეკლესიის გაღებას კი ვერავინ ვერ ბედავდა კომუნისტების შიშით. შემდეგ ეს შიში, ღვთის შიშში გადაიზარდა და ყველამ ირწმუნა, რომ თუ ეკლესიის დაკეტილ კარს გააღებდა, ცუდ რამეს შეამთხვევდა ღმერთი.

მთელმა ჩემმა ახალგაზრდობამ ისე გაიარა, მარტო სიზმარში მეღანდებოდნენ ეკლესიაში შეფრენილი ანგელოზები.

ერთხელ კინოსთვის ადგილებს ვარჩევდი ვერტმფრენით და შატილიდან რომ ავფრინდით, პილოტს ვკითხე:

- \_ ჩოხში ვერ დაჯდები?
- \_ ვინა გყავს?
- \_ რაა?
- \_ ვინა გყავს მეთქი ჩოხში?
- \_ დედა.



– ვერტმფრენი გუდამაყრისაკენ გაფრინდა და ჩემი სოფლის თავზე დაიწყო ტრიალი.

ჩაეშვა,

ჩაეშვა,

ჩაეშვა

და

პირდაპირ ეკლესიის წინ დაჯდა.

– წამოდით, შვილებო, წამოდით, თქვენამც გაგახარებთ ღმერთი ჩემი გახარებისათვის! – სახლში მიგვიპატიჟა დედაჩემმა.

ჩემ სახლში სანატრელი სუფრა დამიხვდა. ხინკალს ცხელი ორთქლი ასდიოდა. ძველებურ დარბაზში შევედი და სახლის გულთაბოდის ნიშაზე შოთ პურსა და ხავიწის კვერებს მოვკარი თვალი.

– დედი, წუხელ ანგელოზთდამეობა იყო?

– ხო, შვილო, იყო და ანგელოზებმა მახარეს, შენი შვილი ციდან ჩამოფრინდებო?

– კაი ერთი!

– შენ სიყმეს ვფიცავ, თან ყვავმაც მახარა ამ დილით.

– კაი, კაი, დედი, ნუ გადამირევ ამ ხალხს, ჰაერში ფრენა უნდათ.

– შენ გაუმრავლდი დედაშენს, შვილო, ცოცხალი გყავს? – პილოტს ჰკითხა დედაჩემმა.

– ჰო, დედი, გოდერძიმ რომ მითხრა, დედა მყავს ჩოხშიო, იმიტომ ჩამოვფრინდი, თორემ რომ გამიგონ ასეთ ადგილზე დავფრინდი, დამაჯარიმებენ.

– ღმერთის ანგელოზებმა დაგიფარონ, შვილო! – დალოცა პილოტი აფრენისას დედაჩემმა.

– მეც მარტო დედა მყავს სოფელში, – სევდიანად ჩაილაპარაკა პილოტმა ისე, რომ თითქმის ვერავინ ვერ გაიგო პროპელერების ხმაურში.

მერე გავიგე, აფხაზეთის ომში დაღუპულა ის მფრინავი. ადამიანებშიც ალბათ არის ანგელოზის ბუნება და იმიტომ დაფრინავენ ჰაერში. სადამო ნელ-ნელა მიიპარებოდა ძველ ჩოხში. რაღაც ძალა იმ ღვთიური ადგილისაკენ მეწეოდა, სადაც ღმერთი იმ ღვთიურ სურვილებს მისრულებდა ბავშვობაში, მაგრამ დედაჩემისათვის სიტყვა მქონდა ნათქვამი და ვერ დავარღვევდი, ვერ გავტეხდი ფიცს. მე ჩემი თავისა და ჩემი სურვილის წინაშეც კი ჯიუტი ვარ. სწორედ ჩემზეა ნათქვამი: ფეხშიშველი ჩოხელი ცივ ქვაზე შედგა, ეხვეწნენ, ჩამოდი, თორემ გაცივდები და მოკვდებიო. არ ჩამოვიდა. ცივ ქვაზე მოკვდა.

რამდენი რამე შეიძლება რომ ვთხოვო იმ ადგილზე ღმერთს და ვიცი, რომ ამისრულებს. მე კი ვერ ვთხოვ, სიტყვა არ მინდა გავტეხო.

გარდაცვლილს როგორ ვუღალატო?

რა ვქნა?

რა ვიღონო?

სამილე გავშალე და ჩემ ნასახლარში დავწექი. ჩემ ნასახლარში კი არა, შუღლიანთ ნასახლარში. მე რა მოშულლარი ვარ, დედის ჯიშზე ვარ. პირველი, რაც ჩემს შვილს ვურჩიე, ის იყო: ჭიანჭველას ფეხი არ დაადგა, წინ იყურე მეთქი. მერე, როცა სადღაც მივდიოდით, ჩამომრჩა და აცა-ბაცა ადგამდა ფეხებს. დავუყვირე:

– შე შობელძაღლო, რა აცა-ბაცა მოაბიჯებ!

– მამა, შენ არ მითხარი ჭიანჭველებს ფეხი არ დაადგაო, დადიან და რა ვქნა?! – მითხრა დაბნეულმა ლუკამ და გაჩერდა.

ლუკას მართლა არა აქვს შუღლის გრძნობა.

ნიკა კეთილია, მაგრამ ვგრძნობ, რომ შუღლიანთ ჯიშზეა წასული და შეუძლია მსხალტკბილზე ჩამომჯდარ პატარა ანგელოზებს ქვა ესროლოს შურდულით.

ჩემ ნასახლარში ვწევარ და ზემოდან თეთრი ბაზილიკა დამყურებს.

ერთხელ, ბავშვობაში მაგ ეკლესიის თავზე დავფრინავდი სიზმარში. ეკლესიის გალავანი ხალხით იყო სავსე და მე შემომყურებდნენ. ერთი ლამაზი გოგო დავინახე იმათ შორის. იმან ხელი დამიქნია და შემომძახა:

– ჩამოდი დაბლა, ჩამოდი!

– მიწაზე დგომა არ შემიძლია, ვერ ჩამოვალ. რატომღაც მეგონა, რომ მიწაზე ვერ დავდგებოდი. – შენ ამოფრინდი ზემოთ.

– მე ფრენა არ შემიძლია.

დაღონებულს და შეყვარებულს გამომეღვიძა. იმ დღის მერე მიყვარდა გოგო, რომელიც მარტო სიზმარში მყავდა ნანახი და სახელიც კი არ ვიცოდი მისი.

თბილისში რომ ჩამოვედი სასწავლებლად, გაჩერებაზე, ტროლეიბუსის ფანჯარაში სწორედ ის გოგო დავინახე, სიზმარში რომ შემიყვარდა და ამდენი ხანია ვეძებ. მომეჩვენა, რომ გამიღვიძა. მინდოდა ტროლეიბუსს გავდევენებოდი, მაგრამ ნაბიჯიც ვერ გადავდგი ადგილიდან.

მერე კი, მაინც ვიპოვე, სახელიც გავიგე და ახლა ჩემი მეუღლე არის.

ახლა ვუყურებ ამ ეკლესიას, მახსენდება ის სიზმარი და რატომღაც ძალიან მენატრება ნინო. სიზმარი რომ მოვუყევი, გაიცინა: ხო ხედავ, რა ძალა მაქვს, მაინც ჩამოგიყვანე ციდან და მიწაზე დგომა გასწავლე.

,

მოპირდაპირე მთაზე მგლები აყმუვლდნენ.

– რაც ჩეჩნეთის ომი დაიწყო, მგლებით გაივსო აქაობა, – შემომჩივლა წელან ბიძაჩემმა.

საღამო ხანს თოფები ტყვრებოდა საკიდობნიას ხევში. ეტყობა, მგლებს თოფავდნენ.

შუალამისას ღმუილი ატყდა.

ვერ წარმოიდგენთ, რა მქისეა მგლის ყმუილი, როცა შენს ნასახლარში წევხარ, დედა არ გყავს, არც ანგელოზთლამეობის სანთელი ანთია და ადამიანთა სევდას ჰყავხარ შეპყრობილი.

– აუუუუუ! – ყმუის მგელი. ეს არ არის დედა მგლის ყმუილი, ეს უფრო პატარა მგლების ყმუილია, რომელთაც ალბათ, ადარა ჰყავთ დედა, წელან თოფების ხმა რომ ისმოდა, შვილებს გაერიდა და სხვაგან მოკვდა.

– აუუუუუ! – როგორ მინდა, რო მეც ასე გავყვირო მთელ წუთისოფელს, მაგრამ მე ხომ მგელი არა ვარ, ერთი უმწეო, შულლიანთ უშულლო მონაგარი ვარ, ბალახზე ფეხის დაბიჯება რომ მერიდება და მაინც მინდა მგელივით ვიყმუვლო.

– აუუუუუ! – ყმუის ჩეჩნეთიდან გადმოხვეწილი მგლის ლეკვი ჩემი სოფლის გაღმა.

გორზე მთვარე გადმოდგა და მგლებიც ჩაჩუმდნენ. მთვარე ეკლესიასაც ანათებს, საფლავებსაც და ნასახლარებსაც.

გუდამაყრის ხეობასაც ანათებს, ცაზე მიბჯენილ მთის წვერებსაც.

შავ არაგვსაც.

და მთვარის ზემოთ, ტკბილ საგალობელს წკრიალებენ ვარსკვლავები.

ნეტავ რა ხდება ახლა იქ?

ამას წინათ კინოს ვიღებდი და რომ დავწექი დასაძინებლად, რაღაც ძალამ ამაყენა ლოგინიდან, ჩავიცვი, ფეხაკრეფით გამოვედი სახლიდან და ზემოთ წავედი. გზაზე მივხვდი, იმ ადგილისაკენ მივდიოდი, სადაც ღმერთი სურვილებს მისრულებს.

– არა, არა, მე სიტყვას არ გავტეხ! – ვუთხარი ჩემ თავს და უკან დავბრუნდი.

– მოიცა, სად მიდიხარ! – მომესმა და მივბრუნდი.

ისეთი სიხარული ადამიანებთან შეხვედრისას არასოდეს არ განმიცდია. ჩემ წინ იდგნენ ახალგაზრდა გოგო-ბიჭები, რომლებიც მილიმოდნენ და ისე მიხაროდა მათთან შეხვედრა, თითქოს დიდი ხნის ნანატრ ადამიანებს ვხვდებოდი.

– შენ ჩვენ ვერ გვიცნობ. ჩვენ მიწაზე ხომალდით მოვედით. დედაშენი ჩვენ ვარსკვლავზე ცხოვრობს და შენთან გამოგვაგზავნა. გვითხრა, ჩემმა შვილმა იმ ადგილზე ილოცოს, ღმერთი სურვილებს რომ უსრულებსო.

– მე სიტყვა მივეცი, რომ იქ აღარ მივალ.

– ერთხელაც უნდა მიხვიდე, მიწისძვრას უნდა გადაარჩინო ხალხი.

იმათ ორი ჩანთა მომცეს და მითხრეს:

– ერთი ლუკას, მეორე ნიკას. – მერე წინ გამიძვნენ სადაც სურვილებს მისრულებდა ღმერთი.

კარვები გაშალეს.

ბროლის ჭიქით რაღაც მომაწოდეს.

ჭიქაში ჩასხმულ სითხეში პატარა სოკოები დაცურავდნენ და მე გადავღვარე. იმათ სიცილი დაიწყეს:

– დასალევი ჰგონია.

მეორედ ჩამომისხეს.

– დედაშენის ხათრით გისხამთ მეორედ. დედაშენი ჩვენ ვარსკვლავზე ცხოვრობს და ყველას ისე გვიყვარს, რომ გვთხოვა შენთან მოსვლა, იმიტომ წამოვედით.

– დედაჩემი რატომ არ მოვიდა?

– დედაშენმა სიტყვა ჩამოგართვა, რომ ღვთის რჩეულ ადგილზე არ მიხვიდოდი და არ უნდოდა თავისი აქ ყოფნით გაგეტეხა სიტყვა.

– მე ჭიქაში მდგარი სითხე დავლიე და ისეთი სითბოთი ავივსე, რასაც სიტყვებით ვერ აღვწერ. ამის მერე მივედი იმ ქვის ჯვართან და ვთქვი:

– ღმერთო, დაგვიფარე!

ერთი კვირის მერე ძლიერმა მიწისძვრამ გამომალვინა თბილისში და როცა ყველაფერი დაწყნარდა, ტელევიზორში გადმოსცეს:

– მიწისძვრის ეპიცენტრი გუდამაყარში იყო. ნგრევა და ხალხის მსხვერპლი არ არის.

– ღმერთო დიდებულო!

გუდამაყრელები ჰყვებოდნენ, რომ მიწისძვრის დროს წმინდა გიორგი იდგა მთის წვერზე და ცეცხლის სვეტებს იგერიებდა.

რა არის ეს?!

ან დედამოკლული მგლის ლეკვები რატომ აღარ ყმუიან? – ვეკითხები ვიღაცას და უცებ მოპირდაპირე მთიდან ისმის მგლების ყმუილი. რომელიც უფრო ბეთჰოვენის მუსიკას ჰგავს, ვიდრე ჩეჩნეთიდან აყრილ მგლების ყმუილს.

დილით, გარიჟრაჟზე დავადექი ბურსაჭირისაკენ მიმავალ გზას. მკერდწამოყუდებულ კლდესთან რომ მივედი, რატომღაც მომინდა ჩემ გამოქვაბულში ასვლა.

არც მუხლი წამომყვა კლდეზე, არც გული. არადა, მინდოდა ჩემი გამოქვაბულიდან კიდევ ერთხელ გადმომეძახა დაბლა:

– ეი, ვინა ხარ მანდ, რომ ჩემი შიშით დაბლა ჭიანჭველას ვერ გაუვლია და მაღლა ფრინველს!

ორი ნაბიჯითაც ვერ ავცილდი კლდეს. მაინც იხტიბარი არ გავიტეხე და ქვემოდან შევძახე გამოქვაბულს:

– ეი, ვინა ხარ მანდ, რომ ჩემი შიშით დაბლა ჭიანჭველას ვერ გაუვლია და მაღლა ფრინველს!

– წადი შენი! – ჩამომძახა ვიღაცამ გამოქვაბულიდან.

წავედი.

ქვენამთის გადმოსასვლელთან შევხვდი წმინდა ნინოს გზაზე მოსიარულე მლოცველებს.

იმათ ჩემი დახვედრით გაიხარეს, მე – იმათი შეხვედრით.

ის ღამე ბურსაჭირში გავათენეთ, იქ სადაც დედაჩემს წნევამ დაარტყა და მეტყველება დაკარგა. ჩვენი მასპინძელი ნინო იყო, მართლა შეძლო ერთი პურით ამდენი მორწმუნის დაპურება.

მეორე დღეს ჩოხში ჩამოვედით.

– გუდამაყრიდან ისე როგორ უნდა წავიდეთ, რომ წირვა არ ჩავატაროთ?! – მითხრა მეუფემ, – ეკლესია არ არის?

– კი არის, მაგრამ...

– ძალიან კარგი, რა მაგრამ?!

– არავის არა აქვს იმის გაღების უფლება და ვერც მე ავიღებ ჩემ თავზე.

– აბა ვის შეუძლია?

– მარტო ხევისბერს, მაგრამ....

– რა მაგრამ?

– ხევისბერი ვერ ბედავს იმის გაღებას.

ხევისბერმა დიდხანს უყურა მის ქვეშ მყოფ მიწას, მერე მალა აიხედა და თქვა:

– დაილოცოს ღმერთო, შენი სამართალი!

მერე?

ხევისბერი აღსარებას აბარებდა მეუფეს მიწისძვრისაგან დაბზარულ ეკლესიაში, რომელიც წმინდა ნინოს გზაზე მლოცველებმა მორწმუნე ქართველებმა ხელებით გაწმინდეს.

მერე მეუფემ ხევისბერი აზიარა.

მერე,

მე ვეზიარე.

მერე ჩემი ბიძაშვილები:

შულლიანნი, ხიზანიანნი, ლაზარიანნი და ომარანნი.

ხატის დასტური რეკავდა ზარს.

ხევისბერი გაბრწყინებული სახით გვიყურებდა და გვეუბნებოდა: შვილებო, მე ამ ეკლესიაში მოვიწინათლე, აქ დავიწერე ჯვარი და აქ ვღებულობ ზიარებას. მერე ისე მოხდა, რომ თვითონ მე გადამაყრევინეს აქედან საღვთო წიგნები.

დღეის მერე კი, ვისაც რა შეგიძლიათ, ის შემოიტანეთ ამ ეკლესიაში.

სასურველი კი იქნება: სუფთა გული და სუფთა წადილი.

მე ხევისბერის მერე ვეზიარე და გარეთ რომ გამოვედი, რატომღაც იმ ადგილას გავხედე, სადაც ღმერთი სურვილებს მისრულებდა.

სულში დიდი სიმშვიდე ვიგრძენი, მივხვდი, ღმერთმა სწორედ ის შემისრულა, რაც მთავარია ადამიანისათვის – არა მხოლოდ შენთვის, არამედ ღვთისაგან და შენნაირი ადამიანებისთვის.

მე დავეკეტე ეკლესიის კარის ბოქლომი.

მერე უცებ გამახსენდა, რომ რაღაც დამრჩა ეკლესიაში და ისევ გავაღე კარი.

შიგნით შესულს ისევ ცხადად ჩამესმა დედაჩემის ხმა:

– გაიღვიძე, შვილო, გაიღვიძე, ადექი, ანგელოზების სანახავად წადი.

ამის მერე კი დავინახე, რომ საკურთხეველზე სეფისკვერის გარშემო, ის თორმეტი, ბელურასავით პატარა ანგელოზები ისხდნენ, სამსხვერპლოზე დაცვენილ სეფისკვერის მარცვლებს კენკავდნენ და ჟღურტულებდნენ. მაღლი ღვთისა მიმოდოდა მათ შორის და სულიწმინდა ლიცლიცებდა ეკლესიის სარკმელიდან შემოჭრილ მზის სხივებში.

,

– კიდევ რა მინდა?

– მინდა ყველას გითხრათ, რომ ყველა დედა ამქვეყნიური ანგელოზია და ვისაც ცოცხალი გყავთ, ღმერთმა ყველას დიდხანს გიცოცხლოთ; ვისაც არა, ღვთის საუფლოში გაგინათლოთ. ამის სათხოვნელად ნამდვილად მივალ იმ ადგილზე, სადაც ღმერთი სურვილებს მისრულებდა ჩემს ბავშვობაში.

ალბათ დედაჩემის სულიც შემეწევა და არ ჩამითვლის სიტყვის გატეხად.

## სიყვარულის ცეცხლი

სება სახელია.

ამ შემთხვევაში ცისა და მიწის ანაბარა დარჩენილი, ოთხმოც წელს მიღწეული, კაცის სახელი. ცისა და მიწის გარდა კიდევ ერთი მარჩენალი ძროხა ჰყავს სებას იმედად.

ძროხას მთორია ჰქვია. შუბლზე თეთრი მთვარე აქვს გამოსახული. ფერით წითელია. რაკი აქაურები მთვარეს მთორეს ეძახიან, იმიტომ შეარქვა სებამ მთორია. სხვა ძროხაც ჰყავდა სებას, იმას მესკვლიას ეძახდა, რადგან ვარსკვლავით თეთრი წინწკალი ჰქონდა შუბლზე. აქაურები ხო ვარსკვლავსაც მესკვლევს ეძახიან.

მესკვლია გასულ წელს ელიას მთაზე გადმოვარდა. დარჩნენ სება და მთორია ეულად. დიდხანს დარდობდნენ მესკვლიას სიკვდილს. თვალეებში სევდა ჰქონდათ ჩამოწოლილი. დროდადრო, ხან კაცი ამოიოხრებდა, ხან ძროხა.

შემოდგომა მიიწურა და ჰაერში ზამთრის სუნი დატრიალდა.

ჩამოთოვა.

თოვლმა რაღაც ზეციური სიხარული მოიტანა. კაცსა და ძროხას დარდი გადაჰყარა გულიდან. თითქოს ზეცა მოახლოვდა მათთან. მოახლოვდა და თოვლის ფიფქებით უჩურჩულა ის მარადიული საიდუმლო, რაც ზეცის საუფლოში ხდება.

სება და მთორია ერთ ოთახში ცხოვრობენ. ძროხაა მოხუცის სიმარტოვის დამაფრთხობელი. აქაურ სოფლებს სოფლები ჰქვია, თორემ ამ თოვლით გადაპენტილ ხეობაში, იმის მიხედვით, თუ რამდენი სახლის საკვამურიდან ამოდის ბოლი, კარგად მიხვდები, რომელ სოფელში რამდენი კომლი ცხოვრობს.

სებას სოფელში მხოლოდ სება და მთორია ცხოვრობენ.

ზამთარი გრძელია და გაუთავებელი ღამეებით სავსე.

მთორია მაკედ არის. ამიტომაცაა სება მის მიმართ ზედმეტად მზრუნველი. სადღაც, ძველ კიდობანში, თავისი ახალგაზრდობის დროინდელი რუსული შინელი იპოვა და ძროხას ჩააცვა, რომ არ გაუცივდეს. არც იმდენი შემა აქვს, ოთახი ნორმალურად გაათბოს ღამ-ღამობით, როცა იანვრის ქარი ისე ზუზუნებს, მოხუცის სულს რაღაც შორეულ ელდასა ჰგვრის, მთელ მის წარსულში ფორიაქობს და ამსოფლიური ამაოების შეგრძნებას უძლიერებს.

ამაოდ გამქრალა ოთხმოცი წელიწადი და ეს იცის იანვრის ქარმა.

ზუზუნებს მოხუცის სულში!

ზუზუნებს მოხუცის გულში!

ზუზუნებს მოხუცის ძვლებში!

ზუზუნებს მოხუცის მუხლებში!

და ზუზუნებს მოხუცის უიღბლოდ ჩაფერფლილ სიყვარულში...

გმინავს მოხუცი

და

გმინავს

მთორია. ხბოს აჩენს. ეს მისთვის პირველი მშობიარობაა.

დაიხრჩო, ვერ გადაარჩინა სებამ ხბო. ძროხამ არ იცის რა ხდება. მას დედური ინსტიქტი უბიძგებს შვილისაკენ, რომელსაც სება რატომღაც არიდებს, ახლოს არ აკარებს, რომ ძუძუ მოაწოვოს და უფრო მეტი, ამ სიცივეში, მისი შვილი გარეთ გაჰყავს და სადღაც მალავს, უკან მარტოკა ბრუნდება. ძროხა ზმუის, გარეთ გასავარდნად იწევს, მაგრამ ყელზე გამოზმული საბმელი არ უშვებს.

გარეთ იანვრის ქარი ზუზუნებს.

ზუზუნებს მთორიას სულში!

ზუზუნებს მთორიას გულში!

ზუზუნებს მთორიას ძვლებში!

ზუზუნებს მთორიას მუხლებში, რომლებიც ისე კანკალებენ, ძლივს იკავებენ მას, რომ არ წაიქცეს.

და ზუზუნებს სულ ახლახან უიღბლოდ ჩაფერფლილ დედაშვილურ სიყვარულში. მთორიამ ეს ჯერ არ იცის. იმას ჰგონია, რომ დაუმალეს და გარეთ გასავარდნად იწევს, მაგრამ ყელზე გამოზმული საბელი არ უშვებს.

გარეთ იანვრის ქარი ზუზუნებს.

ზუზუნებს.

ზუზუნებს...

და სახლის სარკმელში მთვარე ხან გამოკრთება, ხან კი, ეტყობა, ცაზე სათოვნელად მოჯარებულ ღრუბლებში იმალება.

,

გაზაფხულია!

ლალი, ხალისიანი გაზაფხული.

იღვიძებს მიწა. ნაზამთრალი სიზმრები მზის სხივებში ცხოველდება და ნაირ-ნაირ ყვავილებად გამოდის გარეთ. ეს ის დროა, როცა ყოველი არსი გამრავლების სურვილით იმუხტება. ეს ის დროა, როცა ყველას რაღაცა უხარია. დედამიწას სიყვარულისა და სიხარულის ჟრუანტელი უვლის მარღვებში, ჰაერი ისეა გაჟღენთილი სიხარულით და სიყვარულით, ყოველი სულდგმული, ვინც კი მას ისუნთქავს, ადგილს ვერ პოულობს, გულის სწორს ეძებს, მასთან შესაყრელად და საალერსოდ არის აღტყინებული.

არც ეს გაზაფხულია გამონაკლისი.

ერთ-ერთი მთის ფერდობზე ბებრის დამონძილ საფარტენსავით გასაცოდავებულ სოფლის ბილიკს კაცი და ძროხა მიუყვება.

კაცი სებაა, ძროხა მთორია.

სება შეძლებისდაგვარად კობტად არის ჩაცმულ-დახურული. მთელი ზამთრის გაბურღული წვერიც გაპარსული აქვს. როგორც ჩანს, მასაც უხარია გაზაფხული. მასაც ვიღაცისაკენ მიუწევს გული

და

ის ვიღაც იმ სოფელში ცხოვრობს, სადაც ახლა სება და მთორია მიდიან.

ძროხას ისევ შინელი აცვია და შორიდან მნახველს ეგონება, თითქოს ვიღაც თავზეხელაღებულ ოთხმოცი წლის მთიელს რუსის შინელში გამოწყობილი ჯარისკაცი დაუჭერია, იძულებით ოთხზე წაუკუზავს, წინ გაუგდია და ამ გაღულუნებულ გაზაფხულზე, როცა ყველას ლაღად, წელში გამართულად უხარია სიარული, ამ კაი დედამიწვილს, ეს საცოდავი შინლიანი ჯარისკაცი, იმ სოფლის აღმართზე მიჰყავს, რომელ სოფელსაც სოფლობისა ბევრი აღარც არაფერი ეთქმის; წედან არა ვთქვი, კარჩხაზე უპატრონოდ ჩამოკიდებულ დაგლეჯილ ბებრის საფარტენს უფრო ჰგავს, ვიდრე სოფელს.

მნახველს, ალბათ, ისიც გაუკვირდება, ამ ოთხმოც წელს გადაცილებულმა ბებერმა რითი დააშინა ეს პატოსანი ჯარისკაცი, რო ოთხფეხზე მიჰყავს და ხმის ამოღების უფლებასაც კი არ აძლევს. კიდევ კარგი სამართალი არსებობს და დღემდე რაღაც გვინახავს ქართველებს, რომ ჩვენი ავი საქმეები საქვეყნოდ არ გამოძეურდეს, თორემ ეს ამბავი რომ ამ მიყრუებულ სოფლის შარაგზაზე არ ხდებოდეს, მერე გენახათ მთელ მსოფლიოში ჩვენი ლანძღვა-გინება. ეს რო ვინმე რუსმა, ან უცხოელმა დაინახოს, რუსი ხო ასტეხავს განგაშს, ნახე რა დღეში ვყავართ ქართველებს, როგორ გვჩაგრავენ და გვავიწროვებენ, მაგათ შიშით გაზაფხულზე ორ ფეხზე ვეღარ გაგვივლია, სამართალი აღარ არისო?! არ ვესროლოთ ბომბებიო?!

გაჩუმდება მსოფლიო, მა რას იზამს.



კარგი, დავუშვათ რუსმა ვერ დაინახა და შეგვრჩა ეს ამბავი, მივარდნილი სოფლის ბილიკია, თანაც მიხვეულ-მოხვეული, არც ისე კარგად ჩანს შორიდან, მაგრამ ვინმე უცხოელმა რომ გამოიაროს? რუსებს თუ მობეზრებულ-მოყირჭებული აქვთ ამ დროს ჩვენ მთებში სიარული და ურჩევნიათ სხვა ქვეყნებში წავიდნენ, გახსნილია საზღვრები, აღარ არის საბჭოთა კავშირის რკინის ლოზე, წადი სადაც გინდა თუ ფული გაქვს. ამ იმედით ნაკლებად საშიშია, როგორ მიჰყავს მზით გაჩახჩახებულ გაზაფხულის დღეს, მჩაგვრელ ქართველს წაკუზული შინლიანი რუსი.

უცხოელმა რომ გამოიაროს, მერე რას შვრები. მე შენ გეტყვი ფოტოაპარატი არ ექნება. გადაუღებს სურათს და მთელი ქვეყნის ჟურნალ-გაზეთებს მოივლის მერე ის ფოტო. ეგ კიდევ არაფერი, ვიდუოკამერაზე გადაიღებს და მერე ნახე ტელევიზორების ყაყანი. მე შენ გეტყვი და კომენტარს ვერ გაუკეთებენ "იმნაირს", იმას კი არ იტყვიან ბებერი კაცია და ამას რა შეუძლიაო.

ამის მერე ხო გაიგებს და მერე ხო ეწყინება ამ ჩვენ დღემდეკეთილმოყვარულ რუსს. გამოაცხადებენ ტერორისტების ბუდედ ამ საწყალ სოფელს, გადმოუფრენენ ერთი-ორი თვითმფრინავით კავკასიონს და ვაი თქვენ, ჩემო სებავ და მთორიავ.

მაგრამ სებაი, რა თქმა უნდა, ამას არ ფიქრობს. იმან რა იცის რა ხდება დღევანდელ ქვეყანაზე. თავის ჯიელობაში ერთხელ იყო რუსის ჯარში, ეს შინელიც იქედან მოიტანა დაჭრილმა, ახლა მთორიას რომ აცვია. მართალია გაზაფხულია და საკმაოდ თბილა, მაინც იმიტომ არ ხდის შინელს მთორიას, ეშინია, გაზაფხულის გრილმა ნიავმა არ და-ჰკრას მთელ ზამთარს ნათბუნებ ძროხას. რომ დასცადოს და მოუკვდეს, მერე რა ქნას? ეს ძროხაა მაგის შემნახავი, მაგის სიბერის უღური, მაგის სიმარტოვის დამფრთხობი, მითუმეტეს მაშინ, როცა ზამთრობით იანვრის ცივი ქარი ზუზუნებს, სადღაც შორეული წარსულიდან ამაოების განცდა მოაქვს, მის სულში ატრიალებს, მის სხეულში აბედებს და ბნელ ღამეებში აკრთობს, აელდებს, აშინებს, როგორც იქვე, სახლის შორიახლო აყმუვლებული მგელი.

იქნებ მგელი არ არის და სიკვდილი ყმუის?

ვინ გაუფრთხობს მაშინ ამ შიშს, თუ არა ეს ძროხა. ის ხომ მისი დედაც არის თითქოს. მისი ცხელი რძით ითბობს სიბერისაგან გამომშრალ სხეულს. ადამიანები იმიტომაც ბერდებიან, რომ სხვა ყველაფერთან ერთად, თანდათანობით აკლდებათ სითბო: მშობლების სითბო, შვილების სითბო, შეყვარებულის სითბო, მეგობრებისა და ახლობელი ადამიანების სითბო და რაც მთავარია, იმედის სითბო. ადამიანს, დაბადებიდან, სულ თან დაჰყვება იმედის სითბო, ფიქრობს, რომ ერთხელაც იქნება... მაგრამ რაკი ის რაღაც ამ ქვეყანაზე თურმე არ ხდება, ნელ-ნელა, რაც წლები გადის, თანდათან ქრება იმედის სითბო და მართალია სიკვდილამდე მაინც ღვივის მისი ნაპერწკლები ადამიანის სულში, მაინც საზარელია სიმარტოვის ჟამს საიდანღაც მონაქროლის ამაოების ქარი.

რაკი თვითონ ენატრება სებას სითბო, ამიტომ ჰყავს თავის მარჩენალი ძროხა ასე თბილად. და გაზაფხულის სურნელით აღტაცებული, იმას როგორ იფიქრებს, რომ

მის წინ მიმავალი მთორია, ვიღაცას შინლიანი წაკუზული ჯარისკაცი ეგონება, თანაც ამას პოლიტიკურ სარჩულს დაუდებს, ზემოდან თვითმფრინავით გადმოუფრენს და მის სოფელს იმ საძმო სასაფლაოს მიწასავით ამოუთხრის, როგორსაც დიდი ხნის წინათ თხრიდა რუს ჯარისკაცებთან ერთად, დაღუპული თანამებრძოლებისათვის. ეს შინელი, ახლა მთორიას რომ აცვია, რა თქმა უნდა, მასაც ახსენებს იმ დროს, როცა მისი თანამებრძოლები, გაზაფხულის სუნით აღზნებულნი, სანგრებში ისხდნენ და შეყვარებულებს საალესრო წერილებს წერდნენ. სებამაც რამდენჯერმე მოსწერა ასეთი წერილი სალომეს, რომელიც ახლა იმ სოფელში ცხოვრობს, სადაც მთორია მიჰყავს. ამბობენ, რომ არსებობს უიღბლო სიყვარული. თუ სებას და სალომეს სიყვარული შეუღლებით დაგვირგვინდებოდა, მაშინ ეს იქნებოდა ჭეშმარიტად იღბლიანი სიყვარული, რადგან ორივეს თავდავიწყებით უყვარდათ ერთმანეთი და სიყვარულის იღბლიანობა კი იმით უნდა გამოიხატებოდეს, რომ ამ სიყვარულის შედეგი, სიყვარულით მოვლენილი შვილებია, რაც სალომეს და სებას ცხოვრებაში არ მოხდა.

სიყვარულთან ერთად, თუ სიყვარულის გარდა ამ ქვეყანაზე არსებობს ბედისწერა, რომელიც ყველაფერს თუ არა, თითქმის ყველაფერს განაგებს ადამიანის ამქვეყნიურ შარაგზაზე, ზოგისთვის რომ მარლაც შარაგზა არის და ზოგისთვის კი, მიხვეულ-მოხვეული, ეკლიანი ბილიკი. სიყვარული კი ისეთი ღვთიური გრძნობაა, გინდა შარაგზაზე იდგე და გინდა მიხვეულ-მოხვეულ, ეკლიან ბილიკზე, ამ გრძნობას უიღბლოს ვერ უწოდებ, იმიტომ რომ ის სიყვარულია!!!

სალალოს ფერდობზე, თხილიანში ჰქონდათ შეხვედრა სებას და სალომეს. სებას იქვე ახლოს ჰქონდა საბინაო, სალომემ კი თხილის მოსაკრეფად მოიმიზეხა იმ დღეს წასვლა.

მართალია მაშინ გაზაფხული არ იყო, მაგრამ შეყვარებულ ადამიანებს, რაკი ერთხელ სიყვარულის ცეცხლი წაეკიდებათ, მერე იმათთვის სულ გაზაფხულია, სულ გაზაფხულის სასიამოვნო ჟრუანტელი ჩქეფს იმათ მარღვებში.

შეიყარნენ სება და სალომე დათქმულ ადგილას. დახარეს თვალები, მერე თანდათან გაუბედავად შეხედეს ერთურთს და სალომეს თვალებიდან რაღაც ისეთი ცეცხლი შემოეგზნო სებას, უცებ რაც არ უფიქრია ის გააკეთა – ხელები შემოხვია მხრებზე, ტუჩებზე დაეკონა და თანდათან ისე დაკარგა გრძნობა, საკინძე შემოახია სალომეს. როგორც არაგვის ტალღიდან ამომხტარი კალმახები, ისე ამოხტნენ ქალის მკერდიდან ბროლის ძუძუები.

სალომემ სასოწარკვეთილი ყვირილი მორთო. ამ ხმამ გამოაფხიზლა სება, ქალს ხელი უშვა და უკან დაიწია.

იქვე ეგდო სალომეს გუდა და შინდის ჯოხი, რომელიც ძაღლების მოსაგერიებლად წამოეღო.

ჰაერში მზუოდა მუჟრიანი შინდის ჯოხი და სება იმასდა ახერხებდა, რომ სახეში არ მოხვედროდა. ჩაჩოქილი იყო, სახეს ხელებში მალავდა, გაქცევას არ ცდილობდა.

ძლივს დაწყნარდა სალომე.

სება ტკივილთან ერთად გრძნობდა, როგორ უსველდებოდა სისხლისაგან ზურგი. ასე ისხდნენ შებინდებამდე.

და თუ მართლა არსებობს უიღბლო სიყვარული, ეს შებინდება იყო მათი სიყვარულის უიღბლო შებინდება.

ისე კი, არც სალომე გათხოვილა და არც სებას მოუყვანია ცოლი. მართალია შერიგდნენ კიდეც, წყენაც დაივიწყა სალომემ, მაგრამ სებას ცოლობაზე უარი უთხრა.

– არ შემძლია იმ დღის დავიწყება. შენთან სიახლოვისას ყოველთვის გამახსენდება, როგორ გამეტებით გირტყამდი შინდის ჯოხს, როგორ მალავდი სახეს, რომ არ დამემახინჯებინე და როგორ მოგდიოდა ზურგიდან სისხლი. მე აღთქმა მივეც ღმერთს, რომ შენ სიყვარულს სხვას არ გავუფენ და არც იმაზე დაგძრახავ, ცოლს თუ მოიყვან...

მერე?

მერე ეს ხეობა ხალხისაგან დაიცალა.

რაკი არც სებას მოუყვანია ცოლი და არც სალომე გათხოვილა, სად უნდა წასულიყვნენ.

ჩამოხერდნენ.

ხანდახან ნავთისთვის ან მარილისათვის მიაკითხავენ ერთმანეთს. სება თიბვაში და შეშის მოტანაში ეხმარება სალომეს. ბევრს არასოდეს საუბრობენ. ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ბილიკი აერთებს მაგათ სოფლებს. როცა გზაზე ადამიანები ხშირად აღარ დადიან, გზამაც მოწყენა იცის. თანდათან ბელტდება და ვიწროვდება. მერე კი, სულაც ნაგზევი ხდება და ემატება იმ სიტყვებს, როგორიცაა: ნასოფლარი, ნასაყდრალი, ნასახლარი, ნაფუძარი, ნაცოლარი, და ვინ იცის, კიდეც რამდენი სიტყვა შეემატოს ამ სიტყვებს. ვინ გაიგებს, როგორ ქარს წამოუბერავს ზენაარი დედამიწაზე, თუ ადამიანები საერთოდ დაივიწყებენ ისეთ სიტყვას, როგორიცაა – სიყვარული!

სება კი თითქმის ნაგზევარზე მიდის, წინ რუსის ფარაჯიანი ძროხა მიუძღვება და გრძნობს, რომ ჯერ კიდეც ბობოქრობს მის გულში სიყვარული. მიდის და არ იცის, როგორ აუხსნას სალომეს, რა საქმისთვისაცაა სახლიდან წამოსული.

სიყვარულის ასახსნელად კი არ მიდის, გაზაფხულია და მთორიას მოზვერი სჭირდება. სებას მოზვერი არა ჰყავს, სალომეს კი, კაი ჯიშისანი ჭრელი მოზვერი ჰყავს. უნდა სებას, რომ ბერწი არ დატოვოს მთორია, დედობა გამოსცადოს. დანაშაულის განცდა არ ასვენებს, ის ღამე უდგას თვალწინ, მკვდარი ხბო რომ გაიტანა სახლიდან და მგლების შესაჭმელად გადააგდო. მთელი ორი კვირა საზარლად ღრიალებდა ძროხა. სებას შვილის სიყვარულის განცდა არ ღირსებია ცხოვრებაში და მთორიას ყვირილმა, რაღაც დიდი ტკივილი გააღვიძა მის გულში. ზამთრის ქარებისაგან აწეწილ ამაოების სევდებს უშვილობის სევდაც მიემატა. ამის გარდა, როგორ აუხსნას ძროხას, რომ ხბო მკვდარი იყო. გავიდეს, მგლების მიერ გამოხრული ძვლები იპოვოს და აჩვენოს? ამით ხომ უფრო გულს დასწყვეტს. არადა ისეთი მუდარის თვალეებით უყურებს ძროხა, ეტყობა ფიქრობს, რომ სებას ჰყავს დამალული მისი შვილი. ყვირის,

ემუდარება, რომ გამოუჩინოს, ანახვოს. სება კი წველის და მისი შვილის საკვები რძით, თვითონ ითბობს დროთასვლაში ამაოების უიმედო ქარით გამოციებულ სხეულს.

მიდიან ბილიკზე და თანდათან უახლოვდებიან სალომეს სახლს.

ეზოში, ღობის მარგილზე გამოაბა სებამ ძროხა.

– სალომე! – დაიძახა ჩუმად.

– ჰო, რომელი ხარ? – სახლის დერეფანზე გადმოდგა სალომე.

– მე ვარ.

– მშვიდობა შენ მოსვლას.

– მშვიდობა მოგცეს ჩემმა სალოცავმა.

– ამოდი, მანდ რას სდგებხარ, დერეფანში უფრო თბილა.

– არა, ვერ ამოვალ.

– რატო კაცო, აქ მოსულხარ და დერეფანში აღარ ამოდიხარ?!

– ისეთ საქმეზე ვარ მოსული როო...

– ეგეთი რა საქმეა, რო მანდედან უნდა მთხოვო?

– ეეე, რო იცოდე როგორ მერიდება, არც ვიცი საიდან დავიწყო.

– რამე ავი ამბავი ხო არ არის, კაცო?!

– ამაზე როგორ მოვიდოდი, მაგრამ ყველას სჭირდება შვილის სიყვარული.

– ვაი, ჩემ თოლებსა!

– დღეს ან ხვალე რო სული ამომივიდეს ჩემი უღონობით, ჩემი გაურჯელობით, სხვა რატო უნდა ვადარდო უშვილობაზე, სალომე?

– ვაი, ჩემ თოლებსა!

– არ ვიცი, არ ვიცი, როგორა გთხოვო, არ ვიცი.

– რა შავი ჭირი უნდა მთხოვო, კაცო, აქამდე არაფერი გაგიბედნია შენ ჩემთვის ეგეთი და ახლა რა ღმერთი გიწყრება, ორივე ფეხი თუ არა, ცალ-ცალი ფეხი სამარეში გვიდგას.

– არ ვიცი სალომე, ხო გითხარ, არ ვიცი როგორა გთხოვო-მეთქი, მაგრამ ხო იცი, გაზაფხულია და სუყველაფერს თავის დრო აქვს.

– აი, იმ კუთხეში მიყუდებულ შინდის ჯოხს ხო ხედავ? თუ დაგავიწყდა?

– არა, სალომე, მაგას რა დამავიწყებს, მაგრამა...

– თუ კარგად არ მოგხვდა და ვერ გეკმინა?

– ეეხ, გულის ფიქრს და გულის სევდას რა ვუყო, სალომე, ხო იცი გაზაფხულია და ყველა სულდგმულს სჭირდება სიყვარული, ყველას უნდა რო დედობრივი გრძნობა განიცადოს.

– ვაი, ჩემ თოლებსა, ვაი, ჩემ დღეს და მოსწრებასა! მერე და ვის შეატყვე რო, ჰა?!

– ვისა სალომე და ხო მოგიყევი, შარშან, მთელი ერთი თვე როგორ ღრიალებდა ჩემი მთორია შვილი რომ მოუკვდა. დამნაშავე არა ვარ, რო ვერ გადავარჩინე.

– მოიცა, მოიცა, შენ იქნებ იმის სათქმელად მოხვედი, რომ უშვილობა გაწუხებს და მე ვარ ამაში დამნაშავე, ჰა?

– შენ რა შუაში ხარ.

– აბა, მაშ ვინ არის შუაში?

– მე ვარ ყველაფერში დამნაშავე, სალომე, მე. მე ვერ მოვუარე მთორიას, ეტყობა შევაცივე კიდეც, სითბო დავაკელი, ან მშობიარობაში ვერ მივებმარე ისე, როგორც საჭირო იყო. რა ვიცი აბა, ერთი უიღბლო კაცი ვარ.

– მერე ჩემ კარზე რას ეძებ იღბალს, სადაცაა სამარის კარს მიადგები.

– ხოდა, ეგ რო ვიცი, იმიტომაც გავბედე შენთან მოსვლა. ძალიან კი მრცხვენიან, მაგრამ მთორიას ცოდვას ნუ გამატან სამარეში. ვინ იცის, დღეს ამომივა სული, თუ ხვალე. შეიძლება შენც ვერ გაიგო ჩემი სიკვდილი, ეს ძროხა ან ბაგეზე დაბმული მოკვდება მშიერი, ან სადმე ნადირი შესჭამს და იმ ქვეყანაზე ვერ მოისვენებს ჩემი სული, თუ ისე წავედი მოუსავლეთში, – მთორიას ეგონა, რომ შვილი დავუძალე, თვალთ არ ვანახე, შევუჭამე, როგორც მგელმა. იცი როგორი მუდარის თვალებით შემომყურებს. სულ ელოდება რომ შვილს გამოვუჩენ. ახლა ეს გაზაფხული რომ დადგა, ვიფიქრე, წავალ, როგორმე სალომესთან თავს შევირცხვენ, თორემ ისევ უშვილოდ დარჩება ამ ზამთარს და რა ვიცი, სალომე, ხო გითხარ, სიკვდილის სული დატრიალდა ჩემს გარშემო, გავაღწევლა ამ ზამთარს? ნუ მეტყვი უარს, ცოტა ხანს მათხოვე შენი მოზვერი.

– მოზვერი? – შეცბა სალომე.

– კი მეხატრება, მაგრამ...

– წაიყვანე, მოზვერს როგორ დაგიჭერ.

– არა, წაყვანა არ მინდა, აქვე მყავს ძროხა. – სალომე ეზოში ჩამოვიდა და მთორიას გახედა.

– კაცო, ხო ხედავ, გაზაფხულია, რაღა შინელებში ახვევ, თბილა, ცოდოა ძროხა, ჩაიხუთება.

– არა, სალომე, ეს თვე მამამაღლია, ცოტა კიდევ დათბეს და მერე გავხდი, თორემ ნათბილარს შეიძლება დასცადოს.

სალომე გომურში შევიდა და ცოტა ხანში თავისი ჯიშისანი მოზვერი გამოიყვანა.

ძროხამ წყლიანი თვალებით შეხედა მოზვერს, რომელმაც არცკი მიაქცია ყურადღება. პირიქით, დაფრთხა ამ შინელიანი ცხოველის დანახვაზე და განზე გადგა.

– მოდი, ჰო! – გაუწყრა სალომე მოზვერს, ყურში ხელი მოკიდა და ძროხისაკენ მოქაჩა.

– სალომე! – მორიდებით ჩაილაპარაკა სეზამ.

– ჰო.

– შენ სახლში შედი, სალომე, ამათ მე მივხედავ.

– კარგი, აბა – თქვა სალომემ და კედელს მიეფარა.

სებამ კურტუმზე შინელის ბოლოები აუწია მთორიას და ისე დააყენა, რომ მოზვერი გაღიზიანებულიყო.

მოზვერი ისევ განზე გაფრთხა.

სებამ ძროხა ახსნა და ისევ მოზვერის წინ დააყენა, ის კი ისევ განზე გაფრთხა.

სებამ უფრო აუკეცა შინელის კალთები კურტუმზე ძროხას და ძალიან შეეცადა მოზვერის მოხიბლვას.

თითქმის ერთი საათი აწონა მოზვერს სებამ თავისი მთორია, მაგრამ რაც უფრო მეტს ცდილობდა, მით უფრო მეტად აფრთხობდა ძროხა მოზვერს.

სებამ ისევ ღობის მარგილზე მიაბა მთორია და როგორც მკვდრის პატრონი, ისე ჩამოჯდა ქვაზე. თავი ხელებში ჩარგო.

ამასობაში სალომე გამოვიდა და ასეთ ყოფაში რომ დაინახა სება, ჰკითხა:

– რა ქენით?

– არაფერი, ყურადღებას არ აქცევს, ფრთხეზა.

– კაცო, მოზვერი კი არა, მაგ შინელში რომ მოგკრათ თვალი, ეშმაკი სათოფეზე არ გაგეკარებათ შენ და შენ ძროხას, პაგონები მაინც მოგეხსნა და ჩინ-მენდლები.

– ჰოო, ეგ კი ვეღარ მოვიფიქრე – წამოდგა სება და შინელზე პაგონების მოხსნა დაიწყო.

– ე მოზვერს პაგონები კი არა, შინელი უფრო აფრთხობს, შინელი, ეგ გახადე.

– არა სალომე, რას ამბობ, ნათბურეზე რო გაზაფხულის სიომ დაჰკრას და დასცადოს, მერე რა ვქნა.

– აბა მაშ რაც გინდა ის ქენი – ჩაიზუზღუნა სალომემ, მოზვერს ყურში ჩაავლო ხელი და გომურისაკენ წაუძღვა.

– სალომე.

– რაღა გინდა?

– აბა ერთხელაც შედი სახლში და გავხდი.

სალომემ მოზვერს ხელი შეუშვა და ისევ კედელს მიეფარა ბებრული ნაბიჯებით.

სებამ მთორიას შინელი გახადა.

მოზვერმა თავი მოაბრუნა და უცებ ნესტოები ჩაებერა.

დაიძაბა.

გაზაფხულის ჰაერი დაყნოსა.

ერთი ძლიერად დაიქმუტუნა და ძროხისაკენ გაექანა.

სებამ თვალეები დახუჭა და ისევ იმ ქვაზე ჩამოჯდა ხელებში თავჩარგული, სადაც წელან იჯდა.

დიდხანს იჯდა ასე.

თითქმის ერთ საათამდე.

მხოლოდ მოზვერის ქშულილი და ბრდღვინვა ესმოდა.

მერე ეს ხმაც მიწყდა.

მაინც არ ახელდა თვალეებს.

არც თავის წამოწევა უცდია, სწორედ ისევე, როგორც მაშინ, თხილების ქვეშ ჩაჩოქილს და ხელებში სახეჩარგულს სალომე რომ შინდის ჯოხს ურტყამდა.

– სება! – მოესმა სალომეს ხმა.

სებას თავი არ აუწევია, ისევ იმ წარსულში ეგონა თავი და რცხვენოდა სალომესთვის შეეხედა.

– სება! – მხარზე ხელი დაადო სალომემ.

სებამ აიხედა.

– ავად ხომ არა ხარ?

– არა! არა! – ყვირილით წამოიძახა სებამ. მერე სალომეს შეხედა და გონს მოეგო. დამშვიდდა.

იქით გაიხედა, სადაც თავისი ძროხა ეგულეობდა.

ძროხა და მოზვერი გვერდიგვერდ იდგნენ, თავები მიეყრდნოთ და ალერსიანად ლოკავდნენ ერთიმეორეს.

ჰაერში გაზაფხული ზეიმობდა.

საიდანღაც წითელი პეპელა მოფრინდა და ჯერ სებას დააჯდა მხარზე, მერე გადაფრინდა და სალომეს მხარზე დასკუპდა.

მოხუცებს გაეღიმათ. თბილად, სიყვარულით შეხედეს ერთუროს თვალებში, ისეთი მონატრებით, როგორც დიდი ხნის წინათ უყურებდნენ ხოლმე.

პეპელა ისევ სებას მხარზე გადაფრინდა.

– კაცო, რა უნდა ამ პეპელას ჩვენგან, ჰა? – იკითხა სალომემ.

– ეტყობა, სულეთის პეპელაა.

– გამიგონია, გაზაფხულზე პეპელას დანახვამ ძილი იცისო.

– ჰოდა, მაგიტომაც დაჯდა პირველად ჩემ მხარზე.

– რატო?

– იმიტომ რომ ჯერ მე დავიძინებ.

– შენ, რატომ?

– ჯერ ერთი იმიტომ, რომ შენზე უფროსი ვარ, მეორეც იმიტომ, რომ სულეთში მე უნდა შეგხვდე. გზაზე სულის გამკითხველებს ვთხოვ, ამ გზაზე სალომე რომ ჩამოივლის, ნურაფრისთვის დასჯით, ყველაფერში დამნაშავე მე ვარ და თუ რამე უნებლიე ცოდვა აქვს ჩადენილი, მე მომაწერეთ-მეთქი.

– შენთან როგორ მოვადგამ ფეხს, შენ ისეთი უნდო ხარ რო, არც იქ დამინდობ – გაიცინა სალომემ.

ამ დროს საიდანღაც მეორე პეპელაც მოფრინდა და ორივემ გაზაფხულის მზით გამთბარ ჰაერში დაიწყო ფარფატი.

,

ზამთარია.

ისევ თეთრად ქათქათებს მთელი ხეობა.

სალომე თავისი სახლის ბანიდან გაჰყურებს სებას სოფელს და წუხს.

მესამე დღეა სებას სახლის საკვამურიდან ბოლი არ ამოსულა.

სალომემ თავის შინდის ჯოხს წამოავლო ხელი და გაუკვალავ თოვლში ბილიკს გაუყვა. მშრალში რა იყო ამ ნაგზევად ქცეულ ბილიკზე სიარული და თოვლში მითუმეტეს. შეიძლება ფეხი გადაგიცდეს და გადაიჩეხო.

ფრთხილობს სალომე.

ყოველი ნაბიჯი მოზომილია.

გააღწია სამშვიდობოს.

მიადგა სებას სახლს.

\_ სება! სება! \_ დაიძახა შიშნარევი ხმით.

არავინ შეეხმიანა.

\_ სება! სება! \_ მეტი შიში შეემატა სალომეს ხმაში.

შიგნიდან ძროხის ბლავილი მოესმა.

სალომემ კარი შეაღო. სიბნელეში მიმოიხედა. თვალი რომ შეაჩვია, დაინახა ფანჯრის პირზე, იქ, სადაც უფრო განათებული ადგილი იყო, გულადმა იწვა სება.

\_ სება! \_ შეეხმიანა სალომე.

სახლის აქეთ, კუთხეში, ძროხამ შებღავლა. ძროხას ჭრელი ხბო გულიანად ბურჩნიდა ძუძუში.

სალომე საწოლთან მივიდა და სებას დახედა.

სება ამ ქვეყანაზე აღარ იყო. რაღაცნაირი მშვიდი ღიმილი ეფინა სახეზე. თითქოს ამ ღიმილით სალომეს ეუბნებოდა: რაც გითხარი შევასრულე, სულეთის გზა მშვიდობით გავიარე, შეხვედრასაც დიდებულს მოგიწყობ, ოღონდ ძალიან ნუ იჩქარებ აქ წამოსვლას, ხო იცი, მთორიას შვილი ეყოლა და ახლა შენი თავი ძალიან სჭირდება მაგას...

ერთი დღე თხრიდა სალომე სებას საფლავს. მიწა მხვალი იყო თოვლის ქვეშ და ძალიან არ უჭირდა აყალო მიწის გათხრა.

თავისი საიმქვეყნიო სასახლეც წინასწარ მოემზადებინა სებას და სახლის კუთხეში იყო აყუდებული.

მოზვერი გადმოიყვანა სალომემ, მარხილში შეაბა და იმით მიასვენა სამარემდე სება. ჩასვენება გაუჭირდა ძალიან, არ უნდოდა ჩაეხეთქებინა საკაცე. ქვემოთი მხარე ცერად ჩათხარა და ისე ჩააცურა. მიაყარა მიწა. სამარის თავში და ბოლოში სიპი ქვეები ჩაურჭო.

თავის სიპზე სანთელი დაანთო. ფეხების მხარეს საფთხული დადგა ნადირის დასაფრთხოვად. საფთხული ხელეზგაშლილ კაცს ჰგავდა, რომელსაც ის შინელი ეცვა, სებას ომიდან რომ მოჰყვა და მერე კარგახანს ეცვა მთორიას. შინელს ისევ ეკეთა პაგონები და საბრძოლო მედლები.

დაინახა თუ არა სალომეს მოზვერმა ის შინელი, ისე დაფრთხა, ძლივს დაიჭირა სალომემ.



მერე?

მერე თოვლში გაჭრილ ბილიკზე მიდიოდნენ ოთხნი. წინ მოზვერი, მერე მთორია, მერე ჭრელი ხბო – სიყვარულით შეერთებული სამი სულდგმული. იმათ უკან მისდევდა მეოთხე, შავებში ჩაცმული ქალი, სიყვარულდაკარგული და სიყვარულის მფარველი, რომელიც ყველაზე მეტად სჭირდებოდა წინმიმავალთ.

მიდიოდა წელში მოხრილი და თავის შინდის ჯოხს მიიბჯენდა თოვლში.

### ხუჭუჭულა

ეს ამბავი იმაზე უფრო სევდიანია, ვიდრე მინდოდა გამოსულიყო. საქმე ის გახლავთ, რომ არავინ მოელოდა ამ ამბის ასეთ დასრულებას. იმ სოფელში, სადაც ეს მოხდა, ყველა მოწყენილი დადის. ზედმეტად სევდიანებს, მზერა წამდაუნუნ მზერისკენ გაურბით; იქნებ ინებოს მაღალმა ღმერთმა და ხუჭუჭულა დააბრუნოს იქიდან. ამ ამბავში ყველა საკუთარ დანაშაულს გრძნობს, მათ ხომ უსაზღვროდ უყვარდათ ხუჭუჭულა, რომელსაც თავისი სიპატარავის გამო, სიყვარულით, მოლეკულა შეარქვეს, თორემ ნამდვილი სახელი ბერდია ერქვა. ხუჭუჭულა თვითონ შეირქვა და ძალიან სწყინდა, როცა რომელიმე თანასოფელი დაუძახებდა:

- მოლეკულა, მოდი აქ!
- არა ვარ მოლეკულა! – ბრაზობს ბერდია.
- მოლეკულა ხარ, აბა ვინა ხარ?
- მე ხუჭუჭულა ვარ, მაგარი ბიჭი ვარ.

ეს სახელი იმის მერე შეირქვა ბერდიამ, ერთი წლის წინათ ბებიაშისმა კალთაში რო ჩაისვა და ხუთკუნჭულას ზღაპარი მოუყვა. მაშინ ორი წლისა იყო ბერდია. ბებიას ფართოდგახელილი თვალებით შეჰყურებდა, ოდნავპირდაღებული წამწამებს არც კი ამოდრავებდა, რომ ამბის მოყოლის დროს ბებიისათვის ხელი არ შეეშალა.

– აი, ეგეთი მაგარი ბიჭი იყო ხუთკუნჭულა, – დაამთავრა ზღაპრის მოყოლა ბებიაშ.

- მეც ხომ მაგარი ბიჭი ვარ, ბებო?
- მაგარი ხარ, ბებო გენაცვალოს, ჩემო ხუთკუნჭულა ბიჭო.
- მეც ხუჭუჭულა ვარ, ბებო?
- აბა, შენნაირი ბიჭი სხვა ვინ იქნება.
- მეც მოვერევი დევებს?
- მოერევი, მაშ!

ბერდიას სიხარულით გაეზადრა სახე და ბებიის კალთიდან ამაყად ჩამოვობდა. ასევე ამაყად გამოვიდა სახლიდან, ბანზე გადმოდგა და სოფელს გადახედა.

- გამარჯვება მოლეკულა! – მიესალმა მეზობელი.
- არა ვარ მოლეკულა!

- \_ გამარჯვება ბერდია! \_ ახლა უფრო სერიოზულად მიესალმა მეზობელი.
- \_ არა ვარ ბერდია!
- \_ ვა, აბა, მაშ ვინა ხარ?
- \_ ხუჭუჭულა.
- \_ ეგ რაღაა?
- \_ მაგარი ბიჭის სახელია, მეც მაგარი ბიჭი ვარ!

იმ დღის მერე დადის სოფელში ბერდია და ამტკიცებს, რომ ხუჭუჭულა ჰქვია, თუმცა, ამაოდ, ყველა მაინც მოლექულას ეძახის.

ხუჭუჭულა კი ბრაზობს და დარდიანი დაიარება, რომ მოლექულას ეძახიან. რალაცით უნდა დააჯეროს ყველა, რომ მაგარი ბიჭია. ირიჟრაჟებს თუ არა, წამოხტება ლოგინიდან, ფეხშიშველა გამოდგება სახლის ბანზე და მორთავს ყვირილს:

- \_ გაიღვიძეთ, ხალხო, გაიღვიძეთ, გათენდა, გათენდა!
- \_ გაჩუმდი, შე მოლექულა, შენა, დაგვამინე! \_ უბრაზდება უფროსი ძმა, ბაჩანა, სახლიდან.

ხუჭუჭულას ძალიან უყვარს ბაჩანა და ჩუმდება მისი ხათრით. გულში კი სწყინს, რომ ბაჩანაც მოლექულას ეძახის, მაგრამ წყენას არ იმჩნევს, არც საყვედურს ეუბნება ძმას.

- \_ შეგცივდება, ბებო, შეგცივდება, წამო სახლში, გაიღვიძებენ, მა რას იზამენ, დარდი ნუ გაქვს, \_ სახლში შეჰყავს ფეხშიშველა ხუჭუჭულა ბებიას.

სახლში კი უკვე ლოგინიდან წამომდგარა ბაჩანა, სკოლაში წასასვლელად ემზადება და გაკვეთილს იმეორებს:

\_ ჯერ კიდევ ოცდახუთი საუკუნის წინ, ბერძენმა ფილოსოფოსებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ ნივთიერება შედგება უმცირესი, თვალის უხილავი ნაწილაკებისაგან... ნივთიერების უმცირეს ნაწილაკებს მოლექულები და ატომები უწოდეს.

- \_ მე ხუჭუჭულა ვარ, ხო, ბებო? \_ იმედით შეაჩერდა ბებიას ხუჭუჭულა.
- \_ ხოო, ბებია გენაცვალოს, მოდი, ფეხებზე ჩაგაცვა.

ხუჭუჭულა კალთაში ჩაუჯდა ბებიას.

ბაჩანამ წიგნები ჩანთაში ჩაალაგა და კარი გაიხურა. ხუჭუჭულას მშობლები კი სამუშაოზე არიან წასულები.

,

გუდამაყრის ხეობაში, სადაც ერთ-ერთი მთის ფერდობზე ხუჭუჭულას სოფელია შეფენილი, ყველაფერი წელიწადის გარშემო ბრუნავს. აქაური ამბები ახალი წლიდან ახალ წლამდე დატრიალებულ წრებრუნვაშია ჩართული. ამ ვიწრო ხეობაში დასაბამიდან ბრუნავს წელიწადის ბორბალი და თავის წრებრუნვაში ატრიალებს გუდამაყრელთა ბედ-იღბალს. აქაური დრო, ახალი წლიდან ახალ წლამდე, ერთი დიდი რიტუალია, სადაც ყველა დღეს თავისი საკრალური დანიშნულება აქვს.

ქრისტიანულ ადათ-წესებთან ერთად, ძველს, ქვეყნიერებისაგან მივიწყებულ დღესასწაულებსაც ზეიმობენ და მთელი წელიწადი თითქოს ერთი დიდი დღესასწაულია, რომელიც ღმერთის წინაშე დღემდე ერთგულად სრულდება.

ახალ სახლებთან ერთად, ძველებური, ბანიანი სახლებიცაა შემონახული ხუჭუჭულას სოფელში. ძველებურ სახლებში, საახალწლოდ კერას გააჩაღებენ და ასეთ რიტუალს ასრულებენ:

კერასთან დევს დიდი ხის მორი, რომლის თავსაც ერბოს წაუსმევენ და ცეცხლში შეურთავენ. ოჯახის წევრები ამ მორზე გადასხდებიან და წინ მჯდომარე ცხენივით შეიხვიხვინებს; თან დაიძახებს:

– ბებერაი მობრძანდება! (ვითომ ძველი წელი).

– ბებერაი რასა ბრძანებს? – ეკითხებიან.

– ბედსა, ბედნიერობასა,

პურსა, პურიანობასა,

ვაჟსა, ვაჟიანობასა,

წულსა, წულიანობასა,

ოჯახის კარგად ყოფნასა,

ოჯახის ბარაქიანობასა! – პასუხობს მორის თავზე მჯდომარე და თან მორის ცეცხლმოდებულ თავზე ჯოხს ურტყამს, რომ ნაპერწკლები გაყაროს.

ამის მერე მამაკაცები ხატში მიდიან, რომ იქ შეხვდნენ ახალ წელს და ყველას იმდენი ადლი სანთელი მიაქვს, რამდენი მამაკაციც არის მათ ოჯახში.

ხუჭუჭულას სახელზე ჩამოქნილი სანთელი წელს მესამედ უნდა წაილოს მამამისმა ხატში ასანთებად. ძალიან მოსწონს ხუჭუჭულას ახალი წელი. განსაკუთრებით კერაში შერთული ხის მორზე ჯდომა უხარია და თვითონაც ურტყამს მორის თავს ჯოხს, რომ ნაპერწკლები გააყრევინოს.

– აქეთ გამოიწი, შე მოლეკულა, ცეცხლში არ ჩაიწვა! – გული ატკინა ბაჩანამ ხუჭუჭულას საახალწლოდ.

ხუჭუჭულამ, რა თქმა უნდა, არ შეიმჩნია წყენა. მას ხომ ძალიან მაგრად უყვარს ბაჩანა.

ხვალ დილით, ხატში წასული მამა კარებს შემოადებს, ოთახში თოვლს შემოყრის, მერე თვითონაც შინ შემოვა და ყველას თეთრ თოვლს აყრის სახეზე.

– ასე თეთრად დამიბერდით!

– ეგრევ შენა! ეგრევ შენა! – პასუხობენ მას.

ხუჭუჭულასაც აყრის მამა სახეზე თეთრ თოვლს და მასაც ეუბნება: ასე თეთრად დამიბერდი! ხუჭუჭულას ძალიან უკვირს, რატომ ეუბნება მამა დამიბერდიო.

– მე არ დავბერდები! – იძახის იმედიანად.

– რას ამბობ, ბებია გენაცვალოს, ეგ რამ გათქმევინა? – გულში ჩაიკრა ბებიამ და სახიდან მამის მიერ შეყრილი თოვლი მოსწმინდა.

ყველანი სუფრას მიუსხდნენ, სადაც თაფლთან და სხვა ტკბილეულთან ერთად თავ-თავიანთ სახელზე გამომცხვარი ბედისკვერიც უნდა ჭამონ.

ბედისკვერს ყველას სახელზე აცხობენ და ვისი კვერიც კარგად ამოფუცდება და კარგად გამოცხვება, იმას ბედნიერი წელიწადი ელოდება წინ.

საქონლის სახელობაზეც აცხობენ ბედისკვერს. კვერებს ზემოდან ჯვარი აქვს გამოსახული, რაც ძალიან მოსწონს ხუჭუჭულას, ისე მოსწონს, რომ გულში იხუტებს თავის ბედისკვერს.

– ჭამე, ბებო, ჭამე, აგრემც ბედნიერი დამიბერდები!

– არ დავბერდები, ბებო! – წყენით შეახსენა ბებიას ხუჭუჭულამ.

ზარ-ზეიმით ჩაიარა ახალმა წელმა.

ხუჭუჭულას ყველაზე მეტად სოფლის საერთო მხიარულობა მოეწონა. გამოიტანეს სახლებიდან ციგები, მარხილები, თხილამურები და დიდიან-პატარიანად, ყველამ ციგაობა დაიწყო. ბებრები ერთ დიდ მარხილზე დასხდნენ, ხოლო ბებიამ ხუჭუჭულა კალთაში ჩაისვა და ყიჟინ-ყიჟინით გაქანდნენ მთის ფერდობზე.

ხატში მთელი დღე ზარებს რეკავდნენ დასტურ-დეკანოზნი. ისინიც თავის წესზე შეხვდნენ ახალი წლის დადგომას: დილაუთენია არაგვზე ჩავიდნენ, გაყინულ მდინარეში იბანავეს და სიმღერით წამოვიდნენ ხატისკენ:

წმინდის გიორგის კარზედა

ხე ალვად ამოსულიყო,

თავში დაესხა ყურძენი

საჭმელად ჩამოსულიყო....

სიმღერის ხმა ექოდ აწყდებოდა მთებს და მთებიც იმეორებდნენ ამ სიმღერას. ზეცა მღეროდა საახალწლოდ.

მხიარულობდნენ ხუჭუჭულას თანასოფლელები. ისინი ერთიმეორეს სახეში თოვლს აყრიდნენ და ლოცავდნენ:

– ასე თეთრად დამიბერდი!

– ეგრევ შენა, თეთრად დაგაბეროს უფალმა!

ხუჭუჭულა ხომ სულ თეთრი იყო, იმდენი თოვლი შეაყარეს ზედ.

– ნუ დამიღონეთ ბაღი, – სიცილით საყვედურობდა ბებია და ტანსაცმლიდან თოვლს უფერთხავდა შვილიშვილს.

– არ დავბერდები! – ბრაზობდა ხუჭუჭულა.

სხვა სოფლებიდანაც ისმოდა მხიარულების ხმა. ახალი წელი ღონეს იკრებდა. ყველა ცდილობდა ემხიარულა, რადგან სწამდათ, რომ დღევანდელ დღეს როგორც გაატარებდნენ, მთელი წელიწადი ისეთი ლხინით წავიდოდა მათი ცხოვრება.

და

ლხინით,

სიმღერით ჩამოლამდა გუდამაყარში.

მაღალ მთის წვერზე მთვარეც გადმოდგა და ვარსკვლავებმაც მორთეს ჟიკ-ჟიკი.

,

ყველა ოჯახმა უნდა შემოინახოს საახალწლოდ გამომცხვარი ოჯახის ბედისკვერი. ამ ბედისკვერს ძალიან უფრთხილდებიან, მასზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. წუნკლაობა დღეს, ამ ბედისკვერმა უნდა ამცნოს ოჯახს, როგორ წავა მათი ბედი წლის განმავლობაში.

დადგა წუნკლაობაც.

დაანთეს ჭიაკოკონები.

ხუჭუჭულას მამამ ოჯახის ბედისკვერი საცერში ჩადო, საცერი მხარზე შემოიდგა, წელში მოიხარა და ცეცხლს შემოუარა სამჯერ გარშემო. ისე იყო მოხრილი, თითქოს საცერში ჩადებული პური ძალიან ამძიმებდა; უვლიდა ცეცხლს და თან კიოდა:

– მიშველეთ, მომეშველენით, კეთილმა წელი მომწყვიტა!

ხუჭუჭულამ მამის საშველად გაიწია.

– გამოდი აქეთ, შე მოლეკულა, შენა, ცეცხლში არ ჩავარდე! – საყელოში ხელი ჩაავლო ბაჩანამ და თავისკენ წაითრია.

– გამიშვი, მამას შველა უნდა, – პირველად შეეწინააღმდეგა ბაჩანას ხუჭუჭულა.

მამამ კი სახლისაკენ წაიღო საცერში ჩადებული ბედისკვერი, კარებთან დაიჩოქა, საცერი ძირს ჩამოდგა, იქიდან კვერი ამოიღო და სამჯერ შეაგორა სახლში.

ყველანი გულისფანცქალით ადევნებდნენ ამ სცენას თვალ-ყურს, რადგან აქ წყდება ოჯახის წლევიანდელი ბედი: თუ სახლში შეგორებული კვერი ისე გაჩერდება, რომ მასზე გამოსახული ჯვარი ზემოთ მოექცევა, მაშინ საშიში არაფერია, მაგრამ თუ კვერი გულაღმა დაეცემა და ჯვარიც ქვეშ მოყვება, რაღაც უბედურება დაატყდება ოჯახს.

სამჯერვე გულაღმა დაეცა ხუჭუჭულას მამის მიერ სახლში შეგორებული ბედისკვერი.

თითქოს მეხი დაეცა ოჯახს.

გამტკნარდნენ,

გაფითრდნენ,

ელდა ეცათ და ხმამაღლებლივ შეხედეს ერთიმეორეს.

– ნუ გეშინიათ, ნუ, ჩემზედამც გადაიაროს რაც ავი და ბოროტი გველოდება! – გაამხნევა ოჯახი ხუჭუჭულას ბებამ და შვილიშვილი გულში ჩაიკრა.

ორი დღის მერე, დედის ტირილმა გამოაღვიძა ხუჭუჭულა.

ოთახი სავსე იყო ხალხით. ყველანი ბებულის ლოგინს ეხვეოდნენ.

ხუჭუჭულა ლოგინიდან წამოდგა. დედამ ხელში აიყვანა და იქით ოთახში გაიყვანა, სადაც დაღვრემილი სახით იჯდა ბაჩანა.

– ბაღღს მიხედე! – უთხრა მას დედამ და თვითონ ისევ იმ ოთახში შებრუნდა, სადაც ბებია იყო.

ხუჭუჭულამაც დააპირა ისევ იმ ოთახში დაბრუნება.

– მოდი აქ, შე მოლეკულა, შენა! – ისე ბრაზიანად უთხრა ბაჩანამ, ხუჭუჭულა შეცბა, წყენით შეანათა ჭრელი თვალები ძმას.

– ბებოსთან მინდა.

– ბებო აღარ არის.

– ჰო, მაშ, იქ არის, წელან დავინახე. ლოგინზე წევს.

– მოდი, მოდი, ლოგინში ჩაწევი და ხმა არ ამოიღო, – ძალით ჩააწვინა საწოლში ბაჩანამ ხუჭუჭულა.

გვერდითა ოთახიდან ტირილი ისმოდა.

უნდოდა იქ გასვლა ხუჭუჭულას, მაგრამ ბაჩანა არ უშვებდა.

– ვერ გაიგე? ხომ გითხარი, ბებო აღარ არის-მეთქი! – თითქმის ყვირილით უთხრა ძმამ.

ხუჭუჭულამ კი მართლა ვერ გაიგო. მან ხომ სულ ახლახან დაინახა ლოგინზე გულადმა მწოლარე ბებო. ბაჩანა კი ატყუებს, ბებო აღარ არისო.

"ტყუილი ცუდია"....

"ტყუილი ცუდ ბიჭებს უყვართ"...

"კარგი ბიჭები არ იტყუებიან"... – თითქოს ყურში ესმის ხუჭუჭულას ბებოის ნათქვამი და თავისთვის გულში იმეორებს:

"ბაჩანა ცუდი ბიჭი არ არის"...

"ბაჩანა კარგი ბიჭია"...

"ბაჩანა ჩემი ძმას"...

და

ამ ფიქრებში გართულს, ისევ ძილმა წაართვა თავი.

,

ყველაზე დიდი ელდა ის იყო, როცა ბებია სახლიდან წაიღეს, ამოთხრილ მიწაში ჩადეს და ზემოდან მიწა მიაყარეს.

– ბებო! ბებო! – იყვირა ხუჭუჭულამ და საფლავისაკენ გაიწია.

– გამოდი აქეთ, შე მოლეკულა, შენა! – ისევ საყელოთი დაითრია ბაჩანამ.

მთელი მიწა ბებოის მიაყარეს, თვითონ არაფი დალიეს და ყველანი სახლში წამოვიდნენ.

– ბებო? – იკითხა ხუჭუჭულამ.

– წამო, წამო, ბებო აქ უნდა იყვეს, – უთხრა ბაჩანამ და საყელოში წაავლო ხელი.

სახლიდან კი ისევ ბებოის საფლავზე გაიქცა ხუჭუჭულა, ფრთხილად მიუახლოვდა ამობურცულ მიწას და ჩუმად ჩასძახა: ბებო! ბებო! – ბებოამ ხმა არ გასცა.

ხუჭუჭულა იქვე ჩამოჯდა.

ბაჩანამ მოიბრინა და ისევ სახლისაკენ წაათრია ხუჭუჭულა.

ასე გაგრძელდა რამოდენიმე დღე. დილაადრიან წამოხტებოდა ხუჭუჭულა და ბებუის საფლავისაკენ გარბოდა. მივიდოდა, დადგებოდა და შეჰყურებდა ამობურცულ მიწას.

მოვიდოდა ბაჩანა და სახლში წაათრევდა:

– წამო სახლში, შე მოლეკულა, შენა!

სახლიდან კი ისევ საფლავისაკენ გარბოდა ხუჭუჭულა და რომ ვერაფერი მოუხერხეს, მამამ თქვა:

– გვიან ღამემდე აცადეთ იქ ყოფნა; შეეშინდება და აღარ წავა.

იმ დღეს მთელი დღე უჭმელმა დაადამა საფლავთან.

მზე ჩაიწვერა.

ჩამობინდდა.

ხუჭუჭულა სახლში წასვლას არ აპირებს. ეცოდება, რომ ბებო ღამეში მარტო უნდა იყოს.

ვარსკვლავები ამოიშალნენ ცაზე.

ყინვამ მოუჭირა. მთლიანად ააკანკალა ხუჭუჭულას.

მაინც არ მიდის, ბებოს ყარაულობს, და

უცებ:

– წადი, ბებო, სახლში, წადი! – მოესმა საფლავიდან ხუჭუჭულას ბებუის ხმა.

– ბებო!

– ჰო, ჩემო ხუტკუნჭულა ბიჭო, მე ვარ. წადი სახლში, მე აქ არა ვარ, ბებო, ნუ მყარაულობ. შენ თუ სახლში არ წახვალ, მე საიქიოს ვერ წავალ. წადი, ბებო გენაცვალოს, წადი! მადლობელი ვარ ეგეთი კარგი ბიჭი რო ხარ. წადი სახლში.

ხუჭუჭულა სახლისკენ მიმავალ ბილიკს გაუყვავა, ოთახის კარი ფრთხილად შეაღო და სიცივისაგან გათოშილი ცეცხლს მიეფიცხა.

მამამ, დედამ და ბაჩანამ ღიმილით გადახედეს ერთიმეორეს. ალბათ იფიქრეს, რომ ხუჭუჭულა შიშმა მოიყვანა სახლში.

,

დიდმარხვა მოახლოვდა. დადგა ყველიერის კვირა. მთელი სოფელი ამ კვირას ყველის ჭამას ემუშრება. აცხოვენ ხაბისგინებს, ხარშავენ ყველის ხინკალს და რომელ ოჯახშიც არ უნდა მიხვიდე, ყველგან ნაირ-ნაირი ყველით გიმასპინძლებიან. მთაში დიდ პატივს სცემენ ყველს, იგი ერთ-ერთ უპირველეს საჭმელად ითვლება აქაურთათვის და რაკი დიდმარხვაში ყველის ჭამა არ შეიძლება, ამ ერთი კვირის განმავლობაში წინასწარ იკლავენ წადილს.

უხარია ხუჭუჭულას ამდენ ყველს და ერბოს რომ აჭმევენ. წელს პირველად დააცვევინეს მას შობის მარხვა და ვერაფრით ვერ გაიგო, რატომ უმაღავდა მისი საყვარელი ბებია ყველს და ერბოს.

– ბებო, ყველი მინდა, ყველი! – ითხოვდა ხუჭუჭულა.

- \_ მარხვაა, ბებო, მარხვა, \_ გული უდნებოდა მკერდში ბებოას.
  - \_ მარხვა რა არის?
  - \_ ღმერთის დღეებია, ბებო გენაცვალოს.
  - \_ ღმერთის დღეებში ყველისა და ერბოს ჭამა არ შეიძლება, ბებო?
  - \_ არა, არ შეიძლება.
  - \_ არც კვერცხის? \_ ახლა კვერცხი მოუნდა ხუჭუჭულას.
  - \_ არც კვერცხის, ბებო.
  - \_ და არც რძის დაღევა არ შეიძლება, ბებო?
  - \_ არც რძისა.
  - \_ ჩიჩია, ბებო?
  - \_ არც ჩიჩია, ბებო გენაცვალოს! \_ უფრო და უფრო უდნება პატარა ბიჭის საცოდაობით მოხუცს მკერდში ცხოვრებისაგან ისედაც დაღეული გული.
  - \_ როცა ჭამა შეიძლება, მაშინ ღმერთის დღეები არ არის, ბებო?
  - \_ მაშინაც ღმერთის დღეებია, ოღონდ სამხიარულო დღეები.
  - \_ ყველა დღე ღმერთის დღეა?
  - \_ ხო, ბებო, ყველა დღე ღმერთის დღეა, დაილოცოს იმის სამართალი.
  - \_ ჩვენც ღმერთმა გაგვაჩინა.
  - \_ მაშ!
  - \_ ხან ჭამეთ და ხან არ ჭამოთო? \_ ისე კითხულობს ხუჭუჭულა, ეტყობა შია.
- ბებოამ სკივრში გადანახული კაკალი ამოუღო და უბე გაუვსო.
- სიხარულით ცას ეწია ხუჭუჭულა.
- \_ კაკალი სულმუდამ ჭამეთო ბებო? \_ სიხარულჩამდგარი თვალები შეანათა ბებოას.
  - \_ ჰო, გენაცვალოს ბებო, ჩემო ხუთკუნჭულა ბიჭო! \_ ხმაშიც და გულშიც სითბო ჩაუდგა ბებოს.
- კაკლით, ჩირით, თხილით და სხვადასხვა სასუსნავით გაასრულა ხუჭუჭულამ თავისი პირველი მარხულობა.
- მერე სამხიარულო დღეებიც დადგა.
- მერე ბებოა გარდაიცვალა, ისევ მწუხარება ჩამოდგა.
- ახლა ყველიერია, მხიარულობს სოფელი და ხუჭუჭულასაც უხარია ამდენი ყველის ხინკალი და ხაბიზგინები.
- ჩათავდა ყველიერი და დადგა შურის კვირა. ახლა ხორცის ჭამას ეშურება მთელი სოფელი. ყველის ხინკლები ხორცისამ შეცვალა.
- ხუთშაბათს დათვქადაობაა. ცხრაქერქა ქადებს აცხოზენ. მიდიან ხატში.
- პარასკევს ჟამთ უქმეა, ხელს არავინ არაფრისთვის არ გაანძრევს. ეს მძიმე უქმეა.
- შაბათი ხორცის შაბათია, ხორცის ხინკალს ხარშავენ და მიცვალებულებს შენდობას ეუბნებიან.
- \_ ბებოს იქ მიუვა ეს ხინკლები, დედიკო? \_ ეკითხება დედას ხუჭუჭულა.



– ხო, შვილო, ეს ტაბლა საიქიოს ბებოს წინ დაიდგმება – პასუხობს დედა.  
– აქედან რომ არ მიფრინავს?  
– იქ ასეთივე ტაბლას გააჩნის ღმერთი.  
– იქაც იქნება და აქაც იქნება?! – გაკვირვებულია ხუჭუჭულა.  
– ჭამე, ჭამე, რამდენ ხინკალსაც შეჭამ, ბებო იქ დაინახავს თავის ტაბლაზე და გაუხარდება.

ხუჭუჭულამ იმდენი ჭამა, ტიკვიტით გამოებერა მუცელი.

გათენდა კვირა – აბრამძოლობა.

ამ დღეს უკანასკნელად სჭამენ ხორცს.

გამოხრულ ძვლებს წითელი ძაფით შეკრავენ, გარეთ გამოვლენ, ძვლებს ძველებურ, მაღალ ბანზე შეაგდებენ და მანამ ძვლები ბანზე დაეცემა, შემგდები სამჯერ უნდა შეხტეს ჰაერში. თან ზემოთ ბანზე მყოფ ვიღაც უჩინარს შესძახიან:

– აბრამძოლ, ველის ნადირო, წელს ამას დაგვჯერდი, კვლავ სხვას მოგართმევთ!

ხუჭუჭულა ცდილობს ბანზე ძვლის შეგდებას, მაგრამ ვერ ახერხებს. შეაგდება ჰაერში, მაგრამ ძვალი ისევ მას ხვდება თავში.

– მოიტა აქ, მოლეკულა შენა! – გამოართვა ძვალი ბაჩანამ და მაღალ ბანზე შეაგდო.

მაღალ ბანზე ასვლა უჭირთ პატარა ბიჭებს, რადგან იქ ასასვლელი ქვის საფეხურები ისეა კედელში ჩატანებული, რომ ბალები ადვილად ვერ ავიდნენ, რადგან ბანი მაღალია და თუ პატარები შესძლებენ იქ ასვლას, შეიძლება გადმოვარდნენ. უფროსებიც იშვიათად ადიან იქ, ან თოვლის გადმოსახვეტად, ანდა წვიმაში მიწის გასაზეპად. თოვლის ხვეტის დროს კიდევ ნახულობენ აბრამძოლობა დღეს შეყრილ ძვლებს, რომელთა წაღებაც ჯერ კიდევ ვერ მოუსწრიათ ყვავ-ყორნებს. თუმცა ამათ კი სჯერათ, რომ "აბრამძოლ ველის ნადირს" სწირავენ ძვლებს და ათასნაირ ამბებს ჰყვებიან ამის შესახებ პატარა ბიჭები, რომლებმაც აბრამძოლობის მეორე დღეს, დილაუთენია, სანამ სოფელი გაიღვიძებს, ბანზე ასვლა უნდა მოახერხონ და იქედან უნდა ჩამოიტანონ გამოუხრავი ცხვრის ბეჭი, რომელსაც იმიტომ შეაგდებენ ხოლმე ბანზე, რათა მერე წილი ჰყარონ და რომელ ბიჭსაც ერგება, ის უნდა გამოსცადონ გულადობაში. მან, დილით, ბანიდან ჩამოტანილი, გამოუხრავი ბეჭი უნდა დაახვედროს სოფელს.

აქედან იწყება მარხვა.

ბეჭი კი ისევ იმ ბიჭმა უნდა შეაგდოს ბანზე. მან უკვე კაცობაში შედგა ფეხი. გულადია, სოფელს შეუძლია მისი იმედი ჰქონდეს, თუმცა ჯერ კიდევ პატარა ბიჭებისათვის ძალიან ძნელია ამ იმედის მოპოვება; უნდა გაიღვიძო დილაუთენია, როგორმე უნდა ახვიდე მაღალ ბანზე, რომელზეც ჯერ ვერაფრით ვერ ასულხარ და იქ რომ "აბრამძოლ ძვლების შემწირველი" დაგხვდეს?

მერე რას არ ჰყვებიან "გულადი" ბიჭები – რო ავედი, ვხედავ დიდი გველები წვანან ბანზე, ტანზე ბალანი ასხიათ და ბეჭისაკენ გზას მილობავენ. მე ბეჭისაკენ

მივდივარ, ისინი კი მიყურებენ და სისინებენ. პირჯვარი გადავიწერე და ქრისტე ღმერთს ვთხოვე, შემეწიე მეთქი; გველებმა დაისისინეს, ფრთები გამალეს და გაფრინდნენ. მე ბეჭი ავიღე და ჩამოვიტანე! \_ აი, ასეთ გაუგონარ ამბებს ჰყვებიან ბანიდან ბეჭის ჩამომტანი "გულადი" ბიჭები.

წელსაც შეაგდეს ბეჭი.

ყარეს წილი

და \_ ხუჭუჭულას ძმას, ბაჩანას ერგო ის.

გაფითრდა ბაჩანა, სახლში გაიქცა, შიშის ბურთი გაეჩხირა გულიდან ყელამდე. დაღამდა.

ბაჩანა ლოგინზე პირქვე წევს და ჩუმად ტირის.

\_ რა მოგივიდა, კაცი არა ხარ? \_ უბრაზდება მამა.

\_ ნუ უტევ, ხო ხედავ ბაღლია, ყველას კი არ შეუძლია \_ იცავს ბაჩანას დედა.

\_ ეხლა თუ მაიჭრა სოფელში თავი, სამარემდე გაჰყვება ეგ სირცხვილი, \_ იმახის მამა.

\_ იქნებ შენ ახვიდე დილაადრიან და ჩამოუტანო, \_ სთხოვა დედამ.

\_ როგორ? მე ჩამოვუტანო თავისი კაცობა?! მერე თვითონ არ შერცხვება? მერე თვითონ ქურდულად ატარებს თავის ნამუსს? არც კი გესმის, რას ამბობ! ადგება ხვალ დილაუთენია და ჩამოიტანს იმ ბეჭს, მორჩა და გათავდა! \_ ბრძანებით თქვა მამამ.

უფრო მწარედ აქვითინდა ბაჩანა. დედამ მისი დაწყნარება სცადა, მაგრამ მამა გაუბრაზდა:

\_ შეეშვი, ქალი ხომ არ არის, რომ მოფერება აწყნარებდეს?

ღამე თანდათან დაშავდა და ჩაღრმავდა.

ძილმა მოიცვა სოფელი.

ხანდახან მგელი წამოიყმუვლებდა გაღმა ტყეში და ისედაც სევდიან ზამთრის ღამეს, უფრო სევდიანს ხდიდა.

ობრავდა ბაჩანა და არც ხუჭუჭულას ეძინა.

დედასაც ჩაეძინა,

მამასაც...

მარტო ხუჭუჭულა არ იძინებს, ისე ეჭიდავება ღამეს, როგორც ხუთკუნჭულა ეჭიდებოდა დევებს ზღაპარში.

დრო და დრო მგლის ყმული და ძაღლების შეშინებული ყეფა აკრთობს ხეობაში ჩამოწოლილ ღამეს.

როგორც იქნა, იყივლა მამალმა.

ჯერ ერთი ყიოდა, მერე იმას სხვებიც აჰყვნიენ. ფანჯარაში ოღნავ გაფერკმთაღდა ღამე.

ბაჩანას სძინავს.

დედასაც,

მამასაც...

თენდება. ფანჯრებიდან სახლში შემომზირალი ღამე სადღაც მოეპარება ჩუმიად.  
წამოდგა ხუჭუჭულა.

ჩაიცვა.

ფრთხილად გააღო კარი და გარეთ გავიდა. ვერავინ გაიგო მისი გარეთ გამოსვლა.  
იმ ბანისაკენ წავიდა, სადაც ცხვრის ბეჭი შეაგდეს და ბაჩანას ერგო მისი ჩამოტანა.

რიჟრაჟია. ხუჭუჭულა მაღალი ბანის ქვის საფეხურებზე ასვლას ცდილობს, მაგრამ  
ვერ ახერხებს.

ძალიან წვალობს,

თან ისე ცდილობს, ისე უნდა ბანზე ასვლა, ეტყობა ამ დიდი სურვილით  
ანთებულს ეძლევა ძალა და ისიც ქვის საფეხურებზე მიბობღავს, ზემოთ მიიწევს და  
ბანზე ადის.

დათოვლილ ბანზე, აქა-იქ მიმოზნეულ ძვლებს შორის უშველებელი შავი ყორანი  
ზის და ხორციან ცხვრის ბეჭს კორტნის.

– ქში! – აუქშია ხუჭუჭულამ.

– ყრრრააა! – ჩუმიად დაიყრანტალა ყორანმა.

ხუჭუჭულამ ფეხსაცმელი გაიხადა, ყორანს ესროლა და ისევ აუქშია.

– ქში!

ყორანმა ფრთები აიქნია, მაგრამ არ აფრინდა. ახლა მეორე ფეხსაცმელი ესროლა  
ხუჭუჭულამ, მაგრამ ვერ მიუწვდინა ყორანამდე.

– ყრორ! – დაიყრანტალა ყორანმა და როცა ხუჭუჭულა ფეხსაცმლის ასაღებად  
დაიხარა, ზურგზე დააცხრა, ტანსაცმელში ბრჭყალები გამოსდო, აიქნია ფრთები,  
აატყლაშუნა, ჰაერში აიწია და ფარტენასავით მსუბუქად აიტაცა ხუჭუჭულა,  
რომელსაც ფეხსაცმელი ხელში ეჭირა და უცებ ვერც კი მიხვდა, რომ ჰაერში  
მიფრინავდა, სანამ მაღლიდან არ ჩამოხედა სოფელს.

ყვირილი მორთო ხუჭუჭულამ.

ყორნის ყრანტალმა და ხუჭუჭულას ყვირილმა გამოადვიდა სოფელი.

– ბებოო! ბებოო! მიშველე, ბებოო! – ყვიროდა მაღლიდან ხუჭუჭულა. ეტყობა ან  
ბებოის საფლავს ხედავდა ზემოდან, ანდა სულაც აღარ ახსოვდა, რომ ბებია აღარ  
ჰყავდა. ამაოდ გამოიტანეს სახლებიდან თოფები. სროლა არ შეიძლებოდა.

ყორანი ჭიუხებისკენ გაფრინდა და მთელი სოფელი შეძახილებით გაჰყვა თან.

მაღედვე მიეფარა ყორანი მთას. ისეთი პატარა და მსუბუქი იყო ხუჭუჭულა,  
ოდნავადაც არ უჭირდა ყორანს ფრენა.

ამაოდ გაჰყვირიან მთებს ხუჭუჭულას ძებნით დაღლილი სოფლელები:

– ხუჭუჭულაა! ხუჭუჭულაა! – იქნებ საიდანღაც გამოეხმაუროს ხუჭუჭულა, რომ  
მიეშველონ.

– მოლეკულაა! მოლეკულაა! – ტირილით გასძახა ბაჩანამ.

– ხმა ჩაიკმინდე! – შეუტია მამამ.

ბაჩანა გაჩუმდა.

– ხუჭუჭულაა! – იმეორებენ მთები და ექო მთელ კავკასიონს გადაეცემა.  
კავკასიონი კი დგას.

დგას ამაყად ამოზიდული და შორს მომზირალი. იგი ვერ ხედავს, როგორ  
ცდილობს მის გულ-მკერდზე უშველებელი შავი ყორანი პატარა ბიჭის დაკორტნას.

– ქში! ქში! – ყინულის გრძელი ლოლუებით იგერიებს ბიჭი ყორანს.

კავკასიონი ამას ვერ ხედავს, რადგან ბიჭი ძალიან პატარაა და შეუმჩნეველი.  
ისეთივე პატარა ამ მთებს შორის, როგორც მოლეკულა სამყაროში.

მარტო კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანი ხედავს ყორანთან მოჩხუბარ  
ხუჭუჭულას.

ბორგავს ამირანი, ჯაჭვების გაწყვეტას ცდილობს, მაგრამ ამაოა მისი მცდელობა.

თანდათან ღონე ელევა ხუჭუჭულას.

საზარლად ყრანტალებს ყორანი.

არ ჩანს მშველელი.

ბორგავს ამირანი

და –

საიქიოში, ხუჭუჭულას ბეზის სული, მაღალ ღმერთს ევედრება, რომ აუშვას  
ამირანი, რათა დროზე მიეშველოს მის საყვარელ, პატარა ხუჭუჭულას.

## თუნა

თუნა და თინა მეგობრები არიან და მთის ერთ პატარა სოფელში ცხოვრობენ.

თუნა ძროხას ჰქვია, თინა კი მისი პატრონია.

– თუნა! თუნა! – გადადგება სოფლის გორაზე და გასძახის ძროხას.

სადაც არ უნდა იყოს ამ დროს თუნა, პატრონის ხმას გაიგონებს თუ არა, თავს  
მაღლა ასწევს და რაც შეუძლია ხმამაღლა გამოეხმაურება პატრონს:

– მუუუ! – ეგ არის მისი პასუხი.

– მოდი თუნა, მოდი, მარილი გაჭამო.

თუნა კისერს წაიგრძელებს კუდს მაღლა აპრეხავს და გარბის პატრონისაკენ.

– მოდი, გენაცვალოს ბებო, (თინა თუნას ბებიაც არის)

– მოდი – ხელის გულზე დაყრილ მარილს გაუწვდის თინა და ძროხა ისე  
გემრიელად ლოკავს მის ხელს, თანაც პატრონი ისე ფხანს კისერზე და შუბლზე, თუ  
გინდა სადმე სიყვარულის სრული გამოხატულება ნახო, მათ უნდა უყურო ამ დროს.

– წამო, ეხლა წყაროზე წავიდეთ, – წყაროსკენ მიუძღვება თინა.

წყალს რომ დალევენ, თინა ეტყვის:

– წადი თუნა, დეკიანებში გადადი და იქ მოძოვე, ოღონდ საღამოს არ დაიგვიანო,  
თავი არ მაძებნინო.

თუნა ძოვნა-ძოვნით გაუყვება ფერდობს. თინა ერთ ხანს უყურებს და სიყვარულით ჩაილაპარაკებს:

– შენ გენაცვალოს ბებო, შენა!

მერე წყაროზე დატოვებულ კოკას ცივი წყლით გაავსებს და მძიმედ, ბებრული ნაბიჯებით გაუყვება სახლისაკენ მიმავალ ბილიკს.

მზე რომ სხივებს აიკრეფს და მთების იქით ჩაიწვერება თუნაც მოადგება სახლს.

– მუუუ! – წყნარად შესძახებს პატრონს.

თინა ვედროთი გამოეგებება და მერე რძის ჩხრიალი და თინას ჩურჩული ერთმანეთში ირევა, რაღაცნაირ დაუწერელ მუსიკასავით ისმის:

– რო აღარ ამოგვივიდნენ ბებო, რო აღარ ამოგვაკითხეს. ი ქალაქის სიციხეში ხრუკავენ ბაღლებს. გაზარმაცდნენ, თორემ ისეთი რა საქმეები აქვთ, რომ ორი კვირით მაინც არ ამოგვხედონ...

და სწორედ ამ დროს მოადგება თუნასთან მოლაპარაკე თინას მისი ჯალაბი.

– თქვენამც გაგახარებთ უფალი, როგორც მე ახლა გამახარეთ თქვენი მოსვლით და თქვენი დანახვით – სიხარულისაგან აქეთ-იქით აწყდება თინა.

მერე ცეცხლზე რძე დუღს.

თინა ხაჭაპურებს უცხობს შვილიშვილებს, თუნა კი სახლის დერეფანში წევს და ტკბილად იცოხნება.

და ერთხელაც, შემოდგომის მიწურულს დადგება ხოლმე ჟამი, როცა თინა და თუნა უნდა გაიყარნენ. თინა საზამთროდ მიჰყავთ შვილებს ქალაქში, რადგან ერთ-ორი კაცის მეტი აქ აღარავინ რჩება, თუნა კი მეზობელ სოფელში მიჰყავთ გამოსაკვებად. თუნას მოგებულნი ხბო გამკვებავს რჩება გაზაფხულზე ძროხის მოვლა-პატრონობის სანაცვლოდ, გაზაფხულობით კი თინა ამოდის ქალაქიდან და თუნა სახლში მოჰყავს.

რაღა თქმა უნდა, დარდობს თუნა შვილთან განშორებას, მაგრამ მაინც სიხარულით მიჰყვება თინას.

და ერთხელ გაზაფხულზეც თვალზეცრემლმომდგარმა გასძახა სოფელში დარჩენილმა თინას მეზობელმა თავის მეუღლეს:

– ქალო, აბა გამოიხედე!

ქალი სახლიდან გარეთ გამოვიდა და იმ მხარეს გაიხედა, სადაც მისი მეუღლე იყურებოდა: თინას სახლის ჭიშკართან თუნა იდგა და ზმუოდა.

– ხედავ, საქონელსაც კი ზოგიერთ ადამიანზე დიდი გული აქვს და დიდი სიყვარული შეუძლია, – ჩაილაპარაკა კაცმა და თვალეზე მომდგარი ცრემლები მოიწმინდა.

სწორედ ამ დროს თინა ქალაქის ერთ-ერთ საავადმყოფოში, საოპერაციო მაგიდაზე იწვა და ექიმს ეხვეწებოდა:

– ექიმო, შენ ჯან-სიყმეს ვენაცვალე, ვითომ შენი ბებია ვყოფილვარ, გადმარჩინე; ისე არ მოვკვდე, რომ ერთხელ მაინც არ ავიდე სოფელში და ჩემი თუნა არ ვნახო.

– თუნა ვინდა არის ბებო, ქმარია თქვენი?  
– არა ბებო გენაცვალოს, ქმარი კარგა ხანია შავ მიწას არის ამოფარებული; თუნა ჩემ ძროხას ჰქვიან, ისე არ მინდა მოვკვდე, რომ ერთხელ მაინც არ ჩამოვწველო, ერთხელ მაინც არ ავალოკინო ჩემი ხელიდან მარილი.  
– დაწყნარდი ბებო, ყველაფერი კარგად იქნება სამაგისო არაფერი გჭირს, – დაამშვიდა ექიმმა, და შუბლზე დაადო ხელისგული.  
თინამ იმედი და სიმშვიდე იგრძნო.  
მერე?  
მერე ის ექიმი ტიროდა და ერთსა და იმავეს გაიძახოდა:  
– როგორ მთხოვა, როგორ შემეხვეწა, ნეტავი ერთხელ მაინც ჩამოეწველა თავისი ძროხა და ხელისგულიდან აელოკებინა მარილი.

– ღმერთმა გაანათლოს, ნათელში ამყოფოს იმის სული, ყველაფრით თადარიგიანი ქალი იყო, ეს ძროხაც ეტყობა თავის საქელეხოდ ჰყავდა გაზრდილი, რომ შვილები ზედმეტ ხარჯში არ ჩაეგდო, – იძახდა ვიღაც შუახანს მიღწეული კაცი.  
– გაანათლოს! გაანათლოს! – ხმამაღლა იძახდა სუფრა.  
ცხელი ოხშივარი ასდიოდა სუფრაზე ჩამოტარებულ ხაშლამას.

## ცასწავალა

ვუძღვნი პატარა უფლისწულის ხსოვნას

მეტნაკლებად ყველასა აქვს ცაში წასვლის სურვილი. პოეტები ვარსკვლავებს უმღერიან, ხეები ზეცას შეჰლაღადებენ, დამშეული მგლებიც ცას შეჰყმუიან. ყველას, ყველასა აქვს ზეცაში ამაღლების სურვილი. იმათ შორის პატარა ცისფერთვალეა ჩიტსაც, რომელსაც ცასწავალას ეძახიან.

ცასწავალა ღობემძვრალაზე ოდნავ დიდი თუ იქნება, ძალიან პატარა ფრთები აქვს, ძალიან პატარა ნისკარტი. ცასწავალა აყვავებულ მთის ფერდობზე გავიცანი.

ზაფხულობით ჯერ თეთრად გადაიპენტება ხოლმე გუდამაყრის მთები, – ეს თეთრი ყვავილებია, გუდამაყრელები კანკემას ეძახიან. მერე ლურჯი ყვავილებიც ამოვა და ფარდაგს დაემსგავსება სათიბები.

ცხვარს ვედექი. ირგვლივ გაყურებული იყო ყოველივე. გახურებული მზე ზეცის სილურჯეში ლივლივებდა და ისეთი ლურჯი ცა იყო, თვალს ვერ მოსწყვეტდი. თეთრად აყვავებულ კანკემებში გულაღმა ვიწექი და ცაში წასვლაზე ვოცნებობდი. უცებ, ჩემს ქვემოთ, ბალახებიდან ერთი პატარა ჭრელი ჩიტი ამოფრინდა და ცაში აიჭრა, თან წკრიალა ხმით იძახოდა: ცასწავალ! ცასწავალ! ცასწავალ!

სიჩუმეში ისე დაირხა მისი ხმა, ყველა მას შეაცქერდა: გუთნისჩიტები, ბოლოცეცხლები, ჩხიკვები, კლდის ქიმზე შემომჯდარი ორბებიც და ყვავილებიც კი შეიშმუშნენ.

ცასწავალამ ერთ ხანს იფრინა ასე და უცებ ისევ დაბლა დაემვა. მოდიოდა და ახლა იმას იმახდა: ვტყუი! ვტყუი, ვტყუი!

ჩამოვიდა და ბალახებში გაუჩინარდა. მერე რამდენჯერმე კიდევ აფრინდა ცაში გაგულისებულნი ძახილით: – ცასწავალ! ცასწავალ! ცასწავალ! – რაღაც ზღვარს მიაღწევდა, ღონე გამოელეოდა და ისევ ქვემოთ დაემვებოდა: – ვტყუი! ვტყუი! ვტყუი! – ამით თითქოს თავს იმართლებდა. თავის უღონობას მალავდა, რათა სხვებს არ გაეგოთ, რომ ცაში წასვლა არ შეეძლო.

ჯერ უთმინეს ფრთოსნებმა ეს ტყუილი, მერე კი, ეტყობა, საწყენად მიიღეს, ჩემს იქით, კანკეშიან გორზე იწყეს შეკრება.

მოვიდა ყველა ჯურის ფრინველი. ეტყობა, რაღაც თავისებური უმავთულო ტელეფონები აქვთ, თორემ როგორ გააგებინეს ასე უცებ ერთიმეორეს: მოდიოდნენ და მოდიოდნენ, ათასნაირად ჩაცმულები. გორზე ტევა აღარ იყო. როცა ყველანი შეიკრიბნენ, რაღაც ითათბირეს და გაისუსნენ.

ბალახებიდან ისევ ამოფრინდა ცასწავალა და ცაში აიჭრა: – ცასწავალ! ცასწავალ! ცასწავალ! – ყვიროდა ის, მერე მიაღწია რაღაც ზღვარს და ქვემოთ დაემვა: – ვტყუი! ვტყუი, ვტყუი, ვტყუი! – ის-ის იყო ბალახებში უნდა ჩამალულიყო, რომ გორზე შეკრებილ ფრინველებს ორი მიმინო გამოეყო, ეცნენ ცასწავალასა და გაკოჭეს, აღარ აცალეს დამალვა. მიმინოებმა ცასწავალა გორზე შეკრებილ ფრთოსნებს მიჰგვარეს. იმათ ამოირჩიეს მოსამართლე და დაიწყო სასამართლო.

მე, ჩუმად, ახლოს მივიწიე, რომ კარგად დამენახა, რა მოხდებოდა.

მოსამართლე ყვავმა თავისი ადგილი დაიკავა და დაიწყო:

– მოქალაქე ცასწავალა, თქვენ ბრალად გედებათ აქ შეკრებილი საზოგადოების მოტყუება. მითხარით, ვინა გყავთ ცაში?

– არავინ, – თქვა სევდიანად ცასწავალამ.

– ვაა! – აღმოხდა ყვავს, – როგორ თუ არავინ, მაშ ვისთან მიდიოდი?

– ისე, ცაში მინდოდა წასვლა.

– ვისთან, ვინ დაგპატიჟათ, რა მიზეზით?

– არა, არავის დავუპატიჟივარ, მაგრამ...

– "მაგრამ" აქ გამორიცხულია, მოქალაქე ცასწავალა, თქვენ შეურაცხყოფას აყენებთ აქ დამსწრე საზოგადოებას. განა შეიძლება, ამდენი ტყუილი? მეტი საქმე არა გაქვს, რომ მთელი დღე გვატყუებ, ცასწავალ, ცასწავალო! და მერე ურცხვად იმეორებ, ვტყუი, ვტყუიო! – ვინ არის შენი მოსატყუებელი? უფროსებისა მაინც აღარა გრცხვენია? სახლში ვინა გყავს?

– არავინ.

– ობოლი ხარ?

– დიახ... – თქვა საბრალო ცასწავალამ და თავი მუხლებში ჩამალა.

– საზოგადოების მოტყუებისათვის ცასწავალას მიესაჯოს ერთი დღე-ღამით თავისუფლების აღკვეთა, კანკეშის ღეროზე მიბმით, – გამოიტანა მოსამართლემ განაჩენი. შემდეგ დაგრიხეს გრძელი მარსლები, ცასწავალა ფრთებითა და ფეხებით კანკეშის ღეროზე მიაბეს და საკრებულო ნება-ნება დაიშალა. ყველაზე ბოლოს მოლალური შემორჩა, მივიდა ცასწავალასთან, კარგა ხანს იდგა დაფიქრებული, მერე ცას ახედა, ამოიოხრა და მოწყენილი გაფრინდა.

– გამაგრდი, ცასწავალა! – ჩამოსძახა კანკეშაზე მიბმულ ცასწავალას.

ჩამოვარდა სიჩუმე. საწყალმა ცასწავალამ ამაოდ სცადა მარსლების გაწყვეტა. მე ჯერ დავაპირე ამეშვა, მაგრამ მერე ვიფიქრე, ვაითუ ფრთოსნებმა მათი განაჩენის დარღვევა შეურაცხყოფად მიიღონ და ცასწავალას რაიმე დაუშაონ-მეთქი, ისევ გაცლა ვამჯობინე, ცხვარი ქვემოთ გავრეკე. დავტოვე ცასწავალა მარტოკა, მიწისა და ზეცის ამარა. მთელი ღამე არ მეძინა, მეშინოდა, მელიას არ მიეგნო დაბმული ცასწავალასათვის.

დილით ადრე გავირეკე მთისაკენ ცხვარი, იმ ადგილას რომ მივედი, ჯერ ვერ დავინახე ცასწავალა, მერე კინაღამ ზედ შევდექი, ფოთლები ეფარა ზედ და ეძინა. ეტყობა მოლალურმა დააფარა, რომ მელიას ვერ დაენახა. მართლაც, რამდენიმე წუთში საიდანღაც მოფრინდა მოლალური და ფოთლები მიმალ-მომალა, რომ ფრთოსნებს არ ენახათ.

შუადღემდე დაბმული იყო ცასწავალა. შუადღისას ისევ შეიკრიბნენ ფრთოსნები და ახსნეს. ჯერ უგონოდ დაეცა, ეტყობა, ფრთები ეტკინა. მოლალურმა ნისკარტით წყაროს წყალი მოარბენინა და მოასულიერა ცასწავალა.

– გაგვითავისუფლებიხარ, ცასწავალავ, ოღონდ ერთი პირობით: მეტი აღარ მოიტყუო, – უთხრა ყვავმა.

– არა, აღარ მოვიტყუებ, – პირობა მისცა ცასწავალამ.

წავიდ-წამოვიდნენ ფრთოსნები და ახლომახლო აყვავებულ ბალახებში ჩასხდნენ.

ცაზე მსუბუქად მიცურავდა ყვითელი მზე. ლურჯი, ძალიან ლურჯი ცა თითქოს თავის სიღრმეში სანავარდოდ იხმობდა ყველას.

ცასწავალა კარგა ხანს იჯდა დაფიქრებული. მერე, ეტყობა მოსწყინდა ასე ყოფნა, ფრთები გაშალა და ცაში აიჭრა:

– ცასწავალ! ცასწავალ! ცასწავალ! – იძახდა ცასწავალა და ისე ძალა წავიდა, ოდნავდა ჩანდა, გასცდა იმ ზღვარს, სადამდისაც ადრე მიდიოდა ხოლმე, უკანასკნელ ძალღონეს იკრებდა და ერთი სურვილით შეპყრობილი, მიწაზე დარჩენილ ფრთოსნებს ჩამოსძახოდა: – ცასწავალ! ცასწავალ! ცასწავალ!

ყველანი მას შეჰყურებდნენ.

ის წერტილივით ჩანდა.

უკანასკნელი ამოსუნთქვისთვისღა ეყო ღონე და გული გაუსკდა.



უკან მსუბუქად და მდუმარედ ეშვებოდა. მერე ასევე მსუბუქად დაეცა თავის საყვარელ ბალახებში.

საწყალი ცასწავალა ფრთოსნებმა იმ გორზე დაასაფლავეს, სადაც გუშინ სასამართლო მოუწყვეს. ყვავმა გრძელი სიტყვა წარმოთქვა. მოლაღურმა ბევრი იტირა. სხვებიც ვიშვიშებდნენ, თავს აქეთ-იქით იქნევდნენ. მერე დაიშალნენ და დარჩა გორზე პატარა სასაფლაო. ეს ოდნავ ცისკენ ამოწეული მიწა ზემოთ დარჩენილთ თითქოს იმას მიანიშნებდა, რომ მის ქვეშ ზეცაში წასვლის სურვილით შეპყრობილი ცასწავალა იწვა, და ვინც კი ნახავდა, გული სწყდებოდა: ეს სურვილი ხომ მეტნაკლებად ყველასა გვაქვს, ზოგი ვამჟღავნებთ, ზოგი გულში ვიმარხავთ სამუდამოდ.

### ხ თ ი შ ვ ი ლ ი

სოფელი, სადაც ზოსიმე უნდა დაბადებულიყო, აქაური ხალხის რწმენით, წმინდა ადგილად ითვლებოდა და ამ სოფლის ქალებს აკრძალული ჰქონდათ აქ მშობიარობა.

გზაზე დაიბადა ზოსიმე.

ერთი მალალი, შავად წამოყუდებული კლდის ძირას იმშობიარა დედამისმა.

ქალმა ჩიქილა მოიხადა, ახლად დაბადებული პატარა ზოსიმე შიგ შეახვია და რაკი წვიმა წამოვიდა და თავის მამის სახლამდეც კარგა დიდი გზა ჰქონდა დარჩენილი, მას კი ღონე აღარ შესწევდა სასიარულოდ, მდინარეზე გადავიდა და მწყემსების საზაფხულო ქოხს შეაფარა თავი.

ქოხში მხოლოდ ერთი პატარა მწყემსის ბიჭი დაუხვდა. იმან დიდი ამბით მიიპატიჟა შიგნით დედა-შვილი, მაგრამ რაკი აქაური ადათ-წესის მიხედვით, მელოგინე ქალი უწმინდურად ითვლებოდა ორმოცი დღის განმავლობაში, ზოსიმეს დედა ქოხში შესვლას მოერიდა და იქვე ახლო-მახლო, სიპი ქვით გადახურულ სახბორეს შეაფარა თავი. ბიჭი ბაგაში ჩაფენილ თივის ბზეში ჩააწვინა თბილად. თვითონ იქვე ჩამოჯდა და გაბრწყინებული თვალებით მიაჩერდა შვილს.

მოეჩვენა, თითქოს რაღაც არაამქვეყნიური ნათელი ეფინა სახეზე მის პატარას.

სწორედ ამ დროს იქუხა კიდეც და ზოსიმეს დედამ ეს ქუხილიც რატომღაც ღვთის ნიშნად მიიჩნია.

გარეთ წვიმდა.

ჩვილი ტიროდა.

დედამ ხელში აიყვანა, გულზე მიიხუტა და თბილი ძუძუ ჩაუდო პირში.

ბიჭი არ წყნარდებოდა, ტიროდა და ტიროდა.

ქალი ელაპარაკებოდა, ამშვიდებდა.

ის მაინც ტიროდა.

ტირილით ეგებებოდა თავის დაბადებას.

სახბორის შემოსასვლელში მწყემსის ბიჭი გამოჩნდა. წვიმაში იდგა, მხრებში მოზუზული, შიგნით შესვლას ვერ ბედავდა.

– ქობში წადი, აქ ნუ სველდები, – უთხრა ქალმა.

ბიჭი არ განძრეულა, ფართოდ გახელილი თვალებით შეჰყურებდა პატარას, რომელიც უფრო და უფრო უმატებდა ტირილს.

– რატომ ტირის? – იკითხა მწყემსის ბიჭმა.

– ეტყობა რაღაც არ მოსწონს, – ღიმილით თქვა ქალმა, – წადი, ქობში, ნუ სველდები წვიმაში.

ბიჭი ქობისაკენ გაიქცა.

ატყდა საშინელი ჭექა-ქუხილი და წვიმაში სეტყვაც გამოერია.

მთებსა და მთებს შორის მძიმედ ჩამოწვა სეტყვის ღრუბელი.

ჩვილი ისევ ტიროდა.

სახბორეს შემოსასვლელთან ისევ გამოჩნდა მწყემსის ბიჭი, ხელში მოსახარში ცხვრის ბეჭი ეჭირა.

– აქ შენი შემოსვლა არ შეიძლება, თქვენები გაგიბრაზდებიან, წადი ქობში! – გაუბრაზდა ქალი.

– მე ვიცი, ეგ რატომაც ტირის, – თქვა ბიჭმა.

– შენ რაღა იცი?! – გაეღიმა ქალს.

– ვიცი, შია და იმიტო ტირის, აი ხორცი, აჭამე და გაჩუმდება, – ბიჭმა ქალს ცხვრის ბეჭი გაუწოდა.

– კარგი, ვაჭმევ, ოღონდ ქობში წადი, მანდ ნუ სველდები, – გაუღიმა ქალმა და ცხვრის ბეჭი გამოართვა.

– მერე წყალსაც მოგიტანთ, – მზრუნველი ხმით თქვა მწყემსის ბიჭმა და ქობისკენ გაიქცა.

ცაზე დიდხანს იდგანდგარეს სეტყვის ღრუბლებმა.

მერე, როგორც იქნა, გული იჯერეს, ნელ-ნელა მიჩუმდნენ, მისავათდნენ, მიწყნარდნენ, მიწაზე ჩამოფენილი კალთები აიკეცეს და მთებს იქით გადაიკარგნენ.

გამოჩნდა ლურჯად მოელვარე კამკამა ცა.

ჩვილიც ჩაწყნარდა.

ჩაიძინა.

ჩამოვარდა სიჩუმე.

სახბორის შემოსასვლელთან ისევ აიტუზა მწყემსის ბიჭი. ხელში წყლით სავსე დოქი ეჭირა.

– აი, შენ კი გაგახაროს მაღალმა ღმერთმა, – უთხრა ქალმა და დოქი გამოართვა.

– დაიძინა?

– ხო, დაიძინა.

– რა არ მოსწონდა?

– რა ვიცი, აბა! – გაუღიმა ქალმა ბიჭს.

- \_ რა ჰქვია?
- \_ ჯერ სახელი არა აქვს.
- \_ რატომ ყველასა აქვს სახელი და...
- \_ ამას ჯერ არა აქვს.
- \_ რატომ არა აქვს?
- \_ იმიტომ, რო ეხლავა მოვიდა ამ ქვეყანაზე.
- \_ მერე, საიდანაც მოვიდა, იქედან სახელი არ გამოატანეს?
- \_ არ ვიცი, ეტყობა დაკარგა და იმიტომ ტირის, \_ იხუმრა ქალმა.
- \_ თუ გინდა მე მივცემ სახელს.
- \_ შენს სახელს?
- \_ არა, სხვა სახელს, კარგი სახელი ვიცი.
- \_ თუ კარგი სახელი იცი, მაგას რა სჯობია, აბა მითხარი.
- \_ ზოსიმე, \_ თქვა ბიჭმა.
- \_ ხოო, მართლა ძალიან კარგი სახელი გცოდნია, ღმერთიც გაგზრდის და სიბერემდე მოგყრის, \_ დალოცა ქალმა, \_ შენ თვითონ რა გქვია?
- \_ მე მახარე მქვია, \_ ამაყად თქვა ბიჭმა, \_ წავალ, ხბორებს მოვძებნი, ნუ გეშინიათ, მალე მოვალ.

მახარე ჩამოსეტყვილ ფერდობს აუყვა ზემოთ.

მშვიდად, ძალიან მშვიდად დაღამდა ის დღე და შებინდებულზე მახარეს დედაც გამოჩნდა, ქვემოდან ქობისკენ აჩქარებით ამომავალი. მახარემაც მორეკა ხბორები. ძროხებიც მოვიდნენ საბალახოდან რძით გავსებული ცურებით. ქობის იქით მწყემსებმაც შემოაქუჩეს საბიანოზე ცხვრის ფარა.

შემობინდდა.

მერე, ოდნავ წელში გაზნექილი, ნალევი მთვარე ნათელი ღიმილით შემოჯდა გორის ფხაზე.

\*

ორმოცი დღე, თავის სოფელში, დედ-მამის სახლის განაპირა პატარა ოთახში ცხოვრობდა ზოსიმეს დედა.

მერე ქმრის სოფელში დაბრუნდა.

სათემო გორაზე სამხთო გადაიხადა ზოსიმეს მამამ.

დიდი, თეთრი ხარი დაკლეს და ხატში გარიეს გვარში შემომატებული პატარა ბიჭი. სამჯერ გამოაგორა ხევისბერმა ხატის გორაზე. მერე საამდღოდ გამომცხვარი გადმოყარა და დაიძახა:

\_ ჩოხის წმინდა გიორგი სწყალობდეს ზოსიმეს!

\_ სწყალობდეს! სწყალობდეს! \_ დაიძახა ქვემოთ მდგარმა ხალხმა და ხევისბერის მიერ გადმოყრილ აშალს (პატარა მრგვალი კვერებია) მიესივნენ ასაკრებად. ჟივილ-ხივილით ერთმანეთს ასწრებდნენ აშალის აკრეფას. მერე კი, იმავე გორაზე, სადაც

ზოსიმე გამოაგორეს, სამანთან ერთი აშალი-კვერი ჩადგეს სამიზნედ, თვითონ ქვემოთ გამწკრივდნენ და დაიწყეს მიზანში სროლა. სამიზნეს ასეთივე აშალ-კვერებს ესროდნენ და თან ხმამალა გაჰკვიოდნენ:

– სწყალობდეს ზოსიმეს!

– სწყალობდეს ზოსიმეს!

ზოსიმეს კი ხვეისბერის მიერ, ხარის სისხლით, შუბლზე ჯვარი ჰქონდა გამოსახული.

სამრეკლოზე ზარებს რეკავდა ხატის დასტური.

ერთად შეკრული უამრავი სანთელი ეჭირა ხელში ხვეისბერს და ღმერთს ადიდებდა. ზოსიმეს კარგ ბედ-იღბალს ევედრებოდა დამბადებელს. მისი თხოვნა მთელი გვარის თხოვნა იყო ღვთის წინაშე. ეს ერთად შეკრული სანთლებიც ამის დასტური იყო; ყველამ თავისი სანთელი მიართვა ხვეისბერს ზოსიმეს დასამწყალობლებნად. სანთლების ერთად შეკვრაც, გვარის ერთად ყოფნას, ერთად წვას ნიშნავდა.

დღეიდან ერთი სანთელიც მიემატა მათ – ზოსიმეს სანთელი.

დღეის მერე, ყოველთვის აენტება ერთადშეკრებილ სანთლებს შორის, ზოსიმეს სანთელი.

დღეიდან ის გვარის წევრია.

დღეიდან...

დღეს კი, სანთლების აღს თვალს ვერ აშორებს პატარა ბიჭი.

\*

დედა ამჩნევდა, რომ ღამლამობით თითქოს რაღაცა მკრთალი ნათელი დაადგებოდა ხოლმე ზოსიმეს აკვანს.

არ ამბობდა.

მაღავდა.

ოჯახში ამას სხვები ვერ ამჩნევდნენ, მხოლოდ დედა ამჩნევდა და ფიქრობდა, ალბათ მეჩვენებაო.

მერე ფეხზე გაიარა ზოსიმემ.

ალაპარაკდა.

აჟღურტულდა.

მის არსებაში მთელი ძალით იფეთქა ღამა სიცოცხლემ. მთელ სოფელს თავი შეაყვარა. მათი სახლის ბანი დღენიადაგ ხალხით სავსე იყო. ევერებოდნენ და ეალერსებოდნენ ზოსიმეს. სხვა პატარებიც იყვნენ ამ სოფელში, მაგრამ რატომღაც ყველას მის სანახავად მოუწევდა გული, თითქოს ზოსიმეს, სხვათაგან გამორჩეული, სიყვარულის ღვთაებრივი ნიშანი ჰქონდა.

და, ეს ნიშანიც დედამ შეამჩნია: ერთ დღეს, როცა იმან ტაბლაზე სანთელი აანთო, პატარა ზოსიმე მივიდა, სანთელთან გაჩერდა, მერე ტაბლიდან მოხსნა, ხელით მაღლა აწია და თვითონაც აფრინდა.

დედა გაოგნდა. მუხლები მოეკვეთა. აღარ იცოდა, რა ექნა.

ზოსიმე კი, საითაც სანთელს გაიწვდიდა, იმ მხარეს მიფრინავდა, ხან ზემოთ აფრინდებოდა ჭერისკენ, ხან ქვემოთ დაწევდა სანთელს და ქვემოთ მოდიოდა. საცხოვრებელი დარბაზი ფართო იყო და შინ ლაღად დაფრინავდა პატარა.

დაფრინავდა, მანამ სანთელი არ ჩაიწვა და არ ჩაქრა, როცა ზოსიმემ სანთლიანი ხელი ჭერის თავიხეს მიადო. ჩაქრა თუ არა სანთელი, ფრთებმეჭრილივით მოწყვეტილი ჩამოვარდა დაბლა ზოსიმე.

ეს ამბავიც დამალა ქალმა.

მხოლოდ ქმარს გაუმხილა.

ამის მერე ანთებულ სანთელს ახლოს აღარ აკარებდნენ ზოსიმეს. ის კი, მოჰკრავდა თუ არა თვალს, თვალეგაბრწყინებული მიიწევდა მისკენ.

\*

თანდათან მრავლდებოდა და ძლიერდებოდა გვარი. მრავალჯერ გამოაგორა ხევისბერმა პატარა ბიჭები ხატის გორაზე.

ახლაც იქა დგას.

ბერდიას ამწყალობნებს.

ბერდიას არჩევენ ხატში; ის კი ტირის, თითქოს უარზეა, არ სიამოვნებს ხატის გორაზე გამოგორება.

ქალებს ხატის ახლოს არ უშვებენ, მარტო კაცები და ბალები არიან აქ.

– თოლი გქონდეს ბაღზე, ანთებულ სანთელთან არსაით მიგივიდეს, – გააფრთხილა ზოსიმეს მამა.

– სწყალობდეს ბერდიას! – იმახის ხევისბერი და აშალს გადმოყრის.

– სწყალობდეს!

– სწყალობდეს! – უდასტურებს ხალხი და გადმოყრილ აშალს ასაკრეფად მიესევინ.

თვალსა და ხელს შუა დაეკარგება მამას ზოსიმე.

მაშინლა მოჰკრა თვალი, როცა ბიჭმა სამანის ქვაზე მიკრული უშველებელი სანთლების კონა მოხსნა და მაღლა ასწია.

– დაიჭი, ხევისბერო! – განწირული ხმით იყვირა ზოსიმეს მამამ და იქით გაიქცა.

ხევისბერი ბიჭისაკენ შემობრუნდა და ნაბიჯიც ვეღარ წადგა გაოგნებულმა: ზოსიმე უკვე ცისკენ მიფრინავდა.

ჩამოვარდა სიჩუმე და ამ სიჩუმეში ქალის მოთქმა გაისმა:

– ზოსიმე, შვილოო, დაბლა დაწიე სანთელი შვილოო!

მაგრამ ზოსიმე არ აპირებდა მიწაზე დაშვებას. თითქოს არც გაუგონია დედის ხმა. ანთებული სანთლების კონა თავის ზემოთ ეჭირა და მოკრიალებული ლურჯი ცის სიღრმეში მიიწევდა მალლა და მალლა. ხალხი გაოცებული შეჰყურებდა და ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა.

– მიშველეთ, ხალხო, ყველამ შესძახეთ, რომ დაბლა დასწიოს სანთლები, თორემ თუ ჩაუქვრა, ჩამოვარდება, – ევედრებოდა ხალხს ზოსიმეს მამა.

მხოლოდ რამდენიმე კაცმა გაბედა ხმის ამოღება. იმათაც ხმაჩაწყვეტილებმა შესძახეს ზოსიმეს:

– დაბლა დასწიე სანთლები, ზოსიმე!

ზოსიმეს კი უკვე აღარ ესმოდა მათი ხმა. წერტილივითა ჩანდა ცის სიღრმეში, მერე კი თანდათან ეს წერტილიც გაქრა და რამოდენიმე ხანს მხოლოდ სანთლების ალი მილიცლიცებდა ლურჯი ცისაკენ.

– ჩამოვარდება, ხალხო, ჩამოვარდება! – გულამოსკვნით ქვითინებდა ზოსიმეს დედა და ხელებს მუხლებზე ირტყამდა.

სანთლის ალიც გაქრა.

ხალხი შეშფოთდა.

მოუთმენლად ელოდნენ ზოსიმეს ჩამოვარდნას, მაგრამ ამაოდ, ზოსიმე აღარ ჩამოვარდა, ცას შეერია.

დიდხანს კიდევ ხმისამოუღებლად შეჰყურებდნენ ცას, მანამ, სანამ ხევისბერმა არ დაარღვია სიჩუმე.

– რაღას უყურებთ, ხთიშვილი თავის საუფლოში გაფრინდა, მოკრიფეთ სანთლები და ვილოცოთ მიწაზე დარჩენილთ!

ხატის დასტურებმა სანთლები მოკრიფეს.

ხევისბერმა აანთო და დაილოცა:

– ღმერთო, შენა ხარ სადიდებელი!

ღმერთო, შენა ხარ სახსენებელი!

ღმერთო, დიდება შენთვისა,

ღმერთო, მადლობა შენთვისა,

რო ღირსად გვცანი, ღირსად ჩაგვთვალე,

ხთიშვილი ცოდვილთ მოგვივლინე...

სიჩუმეში მტრედის ღულუნით ისმოდა ხევისბერის ლოცვა და ახლა ყველა მას მისჩერებოდა.

მხოლოდ ზოსიმეს დედა არ აშორებდა ზეცას თვალს და იმის გულს ჯერაც კიდევ ელდა უვლიდა.

იმის გვერდით იდგა მახარე, მწყემსის ბიჭი, ახალდაბადებულ ზოსიმეს მოსახარში ცხვრის ბეჭი რომ მოუტანა, ის მახარე. ისიც ცას შეჰყურებდა და თან რაღაც სწყინდა, თან რაღაც უხაროდა გულში.

## შემინახე, დედაო მიწავ!

შენი სხეული ჩემ სხეულზე უფრო გამძლეა, ამიტომ ჩემს ძვლებს შენ გაბარებ სიკვდილის მერე.

როცა ჩემს თვალებს ცის ნათელი დაეკარგებათ,

როცა ჩამოვლევ ჩემს წილ საწუთროს,

როცა ჩემს მუხლებს შენზე დგომა არ შეეძლებათ,

როცა ჩავექრები, სამძღორს იქით რომ გადავხდები,

გაიხსენი, გაიხსენი ეგ საკინძე და მიმიღე, მიმიღე და შემინახე, შენ ხომ დედასავით გულუბვი ხარ, დედაჩემის გულიც ხომ შენთან არის, დედაჩემის მუხლებიც ხომ შენს უბეში აწყვია. მეც მანდ მამყოფე, მაგრძნობინე მაგ გულის ფეთქვა.

გაიხსენი და მძივებავით ჩაიკრიფე მაგ უბეში ჩემი ძოღმანი.

ვინ დამაყენა შენს ბეჭებზედ, ვინ მომცა სახე, ვინ გამიმაგრა ეს მუხლები, ძვალი ძვალზე ვინ შემომადგა.

ვინ მოახვია ჩემს ძვლებს ეს ხორცი.

ვის სამსხვერპლოზე ვანთივარ სულით.

რად ახვევია ჩემს არსებას ეს საწუთრო ნისლივით მღვრიე.

ეს ყოველივე რატომ ხდება, ან რაც არ ხდება, რატომ არ ხდება. სულს ვინ მიწეწავს, ვისი გონით გონივრობს გონი.

ვისი ხელია, მიწას რომ თხრის და თავისივე ძვლებს ასამარებს.

მე მესმის შენი იღუმალი ამომძახილი:

\_ გაჩუმდიო! \_ რომ ამომძახი.

\_ ღმერთის ნებაა!

იყო ნება ღვთისა და არარაისგან იქმნა რაობა.

იყო ნება ღვთისა და რაობა იქცა არარაობად.

შეეთვისა და განეთვისა:

ცეცხლი ჰაერს, ჰაერი წყალს, წყალი მიწას...

იშვა ყოველი სახიერი ღვთის არსებაში...

დავიბადე!

აჰა, მოვედი, ზენაარო, შენს საუფლოში:

\_ სად ვინა ხართ, გამოიხედეთ!

მე არავინ შემეხმინა და ვიდრე გონების თვალს აღმიხელდი, ვტკბებოდი შენით.

ჩემი სხეული შენივ აღივსო და მეც ისევე დამემართა, როგორც უცხო ადგილზე მოხვედრილ დამშეულ მგზავრს ემართება-ხოლმე, რომ მოისვენებს, ხორცს რომ გაიძლებს, მერეღა ძიობს მისი სული გულუბვ მასპინძელს.

მე შენ გეძებდი.

გეძებდი მანამ, სანამ შენ თვითონ არ ჩამოსწვდი ჩემ გულ-გონებას:

– ყველაფერი ღვთის წილია და ყველაფერში ღმერთი სულდგმულობს.

შენც ხომ ღვთის წილი ხარ, დედამიწავ!

შენი სხეული ჩემს სხეულზე უფრო გამძლეა, ამიტომ ჩემს ძვლებს შენ გაბარებ სიკვდილის მერე.

მე სანთელს ვგავარ, შენს ბეჭებზე ორი ფერის ტაბლაზე ვიწვი: დღისით და ღამით.

უფლის განგებით სავსე არის ორივე ტაბლა:

ღამე სიზმრებით, ხოლო დღისით სახიერი ცხადი ხილვებით.

ჩამოდგა ჩემი დღის ტაბლაზე ჩაქრობის ჟამი,

ღამის ტაბლაზე მოსალხენად მიდის უფალი.

მე ვიღვენთები და შემოქმედს წყვილიად ვუნათებ, რომ დღის ტაბლიდან სახიერი სიზმრეულში გადაიტანოს...

და სული ჩემი ჰგავს ქარბორბალას, ტრიალებს ჩემში და რაც მოაქვს, მიაქვს ისევე.

\*

შენი სხეული ჩემს სხეულზე უფრო გამძლეა, ამიტომ ჩემ ძვლებს შენ გაბარებ სიკვდილის მერე.

როცა ჩემს თვალებს ცის ნათელი დაეკარგებათ,

როცა ჩამოვლევ ჩემ წილ საწუთროს,

როცა ჩემს მუხლებს შენზე დგომა არ შეეძლებათ,

როცა ჩავქრები, სამძღორს იქით რომ გარდავხდები,

გაიხსენი, გაიხსენი ეგ საკინძე და მიმიღე მე.

მიმიღე და შემინახე, შენ ხომ დედასავით გულუხვი ხარ, დედაჩემის გულიც ხომ შენთან არის, დედაჩემის მუხლებიც ხომ შენს უბეში აწყვია. მეც მანდ მამყოფე, მაგრძნობინე მაგ გულის ფეთქვა...

გაიხსენი და მძივებვით ჩაიკრიფე მაგ უბეში ჩემი ძოღმანი. მე რომ ჩამომძახებენ.

– მიწა ხარ და მიწად იქეც!

– მიწა ხარ და მიწად იქეც!

აი, ეგ სიტყვები დაიჭირე, შიგ ჩემი ძვლები გამოხვიე და შემინახე, რომ არ დაგეკარგო. გამომალიჭისთავე, რომ შემდეგ, როცა დაგჭირდე, ადვილად გამომხსნა.

შემინახე, დედაო მიწავ!

### უძლეველი მეომრები

ახალი წლიდან მოყოლებული, ყველა რაღაცა ცუდ ამბავს ელოდებოდა გულდამყრის ხეობაში. ჰაერიც კი იდუმალი შიშით იყო გაჟღენთილი და რომ ჩაისუნთქავდი, ამოსუნთქვა გიჭირდა, გულ-ღვიძლი და ფილტვები გეკუმშებოდა,



მერე ეს შეკუმშული ჰაერი გულზე მძიმედ გაწვებოდა და თითქოს მკერდის გამონგრევას ლამობდა.

სევდიანი მზერით დადიოდა ხალხი. პატარებსაც კი გაჰქრობოდათ პირზე ღიმილი. არც მგალობელი ფრინველები მოფრენილან იმ წელიწადს და ორ მთას შორის მომავალი შავი არაგვიც უფრო გაავდა, ისეთ შავ ტალღებსაც მიაქანებდა ღორღიან ჭალაზე, იმისი შეხედვაც კი შეგზარავდა. კლდეზე მიხეთქებული ტალღების საზარელი ტყლაშუნი, მოთქმაში და ღრიალში გადადიოდა.

რადაც ავის მოლოდინში იყო არაგვი. კლდიდან-კლდეზე ეხეთქებოდა და ვერ წყნარდებოდა.

ახალ წელს, წესის მიხედვით, ჩოხის წმინდა გიორგის დარბაზში შეხვდნენ ჩოხელები და როცა შუალამე დადგა, ხევისბერმა ბრძანება გასცა:

– მოკრიფეთ სანთლები!

დასტურებმა ხალხს ჩამოუარეს და ყველამ იმდენი ადლი სანთელი მისცა მათ, რამდენი მამაკაციც იმყოფებოდა მათ ოჯახში. ქალების სახელზე სანთლებს არ კრებენ, ოდითგანვე ასე მოდის ეს წესი და ასეა ამ დამესაც. ქალები სახლებში ელოდებიან მამაკაცებს და იქ უმზადებენ სადღესასწაულო სუფრებს. მამაკაცებმა კი ჯერ აქ უნდა დაკლან ხატისათვის შესაწირი ბატკანი, რომელიც ხატის დარბაზის ბოლო კუთხეში შვიდი\_რვა წლის პატარა ბიჭს უჭირავს თოკით, მარჯვენა ხელი კისერზე მოუხვევია და ეჩურჩულება:

– შენ ნუ გეშინია, ჩემო ბეკო, მე ღმერთს შევეხვეწები და არ დაგკლავენ, აი ნახავ, აი ნახავ როგორ შევეხვეწები.

ხატის დასტურები სანთლების შეკრებას მორჩნენ, ხევისბერმა დარბაზის კუთხეში მიყუდებული დროშა გარეთ გამოიტანა, ტარით თოვლში ჩაარჭო, დასტურებს ერთად შეკრული სანთლები ჩამოართვა, აანთო და ლოცვას შეუდგა.

პატარა ბიჭი მის წინ იდგა და შესაწირი ბატკანი ეჭირა ორივე ხელით.

თოვდა.

ბარდნიდა

და

უცებ ხევისბერმა ლოცვა შესწყვიტა:

– ეს რა ხდება დიდებულო ღმერთო?! – აღმოხდა გაოგნებულ ხევისბერს – წითელი თოვლი მოდის?!

მიდამოს, ხალხს, წმინდა გიორგის ეკლესიას წითელი თოვლი ეფინებოდა.

– ღმერთო, ღვთის რისხვა არის ჩვენს თავს თუ რა არის?! – აკანკალებული ხევისბერი ნაწყვეტ\_ნაწყვეტ, ძლივს გასაგონად ამბობდა ამ სიტყვებს და თანდათან ფეხზედგომის ღონე ელეოდა. ჯერ ანთებული სანთლები გაუვარდა ხელიდან, მერე ხანჯალი და მუხლებმოკვეთილი მიესვენა იქ, სადაც შესაწირი ბატკანი იდგა.

ხევისბერმა ხრიალით დალია სული.

ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა.

– ბატკანი გავუშვა? – იკითხა პატარა ბიჭმა.

– რაა?

– ბატკანი წავიყვანო სახლში, თუ მოჭრით თავს?

– წაიყვანე! წაიყვანე! – ღმერთს უკვე შეეწირა დღეს ხევისბერი.

ბიჭი და ბატკანი კუნტრუშით ჩარბოდნენ წითელ თოვლზე.

– სისხლი, ბევრი სისხლი დაიღვრება კაცთა შორის ამ ცოდვიან დედამიწაზე –  
თქვა ბებერმა აბიკამ.

ხევისბერი სოფელში წაიყვანეს და ისე მოულოცეს იმ წელიწადს ხალხს ახალი წელი.

წითელ ფიფქებს ბარდნიდა ზეცა და სისხლი იყო ჩამდგარი ადამიანთა ნაფეხურებში.

მართალია წითელმა თოვლმა მალე გადაიღო, მაგრამ ხალხში დარჩა დიდი შიში, გარდაუვალი უბედურების შიში. ვიღაცამ თქვა: წითელი თოვლი, ომის მომასწავებელიაო. სხვამ კიდევ თქვა: ჩვენს ზემოთ რომ ვარსკვლავებია, ომი იქ მომხდარა და ის სისხლიანი თოვლიც იქედან თოვდა.

ხალხის გულში კი ნელ-ნელა თოვდა შიშის ფიფქები და ადამიანები რაღაც გაურკვეველის მოლოდინში იყვნენ მთელი გაზაფხულის მანძილზე. ყველა გრძნობდა, რომ რაღაცა უნდა დაწყებულიყო და არ იწყებოდა.

ერთ დილით კი, ჯერ ყვავმა ატეხა ავისმაუწყებელი ყრანტალი, მერე ძაღლმა გააბა მგელივით ყმული და ხალხს რატომღაც მოეჩვენა, რომ ახალწელს გარდაცვლილი ხევისბერი ზარებსა რეკავდა ეკლესიის სამრეკლოსთან.

– დაიწყო! – თქვა ბებერმა აბიკამ.

– რა დაიწყო, პაპავ?! – ჩოხის კალთა ჩამოუწია შვილიშვილმა.

– დიდი შუღლი კაცთა შორის! – ამოიოხრა აბიკამ, ქვაზე ჩამოჯდა და დაკოჟრილი ხელებით ჩიბუხი გამართა...

...ახლა აღარ მიკვირს, როცა გუდამაყრის გზაზე მივდივარ და თითქმის სულ შავადჩაცმული ხალხი მხვდება წინ. ოჯახი არ დარჩა რომ ორი-სამი ახალგაზრდა არ შეეწირა იმ სისხლიან მეორე მსოფლიო ომს და გუდამაყრელები კიდევ ჭირის მოზიარე ხალხია. იმ ომის მერე უჭირთ შავი სამოსელის გახდა ტანიდან. იმ სისხლიანი წითელი ახალწლის მერე აღარ ამოდის სევდა იმათი გულიდან და თვალებიდან.

არაგვიც სულ ერთთავად შავი მოდის და უფრო მწუხარეს ხდის მიდამოს. დროთასვლამ ბევრი რამ შეცვალა და განსაკუთრებით კი ნასახლარები მოამრავლა გუდამაყარში. ეს უფრო მეტად იმათი ნასახლარებია, ვინც უკან ვეღარ დაბრუნდა იმ ცოდვიანი ომიდან. ზოგს კი, ვინც სახლში დაბრუნდა, სულ რაღაც ერთ კვირას აკმარეს ცოლ-შვილთან ყოფნა, მერე "პავესტკა" მოუვიდათ და ციმბირში გაასახლეს იმ მიზეზით, რომ ომის დროს ტყვედ ჩაცვივდნენ და რაკი თავი არ მოიკლეს და მტერს დანებდნენ, ახლა ასეთი სასჯელი დაიმსახურეს.

ზამთარში, თოვლიან ტყეში მშვიერი ყვავებისაგან გაკენკილ ძახველის ხეს დაემსგავსა გუდამაყარი. ორასთერთმეტი გუდამაყრელი ვაჟკაცი აღარ დაბრუნდა ბრძოლის ველიდან.

ისინი, ვინც ბრძოლის ველზე ტყვიას გადაურჩნენ, არაფერს არ ჰყვებოდნენ ბრძოლის შესახებ.

იხოცებოდნენ ჩუმად. რაღაც უთქმელ სევდას დაატარებდნენ თან და თქმას ვერ ბედავდნენ.

ასე თანდათან გადავიდნენ დიდ სამარადისო სოფელში გუდამაყრელი მეომრები და საუკუნის მიწურულს სულ რამოდენიმე მოხუციდა დარჩა ჩემ სოფელში, რომლებიც წამოწვებოდნენ ხოლმე მზის გულზე და რაღაც გაუგონარ ამბებს ჰყვებოდნენ გადატანილი ომის შესახებ. ზღაპარს უფრო ჰგავდა მათი ნაამბობი, მაგრამ იმდენად დიდია ხოლმე სურვილი, მოუსმინო ომის მონაწილის ნაამბობს, არა მარტო ბალები ვიკრიბებოდით მათ გარშემო, შავებშიჩაცმული ქალებიც შორი-ახლოს იჯდნენ და ვინ იცის მერამდენედ ისმენდნენ ამ "უძლეველი მეომრების" ახალ-ახალ საგმირო ამბებს.

პირველი უძლეველი მეომარი  
ლადუა

– და-და-და-და-და-და-დააა! ა, ბეჩავ ჯიელობავ, რა მაგარი ვიყავ?! – გულდაწყვეტით წამოიძახა ლადუამ და თავმოძვრნედ გადახედა საფიხვნოში მჯდომარე თანასოფლელებს, რომლებიც მზის გულზე ითბობდნენ ბებერ ძვლებს.

– მაგარი კი იყავ, მაგრამ... – იწყინა ლადუამ და მხართეძოზე წამოიწია, წარბები კუმტად შეყარა ერთმანეთთან და მწარიას მიაჩერდა.

– მთელი ქვეყანა ჩინ\_ მედლებით აივსო ომში და შენ მკერდზე "ჟესტის" ნაგლეჯიც კი არ მინახავს.

– აი ამ წარწერას ხედავ? – უბის ჯიბიდან "პრიმის" გაცრეცილი კოლოფი ამოიღო ლადუამ, კვირიას მიაწოდა და ამაყად უთხრა:

– აბა წამიკითხე, რა სწერია!

– დარაგომუ ლადო, ოტ იოსეფა ბესარიონიჩა სტალინა! – ვააა! ვააა! – აღმოხდა კვირიას – იმის ნაწერია?!

– აბა, მაშ ეგლა მაკლია სხვისი წარწერა ვატარო გულის ჯიბით – თქვა ლადუამ და კვირიას "პრიმის" კოლოფი ფრთხილად გამოართვა.

აქამდე ჩუმად მჯდარი თანასოფლელები ლადუას და "პრიმის" კოლოფს მიაჩერდნენ.

– მერე ერთი მედალი ვეღარ მოგცა თუ ეგრე კარგად გიცნობდა?! – გაიკვირვა კვირიამ.

– მე არ ვინდომე, თორემ თუნდა ნახევარ მოსკოვს მომცემდა.

– სად ნახე?

– სადა და კრემლში. მანამდეც კარგად ვიცნობდი და ომი რომ დაიწყო ჰიტლერმა, მაშინ უფრო მაგრა დავძმაკაცდი. ჯერ კი არ უნდოდა ჩემი შეწუხება, ფიქრობდა: მე თვითონ მაგარი ბიჭი ვარ, თავად მოვერევი ჰიტლერსო, მაგრამ ხო იცით ჩხუბი მორევაზე და რო შეატყო ჰიტლერი მერევა და სადაცაა კრემლში შემომივარდებო, ჩემსკენ დაყარა ღონე. ომში რო გამომიძახეს, ჩემთვის ჩამეცინა: "აკი არ გჭირდებოდით?" ჩავიცვი, ცოლ-შვილს დავემშვიდობე და გადავე კანტორაში. სწორედ იმ წელს მიიღო ჩვენმა კოლმეურნეობამ გარდამავალი წითელი დროშა. ჯერ კი არ მატანდა თავჯდომარე, მაგრამ რო გაიგო სხვისთვის მინდოდა, უარი ვეღარ მითხრა, ტარი იმასვე დავუტოვე, დროშა დავკეცე და უბეში ჩავიდე, ღიპიანით მუცელგამობერილი მივადექი კრემლში სტალინს.

– როგორ გასუქებულხარ, ლადო, ღიპი დაგდებია, მე კი შენი იმედი მქონდა, აფსუს! როგორ უნდა სდიო ეხლა მაგ ღიპით ჰიტლერს?

– მაგას ღიპი კი არა, გარდამავალი დროშით აქვს მუცელი გამობერილი – ჩაიქირქილა კუთხეში მდგარმა ბერიამ.

– მართლა ლადო? მერე და რად გინდა ომში გარდამავალი დროშა?!

– რა ვიცი, რაში დამჭირდეს.

– ხომ იცი შენი იმედი მაქვს.

– ისეთ დღეში ჩაგიგდო ჰიტლერი როო! – დავაიმედე სტალინი და გამოვემშვიდობე.

– აბა შენ იცი, ლადო, მომამახა კართან – შენებურად მარტოვან არ დაიწყო ომი, მაინც გაიყოლე რუსები, თორემ მერე გული დასწყდებათ, ქართველებმა მოიგეს ომი, ჩვენ არ გვაცალესო.

– სოსო, ჩემთან ეგენი სად იომებენ, ტყუილუბრალოდ უნდა დაიხოცონ.

– მაგის დარდი ნუ გექნება, თვლით კი არ ჩაუბარებია ნიკოლოზს მაგათი თავი. მთავარია გულნატკენები არ დავტოვოთ რო გავიმარჯვებთ. ტყუილად ხო არ ვაყვირებთ გამარჯვების ზეიმზე ურას.

– კარგი, კარგი, წამომყვენ და დანარჩენი მე ვიცი და ჩემმა კაცობამ.

– აბა მიდი!

გამოვედი კრემლიდან და უნდა გენახათ რას მივდიოდი. გარბიან გერმანელები ჩემ დანახვაზე და მივდევი მე. ჰიტლერისათვის იმდღესვე უცნობებიათ: კრემლიდან ერთი ღიპიანი კაცი გამოგვივარდა, ტყვია იმას არ ეკარება და ტანკი, სადაცაა რაიხსტაგში შემოგვივარდებო.

– რუსები?

– რა რუსები?

– სტალინმა რომ გამოგაყოლა.

– აბა ისინი მე რას დამეწოდნენ, ზოგი სად დამრჩა და ზოგი სად. მარტო ურას მახილი მესმოდა უკნიდიან და ვგრძნობდი რა სიხარულით მომეყვებოდა რუსის ჯარი. ეს გერმანელები ხო გარბიან, ტოვებენ დაპყრობილ ქვეყნებსა და ქალაქებს. ერთი ისეთი ქალაქი გავიარე, კინალამ სულმა წამძლია და იქ დავრჩი.

– რატომ? – ჰკითხა მწარიამ.

– იმიტომ რომ სუყველას თავის საათი ჰქონდა იქ მაცხოვრებლებს.

– ეჰეჰე, რა მდიდარი ხალხი ყოფილა?!

– მდიდარი კი არა, ვისაც რა დრო აწყობდა, იმ დროს აჩვენებდა იმის საათი, – აუხსნა ლადუამ მწარიას.

შეცვივდნენ ბერლინში გერმანელები და ამოვიღე უბიდან გარდამავალი დროშა, ავვარდი რაიხსტაგის სახურავზე და რახა\_ რუხი ავუყენე სახურავის შიფერებს ჩექმებით.

– შიფრით იყო გადახურული? – ისევ მწარიამ იკითხა.

– შიფრით მაშ, ისეთი მაგარი შიფერი იყო, ერთი არ გამტყდარა. ავაფრიალე დროშა და ვხედავ ვიღაც მიყურებს დურბინდით. კარგად დავაკვირდი და ბერია არ არის?! გამოუშვა იმ წუთას მეორე დროშით ქანთარია და რუსი. ე მეგრელების ამბავი ხო იცი, გინდა თუ არა, მეგრელმა აიტანა დროშაო, თანაც არც რუსებს აწყენინა. კარგი – მეთქი, ჩამოვედი იქედან და დავიჭირე გერმანელი ტყვეები. ერთზე ზედ გადავჯექი, როგორც ცხენზე და დანარჩენები წინ გამოვიყარე. ვიარე, ვიარე და ისევ გამოვიარე ის ქვეყანა, ყველას თავის საათი და თავის დრო რომ ჰქონდა. კინალამ ისევ დავრჩი იქ, მაგრამ ხო ვიცი სტალინი როგორ მელოდებოდა, რა გამაჩერებს, ერთი სული მაქვს სტალინს მივურეკო ტყვეები.

მივადექ კრემლს და მახსენეს სტალინს: ვიღაც ქართველმა გერმანელი ტყვეები მორეკა და შენთან შემოსვლას ითხოვსო.

– ჩქარა, ჩქარა, შემოუშვით, ლადუა იქნებაო, – გახარებია სტალინს. არცკი ჩამოვმხტარვარ გერმანელიდან, ჭენებ-ჭენებით შევრეკე სტალინთან ტყვეები.

გამოქანდა სტალინი, დახედა იმ კაცს, რომელზეც ვიჯექი და გაეზადრა სახე:

– შენ გენაცვალე, ლადოო, ეს ვინ მომიყვანე!

დავხედე და რასა ვხედავ, თურმე ჰიტლერზე არა ვმჯდარვარ?!

გადამეხვია სტალინი და მეუბნება:

– რა ვქნა, რა გაჩუქო იმის სანაცვლოდ, ჰიტლერი რომ მომიყვანე!

– არაფერი არ მინდა, ნუ შეწუხდები, ისედაც გაგვიღარიბა ომმა ქვეყანა.

– არა ლადო, ეგრე როგორ შეიძლება?

– რაკი არ იშლი, თუ ავტოგრაფს მომცემ იმაზე უკეთესი საჩუქარი რა იქნება.

– ეხლავე ლადო! – მითხრა სტალინმა და ქალაქს დაუწყო მაგიდის უჯრაში ბეზნა.

მივხვდი ქალაქში კი აღარა ჰქონდა, ისე გააღარბა ომმა. ამოვიღე ჯიბიდან "პრიმის" კოლოფი და მივეცი, ამაზე წამიწერე-მეთქი. წამიწერა: ლადუას სტალინისგანო.

ჩამოვედ ჰიტლერიდან, დავემშვიდობე სტალინს და წამოვედი გამარჯვებული საქართველოში.

– აკი ჰიტლერმა თავი გერმანიაში მოიკლაო? – ეჭვით ჰქითხა მწარიამ.

ლადუა დაფიქრდა და დანანებით თქვა:

– ეტყობა გაექცა. ანდა ბერიამ გააპარა. რაკი იმის ჩამოყვანილი არ იყო. ხო გითხარით, ისიც კი შეშურდა, რაიხსტაგის თავზე გარდამავალი დროშა მე რომ ავაფრიალე-მეთქი. ნამდვილად ის გააპარებდა და აკი იმასაც ამბობენ ლალატით მოკლეს სტალინიო.

ლადუა ცოტა ხანს ერთ ადგილას მიაჩერდა ფიქრიანი მზერით და მერე სევდიანად თქვა:

– ეეხ, საქართველოს სიყვარულმა გამომწია მაშინ აქეთ, თორემ, კრემლში რომ დავრჩენილიყავი, ვერც სტალინს მოკლავდნენ და ჰიტლერსაც კიდევ დიდხანს ვაჯირითებდი თოხარიკით.

ეს ისე დამაჯერებლად თქვა, ეჭვი არავის შეჰპარვია მის ნაამბობში და დანარჩენებსაც თავისი საგმირო საქმეების მოყოლის ჟინი აეშალათ.

მეორე უძლეველი მეომარი

ვაჟი გოგი

მოწყენილი ზის იმათ შორის ბიძაჩემი ვაჟი გოგი. სევდიანი გაჰყურებს გუდამაყრის ლამაზ მთებს.

– რა დარდიანად ზიხარ ვაჟი გოგი?

– თქვენ კარგად იცით სად ვმსახურობდი ომის დროს და როგორ დამლუპა ჩემმა მოუთმენლობამ.

– რა შენი ბრალია, კაცო, შენ ადგილას ყველა ამოყოფდა თავს, მე და ჩემმა ღმერთმა, ვერავინ ვერ გაუძლებდა.

– უნდა გამეძლო, ფიცი მქონდა მიცემული რომ წყლიდან თავს არ ამოვყოფდი. მა რა წყალქვეშა ნავის კაპიტანი ვიყავი რომ სიტყვა ვერ შევინახე და როცა გუდამაყარში ნარიანის ტბის ქვეშ შემოვცურე და იქ გუდამაყრელი მწყემსების ლაპარაკი გავიგონე, იმ წუთას თავი ამოვყავი გახარებულმა. იმათაც არც აიღეს, არც აცხელეს, გააგებინეს სტალინს: სადაც საჭიროა და არა სუყველგან თავსა ჰყოფსო.

– როგორ თუ უადგილო ადგილას ჰყოფს თავსო! – გაბრაზებულა მთელი კრემლი.

– ერთი ამოყოფა მაპატიეთ, მეტს აღარ ამოვყოფ – მეთქი.

არ მაპატიეს. აი ხო ხედავთ რა ამბებიც ხდება მიწის ზემოთ, რა ვქენ, რა მივქარე, ნეტავი წყლიდან არ ამომიყო თავი, ეხლაც ხო ოკეანის სიღრმეში ვიქნებოდი და ნაირ\_ნაირ თევზებთან ვისრიალებდი ჩემ ნებაზე.

\_ წამო, შე არსახეირებო, შეშა მაინც დასჭერი მანამ მზე ჩავა! \_ წამოადგა თავზე ძალუაჩემი. ბიძაჩემი მორჩილად წამოადგა და ჩაილაპარაკა: არსახეირებო ვარ, აბა რა, ამ ცოდვიან მიწაზე რომ ამოვყავი თავი; აბა ხეირი თუ მინდოდა, ვყოფილიყავი წყლის ქვეშ თევზებთან.

მესამე უძლეველი მეომარი  
ისტორიის მასწავლებელი

ის სახლი, სადაც ეს ჩვენი უძლეველი მეომრები იყვნენ მზის გულზე წამოწოლილნი, ჩვენი სოფლის ისტორიის მასწავლებელს ეკუთვნოდა და სახლის წინა მხარეს ხეხილის ბაღიც ჰქონდა გაშენებული. გაზაფხულიდან შემოდგომამდე მოსვენებას არ ვაძლევდით ბაღებს: ხან დაუმწიფებელ ბაღს ვპარავდით, ხან მკვახე ტყემალს და უფრო კი იმის მსხალტკბილს ვიყავით შეჩვეულნი. ისიც თუ ხეზე ასულებს მოგვასწრებდა, გამოიტანდა სახლიდან ცულს და ცხვრის საპარს მაკრატელს. ხეზე თვითონ ვერ ამოდიოდა და ცულით გვყარაულობდა, რომ თუ ჩამოფრენას დავაპირებდით ძირში გადაეჭრა ხე, რომ ერთი\_ორი მაინც დავეჭირეთ "ცოცხლად", რომ მერე იმ ცხვრის საპარსი მაკრატლით "საოხრეები" დაეჭრა ჩვენთვის ძირში. ჩვენ მართალია გასუსულები ვისხედით ხის კენწეროზე, მაგრამ ხანდახან მაინც ჩამოვძახებდით:

\_ პატივცემულო, ტუალეტში გასვლა შეიძლება?  
\_ დიდზე გინდა თუ პატარაზე?  
\_ პატარაზე მასწ!  
\_ კარგი, კარგი, ოღონდ შორს გადააფსით თორემ ამოვალ და ამ მაკრატლით სულ ძირში დაგაჭრით მაგ საოხრეებს.

თუ ძალიან შევწუხდებოდით და გავუბედავდით, დიდ ტუალეტში გვინდა გასვლაო. აი მაშინ გენახათ იმის გაცოფება: დიდი მამაშენს წაუღე! პაპაშენს წაუღე და პაპაშენის პაპას წაუღე. ბოლოს და ბოლოს ჰიტლერი ვერ მიბედავდა ეგეთ ამბებს და შენნაირმა ცინგლიანმა ჩემ საკუთარ ხეზე ეგ ამბავი უნდა გამიბედოს?!

ამასობაში ჩვენს სამებნელად გამოსული მშობლები სოფელს მოსდევდნენ და გვეძახდნენ, მაგრამ მასწავლებლის შიშით ხმას არ ვიღებდით. ისიც არა "გვყიდოდა" მშობლებთან და ვითომ არც კი ვისხედით იმის ხეზე, ისე აბოლებდა პაპიროსს. სამწუხაროდ ვიღაცამ მართლა დიდი ტუალეტი მოინდომა და გადაირია მასწავლებელი, წამოავლო ცულს ხელი და ძირში გადაეჭრა ხე. ჩვენ მწიფე

მსხლელებით პანტა-პუნტით ჩამოვეყარეთ მიწაზე. ის წიხლებს გვირტყამდა და გვტუქსავდა: პატარას არ დასჯერდით, არა!

ეხლა ზის მზის გულზე და მეომრებს ატყუებს: პლენში ვიყავი, მთაზე ხეებს მაჭრევივბდნენ გერმანელები და მერე დაბლა უნდა ჩამოგვეცურებინა ის მოჭრილი მორები. მე ისეთი ფეხის დარტყმა მქონდა, ხეს ძირში ოდნავ ჩავუჭრიდი იმ მხარეს, რა მიმართულელებითაც უნდა დაგვეთრია მორი, მეორე მხრიდან დავარტყამდი ფეხს და ჰაერში მიფრინავდა ხე, თანაც ისე ზუსტად, მოზომილად ვარტყავდი ფეხს, რომ სხვაგან არსად დაცემულიყო და სადაც ნაბრძანები გვექონდა ხეების მიტანა, ზუსტად იქ ეცემოდა. ერთხელ ზედამხედველმა რაღაცაზე მაწყენინა და თანაც შემაგინა: შვანო! აა, შვან\_ მეტქი? \_ ია, ია, შვანო! ველარ მოვითმინე და ისე ძალიან დავარტყი ხეს წიხლი გაფრინდა და რა გაფრინდა, როგორც რაკეტა, ისე მიშხუოდა ჰაერში, სიჩქარისაგან ტოტები სტყდებოდა და მერე გავიგე, პირდაპირ რაიხსტაგის ფანჯარაში შეფრენილა, ბეწვზე გადარჩენილა ჰიტლერი, ოდნავ ასცდენია იმის ფანჯარას. ეს რომ სტალინს გაუგია, იმ წუთას ბერია უფრენია გერმანიაში: როგორც გინდა, ისე გამოიყვანე ის კაცი პლენიდან და საბჭოთა კავშირის ორდენი ჩამოჰკიდეთ.

\_ ეს შენი მსხლის ხე რაზელა მოჭერი? \_ ჰკითხა მწარიამ.

\_ რაზე და, ამ ბოლო დროს რაღაც ძალიან ფინთად გვექცევინ რუსები. წუხელ ისე გავბრაზდი მაგათზე, გამოვიტანე ცული, მოსკოვისაკენ ჩავუჭდივე ხეს, შემოვუარე უკნიდან და ფეხი რომ უნდა მეკრა და გამეფრინა კრემლისაკენ, იქ ვიფიქრე: მაიცა კაცო, რას შვრები, მაინც მეზობლები არიან, ერთად ვუტირეთ ჰიტლერს დედა, ეხლა ამ ხეს რომ ფეხი ვკრა და გაფრინდეს რაკეტასავით, ვაი თუ იმ ფანჯარაში შეფრინდეს, სადაც ის სულგანათლებული ჩვენი დიდი ბელადი იჯდა და მსოფლიოს აზანზარებდა მეტქი. თანაც, კაცო, უკვე ხანში ვარ, ვაი თუ, კრემლში კი არ შეფრინდეს, საგარეო საქმეთა სამინისტროში შეიტანოს შხუილი და იქაც ხო ჩვენი კაცი ზის, მტერსაც გავალაღებ და მოყვარესაც. გავანებე ჩემ განზრახვას თავი, ეს ძირჩაჭდეული მსხლის ხეც შემეცოდა, მაინც გახმება მეტქი და ბოლომდე მოვჭერ.

მეოთხე უძლეველი მეომარი

ჯარჯი

\_ პაპაჩემსაც ჯარჯი ერქვა, მამაჩემსაც და მეც ჯარჯი დამარქვეს, რაკი ამის წინაპრები ილბლიანი მონადირეები იყვნენ, ამასაც იმათი ილბალი გამოჰყვებოდა და ბარემ ამასაც ჯარჯი ერქვასო.

ისეთი მონადირე გამოვდექ, ცაში ფრინველს არ გავაჰაჰანებდი და დედამიწაზე ჰიანჭველას.

ეს რუსეთის ტრამალები ხო სავსეა ნადირით, რას ინატრებ რომ იქ არ იყვეს. დავდივარ და ვხოცავ. მიუვიდა სტალინს ჩემი ამბავი, ვიღაც ქართველმა სუ გაწყვიტა



რუსეთის ნადირი, რა ვქნათ არ ვიცითო. დამიზარა სტალინმა და თან ელიმება, თან მკაცრად მეუბნება:

– ეტო ტი ჯარჯი?

– დიახ თქვენი ჭირიმე\_ მეთქი.

– მე აქ გერმანელების დასახოცად გამოგიძახე და შენ კი თურმე საბჭოთა ნადირს ანადგურებ. კაკ ტებე სიჩას, რასტრელიატ, ილი?

ბერიამ რაღაც უჩურჩულა ყურში. სტალინს გაეღიმა და მითხრა:

– ნე ბუდიმ ტებე რასტრელიატ, ტი ბუდიშ კრემლიოვსკი ახოტნიკ.

იმ წუთას კრემლში სანადირო თოფებით სავსე ოთახი გამომიყვეს და ყოველდღე ხან საით მივდიოდი სანადიროდ და ხან საით. უამრავი სტუმარი ჩამოსდიოდა სტალინს კრემლში და ნაირ-ნაირ ნანადირევს არ ვაკლებდი.

ერთხელაც, სადღაც აქ, კავკასიონის მთებთან ვნადირობ და რას ვხედავ: არწივს დაუჭერია ვირი და მიაქვს ჰაერში. დავუმიზნე და მე შენ გეტყვი ვერ მოვარტყამდი, წივილითა და ტრიალ-ბზრიალით დაემვა არწივი მიწაზე. იმხელა იყო, რო დაეცა, მიწას ნისლივით მტვერი ავარდა. მტვერი რომ გაიფანტა, ავიხედე და რას ვხედავ: ვირი ჩვეულებრივად მიფრინავს ჰაერში ჭიუხებისაკენ.

– არა მჯერა ეგ ამბავი! – გაბრაზდა მწარია.

– რატო არა გჯერა?

– როდის იყო ვირები დაფრინავდნენ? მე არ მინახავს და არც გამიგონია!

– ის ხომ გაგიგონია, რომ დავით აღმაშენებლის საქართველოს ხანდახან ტეტები და გონებანალრძობები რომ მართავდნენ.

– ეგ კი.

– ხო და, შე კაი დედამამისშვილო, თუკი ტეტია და გონებანალრძობი ჩაუდგეს სათავეში დავით აღმაშენებლის საქართველოს და როგორც მოეპრიანება ისე მართოს, ის რადღა გაგიკვირდა, რომ დროდადრო არწივების მაგიერაც ვირებმა იფრინონ, ჰა?!  
ჩამოვარდა სიჩუმე და რამოდენიმე ხნის მერე ეს სიჩუმე აბიკამ დაარღვია.

მეხუთე უძლეველი მეომარი

აბიკა

– ვირების ფრენისა რა გითხრათ, მაგრამ ომის დროს რო მე ჰაერში დავფრინავდი, მაგას წყალი არ გაუვა.

– როგორ, თვითმფრინავში კი არა, პირდაპირ დავფრინავდი.

– პირდაპირ როგორ, კაცო?

– საიდუმლო ნაწილში ვიყავი და იქ ისეთ პროპელერებს გვამაგრებდნენ მხრებზე და ფეხებზე, არც ფრთები გინდოდა და არც ბორბლები. ჩავრთავდი პროპელერებს და რამოდენიმე ასეული, მერცხლებივით ავფრინდებოდი ჰაერში, ხმა ჩვენ არა

გვეონდა და ისე წამოვეპარებოდით ხოლმე ჰიტლერის თვითმფრინავებს, ელეთ-მელეთი ემართებოდათ. როგორც ჩანს უცხოპლანეტელები ვეგონეთ, რაკი თვითმფრინავში არ ვისხედით და ჩვენ დანახვაზე "შვინის" თქმას ვერ ასწრებდნენ, ისე, მწიფე მსხლებივით პანტა-პუნტით ცვიოდნენ მიწაზე. ჩვენ კიდევ შარვლის უბეები პატარ\_ პატარა ბომბებით გვექონდა გამოტენილი და ზემოდან რომ ვაყრიდით გერმანელებს, ზოგი ისეთ ბრძოლის ემშში შედიოდა, ხანდახან მამაკაცურ კაკლებსაც გამოიგლეჯავდნენ ხოლმე შემთხვევით, ზოგი ერთს, ზოგი ორივეს. მტერს რო ეომები, ისე ხარ აღზნებული, რაც ხელში მოგხვდება, იმას ისვრი და გამწარებული კაცი რას არ გამოიგლეჯ. ამის გამო სტალინმა ღირსების ორდენები დაგვიწესა, ვინც ორივე კაკალს გამოიგლეჯდა ორი ორდენით აჯილდოებდნენ, ვინც მარტო ერთს, იმას ერთი ორდენით და თუ მოხდებოდა ისეთი შემთხვევა, რომ მამაკაცურ რაკეტასაც გამოიგლეჯდნენ, იმას პირდაპირ საბჭოთა კავშირის გმირობას აძლევდნენ. ეხლაც გასაიდუმლოებულია ეს ამბავი, ხო გითხარით, გერმანელებს ეს პროპელერებიანი კაცები უცხოპლანეტელები ეგონა და დღესაც არ არის შეიარაღებიდან ეს ტაქტიკა მოხსნილი, რო გამიგონ აქა ვარ, გამაქრობენ იმ წუთას.

მწარიამ ეჭვით შეხედა აბიკას და ჰკითხა:

\_ შენ რამდენი ორდენი გაქვს მაგ საქმეში მიღებული? თუ გმირის ვარსკვლავიც გკიდია, ჰა?!

\_ ეგ არავის საქმე არ არის, ვის რა ჰკიდია, და მე სხვებივით არ ვიკვებნი ჩემს ორდენებსა და ვარსკვლავებს, \_ შეუტია აბიკამ მწარიას და ეჭვით შემოგვხედა, ემანდ გამყიდველი ხომ არავინა ზის, ჩემი ამბავი არსად წაიღოს და ამ სიბერეში არ წამაბრძანონო, მაგრამ მალედევე დამშვიდდა, რაკი ხუთი-ექვსი უძლეველი მეომრის მეტი იქ არავინ იყო და ბალები და იქეთა კუთხეში წინდის საქსოვად მიმსხდარი ქალები სათვალავშიც არ ჩაუთვლია.

მეექვსე და ბოლო უძლეველი მეომარი  
კოტია

\_ მე-მე-მე-მეც მა-მა-მათქმევიანეთ ჩე-ჩე ჩემი გ-გ-გ-მირობის ა-ა-ა-ამბავი, \_ მერამდენედ დაიწყო კოტიამ თავის ამბის მოყოლა, მაგრამ ისე უკიდებდა ენას, ვერავინ ვერაფერი ვერ გაიგო.

\_ მაიცა, კაცო, რას ვაწვალებთ ამ კაცსა, ჰა? \_ თქვა აბიკამ, \_ წადი ბალო, გამაიტანე კორტიან ბოთლში რო წინწანაქარი არაყია.

აბიკაის შვილიშვილმა მალე მოარბენინა ბოთლი და სამი ჭიქა რომ დალია, ისე აჭიკჭიკდა კოტიაი, სიტყვაც აღარ ეშლებოდა:

\_ ხოდა, გამამიძახეს ომშია, \_ დაიწყო კოტიამ, \_ ვერაფერს ვერ ვაგებინებ ამ ჩემი ენა\_ პირის გადამკიდე უფროსსა. არა და ქართველია და ერთხელ ერთად დავლიეთ.

სიმთვრალეში ხო სიმღერასაც გამართულად ვმღერი და რო მომისმინა, წამომაცენა ფეხზე და მიბრძანა:

– კოტე, მე შენი დედა ვატირე, შენი, ამის მერე რამეს რო მომახსენებ, სიმღერით მომახსენე, თორე ხომ ხედავ სხვანაირად ვერ ვგებულობ რას მეუბნები, გასაგებია?

– გასაგებია ამხანაგო კაპიტანო! – ვუპატაკე მე.

ერთხელაც იყო და ჩვენს კაზარმას ცეცხლი წაეკიდა. ატყდა "ტრევიზო" და გავიქეცი კაპიტანთან. რომ მივედი, კაპიტანს ასეული ჰყავდა გენერლების წინ ჩამწკრივებული და მოვახსენე სიმღერით:

– ამხანაგო კაპიტანოოო,  
ამხანაგოოო კაპიტანოოოო,  
ამხანაგოოოოკა-კა-კა-კაპიტანოოო...

– თქვი, თქვი! – მიყვირა კაპიტანმა.

– კაზარმას ცეცხლი უკიდია,  
კააზარმაას ცეცხლი უკიდიია,  
კააზარმაას ცეცხლი უკიდიია,  
კაზარმას ცეცხლიიი უკიდიააა!

– რაო?! – ფერი ეცვალა კაპიტანს და გენერლებს შეხედა.

– შტო? შტო? ზაჩემ პაიოტ? – იკითხა გენერალმა. კაპიტანმა აუხსნა რაც მოვახსენე.

– შტო?! ი ონ ზა ეტო პაიოტ?! – გაგიჟდნენ გენერლები:

– ზასტრელიაიტე ევო!

– ჩქარა გაიქეც, – წამჩურჩულა კაპიტანმა და გამოვიქეცი, თორემ დღეს რაღა მინდოდა ცო-ცო-ცო-ცხ-ცხ-ცხ-ცხ-აა-ლ-ლ-ლ-სა, – ისევ აურია და ენის მოკიდება დაიწყო კოტიამ.

– ე, ე, კიდევ მოუკიდა, ჩამოუსხით კიდევ ერთი ჭიქა.

კოტიას ჭიქა მიაწოდეს და მან რო გადაჰკრა სიმღერით წარმოთქვა სათქმელი:

– ამით, ვინც სიცოცხლე იქ გაწირა,

ვინც სახლში ვედარ ჩამოვიდა,

სუყველას სული გაანათლოს,

სუყველა ღვთის ნათელში იყვეს.

დიდმა ღმერთმა თვითონ შეუღოს სულეთის კარი!

ვინც კიდევ კერას დაუბრუნდა,

სალ-სალამათი ჩამოვიდა,

გუთანს და სახნისს მოეკიდა,

ოჯახი ფეხზე დააყენა,

დიდი სტალინის გამარჯვებით,

სუყველას გამარჯვება იყვეს,

ბევრჯელამც გაგვამარჯვებინოს!

ამინ! ამინ! ამინ!

დასტურს ეუბნებოდნენ კოტიას ფეხზეწამოდგარი უძლეველი მეომრები და ომშიდაღლუპულთა შესანდობარს ცლიდნენ მორიგეობით.

წინდის მქსოველი ქალებიც ფეხზე წამოდგარიყვნენ, მუხლებში კანკალებდნენ და ჩიქილის ტოტებით ჩამომჰკნარ ლოყებზე ჩამოგორებულ ცრემლებს იმშრალებდნენ.

მარტო ბალები შევყურებდით ამ უძლეველი მეომრების "ზღაპარს", რომელიც რატომღაც ფეხზეწამოდგომითა და ცრემლებით დაამთავრეს მოხუცებმა.

მერე კი იმათ გულამოსკვნილ ტირილს, ძალაუნებურად ჩვენც ავეყვით და მართალია გულიანად ვტიროდით, მაინც არ ვიცოდით რისთვის და რატომ ვტიროდით.

– იტირეთ შვილებო, იტირეთ, თქვენი ცრემლი გაანათებს იმათ საიქიო სამყოფელს, იტირეთ აგრემც ბებო შემოგვევლებათ!

და ჩვენც ვტიროდით.

პაპებიც ტიროდნენ,

პაპები –

ჩვენი უძლეველი მეომრები!

### პ ა ტ ა რ ა ბ უ ბ უ ნ ა უ რ ე ბ ი

ბუბუნაურების წინაპარი მოსისხლეებს გამოექცა ხევსურეთიდან და ბურსაჭირში დასახლდა ნოყართ ქედზე. ამ ქედზე ოდესღაც ალბათ დიდი სოფელი იყო. უზარმაზარი ლოდებით ნაშენები კედლები მოწმობდნენ ამას, დროთასვლაში ჩაქცეული და ჩანაყვრებული კედლები.

გადმოვიდა ხევსურეთიდან ბუბუნაურის წინაპარი და ამ ჩანაყვრებულ გორზე დასახლდა. აქედან ხელისგულივით მოჩანდა შავი არაგვის ხეობა. ახლომახლო გუდამაყრის არც ერთი სოფელი არ ჩანდა. შავი არაგვი იყო ჯულურა ბუბუნაურის ოჯახის მეზობელი. მისი ხმა იყო მათთვის ამ ცადაზიდული მთებით შემოღობილ პირველყოფილ მდუმარებეში ერთადერთი ხმის გამცემი. ათასში ერთხელ ყორნები თუ ჩამაიყრანტალებდნენ და მერე ისინიც ჩაიწყვეტდნენ ხმას.

ნაყორთ ბედზე გამხვივდნენ და გამრავლდნენ ბუბუნაურები. კაცებმა თან-თან ქვემოთ იწყეს არაგვის ხეობაზე ჩასვლა და იქ გუდამაყრულ სოფლებში მოკეთეები გაიჩინეს.

ვაჟკაცები იყვნენ ბუბუნაურთა წინაპრები და ზოგი ომში დაილუპა მეფის დამახილზე, ზოგი წინაპართა სისხლის ძახილმა ხევსურეთში გადაიტყუა და იქ ან მოსისხლეს შეაკვდა, ან კიდევ ზამთრობით სანადიროდ წასულს ჭიუხებში გზა დაეხნა და ჩაყინულ ქარაფებში გადაჩეხილმა ბოლომდე აღარ ჩაიყოლა სული.

თანდათან ასე უიღბლოდ დაილივნენ, ყუაზე მიდგა იმათი გვარი. ბოლოს დარჩა მხოლოდ მარტიაი, სხვები ყველა უშიროდ შეაშრა მიწას და არც ერთი მათგანი ლოგინზე არ მომკვდარა, თვითონ ჯულურა ბუბუნაურიც კი, რომელმაც პირველმა დაანთო კერაზე ცეცხლი ამ ჩანაყვრებულ ნამოსახლარში.

მარტიაი ენას უკიდებს და ხანდახან ვერცკი გაიგებ, რას ლაპარაკობს.

ის არც თოვლიან ჭიუხებში დადის ჯიხვებზე სანადიროდ, არც წინაპრების სისხლი აწუხებს. ცხოვრობს მშვიდად, ცოლ-შვილში გამხვივნებული ბუბუნაურთ გვარის გამრავლებაზე მეცადინეობს ზამთრის გრძელ ღამეებში, როცა გარეთ ქარი წივის.

ცოლი უყვარს მარტია ბუბუნაურს. ცოლი უყვარს, ბალღები და თაფლი. ხანდახან ისიც კი ჰგონია, რომ თაფლი ცოლ-შვილზე მეტად უყვარს და თავის თავზე ბრაზობს მაშინ.

ცოლი ათნოხიდან ამოიყვანა აქ. ხატობაში გაიცნო და ისე მოეწონა, მეორე კვირაზედვე მიადგა ქალის მშობლებს, აკმაკსა და სალომეს.

სხედან კერასთან: აკმაკი, ილიკაი და სალომე. აკმაკის ქალიშვილი მეზობლებშია გასული. ნერვიულობს მარტიაი, აღარ იცის, როგორ თქვას სათქმელი და უფრო ებმება ენა.

– კი-კი-კი-აკ-აკ-მამ-მაკი.

– რაო, მარტიაე!

– კი-კი-იცი – კაი-რა-კი მი-მი-მინდა – კი-მე-მენა.

აკმაკი ვერაფერს გებულობს და ნერვიულობით უფრო ენა ებმება მარტიას. მაშინ მეზობელ სოფელში გადადის და ლემანი გადმოჰყავს მარჯვეკლად. ლემანი იმიტომ მოჰყავს, რომ ისიც ენას უკიდებს და ერთმანეთს კარგად აგებინებენ სიტყვას. ახლა ორივენი ლაპარაკობენ, ერთმანეთს აღარ აცდიან სათქმელს და აკმაკი უფრო იბნევა. კი მიხვდა უკვე, რაც უნდათ, რასაც სთხოვენ, მაგრამ არ უნდა, ერთადერთი ქალიშვილი ბუბუნაურების უკანასკნელ შთამომავალს გააყოლოს. ხალხში ხმა არის გასული, ბუბუნაურნი იმიტო იღუპებიან, რო ჩანაყვრებულ ადგილზე გააკეთეს სახლიო. ეშინია აკმაკსაც და იმიზეზებს, ვერ გავიგე შენ და ლევანს რა გინდათო, – მარტიას ეუბნება. მერე მარტიას ძარღვებში ბუბუნაურთ მშფოთვარე სისხლი გაიღვიძებს და მოიტაცებს თავის გულისწორს.

სამ წელიწადში სამი ბუბუნაური შეემატება გვარს. ერთი გოგო და ორი ბიჭი.

მარტიას უყვარს ცოლ-შვილი და თაფლი. ისე უყვარს, ერთხელ დილაადრიან ცხვრიდან მომავალი დათვს გადაეყრება. დათვი ქაქეენთიდან მოდის და წინა თათებით გულზემიხუტებული სკა მოაქვს.

ქაქეენტას ბასილაი ცხოვრობს. ბასილას ბევრი ფუტკარი ჰყავს. ფუტკრის მომრავლებას იღბალი უნდა. ბასილას აქვს ეს იღბალი და ჰყავს ფუტკარი. მარტია უიღბლოა, არ უმრავლდება ფუტკარი. ხშირად ესტუმრებიან ხოლმე ბასილას, მაგრამ ის ყოველთვის არ უმასპინძლდება თაფლით. წუწკი კაცია, ყოველ შემოდგომაზე

თითო ხარსა ჰკლავს ბასილაი. სამოვრებიდან რომ მოჰყავს, ნაიალადარ ხარს ბუბუნაურთ სახლის გვერდზე ჩამოავლევს და მარტიას გაიყოლიებს სანთლის ასანთებად. ქაქეენტ ღმერთი არ უხდენს სანთლების ანთებას. მარტიაი უფრო თაფლის ხალისით მიჰყვება ბასილას.

ქაქეენი აქედან სამ კილომეტრზე არიან. ჩაიყვანენ იქ ხარს მარტიაი და ბასილაი. აანთებს სანთელს მარტიაი, გაადიდებს მთისა და ბარის სალოცავებს. ლოცვის დროს არასოდეს არ უკიდებს ენას. მერე დაკლავენ ხარს, მარტო ეგ ორნი კი არა, ეგენი რას დაიმორჩილებენ მთასავით გალესილ, ნაიალადარ პირუტყვს, მეზობელი ქაქეენი მოეშველებიან. ჩაეჭიდებიან ფეხებში, გამოსწევენ უცბად და დაანარცხებენ შემოდგომის ფერწასულ მიწაზე ხარს. მერე თბილი ხორცი თრთის თავისსავე ტყავზე. ბასილაი და მარტიაი ახლა არაგვზე მიდიან სკებით ხელში. სკებს წყალში ჩააწყობენ, რომ შიგ მყოფი ფუტკარი წყალმა დახოცოს. მარტიას ეს დღე ყველაზე მეტად უყვარს წელიწადის სხვა დღეებთან შედარებით. ამ დღეს შეუძლია ცოტა მაინც მოიკლას თაფლის ლიდარი. იმას საშინლად არ უყვარს, როცა ხარს კლავენ. თავის უდროოდ დაღუპულ წინაპრებს აგონებს ყელში ხანჯალგაყრილი ხარის ბლავილი და გული უღონდება, როცა სისხლი ბუყბუყებს. სისხლის კი არ ეშინია, სხვა რაღაც ამოუცნობი რიდი აქვს მისი. ის გუმანით ხვდება, რომ სისხლში უნდა იყვეს საწყისი სიცოცხლისა და, როცა ეს სისხლი შხრიალით ეღვრება მიწას, გრძნობს, როგორ კვდება ყოველი სისხლის წვეთში ღმერთი. სკებს რომ არაგვში აწყობენ, მაშინ კლავენ ათას სიცოცხლეს, მაგრამ მაშინ თაფლისადმი სიყვარული ავიწყებს ამას, შეიძლება იმიტომაც ხდება ეს, რომ ფუტკრები ხარვით საზარლად არ ბლავიან და არც მათი სისხლი ბუყბუყებს ხარის სისხლივით.

და მაინც ყოველ წელიწადს მოუთმენლად მოელის ხოლმე მარტია ამ დღეს.

ხო, მოდის ერთ დილით ცხვირიდან და ქაქეენტ რომ გაუსწორდა, ხედავს, გორდაგორ ფუტკრის სკა მოაქვს დათვს. მარტიაი ისეა მონატრებული თაფლს, მეტი აღარ შეუძლია, არადა, რა ქნას, არც თოფი აქვს, ერთი პატარა ხანჯალი ჰკიდია წელზე, ეგ არის და ეგა. გზა მოუჭრა და პირდაპირ წინ დახვდა იმ დათვს. არც ერთი არ უშვებს, ზედაც გამწარებული ფუტკრები ახვევიან ორივეს. კარგა ბევრი იბრძოლეს და ბოლოს ისევ დათვი ჩაიგნასა, სკას წინა თათები გაუშვა, უკანა თათებზე დამდგარმა ერთი გულსაკლავად დაიღრიალა და ტყეს შეაფარა თავი.

მარტიამ იქვე შეჭამა ის ერთი სკა თაფლი. დათვი იქვე ახლოს იყო თხრილებში ჩამალული და დროდადრო თავს ამოყოფდა, წავიდა თუ არაო. მარტიაი რომ წამოვიდა, ჩამოვიდა და ნათაფლარ მიწას დაუწყო ლოკვა.

\*

შემოდგომა არის. წევს თავის სახლში ბასილაი და კვდება. სადღა აქვს ხარის დაკვლის თავი ან სკის გატეხვისა.

ჩამოვა ბურსაჭირიდან მარტიაი, მიუჯდება გვერდით ბასილას და ჰკითხავს:

– კი-კი \_ ბა-ბლასილავ, მე-ნა ვა-ვარ, მე-ნა?

– შენც ისა ხარ, \_ ვითომ იცნო ბასილამ.

– მი-მინ \_ კი. ისა ვა-ვარ?

– ისევ ისა ხარ.

– ხოო, მი-მი-ცნო, \_ ეუბნება მარტიანი ბასილას ოჯახობას. მერე ისევ ბასილას ჰკითხავს.

– კი-კი ბა-ბლასილავ, თხა-თხა-თხაფლს. კი არ შავსჭამდია?

– არა, \_ მიკნავლებული ხმით ამბობს ბასილა.

– კი-კი მოგარჩენს თხა-თხაფლი, გა-გა-გავტეხავ სკა-სკასა.

ბასილაი ხმას არ იღებს.

– ლხა-თაფლის მეტი არა მომოგარჩენს რა, ბლა-ბლასილავ, გა-გავტეხოა სკა.

– გატეხე, \_ თავიდან იშორებს ბასილაი.

მარტიანი ერთ სკას ამოიღლიავენს, გაიტანს არაგვზე, მერე იქიდან თაფლის შოთებს ამოიღებს, გადმოვა ბასილასთან და ძალად აჭმევს ახალ თაფლს. ბასილაი საამქვეყნოდ მოიხედავს, მომჯობინდება. მარტია იმ დარჩენილ თაფლის შოთებს ჩაუჯდება და ველარ გაიგებს გაძლომას.

იმ ღამეს, ბუბუნაურთ ჭერქვეშ ერთხელ კიდეც აინთება მკვდრის სანთელი.

მარტიას უცეცხლო თაფლი გულზე შეება და გააშრო კაცი. სამი ობოლი დაუტოვა ცოლს მარტიამ; უფროსი გოგო, თორმეტი წლის მზია და ორი იმაზე მოყოლება ბიჭი \_ ჯულურა და შულლა.

მზია ბურსაჭირიდან ხუთ კილომეტრზე დადიოდა სკოლაში. სკოლა ათნობთან ახლოს იყო, მაგრამ, რახან აკმაკი, მზიას პაპა და ბებია ცოცხლები აღარ იყვნენ, მზიას ბურსაჭირიდან უწევდა სკოლაში სიარული. ძალიან უყვარდა სწავლა. მარტო რუსულს ვერ შეეთვისა ვერაფრით.

ზამთარი იყო.

რუსულის მასწავლებელმა მზიას ორიანი დაუწერა და გაკვეთილების შემდეგაც დატოვა.

მასწავლებელი ახალმოსული იყო. მანამდე არ გაუშვა სახლში მზია, მანამ ზეპირად არ დაასწავლა ლექსი. უკვე ბინდისპირი ეპარებოდა ხეებს, სკოლიდან რომ გამოუშვა. რა ვიცი, რა უბედურებამ დააბრმავა სხვა მასწავლებლები, ან ის მაინც როგორ არავინ უთხრა მზიას, ამაღამ ჩვენთან დარჩიო.

მიდის ბურსაჭირისაკენ მზია და თან კურცხალ-კურცხალ ცრემლებს ჩამოჰყრის. ქაქენთამდე მიჰყვა სინათლე, მერე თანდათან ჩამოზნელდა და ისეთი ქარი ამოვარდა, თოვლის კორიანტელში აღარ ირჩეოდა აღარაფერი.

ჯულურაი და შულლაი ყოველთვის ვანისკარს ჩამოეგებებოდნენ\_ ხოლმე მზიას. დღესაც უცადეს, მაგრამ, რომ დაიგვიანა, იფიქრეს, ალბათ იქ ვისმესთან დარჩა ღამეო. იყო ხოლმე შემთხვევა, როცა მზიას ნათესავები გამოუჩნდებოდნენ და თავისთან მიჰყავდათ.

ახლაც ეგ გაიფიქრეს იმისმა ძმებმა და მხარზე თითო პატარა შეშა გაიდევს, ისე გამობრუნდნენ უკან. ეგენი სკოლაში არ დადიან. არ დადიან იმიტომ, რომ ოჯახი მაგათ აწევს, დედა უკვე მეორე წელია დაუავადმყოფდათ.

მზიამ ერთი კი იფიქრა, ქაქეენტას შევბრუნდებო, მაგრამ ისეთი ქარბუქი ტრიალებდა იმის გარშემო, ნაბიჯი ვეღარ გადადგა. სახეზე ჩანთას იფარებდა, რომ თვალეზი თოვლით არ ამოვსებოდა. თანდათან ბნელდებოდა და უკუნეთდებოდა.

მთელი ღამე არ ჩამდგარა ქარი. საშინელი სიბნელე ეხურა მიწას. ადგებოდა ლოგინიდან ილიკიას უბედური ქვრივი, გამოვიდოდა გარეთ და ქარს აყურადებდა, თითქოს ქარს რაღაც ტირილის ხმა მოჰქონდა. ქალს სიცხე ჰქონდა და ლოგინად იყო ჩავარდნილი. ჯულურაი და შულლია გულს უკეთებდნენ დედას, მზია ათნოხში წავიდოდა ნათესავებთანაო. დედას უკეთებდნენ გულს, თორემ თვითონ იმაზე მეტად ღონავდნენ.

რამდენჯერმე კიდევ მიაყურადა ქარისაგან მოტანილი შორეულ ხმას იმ უბედურმა ქვრივმა და აღარ დაუდგა სახლში გული, ბალები გაიყოლა და უკუნეთ ღამეში, სიცხიანმა ქარს მისცა თავი. არაგვამდე ვერ გაიგნეს გზა, ისეთი საშინელი ქარიშხალი ქროდა. მერე ქალმა იფიქრა, ე ბალებს დავლუპაო და უკან მობრუნდა. ალბათ ვერც მიაგნებდნენ თავის სახლს, შუქი რომ არ გამოდენილიყო იქედან.

იმ ღამეს უფრო დიდი სიცხე მისცა ქალს და მეორე დილამდე აბოდებდა: \_ გაიტანეთ და შიშველ კარჩხაზე ჩამოჰკიდეთ ჩემი სხეულიო.

რომ გათენდა, ცოტა დაუკლო სიცხემ. ჯულურაი დედასთან დარჩა, შულლია მზიას ამბის გასაგებად წავიდა.

რამდენიმე ხანში უკან მობრუნდა და თან ბასილაი ამოჰყვა. შულლას მზიას ჭრელი ხელთათმანი ეჭირა და გულამომჯდარი თხილისოდენა ცრემლებს აყრიდა ზედ. რო მოვიდა, დერეფანში დადგა, იქ გაეგება ჯულურაიც. ხელთათმანში ისევე იდო მზიას პატარა მარჯვენა ხელი, როგორც მგლებს დაეტოვებინათ, ერთადერთი უტყუარი ნიშანი იმისი არსებობისა, თორემ ალბათ ვერასოდეს ვერ დაიჯერებდნენ ძმები დის არყოფნას.

ეს ხელთათმანი თვითონ მოქსოვა მზიამ არდადაგებზე. გაზაფხულის ყვავილები ამოაქსოვა ზედ. ძმებსაც ასეთივე ჭრელი ხელთათმანები მოუქსოვა. ეუბნებოდა \_ ხელებზე ჩასაცემლად გაზაფხულს გიქსოვთ, რომ ზამთარმა ვერ შეგაციოთო.

შულლამ ვანისკართან იპოვა ეს ხელთათმანი და ეხლაც ვერ იჯერებდა, რომ შიგ ჩატოვებულ სისხლიან მტევანს არ ჰქონდა გაგრძელება \_ იმისი დის სახე, მხრები, ტანი... გულში იკრავდა და კურცხალ\_ კურცხალ ცრემლებს აყრიდა. მერე ერთმანეთს აღარ ანებებდნენ ძმები ამ პატარა ხელს. იმათი უბედური დედა კი ისევ ბოდავდა...



კვირის თავზე ბასილამ სკოლის გვერდზე კედელთან ატუზულ ძმებს მოჰკრა გზად მომავალმა თვალი. უფროსს თოფი ეჭირა, უმცროსს ხანჯალი და კედელს ეტმასნებოდნენ.

– რისთვის ჩამოსულხართ აქა?! – ძლივს შეჰბედა ბასილამ კითხვა. იმათ ხმა არ ამოუღეს.

– წავიდეთ, სახლში წავიდეთ, თორც ცოდვა არის დედათქვენიო.

– არა, ჯერ არ წამოვალთო.

მერე რო ჩააცივდა, მერელა ამოქვითინდნენ:

– მზიას სული არ გვასვენებსო.

როგორღაც დიდთოვლობისაგან ბარად ჩამოცვნილ უმწეო შვლებსა ჰგავდნენ, ოღონდ ეგენი წინაპართა სისხლს ჩამოეყარნა აქ.

იდგა ბასილაი და ზეზუურ შრებოდა იმათი შემხედვარე.

## ენძელა

გაზაფხულის მზის სხივმა თოვლიან "მზორეს" საკინძე ჩაუხსნა და შიგ ჩაუძვრა. გაღვიძებულმა მიწამ სიცოცხლე იგრძნო, ამოისუნთქა და ნეკნებს შორის აქა\_ იქ კისკისით ჩაატარა ყინვისაგან მიძინებული თოვლის ნაკადულები, მზის სხივებზე რომ გამოიღვიძეს და ჩაიკისკისეს.

მიწამ თანდათან გადაიღელა ჩამოხეული თოვლის საკინძე, გალხვა, ორთქლი ამოუშვა და მზის სხივებზე ახალი მოლი მოიქარგა. მერე ისე მძლავრად დაუწყო გულმა ბაგა\_ ბუგი, რომ მის მკერდში მიძინებულ ენძელას ხმაურზე გამოეღვიძა. ნამძინარეს ჯერ გაუკვირდა, რა სიბნელეაო, თვალეები მოიფშვნიტა და, სინათლე რომ ვერ იგრძნო, სწრაფად ამოყო ახალმოქარგულ მოლზე თავი. მზის დანახვაზე ჯერ დაიმორცხვა, მერე ხარბად რომ ჩაკოცნეს მზის სხივებმა, თანდათან გული მოეცა. ჯერ გაიღიმა, მერე კი ისე ყვითლად გადილადდა, რომ ვედარ დაფარა მზისადმი სიყვარული, თანდათან ტანი აიყარა, მხრები შეარხია და მეზობელ ბალახებს გადაუჩურჩულა: – მომილოცია, მეზობლები, გაზაფხულის მოსვლა!

– ბედნიერ ზაფხულს გისურვებთ – გადმოუჩურჩულეს ბალახებმა და გაინაზნენ, ისე გაეკრნენ მიწას, რომ ენძელამ გაკვირვებულმა მიმოიხედა.

– რა ყელი მოგიღერებია, თავს ნუ იწონებ, თორემ დიდხანს არ შეგარჩენენ მაგ სილამაზეს, ხომ ხედავ, ჩვენი მტრები ჩვენსკენ მოდიან. ეგენი თუ დაეჩვივნენ, მორჩა, მერე ვედარ დავესწრებით შემოდგომაზე ფერისცვალებას – ეჩურჩულებოდა მწვანე ბალახი ენძელას.

ენძელას გაუკვირდა, რა მტერი, რომელი მტერიო და იმ მხარეს მიაყურა, ბალახმა რომ ანიშნა. ცხვრები მიდიოდნენ მათკენ და აჭრელებულ თოვლში ბალახს წიწკნიდნენ.

ერთი კი გაიკვირვა ენძელამ, რა უნდათ ამ ცხვრებს, რას ერჩიან ამ საწყალ ბალახსო, მაგრამ გაკვირვება აღარ დასცალდა, პატარა ბატკანმა ისე დააბიჯა ყვითელ ფოთლებზე უღონო ჩლიქი, რომ საბრალო ენძელას ასე ეგონა, ერთიანად დამემტვრაო ყველა სახსარი. კვილი უნდოდა, მაგრამ ისე შეეშინდა, რომ საცოდავად გაისუსა, ხედავდა, როგორ გლეჯდნენ ცხვრები კბილებით მის მეზობლებს, ესმოდა მათი კვნესა; დაინახა, როგორი გამეტებით მოწყვიტეს თეთრმა კბილებმა ის მწვანე ბალახი, წედან ენძელას რომ უთხრა – ყელს ნუ იღერებ, თორემ დიდხანს არ შეგარჩენენ მაგ სილამაზესო. მერე მასაც გადაავლო პატარა კრავმა თეთრი კბილები და დაენანა საბრალო ენძელას, მზე რომ ვეღარ დაინახა, იფიქრა, სამუდამოდ ვცილდებიო მის სითბოს, მაგრამ ბატკანი მხოლოდ გაეთამაშა, არც კი მოსვლია მისი შექმა აზრად და ენძელამ ისევ გაუცინა მზეს. ცხვრებმა კი გადაიარეს და დაჭრილ ბალახებს ჩლიქებით გამხვრიშებული თოვლი მიაფშვნეს.

გადარჩენილმა ბალახებმა თავები წამოსწიეს და მოწყვეტილ და \_ ძმებს საბრალოდ გადახედეს. ენძელა იდგა და "ფერისცვალებაზე" ფიქრობდა. უკვირდა ცხვრების საქციელი. მერე თავის დედას, მიწას ჩაეკითხა, – რატო მოგვეპყრნენო ასე შეუბრალებლად!

– ბუნებამ ეგენი სხვის საჭმელად დაბადა, მე კი იმავე ბუნებისაგან ნაბრძანები მაქვს, თქვენ მაგათ საჭმელად დაგბადოთ და დაგზარდოთ, – ეუბნებოდა მშობელი მიწა ენძელას და უკვირდა ყვავილს – ნეტავ, რა ვალი მართებსო დედაჩვენს ბუნების. აბა სად ჰქონდა ენძელას იმდენი აზროვნების უნარი, რომ გაეგო, როგორ კვებავდა თავისივე მომავალს თავისი სხეულით. ყველაფერს დაწვრილებით ხომ არ მოუყვებოდა მშობელი მიწა, ესეო და ესეო – მე შენ გზრდი, შენ ცხვრები გჭამენ, ცხვრებს ადამიანები ჭამენ, ადამიანებს მე ვჭამ და ყოველ გაზაფხულზე იმითი ვზრდი შენს შთამომავალ ენძელასო. ასე რომ ეთქვა, მაინც ვერაფერს გაიგებდა ენძელა. უთხრეს, ბუნებამ ასე დააწესაო და ენძელა თავისით მიხვდა, ალბათ, მზის სიყვარულიც ბუნებამ დამიწესაო. ამ აღმოჩენით გახარებულმა, ბალახებს ბრძენი კაცის სიდარბაისლით გადაულაპარაკა – მორჩით კვნესას, ბუნებას არაფერი აწყენინოთო.

მთებიდან წამოქროლილმა ნიავმა მზეს ღრუბლის ნაგლეჯები ჩამოაფარა და ენძელას ეგონა, ბუნებას მე და ბალახებმა ვაწყენინეთო. უცებ ისევ გაინახნენ მისი მეზობლები და ენძელას ყური აღარ უთხოვებია მათი რატრატისთვის – დაწექი, დაწექიო.

ხედავდა, როგორ იწმენდდა ვიღაც კაცი ბალახებზე ტალახიან ფეხებს, ხედავდა და იმის შიშით, ბუნებას კიდევ არაფერი ვაწყენინოო, მაინც ყელს იღერებდა.

კაცმა ტალახიანი ფეხები დაიწმინდა და წავიდა.

დაჰყურებდა ენძელა თავის ტალახიან კაბას და თავისთვის, გულში ბრაზობდა ბუნებაზე – ყველაფერი ჰო, მაგრამ ეს რა ცუდი რალაც დაუწესებია, მოვა კაცი, ტალახიან ფეხებს ჩვენზე დაიწმენდს და ვითომც არაფერი, ისე წავაო. მერე ისე

შერცხვა თავისი ტალახიანი კაბის, რომ სირცხვილით მზეს თვალი ვედარ გაუსწორა, თავი ჩაღუნა და დედამიწას ცნობისმოყვარე თვალებით რაღაცა უთქმელს ჩაეკითხა.

მერე ბუნებას შეეცოდა საწყალი ენძელა, ქარი ააქროლა, მზეს ღრუბლები ჩამოაფარა, მოიღუმა და იმდენი იტირა, სანამ ტალახიანი კაბა არ გაურეცხა.

პირდაბანილი ენძელა იდგა და ფიქრობდა: – რა უცნაური წესები ჰქონია ბუნებასო!

მზე ჩასვლას აპირებდა. დედამიწა გახსნილ საკინძეს იბნევდა. ენძელა კი იდგა და ელოდა ბუნების უცნაურობებს იმ მოლოდინით, რა მოლოდინიც დაჰყვებოდათ ხოლმე ბუნებისგანვე შექმნილთ.

ელოდა ენძელა და თან თავისთვის ფიქრობდა:

– რა უცნაური იქნებოდა, რომ ყვავილებად მოვსულიყავით ყველა: ცხვრებიც, ადამიანებიც, მაშინ ხომ აღარავინ მოგვგლეჯდა, ტალახიან ფეხებს არც არავინ გაიწმენდა ჩვენზე. ვიქნებოდით გაშლილ მდელოზე მოსულნი, ნიავის ქროლაზე ვიბიბინებდით და ვიჩურჩულებდით.

მერე ჩამოწოლილი ღამის შეეშინდა და თვალები დახუჭა.

## ბებოს სალომე

ობოლია ბებოს გოგო. დედ-მამა აღარ ახსოვს. აღარ ახსოვს იმიტომ, რომ ჯერ ისევ აკვანში იწვა, როცა ისინი ამ ქვეყნიდან წავიდნენ და ბებოს ანაბარა დატოვეს.

ისე, სალომე ჰქვია. ბებოს გოგოს ბებო ეძახის, ათას ჭირ-ვარამში და სადარდელში ხანმოყრილი სიღო ბებო, ყველა ოცნება რომ ჩასჰკნობია სამზეოზე ერთის გარდა.

ის ერთი, ბებოს გოგოა, კალმით ნახატი ბებოს გოგო: შავთვალწარბა, წაბლისფერთმიანი, ტანში ლამაზად აწყობილი ცხრა-ათი წლის მეოცნებე სალომე, რომელსაც არ გამოუვლია დედის სითბო, არ ჩასძინებია მის კალთაში, არც მამის მუხლებზე მჯდარა და არც მისგან ტკბილი ხმით ნათქვამი "აჩუ-აჩუ ცხენო" მოუსმენია. თავისი პატარაობა თითქმის სულ ბებოს ზურგზე გაატარა. როცა ბებო კერის პირას იჯდა და მატყლს ჩეჩავდა, ანდა ფარტენას ართავდა, დედ-მამის სითბოს დანატრებული სალომე ზურგზე მოეკიდებოდა, პატარა მკლავებს ყელზე შემოხვევდა, ისე, რომ ზოგჯერ ბებო უჯავრდებოდა კიდევ, არ დამახრჩოო. თან თვითონვე სიამოვნებდა ეს, საქმეს თავს ანებებდა და იძახდა: აჩუკუდა, ბებოს გუდა, აჩუკუდა, ბებოს გუდა – თან წინდაუკან გადაქან-გადმოქანდებოდა.

– კიდევ, ბებო, კიდევ! – აღტაცებით გაიძახოდა პატარა სალომე.

როცა საქმეზე მიდიოდა სიღო ბებო, მაშინაც ზურგზე ეკიდა "თავის გუდა".

ძილითაც ერთად იძინებდნენ. ბებომ ხომ იმდენი ზღაპარი იცოდა, პირდაპირ ზღაპრის გუდას ჰგავდა და მოსაღამოვებოდა თუ არა, ხოდა ელოდა სალომე, როდის

ჩააწვენდა ლოგინში ბებო. გოგო მანამდე აჭყეტდა თვალებს, მანამ ბებოს "გული არ მოუკვდებოდა იმის ცოდვით" და თვითონაც გვერდით არ მიუწვებოდა.

– იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი... – ტკბილი ხმით დაიწყებდა ბებო.

გაიტრუნებოდა პატარა გოგო. ყურს უგდებდა უფლისწულისა და ობოლი გოგოს სიყვარულის ამბავს. ჯერ არ იცოდა რა იყო სიყვარული, მაგრამ ყოველთვის თავის თავს წარმოიდგენდა ხოლმე იმ ობოლი გოგოს ადგილზე.

– სალომე რატომ დამარქვით ბებო? – დანანებით კითხულობდა ზღაპრის ბოლოს.

– სალომე შენი დიდი ბებოს სახელია და იმიტომ...

– ოოოჰ!

– აბა, მაშ, შენ რა გინდოდა რომ დაგვერქვა.

– რა და ეთერი.

– უი, ბებოს გოგო, მაგას რას ამბობ, მერე ხომ მურმანი წაგიყვანდა, – შეიცხადებდა სიღო ბებო.

– არა, არაფერიც, მე აბესალომს არ ვუღალატებდი! – მკაცრი სახით ამბობდა სალომე.

– მუნს რომ შაგყრიდა?

– მაინც არ გავყვებოდი.

– აბესალომი რო დაუთმობდა შენ თავს?

– გავიქცეოდი.

– რო ეპოვე?

– თავს მოვიკლავდი და მურმანს მაინც არ გავყვებოდი! – ისე აღგზნებული იძახდა სალომე, სიღო ბებოს, კარგახანს უწევდა იმის დამშვიდება.

სოფელში ყველა "ბებოს გოგოს" ეძახდა სალომეს. ისიც ისე იყო ამ სახელს მიჩვეული, თავისი ნამდვილი სახელი აღარც კი ახსოვდა. როცა სკოლაში დაუძახეს და სწავლა დაიწყო, ხშირად მასწავლებლის გამომძახებაზე, სალომე გამოვიდეს დაფასთანო, ისევ მშვიდად იჯდა. მერე მასწავლებელმაც გადაივიწყა მისი სახელი და ისიც "ბებოს გოგოს" აყოლებდა გაკვეთილს, "ბებოს გოგოს" აგზავნიდა ზარის დასარეკად.

კარგი იყო სწავლა, მისთვის უცხო სამყაროს ეზიარებოდა წიგნით "ბებოს გოგო", მაგრამ სიღო ბებოს ზღაპრები მაინც სულ სხვა იყო. ჯერ კიდევ გული სწყდებოდა იმაზე, რომ სალომე ერქვა და არა ეთერი.

პირველად რომ მიიყვანეს სკოლაში, ერთ მის თანაკლასელ ბიჭს მურმანი ერქვა. ისე იყო სალომე ზღაპრის შთაბეჭდილებით შეპყრობილი, რომ არა თუ ხმას არ სცემდა იმ ბიჭს, მისი დანახვაც კი არ უნდოდა.

მურმანი თმააბურძგნული პატარა, სასაცილო ბიჭი იყო და რა თქმა უნდა, ვერ მიმხვდარიყო, თუ რატომ ექცეოდა მას ასე მკაცრად კობტა სალომე.

ბიჭებს ხომ ისეთი ზნე სჭირთ ამ ასაკში, ვინც უფრო მკაცრად ექცევა და შორს იჭერს მათგან თავს, მაინცადამაინც იმის სიყვარული ჩაეჭრებათ ხოლმე პატარა გულში. თმებაბურძენულ და ერთთავად მელნით მოთხუპნულ მურმანსაც ასევე დაემართა. სიყვარულის ცეცხლი მოედო და არცთუ ისე იშვიათად პასუხობდა სრულიად დაბნეული მასწავლებლის შეკითხვას:

– ორს რომ ორი მივუმატოთ, რამდენი იქნება მურმან?

– ორს რო ორი მივუმატოთ, იქნებააა...

– ჰო, რამდენი იქნება?

– სამი კი არა, ოოო...

– ორი.

– აბა, კარგად დაფიქრდი და ისე მიპასუხე.

– ეს ხომ არის ორი თითი, ესეც არის ორი თითი, ერთად რამდენი იქნება?

– ხუთი.

– აბა ვინ მეტყვის ბავშვებო, რამდენი იქნება? აბა "ბებოს გოგო", შენ უთხარი მურმანს სწორი პასუხი.

"ბებოს გოგო" ფეხზე დგება და ხმას არ იღებს.

– არც შენ იცი?!

– ვიცი.

– მერე, უთხარი.

– არაფერსაც არ ვეტყვი! – ბრაზობს ბებოს გოგო და ფანჯარაში იყურება.

მასწავლებელი, რაღა თქმა უნდა, ვერაფერს ვერ ხვდება, სხვა მოწაფეს წამოაყენებს ფეხზე და ახლა იმას აძლევს იგივე კითხვას.

სალომე სახელაწილი იყურება ფანჯარაში.

მურმანს სიყვარულის ცეცხლი უკიდია.

მასწავლებელი კმაყოფილია იმით, რომ სწორ პასუხს ეღირსა:

– ორს მივუმატოთ ორი, ოთხია.

– მაგრამ, ორჯერ ორი? – ისევ კითხულობს მასწავლებელი და ისევ დაბნეულობა, ისევ "ბებოს გოგოს" გამკაცრება და ისევ ცეცხლი, სიყვარულის მწველი ცეცხლი, თმაბურძენულ და მელნით მოთხუპნულ მურმანს რომ უკიდია.

ორჯერ ორი კი ბოლოს და ბოლოს ცხადი ხდება, რომ ოთხია, როგორც ის არის სალომესათვის ცხადი, რომ აბესალომივით, სადღაც არსებობს მისი საბედო, რომელიც ადრე თუ გვიან გამოჩნდება, რა თქმა უნდა, უფრო გვიან იქნება ეს, როცა სალომე გაიზრდება და სკოლას დაამთავრებს, მაშინ მოვა უცხო ჭაბუკი, სალომეს სილამაზით გაოცდება, მის წინ დიდხანს თავდახრილი იდგება და გაუბედავად წაიჩურჩულებს:

– მე შენ მიყვარხარ!

სალომეც დაუჯერებს, ეჭვიც არ შეეპარება ამ სიტყვების გულწრფელობაში, იმიტომ, რომ ზღაპრებში სწორედ ასე ხდება, ქალი ყოველთვის უჯერებს უცხო ვაჟს...

ეს მურმანი კი! \_ ბრაზი მოსდის მეღნით მოთხუპნულ თანაკლასელზე სალომეს და მისკენ გახედვაც არ უნდა.

უკან დარჩა პირველი კლასი.

მეორე.

მესამე.

წელს მეოთხე კლასი დაამთავრეს და საზაფხულო არდადაგებზე მიმოიფანტნენ სალომეს თანაკლასელები.

ნიშნის ფურცელში ხუთიანები ჰყავდა მძივებივით ჩაწიკწიკებული ბებოს გოგოს.

ენაცვალოს ბებო, ჩემ ჭკვიან გოგოს, ჩემ დახატულს, \_ თვალეგაბრწყინებული დაჰყურებდა ნიშნის ფურცელს სიღო ბებო.

\_ ბებო! \_ თქვა დაწოლისას სალომემ და ისე შეხედა, როგორც ეს პატარაობისას იცოდა, როცა რაიმეს თხოვნა უნდოდა.

\_ რა გინდა, ბებო გენაცვალოს!

\_ ზღაპარს ხომ მომიყვები, ბებო, რამდენი ხანია აღარ მოგიყოლია.

\_ უი, შენ შემოგველოს შენი ბებო, რაღა დროს შენი ზღაპარია, სადაცაა უნდა გაგათხოვო.

\_ კარგი ერთი! \_ დაიმორცხვა სალომემ.

\_ რა იყო, რას იმჯღლითები, დაგიწუნებს ვინმე თუ რა?

\_ კარგი რა ბებო, კარგი რა! რა დროს ჩემი გათხოვებაა, ჯერ რვა კლასიც არ დამიმთავრებია.

\_ მე ორი კლასიც არ დამიმთავრებია, მაგრამ ხომ გავთხოვდი, \_ იცინოდა სიღო ბებო და სალომეს გულში იკრავდა, \_ მე რო შენ შვილებს არ მოვესწრო, რანაირად უნდა ვცხონდე საიქიოში. ერთი შენი შვილი დამანახვა და მერე ისე მშვიდად დავიკრეფ გულზე ხელებს, სიკვდილსაც კი თვალეგს დაუყენებ ჩემი სიმშვიდით. შენ დაოჯახებული არ დაგტოვო აქ, რა პირით ვესტუმრო შენ დედ-მამას, \_ სიღო ბებომ ჩამოცრემლა.

სალომე მაგრად მიეკრა გულზე.

\_ შენ მართლა კი არ იფიქრო გათხოვებაზე, ბებო, ჯერ გაიზარდე, დაქალდი, დამშვენდი, სწავლასა და ცხოვრებას დაუგდე ყური, მერე შენი ბედიც თვითონ მოგაკითხავს.

\_ აი, გაგებუტე! \_ სიღო ბებოსკენ ზურგშექცევით დაწვა სალომე და თან საბანი წაიხურა სახეზე.

\_ რატო, ბებო?

\_ იმიტომ რომ ზღაპარს არ მიყვები.

\_ რო აღარაფერი მახსენდება.

\_ როგორ არ გახსენდება, ეთერის ზღაპარი ხომ იცი? \_ თავი წამოსწია სალომემ.

სიღო ბებომ ლამპა ჩააქრო და შვილიშვილს მიუწვა გვერდით.

ცოტა ხანს ჩუმად იყვნენ.

მერე ბებომ ზღაპრის მოყოლა დაიწყო:

– ეთერი ძროხებს ამოვებდა და ამ დროს გამოჩნდა უფლისწული...

სალომეს გულს ბაგა\_ ბუგი გაჰქონდა.

ოთახს ანათებდა მთვარე.

ოცნების ზღვაში იძირებოდა ღამე.

მერე გათენდა.

სალომემ ძროხები გარეკა საბალახოდ.

პატარა გუდით საგზალი ეკიდა ზურგზე. რამდენიმე ახლო მეზობლის ძროხაც თან მიჰყავდა. დღეს მისი მორიგეობის ჯერი იყო სამწყემსურში.

მშვენიერი, ნათელი დილა იყო.

ძროხები საბალახოზე მიმოიფანტნენ, სალომე კი ერთ მაღალ გორზე წამოსკუპდა და გუდიდან ზღაპრების წიგნი ამოაძვრინა.

დიდხანს დაჰყურებდა წიგნს.

ოცნებით ქალაქზე ფიქრობდა, თბილის-ქალაქზე, სადაც ასეთ წიგნებს ბეჭდავდნენ, სადაც, ალბათ, ყველა ლამაზია, სახლებიც სხვანაირი აქვთ, კრამიტით და თუნუქით დახურული. მის სოფელში კი მიწის სახურავები აქვთ სახლებს. სიღო ბებომ თქვა, ქალაქში ერთი სახლიც კი არ არის მიწით დახურული. ბებოს თავის ყმაწვილობაში უნახავს ქალაქი, მას მერე რაღა იქნება...

ამაოდ ცდილობდა სალომე ქალაქის წარმოდგენას. მას ისევე ვერ წარმოედგინა როგორი იყო ქალაქი, როგორც ვერც ერთი ქალაქში მყოფთაგანი ვერ წარმოიდგენდა, რომ მთის ერთ სოფელში ასეთი მეოცნებე გოგო ცხოვრობდა. წარმოდგენით როგორ არ წარმოიდგენდნენ, მაგრამ ზუსტად სალომესნაირს ვერა, მათ ხომ არც კი ეცალათ ამისთვის. ქალაქი იმ დროს თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა. მხოლოდ იმ დღეებში, არდადაგები რომ დაიწყო, მთაწმინდის უბნელმა ბიჭებმა, სწავლის დამთავრების აღსანიშნავად, სიგარეტის კვამლით ჰაერის ბურთები გაბერეს, შიგნით თავისი მისამართები და ფოტოსურათები ჩადეს, ფუნქციულორზე ავიდნენ და იქედან გაუშვეს ბურთები.

დაჰბერა ქარმა და ეს ბურთები იქა-აქა მიმოიტაცა ჰაერში, საქართველოს ოთხივე მხარეს.

სალამოთი დაავიწყდაც კიდევ მთაწმინდელ ბიჭებს ეს ამბავი.

ხოლო მეორე დილით, მთის წვერზე წამოსკუპებულ სალომეს, ის-ის იყო, ახალი ზღაპრის კითხვა უნდა დაეწყო, რომ უცებ თვალეები გაუშტერდა: ჰაერში ბურთი მოფრინავდა.

სალომე ფეხზე წამოიჭრა.

მას მხოლოდ ერთხელ ჰქონდა ნანახი ჰაერის ბურთი. ის ბურთი სკოლის დირექტორის ბიჭმა, მეხუთეკლასელ ლადოს, პაპამისის ნაქონ თოფში გაუცვალა.

ლადო ერთი კვირა გლოვობდა იმ ბურთის გახეთქვას. სკოლის დირექტორის ბიჭი კი ვაჟკაცურად მოიქცა და უკან დაუბრუნა ლადოს პაპისეული ხირიმის თოფი.

ჰაერის ბურთმა ხეობა გადმოიარა და სადაც სალომე იდგა, ისიც იმ მთაზე ჩამოსკუპდა.

სალომე ფეხაკრეფით მივიდა მასთან.

ფრთხილად შეახო ხელი.

ჩაიმუხლა.

ახლა უკვე ორივე ხელი მოხვია და უცებ მისი ყურადღება შიგნით ჩადებულმა სურათმა მიიპყრო. ჰაერის ბურთიდან ბიჭი უღიმოდა. რაღაცა წერილიც იდო შიგნით.

სალომე დიდხანს ფიქრობდა, გაეხსნა თუ არა ბურთის ყელზე შემოხვეული ძაფი, მერე ცნობისწადილმა წასძლია და გახსნა ძაფი.

შიგნით ჩაგუბებული ჰაერი და კვამლი სახეზე შეეფრქვია.

ჯერ სურათს უყურებდა დიდხანს, მერე წერილი ჩაიკითხა:

"მე გურამი მქვია.

ვცხოვრობ თბილისში, მთაწმინდაზე. ორბელიანის ქუჩის «« ნომერში.

დღეს შვიდი კლასი დავამთავრე და მერვეში გადავედი. სამი ოთხიანი გამომყვა, დანარჩენი ხუთები. ოთხები რუსულში, გერმანულში და ალგებრაში დამიწერეს. ვოცნებობ მფრინავი გავხდე. მაინტერესებს როგორია ზემოდან საქართველო.

ძალიან გთხოვთ, ვინც ამ ბურთს ნახავთ შემატყობინეთ".

სალომემ რამდენჯერმე ჩაიკითხა წერილი.

თითქმის დაიზეპირა კიდეც.

სადღა ახსოვდა ზღაპრების წიგნი, ახლა თვითონ იყო ზღაპარში მოქცეული. თვალეგაფართოებული მისჩერებოდა გურამის სურათს და ოცნებობდა.

პატარა იყო და თავისი სიპატარავით ვერც კი მიხვდა, რომ ხვთიურმა ანგელოზებმა მისი გულის კარი გამოუღეს იმ დღეს სიყვარულს.

შემდგომში ეს დღე იქნება სალომეს ცხოვრებაში ულამაზესი დღე და ვინ იცის, იქნება მისი დამღუპველიც.

სალამომდე იმდენი უყურა სურათს, რომ როცა დასაძინებლად დაწვა, თვალდახუჭულსაც გურამის სახე წარმოუდგა.

იმ დღის მერე გახდა ბებოს გოგო ნაღვლიანი.

დარდიანი.

თვალეები უფრო მეოცნებე გაუხდა.

დამით ბალიშის ქვეშ ჰქონდა ამოდებული სურათი და წერილი, დღისით კი საგანგებოდ გულთან დაკერებულ შიგნითა ჯიბეში ინახავდა.

რამდენჯერმე წერილის მიწერაც დააპირა გურამისათვის, მაგრამ ვერ გაბედა, ვერ დაიმორჩილა კალამი.

ოცნებით კი, იმდენს ოცნებობდა ბებოს გოგო, ქალაქში გათხოვილს ბებოც თან მიჰყავდა.



– ეჭვე, როგორ შეცვლილია! – უკვირდა ბებოს ქალაქის ნახვა, მაგრამ ეს სალომეც ოცნება იყო ჯერჯერობით.

დრო გადიოდა.

ბებო ბერდებოდა.

სალომე იზრდებოდა.

მშვენდებოდა.

დიდსა და პატარას თვალი რჩებოდა მასზე.

იმის თანაკლასელი მურმანი ხომ ჭკუაზე აღარ იყო სალომეს სიყვარულით.

სალომეს კი...

ისე უყვარდა...

ისე არ დაიძინებდა, თვალდახუჭულს გურამის სახე არ წარმოედგინა.

დრო კი გადიოდა.

სალომე რომ მერვე კლასში გადავიდა, ომი დაიწყო.

თუმცა ომს რა ხელი ჰქონდა სალომეს სიყვარულთან.

რვა კლასი რომ დაამთავრა, ისე დამშვენდა, სიღო ბებო ყოველ მის შეხედვაზე პირჯვარს იწერდა და ღმერთს აბარებდა სალომეს სილამაზეს.

ბებოს გოგო სიყვარულით იწვოდა.

ერთი მისი თანაკლასელი გოგო, ქალაქში წავიდა სასწავლებლად.

– ლამაზია? – ჰკითხა სალომემ.

– ძალიან.

– შენ სადაც სცხოვრობ, იქ მთაწმინდა ახლოს არის?

– მე სოლოლაკში ვცხოვრობ, მთაწმინდაც იქვეა.

– მართლა? – ისე გაეხარდა სალომეს, მეგობარს ყელზე შემოეხვია.

ერთხელაც, ვეღარ გაუძლო გულმა სალომეს, ბებოს ერთი კვირით დაეთხოვა და ქალაქის სანახავად გაჰყვა თანაკლასელ გოგოს.

თბილისს რომ უახლოვდებოდნენ, ისე აჩქარებით დაუწყო გულმა ცემა, ისე ახმაურდა, სალომემ ხელის გული მიიღო მკერდზე მის გასაჩერებლად.

თვითონ ქალაქი ზღაპრულ ქვეყნად მოეჩვენა.

მარტო უფლისწული არსად ჩანდა.

სალომე კი მას დაემებდა.

აი, ის ქუჩაც იპოვა.

აგერ ის სახლიც, <sup>1</sup> ««.

რამდენჯერმე აუარ-ჩაუარა.

იმ დღეს ვერ გაბედა.

ღამით ძილი არ გაეკარა.

მეორე დღეს როგორც იქნა შეალო ეზოს ჭიშკარი. იქვე პატარა გოგო – ბიჭები თამაშობდნენ. უცხო რომ დაინახეს, ცნობისმოყვარეობით შემოეხვივნენ.

– გურამი აქ ცხოვრობს? – ჰკითხა სალომემ.

– ქეთო დეიდა! ქეთო დეიდა! – ყვირილი ატეხეს ბავშვებმა.

აივანზე ქალი გამოვიდა.

– ქეთო დეიდა, აი ეს გოგო გურამს კითხულობს, – ერთდროულად მიაყარეს ბავშვებმა.

ქალი ახლოს მივიდა.

– რო ვერ გიცანი, შვილო, გურამის კლასელი ხომ არ ხარ?

– ხო. არა. – დაიბნა სალომე, – გურამის ნახვა მინდოდა.

– წამობრძანდი, შვილო, – სახლში შეუძღვა ქალი.

ცნობისმოყვარე ბავშვები უკან აედევნენ.

სასტუმრო ოთახში გულის გამწყალელებელი სიჩუმე მეფობდა.

სალომეს გულს ისევ ბაგა-ბუგი გაუდიოდა.

გურამის დედა გვერდით ოთახში შევიდა, სალომეს ეგონა, რომ გურამის დასაძახებლად გავიდა დედა იქ.

მოლოდინით დამფრთხალმა მოიხედა.

უცებ თვალები გაუშტერდა. კედელზე შავ ჩარჩოში ჩასმული გურამის სურათი ეკიდა.

სალომეს გული წაუვიდა და ხმაურით დაეცა იატაკზე.

გურამის დედა იმ წუთას შემოვარდა.

როცა სალომე გონზე მოვიდა, თავი გურამის დედის კალთაში ედო.

ქალი ტიროდა.

– მამა და შვილი ერთად წავიდნენ ომში ერთი წლის წინ. ორი თვეც არ იყო გასული მათი წასვლიდან, რომ გურამის დალუპვის დეპეშა მომივიდა, – ტირილით შესჩიოდა სალომეს ქალი და ისეთი თვალებით დაჰყურებდა, თითქოს მისგან ელოდა შველას. იქნებ ელოდა კიდეც, რომ სასწაული მოხდებოდა და მის სახლში ღვთისაგან მოვლენილი გოგო ეტყოდა: მე გურამისგან შვილს ველოდები. დედის გულისას რას გაიგებ, დედის გულს ყოველთვის აქვს იმედი შემონახული, მაგრამ სასწაულიც იშვი-ათად ხდება და ვერც გურამის დედა გაახარა სალომემ ასეთი სასწაულით.

წამოვიდა.

გამოსცილდა ქალაქს.

დაბრუნდა სოფელში ფერწასული.

გულმოკლული.

გონგართმეული.

სოფელში კი ბებო კვდებოდა და სამუდამოდ უპირებდა წუთისოფელი სალომეს დაობლებას.

მიწას ამოეფარა სიდო ბებო.

დარჩა ბებოს გოგო სამზეოზე:

მტირალი, ობოლი და სიყვარულ – გამარცხული.

უიღბლო.

უმწეო.

უნუგეშო.

მაგრამ ლამაზი \_ როგორც იის ფოთოლზე გამომკრთალი დილის ცვარი.

და აკი იასაც აჭკნობს წუთისოფელი.

აკი დილის ცვარსაც აშრობს მზე.

ასევე ჩამოაჭკნო და გამოაშრო სალომეს ლამაზი ტანი წელთა სიმრავლემ.

ღმერთს თავი გურამის ქვრივად გამოუცხადა და თითქოს იმით იყარა ბედისწერის უსამართლობაზე ჯავრი, რომ თავისი სილამაზე დარდს შეაჭმევინა, სიმარტოვეს გამოახვრევინა და ძაძებში ჩაკლა \_ თუმცა, იქნებ ბედისწერასაც ასევე ეწადა.

ძლივსღა დადის წელში მოხრილი, შემოდგომის ქარებით ხის კენწეროზე ეულად დარჩენილ მსხალსავით ჩამომჭკნარი, ერთ დროს რომ გაშლილ ვარდს ედრებოდა სილამაზით, სადაცაა წამოუბერავს საწუთროს ქარი, მაგრამ სოფლისთვისაც მაინც "ბებოს გოგოა".

შეყვარებულ გოგო\_ ბიჭებს ყოველთვის რაღაც უნათდებათ სულში მის დანახვაზე და იმედით ივსებიან, რომ მარადიული და ყოვლისშემძლეა სიყვარული.

## გუგულის დალა

კურთხეული ხარ მაღალო ღმერთო!

კურთხეულია შენგან შექმნილი ცა და ხმელეთი.

კურთხეულია შენგან შექმნილი დედა-შვილობის მაღლი და სიყვარული, რომელიც ანთე კაცში.

აი ახლა, სწორედ სიყვარულის სიმი მეწევა ჩემი წარსულისაკენ და თვალნათლივ ვხედავ მზითა და მთვარით განათებულ გუდამაყრის ხეობას. დავრბივარ აყვავებულ მთის ფერდობზე, დავდევი პეპლებს, ვეპარები მაღალი იფნის ხეზე შემომჯდარ გუგულს, რომელიც ეს\_ ეს არის მოფრენილა უცხო ქვეყნიდან და მთელი ხმით გასძახის არე\_ მარეს:

\_ გუგუ! გუგუ! გუგუ!

მე მინდა მივეპარო იმ ხეს და სანამ გუგული ქვეყანას გასძახის, სამჯერ შემოვურბინო ძახილით ხის გარშემო:

\_ გუგულო, დალა მოგპარე! გუგულო, დალა მოგპარე! გუგულო, დალა მოგპარე!

აი, თუ ამას მოვახერხებ, მაშინ ვიქნები ბიჭი. აივსება გუგულის დალით და დოვლათით ჩვენი ღარიბი სახლი. ერბოც ბევრი გვექნება, ყველიც, ხორბლით ხომ გაივსება ერთ დღეში ჩვენი უზარმაზარი საპურე გოდრები და რაც მთავარია, დედა-ჩემის თვალებში აელვარებულ ღვთიურ შუქს დავინახავ.

– შენ გენაცვალოს შენი დედა, შენა, როგორ მოახერხე გუგულისათვის ღალის მოპარვა, ჩემო ყოჩალო ბიჭო?! – გულში მიხუტებს დედაჩემი და თან დოვლათით ავსილ სახლ\_ კარს ათვალიერებს.

მეც მიხარია, მიხარია, რომ დედაჩემი გავახერხე, მაგრამ ოცნებიდან ისევ გუგულის ძახილს გამოვყავარ და ახლა იქით გავრბივარ, საიდანაც ისევ ამაყად გასძახის გუდამაყარს გუგული:

– გუგუ! გუგუ! გუგუ!

ჰა, ჰა, სადაცაა უნდა მივეპარო იმ ხეს, სულ სამჯერ შემორბენა მჭირდება ხის გარშემო, მაგრამ გუგული ის ჩიტი არ არის, ჩემნაირებს ეგრე ადვილად მოაპარვინოს ღალა, მივალ თუ არა ხესთან, აფრინდება და მთის მეორე მხარეს გადაფრინდება. შემოსკუპდება რომელიმე მაღალი ხის კენწეროზე და იქედან გამომაჯავრებს:

– გუგუ! გუგუ! გუგუ!

ერთხელ ეტყობა შევეცოდე და მიმიშვა იმ ხის ძირში, რომლის კენწეროზეც იყო წამოსკუპებული.

ამიჩქროლდა გული.

ამიკანკალდა მუხლები.

ჩამივარდა ენა

და ვერც ხეს შემოვურბინე, სამჯერ ვინ იტყვის, ერთხელაც ვერ ვთქვი: გუგულო ღალი მოგპარე\_ მეთქი და სხვა რო ვეღარაფერი შევძელი, ჩავიჩოქე ხის ძირში, წამსკდა ცრემლები, ვეღარაფერს ვეღარა ვხედავ ჩემს გარშემო, აღარაფერი აღარ მესმის, აღარც გუგულის ხმა და აღარც მწყემსების სალამურისა. თვალებში ცრემლი ნისლივით მაქვს ჩამდგარი და ეს მიშლის სამყაროს სანახაობას.

უცებ ნიბლია ჩიტის ჭიკ\_ ჭიკი ჩამესმა ყურში.

ერთხელ!

მეორედ!

ჩამელვარა გულში და იქ ვიღაცამ სიხარულით წაიჩურჩულა:

– მოფრენილა! ესეც მოფრენილა!

ამ სიხარულის შეგრძნებამ თვალებში ჩაწოლილი ნისლი გადამიწმინდა, დავინახე ის პატარა გულყვითელა ჩიტი, რომელიც იქვე ახლოს ნაირფერად ამოჭიატებულ მთის ყვავილებში, ისეთ დავლურს უვლიდა, ახლა ვფიქრობ, ღმერთს მადლობას უხდოდა შინ მშვიდობით დაბრუნებისათვის.

ამასობაში გუგული სხვა მთაზე გადაფრენილიყო და გამომძახოდა:

– გუგუ! გუგუ! გუგუ!

– გუგულო, რამდენი წლისა ვარ? – გავძახე გუგულს. გუგულმა ყველას წლოვანება იცოდა გუდამაყარში და ნაწყენმა იმით, რომ წელან ღალა ვერ მოვპარე, შურისძიება მოვინდომე: აბა თუ მართლა ყველაფრისმცოდნე, ყველაზე დიდი სიმდიდრის მქონე და მაგარი ბიჭია, მიპასუხოს რამდენი წლისა ვარ.

– გუგუ! გუგუ! გუგუ! გუგუ! გუგუ! გუ! – ბოლოში ხმა ჩაუწყდა.

– ეეე!!! მართლა ხუთისა ვარ და კიდევ თვეების. შემოდგომაზე სკოლაში წაყვანას მიპირებენ.

ღმერთო, როგორ არ მინდა სკოლაში წასვლა. მერე სხვებივით ჩანთას მომკიდებენ და ვინღა მარბენინებს ამ მთებზე. სადღა მექნება გუგულის დევნის დრო. არა და იქნებ, კიდევ როდისმე მივეპარო ხის კენწეროზე მჯდომარეს. ეს მთის ყვავილებში მოფრთხილავ ჩიტები ხომ ნამდვილი ხვთის მარგალიტები არიან. ამას იმ დროს ვერ ვხვდებოდი, მაგრამ ჩემი პატარა გული გრძნობდა იდუმალად. ყურს ვუგდებდი იმათ ჟღურტულს და სოფლიდან დედაჩემის ძახილი მესმოდა.

– გოდერძი! გოდერძი შვილოო! მოდი ნუ დამღალე ყვირილით, ჭამე პური და მერე, ასემც გიქნია, ცხრა მთა გადაგივლია.

რა პური, რის პური, მთის ფერდობზე საჭმელს რა გამოლევს: ჩადუნა, კენკეშა, კიტრანა, მჟაუნა, ტიტა, ჭერთხალა, დიყი, დუცი, შუპყა, ხოზო, ალაგ\_ ალაგ მიწის თხილი და თუნდაც ახლადგამომშლილი წიფლის ფოთოლი, რომელსაც ზედ თაფლივით თხელი სიტკბო აქვს გადასმული და თუ გშია, ჭამე.

დალიე მერე კლდის შვერილებში მორაკრაკე ცივი წყარო, გაიგრილე გული და გაედევნე გუგულს.

სდიე, თორემ მალე სკოლაში წაგიყვანენ.

და

აკი წამიყვანეს კიდევაც.

მთებსშორის ერთი ჩაჭედილი მინდორია. მინდორი ერთ მხარეს, შავ არაგვს ჩაუთხრია, დანარჩენ ნაწილზე დგას რამოდენიმე შენობა, ზემოთ ანრიმზე ფუძის ანგელოსის ეკლესია, კოლმეურნეობის კანტორა, კლუბ\_ სამკითხველო, ორსართულიანი სკოლა, რომლის ეზოს გადაღმაც გაურკვეველი მიმართულებით ხელგაშვერილი ლენინის ძეგლი დგას. ადრე ეს ძეგლი სტალინისა ყოფილა, მერე სტალინი რომ გადააგდეს, ძეგლი მკერდთან გადაუხერხიათ და ზედ ლენინი დაუდგამთ. შემდეგში ხშირად გადავდიოდით ძეგლთან და რაკი სავარჯიშო ტურნიკი არ გვქონდა ზედ ვეკიდებოდით რიგ\_ რიგობით. ერთხელ რამდენიმე ბიჭი ერთად ჩამოვეკიდეთ ლენინს იმ გაშვერილ ხელზე, გადახერხილმა და გადაბმულმა ადგილმა სიმძიმეს ვეღარ გაუძლო, სტალინზე დამყნისი ლენინის ზედა ნაწილი გადმოვარდა და თოვლში ჩაგვმარხა "მოტურნიკე" ფიზკულტურელები. გამოგვივარდა სკოლის დირექტორი, გვირტყა და გვირტყა თოვლში ჩაჭედილებს წიხლები:

– მამათქვენს ხო არა გგონიათ ხელზე რო ეკიდებით, წადით და მამათქვენს ჩამოეკიდეთ თუ "ტურნიკაობა" გინდათ.

– ბიძაჩვენი ხო არის პატივცემულო, როგორც ბიძას ისე დავეკიდეთ, – თავი მოისაწყლა უფრო ჩემს ქვემოთ თოვლში ჩაფლულმა თანაკლასელმა.

– ეხლავე ადექით, თორემ მე გაჩვენებთ, როგორ უნდა ბიძაზე დაკიდება! – უფრო გამწარდა დირექტორი.

ვცდილობთ, მაგრამ ვერ ვდგებით, ძალიან მძიმედ გვაწევს ზემოდან ლენინის ბიუსტი.

– ადექით!

– ვერ ვდგებით მასწ!

– ადექით მე თქვენ გელაპარაკებით!

– ისე არ აუდგათ მაგათ გვერდები, სანამ მაგათზე წამოწოლილ ლენინს არ ავაყენებთ, ეგენი ვერ ადგნენ, – მოიფიქრა ფიზკულტურის მასწავლებელმა და ხუთმა კაცმა ძლივს ააყენა ლენინი.

ეს ამბავი მოგვიანებით მოხდა, მაშინ უკვე მეოთხე კლასში ვიყავი და ჩემი დამლუპველი სიყვარულიც გადავიწყებული მქონდა.

სიყვარულის ცეცხლი კი პირველ კლასში წამეკიდა, გულიდან მომედო და ისეთ დღეში ჩამაგდო, ისე გამომაცალა ღონე, აქამდე თუ მთიდან – მთაზე შეუსვენებლივ დავდევი გუგულს, ახლა ბებიაჩემს რომ ეთხოვა: არიქა, შვილო, საბუდარში ქათამმა კვერცხი დადო, მოიტანე, კატამ არ შეგვიჭამოსო, ძლივს მივლასლასებდი ქათმის საბუდრამდე.

შემილოცეს.

ნახშირი გადამაყლაპეს.

შავტარიანი დანა დამიდეს ბალიშის ქვეშ.

არაფერმა არ გაჭრა.

– რა დაგემართა ბალო?! – მეკითხებოდა დედაჩემი და ისე ჰქონდა თვალეში ცრემლის ნისლი მოწოლილი, როგორც მე დამემართა მაშინ, გუგულს რომ ვერ წავართვი ღალა. შემეშინდა, ვაი, დედაჩემმაც ვერაფერი ვერ დაინახოს – მეთქი და შევძახე:

– დედა, მე ვარ, მე ვარ! (ვითომ იმ გულყვითელა ჩიტის როლი შევასრულე, მე რომ ჩამჭიკჭიკა და ხელახლა დამანახა ქვეყანა).

– შენ კი ხარ შვილო, მაგრამ ეგრე რატომ ხარ?

– იმიტომ, რომ არ უნდა მიგეყვანეთ სკოლაში.

– ყველა დადის სკოლაში და აბა, ეგრე ვინ გამხდარა. რომ არ მიგეყვანე, არ შეიძლებოდა, წესია, კანონია ეგეთი.

– რომ გამოვიქეცი რატომღა მიმიყვანეთ უკან.

– აბა, უსწავლელი ხო არ დაგარჩენ შვილო – ამოიოხრა დედაჩემმა და დადუმდა.

მე მართლა რამდენჯერმე გამოვიქეცი სკოლიდან. პირველად პირველი გაკვეთილის მერე.

გუგულების და გულყვითელა ჩიტების მადევარს გამიჭირდა თითქმის მთელი საათით მერხზე ჯდომა. თანაც ხელები უკან დაგვაწყობინეს. თან ლაპარაკი არ შეიძლება, ფანჯარაში გახედვა არ შეიძლება.

უცებ წამოვხტი, ჩანთა არც გამხსენებია, გავვარდი გარეთ, გადავხტი ეზოს ყორეზე და სირბილით ავუყევი ჩემ საყვარელ მთას. იმდენი ვირბინე, სანამ მთის წვერზე არ დავიგულე თავი.

ვყვიროდი, და ველარ ვჩერდებოდი. ხმა რომ ჩამეხლიჩა მერეღა მივხვდი, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე თურმე გუგულივით ვყვიროდი:

– გუგუ! გუგუ! გუგუ! – ნეტავ რას ნიშნავს ეს ძახილი.  
თავისუფლებას?

! ! ! ! !

მერე კიდევ რამდენჯერმე დამაბრუნეს სკოლაში და რამდენჯერმე ისევ შევძელი გაქცევა.

და

ერთხელაც,

როცა კლასიდან გასაქცევად გამოვვარდი ელდანაკრავივით შევდექი ერთ ადგილზე – ჩვენი სკოლის ეზოში, მოლზე, არაამქვეყნიური არსება მოდიოდა. მოვიდა, ჩემს წინ გაჩერდა და მკითხა:

– კიდევ გარბიხარ?

მე ხმა ვერ ამოვიღე.

– აღარასოდეს აღარ გაიქცე, კარგი? – შუბლზე მაკოცა, სკოლის კიბეები აიარა და იმ კლასში შევიდა, სადაც მერვე კლასი იყო.

მე გაშეშებული ვიდექი.

ვერ მივხვდი, რა მემართებოდა. მხოლოდ ერთ რამეს ვგრძნობდი, რომ გულში რაღაც ნაპერწკალმა გამკრა, ნელ–ნელა აენთო, გულ–ღვიძლში დამიარა. რაღაც დიდი სიხარული შემოიჭრა ჩემს არსებაში და ამ სიხარულმა გამოოგნა. იმდენად გამოოგნა, რომ მთისწვერიდან გუგულს თვითონ რომ დაემახნა, ამოდი, ხეს სამჯერ შემოურბინე და იყვირე:

– გუგულო, ღალა მოგპარე!

– გუგულო, ღალა მოგპარე!

– გუგულო, ღალა მოგპარე!

ნუ გეშინია, მე არ გავფრინდები ხის კენწეროდანო.

ვერა, უკვე ველარ შევძლებდი ამას.

სკოლაში ყველაზე ადრე მე მივდიოდი, რომ სკოლის ეზოში შემოსული იმ საოცარი მერვეკლასელი გოგოსთვის შემეხედა. ისიც ჩამივლიდა, გაიღიმებდა და მეტყოდა:

– აი, ხომ ხედავ, რა კარგი ბიჭი გახდი, აღარ გარბიხარ სკოლიდან და მოსვლითაც ყველაზე ადრე მოდიხარ.

მე ეს გულს მიხარებდა, მაგრამ რაღაცა მადნობდა, ღონეს მაცლიდა.

დედაჩემი მასწავლებელს ეხვეწებოდა:

– თქვენი ჭირიმეთ, თანდათან დამელია ეს ბაღი, თუ შეიძლება ბევრ წიგნებს ნუ მისცემთ სატარებლად, თორემ სოფლისაკენ მომავალ აღმართზე, ისედაც ლასლასით მოდის და გული მიკვდება ზურგზე ამხელა ჩანთა რომ ჰკიდია.

როგორც იქნა, გამომტეხეს დიდმა ბიჭებმა.

– რა გჭირს, აღარ იტყვი?

– მომწონს.

– შენ გვერდით რომ გოგო ზის, ისა?

– არა.

– შენს უკან რომ ზის?

– არც ის.

– აბა მაშ რომელი?

– ჩემს კლასში არ სწავლობს.

– მეორეშია?

– არა, მერვეში.

– მერვეში? – ისეთი სიცილი ატეხეს ბიჭებმა, მერჩივნა მიწა გამსკდომოდა.

– მოიცა, მოიცა, აბა გვითხარი, რა ჰქვია?

– სალომე.

– მერე? მაგიტო დაილიე ბებიაჩემის ნაწუნ კანფეტით?

– ბიჭო, უყვარს და რა ქნას?! – გამომექომაგა ჩემი სოფლელი ბიჭი.

– რა ქნას და უთხრას.

– ეტყვი?

– ვერა – ამოვიოხრე მე.

– მაშინ წერილი მისწერე.

– ბიჭო, ჯერ მარტო აი თითი და ათი თითი იცის, რა უნდა მისწეროს? – ისევ გამომექომაგა ჩემი თანასოფლელი ბიჭი.

– მაშინ მე დავუწერ, – ითავა ჩემი გადარჩენა იმ ბიჭმა და მეორე დღეს მართლა მომიტანა კონვერტში ჩადებული წერილი. კონვერტი, რა თქმა უნდა, საგულდაგულოდ იყო დაწებებული და გარედან ეწერა:

"მერვეკლასელ სალომეს

პირველკლასელი გოდერძისაგან".

– ამ წერილს იმ გზაზე დააგდებ, საიდანაც სალომე შემოდის – გამაფრთხილა ჩემმა მშველელმა (სკოლის ეზოს ორი მხრიდან ჰქონდა შემოსასვლელი, რადგან სხვადასხვა სოფლებიდან მოდიოდნენ სკოლაში მოწაფეები. სალომეს გზა სხვა მხარეს იყო, ჩემი გზა მეორე მხარეს) – აიღებს სალომე ამ წერილს, გახსნის და მიხვდება, რომ გიყვარს, ამას არაფერი წინ არ დაუდგება. გეყვარებათ ორივეს ერთმანეთი და მაგას რა აჯობებს.

– მალე რომ წავა აქედან? – ვკითხე დაღონებულმა.

– სად წავა?



– დაამთავრებს რვა კლასს და წავა.

– ჰოო, – დაფიქრდა ის, – წავა, მაგრამ შეიძლება არც წავიდეს.

– როგორ?

– რომ გაიგებს ეგრე მაგრად გიყვარს, როგორც მაგ წერილში დაგიწერე, რა წაიყვანს უშენოდ აქედან. მიიღებს და მიიღებს ორიანებს, ჩარჩება და ჩარჩება მერვე კლასში სანამ შენ არ წამოეწევი, დაამთავრეთ მერე ერთად და მშვიდობის ქორწილამდე გზა გქონიათ! – ისე ლამაზად დამიხატა ჩემმა უსტართუხუცესმა ჩემი და სალომეს მომავალი, გახარებულმა ისეთ ადგილას დავდევი სალომეს გასავლელ გზაზე ჩემი უსტარი, ამოვეფარე იქვე მდგარ არყის ხეს და ველი.

მეჩვენება, რომ არასოდეს არ ჰქონია არაგვს ასეთი ხმა. მოდის, ერთმანეთს ახლის ლოდებს და მეჩვენება, რომ ის ლოდები არაგვის ტალღებში კი არ ეხლებიან ერთიმეორეს, ჩემ გულში, ჩემ სულში ეხლებიან და მგონია, სადაცაა გამოინგრევა გულის ფიცარი.

სხვა მხრივ სიწყნარეა, გაკვეთილია დაწყებული და ამ დროს ჩიტიც ვერ გადაიფრენს სკოლის ეზოში.

და

აი,

გაიღო სამასწავლებლოს კარი, გამოვიდა იქიდან ქიმიის მასწავლებელი, რომელსაც ჩახტარას ეძახდნენ, ჩამოიარა ხის კიბე, წამოვიდა იმ გზით, სადაც სალომეს უნდა გამოეგლო ჩემი აზრით, წერილთან შედგა, აიღო, გახსნა, წაიკითხა და უცებ იკივლა:

– ვაი! ვაი! ვაი და უი! – მარჯვენა ხელით წერილი ჰაერში ასწია და სამასწავლებლოსაკენ გაიქცა წივილითა და კოჭლობით.

მე შიშისაგან ისე გავფითრდი, არყის ხესამოფარებული იმავე ხის გაფითრებულ ყლორტს დავემსგავსე.

ათ წუთში ისეთი გუგუნი ატყდა სამასწავლებლოში, როგორც ფუტკრის სკაში, როცა იქ ყველაზე საგანგაშო რამ ხდება.

გამოცვივდნენ, შევარდნენ ჩემ კლასში, იქიდან სკოლის კუთხე კუნჭულებშიც დამიწყეს ძებნა, მაგრამ როგორც ჩანს, ისე ვგავდი არყის ხის ძირზე ამოსულ პატარა, მზისგან გადაცრეცილ ყლორტს, ვერ შემამჩნიეს.

იმ დროს სკოლებსშორის შეჯიბრი იმართებოდა სანიმუშო და წესიერი მოსწავლეების აღზრდაში, განათლების განყოფილებიდანაც ამოდიოდნენ შესამოწმებლად, გარდამავალი დროშებითაც აჯილდოვებდნენ იმ სკოლებს, სადაც მოსწავლეები მარტო "დიახ პატივცემულო მასწავლებელოს" ამბობდნენ და ხედავ ჩემმა სიყვარულმა რა ქნა, რა ტრაგედია დაატრიალა, სახელიც შეულახა სკოლას და დროშაც დააკარგვინა.

მერე არ იკითხავთ, რა ეწერა იმ წერილში?

როცა ჩახტარა ყველას გასაგონად კითხულობდა, ყურები მეწვოდა. ასეთი სიტყვები ჩემ ცხოვრებაში ჯერ არ მქონდა გაგონილი. დღემდე ვიცოდი, როგორ

გალობდა გუგული, როგორ ჩხაოდა ჩხიკვი, როგორ ყრანტალებდა ყვავი, როგორ ჭიკჭიკებდა გულყვითელა ჩიტი, მაგრამ თუ ადამიანს ასეთი ბილწი სიტყვების თქმა შეეძლო, ვერ წარმომედგინა და ვეღარ გავუბელი სირცხვილის სიმწარეს, მოვიკრიბე ღონე, გადავევლე სკოლის ეზოს ყორეს და ისევ სირბილით ავუყევი ჩემს ერთადერთ გადამრჩენელ მთას.

იმ ღამეს, რა თქმა უნდა, სახლში არ მივსულვარ. რა თქმა უნდა, მესმოდა დედაჩემის განწირული ძახილი. რა თქმა უნდა, მაკრთობდა ჭოტის ჩხავილი...

დილით კი, ღვიის ბუჩქში ჩამინებულს რომელიღაც ჩიტმა ჩამომჭიკჭიკა და რაღაც ისევ გამითბა გულში.

მერე, როცა დრომ ყველაფერს უწამლა და ვინ იცის მერამდენედ, სკოლაში დამაბრუნეს, ისევ ეზოში შემომეფეთა სალომე, მე ისევ გავქვავდი, ის მოვიდა, თავი ამაწევინა, მაკოცა და მითხრა:

– არასოდეს აღარ გაიქცე სკოლიდან, მე ვიცი, ვინც დაგიწერა ის წერილი. ის ვერასოდეს ვერ ეღირსება იმ სიყვარულს, რისი ღირსიც არ არის. შენ კი თვითონ გიპოვის შენი სიყვარული.

სალომემ კიბე აირბინა და კლასში შევიდა.

თითქოს მასთან ერთად აიარა კიბეზე ჩემმა პირველმა სიყვარულმა და სალომესთან ერთად მიიხურა კარი.

ამის მერე მეც ისე დავამთავრე ჩოხის რვაწლიანი სკოლა გოგოებს თვალებში არ ვუყურებდი, ვშიშობდი, ვაი თუ კიდევ ვინმე შემეყვარებოდა, გოგოებს ხომ რაღაც ისეთი სხივი აქვთ თვალებში, ერთი თუ გულში შემოგიფრინდა, იქ რაღაცა ისეთს აანთებს, მთელ სხეულში ცეცხლს წაგიკიდებს, აგაბრიალებს...

თუმცა, კაცი თუ დაიწვება სიყვარულის ცეცხლმა დაწვას, თუნდა უიღბლო იყოს და თუნდა იღბლიანი.

ან ვინ მოიგონა უიღბლო სიყვარული?

სიყვარული სიყვარულია.

იგი რაღაცით გუგულის ძახილსაც ჰგავს გაზაფხულის დადგომის ჟამს. და როცა კი ამ ხმას გავიგონებ, აღარ ვეუბნები, გუგულო, ღალა მოგპარე-მეთქი. ყველაზე დიდი ღალა, სიყვარული ყოფილა ამ ქვეყანაზე. მე ჩემი სამყოფი ღალა გუგულმა უკვე გამომიგზავნა და ახლა სხვებისთვის ვთხოვ:

– გუგულო, ყველას გაუგზავნე შენი ღალა!

– გუგუ! გუგუ! გუგუ! – მპასუხობს გუგული.

ეს რას ნიშნავს?

ეს ჩემი და გუგულის ენაზე იმას ნიშნავს, რომ – კურთხეულია მაღალი ღმერთი, რომელსაც უხვად გააჩნია ყველასათვის სიყვარული.

## ძვლების სევდა

ვისაც კი ერთხელ მაინც, ზაფხულში ბურსაჭირის ფერდობი უნახავს, იმას თავისუფლად შეუძლია თქვას, რომ სამოთხე ნახა. შუა ფერდობზე მდინარე მოჰქუხს, მდინარის იქით – აქეთ ათასნაირი ყვავილებით მოქარგული კალთებია გადაშლილი და რაც უფრო ზემოთ და ზემოთ აუყვები ამ ფერდობებს, თეთრად გადაპენტილ დეკიანებში შეხვალ. ფერდობსა და ფერდობს შორის მოქცულ ტაფობებში პატარა, ლურჯად მოლივლივე ტბებია ჩამდგარი. ფერდობის ერთ მხარეს თითქმის ცაზე წვერით მიბჯენილი ჭიუხია წამოყუდებული. იგი არ ავლენს სიცოცხლის არავითარ ნიშანწყალს, როცა მის გარშემო ყველაფერი ყვავის, ყველაფერი ცოცხლობს: ყვავილები, წყაროები, ყორნები, რომლებიც მოკამკამე ლურჯი ცის ფონზე შავად დაფრენენ და არწივები, სააქაოს მეფე-მბრძანებლები. ქვემოთ ლოდებში მჩქეფარე მდინარე, რომელიც დროდადრო ლოდებს ადგილს უცვლის, თითქოს ეუბნება: უქმად ნუ ჰგდიხართ, იმოდრავეთ, სააქაოში ხართ, სააქაოს სიცოცხლე უხდებაო და ლოდებიც უჯერებენ, გადაგორდებიან და გაჩერდებიან. მარტო ეს ჭიუხი დგას უმოძრაოდ, თითქოს სიცოცხლესთან ამას არავითარი კავშირი არა აქვს. თითქოს ეს მხოლოდ იმიტომ დგას, რომ მიგვანიშნოს:

– აქ დედამიწაა!

– იქ ცაა!

მერე?

მერე და ვინ გაყო ცა და დედამიწა?

– იმან, ვინაც სიცოცხლე და სიკვდილი გაყო, – ამბობს ჭიუხი. კი არ ამბობს, თავისი დგომით, თავისი უმოძრაობით მიგვანიშნებს ამას.

ჭიუხის ქვემოთ, კლდეში გაჭრილი უღელტეხილია.

ქვენამთის გადასასვლელი.

აი, სწორედ ამ უღელტეხილზე გადადიან მგზავრები, გადადიოდნენ უძველესი დროიდან, გადადიან ახლა და ალბათ სანამ ეს ჭიუხი აქ იდგება, სანამ ეს უღელტეხილი იქნება, სანამ ბურსაჭირის ფერდობზე ყვავილებს გაზაფხულობით აყვავება არ მოსწყინდებათ, ივლიან მგზავრები, გადაივლიან და გადმოივლიან ქვენამთის გადასასვლელს.

ზაფხულია და ყვავის ბურსაჭირის ფერდობი.

გალობს სიცოცხლე.

ირგვლივ ყველაფერი ზეიმობს.

მხოლოდ...

მხოლოდ გადმოსასვლელის ქვემოთ, პატარა გორაზე ერთი ლოდის ქვეშ, მიწაში მყოფი კაცის ძვლები არიან სევდიანად.

ეს საფლავი ერთადერთია ამ არემარეში, უპატრონო, მიტოვებული და მიუსაფარი. არავინ იცის, ვისია ეს ძვლები, რა ერქვა ამათ პატრონს. ერთადერთი ისაა ცნობილი, რომ მგზავრი ყოფილა, ქვენამთის უღელტეხილიდან გადმოვარდნილა და მკვდარი

სამადლოდ მიუბარებიათ მიწისათვის. ეს ლოდი დაუდვიათ ზემოდან. ეს არის ერთადერთი საფლავის ლოდი ამ არემარეში. ლოდის ერთ კუთხეში მიწა გამოთხრილა და შიგნიდან ძვლები იმზირებიან გარეთ. იმზირებიან სევდიანად, გულის მომკვლელად, თითქოს რაღაცას ევედრებიან გარეთ მყოფთ, რაღაცას სთხოვენ.

ვინ იყო ამათი პატრონი?

სად მიდიოდა?

სად დაიბადა და რატომ ჩაჰბარდა აქაურ მიწას?

იქნებ ჰყავდა დები, ძმები, უხაროდათ ერთმანეთთან ახლოს ყოფნა, ერთმა დედამ შობა ისინი... რა თქმა უნდა, ახლა აღარც ისინი არიან ცოცხლები. იქნებ მათი ძვლები ერთურთის გვერდით განისვენებენ. მარტო ეს ძმა აღარ მიუვიდათ სახლში და ელოდნენ. იქნებ თავისი და\_ ძმების ძვლებთან ახლოს ყოფნას ითხოვენ ეს სევდიანი ძვლები. ანდა, იქნება, ბედმა ამათი პატრონის და\_ ძმებიც სხვადასხვა მხარეს მიმოფანტა და აღარც მათი ძვლებია მიწაში გვერდიგვერდ ჩასვენებული, თავის დედასთან ახლოს, რომელმაც შვა ისინი.

რას გაიგებ წუთისოფლისას, ბრუნავს, ბრუნავს და ჩვენც გვატრიალებს.

თანაც ყვავის.

ყვავის და ლამაზია.

ისეთივე ლამაზი, როგორც ბურსაჭირის ფერდობი, ათასნაირი ყვავილებით მოჩითულ\_ მოქარგული, სიცოცხლით სავსე და მხიარული.

მხიარული და მოზეიმე.

მოზეიმე, რადგან გარშემო სიცოცხლე ფეთქავს.

მხოლოდ ძვლები, აქაურ ლოდებს შორის ერთადერთ ლოდს ქვემოდან გამომზირალი ძვლები არიან სევდიანად, რაც კაცს გულს გიკლავს, მაგრამ რჩება იმედი, იმედი იმისა, რომ ღმერთი მაღალია და ამ ძვლების პატრონისა და მისი და\_ ძმების სულებს ერთად შეჰყრის იმ ქვეყანაზე. იქ დაუხვდებათ მშობელი დედა და გაიხარებს. გაიხარებს, როგორც ხარობს და ლაღობს სამოთხესავით მშვენიერი ბურსაჭირის ფერდობი.

## წითელა

წითელა აენტო გუდამაყარში. ერთიმეორის მიყოლებით გაუყენა გაზაფხულის ყვავილებივით ახლადშედერებული ყმაწვილები საიქიოსკენ მიმავალ გზას.

\_ არ იტიროთ! არ იტიროთ! თორემ წითელა უფრო გაბრაზდება და ვინც სახლში დაგრჩათ, იმათაც მუსრს გაავლებს. იმდერეთ, წითელას სიმღერა და მხიარულება უყვარს \_ არიგებდა ხალხს ას წელს კარგა ხანს გადაცილებული, წელში მოხრილი მოხუცი ქალი, რომელსაც ზედმეტ სახელად მათუსალას ეძახდნენ.

დადიოდა სოფელ-სოფელ მათუსალა, მიიბჯენდა თავის ხელებივით დაკოჟრილ შინდის ჯოხს და თვითონაც მღეროდა, წითელას ამხიარულებდა, რომ მეტად აღარ გამძვინვარებულიყო და მშვიდობით გასცლოდა გუდამაყრის ხეობას.

შეშინებული ხალხი ცრემლის ჩამოგორებასაც კი ვეღარ ბედავდა თვალებიდან, ისე დაეშინებინა წითელას. არც მაშინ ტიროდნენ, როცა მორიგ ყმაწვილს ამოართმევდა სიცხისაგან გათანგული სხეულიდან სულს წითელა და არც მაშინ, როცა მიწას აბარებდნენ გაციებულ სხეულს, ეშინოდათ, წითელას ტირილის გამო უფრო შური არ ეძია.

– იმღერეთ! იმღერეთ! – იძახდა მათუსალა და ჭირისუფლებიც მღეროდნენ.

ეს სიმღერა არ ჰგავდა სიმღერას, არც ტირილს ჰგავდა, ისევე, როგორც მათუსალას დროგადასული ბაგეებიდან ამომავალი სიმღერა არ ჰგავდა სიმღერას, ეს უფრო ვედრებას ჰგავდა და მაინც, სიმღერა იყო, წითელას დასაშოშმინებლად ნამღერი სიმღერა.

მღეროდა მთელი გუდამაყარი, დღისით და ღამით სახლებიდან სიმღერის ხმა გამოდიოდა და ცაში აზიდულ მთის კალთებს მალა მიუყვებოდა, მთის მწვერვალებზე ჩამომხობილი ვარსკვლავიანი ზეცა ირეკლავდა ამ სიმღერას, ისევე ხეობაში აბრუნებდა და ამ დროს ბნელით მოცული გუდამაყარი ჰგავდა შავებში ჩაცმულ მათუსალას.

– იმღერეთ! იმღერეთ! – კარიდან-კარზე თავის დაკოჟრილ ჯოხს უკაკუნებდა ხალხს მათუსალა. წითელა არ ნელდებოდა, უფრო მძვინვარებდა, საკირესავით ღუდღუდებდა და მოლზე ამოსულ ყვავილებივით კრეფდა მთელ ხეობაში ყმაწვილთა სულებს.

ლოგინში იწვოდა სიცხით გათანგული ხუთი წლის გუგუა. გვერდით დედა, ბებია და მეზობლები ესხდნენ და უმღეროდნენ. ბერდია, გუგუას მამა, კართან ატუზულიყო და სიმღერას ვერ ბედავდა.

– იმღერე, რა ხმა ჩაგწყვეტია! – შეუტია მათუსალამ. ბერდიამ ლოგინში მბორგავ შვილს შეხედა და ამოახველა. არ გამოუვიდა სიმღერა. ისევე გაჩუმდა და მუდარით შეხედა მათუსალას, რომელიც ჯოხით სჩხვერდა, იმღერეო.

ოთახში გუგუას ტყუპისცალი მართა შემოვიდა და გულში ჩახუტებული ყვავილები შემოიტანა.

– ლოგინთან მიუტანე, ლოგინთან, წითელას წითელ – ყვითელი ფერები უყვარს, – ბრძანა მათუსალამ. მართამ აქეთ – იქით შემოუწყო ყვავილები გუგუას. გუგუამ თვალები გაახილა, თავის ტყუპისცალს შეხედა, თითქოს გაუღიმა და მერე ისევე დახუჭა თვალები.

გუგუას ბებიამ სიმღერა შეწყვიტა, შემფოთებული თვალებით მიაჩერდა შვილიშვილს, რომელიც აღარ სუნთქავდა და წითელასგან გავარვარებული მისი სხეული თანდათან ცივდებოდა.

გუგუას დედამ ტირილი დაიწყო. ბებიაც აჰყვა, მართაც.

– ხმა, კრინტი! რა გატირებთ? ამ ქალას რაღას ერჩით?! გინდათ უფრო გააბრაზოთ წითელა და ამასაც ხელი დარიოს? – შეუტია მათ მათუსალამ და იმათაც შეწყვიტეს ტირილი.

ბერდია კედელსმიყრდნობილი კანკალებდა.

– იმღერე! – ჯოხისწვერით წასჩხვირა გვერდში მათუსალამ, რა მოგივიდა? ღმერთმა თავის ნაშობი თვითონვე წაიყვანა, დამბადებელს არა აწყენინო\_ რა. ერთხელ ნაშობს, ერთხელ წაიყვანს, იმღერე! ისევ უშნო ხავილი ამოუშვა ბერდიამ.

– იმღერეთ! იმღერეთ! – იმახდა მათუსალა და თითქოს მისი არაამქვეყნიური ხმის წყალობით, სწრაფად ცივდებოდა ლოგინში გუგუა, ისე სწრაფად, რომ როცა ბებიამ ველარ მოითმინა და შვილიშვილს შუბლზე აკოცა, მოეჩვენა, იანვრის ყინულს კოცნიდა. სიმღერით დაასაფლავეს გუგუა.

– ამ სახლში ტირილი არ გავიგონო, წითელა არ გააბრაზოთ და ამ ქალას ავი არა მოუწიოთ – რა! – გააფრთხილა მისი დედ\_ მამა მათუსალამ და ჯოხზე დაყრდნობილი, სიმღერით წავიდა მეზობელი სახლისაკენ.

მართამ მოსვენება დაკარგა. სულ იქით მიუწევდა გული, სადაც მისი ტყუპისცალი იწვა მიწაში. კრეფდა მინდვრის ყვავილებს და გულზე აფენდა ამოზურცულ საფლავს.

მოენატრა ძმა, ისე მოენატრა, რომ ამ ქვეყანაზე აღარ უნდოდა ყოფნა. ერთხელ სიმღერით მიმავალ მათუსალას დაეწია და ჰკითხა:

– საიქიოს გზა საით არის, ბებო?

– რა? – სიმღერა შეწყვიტა მათუსალამ.

– საიქიო საით არის?

– ჰოო! – თქვა მათუსალამ და მართას გამჭოლი მზერით შეხედა.

– მერედა შენ რაისთვის კითხულობ საიქიოს გზას?

– ჩემი ძმა მომენატრა და ნახვა მინდა.

– ჯერ რა დროის შენი საიქიოა ქალშავავ, ღმერთს არა აწყენინო – რა, იმის განგებას ვერც ვერავინ გადასულა და ვერც ვერავინ გადაუვა; თავის დროზე ყველა იქ მივალთ, აქ არავინ არ დარჩენილა, მოეშვი ავ ფიქრებს და იმღერე, რო წითელას გული გავუთბოთ.

– ბებო, გეხვეწები, თუ იცი საით არის საიქიო, მიმასწავლე გზა, ნუ დამიმალავ – შეეხვეწა მართა.

მათუსალა ჩაფიქრდა.

– ხმელეთი რო გათავდება, ცის ნაპირი რო გათავდება, საიქიო იქ არის. საიქიოს გზა ისე ვიწროა, ხორციელი ვერ ივლის.

– მა რა ვქნა? – შეწუხდა მართა.

– რა ქნა და იმღერე! – შეუტია მათუსალამ და თავისი უცნაური სიმღერა წამოიწყო.

მწვერვალის ზემოთ ცის ნაპირი ჩანდა.

"ნამდვილად იქიდან იწყება საიქიოს გზა", იფიქრა მართამ და მთის ფერდობს შეუყვია. სადამო ხანს მიაღწია კიდეც მწვერვალს, მაგრამ შედგა თუ არა ზედ, უცებ ელდანაცემმა უკან დაიწია, შორს კიდეც ჩანდა ასეთივე მთა და ასეთივე ცის ნაპირი, სადაც ირიბად ირეკლებოდა ჩამავალი მზის სხივები.

გვიან დაბრუნდა შინ მართა და იმ ღამეს თითქმის არ ეძინა; გადაწყვიტა იმ მეორე მთისა და ცის ნაპირის ნახვა. დილაადრიან წამოხტა და იქით წავიდა, იქედან კიდეც სხვა მთა და სხვა ცის ნაპირი გამოჩნდა შორს.

– ვიყავი, მაგრამ არ თავდება – უთხრა მართამ წყენით მათუსალას.

– რა არ თავდება?

– არც ხმელეთი თავდება და არც ცის ნაპირი.

– არც გათავდება – ჩაიჩიფჩიფა მათუსალამ.

– მაშ საიქიო?!

– საიქიოს ბჭეთა ძიება შენი საქმე არ არის.

– მაშ როგორ ვნახო ჩემი ძმა?

– სუყველაფერს თავის დრო და ჟამი აქვს; დრო მოვა და ნახავ.

– როდისღა? როდისღა? – ატირდა მართა.

– ნუ ტირიხარ, იმღერე! – გაუწყრა მათუსალა. მართამ ტირილი შეწყვიტა და ცრემლების წმენდით გუგუას საფლავისაკენ წავიდა. ახლადმოკრეფილი ყვავილებით შეამკო სამარის ამობურცული მიწა.

მართას გამო წუხდნენ მშობლები და მათუსალას რჩევით მღეროდნენ, რომ უჭმელობით დასუსტებული გოგოსთვის წითელას არ დაერია ხელი.

ერთ სადამოსაც მთლად სახეაწითლებული დაბრუნდა ტყუპისცალის საფლავზე მყოფი მართა. ძლივს მოლასლასებდა სახლისაკენ.

ბებიამ ლოგინში ჩააწვინა და შეშინებულმა სახლის აივნისაგან მათუსალას გასძახა:

– მათუსალა! მათუსალა!

– ჰაუუ! – საიდანდაც გაეხმიანა მათუსელა.

– გვიშველე, ქალო!

მათუსალა სიმღერით მოადგა სახლს.

სიცხისაგან იწვოდა მართა. მხიარულობდნენ მისი მშობლები.

შუალამისას ჩაეძინა.

ჩაეძინა ბებიასაც.

ჩაეძინა სიმღერით დაღლილ მშობლებსაც.

მათუსალა იქ აღარ იყო.

უცებ მართამ თვალი გაახილა და იხილა, რომ ოთახში გუგუას ლანდი შემოვიდა.

– გუგუავ! – წამოიჩურჩულა მართამ.

გუგუა დასთან მივიდა, ხელი ჩასჭიდა და უთხრა:

– წამო!

მართამ იგრძნო, როგორ ამოვიდა მისი სული სხეულიდან და მსუბუქად გაჰყვა მმას.

ანგელოზები ამოუდგნენ და-მმას აქეთ-იქით და მიაცილებდნენ სინათლით გაკაშკაშებულ გვირაბებში და ბოლოს, ასევე სწრაფად სამოთხეში აღმოჩნდნენ.

ლამაზად ბიბინებდა ათასნაირი ყვავილებით მორთული ხასხასა მდელო. იქა-აქა ლამაზი, თეთრი სახლები იდგა. უცნაური შუქით განათებულ ტაძართან ანგელოსთა გუნდი გალობდა.

არაამქვეყნიური შვება და სიამე იგრძნო მართამ.

შემოეხვივნენ იქ მყოფი თავის მეგობარი გოგო-ბიჭები, რომელნიც წითელამ წაიყვანა.

ტაძრის სიღრმიდან გადმოსული შუქი დიდი სიხარულით ავსებდა მართას და ლამაზ მდელოზე მეგობრებთან მხიარულობდა, ენითაუწერელ ნეტარებას განიცდიდა.

უცებ ერთი ჭაღარა კაცი მოეახლა მათ და გუგუას უთხრა:

– გუგუავ, დროა, წაიყვანე უკან.

გუგუამ მართას ხელი ჩასჭიდა.

– წამო.

– სად?

– დედასთან და მამასთან.

– არ მინდა იქ, მე აქ მინდა, მე შენთან მინდა ყოფნა, \_ შეევედრა მართა.

– არ შეიძლება.

– რატომ.

– ჯერ შენი დრო არ არის აქ.

– მაშ როდის იქნება.

– ჯერ შენ მიწაზე დიდხანს უნდა იცოცხლო შვილო, \_ უთხრა იმ ჭაღარა კაცმა.

– არ მინდა მიწაზე, მე აქ მინდა, არ მინდა მეც მათუსალასავით ვიყო იქ, \_ ატირდა მართა.

– წადი ახლა და ორჯერ კიდევ გამოვაგზავნი გუგუას რომ აქ მოგიყვანოს, სამჯერ მეტის უფლება არა გაქვს. ანგელოზები აქა\_ იქ ამოუდგნენ და\_ მმას და უკან დააბრუნეს.

მართას სული სხეულში ჩაბრუნდა და წამოიკვნესა. მის კვნესაზე ბებიას გაეღვიძა და იმ წუთას სიმღერა მორთო.

თენდებოდა.

ცის კიდურზე იცრიცებოდა ცისკრის ვარსკვლავი.

სანამ მართა წითელას ებრძოდა, მანამდე ორჯერ კიდევ მოვიდა გუგუა და ანგელოზების თანხლებით საიქიოს წაიყვანა მართა.

მესამედ ჭაღარა კაცს შეეხვეწა მართა, ცოტა ხანს კიდევ დაეტოვებინა იქ, რომ გული ეჯერა მეგობრებთან და მმასთან ყოფნით. ჭაღარა კაცმა ნება დართო.



– ახლა კი დროა! – თქვა რამდენიმე ხანში ჭადარა კაცმა. გუგუამ მართას ხელი ჩასჭიდა. ანგელოზები აქეთ–იქით ამოუდგნენ.

ცისკიდურზე უკვე გაცრეცილიყო ცისკრის ვარსკვლავი. მართას სახლიდან ბებიისა და დედამისის გულსაკვლავი ტირილი ისმოდა. წელში მოხრილი მათუსალა სიმღერით მილასლასებდა მათი სახლისაკენ.

სულმა დაინახა რომ მისი სხეული უძრავად იწვა ლოგინზე და დედა და ბებია გულზე დასტიროდნენ. მამა კედელზე იყო მხრით მიყრდნობილი და იმასაც ცრემლები ჩამოსდიოდა.

– რა გატირებთ, იმღერეთ, ღმერთის ნაბოძები, ღმერთმა წაიყვანა, იმღერეთ, სოფელს რას ერჩით! – უწყრებოდა მათ მართას უსულო სხეულთან ჯოხზე დაყრდნობილი მათუსალა.

მართას დედა მუდარით შეჰყურებდა მას და თითქოს ეუბნებოდა მზერით:

– მატირე, ცოტა ხანს მაინც მატირე შვილი, ქალო, ღმერთი აღარ გწამს?!

– იმღერეთ! – ჯოხი ჩაარტყა ოთახის იატაკს მათუსალამ და ამ დროს მართას სული სხეულში ჩაბრუნდა.

– ვაი! – წამოიკვნესა მართამ და თანდათან გაუვარდისფრდა სახე.

– ცოცხალია! ცოცხალი! – დაიძახა ბებიამ.

მართამ თვალები გაახილა.

– ცოცხალი ხარ შვილო?! – გადაეხვია მკერდზე დედა. კედელზე მიყრდნობილი მამა შვილისაკენ წამოზარბაცდა.

– ხო გეუბნებოდით, იმღერეთ – მეთქი! – თქვა მათუსალამ და სიმღერა წამოიწყო. მას დანარჩენებიც აჰყვნენ.

მართამ კართან მდგარ გუგუას მოჰკრა თვალი და გაუღიმა. ძმამაც გაუღიმა და ხელით დაემშვიდობა. მართამაც დაუქნია ხელი. იქ მყოფთ კარისკენ გაიხედეს, ვინ მოვიდაო, მაგრამ მათ ვერ დაინახეს გუგუა, რომელიც დას ემშვიდობებოდა, მერე კარში გავიდა და მართას მზერაშიც გაუჩინარდა.

– იმღერეთ, იმღერეთ! – იძახდა მათუსალა.

მართა ლოგინიდან წამოდგა სრულიად ჯანმრთელი.

– მოუღბა გული, მოუღბა, წითელას გული მოუღბა! – ყვირილით გავარდა გარეთ მათუსალა და სოფელს გასძახა:

– იმღერეთ, ხალხო, იმღერეთ! წითელას გული მოუღბა ჩვენზე.

მღეროდა მთელი სოფელი.

მღეროდა მთელი გუდამაყარი და მართას მოეჩვენა რომ ეს სიმღერა იკარგებოდა იქ, სადაც ხმელეთი და ცის ნაპირი მთავრდებოდა.

გაკვირვებული მზერით შეხედა მართამ მათუსალას.

– იმღერე ქალშავავ! – შეუტია მართას მათუსალამ და მართამაც წამოიწყო ლაღი, არაამქვეყნიური ნეტარებით სავსე სიმღერა.

ნელ–ნელა, ფეხაკრეფით მიიპარებოდა გუდამაყრის ხეობიდან წითელა.

## ვარდისფერი კაცი

ფერისცვალება დღიდან მეორე კვირაზე, ყვითელი ფარდაგები გამოჰფინა შემოდგომამ. საზამთროდ აიწეწა ცხვარ-მეცხვარე. საჯიხვის წვერზე გამოჩნდა თოვლი და ნიკორა შუბლით ჩამოანათა შემოდგომის ყვითელ სამეფოში. თოვლის დანახვაზე უფრო აჩქარდნენ მწყემსები. დიდი ფაფახები დაიხურეს და ქვენამთის გადასასვლელისაკენ გარეკეს ცხვარი.

ბურსაჭირის ჭალამდე გააცილეს გუდამაყრელმა დედაკაცებმა საზამთრო სამოვრებისკენ მიმავალი ქმრები.

– აბა, თქვენ იცით და თქვენმა ქალობამა! – ვითომ სხვათაშორის ჩაილაპარაკეს კაცებმა. მერე თითო ჭიქა ჟიპიტაურით მგზავრის ანგელოზი განადიდეს და სტვენით და ჩიე\_ ჩიეს ძახილით გადაიარეს ქვენა მთა.

დაწყნარდნენ მთები, ყვითელი თავ-თმანი ჩამოიწეწეს ტყეებმა. საჯიხვის მთაზე სთვლემდა მიდამოს დასაზვერად მოსული თოვლი. ნიკორა შუბლით კლდის გაცრეცილ ბეჭს დაჰყრდნობოდა და მილულვილი თვალებით მიდამოს ეალერებოდა. მერე, როგორც იქნა, გაბედა და ნება-ნება ჩამოუყვა მთის ფერდს. თან რაღაცნაირი მქისე მოწყენილობა ჩამოჰყვა ციდან.

მოიწყინეს სოფელში უქმროდ დარჩენილმა დედაკაცებმა. შეგროვდებოდნენ ხოლმე რომელიმე ბანზე და ზოგი მატყლს სჩეჩავდა, ზოგი ფარტნებს ართავდა, ზოგი ქსოვდა და ზოგიც ჯარას ატრიალებდა. გასათხოვარ გოგოებს კალოებში საქსოვი დაზგები გაემართათ და ზოგნი ფარდაგებს ქსოვდნენ და ზოგნიც – საჩოხე შალეებს.

ისხდნენ დედაკაცები და ჭორაობდნენ. ჭორაობდნენ და თან ვიღაცის მოსვლას ელოდნენ. წამდაუწუმ დედურის გორს გაჰყურებდნენ. იმ გორის ფხას შიშველი გზა მოუყვებოდა, რომელზედაც არც ამვლელი ჩანდა და არც ჩამვლელი. მაგრამ ისე მოუთმენლად გაჰყურებდნენ ამ გზას დედაკაცები, რომ ვიღაცა აუცილებლად უნდა მოსულიყო.

აღარც თოვლი აპირებდა სოფლამდე ჩამოსვლას. კვირის გორზე იჯდა და ნისლს იხვევდა.

დაიღალნენ ლოდინით დედაკაცები.

– აღარ მოვიდა, აღარ მოშავდაო, – ჩიოდნენ.

მერე ვიღაცამ ჭორიც მოიტანა: – მომკვდარაო.

არ დაუჯერეს. ისევ დედურის გზას გაჰყურებდნენ და მოელოდნენ.

– მოდის, მოდის! – დაიძახა ერთ დილით ბანის წვერზე გადმომდგარმა გარახტინამ და თავშალგაშლილი გადაენტო დედურისაკენ. ბანის პირებზე გადმოდგნენ სხვებიც.

დედურის გორზე ვიღაც ზურგზე ტვირთმოკიდებული კაცი გამოჩნდა და იმის შესახებდრად გამოსულ დედაკაცებს რომ მოჰკრა თვალი – თქვენი ამბროსუკუნა გენაცვალოთ! – ისეთი ხმით დაიღრიალა, მთები შესძრა და მოღუშული ცა სათოვლელად გაემზადა უცებ.

თოვდა გულდაგულ. აღარაფრისა აღარ ეშინოდათ დედაკაცებს, ერთ მაღალ ბანზე შეგროვილიყვნენ და თავიანთ ამბროსუკუნას ეხვეოდნენ ჟრიაშულით.

ამბროსის ზურგიდან ტვირთი ჩამოხსნეს და საპატო სკამზე დასვეს. ისეთი დიდებით მიიღეს ეს ტანისამოსშემოგლეჯილი, ნათრევ-ნაწვალეები ცალთოლი კაცი, თვით იმპერატორსაც კი შეშურდებოდა იმისი სამფეხა სკამი. იჯდა და წამდაუწუმ იძახოდა:

– თქვენი ამბროსუკუნა გენაცვალოთ, აი!

თან ცალი თვალთ ისე ათვალთიერებდა დედაკაცებს, უბედურებას გადარჩენილი მამალი რომ ათვალთიერებს ხოლმე დედლებს, მელიამ ხომ არაფერი მომტაცაო. და რომ დარწმუნდა, არავინ აკლდა, მოხსნა პირი თავის ტომარას:

– ეს შავი ფერი.

– ეს მწვანე.

– ეს ყვითელი.

– ლურჯი.

– ვარდისფერი არ წამოგიღია? – მოუთმენლად იკითხა ბერის დედაკაცმა.

ამბროსაი ვარდისფერის ხსენებაზე შეკრთა და თვითონაც ვარდისფერმა მწუხარებამ გადაუარა სახეზე.

– ვარდისფერი? – იკითხა შეშფოთებულმა და თითქოს სიზმარეული ხილვებიდან გამოერკვაო, დაბნეულმა თქვა:

– არა, ვარდისფერი არ წამომიღია, არა.

– მაშ, რაღა შავ ქვას მოველოდი შენგან, – გამწარდა ბერის დედაკაცი, შუბლზე ჩიქილა ჩამოიწია და სხვა დედაკაცების გასაგონად თქვა:

– მივწერ კაცს ცხორში წერილს და გადმოვატანინებ. ვარდისფერსაც მივწერ და თაგვისფერსაც, – მერე წამოდგა, კაბის ბოლო ნიშნის მოგებით გაიქნია – გამოიქნია და სახლში წავიდა.

ამბროსას კი დედაკაცები ეხვეოდნენ და ისიც იღებდა ტომრიდან ახალ – ახალ ფერებს.

– ეს ძაღლისფერიო.

– ეს მგლისაო.

– თქვენი ამბროსუკუნა გენაცვალოთ, ეს კურდღლისფერი თქვენთვის გავაკეთებინეო.

ყველა ფერიდან ამბროსაი თითო ბუწკს იღებდა და ახალ თოვლს აყრიდა ზემოდან. ახლომახლო ისე აფერადდა თოვლი, თითქოს "საქორწილო ჯარზე" გასაკრავი ფარდაგი ყოფილიყოს, ანდა რომელიღაც შაჰინ – შაჰის ფეხმოსართხმელი

ხალიჩა, რომელზედაც ცალთოლი ამბროსია იჯდა და თავის თაყვანისმცემლებს ათასნაირ ფერებით უხარებდა თვალსა და გულს. სულ ბოლოს ნარინჯისფერი ამოიღო და თქვა:

– გენაცვალოთ თქვენი ამბროსუკუნა!

ერთი ბუწკი ფერი კიდევ მოაყარა თოვლს და ცალი თვალი შემოატარა ირგვლივ.

\*

მთელი თვე ღებვაში გაატარა ამბროსამ. ზოგს საფარდაგე ხიფები მოჰქონდა და ზოგს საჩოხე შალი. ზოგს სამგლოვიარო ჩიქილას უღებავდა და ზოგს საქორწილო ჯეჯიმის ნართებს. მთელი გუდამაყრის ხეობა ამბროსაის ფერებით შეღებილი დადიოდა, თოვლსაც კი მაგისფერი ედო ალაგ\_ ალაგ.

ათასნაირ ფერად\_ ფერად ყვავილებს აქარგავდნენ ფარდაგებზე გასათხოვარი ქალწულები. ყვითელ ფერზე ლურჯ იებს ქარგავდნენ, ტყვიის ფერზე შავი ძაფით აქარგავდნენ გულისწორის სახელებს. ლომებს ქარგავდნენ და სალ კლდეებზე შემომსხდარ მხარკვერიან არწივებს ტყვიისფერ სიჭრულეს აქსოვდნენ ფრთებში.

სადღაც დასაკარგავში გაცეული მოწყენილობა ამბროსაის წასვლას ელოდა. ის კი ცალ თვალს აბრიალებდა და ათასნაირი ლალი ფერებით ქარგავდა ზამთარს.

\*

საზამთრო იალაღებიდან, თითო თვით, დასასვენებლად მოვიდნენ სახლში მწყემსები, დაკერტილები, დაბეჩავებულები.

ჩააცვეს ცოლებმა ჭრელ\_ ჭრელი წინდები, დაქარგული ახალუხები. დაიპრანჭნენ ისინიც, გაიარ\_ გამოიარეს, რა ლამაზები ვყოფილვართო, გადაიგრიხეს ულვაშები. მიიპატიჟეს ერთმანეთი და გააჩაღეს ქეიფი: ჭრელებმა, დაქარგულებმა, ულვაშებგადაგრეხილებმა.

– რა რიგები ვართ ეს ტივლები, – თავს იქებდა გამიხარდაი.

ერთი კვირა ქეიფში გაატარეს, მერე სმაც შესწყინდათ და სოფელში გაიარ\_ გამოიარეს. ამბროსას წააწყდნენ და გაიკვირვეს.

– ეს რა კარგი რამ უშოვნიათ დედაკაცებსაო, – თქვა გამიხარდიამ და სხვებსაც მოეწონათ.

– უსაქმურობამ შეგვაწუხა, გავირთავთო.

თანდათან შეაჩვიეს ენა ამბროსას:

– ჩვენი ცხოვრების დამჭრელებელოო.

– ჩვენო გამშავებელოო.

– შე ტყვიისფერო და შე მგლისფეროო.

ზოგს საალერსო სიტყვებიც კი დასცდებოდა ხოლმე:

– შე გაზაფხულო და შე ზაფხულოო.

და უხაროდა ამბროსას. უხაროდა და ღებავდა.

\*

იმ დილით წყალკურთხევა იყო. მკვდრების დღე. დილაუთენია გავიდა ხალხი არაგვზე. დაუნთეს სანთლები მიცვალებულის სულებს და წყალი აკურთხეს. თუნგებსა და თულუხებს ავსებდნენ და თოვლში ღვრიდნენ. ციოდა და ჟიპიტაურს აძალებდნენ ერთურთს. დიდი და პატარა წყალსა ღვრიდა. სანთლები ლიცლიცებდნენ ხინკლიან ხონჩებზე.

სოფელში მარტო ამბროსაილა იყო. კალოში იჯდა და თავის ქათმებს ეალერსებოდა. ეს ქათმები შეღებვის საფასურად მიეცათ დედაკაცებს და ისინიც ისე მისჩვევიყვნენ, რომ ზოგი მხრებზე ეჯდა, ზოგი მუხლებზე.

– ჩემო ჭრელებო და ჩემო ბიბილოიანებოო, – ეალერსებოდა.

– ჩემო ნაცარავ და ჩემო ტყვისფერაო.

თითქოს ესმითო ისე რუკრუკებდნენ ქათმები.

– თქვენი ამბროსუკუნა გენაცვალოთო!

მერე უცებ შეკრთა ამბროსაი. ბერს მოჰკრა თვალი, ამღვრეული თვალებით უყურებდა ბორწნელიდან. კარგა ხანს უყურა და მერე სადღაც წავიდა.

შეშინდა ამბროსაი, ცუდი რაღაც იგრძნო გუმანით. თავისი ქათმები ტომარაში ჩასხა და გაპარვა დააპირა. მთვრალ ხალხს გავერიდებოო, იფიქრა.

ის იყო სოფლის ორღობე ჩაათავა, რომ ბერის ყვირილი შემოესმა უკანიდან. მოიხედა და რა ხანჯალამოწვდილი ბერი დაინახა, სირბილით გავარდა თოვლიან გზაზე. გზა მოყინული იყო და ფეხები უსხლტებოდა. გრძნობდა, როგორ თანდათან უახლოვდებოდა ბერის ხმა. მერე იმ ხმას სხვა მთვრალი კაცების ხმაც შეუერთდა: – ამბროსაი გაიქცაო, – ყვირილით გამორბოდნენ წყლიდან.

მირბოდა ამბროსაი და მისდევდა მთვრალი ხალხი. ტვირთის ზიდვა უჭირდა და ბარბაცებდა. მერე უკანმოუხედავად იგრძნო როგორ წამოეწია ბერი, როგორ დაუქნია ქათმებით სავსე ტომარას ხანჯალი და შეეშინდა, მომკლავსო, იფიქრა. ტომარას ხელი უშვა და თოვლში ჩაიხვია. კარგა ხანს თოვლში პირქვე ჩამხობილი იწვა. მთვრალი ხალხის სიცილი და ქათმების კრიახი მატარებლის ბორბლებივით გადადიოდა მაგის თავზე და უთელავდა სხეულს.

დედაკაცები ეხვეწებოდნენ მთვრალ ქმრებს:

– ცოდვა\_ მადლი აღარ იცითუა!

და გულში ესიამოვნა ეს ხმა ამბროსას, – თქვენი ამბროსუკუნა გენაცვალოთო, – გაიფიქრა თავისთვის. მერე, როგორც იქნა, გაბედა და წამოიხედა. ბერი იჯდა და ქათმებს აჭრიდა თავებს, ისინი პტკნიალებდნენ და წითლად ღებავდნენ მიდამოს.

– რა მღებავი ქათმები ჰყოლია ამ კაცსაო, – იცინოდა ბერი.

მერე წაიყვანეს ამბროსაი სოფელში. დედაკაცებს ქათმები მოახარშვინეს და გამართეს ქეიფი. ამბროსაიც დასვეს სუფრაზე და თან ანუგემეს:

– რა ცხვირ\_ პირი ჩამოგტირის, შე კაი კაცო, შენა. შენი გაზრდილი ხო არ იყო ის ქათმები, ჩვენი იყო.

– არა ტყუის ბერი.

– რო მოხვედი და მთელი გუდამაყარი გადაგვიღებე, რასა ფიქრობდი. თუ, წახვალ და დაიკვებებ: \_ გუდამაყარში სულ ჩემგან შეღებილი ხალხი დადისო.

– არ გამოგივა, შე მგლისფერო, არა!

რალაცა ცუდს გრძნობდა ამბროსაი. მუდარის თვალით შესცქეროდა დედაკაცებს, იმათ კი ქმრების შიშით ხმა ვეღარ ამოეღოთ და გამტკნარებულები ისხდნენ.

– შავლებოთ. \_ დაიძახა ბერმა.

– რა ფრად? \_ იკითხა გამიხარდამ.

– ვარდისფრად.

ვარდისფერის გაგონებაზე ისევ იმ სიფითრემ გადაუარა სახეზე ამბროსას, პირველად რომ ჰკითხა ბერის დედაკაცმა, ვარდისფერი არ მოიტანეო.

– ვარდისფრად არ ივარგებს, \_ თქვა მწარიამ.

– ვითომ რატომ არ ივარგებს, \_ გაბრაზდა ბერი.

– იმიტომ რო, ვარდისფერი არ მომწონს.

– შენ არ მოგწონს, მაგრამ ამბროსას მოსწონს.

– არ მომწონს ვარდისფერი, \_ ამოღერდა გაფითრებულმა ამბროსამ.

– ერთი ამას დამიხედე, სარჩევშიც რო შამივიდა, \_ გაბრაზდა ბერი. სახლში გაიქცა და "ცხვირიდან" მოტანილი ვარდისფერი მოიტანა.

გახადეს ამბროსას ტანსაცმელი და მოამზადეს საღებავი.

– მე ჩემი ნაწილი შავად უნდა შავლებო, \_ აუშარდა ბერს მწარია.

– მე კიდევ ყვითლად. \_ თავისი წილი მოითხოვა გამიხარდამ.

ვერ მორიგდნენ... ზოგი ყვითელს იძახოდა, ზოგი მწვანეს, ზოგი ტყვიისფერს, ვისაც რა მოსწონდა და ვისაც რა ფერი ეცვა. ბოლოს წილი ყარეს: ზოგს ამბროსაის ხელი ერგო, ზოგს ფეხი, ზოგს თავი, დადგნენ და თავის\_ თავის საყვარელ ფერზე შეღებეს. ბერმა თავის ნაწილი ვარდისფრად შეღება.

– შე ტყვიისფერო და შე მგლისფეროო.

– შე გაზაფხულო და შე ზაფხულოო.

– ჩვენ რო გვიღებავდი, ჩვენ ღებვა არ ვიცოდით თუ რა გეგონა.

– მე ხომ ვარდისფრად არაფერი შემიღებიაო, \_ ამოიკვნესა ამბროსამ და ვარდისფრად შეღებულ ადგილზე, სირცხვილისაგან აწითლებულმა, ლურჯი ხელები დაიფარა.

– ვარდისფერი შენი დასაწუნებელი ფერი არ არიო, \_ იწყინა ბერმა.

მანამდე არ ჩააცვეს ტანსაცმელი, მანამ სიცილით გული არ იჯერეს. მერე თქვეს: \_ კაცო, ესე ხო არ გავუშვებოთ, ჩვენი სირცხვილია, სხოგან რას იტყვიან.

– გავრეცხოთ, \_ თქვა გამიხარდამ.

– ჩვენ რატო გავრეცხოთ, არაგვი აქ არ მოდის?!

– ვარდისფერს არაგვს კი არა, არავის არ გაგვარეცხინებ, – შედგა ცივ ქვაზე ბერი.  
– მა რა ექნათ, კაცო, ჩვენი სირცხვილია. თუ ეგე გულით გინდოდა, რაღა შუა  
ნაწილს აფერადებდი ვარდისფრად.

– ვარდისფერს არ გაგარეცხინებთ, – გადაუწურა იმედი ბერმა.  
რაღა ექნათ, წაიყვანეს არაგვზე და თავ\_ თავისი ნაწილი გარეცხეს. მარტო  
ვარდისფერიღა დაუტოვეს ტანზე.

იმ ღამეს ციებამ შეუტია ამბროსას და მამლის ყივილამდეღა გაჰ\_ ყვა ცოდვილი  
სული.

რო კვდებოდა, მხოლოდ ეს სთხოვა ხალხს:

– სამარეში მაინც ნუ ჩამატანთ, ხალხო, ვარდისფერს.

ეგ იყო იმის უკანასკნელი სიტყვები.

\*

არავინ იცოდა, საიდან იყო მოსული ან ჰყავდა ვინმე გულშემატკივარი თუ არა.  
გაიკითხ\_ გამოიკითხეს, მაგრამ არც სხვაგან იცოდნენ.

მარტო ის იცოდნენ, რომ ვარდისფერი არ უყვარდა, სხვა არაფერი.

კარგა ხნის მერე გამოჩნდა კაცი, რომელმაც მარტო ის დაამატა:

– მგონი ვარდობის თვეში ცოლი გარდაეცვალა და ალბათ ეჯავრებოდა ეგ ფერიო.  
სხვა არ იციან არაფერი.

ანდა, სხვა რა უნდა იცოდნენ.

დადიან ახლა, უფეროები, ულაზათოები, ჯღუნაი ბერსა ჰგავს, ბერი – კოფიას,  
კოფია – მწარიას...

– რა ჩამოკერტილები დავდივართ, ეს ტივლები! – ჩივის გამიხარდაი.

შორიდან ძლივსღა სცნობენ ცოლები.

## ა ფ რ ე ნ ა   დ ა   დ ა ფ რ ე ნ ა

ერთი პატარა, ხელისგულისოდენაღა დარჩა სოფელი ჩოხი, ერთ დროს მდიდარი  
სახნავ\_ სათესით, ცხვრითა და ძროხით, სოფელში მომსვლელი სტუმრით,  
ქორწილებით, ხატობებით და რაც მთავარია ქალით და კაცით, ბაღლებითა და  
მოხუცებით, სოფლის ხეხილზე შემომსხდარი ნაირ\_ ნაირი მოჟღურტულე  
ფრინველებით.

ეხლა კი, რო იტყვიან რამოდენიმე მოხუციღა ეყუდება ერთიმეორეს, რომ  
ქვენამთიდან ჩამონაბერმა ნიავმა არ წააქციოს. ოდესღაც მოწაფეებით გადაჭედულ  
სოფლის ორსართულიან სკოლის შენობაში ორი\_ სამი მოსწავლეღა ზის და იმათაც  
ზამთრის სუსხით გაყინულ საკლასო ოთახში ცინგლი ჩამოსდით, რაკი შეშის  
მომტანი აღარავინაა, რომ ღუმელი გაათბონ. ადრე კი სოფელს საკუთარი  
ელექტროსადგურიც ჰქონდა არაგვის წყალზე, აბანოც, კლუბიც, უამრავი წიგნებით

გამოტენილი სამკითხველოც, სადაც თუ გინდა სერვანტესის "დონკიხოტს" წაიკითხავდი და თუნდა რევაზ ინანიშვილის "ცეტებს".

კვითხულობდით და მართლა ცეტებივით ვიცინოდით.

ვიცინოდით და სიცილი ზამთრის სიცივესაც კი გვითბობდა.

მერე საიდანღაც ტარტაროზების მაცილები შემოესივნენ საქართველოს და ნახევარი საქართველო აჰყარეს მამა\_პაპათა მიწიდან.

ჩოხშიც ჩამოინგრა სახლები და კედლებს შორის ბებრის კბილებივით ამოშვერილი გულთაბოდები, ჩამქრალ სანთლებივით შეჰდადადებენ ზეცას.

სოფელში კი სიღარიბე გამეფდა.

დაიკარგა ცხოვრების უღური.

გამწარებული დადის გამიხარდაი და ვინც კი შეხვდება, ყველას სოფლისა და ქვეყნის გაჭირვებაზე ელაპარაკება, თან ისეთი განცდით ლაპარაკობს ქვეყნის წახდენასა და წამხდენლებზე, ღონე ელევა და მუშაობის თავი აღარა აქვს. სერსო კი ხმას არ იღებს, ნერვებს უფრთხილდება, გამარჯვება რომ უთხრა, მარტო თავს დაგიკრავს, არც ღონე ელევა და ფრინველივით დაფრინავს აქეთ\_ იქით.

\_ რაც არის, ეგ არის, \_ ამბობს სერსო.

\_ როგორ, კაცო, რას ჰქვია, რაც არის, ეგ არის, \_ ბრაზობს გამიხარდაი, \_ ვერა ხედავ, ქვეყანა წახდა, ნირი შაიცვალა.

\_ ეგ რა ჩემი სადარდებელია, \_ მშვიდად პასუხობს სერსო.

\_ აბა, მაშ რა არის შენი სადარდებელი?!

\_ ისა სჯობია ლაპარაკით არ გამოილიო ძალ\_ ღონე და იმუშაო რო ცოლ\_ შვილი მშიერი არ ატანტალო, \_ უთხრა სერსომ და კი არ წავიდა, გაფრინდა.

\_ ეე! ეეე! მაშ ჩემი ცოლ\_ შვილი მშიერი დატანტალებს და მე კი ქვეყნის ავ\_ კარგზე ტყუილად ვრატრატებ, ტყუილად ვიცლი ჯან\_ ღონესა? ვაი, შენ გამიხარდასა! მოგიკვდათ მამა, შვილებო! ეს რა ცეტობა მიკეთებია ჩემი რატრატითა? ხმასაც აღარ ამოვიღებ, კრინტსაც არ დავძრავ. თუ სერსოს არ აწუხებს ქვეყნის ავ\_ კარგი, მე რითილა ვჯობივარ სერსოსა, ჰა?! \_ დანანებით თქვა გამიხარდამ და გაჩუმდა.

სალამოს ცოლ\_ შვილსაც კი არ დაელაპარაკა.

არც მეორე დღეს გაუცია თანასოფლელებისათვის ხმა. გამარჯვებას თუ ვინმე ეტყოდა, ისიც მარტო თავს დაუკრავდა სერსოსავით.

ხან ვინ ჩამოუგდებდა ქვეყნის გაჭირვებაზე ლაპარაკს და ხან ვინ, გამიხარდაი ხმას არ სცემდა.

\_ რა ჩემი საქმეა! \_ მიახალა ერთხელ მეზობელს და გაჩუმდა. ერთი კვირა საერთოდ აღარ ამოუღია ხმა.

თანდათან გრძნობდა, რომ ღონე ემატებოდა.

ერთ კვირაში, მთელ ზაფხულს რომ ვერ აუდიოდა, იმდენი საქმე გააკეთა. დაღლის მაგიერ ღონე უფრო ემატებოდა და ეჩვენებოდა, რომ სადაცაა ჰაერში უნდა აფრინდეს.



– ე, მართლა არ ავფრინდე და მიწას არ მოვწყდე, კაცო! – ჩაიბუზღუნა თავისთვის და რამდენიმე საბელი გადააბა ერთურთს, მერე იმ გრძელი საბლის ერთი ბოლო ფეხზე მოიბა, მეორე ბოლო კი სახლის აივანს გამოაბა და ისე გააგრძელა ეზოში მუშაობა.

– ვაი, ჩემ თოლებსა, გაგიჟდი კაცო?! – შეიცხადა ცოლმა.

– გაჩუმდი ქალო, ვერა ხედავ აფრენას ვაპირებ! – შეუტია ცოლს გამიხარდამ და გაჩუმდა.

ცოლი იმაზე მეტად გაჩუმდა და ისე დაუწყო დაეჭვებული თვალთვალი ეზოში მომუშავე ქმარს. უცებ სახე შეეცვალა გაოგნებისაგან: გამიხარდაი მართლა აფრინდა ჰაერში და ისე მაგრა დაიჭიმა მის ფეხზე გამობმული საბელი, სადაცაა გაწყდებოდა.

– სად მიფრინავ, კაცო, ვის ანაბარა გვტოვებ ამ უპატრონო ქვეყანაში?! – შესტირა ქალმა.

– გაჩუმდი შენ მანდა და თოკის ბოლოზე გეჭიროს თვალი. ბოძს თუ მოსწყდება, დაბლა დამქაჩე, რომ ყველაფრის უთქმელად არ გავფრინდე ცაში, – ჩამოსძახა გამიხარდამ და მთელი ქვეყნის გასაგონად იყვირა, – ვინა ხართ, რა რჯულისა ხართ, რა ქვეყნობასა და ქალაქობანას თამაშობთ?!

– ეს ქალაქი ვისია?

– ჩემდა, ჩემი ძმისია.

– მარტო თქვენია, კაცო?! მარტო თქვენია და დანარჩენი ქართველებისა კი აღარა?! სჭამთ და ხრავთ ჩვენი ერის ნაშრომ\_ ნაოფლარს, სჭამთ და ხრავთ პენსიონერების სასიცოცხლო ლუკმას. არ გეყოთ, რაც იმათ წლობით ნაგროვები, ჯაფით ნაგროვები ფული სალაროებში გამოუჭამეთ?

ჭამთ და ხრავთ წინაპრების ძვლებს, გამოხარით ჩვენი ძვლები და ჯერ რომ არ დაბადებულან, იმ ქართველების ხორცსა და ძვალს ეპოტინებით დედის მუცლებში გამოსახრავად.

მხვრელებო!

მღრღნელებო!

მკვლელებო!

ერის ბოძების მჭრელებო!

იმ გულთაბოძების შემგინებლებო, ჩვენი წინაპრების დიდი დარბაზის, რომელსაც საქართველო ჰქვია, გულთაბოძის გამომღრღნელებო. იმ დარბაზს რომ სვეტებად ჩვენი დიდი წინაპრები ჰყავს შეყენებული, იმ სვეტების დამაქცევრებო, შემგინებლებო, ერის დამჩაჩანაკებლებო, იმედისა და მომავლის წამრთმეველებო, ქართულ ყანაში სარეველას დამთესველებო! სიდედრები და სიმამრები გიშენებენ მაგ სასახლეებს არა, ჩვენ დიდებულ მეფეებსაც რომ არ ღირსებიათ?!

სად იშოვეთ ეგ ოქროს სიდედრები, თქვე, თქვე, თქვე ჯოჯოხეთის ანგელოზებო, ჰა?!

სიდედრკუვეიტელებო!

სიამრმოვარაყებულებო!

ბიძებმორჭმულებო!

არაკაცებო!

გაუმადლებო!

საკუთარ ჯამში ჩამცქერლებო!

ღვთისაგან გასაბრწყინებელი საქართველოს ჩამბნელებლებო!

მართლმადიდებლობის მტრებო!

რა გინდათ?!!

კუნტრუმებოთ არა, დავით აღმაშენებლის საქართველოში?!

ამის მერე გამიხარდაი ნელ\_ ნელა დაეშვა დაბლა, ფეხზე გამობმული საბელი მოიხსნა და მყარად დადგა ქართულ მიწაზე.

### კესანე ბორბალოს მთაზე

კესანე ფშაველი გოგოა.

თექვსმეტი წლის ახლადაკოვრებული მინდვრის ყვავილი.

შოლტივით ტან-ფეხი. ხელის თითებს შორის ჩასატევი წელი, ჩალისფერი თმები. თვალეხი ლურჯი, ცის კამარასავით გაბრწყინებული და ვნებიანად ოდნავ მიბნედილი. სიარული? \_ ხოხბის გოგმანი მწვანე მდელოზე. კესანეს წაწალი ჰყავს. ეს აქაური წესია, ქალს რომ სიყვარული აუფეთქდება გულში გაზაფხულის კვირტივით და მკერდზე ვაშლისხელა კოკრები გამოუვა, წაწალი უნდა გაიჩინოს. ფშაველებში ამით თავის წილ პატივს მიაგებენ სიყვარულის ღმერთს.

კესანეს წაწალს ჩალხია ჰქვია, მასაც ახლად წამოკოვრებია უღვაშები. ჩალხიას გულში მთის მდინარესავით ქუხს და გულის კედლებს ოდნავ ეხლება კესანეს სიყვარული.

ღამ\_ ღამობით ერთად წვებიან ქალ\_ ვაჟი. მარტო წელს ზემოთ მოფერების უფლება აქვს ჩალხიას.

წაწალმა წაწალს ნამუსი უნდა შეუნახოს.

წაწალი წაწალს ცოლად ვერ გაჰყვება.

უმანკოდ უნდა ჩაბარდეს თავის მომავალ ქმარს კესანე. უღელში შებმულ ქალს სიყვარულისთვის აღარავინ მოაცდენს \_ შრომა და ჯაფა, ვაი და უი. ასეთი არის მთაში ქმრიანი, ოჯახსმოკიდებული ქალის ცხოვრება. ფშავლებმა იციან ეს და ბრძენ წინაპრებს სიჯეელეში, როცა გულში აყვავებას იწყებს სიყვარულის კვირტი, მაშინ დაურთავთ ქალ\_ ვაჟისათვის წაწლობის ნება.

ხანდახან შირაქში მიდის იანვარ\_ თებერვალში ჩალხია თავისიანებთან დოღში მისახმარებლად. დოღი, ცხვრები რომ ბატკნების გაჩენას იწყებენ, იმას ჰქვია მეცხვარულ ენაზე.

ილევა მაშინ კესანეს გული.

ილევა,

ილევა,

ილევა

და მოლოდინით გულდალეული, ჩალხიასთვის წინდებსა და ხელთათმანებსა ქსოვს, სადაც ფშავის მთების სილამაზეს აქარგავს, ყვავილებით აჭრელებს და აგვირისტებს.

თან თვალით გზა-ჭალას გაჰყურებს წამდაუწუმ. და ერთხელაც ამ ვიწრო ხეობაში შემოაჭენებს თავის ლურჯა ცხენს ჩალხია.

ღამე, რა თქმა უნდა, ერთად წვებიან.

ბორბალოს მთაზე გადმოდგება გაზაფხულის გავსილი მთვარე. მისი მკრთომარე შუქი მიეფინება ერთმანეთს ჩახუტებულ ქალ-ვაჟს.

ჩალხია ჯერ ყურისძირთან, იქ, სადაც მარღვი უფეთქავს ყელგადადებულ კესანეს, ფრთხილად აკოცებს. კესანე კრთის, კანკალებს ამ ალერსიან კოცნაზე, მერე ჩალხიაც ხელის კანკალით უხსნის საკინძის დილებს და ფრთხილად შეუცურებს მკერდში ხელს. ვაშლისტოლა ძუძუ მთლიანად ეტევა მის ხელისგულში და უფრო ანათებს ბორბალოზე გადმომდგარი მთვარე – ახლა უკვე ბაგეებით დასწაფებია ბროლივით მკერდს ჩალხია.

ვნება!

ოხვრა!

ცხროვა და კანკალი!

მხოლოდ წელს ზემოთ – აფრთხილებენ მთვარის სხივები ჩალხიას.

ადათის და წინაპართა პატივისმცემელია ჩალხია.

სამ წელიწადს იყვავილა სიყვარულის გაზაფხულმა და დადგა ის დრო, როცა კესანეს სახლის კარს მისი მომავალი საქმრო მოადგა.

დანიშნეს.

მოუტანეს ბელგა და სამწუხაროდ, დადგა კესანეს და ჩალხიას გაყრის დღე.

სამი დღის მერე ქორწილი უნდა გადაუხადონ კესანეს.

შემოდგომის სევდაა ფშავის მთებში ჩამოწოლილი.

ნისლი მიმოქრის კესანეს გულ-გონებაში.

ჯანლი ჩაწოლილა ჩალხიას გულშიც.

კესანეს ოჯახი ქორწილის სამზადისშია.

და როცა ბორბალოს მთიდან მთვარისნაღვემა გადმოყო ყური, სახლიდან ჩუმად გამოვიდა კესანე, ფეხაკრეფით გაიარა სოფლის ორღობე, აუყვა მთებს.

ფეხს აუჩქარა.

გაურბის აქაურობას.

გაურბის წართმეულ სიყვარულს.

მიდის ანგარიშმიუცემლად, არც ნადირისა ემინია, არც ჭოტის ჩხავილის.

არც თავის მოკვლაზე ფიქრობს. მას ხომ უმანკოება შეუნახა ჩალხიამ და თავი რომ მოიკლას, ჩალხიას არაკაცობას დაჰბრალებდა მისი სიკვდილი. აქ ხშირად ხდება, როცა წაწალი წაწალთან შესცდება და მერე ნამუსახდილი ქალი თავს იკლავს.

კესანეს არაფერი სჭირს საამისო.

არც ფიქრობს ამაზე.

ფშავის შემოდგომის ნისლებით ჩახუთულ ხეობაში სული ეხუთება და მთის წვერისკენ მიდის, რომ იქნებ იქ მაინც ამოისუნთქოს თავისუფლად.

თოვს.

თოვს.

უფრო და უფრო თოვს.

თოვლის ფიფქები ეფინება მის ჩალისფერ თმებს.

მას სიამოვნებს სახეზე შეყრილი თოვლის ფიფქების სილბო. გახელებით მიუყვება აღმა ბორბალოს მთას, სადაც სრულად შემომდგარა მთვარის ნალევი.

უკვე მუხლამდე ეფლობა თოვლში.

მერე წელამდე.

მაინც ადის მთის წვერზე და იქიდან მოჰყურებს გალეული მთვარისაგან ოდნავ განათებულ ქვეყანას, სადაც მან სიყვარული დატოვა.

ბორბალოს მთაზე ძლიერი ნისლი ჩამოწვა და კესანე აღარ ჩანს.

მთელი ღამე დაეძებდა ფშავის ხევ-ხუვებში ჩალხია კესანეს.

არც კვალი, არც იმედი:

კესანე მთის წვერზე თოვლში გაიყინა და გაზაფხულზე, მთლიანად როგორც მხოლოდ ყინულის ქალი, ბორბალოს მთის წვერზე ჩაღვდა მიწაში.

გალაღდა მზე და გალაღდა დედამიწა.

ამობიბინდა ბალახი.

ამოვიდნენ ყვავილები და ამოვიდა კესანეც ყვავილად.

ახლა უფრო გახელებით დაეძებდა ჩალხია კესანეს. ერთხელაც, როცა ბორბალოს მთის წვერზედ ავიდა და დაღლილი ჩამოჯდა, ერთმა უცნაურად ღამაზმა ყვავილმა მიიპყრო მისი მზერა. მივიდა, გვერდით ჩამოუჯდა და დიდხანს უყურა. კესანეს თმების სურნელს აფრქვევდა ეს ყვავილი.

ესიამოვნა ამ ყვავილის გვერდით ყოფნა ჩალხიას.

იმ დღიდან აღარ მოშორებია, სულ გვერდით ეჯდა იმ ყვავილს და უსმელ-უჭმელად ილეოდა.

დიდია ღმერთის სამართალი. შეეცოდა ჩალხია და ერთხელაც ყვავილი ისევ ქალად გადააქცია. მზესაც უხაროდა და ფშავის მთებსაც ქალ-ვაჟის ცქერა.

ფშავში ვერ დაბრუნდებოდნენ.

წინაპართა ადათი სხვანაირად სჯიდა, სხვანაირად სჭრიდა და კერავდა წაწალთა ბედ-იღბალს.

ქისტეთისაკენ მიმავალ ბილიკს გაუყვა ქალ\_ ვაჟი. ლამაზები იყვნენ და ლამაზად მიდიოდნენ აყვავებულ მთებს შორის.

დროდადრო, ქვეყნის ავან\_ ჩავანის შემხედვარეს, რაღაც იღუმალი ხმა ჩამძახებს ხოლმე: \_ სიყვარული და უპირველესად სიყვარული გადაარჩენს ამ ქვეყანას! და მიხარია, რომ დედამიწაზე ჯერ კიდევ მძლავრად ფეთქავს ეს გრძნობა.

## ს ა ქ ო რ წ ი ლ ო მ ტ რ ე დ ი

შავი არაგვის ხეობაში მარტო შულლიათ გაგილას ჰყავს მტრედი. ადრე კი, როცა გუდამაყარში მამულები იხვნებოდა და პურის ყანები ითესებოდა, გარეული მტრედები ბევრი იცოდა. გუნდ\_ გუნდად დაფრინავდნენ შემოდგომით, მკის დროს. სწორედ მაშინ დაიჭირა ძნის ხუთულაზე შემომჯდარი ცისფერი მტრედი გაგილამ და სახლში წაიყვანა. მტრედის გულს ბაგაბუგი გაუდიოდა გაგილაის უბეში და შეშფოთებული ღულუნებდა.

გაგილაი უწილ\_ უკერძო კაცია, არც ცოლ\_ შვილი ჰყავს, არც ვინმე ისეთი ნათესავი, რომ იმის მარტობაზე გული შესტკიოდეს. მარჯვენა ფეხით კოჭლობს და წელში ოდნავ მოხრილია, სიარულის დროს მიწას დასჩერებია. ღარიბია, მარტო ცხოვრების უღლის ტარება უჭირს, სამადლოდ თუ ვინმე გამოუცხობს პურს. ზაფხულში თავს უმეტესად მხალეულით ირჩენს.

მტრედი სახლში მოიყვანა და უბიდან ამოსვა. მერე საცერი დააფარა ზემოდან. მეზობლის ყანაში პურის თავთავები მოწყვიტა და მტრედს დაუყარა.

პირველ დღეებში გაუჭირდა მტრედს გაგილაის ჩამოხნელებულ სახლში გაძლება. ერთთავად ტრიალებდა საცრის ქვეშ და შეშფოთებული ღულუნებდა. პურის მარცვლებს იშვიათად შეკენკავდა, თანაც უხალისოდ. წყალს კი სვამდა.

გაგილაი გვერდიდან არ შორდებოდა, რომ მტრედს სიმარტოვე არ ეგრძნო. ელაპარკებოდა კიდევ ცხოვრების შესახებ, სიმარტოვისა და გაჭირვების შესახებ. მტრედი მის ხმას მიეჩვია და განაბული ყურს უგდებდა ხოლმე.

\_ იცი რა, რომ გითხრა, ბედნიერი კაცი ვარ\_ მეთქი, არ დამიჯერებ. რა მეტყობა მე საამისო, არაფერი. არ ვიცი, რატომღაც უბედურად არ ვთვლი თავს, აქამდე სულ რაღაცის იმედი მქონდა. ახლაც იმედი მაქვს, არ ვიცი კი, რის იმედი მაგრამ მაქვს, რაღაცა დიდის მოლოდინი მაქვს!... რა კარგია, რომ ჩემთან ხარ. არ ვიცი, ისე მიხარია შენი აქ ყოფნა, ვერ აგიწერ. აქამდე კი სულ მარტო ვიყავი ამ კედლებში.

მტრედი ყურს უგდებდა გაგილას.

მერე ისე შეეჩვივნენ ერთიმეორეს, დილით რომ გაუშვებდა, საღამოთი ისევ სახლში ბრუნდებოდა ხოლმე და გაგილაის მარჯვენა მხარზე, ან მუხლისთავზე ჩამოჯდებოდა.

იმ ხანებში ხალხმა ხვნა\_ თესვას თავი გაანება და გარეული მტრელებიც გაფრინდნენ. მას მერე აღარ გამოჩენილან.

მარტო გაგილას ცისფერი მტრედილა შემორჩა გუდამაყარს.

გაგილას ახლა მტრედი აჭმევდა პურს. თუ ვინმეს ქორწილი იყო, წავიდოდა იმ სოფელში გაგილას, საქორწილო დარბაზში ნეფე\_ დედოფალის თავზე მტრედს შეაფრენდა და დაიძახებდა:

\_ იხარეთ! იბედნიერეთ!

მტრედი ნეფე\_ დედოფლის თავზე, სადმე თავზეზე შემოჯდებოდა და ახალყოილთ დაჰლულუნებდა. გაგილას კი ან მეჯვარე აჩუქებდა ფულს, ან ეჯიფი, ან ოჯახის უფროსი. უფრო კი მეჯვარეები აჯილდოვებდნენ ამ სამსახურისათვის.

გაგილას ჩქარადვე გამობრუნდებოდა ქორწილიდან და აბა მტრედსაც თან ხომ არ წამოიყვანდა. ფრინველი ისე იყო გაწვრთნილი, გაგილას წასვლის მერე ცოტა ხან კიდევ იღულუნებდა, მერე, ყველას რომ დაავიწყდებოდა მისი აქ ყოფნა, სახლისაკენ გაფრინდებოდა.

გაგილას ყოველთვის მოუთმენლად მიელოდა მტრედს. უიმისოდ არც პურს ჭამდა. არც იძინებდა. ყოველთვის, როცა ქორწილში მიატოვებდა და თვითონ კი სახლში წამოვიდოდა, რაღაცნაირი ტკივილით ევსებოდა გული.

"უსინდისო ვარ, ფულზე ვცვლი და სხვებს ვუტოვებ", \_ ფიქრობდა ის.

შოიჭაურთას ქორწილი იყო. კალო ბანით იყო გადახურული და მაყრიონი იქ ისხდა. კედლებზე ირმინი ფარდაგი ეკიდა. ირმები წყალს სვამდნენ და მათ უკან კი ხესამოფარებული მონადირე თოფს უმიზნებდა. ერთ ირემს თავი მაღლა ჰქონდა აწეული და შეშფოთებული იყურებოდა, ეტყობოდა, რომ საფრთხეს გრძნობდა.

\_ იხარეთ! იბედნიერეთ! \_ გაისმა გაგილას ხმა და ნეფე\_ დედოფალის თავზე იმისმა ცისფერმა მტრედმა შეიფრთხილა ღულუნით. ოჯახის უფროსმა ფული აჩუქა გაგილას.

მტრედი გულთაბოდის კიდეზე ჩამოჯდა.

გაგილას წავიდა.

მტრედი ღულუნებდა.

უცებ მეჯვარე წამოდგა და მტრედი დაიჭირა... თითქოს ფარდაზე გამოხატულ მონადირეს ესროლოს ირმებისათვის თოფი, ისეთი შეშფოთების ძახილი აღმოხდა ხალხს:

\_ რა ჰქენ!

ნეფის მეჯვარემ მტრედს თავი წააგლიჯა...

\_ ეგ მამამაღლი, მატყუარა არის. გაწვრთნილი ჰყავს, წავიდა და იცოდა, რომ ეს მტრედიც თან გაჰყვებოდა. დადის და ფულს აკეთებს. \_ თქვა მეჯვარემ.

ხალხი გაშრა მწუხარებისაგან.

ნეფე იყო ცისფერთვალება. დედოფალი კი მტრედს ჰგავდა. მაყრები ჰგავდნენ შავ გუგულებს, შეშფოთებულ გუგულებს.

სიჩუმე ჩამოვარდა.

– წადი! – უბრძანა მეჯვარეს ცისფერთვალეზა ნეფემ. სიჩუმეში მეხვიით გაიჟღერია მისმა ხმამ.

მეჯვარეს არ ესიაშოვნა, მტრედის გულისათვის რომ დაითხოვეს. გავიდა კალოდან და სიბნელეს შეერია.

ქორწილი გაგრძელდა... მუსიკოსებმა საცეკვაო დაუკრეს.

მეზობელ სოფელში დიდხანს ელოდა სახლის ბანზე ჩამომჯდარი გაგილია მტრედს. მერე სახლში შევიდა და დაწვა. არ მიეკარა ძილი. რაღაცნაირი მქისე მოწყენილობა რეკდა ჩაბნელებულ სახლში და გაგილამ თავის სიცოცხლეში პირველად იგრძნო, რომ უბედურია, რომ ბედნიერება ფულზე გაყიდა.

შეეშინდა.

ისევ გარეთ გამოვიდა. ცას შეხედა.

მტრედისფერ ცაზე წითელ – ყვითლად ყვაოდნენ ვარსკვლავები. ცა გალობდა. მთვარე მოცურავდა აყვავებულ ზეცის გალობაში. ახლა იგი ძალიან ჰგავდა საქორწილო მტრედს.

ქვემოთ კი, სადღაც, შავი არაგვის ბნელ ხეობაში, მიწური სახლის ბანზე, წელში მოხრილი კაცი, შეშინებული უყურებდა ზეცას და მის არსებაში ერთსა და იმავეს იმეორებდა მისივე სული:

– ცაო! ცაო! მაღალო ცაო! მოჭიკჭიკე ვარსკვლავნო; იცოდე, ცაო, ამ მიწაზე ისევ მარტო ვარ, – ერთი გაფრენა დამრჩა შენამდე...

მერე მოხუცს შეეშინდა, მართლა არ გაჰფრენოდა ცაში სული და ისევ თავის ბნელ ოთახში მიიმალა.

## წერილი ნამკვებს

საშინელმა სიზმრებმა გატანჯეს ჯღუნაი და შემკრთალს გამოეღვიძა.

კარგა ხანს ღამის ზმანებები ედგა თვალეზაში. საწოლზე იჯდა თავჩალუნული. მერე ფეხებზე ტალახიანი ჩექმები ჩაიცვა და ბერის სახლისაკენ მიმავალ ორღობეს გაჰყვა დაფიქრებული.

მზე კარგა აქეთ ამოსცილებოდა აღმოსავალს.

ბერის სახლის წინ სოფლის დედაკაცები ისხდნენ და ჩუმად რაღაცას ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს. იმათ შორის იჯდა ბერის ცოლიც. იდაყვზე სახეჩამოყრდნობილი დროდადრო სახლის ფანჯარას შეხედავდა და ამოიოხრებდა.

სიჩუმეს მარტო ღობის მარგილზე შემომჯდარი ყვავი არღვევდა.

საავოდ ყრანტალებდა ყვავი.

– ყვა შენ და შენი ხმის გაცივება! – ქოქოლას აყრიდნენ ყვავს დედაკაცები.

ჯღუნამ ღობიდან მარგილი მოტეხა და ყვავს ესროლა. ყვავი გაფრინდა და ახლა ბანის წვერზე შემომჯდარი მოჰყვა ყრანტალს. ჯღუნაი კედელ-კედელ წამოეპარა და დიდი სიბი ესროლა. ყვავმა ისევ შეიცვალა ადგილი. ჯღუნაიმ თავი გაანება და დედაკაცებთან ჩამოვიდა.

– როგორ არის საქმე? – იკითხა ჯღუნაიმ.

– წუხელ მაგარი შეტევები ჰქონდა, – თქვა ბერის ცოლმა.

– ნემსი გაუკეთეთ?

– არ გაგვაკეთებინა.

– ცოტა მაინც არ გახმა?

– ხმება, მაგრამ ისე დარდობს იმის გახმობას, ალბათ გადაჰყვება. გულიც რო ეხლა ასტკივდა!

– ექიმი არ ამოვიდა?

– ჰო, ამ დილით ამოვიდა, – თქვა ბერის ცოლმა და ამოიოხრა.

– რა თქვა, რაო.

– თუ იმ ნემსებს არ გაიკეთებს, არ გახმებაო. როგორ არ ვეხვეწეთ, მაინც არ გაიკეთა.

– სხვა წამალი არაფერი დაუნიშნა?

– ჯერ არა, ელაპარაკება, შიგნით არის.

ჯღუნაი სახლში შევიდა.

საწოლზე ზის ბერი. მარცხენა მხარეზე ტანსაცმელი ამოუჭრიათ და იქიდან პატარა ნაძვს ამოუყვია თავი.

შიშველი ფეხები საწოლის წინ ამოთხრილ მიწაში უწყვია ბერს და მიწას წყალს უღვრის.

– ნუ, ბერო, გასცივდები, ნუ იღუპავ თავს.

ეხვეწება ბერს ექიმი, სამოც წელს მიტანებული, დაბალი ებრაელი ქალი. ეს ქალი გუდამაყრელების მკურნალი ანგელოზია.

– რას, შვრები, კაცო, ნემსებს არ იკეთებ და მიწაში ფეხებს აწყობ. შენ გულს მაგით ეშველება?

– მე არა, ამას ეშველება? – მხარზე ამოსულ პატარა ნაძვზე ანიშნებს ბერი ჯღუნას.

– შე კაი კაცო, მაგდენი როგორ არ გესმის, შენ თუ დაიღუპები, ეგ ნაძვიც ხო დაიღუპება, რა გაჰქეჯდი, გაიკეთე ნემსები.

– ნემსი როგორ გავიკეთო, გახმება, ხო ხედავ, როგორ ჩამოუჭკნა წიწვები.

ბერმა ფეხებში მოყრილ მიწას წყალი დაასხა.

ოთახში უცხო კაცი შემოვიდა და იქ მყოფთ გამარჯვება უთხრა.

– გაგიმარჯოს, – სულ ბოლოს თქვა ბერმა და მოსულს სიგარეტზე ანიშნა:

– ჩააქრე, მაგის ბოლზე უფრო ხმება.

ახალმოსულმა სიგარეტი ჩააქრო და თქვა:



– მე თქვენი სკოლის ახალი მასწავლებელი ვარ. გეოგრაფიას ვასწავლი. ამ უცნაურმა ამბავმა დამაინტერესა და იმიტომ მოვედი. გაოცებული ვარ პირდაპირ, გაოცებული. პირველად მესმის, რომ კაცს მხარზე ნაძვი ამოუვიდა. არა, თუ შეიძლება, უფრო ღრმად გამარკვევით ამ საქმეში.

– რა არის აქ ღრმად გასარკვევი, ამოვიდა, – თქვა ბერმა.

– თქვენ ამბობთ, რომ ღრმად გასარკვევი არაფერია, უბრალოდ ამოგივიდათ, ხომ. მაგრამ მე გადმომცეს, რომ თქვენ შვილივით ეპყრობით მაგ ნაძვს. ჰაერზე ასეირნებთ, იმის გულისთვის, რომ წამლებმა ნაძვი არ გაახმოს, თქვენ ჯანმრთელობას საფრთხეში იგდებთ. არ არის ეს ღრმად გასარკვევი ამბავი? რას მეტყვიით, საიდან გაჩნდა ეს მამაშვილური მზრუნველობა, ჰა?!

– მე შვილი არა მყავს, – თქვა ბერმა და მასწავლებელს, რომელმაც სიგარეტი აანთო, სთხოვა:

– თუ შეიძლება, აქ ნუ მოსწევთ.

– უკაცრავად, სულ გადამავიწყდა. და კიდევ ერთი: არ გეგონოთ მე თქვენი ცოლის მიერ მოგზავნილი, ეს ჩემი რჩევა არის: თქვენ აუცილებლად უნდა გაიკეთოთ ნემსები, სხვანაირად გული არ მოგიჩებათ. ნაძვები, ბატონო, ტყეში რამდენიც გინდათ იმდენია, თქვენ კი ერთი პატარა ხის გულისათვის...

– თქვენ რომ ამოგსვლოდათ, რას იზამდით? – ჰკითხა ბერმა.

– თქვენსავით გული რომ მტკივებოდა, ალბათ ჩემ თავს ვარჩევდი და წამლებს მივიღებდი. თქვენ კი, სიცოცხლეს საფრთხეში იგდებთ და იცით თუ არა, რომ ამით თქვენში მყოფ ღმერთს ჰკლავთ.

– განა ეს ნაძვი კი ცოცხალი არ არის?! – თქვა ბერმა.

– ეგ ნაძვი ისეც გახმება.

– იქნებ არ გახმეს, – თქვა ბერმა და წასასვლელად მოემზადა.

– სად მიხვალ? – ჰკითხა ჯღუნამ.

– უნდა გავისეირნო, აქ ჩახუთული ჰაერია, შეიძლება აქ მართლა გახმეს.

– გულის წვეთები მაინც დაგელია, – სთხოვა ექიმმა.

ბერმა არაფერი თქვა, ფრთხილად გავიდა ვიწრო კარში, რომ ნაძვი არაფერს წამოსდებოდა ტოტებით.

– თქვენ ღმერთი გწამთ?! – ჰკითხა ექიმმა მასწავლებელს.

მასწავლებელი დაიბნა.

– არა, ეს ისე; ძალიან უცნაური შემთხვევაა. როგორ უნდა ამოუვიდეს კაცს ნაძვი. ამის მერე შეიძლება ყველაფერი იწამო და არაფერი არ იწამო. ვითომ რატომ უნდა ამოსვლოდა ნაძვი, ჰა?

– ომში დაჭრილა და ტყეში ნაძვის მტვერი ჩაჰყრია ჭრილობაში, – თქვა ექიმმა.

როგორ გგონიათ, ექიმო, არაფერი ეშველება? – იკითხა ჯღუნამ და ნათქვამს დარდი ამოაყოლა.

– როგორმე ნემსები უნდა გავუკეთოთ, რომ გახმეს ის ნაძვი.

– როგორ აბა, ღამეც არ იძინებს, სუ იმ ნაძვს ჰყარაულობს, შვილივით უვლის.  
– გულმა შეიძლება ვეღარ გაუძლოს, მკურნალობა აუცილებელია, – თქვა ექიმმა.  
– პირდაპირ ღრმად შესწავლის ღირსია ეს თემა, – თქვა მასწავლებელმა და სიგარეტი გააბოლა.

\*

ბერმა ჯერ თხილნარში ისეირნა, მერე იფიქრა: იქნებ წიფლიანში უფრო მოუხდეს ნაძვს გასეირნებაო და ზემოთ წავიდა.

გზაზე მეტყვევ გადაეყარა.

– მართლა ხმება? – ჰკითხა მეტყვევმ ბერს.

– ჰო. ვერ არის კარგად.

– შენც რაღა ეხლა აგტკივდა გული.

– აბა!

– ისე ღმერთის სამართალი რა ვთქვი, აქაურ ტყეში ნაძვი არ იბადება და მაინცადამაინც შენ ამოგივიდა, იმ დალოცვილს შვილი მაინც მოეცა.

– მე ამაზედაც მადლობელი ვარ, ოღონდ ნუ გახმება.

– რაღა ნუ გახმება, ანდე, ჩამოსჰკნობია წიწვები. ანდე, კაცო ბედი არ არის, მა რა არის, რატომ სხვა ხე ვერ გაიმეტა ღმერთმა, ბალი მაინც ამოგსვლიყო, პირს მაინც გაისველებდი კაცი, ნაძვს რაში გამაიყენებ, ის დალოცვილი, თუ გაძლევს, მოგცეს. არც იმასა აქვს სამართალი და ეგ არის.

– მე არა ვნანობ, – თქვა ბერმა.

– ისე, არა სტყუი, კიდე, ხო იცი, იძახიან, ნაძვის გირჩებისაგან კუჭის წამალს აკეთებენო. მამკლა, კაცო, კუჭის ტკივილმა. ე ჩვენ ტყეში კიდევ ერთ ძირსაც ვერ ნახავ, სუ წიფელი და ნეკერჩხალია. თუ ძმა ხარ, თუ არ გახმა და გირჩები გამაიბა, არავის მისცე, მამკლა კუჭის ტკივილმა.

ბერი ნაძვის პირველ გირჩებს მეტყვევს შეჰპირდა და მარტოკამ გააგრძელა გზა.

გორზე დაისვენა.

ახლომახლო მოშიშვლებული ადგილი იყო და როცა კი ნაძვს ასეირნებდა, ყოველთვის აქ ისვენებდა ბერი. ჩამოჯდებოდა და ეალერსებოდა ნაძვს. ეს ადგილი ძალიან მოსწონდა.

ცოტა რომ დაისვენა ბერმა, ადგა და მახლობელ ჩირგვში ისე ჩაიმალა, რომ ზემოთ მხოლოდ ნაძვი ჩანდა. მანამდე იყო ასე, სანამ ერთი პატარა ღობემძვრალა ჩიტი არ შამოჯდა ნაძვის კენწეროზე. თავის ენაზე რაღაცა იწრიპინა და ნაძვზე ჯდომით რომ გული იჯერა, გაფრინდა. ბერი წამოდგა და მადლიერი მზერა გააყოლა ფრინველს.

მერე ისევ გორზე დაჯდა და ჭიუხებიდან მონაბერ ნიავს შეუშვირა მარცხენა მხარი.

ქვემოთ ხელისგულივით ჩანს არაგვის ჭალა.

სულ ქვემოთ, ხეობის დასაწყისში, დიდი სოფელი ჩანს, იმ სოფელში კოლმეურნეობის კანტორა არის; აქედან კარგად მოჩანს ის შენობა. თეთრი, მაღალი, ქვითკირით ნაშენები.

ბერს უცებ აზრი დაებადა.

ჩავა კანტორაში და კოლმეურნეობის თავჯდომარეს დასასვენებელ საგზურს სთხოვს სადმე, ისეთ ადგილზე, სადაც ბევრი ნაძვებია. იქნებ იქაური ჰაერი მოუხდეს და აღარ გახმეს ნაძვი.

ამის გაფიქრებაზე გულის ტკივილიც კი გადაავიწყდა. სირბილით დაეშვა ქვემოთ.

\*

კოლმეურნეობის თავმჯდომარე თავის ოთახში დაუხვდა.

ცნობისმოყვარე ხალხი ჯარივით მოსდევდა ბერს უკან.

– საგზური მინდა, – თქვა ბერმა.

– რა საგზურს თხოულობ, ვერ გამიგია, – გაიკვირვა თავმჯდომარემ.

– სადმე ნაძვნარ ადგილას.

– ჩვენ აქ ვშრომობთ, – თქვა თავმჯდომარემ.

– ვიცი. – უთხრა ბერმა.

– მერე?!

– იქნებ გქონდეთ საგზური.

– არა გვაქვს.

– ძალიან გთხოვთ.

– კაცო, რას გადამეკიდე, ხო გითხრეს, გაიკეთე ნემსებიო, რატომ არ იკეთებ!

– შენც იმათ მხარეს ხარ?

– ჩემთვის არავის არაფერი არ უთქვია და ნუ ჯიუტობ რაღაცას.

– ამომივიდა და რა ვქნა!

– ამოგივიდა! ხმება! გამიხსენი ეხლა აქ სატყეო მეურნეობა, გაიშენე ზურგზე ტყე, გაურივე შიგ პანტა ვაშლი, მსხალი, ზღმარტლი. გაამრავლე მერე ნადირი. შემოგესევიან მონადირეები, ტყის მჭრელები და ნულა მომასვენებ მერე. მომთხოვე მეტყევეები, დავუნიშნოთ მერე იმათ ხელფასი. მერე იმ ნაძვნარში აგარაკს მოგვთხოვს ვიღაც. ჰო, მართლა, ყურძენი არ დაგავიწყდეს, ვენახიც გაიშენე, დავწუროთ ღვინო და ვიყვნეთ ესე... საგზური არა მაქვს მე და რაც გითხრეს, ის გააკეთე. შენ არ იფიქრო, რო შენმა ცოლმა დამავალა ამის თქმა. ამას მე გეუბნები: მოიშორე ეგ ნაძვი.

ბერს აღარაფერი უთქვამს თავჯდომარისათვის, კანტორიდან გამოვიდა და გზას გაჰყვა.

\*

ბორჯომამდე კითხვა-კითხვით მიაღწია ბერმა. ხალხს გიჟი ეგონა, ნაძვს რო ხედავდნენ იმის მხარზე.

არც სასტუმროში მიიღეს. სანატორიუმები გადაჭედული იყო დამსვენებლებით.

მაშინ ბერმა ერთ ნაძვნარ ტყეში პატარა ქოხი აიშენა და იქ ასეირნებდა ნაძვს.

პირველ ხანებში გულის ტკივილმა თანდათან უმატა. მერე უკეთესად იგრძნო თავი.

ერთი კვირის თავზე ნაძვს გამოკეთება შეატყო ბერმა. გამწვანდა, გამოზიზინდა.

უცებ აიყარა ტანი ნაძვმა. ბერი გულ\_ მკერდში გრძნობდა იმის ფესვებს და წიწვების სახეზე მოლამუნებით ტკბებოდა. ის ახლა ნაძვის ყოველ ნაფიქრალს ხვდებოდა, გრძნობდა, როგორ ელაპარაკებოდნენ ხეები ერთურთს. ბერი ახალ სამყაროს გრძნობდა, გრძნობადს და არა ხილვადს, უჩინარს, იდუმალებით მოცულს. ახლა იმის სხეულში ორი სული იდგა და ეს ორი სხვადასხვა სული ერთურთის შერწყმას ლამობდა. ისინი სვამდნენ ურთიერთს და ერთ მთლიანს ავსებდნენ თანდათან.

ერთი თვის თავზე ბერის თავს ზემოთ ჯანმანათლებელი ნაძვი მასპინძლობდა მის ტოტებზე შემომსხდარ ფრინველებს.

ბერს მეუღლე მოენატრა.

ჯღუნაი მოენატრა.

ახლა ის სიამაყით იყო ავსილი და ერთი სული ჰქონდა, როდის გაასეირნებდა ამ ჯანსაღ ნაძვს თავის სოფელში. როდის შეეყრებოდა მეტყვევს და დააიმედებდა:

– ნუ გეშინია, მოგცემ გირჩებს. მორჩები, აბა, რა!

გადაწყვიტა, თავის სოფლამდე ტყე\_ ტყე ევლო, ფეხით, რომ უცხოს არავის გადაჰყროდა, ხიფათს რომ არაფერს გადაჰკიდებოდა.

დაემშვიდობა ნაძვებს და წავიდა.

## "წერილი ნაძვებს"

ახლა ამ წერილს ჩემი სოფლიდან გწერთ. კარგადა ვარ. ხშირად დავსეირნობ ტყეში. ჩემი სოფლები შეშინებულნი არიან, ერიდებათ ჩემთან სიახლოვე. გუშინ გეოგრაფიის მასწავლებელმა მთხოვა, რომ საახალწლოდ მე მომრთონ. მე დავეთანხმე, მაგრამ ცოტა მეშინია კიდევ, ტოტები არ ჩამომალეწონ. ერთადერთი, ვისთანაც ადამიანური ლაპარაკი შეიძლება, მეტყვევია. გირჩებს შევპირდი, მაგრამ ცოტა ხარბი კაცია. მაინც ვერ ურიგდება იმ აზრს, რომ ნაძვი ვარ. წამოსცდება ხოლმე ხშირად, ბალი მაინც იყო, პირს მაინც გავისველებდიო.

დღესაც სასეირნოდ ვიყავი. ჩემი ცოლი სულ გვერდით დამყვება, რომ სადმე კლდეზე ტანმა არ გადამძლიოს და ხრამში არ გადავიჩეხო. შეურიგდა ბედს.

ჯღუნაი გადასახლდა, ადარ ეკარება ჩვენს სოფელს. მენატრება, ადრე კარგი მეგობრები ვიყავით.

ერთი კვირის წინ ქორწილში ვიყავი და ერთ ლამაზ გოგონასთან ვიცეკვე. იმ დალოცვილს ჩემსავაით აშოლტილი ტანი ჰქონდა.

ერთი ლოთი კაცი ცხოვრობს აქ, რამდენჯერაც დათვრება ის კაცი, აიღებს ცულს, დაუწყებს გალესვას და თან იძახის:

– ბერი უნდა მოვჭრა! ბერი უნდა მოვჭრაო!

ვერიდები.

მეშინია.

რას გაიგებ, მთვრალი კაცისაგან ყველაფერი მოსალოდნელია. შეიძლება მართლა მომჭრას. აქაურ ტყეებს სიყვითლე შეეპარა. ამათ ძალიან უკვირთ, მე რომ სულ მწვანე ვარ და ფერს არ ვიცვლი. ეს კიდევ არაფერი, მე რომ სიარული შემიძლია, ამაზე მთლად გიჟდებიან.

მე ვუთხარი მათ, რომ არა ვარ სხვაგნინდან მოსული.

არ დამიჯერეს:

– თუ მიწაზე დაიბადე, რატო შენც ჩვენსავით ფერს არ იცვლი, შენიანებს სიარული არ შეუძლიათ, შენ კი დადიხარ, სადაც მოგესურვება, იქ დგები, თან, არც ჩვენნაირი ფოთლები გაქვსო.

რა უნდა ვუთხრა.

რით დავაჯერო.

წიფელს კიდევ რამეს ვაგებინებ, სხვები მთლად ურწმუნოები არიან.

არ მინდა ტყეებს თავის რწმენა დავუკარგო. არადა, ვერც ვშორდები. შუაგულ ტყეში ერთი პატარა ვერხვი შემიყვარდა, ყოველდღე რომ არ ვნახო, არ შემიძლია, უამისოდ ვერ ვძლებ. ისე თრთის ხოლმე ჩემს დანახვაზე, ალბათ, მასაც ვუყვარვარ. ამ ბოლო დროს მასთან სიახლოვეს ვერიდები. მგონი, ჩემი ცოლი ეჭვიანობს, მეშინია, მე რომ მემუქრება, ის ლოთი კაცი არ მოისყიდოს და ვერხვი მოაჭრევიოს.

ჩემს სოფელელებსაც მგონი შეეპარათ ტყეების ეჭვი.

სოფლის თავს ერთი ბებერი კაცი ცხოვრობს, არც ცოლი ჰყავს იმ კაცს, არც და\_ძმები, მარტოა, რაც თავი მახსოვს. ადრე ღმერთი არა სწამდა და სოფელს იმიტომ გამოშორდა. სოფლის თავს სახლი აიშენა და შეუვალი ღობე შემოავლო. მთელი თავისი სიცოცხლე ღმერთის გმობაში გაატარა. ეხლა მოხუცდა, ჯან\_ლონე წაერთვა და სიღარიბემ წელში მოხარა. სამადლოდ თუ ვინმე მიაწვდის პურ\_წყალს. ჩამომხმარ სხეულში ცოდვილობს იმისი სული. ყოველდღე ღმერთს ევედრება შეწყალებას.

ტყისკენ მიმავალი გზა იმ მოხუცის სახლის გვერდზე გადის და ყოველთვის, როცა ტყეში მივდივარ ხოლმე, იმისი საცოდაობით მიკვდება გული. სახლის წინ მუხლებზე დაჩოქილი დგას ხოლმე და ცას შესძახის:

ჩამამეშველე, ზენაარო;

ეგ თალხი კალთა ჩამომაფარე.  
ა, ეს თვალეზი დამიხუჭე,  
ა, ეს ენა\_ პირი დამიდუმე,  
ა, ეს მუხლები ჩამიშალე,  
სული ნამგალივით გამიღუნე  
და  
წამიყვანე!...  
ამ სახის მიღმა გამიყვანე,  
თორემ დავიღალე,  
ამ ბნელ მღვიმეში ყოფნით დავიღალე,  
და ამ ლოცვის დროს მე თუ დამინახა, აკანკალებული მეხვეწება:  
სთხოვე უფალს, ჩამომეშველოს,  
სთხოვე, ჩამომეშველოს,  
მიშველე, სთხოვე \_ მეცოდება ეგ კაცი, არ ვიცი, რა ვქნა, რით ვუშველო. რომ არ  
ვაწყენინო, შევუშვერ ხოლმე ზეცას ხელებს და შევთხოვ:  
\_ ჩამოეშველე! ჩამოეშველე!  
არ სჩანს გამკითხავი.  
იგვიანებს...  
საოცარ სიზმრებს ვხედავ დამ\_ დამობით: ხან მეჩვენება, რომ ჰაერში დავფრინავ,  
მერე ქვემოთ ვეშვები, მიწის გულში ჩავდივარ და იქ მისი გულის ბაგაბუგს ვისმენ.  
სუნთქავს მიწა.  
როგორც კაცი, ამოისუნქთავს და მერე სადა და როდის ჩაისუნთქავს.  
თითქოს სუნთქვის ხმაც მესმის.  
მიწის გულიდან რომ გამოვდივარ, ყველაფერი, რაც კი მის ტანზე ხდება, მიწის  
სიზმარი მგონია.  
ხან შორიდან მიმაფრენს და შორიდან ვუყურებ დედამიწას.  
დედამიწას იქიდან სხვანაირად ვხედავ:  
ცოცხალს!  
მდინარეები მისი სისხლძარღვებია.  
ზღვები და ოკეანეები ფილტვები.  
ტყეებით სუნთქავს.  
ჰაერი მისი სულია.  
თვითონვეა კაციც და დედაკაციც.  
შორიდან კარგად ჩანს, როგორ გამოდიან ათასნაირი სახეები მიწიდან და ისევ  
მიწას უერთდებიან...  
ნეტავი ერთხელ ჩემს სიზმრებში ჩაგახედათ და განახათ, როგორი სახე აქვს იქ  
დედამიწას.

ღმერთი?

მე მწამს ღმერთი, რადგან მწამს დედამიწა და რაკი ჩვენ ყველანი დედამიწის ნაწილი ვართ, ალბათ, დედამიწაც ასევე ღმერთის ნაწილია.

ჯერ ეს სიზმარში არ მინახავს, მაგრამ, ალბათ, როგორც დედამიწას შეერთვიან მისგან გამოსული სახეები, თვითონ დედამიწაც შეერთვის ღმერთს.

მე რატომღაც მგონია, რომ ღმერთი ერთია და ამასთანავე იმდენი, რამდენი სახეცა დგას მასში.

ვიცი, ჩემი ჯანმრთელობა უფრო გაინტერესებთ. ნუ იდარდებთ. წინანდებურად აღარ მაწუხებს გულის ტკივილი.

დღეს ჩემ ტოტებზე ისე გულიანად იგალობა შაშვმა, რომ სულ გადამავიწყდა, თუ როდისმე გული მტკიოდა.

აქაურ ტყეში მარტო მე ვარ ნაძვი. ერთი ადგილი მომწონს მაღალ მთაზე, ხშირად ვდგავარ იქ. აქედან კარგი გადასახედია, მთელი ხეობა მოჩანს.

დამ\_ ღამობით სიზმარში მეჩვენება, რომ ფეხები მიწაში მიდგას.

თქვენ მენატრებით.

გკოცნით ბევრს...

წერილს გარედან მისამართი ეწერა:

„79», ბორჯომი

ეს წერილი ნაძვის ტყეში დააგდეთ.

ბერი".

შემოდგომაზე გულის ტკივილმა მოუმატა ბერს.

ერთ საღამოს ნაძვის ფესვები მუხლებს ქვემოთ იგრძნო.

საშინლად სწიწვნიდა გული.

მთვარიანში სახლიდან გამოვიდა, კალოდან ბარი გამოიტანა და ტყისაკენ აუყვა აღმართს.

გვიანი შემოდგომა იყო.

მთვარის შუქზე ვედრებასავით იდგნენ გაძარცული ტყეები.

ტყის მცველის ქოხს ჩაუარა.

შუალამისას თავის საყვარელ ადგილს მიაღწია.

აქედან ხელისგულივით მოჩანდა ხეობა.

ბერმა ღრმა ორმო ამოთხარა და შიგ ჩადგა. მერე ნათხარი მიწა შიგნით ჩაიყარა და ხელებით ფეხებში ჩაიტკეპნა წელამდე.

იდგა ასე.

უკანასკნელი, რაც ბერმა იგრძნო, ის იყო, თუ როგორ შეავსო ორმო სხეულმა ერთი მთლიანი და გახდა ერთსახე, რომელიც წვრილი ფესვებით საოცარი სისწრაფით ჩაებლაუჯა მიწას.

ხოლო პირველი, რაც ნაძვმა იგრძნო, ეს მზის ამოსვლა იყო.

# წითელი მგელი

(რომანი)

სიმაღლე: .80-100 სმ.  
მორუხო-წითური.  
შემოდგომასა და ზამთარში  
ხროვებად ცხოვრობენ.  
მძუნაობს ზამთრის დამლევს.  
მაკეობა 6» \_ 65 დღე  
ყრის «-1» (ხშირად) 5 ლეკვს.  
სქესობრივ სიმწიფეს აღწევს  
««→4 თვისა.  
ცოცხლობს 15-16 წელი.

ამონაწერი ქართული საბჭოთა  
ენციკლოპედიიდან.

## ქალაქში

ავტობუსი ქალაქში შედის და მანქანებში იკარგება. სტუდენტთა ქალაქის შესასვლელთან დიდი რიგია. შესასვლელი წარმოადგენს პატარა ოთახს, რომლის სიგანე ცოტათი თუ აღემატება ერთ მეტრას. ამ პატარა ოთახის შუაგულში ტრიალებს მრგვალი რკინის ბორბალი. სიმაღლით ასევე ერთ მეტრაზე ცოტა მაღალი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ჩერდება მეზობელი ოთახიდან გამოშვებული გრძელი რკინით. მეზობელ ოთახში მორიგეები სხედან. ისინი სამნი არიან. სამივეს მკლავზე წითელი ნაჭერი აქვთ შემოკრული და ზედ მხოლოდ ერთი ასო - მ - აწერიათ, რაც ეტყობა აქაურად მორიგეს ნიშნავს. შესასვლელი ოთახი და სამორიგეო შუაში მინით არის გადატიხრული. შესასვლელს გარედან აწერია: - სდექ! წარმოადგინე საშვი! ბორბალი, რომელიც შესასვლელში ტრიალებს, ისეა გათვალისწინებული, რომ მისი ერთი შემოტრიალებით ერთი კაცი გარედან შედის სტუდქალაქში, ხოლო მეორე შიგნიდან გამოდის გარეთ. ისე კი, თუ ბორბალი არ შემობრუნდა, ვერც გარედან შევა ვინმე და ვერც იქედან გამოვა. მორიგეები უსაშვოდ არავის უშვებენ და ორივე მხრიდან ხალხის დიდი რიგია.



ლუკა ხალხის რიგში დგას. იგი საშუალო ტანის, გამხდარი ბიჭია. ჯერ თვრამეტი წლისაც არ იქნება. წაბლისფერი თმები მოკლედა აქვს შეკრეჭილი და ცისფერი თვალებით ოდნავ აფორიაქებული იყურება აქეთ-იქით. ერთი მოხუცი ქალი მიუახლოვდა და ჩუმად, თითქმის განწირული ხმით ეხვეწება:

- ახალგაზრდავ, თუ შეიძლება, ორი კარაქი მიყიდე რო შეხვალ და გადმომაწოდე.

ქალი ფულს აძლევს. ლუკამ არ იცის, რა ქნას, ის პირველად არის აქ, ქალი კი ისეთი სახით ეხვეწება, უარის თქმა არ შეიძლება. მოხუცი ეტყობა რაღაცას ხვდება და ბიჭის გასაგონად ჩურჩულებს - აქაურ მაღაზიაში უტალონოდ აძლევენ კარაქს, სტუდენტებს შეღავათს უწევენ, - თან ბიჭის გასაგონად ამბობს, თან თითქოს ბოდიშს იხდის, ჩურჩულებს, ხელში სამმანეთიანს აცახცახებს და თითქოს მხრებსა და ტანსაც აყოლებს ხელის კანკალს, მერე ამავე აკანკალებული ხელით ლუკას ჯიბეში ჩადებს ფულს და ხომ არავინ დამინახაო, შემინებული იყურება აქეთ-იქით.

ამასობაში ლუკას რიგმაც მოაღწია.

- შენ, ეი, არ იცი კითხვა?! - ყვირის მორიგე და ბორბალს აჩერებს, ისე რომ ლუკა ბორბლით კედელზეა მიკრული.

- საშვი-მეთქი! - ხმამაღლა იძახის მორიგე.

- პირველად ვარ აქ, არა მაქვს საშვი.

- თუ არა გაქვს, ნუ მიეთრევი.

- პირველად ვარ, ხომ გითხარი.

- ბიჭო, ან შედი, ან გამოდი, ნუ გვაგვიანებ! - ბრაზობს აქეთ-იქიდან მომდგარი ხალხი.

- მიმართვა მაქვს აქ საცხოვრებლად, - ინსტიტუტიდან წამოღებული ცნობა ამოიღო ლუკამ.

- მაჩვენე! - გამოგლიჯა მორიგემ.

- ვა, თეატრალი ხარ, ტო? - დამცინავად თქვა მეორე გამხდარმა მორიგემ.

- გაუშვით რა! - დაუძახა მათ მესამე მორიგემ, რომელიც კუთხეში იჯდა და რადიოთი რაღაც მუსიკას უსმენდა.

- ლექსი გვითხარი და შეგიშვებთ.

- არ ვიცი ლექსი და გამიშვით.

- ვა, მა რა თეატრალი ხარ, თუ ლექსი არ იცი, ტო?!

მორიგემ ცნობა მიაწოდა, ბორბალი დაატრიალა და შიგნით შესულ ლუკას მიაძახა:

- შენ, ეი, თეატრალი ხარ თუ ვიღაცა ხარ, მეორედ აქ უსაშვოდ აღარ დაგინახო მოსული, თორეე!

სტუდენტის მაღაზია იქვე, შესასვლელთან ახლოს იყო. ლუკა შიგნით შევიდა, კარაქი იყიდა და ღობის იქით დარჩენილ მოხუც ქალს დაუწყო ძებნა. ქალი იქით წასულიყო და მოფარებული ადგილიდან ხელის ქნევით ანიშნებდა, აქეთ წამოდი, აქ გადმომაწოდეო.

ლუკამ ღობის ზემოდან გადაუგდო ქალაღმში გახვეული კარაქი და მეთე კორპუსი რომელიაო, ჰკითხა ქალს.

- ბოლოდან მესამე, - დაუძახა ქალმა და რაღაც მაღლობის მსგავსი სიტყვების ჩურჩულით წავიდა თავის გზაზე.

ლუკა ერთ ხანს ქალს გაჰყურებდა. რაღაცით იზიდავდა ეს მოხუცი ქალი. რაღაც მშობლიური სითბო მოდიოდა მისი ოღნავ წინწახრილი მხრებიდან. ხანდახან წაბარბაცდებოდა და ჯოხს ეყრდნობოდა.

აქამდე ყველაფერი მოზეიმე და ამაღლებული ეჩვენებოდა ქალაქში ლუკას. მისაღებ გამოცდებზე კი იყო აქ ორი კვირით ჩამოსული, მაგრამ მაშინ ვერაფერს ვერ ხედავდა, არაფერი არ ესმოდა, მხოლოდ ერთი მიზნით იყო შეპყრობილი, სტუდენტი უნდა გამხდარიყო და გახდა კიდეც. როცა ინსტიტუტის შუშის კარებზე გამოკრულ ჩარიცხულთა სიაში თავისი გვარიც წაიკითხა, იმ წუთიდან ყველამ და ყველაფერმა საზეიმო იერი მიიღო. სოფელში დაბრუნებულს თვითონ მთებიც უფრო მეტად მაღალი და მოზეიმენი მოეჩვენა.

ქალაქმა წარმოშვა ეს ამაღლებული გრძნობა და თვითონვე იყო უჩვეულო, ამაღლებული და იღუმალი. იგი რაღაცით ჰგავდა უცნობ ლამაზ ქალს და თავისკენ იზიდავდა ლუკას, იზიდავდა და თანაც სიკეთეს ჰპირდებოდა.

და თითქოს ამ ჰარმონიულ მელოდიაში რაღაცა სიმი ჩაწყდაო, ისე ჩაწყვიტა რაღაც მოხუცმა ქალმა ლუკას. ქალი არ ეკუთვნოდა ქალაქს, მის მოძრაობაში ერთი ნაბიჯიც კი არ იყო საზეიმოდ გადადგმული. არა, ქალი ნამდვილად არ ეკუთვნოდა ქალაქს, ან...

ლუკა შემობრუნდა და ქალმა რომ მიასწავლა, იმ კორპუსში შევიდა.

## ოთახი №5

ლოგინზე გაუხდელად წევს მერაბ ბახია - მსუქანი, ზემოთ ამოშვერილი ღიპით.

- გამარჯობა! - მიესალმა ლუკა.

- ოჰ! გაგიმარჯოს ბატონო! - ლოგინიდან წამოიწია მერაბი.

- მე თქვენ ოთახში გამომავზავნეს.

- საიდან ხარ შენ, მაგალითად?

- გუდამაყრელი ვარ.

- აჰ! სად არის ეგ, შენ თუ მეტყვი?

- მთაში.

- აუჰჰჰ! ჰოო... ერთი ეს მითხარი, თქვენთან გაზეთს მოხარშულს ჰამენ თუ შემწვარს?

- გააჩნია გაზეთს, - თქვა ლუკამ და მერაბ ბახიას ისეთი სიცილი აუვარდა ლამის საწოლიდან გადმოვარდა. მერე ერთად იცინოდნენ ლუკა და მერაბი.

- მწვადის საქმე როგორაა თქვენთან, მწვადის? - რაღაც უაზრობებს იძახდა მერაბი და თან თავის ნათქვამზე იცინოდა.

კარებზე ვილაცამ უხეშად დააბრაზუნა და შემოვარდა ორი მილიციელი. იმ წუთში სახეზე შეაცივდათ ბიჭებს სიცილი. მილიციელებს რამდენიმე მორიგე კომკავშირელიც შემოჰყვა.

- არ გაინძრეთ! - დაიყვირა ერთმა მილიციელმა და თვითონ რაღაცას გაფაციცებით დაუწყო ოთახში ძებნა. ამოაბრუნა ლოგინები, კარადა გამოაღო. ცარიელ ღვინის ბოთლს მოჰკრა თვალი და ლუკას შეუტია:

- მოდი აქ შენ!

ლუკა მასთან მივიდა.

- რა არის ეს?

- ბოთლია.

- მეც ვხედავ რომ ბოთლია, შე ლაწირაკო, შენა! ჩაწერე, - მიუბრუნდა მეორე მილიციელს.

- გვარი და სახელი?

- ლუკა.

- გვარი გვითხარი, თორემ ისე ამბობ შენ ვინაობას, თითქოს ეე-ეს არის გაზეთ ივერიის რედაქციაში შემობრძანდი რომელიმე გენიალური მოთხრობით ხელში.

- მე ჩოხელი ვარ, მაგრამ იმედი მაქვს, არც თქვენ ბრძანდებით ჭავჭავაძეების ბრწყინვალე გვარის წარმომადგენელი.

- ამ ლაწირაკს ვერ უყურებ?! მეტს კი არაფერს ასწავლიან ამათ ინსტიტუტში, დედის ძუძუს მაგიერ თუ წიწაკა არა გაქვს ბაღნობაში ნაწოვი, ისე ვერ მოხვდები იქო, სუ იპიპიებს და ბეჰეჰეებს ღებულობენ.

- თქვენს ინსტიტუტში სულ ბეჰეჰეებს ღებულობენ და რა ვქნათ იპიპიებმა, არ ვისწავლოთ?

- ხმა ჩაიკმინდე ამხანაგო! როგორ ელაპარაკებით უფროსს? - გაუბრაზდა ლუკას ახალგაზრდა კომკავშირელი.

- ისე ვამჩნევ, ბეჰეჰეს ვამღერებთ მაგას ხვალ-ზეგ, - დაქადნებით თქვა მილიციელმა.

ოთახში კიდევ ორი კაცი შემოვიდა, რომლებმაც ნახევარლიტრიანი ქილები შემოიტანეს. ერთი ქილა მერაბის მისცეს, ერთიც ლუკას.

- ჰო, მიდით ახლა, რაღას დგებართ! - ბრძანებით თქვა ჩოფურა მილიციელმა.

- რაა?! - ვერ გაიგო ლუკამ რას ითხოვდნენ.

- რა და ქენი მანდ! - ქილაზე მიუთითა მილიციელმა.

ლუკა დაიბნა.

- ამხანაგო, რასაც გეუბნებიან, ქენით, - აუხსნა ბიჭებს მორიგე კომკავშირელმა.

- ვერ გავიგეთ ბატონო, რომელი მაგალითად? - იკითხა დაბნეულმა მერაბმა.

- რა რომელი?

- ეს ვენათ, თუ ის?

- ის არ გვჭირდება ჩვენ, ანალიზისთვის შარდია საჭირო, - გაბრაზდა მილიციელი.

- თუ შეიძლება, იქ გავალთ, ბატონო, - სთხოვა მერაბი.

- ჩვენს თვალწინ, ჩვენს თვალწინ!

- ნახევარ ლიტრზე მეტი რომ მომივიდეს, მერე რა ვქნა ბატონო?! - შეწუხდა მერაბი.

- აბა ეხლა ზედმეტი ლაპარაკი არ იყოს, დროზე! - გადაჭრით თქვა მილიციელმა.

ლუკა დაბნეული იყურებოდა და არ იცოდა რა ექნა.

მერაბი ლუკას ანიშნა, სხვა გზა არ არისო და ლუკამაც შეასრულა ბრძანება.

იმ ორმა კაცმა ქილებს პირს მოაკრეს, გვარები დააწერეს და წავიდნენ.

მარტო რომ დარჩნენ, მერაბმა ისევ გააგრძელა სიცილი. ლუკა შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს და ჩუმად იყო.

- ეე, გაგიჩნდა რაღა შენც სადარდებელი. ნეტა ყოველდღე ასე მოგვემსახურნონ, მაგრამ სამწუხაროდ ამის მერე ისევ იქ მოგვიწევს სიარული, სადაც მეფენი თავის ფეხით დადიან. მიიტანენ, გაანალიზებენ და მიხვდებიან რომ მორფინისტები არა ვართ, პლანს არ ვეწევით, მორჩა და გათავდა, შენც გადაგივლის ბრაზი, - ამშვიდებდა ლუკას მერაბი.

- ჰო, შენი საწოლი ეს იქნება, - ცარიელი საწოლი აჩვენა ლუკას, მერე მიმართვა გამოართვა და უთხრა:

- წამომყევი, ლოგინი გამოვართვათ კომენდანტს.

ლუკას ლოგინი რომ დაალაგეს, მერაბი თქვა:

- წამო, ეხლა დავასველოთ.

- რა დავასველოთ? - ჰკითხა ლუკამ.

- რა და ჩვენი ერთად ცხოვრებისა დავლიოთ.

ბიჭები კორპუსიდან გავიდნენ...

აი, იმ სახლში საგიჟეთია, - უხსნიდა გზადაგზა მერაბი.

- მოდი, ფანჯრების წინ გავიაროთ.

- აააფ! - დაიყეფა ძაღლის ხმაზე ერთმა დედაკაცმა, როცა მის ფანჯარას გაუსწორდნენ.

ლუკა გაიქცა.

სალუდში შევიდნენ და თამბაქოს კვამლში გაეხვივნენ.

- მე უსაშვოდ არ შემომიშვებენ, - უთხრა ლუკამ მერაბის, როცა უკან მობრუნდნენ.

- მე მანდედან არც შევდივარ, - თქვა მერაბმა, - საშვი მაქვს მარა იდექი ახლა იმ რიგში.

- აბა მა, როგორ შედიხარ?!

- წამო, - მერაბი მეორე მხრიდან შემოუარა სტუდენტულს. მეათე კორპუსის პირდაპირ გახსნა მავთულის ლოზე, შიგნით შევიდნენ და ისევ შენიღბა შესასვლელი.

ოთახში რომ შევიდნენ, დასასვენებლად წამოწვნენ ლოგინებზე.

- ბიჭები სახლში არიან წასული, - თქვა მერაბმა.

- ვინ ბიჭები?

- ჩვენთან კიდევ ორი ბიჭი ცხოვრობს.

ოთახის კარზე დააკაკუნეს.

მერაბმა კარი გააღო.

- აბა, როგორ ხართ? - იკითხა შემოსულმა კაცმა, რომელსაც სამხედრო ფორმა ეცვა.

- კარგად, პატივცემულო.

- მე ინსტიტუტიდან გამომავლებს შესამოწმებლად, ყველაფერი რიგზეა?

- კი, დიახ.

- ეს ბიჭი ვინ არის?

- პირველკურსელია.

- სასიამოვნოა! წელს არა, მაგრამ მეორე წელს მოგიწევთ ჩემთან სამხედროს გავლა, - თქვა სამხედროს მასწავლებელმა.

- საიდანა ხარ?

- მთიდან.

- ხოდა მაგარი მეომარი უნდა გამოხვიდე. თუ მაგარი მეომარი იქნები, მაშინ მსახიობადაც ივარგებ და პოეტადაც. ვისაც თოფის წამლის სუნი არ უყნოსია, ის...

სამხედროს მასწავლებელს უცებ ფერი წაერთვა და ლუკას ლოგინზე ჩამოჯდა. მერაბი წყლისათვის გაიქცა. სანამ ის წყალს მოიტანდა, მანამდე სამხედროს მასწავლებელი ლოგინზე გადაწვა და დალია სული. მერაბიმ აღარ იცოდა წყლისთვის რა ექნა და ისე დაიბნა, თვითონ დალია.

ოთახი ხალხით გაივსო.

მერე გარდაცვლილი წაასვენეს და ოთახი დაცარიელდა.

ლუკა იჯდა და ფიქრობდა.

მერაბი გვიან მოვიდა და მაშინვე დაწვა.

ლუკა იჯდა და ლოგინს უყურებდა.

- რატომ არ იძინებ? - ჰკითხა მერაბმა.

- არ მეძინება.

- ხომ არ გეშინია?

- არა.

- მაშ რატომ არ წვეები?

- ამ ლოგინზე ვერ დავიძინებ.

მერაბი ადგა და ლუკას ლოგინზე დაწვა.

- შენ ჩემ ლოგინში დაწექი. კაცის სიკვდილი საშიში არ არის. კიდევ კარგი ის მოკვდა ამ ლოგინზე.

- კიდევ კარგი რატომ?

- იმიტომ რომ ამ ლოგინში მყოფმა სიკვდილმა უკვე წაიღო თავისი წილი სიცოცხლე. ეხლა აქ საშიში აღარაფერია, კიდევ კარგი, ის მოკვდა.

ცოტა ხანს ჩუმად იყვნენ.

- გზია? - ჰკითხა მერაბმა.

- არა, ისე.

- მე მშია, ვჭამოთ.

- რა ვჭამოთ?

- ჩვენ ქვემოთ ვოკალისტი ცხოვრობს, მაგისტვის მწარე საჭმელი არ შეიძლება, ყელი გაუფუჭდება, სახლიდან კი სულ მწარე საჭმელებს უგზავნიან.

მერაბმა ლოგინის ქვემოდან ხის კავი გამოამკვრინა, ფანჯარა გამოაღო და ქვემოთა ფანჯრის რაფაზე გარედან ჩამოკიდებული საჭმელებით სავსე კალათა ამოიტანა ზემოთ. თიხის ქოთნიდან ლობიო გადმოსახსა თეფშზე. თონის პური შუაზე გადატეხა, ნახევარი ისევ კალათაში ჩადო, ნახევარი კი მაგიდაზე დადო. კალათიდან ახლა ქალაქის დაკეცილი ფურცელი ამოიღო, რომელზეც უამრავი მადლობა ეწერა. ყველა მადლობის ქვეშ მიწერილი ჰქონდა რიცხვი და საათი. მერაბმა ერთხელ კიდევ მიაწერა - მადლობა, რიცხვითა და საათით დაამშვენა, ქალაქი დაკეცა, კალათში ჩადო და ისევ დაბლა ჩამოჰკიდა კავით.

უცებ დერეფანში ხმაური ატყდა. ბიჭებმა გარეთ გამოიხედეს. ვიწრო დერეფანი მაყურებლებით გაივსო უცებ. ვიღაცა ახმახს კატისათვის ტაშტი გამოება კუდზე და აიძულებდა გაქცეულიყო. კატა ორსულად იყო და ძლივს ერეოდა მუცელს. შეშინებული აფეთებდა თვალებს. მოიკრებდა ღონეს, გაიქცეოდა, დერეფნის ბოლომდე მივიდოდა, კუთხეში მიიკუნჭებოდა და აკრუსუნდებოდა. ის ახმახი წამოადგებოდა თავზე და ახლა აქეთ გამოსაქცევად აიძულებდა:

- ბრის! ბრის! - უბაკუნებდა ფეხს.

ლუკა მისკენ წავიდა.

- არ გინდა, - შეაჩერა მერაბმა.

ლუკა მაინც წავიდა.

- არ გინდა, გაგლახავს, - ისევ შეაჩერა და თითქმის ხვეწნით სთხოვა მერაბმა.

ლუკა კატის მწვალებელთან მივიდა და უთხრა:

- ცოდოა.

- თუ შენ კუდი გაქვს და მაგის მაგიერ გამოიბამ ამ ტაშტს, კი ბატონო, ცოდოა კატა, გავუშვათ, ოღონდ ერთი პირობით: ასჯერ იქით გაიქეცი, ასჯერ აქეთ, მაგრამ ვაი შენი ბრალი თუ კუდი არ აღმოგაჩნდა.

- ცოდოა კატა, გაუშვი, - მშვიდად გაუმეორა ლუკამ.

ამ ამბავს ისე მისჩერებოდა მთელი სართული, ისეთი დაძაბული სიჩუმე იყო ირგვლივ, ეტყობოდა კარგი არაფერი არ უნდა მომხდარიყო.

კატის მწვალებელი ეტყობა მთვრალიც იყო, ამღვრეული თვალები ჰქონდა და კი არ სუნთქავდა, ქშინავდა.

- მაშ გავუშვათ კატა, არა, - მუქარით ჩაილაპარაკა და ისე ღონივრად მოუქნია მუშტი ლუკას, რომ მოხვედროდა ალბათ იქვე გაათავებდა, მაგრამ ლუკამ აიცდინა მოქნეული მუშტი, ახმახს წელში შეუვარდა, მოხდენილად გადაიკიდა მხარზე და

გააქცია დერეფანში, ხან იქით და ხან აქეთ, ხან იქით და ხან აქეთ. კატის მწვალელები დაიბნა, ფეხებსდა იქნევდა ჰაერში. მაცურებლებში სიცილი ატყდა.

ასევე, მხარზე გადაკიდებული გაიყვანა ლუკამ მოწინააღმდეგე გარეთ, ეზო გაირბინა, სამორიგეოში შევარდა, ბორბალი დაატრიალო, დაუყვირა მორიგეს. ასევე გავარდა, ქუჩაში, შეერია ნაძვებს, ბნელ კუთხეში მიიმალა, მოწყვეტით დაიქნია ტვირთი, დაახეთქა და წყნარად უთხრა:

- აქ არავინ მოგვეხმარება, აი, აქ გავსწორდეთ ერთიერთზე.

კატის მწვალელები ზანტად წამოდგა, შარვალი ჩაიბერტყა, შებრუნდა და თავჩალუნული დაადგა ქუჩას.

ლუკა სამორიგეო შესასვლელით შევიდა სტუდქალაქში.

მორიგეს საშვი აღარ მოუთხოვია მისთვის. გაკვირვებული თვალებით უყურებდა და როდის, როდის ამოღერდა სათქმელი:

- ვა, თეატრალ, ეს შენ იყავ?!

ლუკას არაფერი უთქვამს მისთვის, იგი ამ დროს კატას უყურებდა. კატა სტუდქალაქიდან გამოდიოდა და იქით შეერია სიბნელეს, საითაც მისი მწვალელები წავიდა.

არა, არაფრით არ იყო ეს დღე მოზეიმე.

,

- დალიე! - მერაბი აძალებს სასმისს ლუკას.

- არა, მეტი აღარ შემოდლია.

- დალიე, რა! - ახლა მეორე ეუბნება.

- ლექცია მაქვს.

- ლექცია, თორეე...

მერაბის ძმაკაცი თითქმის ძალით ასმევს არაყს.

- ეხლავე მოვალ, - თქვა ლუკამ.

- სად მიხვალ?

- ინსტიტუტში გავალ და მოვბრუნდები.

- ფული ესესხე ბიჭებს.

- კარგი.

ლუკა გარდერობისაკენ მიდის. სახინკლეში პაპიროსის ნისლი წევს.

- ჩემი პალტო მეთხუთმეტეზე ჰკიდია, ნომერი ბიჭებთან არის, - ეუბნება მეგარდერობეს.

- ეს არი?

- არა.

- ესა?

- არც ეგ.

მაბა, მეტი პალტო ამ ნომერზე არ ჰკიდია.

ლუკა ბიჭებთან მივიდა.

- ჩემი პალტო აღარ არის.

- ალბათ, შეგაწერა ვილაცამ, რას იზამ, ჯიგარ, ხდება ესეთებიც, - იცინიან ბიჭები.

ლუკა პერანგის ამარა გამოდის გარეთ.

გარეთ თოვლია, ცივა, ქარი ქრის.

საგიჟის პირდაპირ მიუყვება გზას. გზა კედლის პირზე გადის ფანჯრებთან.

- აააფ! - დაიძახა ფანჯარაში მდგარმა ქალმა და ერთი ვედრო წყალი შეასხა ლუკას, რომელიც ადგილზე გახევდა და აღარ იცოდა რა ექნა.

ფანჯარაში გიჟები გადმოდგნენ და ხარხარი ატეხეს.

ქარი ქროდა, ციოდა.

ინსტიტუტის სააქტო დარბაზში მხატვრული კითხვის სადამო ტარდებოდა. სიცივისაგან მთლად გათოშილი ლუკა დარბაზში შევიდა.

სცენაზე ირინა იდგა და ლექსს კითხულობდა.

სითბოზე უცებ თავბრუ დაეხვა. ორი თვალით სამად ეჩვენებოდა ირინა. ცალ თვალზე თითი დაიდო და დაიყვირა:

- ირინაა!

ირინა გაჩუმდა.

- ირინაა!

- რა გინდა ლუკა?

- მიყვარხარ, ირინაა!

დარბაზში ხარხარი ატყდა.

ორმა ბიჭმა გარეთ გამოიყვანა, კუთხეში მიმალეს და ერთმა ჰკითხა:

- გიყვარს, არა?

- მიყვარს.

იმავე წუთში მეორემ ისე ღონივრად დაარტყა სახეში, ლუკა უგონოდ დაეცა. იმათ წიხლებით ურტყეს, მერე წყალი მოიტანეს და დაასხეს რომ მოსულიერებულყო.

,

ლუკა თავის ლოგინზე წევს და კანკალებს.

მერაბი ტანსაცმელს აყრის ზემოდან.

ექიმი შემოვიდა და გასინჯა.

- სასწრაფოდ უნდა წავიყვანოთ, - თქვა მან.

- რამდენი დღეა რაც წევხარ?

- ერთი კვირაა უკვე, - თქვა მერაბმა.

ტანსაცმელი ჩააცვეს და წაიყვანეს.

გასასვლელში ისევ იდგა ხალხი რიგში.

სასწრაფო მანქანამ სიგნალით გაიარა ქუჩა.



,

პირველი, რაც საავადმყოფოში შესულს თვალში ეცა, ვიწრო დერეფანი იყო. დერეფანი სავსე იყო ავადმყოფებით. ისინი ცნობისმოყვარედ ათვალიერებდნენ ახალმოსულს.

დერეფანი იყო ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული. აქვე დაედგათ სასადილო მაგიდები და ქალები და კაცები ერთად ჭამდნენ.

- მეხუთეში დააწვინე, ადგილია იქ, - უთხრა ექიმმა სანიტარს.

- წამო, შვილო, - წაიყვანა ქალმა.

მეოთხეს და მეხუთე პალატას ერთი შესასვლელი ჰქონდა. მეოთხეში რომ შევიდნენ, სანიტარმა ჰკითხა:

- მორფს იკეთებ?

- რა?

- პლანს ეწევი?

- რა პლანს?!

- მოგაწევინებენ შვილო.

- ვინ?

- მეხუთეში, - ჩუმად ჩურჩულებდა ქალი და იქეთ იხედებოდა, - სუ ეგეთი ხალხი წევს იქ. ქრონიკული ჭლექიანები არიან. თვითონ ხომ ეწევიან და ნემსებს იკეთებენ, სხვა თუ ჩაიგდეს, იმასაც აფუჭებენ.

- დეიდა.

- რა შვილო.

- სხვაგან არ არის ადგილი?

- არა, მანდაც დღეს მოკვდა კაცი, იმის ლოგინია თავისუფალი.

- ამ პალატაში რომ გამიშალო, არ შეიძლება?

- აბა როგორ, ხომ ხედავ თხუთმეტი ლოგინი დგას.

ლუკამ ჯიბიდან ათი მანეთი ამოიღო და ჩუმად გაუწოდა:

- ეხლა მეტი არა მაქვს, თუ მოვრჩი, მერე მოგცემ, ოღონდ იქ ნუ დამაწვენ.

მეხუთედან ვიღაც თავგადაპარსული გამოვიდა და საჭმელად გავიდა დერეფანში.

- წავალ, ექიმს ვეტყვი, - დააიმედა ქალმა ლუკა.

ორმა კაცმა საწოლი შემოიტანა და მეოთხეში ისე ჩაჭედეს ორ საწოლს შორის, ადგილი აღარ დარჩა.

მერე დააწვინეს და არ იმოდრაოო, დაარიგეს.

სადილის მერე პალატაში შემოლაგდნენ ავადმყოფები და თავ-თავის ლოგინებზე დაწვნენ.

ერთი მოხუცი იქეთ დაუწვა ლუკას, მეორე აქეთ. მეორეს მოხუცობა არც ეთქმოდა. შუახნისა იქნებოდა. იმან გაკვირვებით უყურა, უყარა და ყვირილი ატეხა:

- მიშველეთ! მიშველეთ, მომკლავს!

არავინ განძრეულა.

მიშველეთ! - ყვიროდა მოხუცი, რომელსაც სურენას ეძახდნენ.

შემოცვივდნენ სანიტრები და ძლივს დააწყნარეს.

- მომკლავს! ჩემ მოსაკლავად გამოგზავნეს ეგ, - ლუკაზე ანიშნებდა სანიტრებს.

- დანა აქვს, დანა!

- დაწყნარდი, ნუ გეშინია, არა აქვს დანა.

- გასინჯეთ თუ არა აქვს.

სანიტრებმა ყასიდად დაუწყეს ლუკას სინჯვა.

- არა აქვს?

- არა, არა, ნუ გეშინია.

- არ მომკლავს?

- ხომ ხედავ ვერ ინძრევა, რატო უნდა მოგკლას.

- ისინი გამოგზავნიდნენ.

- დაწყნარდი, დაწყნარდი, - წამლებს ასმევდნენ სანიტრები. მოხუცს ხველა აუტყდა და ლოგინზე დააწვინეს. როცა დაწყნარდა, ჩუმად ჰკითხა ლუკას:

- მართლა არა გაქვს დანა?

- არა.

- მართლა არ მომკლავ?

- არა.

- რო დავიძინებ, მოპარვით ხომ არ გამომჭრი ყელს.

- არა, ნუ გეშინია.

- ჩემი ძმა იქნები?

- როგორც გინდა.

- ხო მიყარაულებ.

- როგორ?

- მესამე საწოლზე, იქეთ მხარეს რომ წევს ქურთი, ხო ხედავ?

- ჰო.

- ეგ იმათ გამოგზავნილი ჩანს.

- ვისი?

- იმათი. მე უნდა გამომჭრას ყელი, რო დავიძინებ. ხო მიყარაულებ თუ დამეძინა.

- კი.

- მაშ დავიძინებ, ერთი კვირა არის არ მძინებია.

ერთ წუთში ხვრინვა ამოუშვა სურენამ.

თანდათან მიწყნარდა პალატა.

- ალბერტ! - მოისმა ქუჩიდან.

ლოგინიდან ახალგაზრდა, დაბალი კაცი წამოდგა და ფანჯარაში გადაიხედა.

- ეხლავე, - ჩასძახა ვიღაცას ქვემოთ, ტანსაცმელი ჩაიცვა, მერე ლოგინი ისე გაასწორა, თითქოს იქ ვიღაც იწვა და მოაჯირზე გამობმული თოკით ჩაეშვა ქუჩაში.

იმის გვერდზე მწოლიარე ბიჭმა თოკი ამოახვია და შეინახა.

მეხუთე პალატიდან თავგადაპარული გამოვიდა, ჩუმად მივიდა ლუკასთან და წასჩურჩულა:

- ჩვენთან გეძახიან.

- ვინ?

- უფროსი.

- ჩემი განძრევა არ შეიძლება.

- შეიძლება, როცა გიბრძანებენ, შეიძლება, წამო!

ლუკა წაჰყვა.

პალატაში კარტს თამაშობდნენ.

მათ თითქოს არც კი შეხედეს ლუკას, რომელიც კარებთან იდგა.

- მოწვევ, თუ გაიკეთებ? - იკითხა უფროსმა.

- არ ვეწევი, ჩემთვის არ შეიძლება.

- დიდი ხანია რაც მოფრინდი?

- დღეს მოვედი.

- აბა, მაშინ ჩვენი გაცნობისაც მოვწიოთ!

- მე არა.

- ბატონო, ბატონო!

ორმა გრძელი შპრიცი აჩვენა.

- მორიგე მოდის! - შემოიხედა ვიღაცამ მეოთხე პალატიდან და მიიძალა.

- აბა ჩქარა, გაფრინდი, - ბრძანა უფროსმა.

ლუკა თავის პალატაში გამოვიდა და საწოლზე დაწვა.

მორიგემ ჩამოიარა და წავიდა.

მეხუთედან ისევ გამოვიდა შიკრიკი.

- მაყუთი გაქვს? - წასჩურჩულა ლუკას.

- არა.

- ხვალე მოვლენ შენთან?

- ვინ?

- სანახავად მოვლენ?

- არ ვიცი.

- თუ მოვლენ შეაწერე, გაიგე?

- გავიგე.

შიკრიკი თავის პალატაში დაბრუნდა.

ავადმყოფებს ეძინათ.

დანდობილად ეძინა ლუკას გვერდზე მწოლიარე მოხუცსაც.

ლუკა იწვა და ფიქრობდა.

ფიქრიც არ ერქვა ამას.

სხვა დროს რომ არ გახსენებია, ახლა ისეთ რამეზე ფიქრობდა.

ეს ღამე, რაღაცით ჰგავდა იმ ღამეს.

პატარა იყო მაშინ. ჯერ სკოლაშიც არ დადიოდა, თუ პირველ კლასში იყო, კარგად აღარ ახსოვს. მაშინ პირველად მოხვდა საავადმყოფოში. თავის ტოლბიჭებთან თვალხუჭობანას თამაშობდა და იმისი რიგი რომ მოვიდა, თვალეზზე ჩიქილა აახვიეს, ბიჭები დაიმაღლნენ. ბანზე ერთ მოხუც ქალს ხორბალი ჰქონდა გასაშრობად გაფენილი და სდარაჯობდა, რომ ქათმებსა და ჩიტებს არ აეკენკათ. თვალახვეული ლუკა იმის ბანზე მოხვდა.

- სად მოხვალ, სად? - დაუცაცხანა დედაბერმა.

ლუკამ ჯერ ჩიქილის მოხსნა დააპირა, მაგრამ ეს თამაშის წესის დარღვევას ნიშნავდა და თქვა:

- რა ვქნა, თვალახვეული ვარ, რომელზე გავიარო ვერ ვხედავ.

- იქეთ მიიწი და ისე გაიარე.

ლუკამ იქეთ მიიწია და ხელის ფათურით მიიწევდა წინ.

- იქეთ, იქეთ, - ეუბნებოდა დედაბერი.

ლუკამ კიდევ გაიწია ბანზე და ისევ წინ წავიდა.

- კიდევ მიდექ, კიდევ, - ეუბნება დედაბერი და ლუკაც იწევს.

უცებ გამოეცალა ფეხქვეშ ბანი და ძირს დაეშვა.

დაცემისას ნაპერწკლები წამოსცივდა თვალებიდან. თავი დაარტყა, სისხლი წამოუვიდა ჭრილობიდან.

ატირდა. შეშინებული დედა გულში იკრავდა და თან ხელებით სინჯავდა, მართლა ცოცხალი იყო, თუ არა.

მაშინ პირველად მისცა ლუკას მეზობელმა შაქარყინულის დიდი ნატეხი.

მეორე დღეს რაიონის საავადმყოფოში წაიყვანეს.

პალატაში ოთხნი იყვნენ.

მეოთხე ლუკა იყო.

ისინი ათასნაირ ამბებს ყვებოდნენ.

ერთმა თქვა: დღეს ერთი ერი ისე არ გაჩერდება, თუ ქრისტიანების სისხლი არ დალიეს, დღეს იმათი დღესასწაულია და წესად აქვთ ქრისტიანის სისხლი დალიონ.

ლუკა პირველად იყო თავისი სოფლის გარეთ.

პირველად იყო უცხო ხალხში, უცხო გარემოში და იმ კაცის ნათქვამი თავისებურად გაიგო: იქნებ ეს კაცია შემოპარული და რომ დამეძინება, თავს მომჭრის, ჩემ სისხლს კი დასალევად წაუღებს ქრისტიანების მტრებს.

პალატაში ყველამ დაიძინა.

ლუკა კი ცდილობდა არ დაეძინა.

სთვლემდა.

იფხიზლებდა.

ძილი და სიფხიზლე ერთ-ერთს ებრძოდნენ.

ჩაეძინა.

ესიზმრა: თავის სოფელში იყო და ბანებზე ბალღებთან თამაშობდა. უცებ ატყდა მტრედების ფრთხილი და ზარების რეკვა, სოფლისთავს მდგარი ეკლესიიდან გამოვიდა თეთრი მოხუცი, რომელსაც თმა-წვერიც თეთრი ჰქონდა, ტანსაცმელიც კი თეთრი ეცვა, თეთრი ყავარჯენი ეჭირა და სოფლისაკენ მოდიოდა.

ბალღები გაიქცნენ.

ლუკასაც უნდა გაქცევა, მაგრამ შებორკილი აქვს ფეხები და ვერ გარბის.

მოვიდა ის კაცი, თოვლივით ქათქათა ხელი თავზე დაადო ლუკას, ხელში ყვავილი მისცა და უთხრა:

- ნუ გეშინია, შვილო, მიდი, გაიქეცი.

ლუკა გაიქცა.

გაელვოდა.

გათენებულიყო.

პალატაში ექიმი შემოვიდა...

,

- დანა აქვს, დანა! - დაიღრიალა სურენამ და წამოხტა.

- მიშველეთ!

მთელი პალატა ფეხზე დადგა.

ძლივს დააწყნარეს.

,

დილაა. ავადმყოფები ნემსის რიგში დგანან. ლუკა პირის დასაბანად გამოვიდა დერეფანში. პირს რომ იბანდა ცხვირიდან სისხლი წასკდა და ძლივს გაუჩერეს.

გულაღმა ფრთხილად დააწვინეს ლოჯინზე.

პალატაში მარტო ის და მოხუცი დომენტი დარჩნენ, დანარჩენები დერეფანში საუზმობდნენ. იმ დერეფანს ყველაფრისათვის იყენებდნენ, სივიწროვე იყო საავადმყოფოში.

- მე იცი ვინა ვარ? - ჰკითხა დომენტიმ ლუკას.

- მე მილიციის მაიორი ვარ, მაშ, ყოფილი.

დომენტის ხველა აუტყდა.

მეხუთე პალატელების შიკრიკი მოვიდა. დომენტის თავზე დაადგა და ჰკითხა:

- რაო, ბიძია დომენტი, გახველებს?

- მაშ, ბიჭო!

- ეხლავე, - თქვა მეხუთე პალატის შიკრიკმა და ცოტა ხანში არყით სავსე ჭიქა გადააკვრევინა დომენტის.

დომენტიმ სული ვეღარ მოითქვა და მიესვენა ხრიალით.

- სსსუ! - ტუჩებთან თითის მიტანით ანიშნა შიკრიკმა ლუკას და გარეთ გავარდა ექიმის მოსაყვანად.

დომენტიმ სული დალია.

ბევრი უყვირა ექიმმა: დომენტი! დომენტი! - ო, მაგრამ დომენტი სააქაოს აღარ იყო. დამძიმებულიყო, ძლივს გაასვენეს პალატიდან.

- იცი ვინ მოვიდა! - შემოვარდა სურენა პალატაში და ლუკას დაადგა თვალი.

- ვინ? - ჰკითხა ლუკამ.

- ადრე რო იწვა გიჟი აქაზა, ის მოვიდა.

ავადმყოფები დიდი ზარ-ზეიმით შეხვდნენ ოცი წლის ბიჭს, რომელიც, შემოსვლისთანავე დომენტის ლოგინზე წამოწვა.

- ისივა გაქვს? - ეკითხებოდნენ გამომწვევად ავადმყოფები.

- მაქვს, მაშა! - იმახდა ის,

- არა, დაჰკარგავდი. - გააქეზა ვიღაცამ.

- დავკარგავდი?!

- ჰო.

- სანამღეო.

- რაზე?!

- თუ არ დაგიკარგნია, თაფლს გაჭმევ.

აქაზა საწოლის ფეხზე შედგა, წონასწორობა დაიკავა და ერთ წუთს ასე გაჩერდა.

ავადმყოფები გაისუსნენ.

გამოხედეს მეხუთეპალატელებმაც.

- მაშ დავკარგამდი, არა? - თქვა აქაზამ.

- ჰო.

- აჰა! - დაიძახა და ჩაიძრო შარვალი.

ავადმყოფებმა ტაშით დააჯილდოვეს.

წაგებულმა თაფლი მოუტანა და ბიჭმა მადიანად დაუწყო ჭამა.

- ჩოხელი, შენთან გოგოა მოსული, შემოვუშვა? - იკითხა სანიტარმა.

- შემოუშვი! შემოუშვი! - დაიძახეს ავადმყოფებმა აქეთ-იქიდან და გაინაბნენ.

ლამაზი გოგო შემოვიდა და ლუკას აკოცა.

- ჩემი კოცნა არ შეიძლება, - უთხრა ლუკამ.

- ნუ სულელობ! - გაუწყრა გოგო, იები საწოლზე დაუწყო და მერე საჭმელები ამოალაგა ჩანთიდან.

- დედამ გაიგო? - ჰკითხა ლუკამ.

- არა, არ მითქვამს.

- ნუ ეტყვი.

- გოგონა, შენი აქ დიდხანს ყოფნა არ შეიძლება, გავიდა ხუთი წუთი, - გააფრთხილა სანიტარმა.

გოგომ კიდევ აკოცა ლუკას და პალატიდან გავიდა.

ყველა ლუკას მიაჩერდა.

- ვინ იყო? - ჰკითხა ქერა ავადმყოფმა, რომელსაც ვასიას ეძახდნენ.

- ჩემი და არის.

- კარგი რამე კი არის! - თქვა ვასიამ.

ყველა გაისუსა.

- ნაბიჭვარი ხარ, შენ, ვასია! - უთხრა ლუკამ.

- ვინ არის ნაბიჭვარი, შენი! - ლუკასკენ გაიზიდა ვასო, - ლოგინში არ იცვე, მე გიჩვენებდი, - ყვიროდა ხმამაღლა.

- შემეძლოს ადგომა!

- ვერც ადგები ვერასოდეს! - ყვიროდა ვასო.

პალატაში ექიმი შემოვიდა და ყველა გაჩუმდა.

- აბა, დაწექით, შუადღის ძილია, - ბრძანა ექიმმა.

ყველამ თავის ლოგინს მიაშურა.

ექიმი რომ გავიდა, ალბერტი მეოთხესა და მესამე პალატას შორის დატანებულ კართან მივიდა. ეს კარი გაუქმებული იყო. იქით ქალების პალატა იყო ამჟამად. ალბერტმა გასაღების ჭრილში ჩატანებული ქაღალდი ამოიღო და გაიხედა.

იქით პალატაში ქალები იხდიდნენ. აქეთ, რიგში ჩადგნენ მამაკაცები და რიგ-რიგობით იყურებოდნენ მეზობლებში. მერე საიდუმლო სათვალთვალო დაგმანეს და დაწვნენ.

როცა წყნარი საათი მორჩა, ამის მერე ყველანი საჭმელად წავიდნენ. პალატაში მარტო მწოლიარე ლუკა დარჩა. მერე აქაზა შემოვიდა გალაღებული სახით, ხელში ერთი კოლოფი წამალი ეჭირა.

- შენ იცი ეს რა არის? - ჰკითხა ლუკას.

- არ ვიცი.

- წამალია. ტუბაზიდი ჰქვია. ჩვენისთანებს ამით არჩენენ. ერთი ცალი ძაღლსა ჰკლავს, იცი რად მინდა?

- ვიცი, უნდა მორჩე.

- მოვრჩე? ეგ არ მოხდება, პირიქით, იქ უნდა წავიდე. ათი ცალი საკმარისია გასამგზავრებლად. მე ოცს დავლევ, რაში მენაღვლება, რა, მაქვს და, ისე მოვპარე ექთანს, ვერც გაიგო, - ტუჩებთან თითი მიიტანა და ლუკას ანიშნა - სსუ! - მერე პალატიდან გავიდა.

ოთახში ორი ახალგაზრდა ავადმყოფი შემოვიდა. ლუკას გვერდით, მოხუცის საწოლში, სკამები ჩადგეს, ზედ ზეწარი გადააფარეს, ლუკას იეზი გამოართვეს და «კუბოს» ზემოდან დააყარეს. დასხდნენ და დაიწყეს ხმით მოთქმა.

შემოვიდნენ ავადმყოფები.

შემოვიდა სურენაც და თავის საწოლზე ზეწარგადაფარებული და ზედ ყვავილმოყრილი კუბო რომ დაინახა, შეშინებულმა იკითხა:

- ვინ მოკვდა?

- შენ! - უთხრეს «მოტირალეზმა».

- მეე?

030. იმან გამოგჭრა ყელი.

- ცოცხალი რო ვარ? - თავი მოისინჯა.

- აღარა ხარ ცოცხალი, ყელგამოჭრილი ასვენებარ ამაში.

- მართლა?

- მართლა.

სურენამ საწოლთან დაიჩოქა და გამტკნარდა.

- რა არის ეს? - იკითხა ექიმმა.

- ჩემი კუბოა, - უთხრა სურენამ.

- რა დაგემართა?

- იმან გამომჭრა ყელი.

- წამომყევი! - თავისთან წაიყვანა ექიმმა.

ყველას რომ ეძინა, ფეხაკრეფით შემოიპარა და დაწვა.

- ცოცხალი ვყოფილვარ, - გადაუჩურჩულა ლუკას. - ოღონდ არავის უთხრა რომ ცოცხალი ვარ, თორემ მართლა გამომჭრიან ყელს, კარგი?!

- ჰო, კარგი.

მერე ჩაიძინეს.

- მიშველეთ! - იყვირა დილაადრიან სურენამ.

ყველა წამოხტა.

სურენა აქაზას საწოლს უყურებდა და კანკალებდა.

ბიჭს თვალები და პირი ღიად დარჩენოდა. ხელში წამლის ბოთლი ეჭირა.

ისიც დამძიმებულიყო. ისიც მძიმედ გაასვენეს.

იმის მაგივრად ერთი თათარი შემოიყვანეს და იმის ლოგინზე დააწვინეს.

პალატაში მერაბ ბახია შემოვიდა.

- აკი ერთი სიკვდილი ერთ სიცოცხლეს ითხოვსო? - ჰკითხა ლუკამ.

- ვერ გავიგე?!

- სამხედროს მასწავლებელი რომ მოკვდა, შენ ხომ დაწექი იმ ლოგინზე, იქ ნუ იწვები, საშიშია.

- რატო?

- შეჩვევა სცოდნია.

- რას?

- სიკვდილს.

- რის შეჩვევა.

- ადგილის შეჩვევა.

- რა იცი.

- აი, ამ ლოგინზე უკვე ორი კაცი მოკვდა. ეხლა ეს თათარი დააწვინეს.

- იქნებ ეგ არ მოკვდეს.



- რა ვიცი.
- ეს ფული შენთან გამომატანა.
- ვინ გამოგატანა?
- თემურიმ. შენი პალტო იმას გაუყიდა მაშინ.
- წაიღე, არ მინდა.
- არა, აი, აქ გქონდეს, - მერაბმა ბალიშის ქვეშ ამოუღო ფული და წავიდა.

,

ავადმყოფები ეზოს შემოვლაზე ჩავიდნენ ქვევით. ლუკაც ჩაჰყვა. იმათ რამდენჯერმე შემოუარეს საავადმყოფოს.

ყველთვის იცავდნენ საზღვარს, რომელიც მათ პალატებს, ბავშვების პალატებისაგან ჰყოფდა.

საზღვართან, იქიდან პატარები იდგნენ, აქედან ესენი, დიდები. ერთმანეთს უხმოდ უყურებდნენ.

ეზოში მდგარ ხეზე ჭდეები იყო. ყველამ თითო ჭდე მიამატა თავიანთ კუთვნილ წილ-ჭდეებს.

ლუკამაც გაუკეთა ჭდე.

- ვა, უკვე მაგდენი? - გაიკვირვა სურენამ.
- ჰო, ორი თვეა რაც აქა ვარ.
- ნახე, იმას რამოდენა ჭდე აქვს, - ქურთის ჭდეებზე აჩვენა სურენამ.
- იმ ბაღლებსაცა აქვთ ესეთი ხე.
- ისინიც აჭდევენ?
- ჰო.

ეზოში თექვსმეტი წლის ლამაზი გოგონა შემოიყვანეს და მეორე სართულზე წაიყვანეს დასაწოლად.

ავადმყოფები უკან მიჰყვნენ და მეოთხე პალატაში, იმ საიდუმლო კარის ჭრილთან დაიკავეს რიგი, მესამე პალატას რომ ემიჯნებოდა.

- გაიხდის? - იკითხა სურენამ.
- სსუ! სინჯავს ექიმი, - ანიშნა წინ მდგომმა. მერე ყველამ თვალი შეავლო გოგონას შიშველ მკერდს.
- აფსუსს! აფსუსს! - იმახდა ერთი, - აფსუსს, მაგისტანა მზეთუნახავი.

მეხუთე პალატიდან «დელეგაცია» გამოვიდა და კარის ჭრილთან იმათ დაიკავეს «პოზიცია».

,

დერეფანში პურს ჭამენ ავადმყოფები.

მეხუთე პალატელების შიკრიკი ლამაზ გოგონასთან მივიდა და უჩურჩულა:

- მეხუთე პალატაში თქვენი ნათესავი წევს, ვერ დგება, დაგიბარათ, ერთი წუთით შემომხედეთ.

გოგონა გაყვა.

მეოთხე პალატა რომ გაიარეს, შიკრიკი თითით დაემუქრა ლუკას, ანიშნა ჩუმად იყავო.

ერთი წუთის მერე, დაგუდული ყვირილი გაისმა მეხუთე პალატიდან.

ლუკა წამოხტა და შეიხედა: ორს ეჭირა და მესამე გაუპატიურებას უპირებდა კაბაჩამოხეულ გოგონას.

ლუკა მათ ეძგერა.

ატყდა ჩოჩქოლი.

პალატაში ექიმები შემოცვივდნენ.

მეხუთე პალატიდან სამი კაცი გააგდეს იმ დღეს. დანარჩენებს ხმა არ ამოუღიათ და ისეთი თვალეზით უყურებდნენ ლუკას, აშკარა იყო, რაღაცას უპირებდნენ.

,

წვიმს.

ავადმყოფები ფანჯარას აკვრიან სახეებით.

ეზოში ის ლამაზი გოგონა მიდის.

- არ ყოფილა ავად, - გულდაწყვეტით თქვა ერთმა.

- აბა რაღას მოჰყავდათ აქ!

- ანალიზები აუღეს და არ ყოფილა ავად, - ისევ გულდაწყვეტით თქვა მან.

გოგონა ეზოდან გავიდა.

წვიმდა.

ექიმმა შუადღის ძილი გამოაცხადა და ყველანი დაწვნენ.

- ლუკა, დერეფნის ბოლოს შენი და გიცდის, - დაუძახა სანიტარმა.

ამჯერად ლუკამაც აკოცა დას, უკვე კარგად იყო.

დამ ყვავილები მისცა და საჭმელები ამოალაგა ჩანთიდან.

მერე ერთმანეთს დაემშვიდობნენ და წასვლისას დამ ჰკითხა:

- კიდევ დიდხანს დარჩები?

- არა, უკვე კარგადა ვარ, ოღონდ ჯერ არ ვიცი.

და წავიდა.

ლუკა შემობრუნდა და ვასოს მოჰკრა თვალი.

ვასიამ თვალი ჩაუკრა და ხელებით ანიშნა იმის დაზე - ესეო.

ლუკა და ვასო ერთმანეთს ეცნენ.

ხან ერთია ძირს და ხან მეორე, კაციშვილი იმათ გასაშველებლად არ გამოსულა, წყნარი საათი იყო.

ბოლოს ვასო მოექცა ძირს და იმდენი ურტყა ლუკამ, მანამ თვითონაც არ დაიქანცა. ვასოს ცხვირიდან სისხლი მოსდიოდა.

ლუკა საავადმყოფოდან გავარდა.

გარბოდა მანქანებში.

ვერ ჩერდებოდა, ეგონა მთელი ჯოჯოხეთი უკან მოსდევდა, მერე საგიჟეთს რომ გაუსწორდა, მაშინლა მოვიდა აზრზე.

შედგა.

ფანჯრებიდან გაკვირვებული უყურებდნენ გიჟები. ახალა დაიხედა ტანსაცმელზე და მიხვდა რომ მასაც იმათნაირი ტანსაცმელი ეცვა და გარეთ რომ იყო, ალბათ ის უკვირდათ გიჟებს.

ლუკა სტუდენტულაქში წავიდა.

საიდუმლო შესასვლელიდან შევიდა, მაგრამ მეთე კორპუსი იქ აღარ დაუხვდა, მეთე და მერვე კორპუსები დაენგრიათ სიძველის გამო.

ლუკა ქუჩაში გამოვიდა. ტაქსი გააჩერა და სთხოვა ავტობუსების სადგურში გამიყვანო.

- დაბრძანდი, ჩემო ბატონო! - ზრდილობიანად მიიპატიჟა მძღოლმა.

ლუკა ჩაჯდა.

ერთ შენობასთან მძღოლმა ტაქსი გააჩერა და ლუკას მოუბოდიშა:

- ერთი წუთით შევირბენ, ბატონო, პატარა საქმე მაქვს აგერ და გამოვალ ამ საათში.

- კი, ბატონო.

ტაქსის მძღოლი მალევე დაბრუნდა და ორი მილიციელი დააყენა ლუკას თავზე.

- აგერ ზის, ჩემო ბატონო, მთვრალია მე მგონი, იგინება, არ გამიჩერა ერთი მკვდარი საფლავში.

- აბა ერთი გადმობრძანდით!

ლუკა გადმოვიდა.

- რაზე აგინე ამ პატიოსან კაცს შენ?

- ვის?! - გაუკვირდა ლუკას.

- არ იცი, ვითომ, მთვრალი ხარ?

- არა.

- აბა წამობრძანდი!

- მე თავისუფალი ვარ, ბატონო? - იკითხა მძღოლმა.

- არ დაიკარგო, - გააფრთხილეს იმათ.

- კიდევ მოვალ დღეს ორ-სამჯერ, - თქვა მან და წავიდა.

ლუკა შენობაში შეიყვანეს.

- ააა, თავის ფეხით მობრძანდა! - გაიცინა ერთმა მილიციელმა რომელიც მაშინვე იცნო ლუკამ.

- გვიმღერებს აბა მაშ, ამაღამ ტკბილ ხმაზე ბეჭეკვს. გიჟები რომ ხართ კი ვიცი მარა, სუ გადაირიეთ ეს თეატრალები და პიჟამოებითაც დაიწყეთ ქუჩაში სიარული? თანაც გიგინებია იმ კაცისთვის.

- მე არავისთვისაც არ მიგინებია.

- ხმა ჩაიკმინდე! როგორ თქვი, ბეჭეკვებს ღებულობენ თქვენს ინსტიტუტშიო, აბა თქვი რატომ აგინე იმ კაცს?!

- არავისთვის არ მიგინებია.

- თქვი-მეთქი! - თმაზე მოქაჩა მილიციელმა.

- ხელი გამიშვი! - გაბრაზდა ლუკა.

- ააა, ხელს მიბრუნებ? აბა შეაგდეთ ვირის აბანოში.

მიუშვეს ცივი წყალი.

- არა, არა! ცივი წყალი არ დამასხათ, ცუდადა ვარ, ცუდად ვიყავი, დედას გეფიცებით ცუდად ვიყავი, - შეეხვეწა ლუკა.

- აჰაა, გასაგებია, ბანაობა მერე, აბა წაავარჯიშე მოფარებულში, - უთხრა იმ მილიციელმა მეორეს და იმან კამერაში შეაგდო ლუკა.

- სანამ არ იტყვის რატომ აგინა იმ კაცს, ავარჯიშე, - მიაძახა უფროსმა.

- რატომ აგინე მძღოლს?

- არ მიგინებია.

ლუკას მუშტი მოხვდა და დაბარბაცდა.

იმ ღამეს დასასრული აღარ ჰქონდა...

მეორე დილით ცუდად გახდა და ექიმს გამოუძახეს.

- დასუსტებულია, დასვენება უნდა, - თქვა ექიმმა.

- ის კაცი ჩივის, მაგინაო, გადაუხადოს ჯარიმა და კი ბატონო, საწინააღმდეგო რა გვაქვს ჩვენ, წავიდეს მერე სადაც უნდა - უთხრა მილიციელმა.

- რამდენს ითხოვს? - ჰკითხა ლუკამ.

- ეგ შენზეა დამოკიდებული, შენ უკეთ არ იცი რა ღირს შენი გინება, საერთოდ კი ტაქსის მძღოლებს ორმოცდაათი მანეთი აქვთ გეგმა დღეში. ხომ გაუცდა ის დღე, როგორღა იმუშავებდა, განერვიანებული იყო.

ლუკას მერაბმა რომ საავადმყოფოში მიუტანა იმ პალტოს ფული, ჯიბეში ჰქონდა, ამოიღო, დაითვალა, ორმოცდათხუთმეტი მანეთი იყო, ხუთი მანეთი ისევ შეინახა, ორმოცდაათი მანეთი მაგიდაზე დადო.

- ოცი მანეთი კიდევ უნდა გადაიხადო, ხუთი მანეთი ექიმის გამოძახებისათვის და თხუთმეტი მანეთიც, წუხელ რომ მოგემსახურეთ მთვრალს და ღამე გაგათენებინეთ, იმისთვის.

- ხუთ მანეთზე მეტი არა მაქვს, გამიშვით, მოვიტან და გადავიხდი.

- საიდან მოიტან.

- მეგობარს გამოვართმევ ინსტიტუტში.
- რა ჰქვია შენ მეგობარს?
- მერაბი. მერაბ ბახია.
- წადით მოიყვანეთ ბახია აქ! - უბრძანა უფროსმა.
- რამდენიმე ხანში მერაბი მოიყვანეს.
- მერაბ, ჩემი ტანსაცმელი და ფული მომიტანე, - სთხოვა ლუკამ.
- რამდენი?
- რაც ღირს.
- რა?
- ღამის გათენება და ექიმის გამოძახება.
- გასაგებია, წავალ ვიშოვი, შენი ტანსაცმელი შენახული მაქვს, - თქვა მერაბმა და წავიდა.
- ერთ საათში მოიტანა ფული და ტანსაცმელი.
- რომ გაანთავისუფლეს, ერთხელ კიდევ დაუცაცხანა მილიციელმა ლუკას:
- რას გავდი რომ იყო, სცენა ხომ არ გგონია ქუჩა, რომ დაიარებით თქვენ ნებაზე პიჭამოებით, სხვა დროს წესიერად მოიქეცი, თორემ არ აგცდება ვირის აბანო.
- წამოვიდნენ.
- ერთი სული ჰქონდა ლუკას, როდის გაექცეოდა ქალაქს. თითქოს ქალაქს სძულდა იგი. ვერ ითვისებდა. თავისიანად ვერ იხდიდა, ვერ გუობდა.
- მადლობა გადაუხადა მერაბს და შეჰპირდა, ფულს მალე დაგიბრუნებ, წერილით გამოგიგზავნიო.
- დაემშვიდობა და ავტობუსისაკენ წავიდა. კი არ მიდიოდა, გარბოდა, უკან მისდევდა მთელი ქალაქი და უყვიროდა:
- აღარ ჩამოხვიდე, აღარ ჩამოხვიდე აქ!
- იმათ სოფლისაკენ კვირაში ორჯერ გადიოდა ავტობუსი, მძლოლი ღამეს იმ სოფელში ათენებდა სადაც ბოლო გაჩერება იყო და მეორე დღეს უკან ბრუნდებოდა.
- საბედნიეროდ დღეს ის დღე აღმოჩნდა, როცა ავტობუსი უნდა გასულიყო.
- სულ რამდენიმე მეზავრი იყო და სკამზე თავისუფლად დაჯდა.
- ავტობუსი ქალაქიდან გავიდა.

## წითური მგელი

- აუუუუუ! - გაისმა შემოდგომის ფერწასულ ხეობაში მგლის ყმუილი. სწორედ ამ დროს ავტობუსი ყინულზე მოცურდა და მძლოლმა მკვეთრად დაამუხრუჭა.
- ყინულზე ნუ ატორმუზებ! - წამოხტა ლუკა სკამიდან და წინ გაექანა.
- შენ მე ჰკუას ნუ მასწავლი! - ბრაზიანად შეეპასუხა მძლოლი, რომელმაც უკვე მოასწრო მანქანის გაჩერება.

- ესეც ასე! - თქვა მძლოლმა და საჭეზე მოჭრილ მორებივით დააწყო უშველებელი ტორები.

- რაა? - ჰკითხა ლუკამ.

- რა და, მოვედიით, - ისევე გააგრძელა სიტყვა მძლოლმა.

- იქნებ, იქით აღარ იყოს მოყინული, ჰა?

- არა, ძმისწულო, ერთი კაცის გულისათვის, თავს საფრთხეში ვერ ჩავიგდებ, ვერაა, - ისევე გააგრძელა მძლოლმა ბოლო სიტყვა.

ლუკა შეყოვნდა, აღარ იცოდა რაღა ეთქვა, აშკარა იყო მძლოლს ეზარებოდა ერთი მგზავრის გულისათვის იმოდენა გზის გავლა. ჯერ შუადღე თუ იქნებოდა, მაგრამ მის სოფლამდე კაი ხნის სავალი იყო და თუ მძლოლი მართლა აქ აპირებდა მის ჩამოსმას, ფეხით, ალბათ ხვალ ამდრობამდისაც ძლივს მივიდოდა სახლამდე.

ერთხანს მძლოლიც ჩუმად იყო და ლუკაც. ორივე გარეთ იყურებოდნენ ფანჯრებიდან. ხეობის სიღრმეში სათოვარი ნისლი იყო ჩამოწოლილი.

- აუუუუ! - სადღაც შორიდან ისევე მოისმა ჟრუანტელის მომგვრელი ხმა. ლუკამ მძლოლს შეხედა.

- რაღას მიყურებ რა, გითხარი, ავტობუსი მეტად აღარ წავა-მეთქი, თანაც ქართულად გითხარი. თუ ისევე უკან წამოხვალ, წამოდი რა...

ლუკამ თავის ჩანთას წამოავლო ხელი და ავტობუსის ღია კარში ჩავიდა, სწორედ ამ დროს ისევე დაიყმუვლა მგელმა.

- მაიცა ერთი წუთითა, - მიაძახა მძლოლმა და ავტობუსიდან ჩამოხტა.

- რომელ სოფლიდანა ხარ?

- ხეობის ბოლოში როა, - უთხრა ლუკამ.

- მერე, დღეს რო არ მიხვიდე, პატარძალი გაგითხოვდება თუ რა?!

- ეგ შენი საქმე არ არის! - მკვახედ მოუჭრა ლუკამ.

- არ არის და აღარცრა, ხალათის კალთებსაც არ დაგახევ ზიდილითა მაგრამა, შენ რო რამე დაგემართოს, მერე შენი გულისთვის მე რად უნდა ვაგო პასუხი, ჰა? წახვალ და იჩივლებ, შუა გზაში ჩამომაგდოო, იმას კი არ იტყვი, მოყინული გზები იყო და ვსხლტებოდითო.

ლუკამ დაამშვიდა:

- ნუ გეშინია, არსად, არავითარ საყვედურს არ ვიტყვი.

- ჰა?! - ეტყობა ასეთ პასუხს არ მოელოდა მძლოლი.

ლუკა გზას დაადგა.

- მაიცა კაცო, მაიცა ერთი წუთითა. ცოლ-შვილსა ვფიცავ, მართლა მეშინია ამ გზაზე სიარული, გამორჩენა რამე რო მქონდეს, კიდეც, ჰო, ერთი მგზავრის გულისთვის რანაირად ჩავიგდო თავი საფრთხეში, თორე ვინ მამაძალი არ წაგიყვანდა! მაიცა, აი ესა, აი ამას ბენზინში დავასველებ და თან წაიღე, - ჯოხზე დახვეული ჩვარი გამოაძვრინა საბარგულიდან, ბენზინი მიუშვა და ზედ გადაასხა, მერე ლუკას წამოეწია და შეცვლილი ხმის კილოთი ჰკითხა:

- პაპიროსს ეწევი?

- არა.

- მაშინ აი, ასანთიც წაიყოლე, რო დაგიღამდება, ამ ჩვარს მოუკიდე და ერთ საათს მაინც სინათლით გავლევს, - მიიხედ-მოიხედა და დააყოლა, - ნადირიც ფრთხედა ამის შუქზედა.

ლუკამ ასანთი და ჯოხი გამოართვა.

მძლოლი ერთ ხანს კიდევ ყოყმანობდა, მერე შებრუნდა, ავტობუსში ჩაჯდა, მოსაბრუნებელი ადგილი მონახა და კარგა ხანს იწვალა სანამ მიბრუნდებოდა.

ამასობაში ლუკამ კარგა გზა გაიარა. ჯერ ადრე იყო, მაგრამ თუ ის სათოვარი ნისლი აქეთ წამოვიდოდა, შეიძლება უცებ ჩამოხნელებულიყო. იცოდა დღეს ვერ მიაღწევდა თავის სოფლამდე, მაგრამ მეზობელ სოფლამდე მაინც როგორმე უნდა მისულიყო. «შეიძლება რაიმე სატვირთო მანქანა წამომეწიოს», უფრო ეს აზრი უტრიალებდა თავში და იმედიანად მიაბიჯებდა.

ჰაერში თოვლის სუნი ტრიალებდა. შემოდგომის მზე ვეღარ მორეოდა ღამით გაყინულ დედამიწას და მიწა ხრიოკი იყო, თუმცა ცაზე არც ჩანდა მზე, მთების ზემოთაც მთელი ცის სიგრძე-სიგანეზე, ისეთივე სათოვარი ღრუბლები იყო შემოჯარული, როგორც შორს, ხეობის სიღრმეში. ეტყობოდა ეს გაცრეცილი ნისლი იყო შუამავალი ცასა და მიწას შორის, შემოდგომასა და ზამთარს შორის. აქა-იქ ტყეებს ჯერ კიდევ შერჩენილი ჰქონდათ გაყვითლებული ფოთლები. სიოც კი არ ქროდა, მაგრამ თუ დაუკვირდებოდით, ეს გაყვითლებული ფოთლები კრთოდნენ, ირხეოდნენ, თითქოს გრძნობდნენ დასასრულს და შიშით კანკალებდნენ.

ხეობა იყო ვიწრო. მაღალ მთებს შორის მოქცეული სივრცე იდუმალებით იყო სავსე. ღორღიან ჭალაზე მდინარე მოედინებოდა, ისიც წყნარად, დაწმენდილი, ნაპირებშემოყინული ისე იყო დაპატარავებული, კაცი თუ მოინდომებდა, ფეხის დაუსველებლად გადაახტებოდა კიდევაც, თუმცა კი მის სანაპიროებს ეტყობოდა, რასაც წარმოადგენდა ზაფხულობით ეს მდინარე. სავალი გზა მიხვეულმოხვეული იყო, მაგრამ მაინც კარგა მანძილზე მოჩანდა ხეობის სიღრმე. ფერდობებზე სჭარბობდა წიფლის ტყეები. ტყეების ზემოთ ალპური ზონა იწყებოდა. მთის წვერები არ ჩანდა, ზეცა იყო მათზე ღრუბლებით ჩამოყრდნობილი. თანდათან დაბლა ეშვებოდნენ ღრუბლები და ხეობაც უფრო იდუმალი ხდებოდა.

მთლიანად იდუმალ გარემოში იყო გახვეული ლუკა და რაც კი შეეძლო ფეხს უჩქარებდა. მისთვის მშობლიური იყო მთელი ხეობა და ამდენი ხნის მონატრებულს, ახლა ყველაფერი სამოთხედ ეჩვენებოდა, გულსა და გონებას უხსნიდა და ათასნაირ ბავშვობისდროინდელ თავგადასავალს წარმოუდგენდა თვალწინ. ბავშვობაში ზაფხული უფრო უყვარდა. ზამთარი კარგი იყო. პირველი თოვლის მოსვლას ხომ სულწასულად ელოდებოდნენ და ზამთარიც ყოველთვის მოდიოდა, არასოდეს არ დალატობდა ბუნების წესს.

საოცრება იყო, როდესაც მოლოდინით გაფერმკრთალებულ მთებს, სათოვარი ღრუბლები გადმოადგებოდნენ თავზე, გადაეკვროდნენ მთელ ცას, პირშეკრული ზეცა, ქვემოთ, ხეობის სიღრმისაკენ ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით ჩამოიწევდა და წიფლიანი ტყეების ზემოთ შეჩერდებოდა, დაიმუხტებოდა. მაშინ დედამიწაც, ზეცის მოახლოვებას გრძნობდა და იმის გულს ბაგა-ბუგი გაუდიოდა. გაყუჩდებოდა ყველა სულდგმული. ასეთ დროს ჩიტიც კი არ გადაფრინდებოდა ხიდან ხეზე, სიო რა არის, სიოც კი არ შესძრავდა ხეს, მარტო აქა-იქ ხის კენწეროზე შემორჩენილი ფოთლები თრთოდნენ, ცხროოდნენ, კანკალებდნენ და ისინიც უხმოდ. დიდი, იდუმალი სიმშვიდე იდგა მთელს ხეობაში ერთ წამს, ორ წამს, შეიძლება ერთი საათიც კი. არ ვიცი, ასეთი ზეციური სიმშვიდის დროით გაზომვა შეუძლებელიც კია, ასეთ დროს შეიძლება წამიც კი საუკუნოდ მოგეჩვენოს. ზეცაა დედამიწაზე ჩამოსული და დედამიწა ყურს უგდებს, ჩუმადაა. და ამ ღვთაებრივ სიჩუმეში უცებ კრთებოდა მოძრაობის წამი და მიწისკენ შრიალით წამოვიდოდა თოვლის ფანტელები. ეს ხმა ჰგავდა ზეციურ საგალობელს, რომელსაც სულგანაბული ყურს უგდებდა დედამიწა. უცებ, ამ დროს, საიდანღაც ამოფრინდებოდა ყვავი და ყრანტალით გააყრუებდა იქაურობას. მერე სხვა ყვავებიც წამოიშლებოდნენ, მერე იწყებდნენ ფრენას, ხის კენწეროებიდან თოვლის ფიფქებით დამძიმებული ყვითელი ფოთლები ცვიოდნენ და ფანტელებთან ერთად ისინიც ჰაერში დაფრინავდნენ. ეზოებში ბალღები ატებდნენ სირბილს. დედამიწა ნელ-ნელა თეთრდებოდა და ხეობაში თანდათან მკვიდრდებოდა ზამთარი.

დღევანდელმა დღემ გაახსენა ლუკას ეს ყველაფერი. ახლაც ასეა, ზეცა თანდათან ჩამოდის ქვემოთ, დედამიწას გული გადაუშლია და შესახვედრად ემზადება. ირგვლივ სიჩუმეა გამეფებული, სიოც კი არ არხევს ხის კენწეროებს, მარტო გაყვითლებული ფოთლები კრთიან, კანკალებენ უზარმაზარ წიფლის ხეებზე. საცაა უნდა დადგეს გარინდების წამი და წამოვიდეს შავ მიწაზე ზეციური საგალობელი.

სიჩუმეა.

და ამ სიჩუმეში უცებ გაისმის:

- აუუუუუ!

შეკრთა ლუკა.

მიმოიხედა. თვალი მოავლო ახლო-მახლო ტყიან ფერდობებს. ხეებს შორის არაფერი არ ჩანდა. მარტო თხელი ნისლი მოიწევდა ზემოდან ქვემოთ.

- აუუუუუ!- ისევ გაისმა სიჩუმეში. ხმა სადღაც შორიდან მოდიოდა.

«ეტყობა ყარაულია, დამინახა და სხვებს ატყობინებს», გაიფიქრა ლუკამ. მძლოლმა რომ ბენზინიანი ჩვარი გამოატანა ის გაახსენდა. აღარც კი ახსოვდა რომ გადააგდო, «უკან გაბრუნება ცუდის ნიშანია,» გაიფიქრა და გზის გაგრძელება დააპირა.

- აუუუუუ! - ახლა უფრო ახლოდან გაისმა ხმა. ლუკას მოეჩვენა თითქოს მის ზემოთ, წიფლიან გორზე იყო წამოყუნცებული მგელი. «არა, ეს შიშის ბრალია და იმიტომ მეჩვენება»...



ჯერ კი დღის სინათლე მეფობდა ხეობაში, მაგრამ ისე სწრაფად მოიწვედა ფერდობზე ნისლი, შეიძლება უცებ ჩამოხნელებულიყო.

ლუკა უკან გაბრუნდა ჯობზე წამოცმული ბენზინიანი ჩვრის საძებნელად. ჯიბე მოისინჯა, საბედნიეროდ ასანთი თან ჰქონდა. «კიდევ კარგი, ესეც სადმე არ გადავადდე», გაიფიქრა და ფეხს აუჩქარა. ზურგს უკან კიდევ მოესმა გულისწამლები ყმუილი. სცადა გულში შიში არ შეჰპარვოდა და სტვენა წამოიწყო. «ვაი თუ სადმე გზის პირას მოვისროლე ჯოხი... არა, არა, ამაზე ფიქრი არ ღირს, შიში რა კაცის საქმეა, თანაც დღისით... რო დაღამდეს?... სადმე მახლობელ სოფელში შევუხვევ და იქ გავათენებ...»

ლუკამ გზის პირას დაგდებულ ჩვარს მოჰკრა თვალი და ისე გაიქცა მის ასაღებად, თითქოს იქეთა მხრიდან კიდევ ვინმე გამორბოდა და ეშინოდა ალება არ დამასწროსო.

ჯოხი აიღო და ისევ სოფლისაკენ მიმავალ გზას დაადგა.

ახლა უკვე, ასე თუ ისე, «შეიარაღებული» იყო და პირველმა შიშმაც გადაიარა. ხეობაში ჩამომდგარ იდუმალეზასაც შეეჩვია, გაითავისა. ისევ მშობლიური და ახლობელი გაუხდა მიდამო. მგლის ყმუილიც კი თითქოს განუყოფელი ნაწილი იყო იმ ყველაფრისა, რაც ლუკას გარშემო ხდებოდა და რასაც «სათავისო», «თავისიანი» ერქვა. თითქოს სადღაც, მისი ბავშვობის შორეული დღეებიდან გამოჰყმუოდა აწმყოს მგელი. მარტო ლუკა იყო ფერშეცვლილი, გაზრდილი და სხვა ყველაფერი კი ისევე იყო როგორც ბავშვობაში.

ზეცა მოიწვედა ქვემოთ.

დედამიწა ემზადებოდა მის შესახვედრად.

ლუკა იყო მგზავრი.

სადღაც ყმუოდა მგელი.

- აუუუუ! - ბავშვობაში სწორედ ასევე ყმუოდნენ ზამთრის დამდეგისას მგლები, სოფლის გაღმა წამოყუდებულ საკიდობნიას ტყეში. ჯერ ერთი მგელი დაიწყებდა, სვენებ-სვენებით, გულის გამწყალეზად. იმას საიდანღაც მეორე მისცემდა ბანს, ოღონდ ეს უფრო ღამ-ღამობით ხდებოდა, დღისით იშვიათად, მაგრამ მაინც ხანდახან დღისითაც ატყობინებდნენ ერთ-ერთს რაღაცას. უფრო პირველ ღამეს იცოდნენ ყმუილი. სახლიდან გარეთ გამოსვლის შეგეშინდებოდა, თუმცა კი მგლები მდინარის გადაღმა, მოპირდაპირე მთიდან გამოჰყმუოდნენ სოფელს. ძაღლები დერეფანში იკუნჭებოდნენ. ზოგი, იმათ შორის უფრო გულადი, სოფლის გარეთაც გადიოდა და ხმამაღალი ყეფით იცავდნენ სოფელს.

ამაზრზენი იყო ერთი რამ, რასაც მთელი სოფელი შიშის საბურველში ჰყავდა გახვეული. ხანდახან, როცა გაღმა ტყიდან კარგა ხანს გამოჰყმუოდა მგელი, სოფელში ერთი დედაკაცი შუაღამისას სახლის ბანზე გადადებოდა და საზარლად გაჰყმუოდა მგელს. ასეთ დროს გულადი ძაღლებიც ჩუმდებოდნენ და ისინიც თავიანთ სახლის დერეფანებში იმალებოდნენ კუდამოძუებულნი.

- აუუუუ! - ყმუოდა ტყეში მგელი.

- აუუუუუ! - აქედან გასძახოდა დედაკაცი.

- რაღაცას ატყობინებს ეს შავის მიწისა! - ჩურჩულებდა ხალხი და შიგნიდან კარებებს კეტავდნენ.

ან იმ ღამეს, ანდა მეორე დღეს, ვინმეს საქონელს უნდა დასცემოდნენ მგლები. შიშით ღამე გარეთ ვერ გამოხვიდოდი. ხალხმა იცოდა დედაკაცის ვინაობა, მაგრამ ეშინოდათ, როცა ყმუოდა მაშინ ვერ იჭერდნენ, დღისით კი ქალი ჩვეულებრივ გამოდიოდა ხალხში, წყალზე გაჰყავდა საქონელი, მზიან ამინდში, სხვა დედაკაცებთან ერთად მყუდროში მიმჯდარი ქსოვდა წინდებს, აჭრელებდა წითელ-ყვითელი ყვავილებით, დროდადრო ძუძუს აწოვებდა თავის წლინახევრის ბაბლს და როცა რომელიმე ძაღლს რაღაცაზე გაუწყობდა:

- შე სამგლევე, შენა! - მიაყოლებდა თან.

ხალხი ცდილობდა რაიმეში დაეჭირა, მაგრამ ქალი არასოდეს არ ამჟღავნებდა თავის მგლობას.

- რაც ეს საშავეთო მგლად მაიქცა, სოფელს იღბალი აღარ ექნა! - თავისთვის, ჩუმად ეჩურჩულებოდნენ დედაკაცები ერთურთს მგელქალის ზურგს უკან, პირში კი ვერავინ ვერაფერს ვერ უბედავდა. ყველას სათავისოდ ეშინოდა, პირველს ვერავის ვერ გაეხედა მგლისთვის კბილის გაკვრა.

- აუუუუ! - ისევ დაიყმუვლა მგელმა და ლუკას საშინლად გააჟრჟოლა. ახლა იგი მთელი არსებით იმ ქალზე ფიქრობდა. მაშინ პატარა იყო და როცა ქალი მგლებს გაჰყმუვლებდა, საბნის ქვეშ იმალებოდა და ხმის ამოღების ეშინოდა. დღისით დედაკაცები პირჯვრის წერით ეჩურჩულებოდნენ ერთ-ერთს გაუგონარ ამბავს:

- ქალოოო, კუდიანებთან ჰქონია მაგ მგელშავას საქმე! - ქალშავასაც აღარ ამბობდნენ, მგელშავას ეძახდნენ და ეს «მგელშავა» საზარლად ჟღერდა, თუმცა ქალი არ იყო უხეირო შესახედაობის, ლამაზიც კი იყო, ზურგზე ნაწნავებ-გადაყრილი, შოლტივით ტანი და მაცვალივით შავი თვალები ჰქონდა, რომლებიც მუდამ რაღაცას დაემებდნენ, მაშინაც კი, როცა თავის პატარა ბაბლს ძუძუს აწოვებდა, მაშინაც არ ისვენებდნენ მისი თვალები.

- კუდიანი ყოფილა, თეთრუას უნახია, უკან პატარა კუდი აქვსო - იფიცებოდა!

- ახი კი არის, შაკრას სოფელმა პირი და დააყენოს თეთრუას თავზე, - ჩურჩულით იმუქრებოდა ერთი ბებერი დედაკაცი, მაგრამ, - ქალო, ხმა ჩაიკმინდე, რაც შენი საქმე არ არის იქ ნუ ერევიო, - აჩუმებდა დედამთილს შეშინებული რძალი.

- როგორღა ჩემი საქმე არ არის, ლამის არის ამაგდოს მთელი სოფელი, - თუმცა არ ტყდებოდა, მაგრამ მაინც ჩურჩულით ამბობდა დედაბერი. ლუკა და იმისი ტოლი ბაბლები დერეფნის ერთ კუთხეში იყვნენ მიყუჟული და სულგანაბული უსმენდნენ ქალებს.

ამ დროს, თითქოს იცოდა რომ მასზე ლაპარაკობდნენ, მოვიდოდა ხელშიაყვანილი ბაბლით ქალი და ისიც დედაკაცებთან ჩამოჯდებოდა ღიმგადაკრული სახით. ქალები უცებ წყვეტდნენ მასზე ლაპარაკს. ბაბლები შეშინებული თვალებით მისჩერებოდნენ ქალის უკანალს და ცდილობდნენ რამენაირად დაენახათ მისი კუდი.

ქალი თითქოს ამასაც ხვდებოდა, ერთი ისეთი თვალებით შეხედავდა ბაღებს, იმათ შიშის ჟრუანტელი დაუვლიდათ და გარბოდნენ. თუ წყაროზე მიმავალნი, იქედან მომავალ ქალს გზად შემოეყრებოდნენ, გზისთავ აცვიოდნენ, ხბოებივით ერთმანეთს აეტუზებოდნენ, საწყლე თუნგებსა და ლიტრებს გულზე მიიკრავდნენ და ჩუმად ქსუტუნებდნენ. ქალი ჩაუვლიდა, მარტო წამით შეავლებდა ბაღებს თვალს, და იმათაც მეტი აღარ უნდოდათ.

ახლაც თვალწინ დაუდგა ლუკას ეს თვალები და შედგა. უკნიდან თითქოს მანქანის ხმა მოესმა, მაგრამ ისევ მიწყდა.

ქალის თვალების გახსენებაზე შეაჟრჟოლა ლუკას...

სოფელში ათასნაირი უსიამოვნო ამბები ხდებოდა და მგლობაში და კუდიანობაში ეჭვიმიტანილი ქალი სოფლის დასანახად აწოვებდა ძუძუს თავის პატარა ბაღს.

ერთ ზაფხულს მთიდან შემფოთებული მწყემსი შემოვარდა სოფელში. მწყემსი აქაურ მთებში მოჯამაგირედ ყოფილა და საკუთარი თვალით ნანახს ყვებოდა. ლუკას იმ მწყემსის თვალებიც ისე ცხადად ახსოვს, თითქოს ახლა შეხვედროდეს გზაზე.

იმ დამეს მარტო ყოფილა მწყემსი ცხვრის ყარაულად და რაკი მეორე დღეს ამხანაგს ელოდა, სოფლის მხარეს მთის ფერდზე გამოუშლია ცხვარი სამოვარზე.

მწყემსი დურბინდით ჩაჰყურებდა სოფელს და ხალხის შორი ხილვითა ერთობოდა მარტოობით დაღლილი. მწყემსი ხედავს სოფლიდან მხედარი გამოვიდა, ერთ ცხენზე თვითონ ზის, მეორე უკან მოჰყვება. უკან ცხენი საბლითა ჰყავს მხადარს გამობმული. კარგა გზა გამოიარეს და ტაფობში ჩავიდნენ. კარგად რომ დაუკვირდა მწყემსი, ის მხედარი პატარა ბიჭი აღმოჩნდა.

ცხვრის ფარა მზეზე იყო დამურვილებული და მწყემსს დრო ჰქონდა სოფლისათვის ეყურნა.

არ გასულა დიდი დრო მას მერე, რაც ბიჭი ცხენიანად ტაფობში ჩაეფარა და სოფლიდან ახლა თუნგაკიდებული ქალი გამოვიდა. გამოიარა წყაროს გზა, ჩამოვიდა ქვემოთ, დადგა თუნგი, გაგორდ-გამოგორდა ერთ მტვრიან მიწაზე და მგელი წამოდგა. გამოეკიდა ბაღს და მიეტანა უკანა ცხენს საკბენად. დაფრთხა ცხენი, გაინაცა საბელზე გამობმული ბაღი და გადაეშვა გაცოფებულ მდინარეში.

ის ცხენი, რომელზეც ბიჭი იჯდა, ერთ ადგილზე დადგა ყალყზე, თითქოს წინა ფეხებით უნდოდა მგლის მოგერიება, მაგრამ მგელმა იმას ყური არ უგდო, შემობრუნდა, აღმართი ამოიარა, ისევ იმ ადგილზე გაგორდ-გამოგორდა და ქალი წამოდგა.

ქალმა თუნგი წამოიკიდა, წყაროზე ავიდა, წყლით აავსო და სოფელში შევიდა.

მარნოდ დარჩენილი ცხენი კარგახანს დგებოდა ყალყზე და ჭიხვინებდა. მერე მდინარის აღმა-დაღმა დაიწყო სირბილი და ხვიხვინით ეძებდა თავის პანარა პანრონს. მდინარე მოჰქუხდა ლოდებზე და ქაფს იკიდებდა.

ცხენმა, რამდენჯერმე გამწარებულმა ჭიხვინითა და ლოდებზე ნალების ძგარა-ძგურით აირბინ-ჩაირბინა მდინარის აღმა-დაღმა. მერე ერთ უფსკრულთან შედგა,

ყურებდაცქვენილი რაღაცას მიაშწერდა წყალში და თვითონაც გაცოფებულ მდინარეში გადაეშვა. ერთწამს მარნო მისი ფეხები გამოჩნდა წყლიდან, მზის სხივებმა გაიელვეს ნალებზე და მერე ყველაფერი მორევმა შთანთქა.

- ჯერ მინდოდა ბაღის საძებნელად გავქცეულიყავი, მაგრამ მერე მეც შემეშინდა მგლისა, თანაც ცოცხალს მაინც ვეღარ მივასწრებდი, ისეთი ადევებული წყალი მოდის - აქოშინებული ჰყვებოდა მწყემსი და იძახდა:

- ის ქალი ამ სოფელში შემოვიდა, აქაური უნდა იყოს, გამოვიდეს ყველა და ვიცნობ, ვიცი როგორი კაზაც ეცვა.

მაღალ ბანზე ჩაამწკრივეს ქალები და დედაკაცები. მწყემსმა ჩამოუარა და ჰკვლევდა. ხალხი გამნკნარებული იყო ამ ამბით, მარნო წყალწაღებულ ბიჭზე ანეხილი წიოკი აყრუებდა სოფელს. მდინარისაკენ გარბოდა თმებგაშლილი ქალი და უკან სამი-ოთხი წლის გოგო და ბიჭი მისდევდნენ ნირილით.

მწყემსი საეჭვო ქალთან შედგა. ქალი ბაღს ძუძუს აწოვებდა და იმის წინ შეჩერებულ მწყემსს მარნო ერთხელ ამოხედა. ყველამ დაინახა როგორ შეკრთა მწყემსი და გაცილდა ქალს...

ვერ ამოიცნო.

სოფელმა კარგა ხანს ეძია წყალწაღებული და ვერ იპოვა.

ბიჭის დედას თეთრუა ერქვა.

სოფელს ეჭვი ჰქონდა ვისი ნამოქმედარიც იყო ეს საქმე, მაგრამ შიშით ხმას ვერავინ იღებდა.

- თეთრუამ რომ გათქვა, კუდი ვუნახეო, მაგის თქმაზე აგე რა დამართა იმის ბაღს, აბა ის ერთი ბეწო ბაღლი რაღას უშლიდა მაგ მგელშავას, მაგასა, - ჩურჩულებდა სოფელი.

თეთრუაი ზეზეურ ჩამოხმა შვილის ძებნაში. იჯდა ერთხელ დალილი-დაქანცული, ჩაჰყურებდა წყალს და ჩაჰქვითინებდა გულამომჯდარი:

- სხოს კი რას გამოგაჯავრებ, წყალო, არ შეგსომ ნიალო! - ეწყობა სწყუროდა. მერე იმის ყურებამდეც მიაღწია ხალხის ჩოჩქოლმა და შეშინდა დანარჩენ ბაღლებსაც რამე არ აუნეხოს ქალმგელმაო.

ერთ დღეს ისევ დაკარგული ბიჭის საძებნელად წავიდა თეთრუაი. პანარა გოგო და ბიჭი სახლში დანოვა და დაარიგა:

- კარი შიგნიდან გადმორაზეთ, ვინც არ უნდა დაგიძახოთ, არავის გაულოთ, - მოიხვია შავი ჩიქილა და მდინარეს აედევნა.

ბაღლები ისხდნენ ჩაბნელებულ სახლში და დაწიოკებულნი ერთმანეთს ეკვროდნენ.

- თეთრუავ სახლში ხარ? - მოისმა გარედან ქალის ხმა.

- არ არის დედაი სახლში, - გაემახნენ ბაღლები.

- ბაღლებო, კარი გამიღეთ, დო მოგინანეთ - ისევ დაუძახა ქალმა.

- არა, არ გვინდა, არ არის დედაი სახლში, - ისევ გასძახეს ბაღლებმა.

კარზე ფხაჭა-ფხუჭი აწყდა. ბალები ერმანეთს ჩაებლაუჭნენ.

უცებ ერდოდან სინათლე შემოიჭრა ოთახში. ბალებმა აიხედეს და თვალი მოჰკრეს როგორ მოძვრებოდა ერდოდან ხახადაღებული მგელი.

- გამიღეთ შვილო კარები, ჩქარა გამიღეთ! - გაიგონეს ბალებმა კარიდან თეთრუას ძახილი.

ბიჭი გაექანა კარის გასაღებად, მაგრამ გოგო ჩაებლაუჭა:

- არ გაუღო, იქნებ ეგაც არ არის დედაი და გვანყუებს.

მგელი კი მოძვრებოდა ერდოდან და ცდილობდა კლანჭებით თავიხეს ჩაებლაუჭებოდა.

- მიშველეთ ხალხოო! - გამწარებით გაჰყვიროდა სოფელს თეთრუაი და თან შვილებს ეხვეწებოდა კარი გაეღოთ.

თეთრუას ხმაზე მოცვივდა ხალხი.

შეშინებულმა ბალებმა ერთი იმასლა მოჰკრეს თვალი, როგორ გაძვრა უკან ერდოში მგელი და მალლიდან ჩამოანათა თვალები.

მგელმა სოფლის თავზე გადაირბინა და მიიმალა.

ძლივს მოასულიერეს თეთრუაი. გონს რომ მოვიდა მერე ჰყვებოდა.

- ჩავეყვი წისქვილების მხრიდან წყალსა და უცებ წყლიდან ცხადად ხმა შამამესმა, დედი გაბრუნდი, ბალებს მიხედეთ. როგორ ამოვიარე ეს აღმართი აღარ მახსოვს და ამ ამბავს არ მოვადექი!

ქალი ფითრდებოდა, ყვითლდებოდა და აკანკალებული შვილებს იხუნებდა.

უფრო დაფრთხა სოფელი.

ჩურჩულითაც კი აღარავინ ჩურჩულებდა მგელქალის კუდზე.

ერთ დღეს კანის ხმამ გააყრუა სოფელი. ისეთი შემაზრზენი ხმა იყო, მეზობელ სოფელშიაც კი გაეგო ხალხს. რაკი ხმა თეთრუას სახლიდან გამოდიოდა, იქით გაექცნენ.

თეთრუას ქმარი ცოცხალი აღარ ჰყავდა და რაკი ასეთი ამბავი დააწყდა თავს, მამისახლიდან მოხუცი მამა მოუვიდა საპანრონოდ. კაცი ჯერ სახლში ეპანიჟა შვილს, მაგრამ ქალმა იუარა, სანამ ჩემი შვილის ძვლებს მიწას არ მივაბარებ, მანამდე როგორ წამოვალო.

ერთ დღეს კაცმა შეამჩნია რამდენჯერმე იმათ სახლს აუარ-ჩაუარა ბაღლიანმა ქალმა. კაცს რაღაცა ეჭვმა გაჰკრა გულში და სახლში შევიდა.

დიდხანს ფიქრობდა.

ერდოდან ფხაჭა-ჭხუჭი მოესმა.

აიხედა:

კანის თვალებმა ჩამოანათეს და გაქრნენ.

კაცი გარეთ გამოვიდა.

სახლის ბანებზე ბაღლიანი ქალი გადადიოდა.

კაცი ისევ სახლში შევიდა.

რამოდენიმე ხნის მერე კანის ჩხავილმა შესძრა სოფელი.

თეთრუაის სახლში ასეთი სურათი დაუხვდა მეზობლებს:

კაცის ფეხებთან თავმოკრული ნომარა ეგდო და თეთრუაის მამა გამენებით ურწყამდა კენს ამ ნომარას.

შიგნით კანა ფართხალებდა და საზარლად ჩხაოდა. ხალხს ეგონა კაცი გაგიჟდაო და შეკონეს. როცა ნომარას პირი მოხსნეს იქედან ძლივს გამოძვრა დასისხლიანებული კანა და ძლივს აითრია წელი.

კანამ ორღობე გაიარა და ქალმგელის სახლის კიბეებს აუყვა. მერე სახლში მიიმალა. იმ დღეს რანომღაც სეირის სანახავად არ მოვიდა ქალმგელი. სადამოს ცხვრიდან მოვიდა იმისი ქმარი სახლში და ცონახნის მერე ცოფმორეულივით გამოვარდა სოფელში.

- მითხარით ვინ სცემა ჩემ ცოლს, მე თქვენი...

იგინებოდა კაცი.

მერე გაირკვა - კაცი შინ შევიდა და ნახა მთლად ჩაბეგვილი ცოლი ესვენა ნახნზე. ბაღლი გულზე შესცოცებოდა და ძუძუს ამოღებას ცდილობდა.

როცა ქალი გონზე მოვიდა, ვერ წამოდგა, ხერხემალი ჰქონდა ჩაღეწილი. ძლივს გახადეს სისხლიანი ნანსაცმელი და გაოგნდნენ: ქალს თეთრი კუდი ჰქონდა და მის შუა წელში სამი შავი ბეწვი განუწყვენილვ ნრიალებდა...

მომაკვდავმა სულ ბოლოს თეთრუას შეხედა და უთხრა:

- დღეის მერე დაგასვენებ, ქალო!

სული კარგა ხნის დაღეული ჰქონდა, მაგრამ წელქვემოთ წაგრძელებული კუდი ნრიალებდა, არ აპირებდა სიკვდილს.

არ დაუმარხიათ, ერთ მიუდგომელ ხევში ჩააგდეს და იმის მერე, არც დღისით და არც ღამით იმ ხევს აღარავინ გაჰკარებია.

იმ ღამეს თეთრუას სიზმარში მგელი ეჩვენა.

- წადი, შენ ბაღლს წისქვილების ქვემოთ იპოვნი, - უთხრა მგელმა.

ქალს უცებ გაედვიძა.

მამაც გააღვიძა.

ღამით წასვლა ვერ გაბედეს და გათენებას დაელოდნენ. იმ ადგილას, სადაც სიზმარში მგელმა აჩვენა, ლურჯად მონრიალებდა მორევი და თეთრუაის ბიჭს მოიყოლებდა თან...

- აუუუ! - ამ ხმამ ისევ შეაკრთო ლუკა და მიმოიხედა. დედამიწას ნელ-ნელა წამოჰკარვოდა სიბნელე.

ნისლი კი საკმაოდ იყო ჩამოწოლილი.

მოხსნა ცამ პირი და წამოვიდნენ თოვლის ფანნელები. თოვლს თავისი სუნი ჰქონდა. მაგრამ ახლა ლუკა ვეღარ გრძნობდა ამ სუნს. იგი უსიამოვნო მოგონებას ისე შეეპყრო, ადამიანის ფერი აღარ ჰქონდა. რამ გაახსენა ეს ამბავი, იგი ხომ სადღაც შორს დარჩა და აი, უკვე რამდენი ხანია აღარასოდეს გახსენებია. სოფელმაც ხომ

დაივიწყა. ხომ მშვიდობით გაიზარდნენ თეთრუაის ბალები, გოგო ლუკასათნ სწავლობდა სკოლაში, ბიჭი ერთი წლით პანარა იყო და იმათ მომდევნო კლასში სწავლობდა. მგლის შიში დიდობაშიც გამოჰყვაო. ერთხელ, მთელი სკოლა ნირილით აიკლო ბიჭმა. მასწავლებელს გარეულ ცხოველებზე უნდა აეხსნა გაკვეთილი და შემთხვევით მგელზე ჩამოუგდია ლაპარაკი.

- არ გინდა რა მასწავლებელო! არ გინდა რა მასწავლებელო! - შეეხვეწა თეთრუაის ბიჭი.

მასწავლებელმა ყური არ ათხოვა და დაფაზე ქაღალდი გააკრა, სადაც მგლის ჩონჩხი იყო გამოხანული. მაშინ კი იღრიალა თეთრუაის ბიჭმა, კლასიდან გამოვარდა, თავის დასთან მიიჭრა, მუშნები მომუჭა და ღრიალით გაჰკიოდა:

- ჩემ დას ხელი არავინ ახლოთ! ჩემ დას ხელი არავინ ახლოთ!

მერე ორივეს თანდათან გაუქრათ შიში და აღარც მგლებზე ლაპარაკს ერიდებოდნენ.

დავიწყებას მიეცა ეს ამბავი.

მაშ ლუკას რაღამ გაახსენა ეხლა, როცა ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ არის და ეს-ესაა ჩამოღამდება.

ჰაერში ახლად წამოსული თოვლის სუნი ნრიალებს და თოვლის მოსვლასთან ხომ იმდენი რამე აკავშირებს მის ბავშვობას, მას კი მაინცდამაინც ის მგელქალი ამოუხნა წარსულიდან. იქნებ არც კი ყოფილა ეს ყველაფერი. იქნებ როდისმე ბავშვობის დროს სიზმარში ნახა და ახლა ცხადი და სიზმარი ერთმანეთში ერევა. ახლა თვითონვე უნდა დააჯეროს თავს რომ ეს სიზმარში მოხდა, ისევე როგორც ბევრი სხვა რამე, მაგრამ სიზმარში ხომ დაფრინავდა კიდეც, რანომ ვეღარ იხსენებს, რანომ არ აგონდება ის განცდა?

- აუუუუ! - იქნებ ეს ხმაც წარსულიდან ისმის და ახლა სულაც არ ყმუის მგელი. იქნებ ეს თოვლის ფიფქებიც წარსულიდან მოდის, ეს ნისლიც იქაურია. ეს გზა?

- აუუუუ! - არა, ეს ცხადი ყმუილია, თანაც უფრო ახლო ყმუის ვიდრე აქამდე ეგონა. დღის სინათლევ თანდათან ქრება.

თოვამ იმანა.

არემარეს სითეთრე მოერია.

მერე ჩამოღამდება და ჩაშავდება ყველაფერი, ახალმოსული თოვლიც კი, ასე იცის როცა ნისლია და ხვავრიელად თოვს. როგორმე მახლობელ სოფლამდე უნდა მიაღწიოს, თორემ თუ გზა აებნა, შეიძლება უფსკრულშიც გადაიჩეხოს.

წელან მანქანის ხმა მოესმა ლუკას, მაგრამ მალევე მიიწყდა. ენყობა მოეჩვენა. იქნებ იმის გახსენებაც მოჩვენება იყო, მაგრამ არა, არა, ახლა მოჩვენებაზე არ უნდა იფიქროს, ყველაფერი ცხადია, რაც ცხადში ხდება. თეთრუაის ბალები ხომ მასთან სწავლობდნენ, მგელქალის ბალები ხომ იზრდებოდა მათ სოფელში, მერე მამამისმა წაიყვანა და სადღაც გადაიკარგნენ. ნენავ სად არის ახლა ის ბალები. იმას ხომ კუდიანი ქალის ძუძუ ჰქონდა ნაწოვი. იქნებ ისიც მგლად მოიქცა და დადის კაცთა

შორის. ანდა ვინ იცის, რამდენი მგელი დადის კაცის თუ ქალის სახით. ეს ამბავი ერთხელაც არ გახსენებია ქალაქში. სოფელი პანარაა და ერთმა მგელქალმა ხეირიანად ვერც კი დამალა თავი. ქალაქი დიდია, უამრავი ხალხი ირევს. ნუთუ მართლა შეიძლება მგელი კაცივით დადიოდეს. თუ ასეა, ვინ იცის რამდენჯერ გადააჰყრია მგელს. ზოგმა შემთხვევით ჩაუარა ქუჩაში, ზოგმა... იქნებ დაძრწიან დღისით და ღამით სამგლო საქმეებით დანვირთულნი, უჯდებიან ერთმანეთს მანქანებში, ანდა საავადმყოფოებში იპარებიან... ანდა უცებ თავს დაგესხმიან და ციხეში ამოგალპობენ, ან საგამოცდო კომისიაში დაგხვდებიან, ვინ რა იცის რომ მგელთანა აქვს საქმე, კაცის სახე აქვს და ფარდობითობის თეორიას გეკითხება, შენ პასუხობ, ის გეკითხება, რას გეკითხება?

არა, არა, ასე ფიქრი არ შეიძლება, ეს ყველაფერი შიშის ბრალია, როგორ შეიძლება მიდიოდე ქუჩაში და შენსავით შარვალ-კოსნუში გამოწყობილი მგელი მოგყვებოდეს გვერდით. შეხვიდე მაღაზიაში და მგელმა ისე მოგყიდოს ფეხსაცმელი, ვითომც არაფერი. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, თეთრხალათიანი მგელი ხომ აღარ შეიძლება. ის, რაც ბავშვობისდროინდელი მოგონებიდან მგლის სახით ამოხნა, რანომ უნდა განვაზოგადოთ. მგელს რა საქმე აქვს ქალაქში, ანდა სოფლად, კაცის სახით, თუ გინდ ქალის სახით. მგელი ხომ შესჭამს ადამიანთა წილ სიყვარულს, კაცივით მათ შორის ინრიალებს და ნელ-ნელა გამოწოვს რაც კი რამ წმინდაა მათ შორის. მგელს ასეთი ხასიათი აქვს, სისხლს გამოწოვს და მძორს დასნოვებს. მერე მძორი თვითონვე გაიხრწნება.

აი, მგელმა ახლა თხა ამოახუნა ლუკას ბავშვობიდან. ლუკას დედამ უპანრონო ციკანი იპოვა და ძროხის რძით გაზარდეს. ლუკა სხვა ცხვრებთან ერთად მწყემსავდა იმ ციკანს. ერთხელ, სხვა მწყემს ბიჭებთან ერთად, თამაშით გაერთო და დაავიწყდა ცხვრები. მწყემსები შუა თამაშში იყვნენ, რომ უცებ საიდანლაც ციკანი მოვარდა, მიიჭრა ლუკასთან და შემფოთებული კიკინებდა. ლუკას ცხვრები გაახსენდა, წამოვარდა და დაუწყო ძებნა. წინ ციკანი მირბოდა. უცებ ციკანი შედგა. ლუკამ იქით გაიხედა და ფერდობზე მძიმედ მიმავალი მგელი დაინახა. დაუსწვინა, მგელმა მოხედა, ერთ წუთს შედგა, თავი მაღლა ასწია, ჰაერში შემონრიალდა და ნყვიასავით გამოეჭანა მისკენ. დანარჩენმა მწყემსმა ბიჭებმა ანეხეს კივილი. ლუკას ფეხები აუკანკალდა და ადგილიდან ვეღარ დაიძრა. მგელი კი პირდაპირ მისკენ მოექანებოდა. ციკანი ბიჭის გარშემო დარბოდა და კიკინებდა. რამდენიმე ნახნომით მათთან გაჩნდა მგელი, ერთ წამში ციკანს ყელი გამოლადრა, სისხლს დაეწაფა და მგლური ხრონინით მოხვრიპა. ვერც ერთი ნაბიჯი ვერ გადადგა უკან ლუკამ, იგი თითქმის რაღაცამ მოაჯადოვა და ერთ ადგილზე გააქვავა. მგელმა თავი წამოსწია, უკანა ფეხებზე ჩამოჯდა და ამღვრეული თვალებით დაუწყო ბიჭს ყურება. ყვირილი უნდოდა ლუკას, მაგრამ ხმა არ ამოსდიოდა. მგელი რაღაცას აპირებდა, რაღაცას ზომავდა, რაღაცისთვის ემზადებოდა.

უცებ ჰაერი თოფის გრიალმა გააყრუა.



მგელი წამოხნა თოფის ხმაზე, ჰაერში ისევე უცებ, კისერგაშეშებული შენრიალდა და ერთ წუთში გორი გადაიარა.

ლუკასთან მწყემსი ბიჭები მოვიდნენ. იმათ შორის ვილაცას თოფი ჰქონდა და შესაშინებლად ისროლა.

სალამო ხანზე ლუკას ცხვრებიც იპოვეს, ყველას ყელი ჰქონდა გამოჭრილი და ყველასთვის სისხლი გამოეწოვა მგელს. ხორცისათვის კი კბილიც არ ეხლო.

უსიამოვნოდ შეაჟრჟოლა ლუკას.

ნენავი რას უპირებდა მაშინ ის მგელი?

არც ერთი ცხვარი არ გაუნყავებიათ და არ წამოუღიათ, სისხლი კი გამოსწოვა მგელმა, მაგრამ იმ ხორცის შექმაც არ შეიძლებაო, თქვეს სოფელში.

«ნენავი რას მიპირებდა ის მგელი მაშინ? « - ეს ფიქრი აეკვიანა ლუკას და ველარ მოიშორა. ნუთუ მართლა შეიძლება მგლები დადიოდნენ ხალხში. ვინ იცის რამდენჯერ ეჯდა ლუკას ცხვირწინ მგელი და თვალეზში უყურებდა. იქნებ მართლა დადიან, ჰა? ადამიანებმა კი ეს არ იციან, კაცი კაცსა ჰგავს და არა მგელს. მგელს კი საზარელი თვისება აქვს, სისხლით გაუმადლარია, სისხლით გაუმადლობა კი ყველაზე ამაზრზენია. თუ მართლა მგლები დადიან ქალაქში, მაშინ? თუ მართლა ისეთ ადგილებზე სხედან, სადაც არ მოელი, მაშინ?

- მაშინ რა?

- რა და გამოხრავენ კაცთა მოდგმას, თანაც ისე, აზრზეც ვერავინ მოვა, კაცი კაცსა ჰგავს და არა მგელს.

- ნენავი ვინ იყო მგელი, ჰა?

- არა, არა, ასე რომ ვიფიქრო, შეიძლება ყველას მგლობა დავაბრალო.

- აუუუუ! - თითქოს ზურგსუკან დაიყმუვლა მგელმა. ლუკა უცებ შემობრუნდა, მაგრამ ვერაფერი დაინახა.

უკვე ბარაქიანად თოვდა.

ძლივსლა არჩევდა სავალ გზას. არც სოფელი ჩანდა სადმე. ახსოვდა ახლოს სოფელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს-ესაა ღამდებოდა და თუ გზა აებნეოდა, შეიძლებოდა ველარც მიეღწია სოფლამდის. ერთ-ორ კილომეტრში წისქვილები უნდა ყოფილიყო, იქამდე თუ მიაღწევდა, შეიძლებოდა ღამის იქ გათენება.

წისქვილის გაფიქრებამ ისევ წამოაგდო ბავშვობის მოგონება:

დედაბერმა დაკარგა დროის საზომი და ყოველდღე პანარძალივით ირთვებოდა. ყველას ეკითხებოდა, მაყრები არ მოდიანო?

ზოგი ეუბნებოდა, სოფლის ბოლოში შემხვდნენ, მე ორლობით ამოვედი, ისინი შარაგზით წამოვიდნენ, სადაცაა მოვლენო.

- კარებში თაფლიანი ჯამი დადგით, სიძე რომ მოვა, რას ინყვის, ერთი კოვზი თაფლი ხომ უნდა შექამოსო, - არიგებდა რძალს პანარძალი.

სიძე არ ჩანდა და დედაბერი ბუზღუნებდა:

- რა არის, რა სოფელი გახდა, ყველაფერი გადაღობეს, მაყრებმა ჩვენი სახლის გზა თუ ვეღარ გამაიგნესო.

- სიძე გაბრაზებული მიდიოდა უკან თავის მაყრიონით, მე მაგ ქალის შემრთველი არა ვარო, - მოანყუა ერთხელ ვილაცამ.

- რადაო?! - გაიოცა დედაბერმა.

- რადა და იმდაო, რო ზარმაცი ყოფილა, წისქვილში თვითონ არ დადის და რძალს აფქვევინებსო.

- აი, მამიკვდა თავი, აგრიაა! - მუხლებზე დაირწყა ხელი და იმ დღის მერე რძალს გადაეკიდა, შენ სახლს მიხედე, წისქვილში ყოფნა ჩემი საქმეაო.

რძალი რას გაუშვებდა ამ გამოყრუებულ დედაბერს წისქვილში ღამის სათენებლად, მაგრამ ისე მოაძულა თავი, ჯანდაბას, ერთი ღამე დარჩესო, იფიქრა ქალმა და დანოვა დედამთილი წისქვილში.

დაუდგა ნანანრი დღე ამ დედაბერს. ფართოდ გამოალო წისქვილის კარი, ჩამომჭკნარ ლოყებზე პუდრივით წაიცხო ქერის ფქვილი, აქაოდა სიძემ არ დამიწუნოსო, წისქვილის კარის ღობში მალულად სახლიდან წამოღებული თაფლიანი ჯამი დადგა და მოიღერა ყელი.

ჯერ ისევ პირველღამეა.

სოფელს არ სძინავს რაღა თქმა უნდა, არ სძინავს არც დედაბრის რძალს. მარნო დედაბრის შვილიშვილებს სძინავთ ნკბილად, იმათი ბებია კი ყელმოღერებული ელოდება მაყრებს.

- აუუუუ! - ისმის ძახილი.

- აქეთ იარეთ, აქეთაა! - გასძახის დედაბერი, ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ ნეფე ეძახის.

- აუუუუ!

- აუუუუუ!

- აუუუუუ! - ისმის მთელ ხეობაში.

- აქეთ, აქეთ! - ეძახის დედაბერი და წისქვილის გარშემო სიბნელეში გამოკრთებიან მგლების თვალები. დედაბერს ისინი საქორწილო მაშხალები ჰგონია და უხარია, გარეთ გამოვარდება ცეკვა-ცეკვით.

ზამთარია. დამშეულ მგლების ხროვას, ლოდინის ძაფი აქვთ გაწყვენილი და ერთი გრიალით, გაყინული თოვლის ხრამახრუშით მიარბენინებენ ნყისაკენ თავიანთ «პანარძალს».

- ნება გამწით მაყრებო, ნება! - ყვირის მონაცეხული «პანარძალი» და ამ ხმაზე გარეთ გამოეფინება სოფელი.

გვიან მიხვდებიან რაც მოხდა და თოფების სროლითა და ყვირილით გაედევნებიან «დედაბრის მაყრიონს».

ის-ისაა უნდა გადმოდგეს გორზე მთვარე.

- ნება გამწით მაყრებო, ნება! - სადღაც შორიდან მოისმის დედაბრის ძახილი.

სიძე ჩქარობს.

სოფელი თოფს ისვრის და ისე ნკბილად სძინავთ დედაბრის შვილიშვილებს, არც კი ეღვიბებთ ამ ხმაზე.

დილით კი მოიკითხავენ ბებიას და ენყვიან მაყრებმა მოინაცესო.

შვილიშვილებს კარგა ხანს სჯეროდათ ეს ამბავი, ამბავი რომელიც მგლის ყმუილმა დააფეთა და წისქვილმა გაახსენა ლუკას.

საცაა უნდა შემომგლისფერდეს, დღემ და ღამემ ერთად უნდა შეკრან პირი. ირგვლივ ახალმოსული თოვლის სუნი ნრიალებს, მაგრამ ლუკას მგლის სუნი უფრო ესმის, მთელი ჰაერი ამ სუნითაა გაჟღენთილი. წიფლის ხეები თანდათან ბინდში იძირებიან და მოჩვენებებს ემსგავსებიან. თოვლმა ყველაფერი ერთიანად გადაასწორა და ლუკას უჭირს გზის გაგნება. ჯიბიდან ასანთი ამოიღო და დააპირა ბენზინიანი ჩვრის ანთება, მაგრამ ისევ გადაიფიქრა, ანთებული ჩვარი ნახევარ საათს თუ ეყოფა და მერე? მერე ვაი თუ მგლები დაესხნენ და უფრო დასჭირდეს. ლუკას გაგებული ჰქონდა, რომ მგლებს ცეცხლისა ეშინიათ და თუ სოფლამდე ან წისქვილამდე ვერ მიაღწევს, მაშინ სჯობია შავი დღისთვის შემოინახოს ბენზინიანი ჩვარი. თუმცა თოვლმა მთლად გადაათეთრა არემარე, მაგრამ «შავი დღე» მაინც სადღაც ახლოს დასუნსულებს. მგელმა უკლო ყმუილს, მაგრამ დუმილი უფრო ამაზრზენია. როცა ყმუიან, იცის მაინც, შორს არიან თუ ახლოს, ახლა კი ასე ჰგონია ყოველი ფეხის გადადგმაზე მგელია უკანა ფეხებზე ჩაყუნცული და ელოდება.

ჩაყუნცული მგლის გახსენებაზე უსიამოდ გააჟრჟოლა.

ნენავი რას უპირებდა მაშინ, თვალწინ რომ ციკანი გამოუფანრა მგელმა და მერე წინ ჩამოუსკუპდა. ნუთუ მასაც..., არა, არა მგონია, ახლა იხსენებს იმ მგლის თვალებს და რანომღაც ჰგონია, რომ მგელს მაშინ შეეცოდა იმის წინ გახევებული პანარა ბიჭი. მანამდე, სანამ წინ ჩამოუსკუპდებოდა, ყველაფერს მგლური კანონით აკეთებდა, სისხლით იყო მთვრალი და ციკნის დანახვაზე უფრო მოერია ეს სიმთვრალე, ბიჭს კი მეგობრად ჩამოუსკუპდა წინ. ვინ იცის, რას ფიქრობდა, რას განიცდიდა იმ დროს, ნამდვილ მგლებს ხომ ცოდვა-მადლის დაუწერელი კანონი აქვთ.

გზის თავს რაღაცამ გაიფაჩუნა. ლუკა შეკრთა. მოდი ავანთებ, გაიფიქრა და ჯიბიდან ასანთი ამოიღო. ჩვარს პანარაზე ჩამოახია და ცეცხლი მოუკიდა. ბენზინი უცებ ააღდა და მიდამო გაანათა. არსად მგლის ჭაჭანება არ ჩანდა, გზის ზემოთ, თოვლი იყო ჩამოზვავებული და ენყობა იმან გაიშრიალა.

ლუკამ მიდამო მოათვალიერა და შეცბა. რაღაც არაამქვეყნიური მოეჩვენა მთელი ხეობა. ირგვლივ მარნო თოვლი შრიალებდა, სხვა მხრივ იდუმალემა იყო გამეფებული.

დაიბნა.

ერთხანს ადგილზე ინრიალა, აღარ იცოდა საით წასული-ყო, მერე თოვლში თავის ნაფეხურებს დააკვირდა და აღიდგინა გზის მიმართულება. ანთებული ჩვრის ნახევი იქვე, გზის პირას ჩამოჰკიდა და გზა გააგრძელა.

თუ სადმე ახლოს იყვნენ მგლები, ცონა ხნით მაინც დაფრთხებიან. ეს კარგი მოიფიქრა, პანარ-პანარა ნაჭრებს აანთებს და გზადაგზა დასნოვებს. თუ მართლა ეშინიათ მგლებს სინათლის, მაშინ იქნება აღარც აედევნონ კვალში, რაც არ უნდა იყოს, წინიდან შემხვედრს უფრო დაინახავს და მოიგერიებს, ვიდრე უკან ადევენებულს.

მთვარე მაინც ამოვიდეს, მაგრამ ენყობა ამაღამ მთვარე არ ამოვა. მთვარე აფრთხობს მგლებს, რანომ, დანამდვილებით არავინ იცის, მაგრამ ვიღაცამ უთხრა, მთვარიდან მგლებს მძორის სუნი ესმით და ამ სუნს უფრთხიან, ემალებიანო.

მგლებს კი სიცოცხლე უყვართ, იმინომ ეწაფებიან სისხლს, რომ სიცოცხლე სისხლშია და მოწყურებულები სვამენ სიცოცხლეს.

ძაღლებიც შეჰყმუიან ხოლმე მთვარეს, როცა ვინმეს სიკვდილსა გრძნობენ.

ნუთუ მთვარეა სიკვდილის ადგილის დედა?

ლუკამ აღარ იცის საით მიდის, იგი ალაღბედზე მიიწევს წინ და ყოველ გაფაჩუნებას ყურს უგდებს. გზადაგზა ჩვრის ნაჭრებს ცეცხლს უკიდებს და ზურგში სნოვებს, რომ უკანიდან არაფერი წამოეპაროს. ცეცხლისა, თურმე, ეშმაკებსაც ეშინიათ...

ეშმაკების გაფიქრებაზე ცივად გაჰბურძგლა. რანომღაც ის ხევი გაახსენდა მგელქალის კუდიანი სხეული რომ გადაისროლეს. მანამდეც ეშმაკეულად თვლიდნენ იმ ხევს და იმის მერე ხომ სულ აღარავინ ეკარებოდა.

პირჯვარი გადაიწერა და შეეცადა რაიმე სხვაზე ეფიქრა. ისევე ბავშვობისდროინდელი ხანობა ამოფრინდა მუხსიერებიდან. ისევე ამოფრინდა, როგორც ის ქალი ამოფრინდა მაშინ მლოცავთა შორის:

დღეობა თავის ეშხში იყო შესული. მლოცველებს მოჰყავდათ რქებზე თეთრმინკალწაკრული კურანები და სამხვეწრო გორზე, დეკანოზის ქვემოთ ჩერდებოდნენ. მაღალ ბანებზე ახალგაზრდებს ცეკვა-თამაში გაეჩაღებინათ. უკვე სიმთვრალეში შესული ხალხი ღრეობდა, ერთი სუფრიდან მეორეზე გადადიოდა და აღარ დაგიდევდა დღეობის წესრიგს. ერთმა მთვრალმა დეკანოზს ხანჯალი წაჰკლიჯა და თვითონ მოაჭრა თავის საკლავს თავი. აირია ხალხი, აყაყანდა, აწყდა ჩხუბი.

შეშინებული ბაღლები ხის კენწეროებს მოექცნენ. აღარ გაიგებოდა ვინ ვის ურწყამდა. დეკანოზი ზარებს მიეჭრა და ხალხის დასაშოშმინებლად ჩამორეკა. ყური არავინ ათხოვა ზარის ხმას.

მუხლებზე დავარდა დეკანოზი და მხურვალე ლოცვით შეჰლაღადებდა ზეცას. ეკლესიის მოედანზე კი ქალი და კაცი ერთმანეთში გადადიოდა. ქალები დაკანონებულ საზღვარს აღარ დაგიდევდნენ და სამანს იქეთ გადადიოდნენ მოჩხუბართა გასაშველებლად.

უცებ საიდანღაც გამოვარდა თმებგაშლილი ქალი და ქადაგად დაეცა: - მე წმინდა გიორგი! მე წმინდა გიორგი!

ქალს რაღაც სხვანაირი ხმა ჰქონდა და აყაყანებული მლოცავი ერთ წუთს გაისუსა.

- მე წმინდა გიორგი! მე წმინდა გიორგი! გაგწყვენთ და გაგანადგურებთ! გაგწყვენთ და გაგანადგურებთ! აღარას ისმენთ ჩემსა, აღარა გჯერათ ჩემი... დაიჩოქეთ!

რამოდენიმე კაცმა დაიჩოქა, მაგრამ დანარჩენებმა თავის თანასოფლელი ქალი რომ იცნეს ისევ აყაყანდნენ.

- დაიჩოქეთ! დაიჩოქეთ-მეთქი! - იმახდა ქალი.

ლუკა მაღალ ბანზე იდგა და იქიდან გადაჰყურებდა ამ ამბავს.

- დაიჩოქე, ბალო! - ვიღაც მის გვერდით მუხლმოხრილმა კაცმა ჩამოჰქაჩა ხალათზე და თავის გვერდით დააჩოქა.

ქვემოთ ისევ საჩხუბრად ყაყანებდა ხალხი და ამ დროს, უცებ, გამალა ქალმა ხელები, მოსწყდა მიწას და ეკლესიის გუმბათამდე აიწია ჰაერში.

ზემოდან გადაჰყურებდა ლუკა, როგორ დაეცა უცებ ხალხი მუხლებზე. ათასი წყვილი თვალი, ეკლესიის გუმბათთან ჰაერში გაჩერებულ ქალს მისჩერებოდა და ღმერთო შენ გვიშველე! ღმერთო შენ შაგვინახეო! - ამასლა ლუღლუღებდა შეშინებული და გოცებული.

ამაღლება დღე იყო. ეკლესიის ეზოში გარშემო თეთრად იყვნენ მსხლები გადაჰენნილნი, მთები და წყეებიც ახლად აყვავებულნი იყვნენ. ჭიუხებიდან წამოუბერა ნიავმა, წამოუქროლა აყვავებულ მსხლებს და ეკლესიის გუმბათი, ჰაერში გაჩერებული ქალი და მოედანზე დაჩოქილი მლოცავი ყვავილების თეთრ საბურველში გაახვია. მთებიდან და წყეებიდან მოეფინებოდა ჰაერში ყვავილები. გარშემო ისეთი სურნელება იდგა, აქამდის გამოჰყვა ეს შეგრძნება ლუკას.

მერე ჩადგა ნიავი.

ყვავილები ნელ-ნელა დაეფინნენ დედამიწას.

დამშვიდდა ხანის მოედანი.

ქალმა ნელ-ნელა იწყო ძირს დაშვება. ხელები ახლა გულზე ჰქონდა ჯვარედინად დაწყობილი და მიწას ჯერ თითისწვერებით შეეხო, მერე იმანაც ხალხთან ერთად მუხლი მოიყარა, თვალებით ზეცას მიაჩერდა, წამოდგა და ამით ანიშნა ხალხს, ამდგარიყვნენ.

პირჯვრისწერით წამოიშალა ხალხი.

დეკანოზმა ზარი დარეკა.

გაგრძელდა დღეობა.

ირგვლივ სხვანაირი მხიარულება დანრიალდა. ყველა როგორღაც აღნაცებული და ბედნიერი იყო სასწაულის ხილვით.

მარნო ის ქალი იდგა გახევებული და გარინდებული, არ იღებდა ხმას, მაშინ ვერავინ ვერ მიხვდა რომ დამუნჯდა.

მხოლოდ ახლა, როცა ის ქალი აღარსად არის, როცა კი გაიხსენებენ ყოველთვის ასე ამბობენ:

- იმის ენა-პირმა ხანის სათქმელი იუბნა და რა გასაკვირია, რომ იმის მერე დამუნჯდა და აღარა თქვა-რა.

მარნო ის ვერ გაუგიათ, სად წავიდა.

ზოგი რას ამბობს და ზოგი, რას.

მარნო თეთრუაი, ეს მრავლისმნახველი დედაკაცი, არწმუნებდა ხალხს, რომ - ისრე იმ წყალწაღებულ ბაღის ძვლებს ვფიცავ ჩემი თვალთ დავინახე, გამთენიისას ციდან ნათელი სვენი ჩამოდგა, ქალმა მაღალ ბანზე ხელები გაშალა და როგორც იმ დღეს ვიხილეთ, ისე შაფრინდა ზეცაში, მიდიოდა და ნათელი სვენიც იმის მიყოლებით იკრეფდა კალთას. რა ჩემი ცოდვილი თვალებით საყურებელი ის არის-მეთქი, სახლს შევეფარე და აღარ მინახია რა იქნა.

ვისაც როგორ უნდა ისე სწამდეს, ზოგს საერთოდაც კი აღარ ახსოვს ის ქალი. ლუკას კი რანომდაც სასიკეთოდ ეჩვენა ეს მოგონება და გული მიეცა. ბენზინიან ჩვარს ერთხელ კიდევ ჩამოახია ნაპირი, ცეცხლი მოუკიდა და გახევებულ ძირხვენაზე ჩამოჰკიდა.

ცეცხლმა გარეშემო გაანათა და ლუკა მიხვდა, რომ გზა დაუკარგავს, სადღაც უზარმაზარ ლოდებს შორის მოხვედრილა და ღმერთმა იცის საით მიდის. ანთებული ჩვარი ძირხვენის ნონით აიღო და უკან გაჰყვა თავის ნაფეხურებს, რათა ისევ ეპოვნა სამანქანო გზა. ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა, რომ ადრე თუ გვიან რაიმე მანქანა გამოივლიდა, თუმცა იქ საერთოდ იშვიათად დადიოდნენ მანქანები, მარნო სამგზავრო ავტობუსი ამოდიოდა კვირაში ორჯერ და ერთი-ორიც კოლმეურნეობის მანქანა. ახლა აქაური ცხვარი საზამთრო სამოვრებზე იყო წასული და ენცობა ყველა მანქანა იქ იყო გაგზავნილი.

მაინც უნდა ეპოვა ლუკას გზა, რომ როგორმე მახლობელ სოფლამდის მისულიყო. მართალია, აღარ ყმუოდნენ მგლები, მაგრამ დუმილი უფრო აუნანელი ხდებოდა.

თავის ნაკვალევს მიჰყვებოდა უკან და ანთებული ჩვრით ინათებდა გზას.

უცებ გველნაკბენივით შეხნა. უფრო სწორედ, კი არ შეხნა, შედგა, ადგილზე გაქვავდა და თვალი თავისივე ნაფეხურზე გაუშნერდა: იმის ნაკვალევზე მგლის ნაფეხურები ენცობოდა.

მიმოიხედა.

ახლომახლო არაფერი ჩანდა, მარნო ნადირის ნაკვალევი მიუყვებოდა აღმა, ნყიანი ფერდობისაკენ.

«ენცობა, უკან რომ მოვბრუნდი, იმინომ გადაუხვია, ალბათ, ერთია და კვალში იმინომ მომყვება, ჯერ ვერ ბედავს თავდასხმას, უკანიდან უნდა წამომეპაროს და დრო მოიხელთოს», გაიფიქრა ლუკამ და გზის ძებნას თავი გაანება, წინ გააგრძელა სიარული.

«მოდო ავანთებ მთლიან ჩვარს და ნახევარ საათს მაინც იმედიანად ვივლი», დააპირა კიდევ დიდი ჩვრისათვის მოეკიდებინა ცეცხლი, მაგრამ ისევ

გადაიფიქრა:»ეს ჯერ ერთია და როგორც ჩანს ვერ ბედავს თავდასხმას, თუ სოფელს ვერ მივაღწევ და ბევრნი დამესხმიან თავს მაშინ უფრო გამომადგება».

ახლა სხვა ფიქრმა გაუელვა თავში: «ვინ თუ ეს ნამდვილი მგელი არ არის და ვინმე კაცი ამედევნა მგლის სახით?

მაგრამ ვინ?

იქნებ ქალაქიდან გამომყვა ვინმე..»

ლუკამ ხან ვისი სახე გაიხსენა, ხან ვისი: «ვინ უნდა ყოფილიყო იქ ჩემ ნაცნობებში მგელი?»

იქნებ ნაცნობი არ იყო და უბრალოდ ამედევნა.

არა, ისე, უბრალოდ არაფერი არ ხდება.

თუ ყველაფერი წინასწარ დაკანონებულია, მაშინ მოსასვლელი მაინც მოვა, მაგრამ ვინ უნდა იყოს ის მგელი, ქალაქიდან წყუილად რანომ წამომყვებოდა... მძლოლი? არა, ავნობუსის მძლოლმა თვითონ მომცა ეს ჩირადდანი მგლების დასაშინებლად, თუმცა იქნებ ამით გამაბრიყვა და ახლა მგლადქცეული კუდში მომდევეს. ავნობუსი? ავნობუსს რაღა უყო? მოიცა, მანქანის ხმა რომ მომესმა და უცებ გაქრა. ეს რაღა იყო, იქნებ გორის იქეთ გააჩერა და თვითონ ჩემს კვალზე მოსუნსულებს...»

- ეჰეჰეჰე! ეჰეჰეჰეჰე! - მთელი ძალით იყვირა ლუკამ.

მთებს არ მიუციათ ბანი. გახშირებულმა თოვლის ფიფქებმა და ხეობაში ჩამოწოლილმა ბურუსმა შთანთქეს ეს ხმა. მარნო სადღაც შორიდან მგელი გამოეპასუხა.

«სჯობია გავჩუმდე, თორემ ხმაზე უფრო ბევრნი მომაგნებენ», - გაიფიქრა და სწვენა წამოიწყო ხმადაბლა.

«ავნობუსის მძლოლი რანომ გამომეკიდებოდა, მე ხომ არც ვიცნობ, თანაც თავს იმართლებდა, ჩემს წინაშე კი არა, საკუთარი თავის წინაშე, ენობოდა ჯერ კიდევ შემორჩენილი ჰქონდა იმის სულს პანიოსნების ნანამალი და გზაზე რომ მწოვებდა, ამაზე თავის თავს ეჩხუბებოდა. შინაგანი პანიოსნება არ აძლევდა ამის უფლებას, მაგრამ ბორონი ნება იქით ეწეოდა. არა, ეგეთი კაცი არ შეიძლება მგლის სახით დადიოდეს. მგელქალი სულ სხვანაირად დამშვიდებული იყო ყოველთვის, როცა რაიმე სამგლო საქმეს ჩადიოდა, თანაც შემოგხედავდა და თვალებით შეგზარავდა, შეგაზავებდა, ამას კი ისეთი უეშმაკო თვალეზი ჰქონდა. მგელქალის სიკვდილის მერე, ხომ ჩამოვიდა ის მწყემსი სოფელში და ნირილით თქვა: მაპანიეთ, მაშინ ის ქალი გამოვიცანი, მაგრამ ისე შემომხედა, შემემინდა და ხმა ვეღარ ამოვიღეო. ბალღებსაც როგორ გვზარავდა იმის შემოხედვა».

ლუკამ კიდევ მოუკიდა ჩვრის ნახევს ცეცხლი და უკან მოიხედა. რამდენიმე ნაბიჯიც გადადგა და თავის ნაკვალევს დააკვირდა, კიდევ ხომ არ მომყვება მგელიო. ვერაფერი შეამჩნია, ჩვარი თოვლიან ლოდზე შემოდო და გზა გააგრძელა.

ლამის მუხლამდის დადო თოვლი ნახევარ საათში და სიარული გააძნელა.

ცხვირწინ რაღაცამ ჩაუქროლა.

უცებ მოახია ჩვარს და ცეცხლი მისცა.

ორ სამ ნაბიჯზე კურდღელი იყო თოვლში ჩაფლული და სინათლის შუქმა ისე დააბნია, გზა ვეღარ გააგრძელა, მოსალოდნელი უბედურების მოლოდინში, წინა თათები თვალეზზე აიფარა და ყურები ჩამოყარა.

ლუკამ უცებ ჩააქრო თოვლით ჩვარი და ნაბიჯი აღარ გადაუდგამს, აცადა კურდღელს გონზე მოსვლა. ცონა ხანში ისევ გაიფრიალა თოვლმა და ლუკა მიხვდა კურდღელი ქვემოთ წავიდა.

«იქნებ აქ ახლო-მახლო სოფელი ეგულება და იქეთ მიდის, მოდი მაგის კვალს გავყვები», ლუკამ მოძებნა ძირს დაგდებული ჩვარი და ისევ მოუკიდა ცეცხლი.

სწორედ ამ დროს მოისმა მგლის ყმუილი. ერთს მეორე მოჰყვავს, მეორეს მესამე გამოეძრახა და აწყდა საზარელი ზარი.

- აუუუუ! - გაყინულ ხმაზე აგუგუნდა მთელი ხეობა.

«ენყობოდა ის მგელი წავიდა და ჩემს ასავალ-დასავალს სხვა მგლებს აწყობინებს», გაიფიქრა ლუკამ და კურდღლის კვალს მიჰყვავს. ორმოცდაათ ნაბიჯზე მიხნოდა კურდღელი. ეწყობა უჭირდა თოვლის გაკვალვა.

ერთხანს იცმუვლეს და ისევ ჩაჩუმდნენ მგლები. ლუკას ისევ წამოეშალნენ ბავშვობის მოგონებები.

ისევ ამოხნა მგელი.

ოღონდ ამჟამად ლუკა უკვე მოზრდილი იყო და სანადირო ცენრალაც ჰქონდა საკუთრად.

ღვიენურებს აწყვავს აღმა და თივების საგელეებელში ავიდა.

ადრეული შემოდგომა იყო. მიდამოს გაცრეცილი ფერი დაჰკრავდა. ჰაერში გამხმარი ფოთლები დაფარფანებდნენ უთავგზოდ.

ჩინების უმრავლესობა უკვე საზამთროდ გაკრეფილიყო და ხანდახან ღვიის ბუჩქიდან შაშვი თუ წამოჭახჭახდებოდა.

ლუკა გორზე წამოწვა და მიდამოს გადახედა ქვემოთ. თივების საგელეებელში არყის ლანჩებით ბაკი იყო შემოღობილი და შიგნით სამი ცხენი გამოემწყვდია ვილაცას. ორი მოზრდილი ცხენი თავებს სწევდნენ აღმა და დროდადრო ჰაერს ყნოსავდნენ. მესამე, პანარა კვიცი, ფაშანის გარშემო დარბოდა. მერე ერთი ცხენი მიწაზე გაგორდა, ნორები მალლა აიშვირა და მიწაზე გადაგორ-გადმოგორებით ზურგი მოიფხანა.

ფაშანმა ნელა დაიხვიხვინა.

ღვიენურებიდან მალღმა ამოირბინა, ბაკთან ავიდა და იქ ჩამოყუნცდა.

ლუკას შორიდან მალღი ეგონა და ყურადღება არ მიაქცია. იფიქრა, სადაცაა ალბათ პანრონიც გამოჩნდება, თანაც მალღის პანრონი ცხენების პანრონადაც მიიჩნია.

მალღმა კი წაიმელურა, მიწაზე გაწვა, გადაგორდ-გადმოგორდა, მერე მუცლით ცხენებისაკენ გახოხდა და თან კუდს აქიცინებდა და მიწაზე ურწყამდა. ცხენებმა კი ცქვინეს ყურები, მაგრამ მალღი ისე მიელაქუცა, ისე გაუგორდ-გადმოუგორდა,



იმათაც ანებეს ფრუნუნს თავი. კარგა ხანს ურწყა ძაღლმა მიწას კუდი, მერე ისევ გამოძვრა ბაკიდან, ჩაეფარა ღვიენურებში და ცონა ხნის მერე ისევ გამოჩნდა მძიმედმომავალი. თითქოს მუცელი ძირს ეზნიქებოდა. მძიმე-მძიმედ გადავიდა ბაკში. ცხენები კი მიჩვეული ჰყავდა და აღარ შეშფოთებულან, ის კი ჩამოუყუნცდა წინ და როცა მისკენ ფაშანმა ნუჩი გამოსწია, ძაღლი ეცა და კბილებით ჩააფრინდა. ცხენი ყალყზე დადგა, მაგრამ ძაღლი თავს არ ანებებდა, ზედ ეკიდებოდა.

ლუკა ქვემოთ გაიქცა. თოფის სასროლ მანძილზე რომ მიუახლოვდა, ჩაიმუხლა და ესროლა.

ძაღლი მოწყვენით დაეცა და მძიმედ გაიღო ბანჩანი. ლუკა რომ თავზე წამოადგა, წამოიწია, მაგრამ მუცელი ვერ წამოსწია.

ლუკამ თვალებში რომ შეხედა, ახლავდა იცნო მგელი. წამში ციკნის ამბავმაც გაუელვა თვალწინ.

შეიძლება ის მგელიც იყო.

კიდევ დაახალა.

მუცელი რომ გაუჭრა, გაოცდა: კუჭი სავსე ჰქონდა თიხით. ენყობა ღვიენურებში თიხის საჭმელად ჩავიდა, რომ დამძიმებულიყო და როცა კბილებით ჩააფრინდებოდა, ცხენს ადვილად ვერ მოეშორებინა.

ეს ლუკას პირველი ნანადირევი იყო.

ფაშანს თქრიალით მოსდიოდა სისხლი და ფრუნუნებდა. კვიცი კი ჯერ ვერ გარკვეულიყო რა ხდებოდა, სჯმუჯნიდა პანარა ნუჩებით.

ლუკამ ბაკის კარი გაუღო და დამფრთხალმა ცხენებმა ნალების ძგრიალით ჩაიარეს სოფლისაკენ მიმავალი სათივე გზაშარა...

ამის გახსენებაზე ცხენი ინანრა ლუკამ.

უცებ შიმშილი იგრძნო და წარმოუდგა როგორ აცხოვდა ხოლმე დედამისი ხმიადებს. პირველ ხმიადს რომ გამოაცხოვდა, ღმერთო, შენ შეგვეწიე, ინყოდა და დაამწვრევდა ცხელ ხმიადს, ლუკას ახლაც თვალწინ უდგას ცხელი პურის ორთქლი...

- იიიი! იიიი! - მოისმა უცებ კურდღლის განწირული ყვირილი.

ლუკამ სასწაფოდ აანთო ჩვარის ნახევი და სინათლეზე გამოჩნდა, ის-ის იყო მელა უნდა დასცემოდა თავზე კურდღელს, რომელიც ისევ წელანდებურად ჩამჯდარიყო თოვლში, წინა თითები თვალებზე აეფარებინა და ყურებჩამოყრილი განწირული ხმით ყვიროდა.

- ჰაი! ჰაი! - დაჰკვივლა მელას ლუკამ და იმანაც მოკურცხლა, თოვლში გაითრია გრძელი კუდი.

- იიიი! იიიი! - ყვირილს განაგრძობდა კურდღელი და თვალებიდან თათებს არ იშორებდა.

უცებ ლუკამ შორიახლო მორიალე ლანდებს მოჰკრა თვალი.

- ჰე-ჰეეე! - დაჰყვირა ხმამაღლა.

- აუუუუ! - აყმუვლდნენ მგლები მის გარშემო.

- აუჰ! - აღმოხდა ლუკას და აკანკალებულმა დიდ ჩირაღდანს მოუკიდა ცეცხლი. აბრიალდა ბენზინიანი ჩვარი და გარშემო ყველაფერი განათდა.

ამ სინათლეზე უფრო შემზარავი და უდაბური მოეჩვენა მთელი ხეობა ლუკას. მიმოიხედა და თავს ირგვლივ რკალადშემოწყობილი მგლები შეამჩნია.

მგლებს, ენყობა, არ ესიამოვნათ ამხელა სინათლე და უკან დაიხიეს, ოღონდ რკალი არ დაუშლიათ, ისევ უკანა ფეხებზე ჩამოყუნცდნენ და ცეცხლოვანი თვალები გამოაკვესეს.

- ჰეი, ჰეიი! - დაჰკვივლა ლუკამ და თავისივე ხმის, თვითონვე შეეშინდა. ეს არ ჰგავდა, არც ყვირილს და მითუმენეს არც მგლების შესაშინებელ წამოძახილს. მარნო თოვლში ჩამჯდარი კურდღელი აკივლდა ამ ხმაზე.

- იიიიი! იიიი! - გაჰკიოდა შემფოთებული.

წასასვლელი აღარსად იყო.

მანამ ეს ჩვარი ენთო, მანამდე, ალბათ, ასე შორიახლოს ისხდებოდნენ მგლებიც, მერე კი თავისთავად ნათელი იყო ყველაფერი.

თითები პირში ჩაიყო და ხმამალა დაუსწვინა. არცერთი მგელი არ განძრეულა. მარნო ისევ კურდღელმა ანება განგაში.

- შენ რაღა გული გააწყალე, ადე, შენ მაინც გაიქეცი, - დაჰკვივლა ლუკამ და მერე თავის რჩევაზე გაეცინა: «სად წავა, იქით წავა მელია შესჭამს, აქეთ წამოვა მგლები, სულ ერთი არ არის?»

ცონა ხანს ჩუმად იყო ლუკა და კურდღელიც ჩაწყნარდა, ჩამოუშვა თათები და ყურები წამოსწია. უცებ წამოხნა და გაიქცა. ლუკას გული დასწყდა მარნო რომ რჩებოდა. კურდღელი სკუპ-სკუპით უახლოვდებოდა მგლის რკალს. მგლებმა ყურიც არ ათხოვეს, ოღნავ არ დაურღვევიათ რკალი, ისე გაანარეს კურდღელი.

- ჰე-ჰე-ჰე-ჰეე! - იყვირა ლუკამ და ჰაერში დაანრიალა ანთებული ჩირაღდანი.

მგლები ისევ ქანდაკებებივით ისხდნენ ადგილებზე.

- იიიიი! იიიიი! - უცებ სადღაც იქეთ ანება განგაში კურდღელმა, მგლების რკალში შემოვარდა და წელანდებურად ჩაერჭო თოვლში. ენყობა იქედან ისევ მელიას გამოექცა.

- ჰე-ჰე-ჰე-ჰეე! - ყვიროდა ლუკა და მშველელს უხმობდა.

- იიიი! იიიი! - გულგახეთქილი ეპასუხებოდა კურდღელი.

«ეხლა ამის გულისთვის ვეღარ უნდა დავიყვირო» - გაიფიქრა ლუკამ და მგლების წრე შეათვალიერა.

ჩირაღდანს ნელ-ნელა მოაკლდა სინათლე.

მგლებმაც თავ-თავიანთ ადგილებზე თითო ნაბიჯით წინ წამოიწიეს.

ეს ჯერ შეუმჩნეველი დარჩა ლუკას.

მერე, ჩირაღდანს რომ უფრო მოაკლდა სინათლე, მგლების წინსვლა უფრო შესამჩნევი გახდა და ეხლა კი მენი გზა აღარ იყო, ხან ყვიროდა, ხან უსწვენდა ლუკა. კურდღელი ერთ ხანს ეპასუხებოდა, მერე იმის ხმაც აღარ ისმოდა, ჩირაღდანს ჰაერში

ანრიალებდა და იმის ნაპერწკლებში არეულ მგლების ცეცხლიან თვალებსდა ხედავდა მარნო.

მგლები უკვე აღარ ისხდნენ, უკანა მხარე მაღლა წამოებურბგლათ და წინა ფეხები წინ წამოეშვირათ, ასე მოიწევდნენ, ნელა, ფეხშეწყობილად, ყოველი მხრიდან.

უცებ საიდანღაც კაცის ძახილი მოესმა ლუკას. ერთხელ, მეორედ.

- ჰეი! - ჩახლეჩილი ხმა ძლივსდა ამოსცდა ლუკას ბაგეებს.

ვერც კი შენიშნა როგორ შემოვარდა მგლების რკალში კაცი და ლუკას ხელიდან გამოსნაცა ანთებული ჩვარი.

მგლებმა უცებ სვლა შეწყვიტეს, კაცს მიაჩერდნენ, კუდები ამოიძუეს და უშნო ქსუნუნითა და ყმუილით მიმოიფანნნენ.

- ხომ არ შეშინდი? - ჰკითხა კაცმა ლუკას და გაუღიმა.

- არა, ისე... კი, შევშინდი, - ძლივს ამოიღო ხმა ლუკამ.

- შენი სწვენა და ყვირილი გავიგონე და ქედიდან გადმოვიხედე, მერე ამ ამბავს მოვკარ ცეცხლის შუქზე თვალი და გამოვიქეცი.

- მერე თქვენ, თქვენ არ შეგეშინდათ? - ჰკითხა ლუკამ.

- მე არა. - მოკლედ მოსჭრა კაცმა, - წავიდეთ, ამაღამ ჩემთან გაათენე და ხვალ თუ დარი გათენდა და საზვავე არ იქნება, გაუდექი შენს გზას, რომელი სოფლიდანა ხარ?

- ხეობის ბოლოს, მდინარის პირას რომ სოფელია, გორზე, იქედან.

- მერე, შენ სოფელს სახელი არა აქვს? - გაეცინა კაცს.

- ჰო აქვს, რავი, მე მეგონა იცოდი რაც ჰქვია, - უთხრა ლუკამ.

- ვიცი, როგორ არ ვიცი, აქ გაზრდილი და დაბადებული ვარ, - თქვა კაცმა.

ლუკამ შეხედა, ვერ იცნო.

- ნყუილად ნუ მიყურებ, ვერ მიცნობ, კაი ხანია რაც აქ არ ვყოფილვარ, ისე არც მე მეცნობი, ვისი ჩამომავლობისა ხარ?

ლუკამ დაუსახელა თავისი ჩამომავლობა.

- ჰოო! - თქვა კაცმა, - წავიდეთ, დანარჩენი სახლში ვიუბნოთ, სახელი რა გქვია?

- ლუკა.

- პაპაშენსაც ლუკა ერქვა, არა?

- ჰო, ლუკა ერქვა.

- მე თედო მქვია, თედო, თევდორე, შენ რომელიც გინდა ის დამიძახე.

- შეიძლება ძია თევდორე დაგიძახო?

- ჰო, ეგ კი დამავიწყდა, ძიად გეკუთვნი, აბა რა, საცაა სამოცი წლის გავხდები.

თევდორე წინ წავიდა და ლუკა უკან მიჰყვა.

- ერთი წუთით მაიცა ძია თევდორე, - თქვა ლუკამ და იქით გაიქცა.

- რა იყო?

- კურდღელი.

თევდორეც აქეთ წამოვიდა.

კურდღელი ისევ ისე იჯდა თოვლში, თვალეზზეთათებაფარებული და ყურებჩამოყრილი.

- იიიიიი! - გამოაჯავრა ლუკამ და გაეხუმრა:
- გეყოფა დამალობანას თამაში, წავიდნენ მგლები.

კურდღელი არ განძრეულა.

მაშინ ლუკამ ხელით ჩამოუწია თათები და კურდღელი მისი ხელის მოძრაობას დაჰყვა, უსიცოცხლოდ გადაგორდა თოვლში.

- ენყოფა გული გაუსკდა, - გულდაწყვენით თქვა ლუკამ და თევდორეს ახედა.

- წამოდი, წინ ვერ აღუდგები ცოდვა-მადლის გამჩენს.

ლუკამ თოვლში ჩამარხა გულგახეთქილი კურდღელი.

წავიდნენ.

მძიმე-მძიმედ მიუყვებოდნენ თოვლიან მთის ფერდობს.

წინ მიმავალი თევდორე დროდადრო ჩერდებოდა და თითქოს მიდამოს ყნოსავდა.

- გადაიკარგნენ აი! - თქვა ერთხელ.

- ვინა? - უცებ ვერ მიუხვდა ლუკა.

- მგლები.

- ჰოო, ძალიან კი დააფრთხე.

- ენყოფა, კარგა ხანს გითვალთვალეზდნენ.

- ნენავი რას მიპირებდნენ, - გულუბრყვილოდ თქვა ლუკამ.

თევდორეს მხოლოდ გაეცინა, ლუკას მხარზე ხელი მოუთათუნა და უთხრა:

- რაც არ მომხდარა, იმაზე ნუ იფიქრებ.

გზა გააგრძელეს. აღმა გორზე ავიდნენ და გამოჩნდა სოფელი. მარნო ერთი სახლიდან გამოდიოდა სინათლე.

- აი, ესეც ჩემი სოფელი! - ამაყად თქვა თევდორემ.

- მარნო თქვენ ცხოვრობთ ამ სოფელში ძია თევდორე? - ჰკითხა ლუკამ.

- ჰო, მეღა დავრჩი, დანარჩენები საზამთროდ ქვემოთ ჩადიან. მე აქ მირჩვენია, აქედან უფრო კარგად ჩანს მთელი ხეობა და ზამთრობით შენნაირ მგზავრებს აღარ ვაჩაგვრინებ მგლებს, თანაც მარნო ყოფნას მივეჩვიე, - ეს ყველაფერი ხუმრობის კილოზე თქვა თევდორემ.

დერეფანში თოვლი ჩამოიბერწყეს.

იქვე ახლოს, ბოძზე ება მეცხვარის ძალი და ბომბორა კუდს უქნევდა სნუმარს კეთილი განწყობილების ნიშნად.

- ამას მგელი ვერც მოერევა, რად უნდა დაბმა, - თქვა ლუკამ.

- ეგ რომ გაუშვა, ერთი მგელი შორს გაიწყუებს და დანარჩენები იქ მიესევინან, ვიცი მე მაგათი ამბავი, - ისე თქვა თევდორემ, თითქოს მართლა უკლებლივ იცოდა მგლების ყოველნაირი ასავალ-დასავალი.

ლამფით განათებულ ოთახში სასიამოვნოდ თბილოდა. ლუკამ ისევ იგრძნო შიმშილი და უხერხულად მიმოიხედა.

- დაჯექი, დაჯექი, ჯერ გათბი და მერე ვივახშმოთ, - გაუღიმა თევდორემ, ღუმელს შეშა შეაყარა და ააგუზგუზა.

სითბოზე წისლივით ავარდა ლუკას ნანსაცმლის ორთქლი.

თევდორე შიგნით, მეორე ოთახში შევიდა და ცონა ხანში სამფეხა ხის ხონჩაზე გაწყობილი პურ-მარილით შემობრუნდა, ლუკას წინ ჩამოდგა და თვითონაც იქვე ჩამოჯდა სამფეხა სკამზე.

- სამფეხა სკამზე მიყვარს ჯდომა და სამფეხა ხონჩაზე პურის ჭამა, სამებას მახსენებს ყოველ წუთს, - თქვა თევდორემ და პური განება.

ლუკას მოეწონა მისი ნათქვამი და თავით ბოლომდე შეათვალიერა ეს პოენური ბუნების მქონე კაცი.

თევდორეს გულთან, ხალათის უბეზე ჩამჭკნარი, მაგრამ ულამაზესი ფერის ყვავილი ჰქონდა გამოკერებული ძაფით.

- ენყობა, ძალიან გიყვართ ყვავილები, - უთხრა ლუკამ.

- ჰოო, ეს გრძელი ამბავია.

- მაგ ყვავილის ამბავი?

- ჰო, ამ ყვავილის და, საერთოდ ჩემი, ჩემი ჩამომავლობის ამბავი, რო არა ეს ყვავილი, შეიძლება შენც ვეღარ დამჯდარიყავი დღეს ჩემთან.

- როგორ, განა რა ყვავილია ეგეთი, ან მე ... - დაიბნა ლუკა.

თევდორემ ხარის ყანწებში თაფლის არაყი ჩამოასხა და დაილოცა:

- სამებას გაუმარჯოს, წმინდა სამების მაღლი შეგვეწიოს, სიყვარული ნუ მოგვაკლოს, მოკეთე გვიცოცხლოს, ავი და ბორონი ჩვენზედ ნურასოდეს ნუ მოწეულიყვეს.

- ამინ! - თქვა ლუკამ.

- ჩემი გამოხდილი არაყია, ფუნკარი ბევრი მყავს და თაფლი ბევრი მაქვს. - უთხრა თევდორემ.

- ძია თევდორე, წელან ჩამომავლობა ახსენე, თანაც მითხარი ამ ყვავილმა გადაგვარჩინაო, რა ვუთხრა ჩვენებს, ვისი ჩამომავლობის კაცმა გადაგვარჩინაო, რომ მკითხონ.

- ჩემი ამბავი იციან თქვენ სოფელში, თითქმის ყველას ვიცნობ იქ, ჩემი ჩამომავლობა კიდე ამ ყვავილიდან მოდის.

- როგორ? რანაირად?

- ეს ყვავილი მამაჩემია.

- ჰმ! - ძალად გაიცინა ლუკამ, თან დაიბნა, იფიქრა, აქამდის ვერ შევამჩნიე და ენყობა თევდორე გიჟიაო. ახლა გაახსენდა როგორ შემოვარდა მგლების რკალში უიარაღოდ და თან დასჭყიოდა, ვინ იზამდა სხვა ამას, ნორმალურ ჭკუაზე მყოფელი. მეც არ გამიკვირდა, რამ შეაშინა მგლები-მეთქი, ენყობა იმათაც ეშინიათ გიჟის, მაგრამ ხანდახან რომ დალაგებულად ლაპარაკობს?..

- ვიცი შენ რაც გიკვირს, ყვავილი როგორ შეიძლება მამაჩემი იყვეს, არა? ასეა და რა ვქნათ, ასე მოისურვა წმინდა სამება.

«ეს წმინდა სამება რაღა ამოიჩემა», - გაიფიქრა ლუკამ.

- რო არა წმინდა სამება, სამგლეთ მოიქცეოდა მთელი დედამიწა, ვერა ხედავ ისედაც როგორ მომრავლდნენ მგლები, მძორად იქცა ქვეყანა.

- რომელი ქვეყანა? - წამოროშა დაბნეულმა ლუკამ.

- რომელ ქვეყანას იცნობ კიდევ, ქვეყანა ერთია, ჩვენ ვართ და ღვთის სამართალი, მგლების სამართალი კი სულ სხვაა, იმათ სხვა უწერს მგლურ კანონებს, ღვთის განგებას თანდათან საერთო არაფერი აქვს, ხო გითხარი, რო არა სული წმინდა, მგლებს დარჩებოდათ ეს ქვეყანა, შენ საიდან მოდიხარ?

- ქალაქიდან.

- ჰა, აგაშენა ღმერთმა, ქალაქში მგელი არ შეგხვედრია არა?

- არა, აბა იქ საიდან?

- რამდენიც გინდა, იმდენია, თუმცა შენ რას გამოიცნობდი, კაცი კაცსა ჰგავს და არა მგელს, გამოცნობას კი რა დიდი ამბავი უნდა, ჩაუსახლდება ვინმეს სულში მგელი და ააყმუვლებს იმის არსებობას, იმდენს აქნევიანებს, ახლა სხვას მოაქცევს მგლად. სადაც სული წმინდა ფეხს ვერ იკიდებს, იქ იმ წუთში მგელი ჩასახლდება, მერე ეს მგელი ცდილობს საზოგადოებას კრავად მოაჩვენოს თავი, მგლებს ხომ კანონები უყვართ, ჰოდა ეს «კრავიც» კანონებს ეფარება, აქა-იქ იღობებს, კანონების ციხე-სიმაგრეში ცხოვრობს, ცხოვრების შეჭიდებულ კაცს კი არ შეიძლება ფეხი არ წაუცდეს და აი, სწორედ იქ წამოეწევა მგელი, ჩააფრინდება და ამა თუ იმ კანონის ძალით გამოსწოვს სისხლს. სულიწმინდას რყვნიან, ხვრეპავენ და ამით არიან ეგენი გამძღარნი. ეეე, დაილოცოს წმინდა სამებავ შენი განგება და ნუ მოაქცევ ქვეყანას სამგლეთად, - პირჯვარი გამოისახა თევდორემ.

- ამინ! - ისევ დაემოწმა ლუკა.

- ყველა ყვავილი ენყობა ვიღაცის მამაა, ოღონდ ეგ არის, ალბათ, დიდი ხანია მას მერე გასული და აღარ გვახსოვს ვინ რომელი ყვავილის ჩამომავლობა ვართ, - თქვა თევდორემ.

«ეჰეე, ისევ აურია», - გაიფიქრა ლუკამ.

- იძახი, ალბათ, ეს ძია თევდორე რა ზღაპრებს ყვებაო, არა ლუკა?

- არა, რანომ...

- ეს ყვავილი მამაჩემი იყო. მამაჩემს თანდილა ერქვა, მთელ ხეობაში სიწმინდითა და ღვთისნიერებით იყო განთქმული. ბალახებში რომ გაივლიდა, წუხდა, ყვავილებზე ფეხი მედგმევიანება და ითელებო. ზღაპრებში ხო გაგიგონია, ისეთი კაცი იყო ჭიანჭველას ფეხს არ ადგამდაო, აი, სწორედ მამაჩემი იყო ასეთი, გაუჩერებოდა ჭიანჭველას, მოუხდიდა ქუდს, შესწირავდა ღმერთს მადლობას და ინყოდა: - რა ძალა აქვს იმ დალოცვილ სამებას, ხედავ რა შეაძლებინა ჭიანჭველას, რამოდენა ნვირთი მიაქვს შვილების სიყვარულით.

ბალებს ისე უყვარდათ მამაჩემი, სუ გარს ეხვეოდნენ, ყოველთვის ისე გველაპარაკებოდა, როგორც თავის ნოლს.

ცხოვრებაში ბევრი სიმწარეც გამოიარა, მაგრამ ერთხელ არ გამიგონია იმის სამდურავი, წყენას ისე მოგინევებდა, სასიკეთოდ განგაწყობდა.

დიდხანს იცოცხლა, ძალიან დიდხანს, ხალხი სანახავად მოდიოდა და უკვირდათ, ამ ხეობაზე ამდენ ხანს არავის უცოცხლიაო.

მშვიდი კაცი იყო მამაჩემი, მშვიდად შეეგება სიბერეს, სიკვდილის მოსვლასაც მშვიდად ელოდა.

- ისეთი რა მოვა, რაც ღვთის ხელიდან არ გამოსულაო, - ამბობდა მშვიდად.

სიკვდილი კი იგვიანებდა.

იმისი ხანგრძლივი სიცოცხლე სალაპარაკოდ გახდა მთელ ხეობაში. ზოგი იმასაც ამბობდა:

- ღმერთს დაავიწყდა თანდილაი, მუდმისად უნდა იყოსო.

- მაგათ ენა გააჩერონ, ღმერთის გულმავიწყობა რა მაგათი სახსენებელიაო, - თქვა ერთხელ მამაჩემმა და მზეს მიეფიცხა.

მზისგულზე უყვარდა ჯდომა. მაღალ ბანზე დაიდგამდა სამფეხა სკამს, ჯოხს დაეყრდნობოდა ოდნავ წინგადაწეული და მზეს ეფიცებოდა.

ბოლო ხანებში ხანდახან ვიღაცას უწყებოდა:

- დაიკარგენით, თქვე წყეულნო, მოსწყდით აქაურობას!

ღვის ეჩხუბები თანდილავე? - ეკითხებოდა ხალხი.

- არავის, - პასუხობდა მშვიდად.

ერთ დღეს ძალიან გაწყრა და ჯოხიც კი ესროლა იმ ვიღაცას, რომელიც არ ჩანდა.

მე ჯოხი ავიღე, მივუნანე და ვკითხე:

- რა იყო მამავ, ვის უწყებები ხოლმე?

- წყეული იყო მოსული, შვილო, ამ ბოლო დროს ძალიან შემომიჩნდნენ, მეუბნებიან: ხომ ხედავ ღმერთს დაავიწყდი, ჩვენ მოგვაბარე შენი სულიო.

- ხომ არ გეშინია მამავ?

- არა, შვილო, ღმერთს არაფერი ავიწყდება, - მომიგო უკვე დამშვიდებულმა და ჯოხს დაეყრდნო.

ასე გაგრძელდა კარგა ხანს. არ ასვენებდნენ ის წყეულნი. ერთხელ მითხრა, ფრთხილად იყავი შვილო, წყეულები მემუქრებიან, თუ ჩვენ არ მოგვყიდი სულს, შვილი ხო გყავს, ჯავრს იმაზე ვიყრითო.

- ჩემზე ნუ იფიქრებ მამავ, - ვუთხარი და ამით ვაგრძნობინე არ განეხილიყო.

გაზაფხული იყო.

გალობდა ნაზამთრალი დედამიწა.

ჰაერში ნაირ-ნაირი პეპლები დაფრინავდნენ.

მამაჩემმა ლოგინიდან წამოიწია, კარგახანს რაღაცას უგდებდა ყურს, იღიმებოდა, სახეზე კმაყოფილების ალმური გადასდიოდა, მერე მე შემომხედა და მითხრა:

- გარეთ გამიყვანე, შვილო.

წამოვაცენე.

მაღალ ბანზე სამფეხა სკამი დავუდგი და იქ დავსვი. ჯოხს დაეყრდნო. მზეს მიეფიცხა.

ისევ ისეთი კმაყოფილი სახით იმზირებოდა სადღაც შორს.

უცებ გავოგნდი.

მამაჩემს ჯერ შუბლზე ამოუვიდა ყვავილები, მერე მთელ მის სხეულზე იწყო ამოსვლა.

მთელი სოფელი ჩვენ ბანზე შეგროვდა.

ყვოდა მამაჩემი.

აი, ასეთი ყვავილები ამოსდიოდა ყველგან: თავზე, ხელებზე, ზურგზე. ყველგან, ყველგან...

ყვოდა და თან სურნელება იდგა ენით აუწერელი.

ხმის ამოუღებლად შევყურებდით.

ბოლოს სულ ყვავილების თაიგულად იქცა.

კაცის ფორმა ჰქონდა ამ თაიგულს და სკამზე იჯდა.

ასე იყო ერთხანს.

თაიგულის სურნელება ათრობდა მიდამოს.

მერე წამოუბერა ზენაქარმა და ჰაერში მიმოაბნია ეს თაიგული.

ჩვენს წინ დარჩა ცარიელი სამფეხა სკამი. მიფრინავდნენ ყვავილები ჰაერში და მაშინ აზრად არავის არ მოგვსვლია, ერთი მაინც აგველო სამახსოვროდ.

ვინ მოიფიქრებდა ამას, კარგა ხანს ფეხის გადადგმას ველარავინ ვახერხებდით.

ქროდა ზენა ქარი...

ლუკა გაოგნებული უყურებდა თევდორეს მკერდზე მიმაგრებულ სასწაულებრივ ყვავილს.

თევდორემ ჭიქები შეავსო და თქვა:

- ღმერთმა ნათელი დააყენოს!

- ამინ! - ისევ დაემოწმა ლუკა.

- იმის მერე კარგა ხანმა გაიარა, წესი და რიგი არ დაგვიკლია მამის ხსოვნისათვის, ორმოციც დროზე გადავუხადეთ, წლისთავიც, მაგრამ ენყობა იმისი სული მაინც რაღაცას წუხდა, ხშირად მეჩვენებოდა სიზმარში და მეუბნებოდა: - მოძებნე ყვავილი, მოძებნე ყვავილიო, მეც დავდიოდი აღმა-დაღმა და ვეძებდი. დიდი დრო იყო მას მერე გასული, ვერსად ვეღარ მივაგენი მამაჩემის ყვავილს.

სანადიროდ დავიწყე სიარული, იქნებ სადმე მიუვალ მთებში წავწყდომოდი.

შევეჩვიე ნადირთა ხოცვას. ბოლოს ამ საქმემ ისე გამინაცა, აღარც კი მახსოვდა ყვავილი. შებრალების გრძნობა დავკარგე, ჯერ კიდევ ცოცხალ-მკვდარ შველს ისე გამოვჭრიდი ყელს, გულში ერთი ნერვიც არ შემინოკდებოდა.

ასე თანდათან გადაუხვიე მამაჩემის კვალს.



ერთხელ, სანადიროდ მყოფს შემომალამდა და ეხში გადავწყვინე ღამის გათენება. მიუვალი მთა იყო, ხევ-ხუვიანი, უდაბურად მიგდებული. მთელი დღე ისე ვიხენიალე, ნადირის ნაკვალევსაც კი ვერსად წავაწყდი. დავიღალე, ჯღანები დამაცვდა კლდეებზე ხოხვით.

სალამოთი, როცა ეხი ვიპოვე, ცეცხლი აღარც კი დამინთია, გუდიდან მცირეოდენი ყველი და პური ამოვიღე, წავიხემსე და ნაბადში გავეხვითე დასაძინებლად.

ჩვეულებად მქონდა, თუ სადმე ღამეს უცხოვ ვათევდი, ძილის წინ იმ ადგილის დედას მივებარებოდი.

- შემინახე ამ ადგილის დედავ! - ჩავიჩურჩულე და პირჯვარი აღარც გამომისახია, იმდენად ვიყავი დარწმუნებული, რომ ყველა ადგილს თავისი კეთილი დედა ჰყავს.

იმ წუთსავე ჩამეძინა.

ისევ დამესიზმრა მამაჩემი, შეწუხებული სახე ჰქონდა, ჩემთან ახლოს ვერ მოდიოდა შორიდან მეძახდა:

- ყვავილი უნდა იპოვო შვილო! - განათებული იყო იმის გარშემო ყველაფერი, სადაც მე ვიდექი იქ კი ბნელოდა.

კვილის ხმამ გამომალვიძა:

- დორაისხვეელი გიხმობთ კრებაზე, სნეფაოლო! - ვიღაცა გაღმა მხრიდან გამოჰკიოდა გამოღმა.

- სნუმარი მყავს მობარებული, ვერ წამოვალ, ვერაა! - სადაც მე ვიწექი იმ ეხიდან გასძახა ვიღაცამ.

- წამაიყვანე სნუმარიც, წამაიყვანე! - ისევ გამოსძახეს გაღმიდან.

წამოვჯექი.

ვკანკალებ.

ვერცხლისფერმა შუქმა გაანათა ეხი და დავინახე ჩემს წინ კაცი იდგა.

- ადე თედო, სასნუმროს წავიდეთ, - მითხრა იმ კაცმა.

- სად სასნუმროს?

- ყველაფერს იქ გაიგებ, ეხლა კი ადექ, ნუ გეშინია, რაკი შენი სული მე მომაზარე, დანარჩენი მე ვიცი.

- შენ ვილა ხარ?!

- მე სნეფაი ვარ, ამ ადგილის დედა, - მითხრა მან.

ამაცხროვა.

თავიდან ფეხებამდე თითქოს ჭიანჭველებმა დამკბინეს.

- წამო, წამო! - წამომაყენა იმ კაცმა და მენი რა გზა მქონდა, თან წავყევი, რაკი ადგილის დედა მიხსენა, რას მოვიფიქრებდი თუ ეშმაკებიც იქნებოდნენ ადგილის მეპანრონენი.

გავიარეთ ფრიალო ხევხუვები და გავედით გაღმა, სადაც მაწვევარი გველოდებოდა.

- ოოო! თევდორე გვყოლია სწუმრად, - შემოგვეგება მაწვევარი და თავის თმანი აღმა წამივიდა. შენ არ იცი, არ გეხსომება, მაშინ პანარა იქნებოდი, თქვენი სოფლელი ქალი იყო, კუდი ჰქონდა და რო მოკვდა, ხალხმა არ დამარხა, ხევში გადააგდო, ის ქალი იდგა ჩემს წინ.

- როგორა ხარ, თევდორე? - შემომცინა და შემომაფეთა თოლები.

- წამო, წამო, დროს ნუ დავკარგავთ, - გვითხრა და სწრაფი ნაბიჯებით ჩაგვიძღვა დაღმართზე.

ერთ უდაბურ ხევში ჩავედით.

ერთ ხანს სიბნელე გვეხურა, თვალთან თითს ვერ მიინანდი, მერე გავედით მთვარის შუქით მკრთალად განათებულ მინდორზე.

იქ ერთი ჟრიამული იდგა. სწუმრები მიდი-მოდიოდნენ და რიგისად სხდებოდნენ. მე მიმიყვანეს და «სასწუმრო» სიპზე დამაყენეს. ვხედავ სუფრებია გაშლილი. ზოგ სუფრას მგლები უსხედან გარშემო, ზოგს კანები, ზოგს ალები.

ზემო თავში ზის დორაისხეველი და წესი და რიგი მიჰყავს.

მოდიან და მოახსენებენ დორაისხეველს თუ ვინ რა გააკეთა იმ ღამეს. ისიც ახალ-ახალ ბრძანებებს იძლევა. იმის გარშემო დგანან ყარაულები და თავიანთ უფროსთან ახლოს მისვლის ნებას არავის აძლევენ.

დორაისხეველმა გასცა ბრძანება და მის გარშემო შემოიკრიბა ყველა სუფრიდან თითო წარმომადგენელი.

დაიწყო სერობა.

ითათბირეს.

მერე ვიღაცას მაგრად გაუწყრა დორაისხეველი.

ყველანი მას მიესივნენ და აღავლავდნენ, წაიყვანეს და მანამდე აწამეს, სანამ არ გამონებეს რაღაცაში. ამის მერე შეკრეს ბალახის ალდახებით და დილეგში გადაუძახეს.

კმაყოფილი იჯდა დორაისხეველი.

მერე რაღაც კიდევ მოახსენეს და ჩემზე ანიშნეს.

ახლოს მიმიყვანეს.

- ვისი ჩამომავლობის არის? - იკითხა დორაისხეველმა.

- თანდილაის შვილია, სული რო არ მოგვყიდა, იმისა.

- გასაგებია. თქვენ ხომ გააფრთხილეთ, რომ შთამომავლობაზე ეზრუნა.

- გავაფრთხილეთ და მაინც არ მოგვყიდა.

- რას იწყვით, რად ვაქციოთ?

- მგლად! - წამოიძახეს ზოგიერთებმა.

- კანად ყოფნა დავუდგინოთ, უკეთესია, - თქვა კანების სუფრის წარმომადგენელმა.

- გავუშვათ, სოფელში კაცის სახით იცხოვროს და ჩვეთან იქონიოს კავშირი, როცა მოესურვება რაღაც უნდა იმად იქცევა, - აზრი გამოთქვა ერთმა.

- არა, ამის სოფელში კაცად გაშვება ხელს არ მოგვცემს, კაცმა შეიძლება ყვავილი იპოვოს, - იუარა ჩემმა მასპინძელმა სწევამ.

ითათბირეს და დაადგინეს:

მგლად მოინათლოს!

მგლების სუფრაზე სიხარულის ყმული ანყდა.

- გახადეთ! - ბრძანა დორაისხველმა.

გამხადეს ნანსაცმელი და დამწოვეს დედიშობილა.

- ალდახი! - ისევ ბრძანა დორაისხველმა. ხელქვეითნი აქა-იქ მიმოიფანნენ, მოკრიფეს ჯადოსნური ბალახები, იმისგან დაგრიხეს საბელი, გამოალიქისთავეს და მარყუჟად გადამაცვეს ყელზე.

დორაისხველს ცალი თვალი ეჯდა შუბლში და იმას ანრიალებდა აქეთ-იქით.

- ინათლება მგლად... - დაიწყო წესის გამრიგემ.

- დღეის მერე ევალება:

იყოს მგელი და მხოლოდ მგელი. სახე მისი არა კაცის ფერი, არა სხვა რამის მსგავსი, არცა კანის, არცა ეშმაკის.

დღეის მერე იყოს მორჩილი მბრძანებელისა ჩვენის და მისგან განწესებული ყოველი კანონის!

დღეის მერე სვას სისხლი და ერიდოს მძორს!

არ დაინდოს ადამიანის ძე!

არ უღალანოს მგლებს!

ნადირობისას არ მოშალოს რკალი!

არ გადავიდეს წინამძღოლის ნება-სურვილს!

ყოველივე, რაიც განწესდება ჩვენს სამსჯავროზე, იყოს შეუვალი კანონი მისთვის!

ყელს გადაცმული ალდახი იყოს მისი მგლობის ბეჭედი.

- მოინათლოს! - ბრძანა დორაისხველმა.

გამონასკვეს ალდახი ჩემს ყელზე და ვიქეცი მგლად.

- სისხლი! - ისევ ბრძანა მბრძანებელმა.

მოინანეს მგლის სისხლი და ზედ გადამასხეს.

ასე გავხდი წითელი მგელი.

მიმიყვანეს მგლებმა თავიანთ სუფრაზე და ჩემი ადგილი მომაკუთვნეს.

ჩამოვყუნდი.

დავიყმუვლე.

დანარჩენებმა ხმა ამაყოლეს.

- აბა, ახლა კი დროა, გამოცდაზე მობრძანდეთ, - დაიძახა დორაისხველმა.

მარცხნივ, წამოყუდებული კლდე იყო, რომლის ფხაზეც ყინულის ლოლუები ეკიდა.

სათითაოდ მიდიოდნენ მგლები, კლდის ძირს დგებოდნენ, თავს მაღლა ყინულებისაკენ აიშვერდნენ და შეჰყმუვლებდნენ.

თითოეულს სამჯერ შეეძულებს უფლება ეძლეოდა.

ვინც სამივე შეეძულებაზე სამ ყინულს ჩამოაგდებდა კლდიდან, ის ინიშნებოდა ჯოგის წინამძღოლად, მანამ სანამ დავალებულ საქმეს სისრულეში არ მოვიყვანდით.

შეიძლება რამოდენიმეს ჩამოეგდო სამი ყინული. მაშინ გამარჯვებულნი უფრო მაღალ კლდესთან მიჰყავდათ და ახლა იქ გამოსცდიდნენ.

ჩაჰბერეს ბუკს და დაიწყო გამოცდა.

სათითაოდ გადიოდნენ მგლები და შეჰყმუოდნენ კლდეს. ყინულები წკრიალ-წკრიალით ცვიოდა დაბლა.

ჩემი რიგიც მოდგა. შეეძულები:

ერთხელ.

მეორედ.

მესამედ წამოვიდა ერთი დიდი ყინული და შიგ თავში მომხვდა მწვენი წვერით. გონს რომ მოვედი, ჩემს გარშემო მგლები ისხდნენ ჩამოყუნცულნი და სხვა მენი არავინ არ იყო, არც დორაისხეველი, არც სნეფანე და არც არავინ სხვა ქაჯი და ეშმაკი.

- ადექით, წავიდეთ! - ნონი გამკრა ერთმა ბებერმა მგელმა, რომელსაც ბასა ერქვა. სანამ მე უგრძობლად ვეგდე, ენყობა იმ დროს ბასა აირჩიეს ჩვენს წინამძღოლად.

ბასა წინ გაგვიძღვა და ჩვენ იმის უკან დავწალიკდით. დანარჩენ მგლებს ერქვათ: ჯალაბა, ბოდრა, ჯღუნა, აპარეკა, წიწილო, ფეფო, კოჟა, ჯაყო, ქორა და რა ვიცი, ბევრნი ვიყავით, ეხლა აღარც მახსოვს კარგად ყველას სახელი.

ავუყევით ფერდობს. გადავიარეთ სერი და დავეშვით დეკიანებში. ნელი მუნძულით მივდიოდით ქვემოთ და ფრთხილად ვუახლოვდებოდით სოფელს.

ერთ ადგილას შევჩერდით.

ყური მივუგდეთ.

- აუუუუ! - მოისმა სოფლის მხრიდან.

- ის არის! - თქვა წინამძღოლმა და თვითონაც გაეპასუხა. იქედან ისევ მოგვესმა პასუხი.

წამოვიშალეთ და ღორდიან ხევს დავუყევით ქვემოთ. წყაროსთან ფაჩი-ფუჩი შემოგვესმა. მუცლებზე გავწექით. თულუხმოკიდებული ქალი მოდიოდა სოფლიდან. გორს რომ გადმოსცდა, თულუხი მოიხსნა, მიწაზე გაგორდ-გამოგორდა და მგლად იქცა.

წინამძღოლმა ნელა წაიყმუვლა.

ის ჩვენსკენ გამოიქცა, მოვიდა და ჩამოგვისკუპდა.

- რა ამბავს იწყებ? - ჰკითხა ბასამ.

- ხმას არ იღებს.

- სოფლიდან არ აპირებს გასვლას?

- რას გაიგებ იმისას, მუნჯია და გულში რა უღვევს არავინ იცის.

- კარგი, ამ სამსჯავროზე წინამძღოლად მე ამირჩიეს და იმ ქალის შექმა დაგვევალა, - უთხრა ბასამ.

- თუ სოფლიდან როდისმე გავა, აუცილებლად შეგანყობინებთ.

- ჩვენ დეკიანებში დავიდეხთ ბინას, აბა ყოჩაღად! - უთხრა წინამძღოლმა.

მგელმა ფერდობზე ჩაირბინა, გაგორდ-გამოგორდა, ქალად იქცა და თულუხი წამოიკიდა. ხო, მართლა, ეხლა გამახსენდა, თქვენი სოფლის თავ ვიყავით, ის დედაკაციც თქვენი სოფლელი იყო, ცაცო ერქვა.

- ცაცო?! - აღმოხდა ლუკას.

- ჰო, ჰო, ისე მოკვდა და ისე დამარხეს, ვერავინ ვერაფერი გაიგო, მაგნაირი იმდენი დადის, ქვეყანა სავსეა. ის ქალი ხო გახსოვს, ამაღლების დღესასწაულზე ჰაერში რომ აფრინდა.

- დონანა ერქვა, ამბობენ მერე სამუდამოდ გაფრინდა ცაშიო, - თქვა ლუკამ.

- ჰო, ხალხი ასე ამბობს, - თქვა თევდორემ.

- თეთრუას უნახავს, როგორ ჩამოდგა ღამით ციდან სინათლის სვენი და როგორ გაფრინდა დონანა.

- თეთრუას დონანამ სთხოვა, რომ ასე ეთქვა, - თქვა თევდორემ.

- როგორ? თეთრუამ ნყული თქვა?! იმან ხომ ასე დაიფიცა: იმ წყალწაღებული შვილის ძვლები დავკვნიხო, თუ ვნყუოდეო.

- კი, ასე თქვა და სწორედაც მოიქცა, მან ხომ ამით ღვთის რწმენა გააღიდა.

- როგორ, ნყულით?!

- თეთრუამ თქვა ქალი ზეცაში აფრინდაო, ხალხს ასეც სურდა რომ ყოფილიყო, ადამიანები ხომ სულ ყოველთვის ოცნებობენ ამაზე, ჰოდა თურმე რაკი ასე მოხდა, უფრო ირწმუნა ხალხმა ღმერთი. თეთრუას ნყულით კი ღვთის წინაშე არაფერი დაშავებულა, პირიქით, აქ მთავარია რწმენა.

- ხალხმა ხომ მანამდეც ნახა, როგორ აფრინდა დონანა, მეც ვნახე ჩემი თვალით, - თქვა ლუკამ.

- ჰოდა, ერთხელ რომ აფრინდა და მერე დაკარგა ეს ძალა, აი, ამან კინაღამ ჭკუიდან შეშალა დონანა. ვეღარ ეგუებოდა მიწაზე სიარულს, არადა, რომ ვეღარც მიფრინავდა?

- განა ამაში განგების ხელი არ ერია?

- ბერების მთა იცი?

- ვიცი.

- ყოფილხარ იმ მთის წვერზე როდისმე?

- არა, არ ვყოფილვარ, წმინდა ადგილად ითვლებოდა და ბავშვობაში გვიშლიდნენ იქ ასვლას.

- პაპამჭედელი თუ გაგიგონია?

- არა, არ გამიგონია.

- მფრინავი ბერები?

- არც ეგ მსმენია.

- ამბობენ, ერთიც იყო და მეორენიცო. პაპამჭედელს ცეცხლის რწმენა ჰქონდა, მფრინავ ბერებს წყლისა. იქ, მთის წვერზე ბერების ნასაყდრალეებთან წყაროც არის.

წყლის რწმენა ჰქონდათ ბერებს და შეეძლოთ ფრენა. როგორ აკეთებდნენ ამას, ეს არავინ იცის, ჰაერში თურმე ჩინებივით დაფრინავდნენ, აი ისე, დონანა რომ აფრინდა ამალლებას. სადაც დონანა აფრინდა, ადრე იქაც იმ მფრინავ ბერებს უცხოვრიათ. გადმოფრინდებოდნენ მთის წვერიდან და დაფრინავდნენ ხეობაში, გადაუვლიდნენ ნყეებს, ჰაერიდანვე ჰკრეფდნენ შვინდს, ძახველს, მოცხარს.

მერე ხეობაში გამოჩნდა კაცი, რომელსაც წყლის რწმენა კი არა, ცეცხლის რწმენა ჰქონდა. მოვიდა და დასახლდა. სახელად პაპამჭედელი ერქვა.

ბერებს უკვირდათ, რომ პაპამჭედელს ცეცხლი სწამდა და არა წყალი. გადმოფრინდებოდნენ მთიდან და ამით პაპამჭედელს აჩვენებდნენ თავიანთი რწმენის ძლიერებას. პაპამჭედელს მაინც ცეცხლისა სწამდა და ამით შორის ერთხანს ჰარმონიამ დაისადგურა: ბერები მთის წვერიდან კალათით უგზავნიდნენ წყალს, პაპამჭედელო, ბარად ხარ და ცივი წყალი მოგენანრებოდაო. წყლიან კალათას წვეთიც არ გავარდებოდა.

ახლა პაპამჭედელი გაუგზავნიდა ჩვრებში გახვეულ გავარვარებულ უროს, მთაში ხართ და ხელებს მოითხოვთო.

ბერებმა თავიანთი ნომის ქალი მიათხოვეს პაპამჭედელს.

გაიმართა ქორწილი.

იცეკვა პანარძალმა.

ყველას მოეწონა.

ბერებმა გულში გაიფიქრეს, რაღა პაპამჭედელს მივათხოვეთ, ჩვენ გვეთხოვა ეს ქალიო.

დამთავრდა ქორწილი.

მთის წვერისაკენ გაფრინდნენ ბერები. ჰაერში ერთხელ კიდევ მოიხედეს, რომ კიდევ შეევლოთ თვალი პანარძლისათვის. მოიხედეს და ჩამოცვივდნენ, დაკარგეს ფრენა.

- რანომ?- ჰკითხა ლუკამ.

- იმინომ, რომ დაკარგეს რწმენა და გულში ავი გაივლეს სხვის ცოლზე.

- პაპამჭედელი?

- პაპამჭედელი გამრავლდა, გაიმარჯვა იმის რწმენამ. ბერებმაც ცეცხლი იწამეს და მთაზე აღარ ასულან.

- მერე?

- მერე მოვიდა სხვა რწმენა.

- მერე?

- მერე სხვა.

- დონანა რომელმა რწმენამ ააფრინა?

- ეს ვერც დონანამ გაიგო და მეორედ რომ ველარ გაფრინდა, გადაწყვიტა, იმ მთის წვერზე წასვლა და წმინდანად ცხოვრება, სადაც ადრე მფრინავი ბერები ცხოვრობდნენ. იფიქრა იქ ცხოვრებით დაუბრუნდებოდა ფრენის ძალა. ვინ იცის,

იქნებ მართლა რომელიმე მფრინავი ბერის შთამომავალი იყო და გენებმა ააფრინეს იმ დღეს. ერთხელ რომ იგრძნობს ადამიანი ზეგარდმო ძალას, მერე უჭირს მიწასთან ყოფნა. დონანასაც დაელია გული მოლოდინით. გადაწყვიტა ღამე გაპარულიყო მთაზე. ხალხს რომ მისი ადგილსამყოფელი არ გაეგო, თეთრუას სთხოვა: შენ ყველა დაგიჯერებს, თქვი ღამე დავინახე, დონანა ზეცაში გაფრინდათქო. ოღონდ ეს თქვი და შენი შვილებისათვის ვილოცებ.

- როგორ, დონანა ხომ დამუნჯდა იმ დღის მერე?!

- ვიცი, რომ თეთრუას ასე უთხრა, ღამით კი გაიპარა და ბერების მთისაკენ მიმავალ ფერდობს აუყვა აღმა.

ცაცომ იმ წუთშივე შეგვანყობინა ყმუილით.

დავწალიკდით.

ბასას ჩავუდექით კვალში.

კარგა ხანს მივდიეთ ძუნძულით, არ ჩქარობდა წინამძღოლი.

ას ნაბიჯზე მივყვებოდით დონანას.

ერთ გორზე შედგა და იქ შეისვენა.

- აბა, ახლა კი დროა, თორემ მთვარე მოგვისწრებს მერე, - გვიბრძანა ბასამ.

წრეზე შემოვერწყით დონანას.

- აბა, ვინ გაჰკრავს პირველ კბილს? - იკითხა ბასამ.

მგლები შეყოვნდნენ.

რანომღაც ყველას მოერიდა დონანასათვის პირველს გაეკრა კბილი.

- მე დავეცემი, - წამოიწია ძლიერი მგელი, ჯალაბა.

- აბა, დროზე თორემ უცებ არ გაგვიფრინდეს, - ბრძანა ბასამ.

ჯალაბას მოქნილი და ძლიერი ნახნომი ჰქონდა.

მერე ჩვენც მივესიეთ...

სერდასერ ავიარეთ, მფრინავი ბერების ნასაყდრალში გავილოკეთ ნუჩები და თითო ყლუბი ცივი წყალი დავლიეთ.

ჩავმწკრივდით სერზე და ვალმოხდილი გადმოვყურებდით ქვეყანას.

უცებ ჩვენს უკან, მთვარემ ამოყო ყური.

დავფრთხით.

კუდები ამოვიძუეთ და მიმოვიფანნეთ. მივიმალეთ იმ ადგილს სადაც დონანა გავწირეთ.

თუ წაიყვანდა, მთვარე წაიყვანდა იქედან მის სულს, მენი არავინ.

თევდორემ არაყი ჩამოასხა და დაილოცა:

- დონანას სულს გაუმარჯოს, ნათელში აფრინოს გამჩენმა.

- ამინ! - დაემოწმა ლუკა, არაყი კი აღარ დაუღვია.

- დალიე, რანო აღარ სვამ, ნამგზავრს მოგიხდება.

- არა, რანომღაც არ მინდა.

- შენი ნებაა, მაგრამ შესანდობარი ცონა მაინც უნდა მოსვა, იქნებ მართლა არსებობს მისასვლელი გზა.

ლუკამ თავლის არაყი მოსვა. სასმელმა სასიამოვნოდ დაუარა ძარღვებში და თევდორეს შეხედა.

- რა დამფრთხალი მიყურებ, ბიჭო, ისევ მგელი კი აღარა ვარ, თუ გინდა ამის შესახებ არაფერსაც აღარ მოგიყვები.

- მოყევი, ძია თევდორე, მე არ მეშინია, - თქვა ლუკამ და იმწუთსვე მიხვდა რომ ეშინოდა.

- აგრე იყო ჩვენი საქმე, ხან ვინ გვყავდა წინამძღოლი და ხან ვინ. შვიდი წელიწადი ვიყავი მგლად და იმ შვიდ წელში ერთხელ არ მომერგო წინამძღოლობა. ვერც ერთხელ ვერ გამოვაგდე კლდიდან სამი ყინული. სულ სხვათა კვალში ვიყავი ჩამდგარი, სულ სხვათა ბრძანებებს ვემორჩილებოდი. არა და ვერ წარმოიდგენ, რა პანიკი და სიამაყეა მგლისთვის წინამძღოლობა. მიდიხარ მკერდწამოწეული, უკან დაწალიკებული მგლები მოგყვებიან, შესდგები და იმავ წუთს გაქვავდებიან ისინიც. ბრძანებას გასცემ, ნონს გაიქნევ, ბრძანება შესრულებულია. არავის არაფერს არ დაუთმობ, ბეწვისოდენ წყენასაც არავის შეარჩენ, მუხლი გერჩის და კბილები ალესილი გაქვს. ქვეყანაზე ერთადერთი მთვარე გაფრთხობს, ხროვას გიფანანავს და დამფრთხალები შენ ბრძანებას აღარ ემორჩილებიან. სხვა ისეთი დარდი არაფერი გაქვს. თვალებიც გიჭრის სიბნელეში და რაც მთავარია სინდისი არ გაწუხებს როცა ვინმეს თავს ეცემი. ასეთია სიამაყე წინამძღოლი მგლისა.

- მთვარისა რანომ ეშინიათ? - იკითხა ლუკამ.

- ახლა არ ვიცი, მაშინ მგონი მძორის სუნი მოგვდიოდა მთვარიდან, ისე კი, მთვარიანშიც ბევრჯერ გვიწანწალია სარჩოს საძებრად. ერთხელ, იალალებზე გაშვებულ ხარებს დავეცით თავს. ერთი ხარი მოვიგდეთ წრეში, ნელ-ნელა შევავიწროვეთ რკალი. ხარი გასასვლელს ეძებს. მგლების კანონი ურყევია. გასასვლელი არ უნდა მისცე შენი მხრიდან, თორემ ვაი შენი ბრალი. საშიშია დამშეული მგელი.

ვაკვიწროვებთ წრეს და უცებ ჩემი ხარი ვიცანი: ახლა აღარ მახსოვს როგორ ვიცანი, მგონი შემომხედა, ჩემი გაზრდილი იყო და ალბათ თვალებით ვიცანი. ისიც რანომღაც პირდაპირ ჩემსკენ წამოვიდა, რომ იმდენ მგლებში მე ვიყავი წითელი ფერის. ნონი მოვუქნიე შორიდან. შედგა, ყელის ძარღვები დაებერა და დაიქმინა. მგლებმა უფრო შეკრეს წრე, ხარმა ეს იგრძნო და გამოქანდა.

პირველი მე ვეძგერე და მერე სხვებიც წამომეშველნენ.

დანარჩენი ხარები ქედიდან გადმოგვყურებდნენ და ღრიალებდნენ.

იმ დღეს წინამძღოლის ქება დავიმსახურე.

წინამძღოლობა კი არა და არ მეღირსა. სხვათა ბრძანებით ათას სამგლო საქმეს ჩავდიოდი. წრისთვის არასოდეს მიღალანნია. ახლა რომ ვიხსენებ, იმდენი ცოდვა მაქვს ჩადენილი, რომელი ერთი მოგიყვე. იმათ შორის მარნო ერთი დღე



გააბათილებს ჩემს ცოდვიან მგლურ დღეებს. ეს მოხდა ჯალაბას წინამძღოლობის დროს. ჯალაბა მოხერხებული და ჯანიანი მგელი იყო, ამინომაც ინიშნებოდა ჩვენს წინამძღოლად. იგი მგლის ყველა თვისებას ანარებდა. მორუხო-მონაცრისფროდ მბზინავი ბეწვი ჰქონდა. სულს არ მოგვათქმევინებდა, ისე გადაგვანარებდა მთას. უფროსებშიც დიდი პანივისცემით სარგებლობდა. ყინულიან კლდეს ისეთი ხმით შეჰყმუვლებდა, გეგონებოდა კლდე ჩამოიშლებოდა. შებრალება არ იცოდა რა იყო, ცოდვა კი იმდენი ჰქონდა ჩადენილი, ჯერ რაც მარნო ჩემი თვალით ვიხილე, ვერ აგიწერ.

ერთ სოფელში შეყვარებული გოგო და ბიჭი ცხოვრობდნენ. როცა სოფელს ვუთვალთვალეებით, ხშირად ვხედავდით, როგორ გამოიპარებოდნენ შეყვარებულები დაბინდებისას სოფლიდან და ერთი დიდი მუხის ქვეშ ხვდებოდნენ ერთურთს. უფრო ხშირად ბიჭი მოდიოდა ხესთან პირველი. მუხა სოფლის კარგა მოშორებით იდგა და ას ნაბიჯზე ნყე იწყებოდა, საიდანაც ჩვენ ვუთვალთვალეებით სოფელს.

გოგო და ბიჭი გვიანობამდე ერთობოდნენ ერთმანეთის ალერსით. ხანდახან ეწყობა თავი ისე ავიწყდებოდათ, მთელი მგლების ხროვა თავზე ყმულით რომ დავსხმოდით, ალბათ, კარგა ხანს ვერც კი მოვიდოდნენ გონზე, თუ რა მოხდა მათ გარშემო.

ჯალაბა სულ კბილებს ილესავდა, მაგრამ რანომღაც ისე მოხდა, რომ იმის წინამძღოლობას არ დაემთხვა შეყვარებულთა ამბავი.

წყვიდან იმასაც კი ვუთვალთვალეებით, როგორ იქორწილეს იმ გოგომ და ბიჭმა. ისე მოდიოდა წელში გამართული ნეფე, გეგონებოდა ეს-ესაა აიწევა და გაფრინდებოდა, გოგო მოჰყვებოდა დამფრთხალი შველივით. ორ დღე-ღამეს ჰქონდათ ქორწილი. მესამე დღეს პანარძალი წყაროზე გადმოვიდა.

უცებ სოფელში თოფმა იგრიალა.

პანარძალს ამ ხმაზე მხრიდან კოკა გადმოუვარდა და დაიმსხვრა გზაზე. ჯერ კოკის ნამსხვრევებს დააცქერდა, მერე ადგილს მოსწყდა და სოფელში გაიქცა.

სოფელში ერთ კვირამდის არ შეწყვენილა გლოვის ზარი. კვირის თავზე, სასაფლაოსაკენ თმებგაშლილი, გულისდამდულრავი ქვითინით მიჰყვებოდა ის გოგო თავის ნეფეს, რომელიც ვიღაც მეზობელს მოუკლავს იმის გამო, რომ მასაც უყვარდა მისი ცოლი.

მგლებს რა ცოდვამ უნდა დაუდუღროს გული, მაგრამ ეს რო ვიხილეთ, ერთმანეთს გადავხედეთ და ეს იყო ნიშანი სიბრალულისა.

მარნო ჯალაბას არ შერხევია წარბი.

გავიდა დრო.

ჯალაბას მიერგო წინამძღოლობა.

ისევ იმ სოფლის თვალთვალმა მოგვიწია წყვიდან.

ვხედავთ, გამოდის შებინდებულზე შავოსანი გოგო და იმ მუხასთან მოსთქვამს თავის დაკარგულ სიყვარულზე.

გავიდა ერთი ღამე.

მეორე.

მესამე.

გოგო ყოველთვის შებინდებულზე გამოდის.

ერთხელაც ასე რომ ნიროდა, წამოადგა თავზე იმ განსვენებული ბიჭის აჩრდილი.

გოგო შეკრთა.

მერე იყვირა და მოეხვია ბიჭს.

ამის მერე ყოველთვის ამ დროს ხვდებოდნენ ამ ხესთან.

ეალერსებოდნენ ერთურთს, მერე ეწყობა ბიჭს რაღაც ვადა გაუვიდოდა და ქრებოდა.

გოგო ნირილით ეხვეწებოდა: არ გაქრე, ნუ დამნოვებ მარნოსო.

ერთ საღამოსაც რომ შეიყარნენ, ჯალაბას ბეწვი აებურძგლა.

- მომყევით! - ნონის აქნევით გვანიშნა და წინ გავარდა. ჩვენ ადგილიდან ვერ დავიძარით. ის კი თავისი ჩვეული მოძრაობით დაეცა გოგოს და კარგახანს თვრებოდა იმისი სისხლით.

- რაისთვის მახრჩობ, სიყვარულო, რაისთვის? - ხრიალებდა გოგო, რომელსაც ეწყობა ეგონა ვაჟის აჩრდილი ახრჩობდა.

შეშინებული და გაოგნებული აჩრდილი კი მუხას აეკრა და მანამდე იყო ასე, მანამ გაქრობის დრომ არ მოუწია.

ჯალაბა ბანაკში დაბრუნდა და ერთი შემოგვიბღვირა ურჩობისათვის.

ამის მერე ხომ აღარაფერს აღარ გვპანიობდა.

ერთხელაც იყო, ხეობის სიღრმეში მივარდნილ სოფელს ვუთვალთვალეზდით.

ჯალაბა იყო წინამძღოლი.

დილით თოვდა.

თოვამ რომ გადაიღო, სოფლიდან, ერთი, ნანში მოსული, ახალგაზრდა, ლამაზი ბიჭი გამოვიდა და ჩამოიარა სოფლის დაღმართი.

დედამისი ბანზე იყო ჩამომდგარი და კარგახანს ჩამოჰყურებდა შვილს.

ახალმოსულ თოვლზე ბიჭმა ნაკვალევი დანოვა.

ერთი კვირის თავზე სოფელში ქალების წიოკი და ნირილი აწყდა.

გავიხედეთ.

სოფლისაკენ იმ ბიჭს მიასვენებდნენ საკაცით.

დედა ჩამოეგება, მაგრამ გზაში ჩაიკეცა.

ყინვები დაიჭირა.

მთვარიანი ღამეები დაიწყო.

დამშეული ვიყავით და მთვარესაც აღარ ვერიდებოდით.

გამოვიდოდა ხოლმე, დღისით და ღამით იმ ბიჭის დედა, დაჰყვებოდა შვილის ნაფეხურებს და ჰკოცნიდა.

თოვლი აღარ მოდიოდა და ნაკვალევიც დიდხანს იყო.

ერთ ღამეს, როცა შავოსანი დედა კოცნით ჩამოჰყვა შვილის ნაკვალევს, ჯალაბას ავად აებურძგლა ბეწვი, მბრძანებლურად აგვიქნია ნონი და წინ გავარდა.

კვალში ჩავუდექით.

წამოვეწიე.

დავწინაურდით.

მომხედა.

მომყევით, ნონი დამიქნია.

მოგყვები-მეთქი, ვანიშნე და შევკარ კამარა.

ზუსნი აღმოჩნდა ჩემი ნახნომი.

თოვლიან მიწაზე გავშხლართე ჯალაბა და ყელში ვეცი.

წამოგვეწივნენ სხვა მგლებიც და ყელში ეცნენ ისინიც წინამძღოლს.

ყმუოდა, ხრიალებდა, დიდხანს არ დაგვემორჩილა.

ბოლოს ჩაწყნარდა.

ჩაწყნარდა მიდამოც.

თოვლში ეყარა წინამძღოლის ნაგლეჯები, ჩვენ კი ისევ სათვალთვალოდ წავედით.

რა თქმა უნდა, დედას ჭეშმარინად მკვდარი გული ჰქონდა და ვერც ჩვენი ხრიალ-გრიალი ვერ გაიგო, ვერც ის, როგორ ჩამოჰკვივლა ვიღაცამ სოფლიდან:

- ამოდი, ქალო, სალომე, არ გესმის როგორ ღავდავებენ მგლები!

სალომე იჯდა და შვილის ნაფეხურებს ჰკოცნიდა.

სავსე მთვარე ეკიდა ცაზე.

მერე საიდანღაც ამოძვრა პანარა ღრუბელი, გასივდა, გაიბერა და სათოვრად გაემზადა.

წამოვიდა თოვლი და აღარაფერი აღარ ჩანდა.

მეორე დღესაც თოვდა.

მესამე დღეს კი, რომ გამოიდანა, ნაფეხურები აღარ ენყობოდა. აღარც სალომე ჩამოსულა მენად.

- მერე სამსჯავროზე არ დაგსაჯეს მაგის გულისთვის? - ჰკითხა თევდორეს ლუკამ.

- არა. სამსჯავროზე ეს ვერ გაიგეს, თორემ ერთს აღარ დაგვნოვებდნენ ცოცხალს. უნებია მგლების კანონი, თუ რაიმეზე პირი შეჰკრეს, ვეღარ განეხავ. ჩვენ პირი შევკარით, რომ სამსჯავროს წინაშე არავის დასცდენოდა ეს ამბავი, ცონად თუ ბევრად ყველას რაღაცა წყენა ახსოვდა ჯალაბასაგან, გაბედვით კი ვერავინ ვერაფერს უბედავდა. მე რომ პირველმა გავკარი კბილი, ამით დანარჩენების თვალში უფრო ავმაღლდი. იმის მერე, ვინც წინამძღოლი გყავდა, ყველა ცდილობდა პანივით

მომპყრობოდა. როცა კვალში მივდედით ერთურთს, მეორე არა, მაგრამ მესამეს მე მიმიყოლებდა წინამძღოლი, ენყობა მაინც შიში ჰქონდათ ფარულად, მთლად ვერ მენდობოდნენ.

მეორე რომ გავყოლოდი, ვაი თუ ისევ დავცემოდი როდისმე თავს, როგორც ჯალაბას დავეცი. დორაისხეველებისაგან ჩვენ მოჩენილი გვყავდა ერთი მგელი, რომელიც მარნო იმისთვის დაგვყვებოდა, რომ შემდეგ დორაისხევში გამართულ სამსჯავროზე დავებეზლებინეთ. ყველაფერი ეს ხდებოდა საიდუმლოდ, მაგრამ ჩვენ მაინც ვხვდებოდით, რომელი იყო ჩვენს შორის ასეთი მგელი.

ერთხელ, რამდენიმე მგელმა პირი შეჰკრა და გადაწყვიტეს ხელში ჩაეგდოთ მთელი ძალაუფლება. ამისათვის საჭირო იყო დორაისხეველი მბრძანებლის შეპყრობა, რაც არც ისე იოლი იყო. გაფიცულმა მგლებმა ჩუმ-ჩუმად მოლაპარაკება გააბეს მბრძანებლის ყარაულებთან. არ ვიცი რა გეგმა შეადგინეს, მაგრამ შესდგა თუ არა მორიგი სამსჯავრო, გაფიცულებმა უცებ გათოკეს ბალახის ალდახებით და წამებით ამოხადეს სული. თან ჩვენს დასანახად აწამებდნენ, რომ შემდეგში ჩვენც არ გაგვებდა ასეთი რამე. იყო ჩვენს შორის მგელი წიწილო, გამწლეული, მიუკარებელი და მლიქვნელი. როგორც შემდეგ გავიგეთ, წამებული მგლებისაგან ჩუმად დანაბარები, თურმე წიწილოც მათ შორის იყო, როცა ფიცი დადეს და ამბოხებისათვის ემზადებოდნენ. წიწილო არავის არ უწამებია, იგი ისევ ჩვენს შორის დაძუნძულებდა სამგლო საქმეებზე და თავს ერთგულად გვაჩვენებდა. ჩვენი ამბები კი უკლებლივ იცოდნენ ყველა სამსჯავროზე. ცხადი იყო ადრე წიწილომ გასცა შეთქმულები და შემდეგშიც ის მოახსენებდა დორაისხეველ მბრძანებელს ყველა ჩვენს ნაბიჯს. იმ ამბის მერე, რაც წინამძღოლი ჯალაბა გავისწუმრეთ საიქიოს, წიწილოს ცოცხლად გაშვება აღარ შეიძლებოდა. ერთ წიფლიან ნყეში შევიკრიბეთ და სახელდახელო არჩევნები მოვაწყვეთ. განგებ წიწილო ავირჩიეთ წინამძღოლად, რომ ექვი არაფერზე აელო და მთვარიან ღამით არსად გაგვპარვოდა დორაისხევისაკენ. წინამძღოლი რომ იქნებოდა, ყველას ყურადღება მისკენ იქნებოდა მიპყრობილი და ისე ადვილად ვეღარ გაბედავდა გაპარვას, თანაც ამით გავიგებდით კიდეც ვინ ჰყავდათ ჩვენ ჯოგში დორაისხეველებს ამბის მიმნანი. მომავალ სამსჯავრომდე კიდეც კარგა დრო იყო დარჩენილი და ვუკვირდებოდით წიწილო ვის გააპარებდა ღამით ამბის მიმნანს დორაისხევისაკენ. ეს ცხადია, ასე უნდა მომხდარიყო, ვინმე ჩვენს შორის, წიწილოს გარდა კიდეც იყო მოთვალთვალე. ასეც მოხდა: ერთ ღამეს, როცა ყარაულები თეოზე გავიდნენ და ჩვენ წავთვლიმეთ, ვხედავთ წიწილომ როგორ წასჩურჩულა ერთ-ერთ მგელს რაღაც. ის ჩუმად გახობდა წიფლებში და გაიპარა. ნელა წავუყმუვლე, ისე რომ წიწილოს და გაპარულს არაფერი ეგრძნოთ ამით, ვითომ ძილში ვიყავი, ძილში ყოველთვის წავუყმუვლებდით ხოლმე მგლები ასე, ახლა კი ეს ნიშანი იყო იმისა, რომ თეოზე გასულ მგლებს დორაისხევისაკენ გაპარული გამცემი ცოცხალი არ გაეშვათ. იმათ წინასწარ იცოდნენ ეს და ჩაუდგნენ კიდეც კვალში,

როგორც თქვეს, უდაბურ კლდეზე გადაუჩეხიათ. ამის მერე, წიწილოც მოვაშორეთ წუთისოფელს. დროებით ქორაი ავირჩიეთ წინამძღოლად და ავყევით გორის ფხას.

სულ მალე კი დორაისხევში უნდა წავმდგარიყავით შეკრებაზე. დადგა ეს დღეც. ვიღაცამ მაინც გაგვცა.

დაგვიყენეს ახალი წინამძღოლი, ხროვაში შემოგვირიეს უცხო მგლები და გაგვიყენეს უდაბნოს გზას.

ნამდვილი წამება იქ გავიარე. ფეხისგულები მიხურდა ცხელ ქვიშაზე ძუნძულით, თვალეზში ქარისაგან წამოღებული მწვერი გვეყრებოდა და ისე გამევესო ბეწვი უდაბნოს ქვიშით, ახლა წითელი ფერი კი აღარ მქონდა, უდაბნოს ქვიშის ფერი ვიყავი, სხვებსაც ასეთივე ფერი გადაჰკრავდა. უწყლობას ველარ ვუძლებდით და გზადაგზა ვიხოცებოდით. რამ გადამარჩინა, დღესაც არ ვიცი. მორიელებს და ჯოჯოებს ხომ სათვალავი აღარ ჰქონდათ. ვერ წასთვლემდი. ასე გვაწამეს სამი თვე და ბოლოს დორაისხევში შევიკრიბეთ.

გაგვიძლიერეს კანონები და დაგვაფიცეს აღარასოდეს გვეღალანა მოძმისათვის.

ისევ შევეყმუვლეთ კლდეს და ისევ ჩაგვიდგა ახალი წინამძღოლი, ამჯერად ჯაყო.

ისეთი სახით ჰყვებოდა თევდორე, ლუკას შეეშინდა, აქ ისევ მგლად არ იქცეს, ან სამგლო საქმე არ გაახსენდეს და არ მეცესო.

- კჰ! კჰ! - ჩაახველა ლუკამ.

თევდორემ ლაპარაკი შეწყვიტა, გამოერკვა.

- დაიღალე ლუკავ? მე კი ვყვები და ვყვები, ლაპარაკსა ვარ მონანრებული და... სოფელშიც ვერ ვძლებ, ვინანჯები ხალხთან ყოფნით, სუ ის ჩემი ჩადენილი საქმეები მახსენდება და ბალღებს თვალს ველარ ვუსწორებ. თანაც ალლო გამომყვა, სიკვდილის მოახლოვებასა ვგრძნობ. წინასწარ ვიცი, თუ სოფელში ვინმე უნდა მოკვდეს, მძორის სუნი მცემს, სიკვდილისათვის გადადებულ ცაში კი ადრევე იგრძნობა ეს სუნი. ზოგი თვითონაც გრძნობს ამას, მე უფრო მენად, მგლობიდან გამომყვა ეს ალლო. სოფლიდან ხო ამსიშორეზე ვცხოვრობ, ხანდახან აქედანაც კი ვგრძნობ, რომ ახლო-მახლო სოფელში ვინმე უნდა მოკვდეს. ვინანჯები, რანაირად ვინანჯები ვერ აგიწერ.

თევდორე ადგა, გარეთ გაიხედა და თქვა: - ისევ თოვს, ასე თუ გაგრძელდა ხვალაც ვერ გაგიშვებ ლუკა, საზოვეები იქნება.

- იქნებ გამოიდაროს, - ისე თქვა, ნანვრას უფრო ჰგავდა ლუკას ნათქვამი.

- კარგა ღამე წავიდა, დავიძინოთ, ხვალემ იკითხოს ხვალისა, - თქვა თევდორემ, ხონჩა აიღო და მეორე, შიგნითა ოთახში შეინანა. ცონა ხანში უკანვე გამობრუნდა, სადაც იყვნენ იქ ლუკას ლოგინი გაუშალა და უთხრა:

- აბა, მშვიდად დაიძინე, მე შიგნით ოთახში დავწვები, მამაჩემის ნაქონი საწოლი მიდგას იქ, ერთადერთი იქ ვიძინებ მშვიდად, რაღაც მაღლი ნრიალებს შიგ, სხვაგან ვერ ვისვენებ, სუ ავი სიზმრები მნანჯავს, ვნრიალებ, ვბრუნავ.

თევდორემ ღუმელს ერთხელ კიდევ შეაყარა შეშა, ლუკას მშვიდი ძილი უსურვა და თვითონ შიგნითა ოთახში შევიდა დასაძინებლად.

- შუქი თუ არ გინდა, ჩააქრე ლამფა, - შიგნიდან გამოსძახა თევდორემ. ლუკა უკვე დაწოლილი იყო, წამოდგა და ჩააქრო. ჩამოწვა სიბნელე. სიჩუმე ჩამოვარდა. ლუკამ საბანი წაიხურა.

უცებ შიშმა აინანა. «რანომ ჩავაქრე შუქი» - გაიფიქრა მან. «შუქი თუ არ გინდა, ჩააქრე ლამფა», ისევ ჩაესმოდა თევდორეს ხმა და სხვა მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ხმას. რანომ უთხრა ჩააქრეო, ნუთუ ისევ მგლად უნდა იქცეს და სიბნელეში დაეცეს თავს. ახლა გაახსენდა და რანომღაც მოეჩვენა, რომ ბოლოხანს თევდორეს სხვანაირად აემღვრა თვალები, თანაც მარნო ცხოვრობს. იქნებ იმინომ არის აქ მარნო, რომ ლუკასნაირ გზააბნეულ მგზავრებს შემოინყუებს სახლში, შეიყოლიებს თაფლის არაყზე, ლოგინს გაუშლის, ლამფა ჩააქრეო გამოსძახებს შიგნიდან და თუ დაგეძინა... არა, არა, მაშინ აღარც გადაარჩენდა. იქნებ იმინომ გადაარჩინა, რომ თვითონ მოუღოს ბოლო, მაგრამ ხომ თქვა, კაცის სახეში არ მოუსჯიათ ჩემთვის მგლად ყოფნაო. მაშ რა არის, რა უნდა დანრიალდეს ლუკას თავზე ამდამ. კიდევ კარგი ცეცხლი ანთია და ჯერჯერობით იმის შუქი ანათებს ოთახს. როგორმე უნდა გასძლოს და არ დაიძინოს. ცეცხლი თუ ჩაქრება, კიდევ აანთებს, ხელმეორედ ლამფის ანთება უხერხულია, იქნებ აღარაფერი სამგლო საქმე არ უდევს თევდორეს გულში და ეწყინება ექვიანობა და შიში რომ შეამჩნიოს. ბოლო-ბოლო, ხომ თევდორემ აჩუქა წელან სიცოცხლე.

ნენავი, მერე რა მოხდა, როგორ დააღწია თევდორემ თავი ნყვეობას, როგორ მოიქცა ისევ ადამიანად, თუ მართლა მხოლოდ ადამიანია და ისევ მგელი არა ზის მის სულში. თავიდან კი არ შემოუშვეს დორაისხვევლებმა სოფელში კაცის სახით, იმინომ რომ არ ენდობოდნენ და წითელ მგლად აქციეს. იქნებ შვიდი წლის მანძილზე დაიმსახურა მათი ნდობა და ახლა კაცის სახეში ჩაუსახლეს წითელი მგელი. თუ ასეა არ დაინდობს ლუკას, აკი არც თავისი გაზრდილი ხარი დაუნდვია. იქნებ მაშინ ხარმაც იგრძნო ალლოთი პანრონის სუნთქვა და იმინომ მოინდომა წითელი მგლის მხარეზე გაერღვია წრე.

ხარის გაფიქრებაზე რანომღაც ისევ წამოეწეწნენ ბავშვობის დროინდელი მოგონებები.

უშველებელი ხარი ჰყავდა ლუკას, მოფერებით ბოჩოლას ეძახდა. პანარაობიდანვე თვითონ გაზარდა და ეს სახელიც იქედან შემორჩა.

დიდი, ჭკვიანი თვალები ჰქონდა ბოჩოლას. ხაოიანი ენით შუბლსა და ქოჩორს ულოკავდა ლუკას და თმები ყოველთვის ისე კოხნად ჰქონდა აღმა გადავარცხნილი, სოფელში დასცინოდნენ: შენ სავარცხელი რად გინდა, ხარი გყავს სავარცხლადო. ბოჩოლა სკოლის კარებამდე მიაცილებდა ლუკას და მერე ახლო-მახლო სძოვდა, ელოდებოდა, როდის დამთავრდებოდა გაკვეთილები, რომ სახლშიც ერთად წასულიყვნენ. იმის შიშით, უფროს კლასელი ბიჭებიც კი ვერაფერს უბედავდნენ. თუ შეამჩნევდა ვინმე სჩაგრავდა ლუკას, აბუბუნდებოდა, რქებით მიწას სთხრიდა და ისე იმუქრებოდა სკოლის ეზოს იქეთ ბოჩოლა, ლუკას მოწინააღმდეგე ფარ-ხმალს ყრიდა.

დასვენების დღეებში სამოვარ იალაღებზე მიჰყავდა ლუკას ხარი. მთელ ზაფხულს მისთვის აგროვებდა მწვანე თივას და ზამთარში თავისი ხელით აჭმევდა.

კარგად მოვლილ და ნაპანებ ხარს შავი ბეწვი სასიამოვნოდ უბზინავდა. სამი წლის რომ გახდა, უღელშიც შეაბეს. არ ესიამოვნა, მიწა გამოთხარა წინა ფეხით.

- ნუ გეშინია, ბოჩოლ, მონობის უღელი კი არ დაგადგით, მოგნათლეთ, ხარი ხარ, რა ვიცი როდის დაგვჭირდება შენი ხარობა, - უთხრა ლუკამ.

ბოჩოლამ შუბლი და თმები აულოკა.

ენა უკვე გაუხეშდა და ჭაპოშარივით დაფხოჭნა.

- ნელა, ბოჩოლა, ნელა, შენი ნოლი კი აღარა ვარ, - მიუალერსა ლუკამ, - ხომ ხედავ რამოდენა გაიზარდე, შენი მოძრევი ხარი მთელ სოფელში არ დადის.

მართლა ვერც ერთი ხარი ვერ ერეოდა ბოჩოლას. როცა მეგველიანი სახარე ძროხას აედევნებოდა, წინ სუ ყოველთვის ბოჩოლა მისდევდა აცუნდრუკებულ ძროხას, რომელიც გარბოდა და ამით ახელებდა ისედაც გადარეულ ხარებს. იყო ისეთი დროც, როცა ბოჩოლა სულ პანარა იყო და სახარე ძროხას ადევენებულ ხარებს კუდში მისდევდა, ძროხამდე იმას ვინ მიუშვებდა და დორბლებსა ჰყრიდა, თავს მაღლა სწევდა, ჰაერს სუნავდა, გულისგამაწყალებელი ბლავილით იკლავდა ლიღარს. მერე თანდათან მოღონიერდა, მეორე გაზაფხულის ბალახი რომ მოძოვა თავის დაბადებიდან, სახარე ძროხას ადევენებულ ხარებში შუა ადგილი ეკავა და ახლა შანსიც უფრო მენი ჰქონდა ძროხასთან ყოფნის. მესამე გაზაფხულის ბალახი რომ მოძოვა, უკვე პირველი მისდევდა ძროხას, სიამოვნებდა კიდევ ეს დამათრობელი სრბოლა. ძროხა რომ ეკოხნავება, თან გაურბის, თან იწვევს, ეს კიდევ მისდევს და ეამაყება რომ პირველია, მის უკან ათობით ბუღაა აბორგებული, აბობოქრებული და ამძუვნებული, გადასწრებას კი ვერავინ ბედავს...

გარბის დეკეული. მიჰყვება მეგველიანი და სადღაც წყდება მოთმინების ძაფი, ხარის უშველებელი შავი მკერდი დაფარავს დეკეულს და ვეღარ გაუძლებს, მიწაზე გაიჩაჩხება წინა ფეხებით.

ბოჩოლა ყველგან გრძნობს პირველობას და რქით მიწაზე სჩხვერს, საჩხუბრად იღესება, გორზე გადამდგარი ბუბუნებს, ქშინავს.

გაზაფხულობით, წვიმიან ამინდებში სოფლიდან სკოლისაკენ მიმავალი გზა ნალახდება და ერთხელაც, აგვიანდებოდა ლუკას, ვეღარ მოასწრო ნალახიანი ჩექმების გაწმენდა. ის-ის იყო ეზოს შესასვლელთან გამოემშვიდობა ბოჩოლას, რომელიც ეხლაც კი თან დაჰყვებოდა და დაირეკა კიდევ დილის ზარი. ლუკა გაიქცა და ძლივს შეასწრო მასწავლებელს კლასში. სამასწავლებლოს ფანჯრიდან დაინახა დირექტორმა ლუკა, შევიდა იმის კლასში და უყვირა:

- რანომ შეხვედი სკოლაში ნალახიანი ფეხებით?
- ვეღარ მოვასწარი, პანივცემული.
- რა ვერ მოასწარი?
- ფეხების გაწმენდა, გზაზე ნალახია და ზარი დაირეკა.

- ძილი ხომ მოასწარი, - უთხრა დირექტორმა, მივიდა, ყური დაუჭირა, ასე გამოიყვანა მერხიდან, გაიყვანა კლასიდან და ეზოში გაანარ-გამოანარა აწეული ყურით, რომ მთელ სკოლას დაენახა და შემდეგში აღარავის გაეხედნა ასეთი საქციელი.

ლუკას უფრო შერცხვა და ნირილი დაიწყო. უცებ ეზოს გარეთ აბუბუნდა ბოჩოლა, ქვის ყორეს ზემოდან გადმოველო და გაექანა დირექტორისაკენ, რომელმაც უშვა ლუკას ხელი და ძლივს მოასწრო სამასწავლებლოში ჩაკენვა.

იმ დღეს ორი თუ სამი გაკვეთილი გაცდა მთელ კლასში. სკოლის დერეფანში დმუოდა ბოჩოლა და გარეთ აღარავის უშვებდა. მოიფიქრა გამოსავალი დირექტორმა და სამასწავლებლოს ფანჯრიდან გადმოსძახა ლუკას:

- წაიყვანე, ბიჭო, სახლში და ხვალ სუფთა ფეხებით მოდი.

ბიჭმა ძლივს დააწყნარა ბოჩოლა და სკოლის ეზოდან გავიდნენ.

იმ დღის მერე კუთხეშიაც კი არ დაუყენებია მასწავლებელს.

- როგორ არიან, ბიჭო, გერმანელები? - შეხვდებოდა თუ არა, იმ წუთში, იმას კითხავდა დირექტორი.

- არა უშავს რა, პანივეცემულო, - პასუხობდა ლუკა.

- თივა ხომ არ აკლია, თივა?

- არა, აქვს.

- გული მოუღბა ჩემზე?

- იმახის, თუ ოქროს მედალს არ გამოგაყოლებენ, მოვალ და იმ სკოლას სუ ძირაღმა ვუზამო.

- ჩვენგან გადაეცი, მაგაზე როგორ გაწყენინებთ, ლუკას კი არა, რვა კლასის ანესნანს შენც ბაგაზე მოგართმევთ-თქო.

თუ ლუკა რამეს დააშავებდა, მასწავლებელი იმას კი არ ენყოდა, წადი მშობელი მოიყვანეო, არა, წადი ხარი მოიყვანეო, ეხუმრებოდა.

ირემიანთ თინას მთხოვნელი მთხოვნელზე მოსდიოდა. ზოგს რაზე იწუნებდნენ, ზოგს რაზე. ერთ მეზობელ სოფლელ ბიჭს მზე და მთვარე თინაზე ამოსდიოდა, თინაც არ იყო იმის მიმართ გულცივად, მაგრამ ერთ დღეს საიდანღაც შარვალ-კოსნუმში გამოწკეპილი მთხოვნელი გამოჩნდა.

ერთხელ მოვიდა. მეორედ მოვიდა. მესამედ თანდათან იმ კაცის მხარეზე გადაიხარა სასწორი. თინას ჯერ კი შორს ეჭირა, მაგრამ უცხო კაცის ჩაცმულობამ და ქალაქურმა კილომ თანდათან თავისი ქნეს. მშობლებმა კი გაიკითხ-გამოიკითხეს იმ კაცის ვინაობა და უთხრეს კიდევ, რომ მაგ კაცს, თინამდე, სამი ცოლი ჰყავს გასწუმრებულიო.

- ეგ ხალხის ჭორია, ჩვენი შურთ, - თქვა თინას დედამ.

- რას ამბობ, დედაკაცო, ქალი არ დავლუპოთ, - დაეჭვდა თინას მამა.

- ჰოდა, მაშინ მიეცი გაღმა სოფლელ ნენიებს და ჩემსავით სოფლურ საქმეში ჩამაბერე ეგაც.



- სოფლური საქმე რა შუაშია, ქალაქში განა ხეებსა სცვივით ფულები.
- ვერა ხედავ რა ჩაცმულ-დახურული მოდის, თანაც ის რო უკეთია კიდევა.
- რა ის უკეთია, დედაკაცო!
- რა და ისა.
- გაგიჟდი, მე შენი, რა უკეთია?
- რა და ყელზე რო წითელი ნაჭერი უკეთია, - თქვა ქალმა.

თინას მამაც შეაეჭვა ამან. ჰალსნუხიანი ხალხი ცონა ენახა და ვისაც კი იცნობდა ყველას რაღაც თანამდებობა ეკავა, ამან ძალიან საგონებელში ჩააგდო და გადაწყვიტეს თინასთვის ეკითხნათ.

- როგორც თქვენ იწყით, ისე ვიზამ, - განაზღა თინა. ეჭვი აღარ იყო, იმასაც გულში ჩაჰფრენოდა ის უცხო მთხოვნელი. გაღმასოფლელი ბიჭი კი ელოდა, თანაც კარგი, გულიანი ბიჭი იყო. სასწორი ხო ვიცით ვისკენ არის გადახრილი. ჰოდა, ეს კაციც გამოჩნდა ერთ დღეს სოფლის ბოლოს თავმომწონედ მომავალი.

გაზაფხულია. ის დროა, როცა ორლობები ნალახითაა სავსე. კაცს შარვლის ნონები ამოეკაპიწებინა და თანაც მუხლებთან ხელებით მაღლა ეწევა, რომ არ განალახიანდეს. მთელი სოფელი ელოდება. მაშინ მართლა იშვიათი იყო ჰალსნუხიანი კაცი და რაღაც იდუმალებას მანებდა მოსულს, რომელსაც თეთრ ხალათზედ წითელი ჰალსნუხი ეკეთა.

მოდის, შემოვიდა კიდევ სოფელში.

ლუკა დერეფანში ზის და გაკვეთილს სწავლობს.

იქვე ბოჩოლა წამოწილილა და იცოხნებოდა.

ამათი დერეფანი უნდა გაევილო მოსულს, გზა ესე ჰქონდა.

გამოჩნდა ყელმოღერებული.

ერთი კი დაიქმინა იმის წითელი ჰალსნუხის დანახვაზე ხარმა და წამოენთო.

- ხი, ოოო! - აჩერებს ლუკა, მაგრამ რას გააჩერებ, ხარი კი არა მთა არის, გაექანა ბუბუნით თინას მთხოვნელს, მოკურცხლა იმან თავქვე და გამოენთო ხარი. ვისლა ახსოვს ნალახი, დარბიან ორლობებში აღმა-დაღმა. რო აღარ მოეშვა, ქნა კაცმა ძალი და საიდანაც მოვიდა იქეთ დაეშვა თავქუდმოგლეჯილი.

გაეკიდა ხარიც.

- კაცო, არ მოკლას კია და შარში არ გავეხვიოთ, - დაიჩივლა თინას მამამ.

სოფლიდან ძლივსლა ჩანდნენ, ისე გარბოდნენ.

არ ეშვებოდა ხარი. ვიღაცამ მოიფიქრა და გასძახა:

- ჰალსნუხი გადააგდე, ჰალსნუხი!

იმას ეს არ გაუგონია, ან რაღა ამის თავი ჰქონდა, გარბოდა რაც შეეძლო. მერე თვალს მიეფარნენ. ცონა ხნის მერე ხარი გამოჩნდა, მოვა-მოვით მოდიოდა აღმა. ის უცხო მთხოვნელი იმის მერე აღარ გამოჩენილა. თინა გაღმა სოფელს ბიჭს გაჰყვა და ხუთი ბიჭი გაუჩინა.

- ეს არის ჩემი მაჭანკალი და მშველელიო, - მოდიოდა ხოლმე მოსაკითხით ის ბიჭი ბოჩოლასთან და სათიბზე ყოველთვის შველოდა ლუკას, - შენი ხარის ვალში ვარ, მეც უნდა ვუთიბო.

მეზობელი სოფლებიდან მოჰყავდათ ხარები და ლუკას ხარს აჭიდებდნენ. ბოჩოლა ყოველთვის იმარჯვებდა. სანამ დაეჭიდებოდა, მანამდე კარგახანს ემზადებოდა, ჰკლავდა მოწინააღმდეგეს, რქებით მიწას სთხრიდა და საბერველივით ქშუნუნებდა. ხალხი სანამდღოს უდებდა ერთმანეთს და ბოჩოლა და ლუკა გამარჯვებას გამარჯვებაზე ზეიმობდნენ.

ერთი კაცი გამოჩნდა ერთხელ და იკითხა:

- ეს არის ის ხარი?

- შენ რომელს კითხულობ? - დაინწერეს და ხალხი.

- ხარი რომ ვერ ერევა, იმას.

- შენ რაში გაინწერეს?

- ისე, თქვენ სოფელში და მყავს გამოთხოვილი, და.

- ვისი ცოლიმმა ხარ?

- სანდრუაისი.

- მერე, რა შორიდან გვივლი, კაცო, ხარები კი არა ვართ რომ დაგეჭიდნოთ.

- არა, ხარის ამბავი მართლა მაინწერეს, ჩემმა ცოლისძმამ მთხოვა, ამ ზაფხულს ხარი დამჭირდება და მათხოვეო, ერთი წითელი ხარი მყავს, მთელ ოჯახს მირჩევნია.

- მერე ხო არავინ გართმევს.

- არა, წართმევით ვინ წამართმევს, მაგრამ გაგებულნი მაქვს ამ ხარის ამბავი და მეშინია ხარი არსა გადამიჩეხოს, ამის სანახავად წამოვე, ვიფიქრე წავიდე ვნახო, მოერევა თუ არა ჩემ ხარს-მეთქი, თუ ვერ მოერევა, ვათხოვებ, აბა რას ვიზამ, სიძეს ხარის გულისთვის ხო ვერ შემოვიმდურებ.

- მერე როგორ ანყო, მოერევა?

- დაინწერესდნენ სოფლელები. იმ კაცმა ბოჩოლას ახედ-დახედა და თქვა:

- ჰა და ჰა! ვათხოვებ, მა რას ვიზამ.

აი, აქედან კი დაიწყო, რაც მოხდა. ყველა მოუთმენლად მოელოდა, როდის მოიყვანდა სანდრუაი ცოლიძმის ხარს.

ის დღეც დადგა.

სანდრუამ სოფელში მოაყენა წითელი, გემივით ხარი.

ოოჰოო!

- აი, ხარი! - იძახდა ხალხი.

სამოვრიდან დაბრუნებულმა ბოჩოლამ უცხო ხარის სუნი იკრა და აბუბუნდა.

სანდრუამ იმ დღეს ბაკში გამომწყვდია ცოლიძმის ხარი და საჭიდაოდ არ გამოუშვა.

- დღეს დალილია, თანაც უცხოდ არის, ჯერ მიეჩვიოს, - თქვა მან.

მთელი ღამე ბუბუნებდა ბოჩოლა და სანდრუას სახლისაკენ იწევდა.

მეორე დღესაც არ გამოუშვა ხარი სანდრუამ. მოთმინება დაელიათ კაცებს, პაპიროსს პაპიროსზე სწევდნენ და სანდრუას ეძახოდნენ:

- გამოუშვი, კაცო, ლამის არის გაგიჟდეს ხარი.

მართლა ვეღარ ისვენებდა ბოჩოლა, რაკი ერთხელ უცხო ხარის სუნი იყნოსა, სულ გადაირია.

მესამე დღით, ნახირი სამოვარზე გაუშვეს და ბოჩოლა რომ საომრად აყვირდა, სანდრუამ ბაკის კარი გახსნა და გამოუშვა იქედან წითელი ხარი.

მთელი სოფელი სანახაობის საცქერლად შეგროვდა.

ხარები ჯერ სწრაფად გაქანდნენ ერთურთისაკენ, რაღაცა მანძილზე შედგნენ, მიწას გაუსვეს წინა ფეხები. მერე საბერველებით დაიქმინეს, თავდახრილებმა ერთიმეორის წრეზე შემოუარეს, ენყობა ორივემ იგრძნო ერთმანეთის ძალა.

ერთი წამით შედგნენ და უცებ დაეძვრნენ ერთიმეორეს.

პირველი შენევა თითქოს იმის შთაბეჭდილებას ქმნიდა, რომ ბოჩოლას უნდა გაენებნა, მაგრამ წითელი ხარი უშველებელი იყო და ენყობა არ აპირებდა დათმობას.

დაიწყო ბრძოლა უფლებებისათვის.

ბოჩოლას არ უნდოდა პირველობის დაკარგვა, ენყობა წითელი ხარი თავის მხრივ გადაწყვენით ცდილობდა ამის მოპოვებას. ხარებმა რომ ჭიდილი დაიწყეს, მაშინ ლუკა სახლში არ იყო, შუადღისას დაბრუნდა და მოადგა ამ შერკინებას. ხარების გარშემო ნრიალებდა ხალხი. ყაყანებდნენ, ხელებს იქნევდნენ, სანაძლეოებს უდებდნენ ერთიმეორეს. ხარები კი ოფლად იღვრებოდნენ. იმათ გარშემო დათხრილი იყო დედამიწა.

- მიდი, ბოჩოლა, მიდი! - ამხნევებდა ლუკა თავის ხარს და იმანაც ლუკას ხმა რომ გაიგონა, უფრო თამამად შეუწია მოწინააღმდეგეს.

ყაყანებდა ხალხი. ქმინავდნენ დაღლილი ხარები და აცხუნებდა ზაფხულის მწველი მზე. ხალხის ზემოთ, სამოვარ ფერდობებზე სოფლის ნახირი შეკრებილიყო და ისინიც თვალს ადევნებდნენ ხარების ჩხუბს, რომელნიც დროდადრო ჩერდებოდნენ, ენაგადმოგდებულნი ქმინავდნენ, ძალას იკრებდნენ და მერე ისევ ერთმანეთს ეძვრებოდნენ.

მზე მთაზე დაიწვერა, გაწითლდა, გავარვარდა, მერე სხივები აიკრიფა, ნელ-ნელა დამშვიდდა, აციმციმდა და ჩაქრა.

მთებიდან წამოქროლილმა ნიავმა გამოაცოცხლა ხარები და უფრო უმანეს ქმენას. ხალხიც გამოცოცხლდა. უფრო აყაყანდნენ. ფერდობიდან სოფლისაკენ დაიწია ნახირმა.

ქალებმა ძროხები წაასხეს, ბაკებში გამომწყვდიეს და ახალმოწველილი რძის სასიამოვნო სუნმა გაჟღინთა ჰაერი.

კაცები ისევ ყაყანებდნენ და პაპიროსს ეწეოდნენ.

- მიდი ბოჩოლა, მიდი! - ამხნევებდა ლუკა თავის ხარს, რომელმაც ენყობა ფეხი ინკინა, უკანა ფეხს ჰაერში სწევდა მალიმალ.

შემომგლისფერდა. საღამოს ბინდი თანდათან გამუქდა და შორიდან მარნო ერთურთს შეჭიდებულნი ორი მთა და იმათ გარშემო მორიალე აჩრდილები ჩანდნენ მკრთალად.

მერე სულაც ჩამოხნელდა და აღარაფერი აღარ ჩანდა. მარნო ხარების ქშენა და კაცების ყაყანი ისმოდა. ცეცხლმოკიდებული სიგარენები ჩანდნენ კიდეც ციციანათელებივით.

ვიღაცამ მოიფიქრა და კვარი აანთო, მერე სხვებმაც აანთეს და ხელახლა განათდა საბრძოლო მოედანი.

ცეცხლის შუქის დანახვაზე ჯერ კი შედგნენ ხარები, მაგრამ ეს სულ რაღაც ერთი წუთით, უბრალოდ შეისვენეს და მერე ისევ დაეხივნენ ერთ-ურთს, უკანა ფეხებს განზე სდგამდნენ და ცდილობდნენ ერთმანეთს რქებით სცემოდნენ ყელში. ორივეს სისხლი ჩამოსდიოდა ალაგ-ალაგ. ზოგან უკვე შემხმარი ჰქონდა და ცეცხლის შუქზე ბრწყინავდა, ზოგან ჯერაც მოთქრიალებდა, თავ-პირი ხომ სულმთლად ნალახითა და სისხლით ჰქონდათ მოთხვრილი. დათხრილ მიწაში ერთურთში იყო არეული წითელი და შავი ბალანი. რა ფილნვები უძლებდა იმათ ქშენას, ან საიდანღა ჰქონდათ ღონე, ეს თითქოს აღარ აინწერესებდათ გარშემომყოფთ და ბრძოლისა და სანადლეოს აზარნით შეპყრობილნი ყვიროდნენ, ყაყანებდნენ, პაპიროსს სწევდნენ. ანთებული ჩირაღდნები ხან ჩაიწვებოდა და ამ დროს ცონა ხნით, სანამ ახალს აანთებდნენ, მკრთალი ნათელი დასციმციმებდა შავსა და წითელ ხარს, რომელთაც გათენებისას დაიწყეს ბრძოლა და ღმერთმა იცის როდის შესწყვენენ, როდის გადასწყვენს ერთ-ერთი მათგანი რომ უნდა დათმოს, დათმოს არა მარნო ბრძოლის ველი, არამედ პირველობა, უფლება და შემდეგში წყალზე მიმავალი გზად გამარჯვებულს თუ შემოეყრება, გზის ძირ უნდა ჩადგეს და გზა პირველს დაუთმოს. ანდა საერთოდ შორიდან უნდა შემოუაროს.

გადავიდა შუა ღამე. ხარები ისევ ჩხუბობდნენ და კაცებიც ყაყანებდნენ. მარნო ცნობისმოყვარე ბალები თვლემენ ჟამი-ჟამ და კაცების შეძახილზე თვალეხს აჭყენენ, ფხიზლდებიან. ბაკებში გამომწყვდეული საქონელი ბზუის, შფოთავს და დგანდგარებს, მათაც არ ასვენებს ცნობისწადილი, დამწყვდეული ხარები დროდადრო კრთებიან და მორკინალ ხარებს გაჰყვირიან.

- მიდი, ბოჩოლ, მიდი! - ყვირის ლუკაც და თან ძილი ერევა, ქუთუთოები უძმძმდება. ასეთ დროს ერთმანეთში ერევა წითელი და შავი ფერი და ვეღარ არჩევს რომელია მისი ხარი. მერე რამოდენიმე ხარი ერთად დაიყვირებს და ისიც ფხიზლდება.

გორდაგორ ნელ-ნელა ამოხდა მთვარე და ბრძოლის ველი უფრო გაანათა. ახლა ჩირაღდნები აღარ არის საჭირო. მთვარის შუქზე ჩანს როგორ ღელავს და თქონთქორებს ბაკში გამომწყვდეული სოფლის ნახირი. მთვარის შუქზე სხვანაირად ჩანს ყველაფერი, მორკინალიც და სეირის მაყურებელნიც. მთვარე თითქოს აფერმკრთალებს ყველაფერს, მაგრამ სამაგიეროდ უფრო იღუმალს ხდის. მის

სინათლეზე უფრო სხვანაირად ბრწყინავს ხარების რქებსა და ფერდებზე შემხმარი სისხლი. ხარების დაბერილი ნესნობიდან გამოსროლილი ორთქლიც სხვანაირია, მთვარის ფერი დაჰკრავს. მთვარეს თითქოს უხარია ხარების ჩხუბი და უფრო მენი ძალით ანათებს, ამოდის მალღდება ცის შუაგულისაკენ. ახლა მის გავსილ ზურგზე დაჩნეული ლაქაც ორ მორკინალ ხარსა ჰგავს გარსშემოწყობილი აყაყანებული ხალხით. მთვარე მთლიანად სავსეა და დაუმცხრალი, ამინომ დაუმცხრალია ხარების ჭიდილიც, ხალხის ჟინიც და თითქოს მთელი სამყაროც, უთვალავი ვარსკვლავით, რომლებიც კრთიან, ჟიკჟიკებენ, წკრიალებენ და არა ცხრებიან. თითქოს უსასრულოდ უნდა გაგრძელდეს ხარების ბრძოლა, უსასრულოდ უნდა იბორგოს, ითქანთქაროს ბაკებში გამომწყვდეულმა სოფლის ნახირმა, ისევე უსასრულოდ, როგორც ეს ცაა, აბორგებული, უსასრულო და მოჟიკჟიკე. ბუნება კი სულგანაბულია, დედამიწა განვრენილა და მაინც მოელის დასასრულს. ზეცა მიჩვეულია უსასრულობას, მას შეუძლია მუდმივად უყუროს ამ შერკინებას. მიწის შვილთათვის კი უცხო არის უსაზღვროება. სოფლის თავწამომოლნილი წიფლებიც კი ჩუმი შრიალით თითქოს მოუთმენლად ელიან გამარჯვებულს. ახლა ხარებს მთლად სისხლში აქვთ მოთხვრილი თავ-პირი. დასისხლიანებული თვალები წითლად გადმოუკარკლიათ და ქშინავენ. ხანდახან შუბლებს ერთმანეთს მიაბჯენდნენ, უკანა ფეხებით გამაგრდებიან და ასე ერთმანეთზე შუბლებით მიყუდებულები, თრთიან, ირწევინ, მერე ისევ დაიქშენენ და ისევ ცდილობენ ერთმანეთს რქებით ყელში შეუვარდნენ.

რა ძალა იყო ეს? ან საიდან ჰქონდათ ხარებს ამდენი მოთმინება და სწრაფვა უფლებისათვის, სწრაფვა პირველობისაკენ. იქნებ ეს გარშემოხვეული კაცებიც იმინომ ყაყანებდნენ ასე რომ ყველას გაუღვიძებდა არსებაში ჩამალული სწრაფვა უფლებისათვის. ისინი ხომ ვერც გრძნობდნენ ამას, არა და დიდი ხნიდან მოსდგამთ ეს. ადრე, თურმე ორი კაცი ერთ-ერთს გზაზე რომ შემოეყრებოდა ერთ-ერთს უნდა ეღიარებინა მეორის პირველობა და დაეთმო გზა. თუ უცხონი იყვნენ ამ ხარებივით შეერკინებოდნენ ერთ-ერთს. განა ახლაც იმინომ არ დადევს ერთ-ერთში სანადლეო, თავიანთ თავს ხედავენ მორკინლებში და ყვირიან, ყაყანებენ, მოუთმენლად ელიან თავიანთის გამარჯვებას.

ვინ არის ის პირველი? - ჯერჯერობით ყველა, ვინც კი ამ ჭიდილს უყურებს და ამ შერკინებაში აქვს ჩაქსოვილი თავისი სწრაფვა. მაშინ არ უფიქრია ლუკას ამაზე, მაგრამ ახლა ფიქრობს: ნუთუ იმინომ მომრავლდნენ კაცთა შორის მგლები, რომ მგლებს პირველობისათვის სწრაფვის შეუვალი კანონი ჰქონიათ. არ დაგიდევნ ისინი შებრალებას და მოძმის სისხლისღვრას. ერთი მგელი მეორეს უდგას კვალში, მეორე მესამეს და დამრწიან ქვეყანაზე უფლებისათვის. ასეთები ბევრნი არიან, უთხრა თევდორემ წედან და ლუკასაც უნახავს. უნახავს თუნდაც პროცესიას ადევნებული მგლები, ერთი წამითაც რომ არ ჩაუფიქრდებიან თავიანთ მგლურ საქმეებს გათხრილი მიწის შემხედვარენი, რომ მოუბრუნდებიან ქვეყანას და მგლობენ. კაციც ბევრი შეხვედრია ასეთი და ქალიც. ნუთუ ასეთებმა იმინომ მიჰყიდეს მგლებს სული,

რომ მგლებს ცხოვრებაში პირველობის მენი უფლება აქვთ. შეუვალია მათი კანონი, იგი მხოლოდ ანადგურებს და არ ქმნის. მგლები თავისუფალნი არიან ადამიანური სიწმინდეებისაგან. მგლობა უფრო ხელსაყრელია და მრავლდებიან. ვინ არის პირველი? - ვინც უფრო მგელია.

ნუთუ მორკინალ ხარებშიც მგლები ეჭიდებოდნენ ერთ-ერთს. რა იყო რაც ღამეს ანეხინებდა კაცებს და აყაყანებდა. მთვარე თანდათან მალდებოდა. ხარები ქმინავდნენ ახლა უფრო მენი ძალით.

სხვანაირმა სინათლემ გადაჰკრა გარემოს. ვერავინ ვერ შენიშნა დღის დადგომა. მათთვის ახლა სულერთი იყო. ღამე კი თანდათან ფერმკრთალდებოდა და როცა ბრძოლის ადგილი მზით განათდა, ახლა სულ სხვანაირად გამოიკვეთა ერთმანეთს შეჭიდებული ორი ძალა. მზემ სხვანაირად გააბრწყინა მათ რქებზე და ფერდობზე შემხმარი სისხლი, სხვანაირად გამოაბრწყინა მათ ფეხქვეშ მოთელილი ლორთქო ბალახი. ხარები შუბლებით იყვნენ ერთ-ერთს მიყრდნობილი და ირწეოდნენ. იმათ გარშემო რამოდენიმე კაცი ყვიროდა, ხოლო ვინც თვლემდა და ხვრინავდა, მზის ამოსვლამ ისინიც ფეხზე წამოყარა. მზემ ახალი ძალა მოინანა და ხარებიც ეკვეთნენ ერთმანეთს. ისევ აბორგდა ხალხი. ისევ ავარდა სიგარენის კვამლი.

ომიდი, ბოჩოლ, მიდი! - ახლა უკვე მთელი ძალით უყვიროდა ლუკა თავის ხარს.

ბაკებში გამომწყვდეული საქონელი აზმუვლდა.

ისევ გაიჟღინთა დილის ნონიო ჰაერი ახალმოწველილი რძის სუნით. მეზობელი სოფლებიდან იწყო ხალხმა მოდენა ამ სანახაობის საყურებლად და დაიდო ახალი სანადლეოები პირველობის გამოსამყლავნებლად. ისინი ვინც მწყემსად იყვნენ ახლო-მახლო მთებზე და ახლოს ვერ მოდიოდნენ, ჰეჰეჰეჰ-ეი-ო, გამოჰკიოდნენ. თითქოს მთელი ხეობა დგანდგარებდა, ბორგავდა, ყაყანებდა. საიდანღაც წითელი ხარის პანრონიც გამოჩნდა და თქვა:

- ამანდაი, ეგრეც ვიცოდი!

რა იცოდა, არავის უკითხავს, არც არავის შეუმჩნევია მისი მოსვლა, ეხლა ის წითელი ხარი მარნო მაგას აღარ ეკუთვნოდა. მზე თანდათან მალდებოდა ცის კაბადონზე და ხარებმაც უმანეს საბერველისებურ ქმენას.

ილეოდა მოთმინების ძაფი. ღამის იყო, ორად გაყოფილი ხალხი ერთმანეთს დარეოდა, ანდა ხარებს მიშველებოდნენ.

მზე საშუადღეოზედაც დაჯდა და სამხრობისაკენ გადაიხარა. თანდათან დაგრძელდნენ ჩრდილები.

ხარებმა, ახლა უკვე საბოლოოდ, შუბლები ერთმანეთს მიაპყრეს და თითქმის ერთი საათი ქანაობდნენ ადგილზე.

მზე გადაიწვერა. გაკრთა. გაწითლდა.

აციმციმდა.

მერე დამშვიდდა. მერე ჩაქრა. და ნელ-ნელა ჩამოდგა ხეობაში მგლისფერი ბინდი.

ხარები შეკრთნენ. დაიქმინეს და უკანასკნელი ძალით ეკვეთნენ ერთმანეთს.

უცებ წითელი ხარი ბოჩოლას ყელში შეუვარდა, აიქნია და მიწაზე დასცა.

- ეეეე! - დაიღრიალა ხალხმა საზარლად.

წითელი ხარი წელში გასწორდა. ჰაერი დაყნოსა. გამარჯვება იგრძნო. მოპოვებული თავისუფლება იგრძნო.

საჩურგნელად აღარ წასწანებია დაცემულ ხარს, რომელიც ერთ ხანს მიწაზე ცხროდა, მერე წამოდგა და ქვემოთ წაფრთხა...

ქვემოთ წაფრთხოვა დამარცხების ნიშანი იყო.

ყაყანით დაიშალა ხალხი. წაიყვანეს წითელი ხარი.

სულ ბოლოს ლუკა და ბოჩოლა დარჩნენ ბრძოლის ველზე. ხარი კანკალებდა, თვალელებში სევდა ჰქონდა ჩამდგარი.

ლუკა მივიდა და მოეფერა.

იმან ერთი კი ალოკა შუბლზე, მერე თვალელებიდან ბლუჯის ოდენა ცრემლები გადმოუგორდა, ცას შეჰყვირა, ადგილს მოსწყდა და ისედაც შავი, სიბნელეში გაუჩინარდა.

ლუკა ერთ ხანს ნრიალებდა ხარებისაგან დათხრილ მიწაზე, მერე იქით გაიქცა სადაც ბოჩოლა შეერია ღამის სიბნელეს. ახლომახლო ვერაფერი დალანდა, მხოლოდ სოფლის თავწამოშოლნილი წიფლები შრიალებდნენ. იქით საყდარი მოჩანდა სიბნელეში თეთრად. ეს ის საყდარი იყო, სამი წლის წინათ, იმის გუმბათიდან ჰაერში დონანა რომ იყო ხელგაშლილი და გაბრწყინებული. საყდრის იქეთ მსხლები იდგნენ, ხოლო უფრო იქეთ ხევი იყო, ფრიალო და მიუდგომელი.

- ბოჩოლააა! - გაჰკვივლა სიბნელეში ლუკამ ხარს.

ხმა არავინ გასცა, მარნო უდაბურმა ხემა ამოიხრიალა მისი ძახილი.

- ბოჩოლააა! - ისევ გასძახა ლუკამ.

ისევ დუმილი.

აქეთ-იქით გარბოდ-გამორბოდა ლუკა და ყელში ნირილმობჯენილი ხმით გასძახოდა სიბნელეში:

- ბოჩოლააა!

- ბოჩოლააა!

გაჰქრა ბოჩოლა, მიწამ ჩაყლაპა, ცამ უყო პირი.

სოფელში ხალხი ყაყანებდა და ენყოფა ჟიპინაურს ეძალებოდნენ ჟინმოკლულნი.

მთვარე არ ჩანდა. ენყოფა დღეს უფრო გვიან ამოვიდა, ვიდრე გუშინ. ასე იცის გავსილმა მთვარემ, იცის თავისი სისრულის ფასი და იგვიანებს, რაც უფრო მოანანრებს შეყვარებულ დედამიწას თავს, მით უფრო მენი ფასი აქვს მომლოდინეთა თვალში.

ობოჩოლააა! ბოჩოლააა! - გასძახის სიბნელეს ლუკა და თან ეშინია ღამის სიბნელის. ახლა იგი სულ მარნოა. აღარსადა სჩანს ყოველთვის იმის დამცველი ბოჩოლა. ახლა ლუკას ყველაზე უფრო მენად სჭირდება იმისი თავი, იმის სისხლით მოსვრილი ცხვირ-პირი და შიმშილითა და დაქანცულობით გამოლასნული ფერდები უდგას

თვალწინ. ჯერ კიდევ ხედავს იმის ნანკენ უკანა ფეხს, მალი-მალ რომ სწევდა ჰაერში და როცა უკანა ფეხებზე გამაგრება იყო საჭირო, მხოლოდ ერთ ფეხზე ეყრდნობოდა, ერთი ფეხით იმაგრებდა წითელი ხარის მოწოლას. ჯერ კიდევ თვალელებში უელავს ლუკას იმისი დაბერილი ნესნოებიდან გამონასხლენი ორთქლი. ყურებში ესმის იმისი დაღლილი ქშენა და ხედავს როგორ ჩამოსდის სისხლი.

- ბოჩოლაა! ბოჩოლაა! - ლამის ამოქვითინდეს ლუკა. არავითარი პასუხი, ირგვლივ მხოლოდ სიბნელეა, უკუნეთი და წკვარამი ღამე.

სადღაც იკივლა ბუკიონმა გამყინავ ხმაზე:

- თევდორეე! თევდორეე!

- რაო! რაოოო! - გამოეძახა გაღმა ნყიდან იმას მეორე.

- ვერ იპოვეა!

- ვერა, ვერაა! - იყო პასუხი.

ირგვლივ ღამეა. ღამე ყველაფრის წამლეკი და დამმონებელი. მაღლა ცაზე ეს-ესაა დასხდნენ საჯარეს კოხნა ვარსკვლავნი. სადაცაა უნდა შემობრძანდეს გავსილი მთვარე. ჯერ იგვიანებს. დედამიწაზე მეფობს სიბნელე.

- ბოჩოლაა! ბოჩოლაა! - გაჰკივის ლუკა.

ნელ-ნელა ამოდის მთვარე. გადმოადგება დედამიწას თავის სისრულით. ახლაც თითქოს ისევ გულზე აჩნია ხარების შერკინება, მაგრამ ხალხი აღარ ყაყანებს, აღარ ისმის ვარსკვლავთ ჟიკ-ჟიკი, აღარ ისმის სამყაროში ბრძოლის ყიჟინა.

დამცხრალა მთვარე. დალეულა მარჯვენა გვერდზე. დუმილი მეფობს. მარნო ლუკას ხმა აკრთობს ამ ყოვლის წამლეკავ სიმყუდროვეს.

- ბოჩოლაა! ბოჩოლაა! - გაჰკივის ლუკა.

ბოჩოლა არ ჩანს. ცამ უყო პირი. მიწამაც პირი დამუწა. სოფელში მეფობს წითელი ხარი. სადღაც ყაყანებს დამთვრალი ხალხი. უდაბურ ხევში მინანქალებს პანარა ლუკა. ისევ გასძახის ბუკიონი... ღრმავდება ღამე. - ბოჩოლაა! - ბოჩოლაა!

.....

დილით ღვიის ძირს გაელვიძება.

ენყოზა, ღვიის ბუჩქში შაშვს ჰქონდა ბუდე, შემფოთებული ჭახჭახებდა და შავი ბოლოს ქნევით აქეთ-იქით აწყდებოდა.

შავი შაშვი რაღაცით ბოჩოლას გაახსენებს ლუკას.

წამოდგება.

ისევ მოივლის მთებს და ხევ-ხუვებს.

ნაკვალევსაც ვერსად წააწყდა.

სოფელში დაბრუნებულს ნახირის თავში ყელმოდერებული წითელი ხარი მოხვდა თვალში.



ნახირი სძოვდა. ხარი ნახირს გადმოჰყურებდა.

იმის მერე კიდევ დიდხანს ეძებდა ბოჩოლას, თითქმის მთელი ხეობა მოიარა, ვის არ ეკითხებოდა: შავი ხარი ხომ არსად გინახავთ, სისხლიანი შავი ხარო.

ზოგს თითქოს ენახა სადღაც შავი ხარი, მიასწავლიდა, აქა და აქა, ამა და ამ გზაზე მომავალს ნახირი შემომეყარა და მე მგონი შავი ხარიც ერია მათშიო.

- სადა? სადა? - ეკითხებოდა ლუკა.

ის უფრო დაწვრილებით უხსნიდა. ლუკა მიდიოდა იმ ადგილისაკენ, შეუსვენებლად მიდიოდა, პანარა გულის ბაგაბუგით გადადიოდა მთებზე, გორებზე, ეხენებოდა ხევ-ხუვებში, მაგრამ ამაოდ, შავი ხარები ბევრი ხვდებოდა, ბოჩოლა კი არც ერთი არ იყო მათ შორის.

მერე ცოცხალს აღარც ეძებდა. იჯდა მთელი დღეების განმავლობაში რომელიმე მთის წვერზე და ყორნებს ადევენებდა თვალს, ფიქრობდა: თუ სადმე გადაჩეხილა, ალბათ, ყორნები უფრო გაიგებენ და დასწრიალებენ ზემოდან, რომ მერე ჩავიდნენ და გაჯიჯგნონ, გაინაწილონ, აირიგ-ჩამოირიგონ.

ყორნები შეუმცდარნი არიან ასეთ დროს და ბევრჯერაც დასწრიალებენ თავზე რაღაცას, ლუკაც მაშინვე იქეთ გაიქცეოდა, ჩაირბენდა ჩახერგილ ხევში და ეძებდა ყორნების სათვალთვალს ლეშს. ხან გადავარდნილ ცხვარს პოულობდა, ხან ძროხას, ხანაც ფეხმონეხილ შველს, კლდეებზე გორვით ზურგგადაქლეტილს, ბუზებდახვეულს, ლოდებში ჩაჭედილი ამაოდ რომ ცდილობდა ციცაბო ფერდზე ამოფოფებებს. მაშინ ლუკა საშველად წაენანებოდა, მაგრამ შველი უფრო დაფრთხებოდა. და უფრო დიდი უფსკრულისაკენ გაექანებოდა. მენი გზა არ იყო, შეიძლება ასეთ დროს უფრო მაღალ კლდეზე გადაჩეხილიყო შველი და ლუკაც თავს ანებებდა, ისევ ყორნებს უნოვებდა სამოქმედო ასპარეზს. ყორნები ჯერ კიდევ არ ჩქარობდნენ, ცაზე წრიალებდნენ და შავი ფრთების ფარფანით: ყრ-ყრ-ყო! - წამოაყრანალებდნენ დროდადრო და შველიც კრთოდა ამ ხმაზე, დამფრთხალი აქეთ-იქით აწყდებოდა.

ერთხელ გადავარდნილ ცხენსაც წააწყდა ლუკა. ცხენი უფსკრულში იყო ჩაჩეხილი, ზემოთ კი პანარა კვიცი დარბოდა და ხვიხვინით ჩასასვლელად ენანებოდა პინალო ფერდობებს.

ლუკას წინასწარ გული უწუხდა, რომ ადრე თუ გვიან, ასევე უფსკრულში ჩაჩეხილს წააწყდებოდა ბოჩოლას და ამის წარმოდგენაზე ფითრდებოდა. ხანდახან, ძილის დროს ესიზმრებოდა, რომ ბოჩოლა მასთან იყო, ხან სკოლაში მიდიოდნენ ერთად, ხან იალაღებზე. ბოჩოლა ჩვეულებრივად შუბლსა და ქოჩორს ულოკავდა. გამოეღვიძებოდა და ბოჩოლა აღარსად იყო. თუკი სადმე წითელ ხარს წააწყდებოდა, გულს ბაგა-ბუგი გაუდიოდა საგულეში. წითელი ხარი კი იმათ სოფელში დანოვა იმ ზაფხულს პანრონმა და ისიც ბლუოდა, ბუბუნებდა.

ერთხელ, სიზმარში მოეჩვენა ლუკას, ვითომ ბოჩოლა მთაზე მიდიოდა, მაგრამ სიარული უჭირდა, უკანა ფეხს ვეღარ ადგამდა მიწაზე. დაედევნა, ხარმა კოჭლობით აუჩქარა სიარულს და წახინხილდა.

- ბოჩოლაა! ბოჩოლაა! - მისძახოდა ლუკა, და თავისივე ხმაზე გამოელვია.

ბოლოს გადაიწურა პოვნის იმედი და როგორი ძნელი იყო მისთვის, რომ ამ გადაწყვენილებას შეჰგუებოდა.

მთელი ზაფხული ისე მიილია, ხარის მნახველიც კი არავინ გამოჩნდა.

დადგა შემოდგომა და მერე ისიც მიილია.

ცხვარ-მეცხვარე საზამთრო იალაღებისაკენ აიბერწყა.

აცივდა.

წყეები გაყვითლდა.

ჩაჰკნა საძოვარი ბალახი მთებზე.

საქონელი ახლა სოფელსდა უნრიალებდა გარშემო და ღობის ძირებში ჩამჰკნარ ჭინჭარს კვნენდა.

უფრო აცივდა.

ღამე ჭირხლს სდებდა და საქონელს ბოსლებში აბამდნენ.

ღამდამობით ეჩვენებოდა ლუკას, რომ სადღაც მგლები ყმუოდნენ. ლოგინში კრთოდა, ბორგავდა ამ ხმაზე. ესიზმრებოდა რომ მგლები მისდევნენ მთაზე ბოჩოლას, ის გარბის, მაგრამ უკანა მნკივან ფეხს ძლივს მიითრევს, სადაცაა დაეწვეიან.

- ჰეჰეეე! - ყვირის ლოგინიდან წამომხნარი ნამძინარევი ლუკა.

სადღაც მართლა ყმუიან მგლები. ილევა შემოდგომა. წყეებში უბერავს ცივი ქარი და აშიშვლებს, ფოთლებს აცლის. ახლა დღისითაც ცივა. მზეს მნკაველი სავალიდა აქვს ცაზე. ამოვა და მალევე ჩადის. დგება ზამთარი.

წითელი ხარი თავის სოფელში მიჰყავს პანრონს, გზადაგზა სათოვლედ გამზადებულ ცას შეჰყურებს და თავისთვის იძახის:

- ეგრეც ვიცოდი!

რა იცოდა, არავინ ეკითხებოდა, შეიძლება იმაზე ამბობს, დღეს რომ თოვლი უნდა წამოვიდეს ეგრეც ვიცოდიო.

თოვს. კალოებში ბელურები ჟივჟივებენ. ღამდება. სიბნელეში აღმაცერად მოფარფანებენ თოვლის ფიფქები. ღამე გრძელია, ეწყობა სულ ითოვებს ამაღამ.

თენდება, მთლად თეთრია არემარე. სახლის წინ, თოვლში, თეთრი ხარი დგას.

ჯერ ვერც კი იცნო ლუკამ. ხარი მთლად ჩონჩხად იყო ქცეული და თავჩაღუნული იდგა. თვალებში სევდა ჰქონდა ჩაწოლილი და ამ თვალებით იცნო.

- ბოჩოლაა! - იყვირა ლუკამ და ყელზე შემოეჭდო, კინაღამ წაიქცა, ისე იყო დასუსნებული ბოჩოლა.

- რა დაგემართა ბოჩოლ, შენ გენაცვალე! რა დაგემართა? - ეკითხებოდა ლუკა, უკვირდა ბოჩოლას შავი ბეწვის მაგიერ მთლად თეთრი ბალანი რომ ჰქონდა.

მოგროვდა სოფელი.

ლუკა ხარს ეხვეოდა, მწვანე თივას აძალებდა და მერამდენედ ეკითხებოდა:

- რა დაგემართა, შენ გენაცვალე, ბოჩოლ!

- დარდს გაუჭადარავებია, შვილო, ეგრე იცის დარდმა, - უთხრა ლუკას მოხუცმა კაცმა, თვითონაც ახალმოსულ თოვლივით თეთრი თმა-წვერით შემოსილმა.

- მართლა, ბოჩოლ? - თვალეში ჩაეკითხა ლუკა.

იმან კი ერთი თავისებურად აულოკა შუბლი და თმა, მერე ჩაწვა, ჩაიმუხლა, ერთი ღრმად ამოიხვნეშა და უსულოდ ჩაესვენა თოვლში.

მარნო ორჯერ გაიქნია ჰაერში უკანა ორი ფეხი და ეს იყო ნიშანი იმისა, რომ გულმაც შეწყვინა მოძრაობა.

- ხედავ დარდს რა შეუძლია კაცო, ჰა? - იმახდა ხალხი.

- საქონელს რას უქადის, კაცს რას უზამს.

- კაცი მგელია, ყველაფერს გადაინანს, - თქვა მოხუცმა კაცმა.

თოვდა. თეთრად თოვდა, მაგრამ მერე თანდათან წითელი ფანნელები წამოურია. წამოვიდა წითელი თოვლი.

ლამის გაგიჟდა ხალხი, ასეთი რამე ჯერ არავის ენახა. სულ - გადაწითლდა მთა-ბარი.

- უბედურების ნიშანია, უბედურება მოვა, - თქვა ვიღაცამ.

ენყოზა, რომელიმე ვარსკვლავზე ომია და იქიდან მოდის სისხლიანი თოვლი, - თქვა ერთმა.

- ასეთი რამე გაგიგონიათ, ხალხნო?! - იმახდნენ შემფოთებული დედაკაცები.

- გამიგონია, ჩემს ბალღობაში მოვიდა ერთხელ წითელი თოვლი, რო დავდიოდით, ნაფეხურებში სისხლივით დგებოდა თოვლის წყალი. გაზაფხულზე, თოვლი რო გადნა, მდინარე სულ სისხლივით წითელი წავიდა, ქალაქიდან ხალხი გამოეგზავნათ სანახავად, რა ამბავია, რაშია საქმე, წადით გაიგეთ, ე სისხლის მდინარე საიდან მოდის, მთიულებს ერთ-ერთში ომი ხო არა აქვთო, - თქვა იმ მოხუცმა, კაცი მგელია, ყველაფერს გადაინანსო, წელან რომ ამბობდა.

თოვდა. მთელი ხეობა წითლად გადაიბარდნა.

ცაც წითელი იყო თითქოს, იქიდან მორიალობდნენ წითელი ფანნელები და ეფინებოდნენ მთებს, ნყეებს, სახლის სახურავებს. სოფელში იდგნენ წითელი სახლები, გარსშემოვლებული წითელი ღობეებით. სოფლის მოედანზე ახლა წითელი მსხლები იდგა, ზედ წითელი ყვავები ისხდნენ და კალოებიდან კალოებშიც წითელ თოვლში ამოგანგლული ბედურები დაფრინავდნენ. სოფლის თავს იდგა ეკლესია წითელი გუმბათით, სამი წლის წინათ ამ გუმბათთან ჰაერში გაჩერებული იყო დონანა. რანომღაც, თითქოს ახლაც იქ გაჩერებული მოეჩვენა ლუკას იგი, ხელი მოისვა შუბლზე, დონანა გაქრა. მოდიოდა თოვლი და ახლა უსულოდ მყოფ თეთრ ხარსაც წითლად ეფინებოდა, შავოსანი დედაკაცები კი წითელი თავმლებით მიმოდინდნენ სოფელში და ვიშვიშებდნენ.

გუნდაობდნენ ბალღები წითელი თოვლის გუნდებით.

უცებ გაღმა მთიდან გრგვინვა მოისმა. ყველამ იქით გაიხედა. დიდუბის მხრიდან წამოვიდა უზარმაზარი ზვავი, წამოხვენა ფერდობებიდან წითელი თოვლი და ჰერში კორიანნელი დააყენა.

გუგუნით მოდიოდა ზვავი, გზადაგზა ძალას იკრებდა, რაც კი შეხვდებოდა ყველაფერი თან მოჰქონდა, ყველაფერს თან მოიყოლიებდა, შიგნით იხვევდა, დუღდა, გადმოდიოდა, მოქანავდა და უზარმაზარ წიფლის ხეებს გლეჯდა გზადაგზა.

აქამდისაც ყოველ ზამთარს ენახა ხალხს დიდუბის მთიდან გამოქანებული ზვავი, მაგრამ ეს სულ სხვა იყო, პირველად იხილეს წითელი ზვავი, რომელიც ისე ბობოქრობდა, თითქოს ქვყანას დაქცევას უქადდა, თითქოს მთები მთებზე უნდა შემოეხეთქებინა, მთა და ბარი გაესწორებინა და ყველაფერს წითელი კორმიჭებით გადაჰფენოდა თავზე. ზვავი ხან გაიშლებოდა, მოლიკლიკე ენებს გაუშვებდა წინ, მახლობელი ფერდობებიდანაც წამოაცურებდა თოვლს, მერე ისევ შეიკვრებოდა, ზათქით ჩაეხლებოდა უფსკრულებს და ახველებდა. ზვავის წინ მოდიოდა წითელი ქარი, წითელი თოვლის ჰაერში ავარდნილი ბუქი, რომელიც ცოცხალს არ სწოვებდა ჰაერში წამოფრენილ შემინებულ ფრინველებს. რამოდენიმე დამფრთხალი შველიც მოიყოლა თან.

გზადაგზა ძალას იკრებდა ზვავი, გუგუნებდა, ხრიალებდა. გარშემო ჩამომდგარი მთებიდანაც გამოექანენ პანარ-პანარა თოვლის ზვავები და ისინიც იმ აბორგებულ, წითლად აბობოქრებულ თოვლის ზვავს შეუერთდნენ.

მანამდე მოექანებოდა ასე, მანამდე გლეჯდა თავის გზაზე სუყველაფერს, ხესა და ქვას, მანამ ერთ უდაბურ უფსკრულში არ ჩაიჩეხა. კარგა ხანს თოვლის კორიანნელი ნრიალებდა უფსკრულის თავზე. მუცელამოყრილი უდაბური ხევი ახველებდა, ბორგავდა, დიდხანს ვერ ინელებდა ასეთ ლუკმას. მერე ჩაწყნარდა. მარნო ზვავის მცირე ნაწილი ვედარ ჩაენია მის ხახაში, ის ნაწილი ქვემოთ გაცურდა, თავის გზაზე მდინარე გადაკენა და ისიც გაჩერდა. სანამ გასასვლელს იპოვიდა, ზვავის უკან დანრიალდა ერთ ადგილზე მდინარე.

- არიქა, მშრალზე თევზები დარჩებოდნენ! - დაიძახა ვიღაცამ და მდინარისაკენ გაიქცა ხალხი.

ერთ ადგილზე ნრიალებდა ზვავისაგან გზაშეკრული მდინარე. ნრიალებდა, წითლად ნრიალებდა, წითელი თევზები დაცურავდნენ იმის ნალღებზე, მეორე მხარეს, ქვებზე ფართხალებდნენ უწყლოდ დარჩენილი კალმახები, ხალხი ჰკრეფდა და ვინ ჯიბეებში იწყობდა, ვის ხალათის უბე ჰქონდა გამოვსებული, ზოგსაც თხილის ჯოხები მოენეხნათ და ზედ აცმევდნენ ჩურჩხელებივით.

ზვავის უკან დანრიალებულმა მდინარემ კი თანდათან გაჟღინთა თოვლი, გზა გაიკავა, ძირს შეუძვრა და ისევ თავის სავალ გზას გაჰყვა.

თითქოს ზვავის გამოქანებას ელოდებო, ნელ-ნელა შეწყდა თოვაც. შეწყდა ცონა ხნით, სანამ არ ჩამოიყარნენ ჰაერში მოფარფანე უკანასკნელი წითელი ფიფქები, მერე

კი ისევ თეთრი ფანნელები წამოუშინა და ახლა თანდათან გათეთრდა დედამიწა, მარნო აქა-იქლა მოჩანდა ნყებში წითელი ხეები, მალე ისინიც ისევ თეთრად შეიბურნენ. ეკლესიის გუმბათი ისევ გადათეთრდა და მალე სულ გააქრო თოვლმა წითელი ფერი.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ლუკა თავის ხარს დასჩერებოდა და ხმას ვერ იღებდა.

ხარს თვალები ღიად დარჩენოდა და ბიჭს მისჩერებოდა. ის დღე და, ბოჩოლას თვალები დღემდე ანათებენ ლუკას ბავშვობისდროინდელ მოგონებებში. ალბათ, არც არასოდეს დაავიწყდება ხარის თვალები. აი, ახლაც თვალწინ უდგას. შეკრთა.

თევდორეს მონაყოლი გაახსენდა: მგლად ყოფნისას თავისი ხარი რომ იცნო თვალებით.

ყური მიუგდო.

შიგნით ოთახიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

ნუთუ სძინავს, თუ ელოდება როდის ჩაიძინებს ლუკა. არა, არ უნდა დაიძინოს, თორემ რას გაიგებ რა უდევს თევდორეს გულში, მან ხომ საკუთარი ხარიც არ დაინდო. ეს მაშინ იყო, როცა თევდორე მგელი იყო, მაგრამ ახლა ხომ არ იცის ლუკამ, გაინთავისუფლა დორაისხვევლებისაგან მთლიანად თავი, თუ შიგნით ჩაუსახლეს წითელი მგელი და სოფელში გამოაგზავნეს. იქნებ გაინთავისუფლა, იქნებ დორაისხვევლებს ამაზე უფრო მოძულე მწერი არც ჰყავთ, მაგრამ ეს რომ არ მოუყოლია, რომ აღარ უთქვამს მერე რა მოხდა? ნენავი მართლა რა მოხდა? ბოლო წლამდე არც ერთხელ წინამძღოლობა არ მომერგო შვიდი წლის განმავლობაშიო. ჩანს, წინამძღოლობისათვის მაინც მიულწევია. ალბათ, როგორ ამაყად ჩაუდგა ხროვას სათავეში და სამგლო საქმეებით დაგემილნი დაემვნენ სოფლისაკენ. რაკი წინამძღოლობას მიაღწია, ეჭვი არ არის, უერთგულა კიდევ იმათ კანონებს, ხომ თვითონ ამბობდა, მგლისათვის ისეთი საამაყოა წინამძღოლად ყოფნა, ხროს რომ ჩაუდგები, კვალში რომ ჩააყენებ და მბრძანებლურად ნონს აიქნევო. მაშ გაუნკებოდა მბრძანებლის როლი და თუმცა მანამდე სიკეთე ედგა გულში, როცა შვილმკვდარი დედა გადაარჩინა ჯალაბას კლანჭებიდან, როცა გულდაწყვენიტ გაჰყურებდა მუხაზე გაკრულ შეყვარებული ბიჭის აჩრდილს, ანდა უდაბნოში რომ დაძუნძულებდა იმის გულისთვის, კანონის საწინააღმდეგო ზრახვა რომ გაივლო, წინამძღოლად ყოფნა სხვათა შეცოდების ამ სიმს გაუწყვენდა, ისეთივე მგლად აქცევდა, როგორც მანამდე სხვა წინამძღოლები იყვნენ. ვინ იცის რამდენი ცოდვა ჩაიდინა, რამდენჯერ აიქნია ნონი მბრძანებლურად. კანონის ერთგულება ხომ მაშინვე სისხლში ჰქონია გამჯდარი, როცა ქარავანს დაეცნენ, თავის ხარი რკალში მოიქციეს და როცა თვალებით იცნო საკუთარი ხელიტ გაზრდილი ხარი, მაინც არ დაინდო, არ დაარღვია მგლების რკალი, როცა ხარმა მის მხარეს გადასწყვინა წრის გარღვევა. იქნებ ხარმაც იცნო თვალებზე და იძინომ გაექანა მის მხარეს, იფიქრა დამინდობს და გამანარებსო. თუ

ასეა, მაშინ ათასჯერ უფრო მწარე იქნებოდა მაგის კბილები მის ყელში, ვიდრე სხვა მგლების.

ახლა, რანომღაც თავისი თავი წარმოიდგინა ლუკამ იმ წრეში ჩამდგარი, ოღონდ შიგნით მისი ბოჩოლა იდგა, აქეთ-იქით ნრიალებდა და გასასვლელს ეძებდა. შიშისაგან ყელის ძარღვები უფეთქავდა და საბერველივით ქშინავდა. წრე კი თანდათან ვიწროვდებოდა და უცებ ბოჩოლამ რანომღაც ლუკას მხარეს გადაწყვინა წრის გარღვევა, დაიქშინა და გამოექანა...

შეკრთა ლუკა. საწოლზე წამოჯდა. მისმა მოლანდებამ ვერ შესძლო ბოჩოლასათვის კბილი გაეკრა. ისევ ის წითელი ზამთარი გაახსენდა: როცა გამოიდარა და ბანებიდან თოვლის გადმოხვეწა დაიწყეს, ნიჩბებით სჭრიდნენ ოთხკუთხა ნაჭრებად და იმ ნაჭრებს სადღაც, შუა წელში ზოლად გასდევდა წითელი თოვლი.

იმ წითელ ზოლივით გაკრთა ჩამოხნელებულ ოთახში ცეცხლის შუქი და ჩაქრა.

ჩამოხნელდა. ლუკამ სიბნელეს ყური მიუგდო.

შემზარავი იყო ეს სიბნელე და ავისმაუწყებელი. გარს ეხვეოდა ლოგინში წამომჯდარ ლუკას, თვალეზე უთითებო ხელებს აფარებდა და თითქოს ეჩურჩულებოდა: აბა, გამოიცანი რა მოხდებო.

ლუკა წამოხნა, მიეჭრა ღუმელს და შეაყარა შეშა. იმის გულს ბაგა-ბუგი გაუდიოდა, ლამის მკერდიდან ამოხნომოდა.

ჩანავლებულ ნაკვერჩხლებზე ანკციალდა ხმელი შეშა, აბოლდა და თუნუქის ღუმელიც ნელ-ნელა აწკრიალდა. ლუკამ სიბნელეში წყალი მოძებნა. კუთხეში სპილენძის თუნგი იდგა, მოიყუდა და ხარბად დაეწაფა. არაკრაკდა თუნგი. ცივი წყალი მკერდზე ჩამოედვარა. ისევ ლოგინში ჩაწვა. წყალმა შიში გაუნელა. მაინც ფიქრობდა, ფიქრობდა მისთვის უცხო ბურანით მოცულ სამყაროზე. არა, ხვალ აუცილებლად მოაყოლებს თევდორეს დანარჩენ ამბებს, მაგრამ დადგება კი ეს ხვალე?

რომ არც ადგილის დედას მიებარა დაწოლისას!

- შემინახე, ადგილის დედა! - აჩურჩულდა ლუკა და პირჯვრის წერას მოჰყვა. მერე, ისევ თვითონ შეშინდა ამაზე და ახალ საფიქრალს მიეცა: თუ თევდორე ისევ იმათ ნყვეა და იმათ ნება-სურვილს ასრულებს, მაშინ ამ სახლის დედაც ხომ მათი იქნება. თევდორემ ხომ თქვა, არ ვიცოდი, თუ ეშმაკებსაც ჰქონდათ ადგილი საპანრონოდ და ალაღად იმინომ მივებარე იმ ღამესო. ამით ხომ არ მანიშნა, ავს კი გიპირებ, მაგრამ ეს ჩემგან არ არის, დავალებული მაქვს და შენ გაფრთხილდი, დაძინებისას ადგილის დედას არ მიებარო...

უცებ, თითქოს თოფი გავარდაო, ისეთი ხმა გამოიღო ღუმელმა. ეწყობა ჩანავლებულმა ნაკვერჩხლებმა ნელ-ნელა გაახურეს რცხილის შეშა და როცა ცეცხლი გაჩნდა, თოფის ხმა გამოსცა ღუმელმა.

ოთახი მთლიანად გაანათა ცეცხლის ალმა.

- ფუკ-ფუკ-ფუკ-ფუკ! - ისე ხმაშეწყობილად იძახდა ღუმელი, გეგონებოდათ, ოთახი კი არა, პანარა ორვაგონიანი მანარებელი ყოფილიყოს, რომელიც შუადღისას

ხეობაში თოვლს მიჰკვალავს და თან მგზავრები მიჰყავს: ერთი ერთ ვაგონში წევს, მეორე მეორეში. არის კიდევ მესამე მგზავრიც - ძაღლი, რომელიც დერეფანში აბია. შუალაძე კარგახნის გადასულია. ერთ-ერთ ვაგონში კი ფხიზლობს მგზავრი, მეორე ვაგონში კი კაცმა არ იცის რა ხდება: სძინავთ, ფანჯრიდან ღამეს გაჰყურებენ, თუ გაიპარნენ კიდევ დროებით ვაგონიდან, რომ შემდეგ ისევ შემობრუნდნენ და წინა ვაგონს თავს დაესხნენ.

- ფუკ-ფუკ-ფუკ- ფუკ! - იძახის ღუმელი და წყვენილ-წყვენილად, თეთრი მიწით შელესილ კედლებზე, ისე კრთის ცეცხლის შუქი, უცებ ლუკას მოეჩვენა რომ ოთახი მოძრაობდა, მოძრაობდა რინმულად, მართლა ისე, როგორც მანარებლის ვაგონმა იცის ხოლმე. ლოგინში წამოიწია, კედელს ხელი მიადო, თითქოს მართლა მოძრაობდა ოთახი.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ოდნავ ჩქამიც კი არ დარხეულა შიგნითა ოთახიდან, არც მაშინ, ლუკა რომ სიბნელით დამფრთხალი წამოხნა და ღუმელს შეშა შეაყარა, არც მაშინ, თოფივით რომ იგრიალა ცეცხლმა, არც მანამდე და არც მას შემდეგ. ნუთუ მართლა სადღაც წავიდა თევდორე? ანდა რანომ აიკვიანა მასზე ასეთი ეჭვი და ძილს არ აძლევს, მოსვენებას უკარგავს ლუკას. ხომ შეიძლება სხვანაირად ფიქრიც, ნყვეობიდან დაიხსნა თევდორემ თავი, დაბრუნდა სოფელში და ახლა ყოველღამე მამისეულ საწოლში იმინომ წვება, რომ მაღლიანია ეს საწოლი, ავი და ბორონი ვერ ეკარება მას. სხვაგან თევდორეს ცოდვა აწვალებს, ძილშიც თავს ახსენებს ნყვეობაში ჩადენილი. ბორგავს, ვერ ისვენებს, მამის საწოლში კი მაღლი ნრიალებს, წმინდა კაცის მაღლი, რომელმაც მაშინაც კი ღმერთს შეუნახა სული, როცა ყველას ეგონა, ეგ არის და ღმერთს დაავიწყდაო. როცა დორაისხეველებს დარჩათ ასპარეზი და ცდილობდნენ თვითონ მიეზარებინათ ღმერთსდავიწყებული კაცის სული. მარნო ღრმა სიბერეში კი არა, მთელი ცხოვრებაც ღმერთთანშეყრის წუთს ელოდა ეს კაცი და აქეთ მიმავალ გზაზე მწერს არ ადგამდა ზემოდან ფეხს. მაღლიანია ასეთი კაცის სამარე, რომელიც არ არსებობს და მაღლიანია მისი ნაწოლი ლოგინიც. ალბათ, ამინომაც იმინებს იქ თევდორე. იქნებ იმინომაც არ ისმის იქიდან მისი ჩამი-ჩუმი, ასეთ ლოგინში წოლამ ღრმა ძილი იცის. ნენავ რანომ ვერ დაიცვა მისმა სულმა თავისი შვილი, რანომ მოხდა, რომ დორაისხეველებს დაანება მისი დანყვევება. ისინი ხომ სიცოცხლეშივე ემუქრებოდნენ მას, რომ თუ მათ არ მიჰყიდდა სულს, მაშინ შთამომავლობას აუწიოკებდნენ. ასეთმა კაცმა, ნუთუ მარნო თავის თავზე იფიქრა და შვილზე კი არა? მაგრამ ხომ უთხრა, თევდორეს სულს მევაჭრებიან და ასე მემუქრებიანო. ამის მერე, ალბათ, თევდორეზე იყო დამოკიდებული ყველაფერი, ან მამის გზას უნდა გაჰყოლოდა, ან არა და ყოველწუთს შეიძლებოდა გზიდან გადამცდარიყო. განა თვითონ არ ამბობდა, უზომოდ ბევრ ნადირს ვხოცავდიო?!

ნენავ თუ მოახერხა თევდორემ ნყვეობიდან საბოლოოდ გამოეხსნა თავი. იქნებ მამის მაღლი დაეხმარა ამაშიც. ახლა წევს მის საწოლში და მშვიდად სძინავს. იქნებ ნყუილად ეშინია ლუკას.

- ფუკ-ფუკ-ფუკ-ფუკ! - ისევ ხმაშეწყობილად ისმის ოთახში და ახლა უფრო ეჩვენება ლუკას, რომ სადღაც მიდის. მიმოიხედა, ოთახი მოათვალიერა. აქამდე თითქოს ვერც კი შენიშნა მარცხენა კედელზე ჩამოკიდებული რამოდენიმე შემჭვარწლული სურათი. ერთ-ერთ მათგანს კარგად ანათებს ცეცხლის შუქი. ხუთი თუ ექვსი კაცი, ცხენებზე არიან ამხედრებულნი. ცხენები დგანან თავაწეულნი. მხედრებს სამგზავრო იერი დაჰკრავთ სახეზე. იქვე დგას ბერიკაცი, თეთრი თმა-წვერით შემკობილი. ხელში ხარის პანარა ყანწი უჭირავს და მხედრებს ლოცავს. ბერიკაცის ფეხებთან დგას პანარა გოგო, რომელიც როგორც ენყოფა ყვავილებს ანანს მხედრებს, მაგრამ ისინი ვერც ამჩნევენ ამას, შეიძლება ამჩნევენ კიდეც მაგრამ «ისეთ საქმეზე მიდიან», განგებ არ აქცევენ ყურადღებას ყვავილებიან გოგონას, მარნო ერთ-ერთი მხედრის ცხენს გაუშვერია გოგონასაკენ თავი და ხარბად ყნოსავს მის ყვავილებს...

აი, ასეთ მდგომარეობაშია შეჩერებული სურათში წამი.

შემდეგ, ალბათ, ბერიკაცი დალევს იმ პანარა სასმისით არაყს, მხედრები ადგილს მოსწყდებიან, მათ ხომ ისედაც ეჩქარებოდათ რომ ცხენზე ამხედრებულთ მოისმინეს მოხუცის დალოცვა. ალბათ, დალევს თუ არა სადღეგრძელოს, შებრუნდებიან და ერთ წამში თვალს მიეფარებიან. გოგონა დარჩება ყვავილებით ხელში და შეიძლება ლოყაზე ცრემლიც ჩამოუგორდეს, მას ხომ ყოველთვის ეძნელება მამიკოსთან განშორება. მამამ ვერ გაბედა შვილისათვის ყვავილები გამოერთმია. მარნო მისმა ცხენმა გაიყოლა თან მისი სურნელი...

... ნენავი ვინ არიან, ან სად მიდიან. მიდიოდნენ მაშინ, ახლა უკვე წასულნი არიან. სად? იქნებ საერთოდ არიან წასულნი ამ ქვეყნიდან. იქნებ ის მოხუცი, რომ ილოცება, თევდორეს მამაა, ახალგაზრდებს აცილებს ომში. გოგონა? გოგონა ვინლა? ან სად არის... ნენავ რა მოხდა?

სურათში კი ყველაფერი ძველებურად არის. რა საინწერესოა წამი... წუთი... ჩვენ ყველაფერს იქ ვნოვებთ: წამის იქით, წუთის იქით, იქ ყველაფერი ისევე რჩება, როგორც იყო, - ფიქრობს ლუკა, - ვნოვებთ ბავშვობას და სადღაც აქეთ გამოვრბივართ, წამის აქეთ, წუთის აქეთ, მერე?...

ისევ სურათისკენ გაიქცა თვალი. მოეჩვენა რომ სურათებიც რინმულად ირხეოდნენ, თითქოს მართლაც სადღაც მიდიოდა სახლი... წამოიწია, უნდოდა გარეთ გაეხედა და მიმხვდარიყო, მართლა მიდიოდა სადმე თუ ეჩვენებოდა და იქვე იდგა.

ძალღმა დაიყეფა.

აღარ ამდგარა ლუკა. ძალღი აქამდის ჩუმად იყო, აღარც ახსოვდა მისი არსებობა. ნენავი ძალღსაც რაიმე საერთო ხომ არა აქვს თევდორესთან? იქნებ მიხვდა, რომ ლუკა გარეთ გახედვას აპირებდა და იმინომ დაიყეფა, აგრძნობინა, ადგომა და იმის ნახვა, მივდივართ სადმე თუ არა, არ გაბედოო. იქნებ თევდორე შემოინყუებს ხოლმე მსხვერპლს აქ, თვითონ გაიპარება, მოიყვანს დორაისხვევლებს და ვინ იცის რას არ სჩადის. ძალღი კი ჰყარაულობს...



ლუკას მზერა ახლა ერთ სურათზე შეჩერდა: ახალგაზრდა, ნაწნავებიან ქალს, ხელში პანარა ბიჭი უჭირავს...

იქნებ ცოდვას თევდორეზე იმის გაფიქრებაც კი, რასაც ლუკა ფიქრობდა. თევდორეს რომ ახლა ასეთი რამ ედოს გულში, განა კედელზე ასეთი სურათი ეკიდებოდა? იქნებ თვითონ თევდორეს დედაა ეს ახალგაზრდა ქალი, ხელში კი პანარა თევდორე უჭირავს. რანაირია ახლა თევდორე? ლუკა შეეცადა წარმოდგენაში აღედგინა: საშუალოზე ოდნავ მაღალი, გამხდარი, ხმელი სახე, ნანანჯი თვალები, რომლებიც ახლა არაფრით არ ჰგვანან მგლის თვალებს, მათში თითქოს რაღაც სევდაც კია ჩაწოლილი, თუმცა მგლის თვალებშიც კია სევდა ჩაწოლილი. არა, აქ სევდა არ არის განმასხვავებელი ნიშანი, ამ თვალებში ახლა რაღაც მაღლითცხებული ნაპერწკალი ბრწყინავს, ეს ნაპერწკალი საოცრად ჰგავს სურათში მყოფი მოხუცის თვალებიდან გამომკრთალ ბრწყინვას. დაკოჟრილი ხელები აქვს თევდორეს, ეწყობა ქარში და ყინვაში კლდე-ღრეებში წანწალისას გაუმაგრდა ასე. სახეზე ახლა იმ ქალის იერიც გადაჰკრავს, პანარა ბიჭი რომ უჭირავს სურათზე ხელში. ნამდვილად თევდორეა ის პანარა ბიჭი, ახლა ხომ სულ სხვანაირია, მგლის სახეც კი აქვს გამოვლილი, მაგრამ თვალები ისეთივე აქვს, მამის თვალები. ეწყობა თავისმა ხარმაც ამ თვალებზე იცნო და იმიწომ მოინდომა იქეთ წრის გარღვევა. ამ თვალებიდან ხომ რაღაცა მაღლი გამოკრთის. რაღაცით გაიმედებს, მათდამი მიმნდობი ხდები... მაგრამ მგელი?

ნუთუ ის ნაწნავებიანი ქალი როდესმე წარმოიდგენდა, რომ მისი პანარა ბიჭი, ასე რომ იხუნებს გულზე, როდისმე მგლად იწანწალებდა ქვეყანაზე, მოედებოდა მთასა და ბარს, ჩაუსაფრდებოდა მგზავრს, დროს უხელთებდა და დააცხრებოდა თავზე...

არა, ასეთი რამის წარმოდგენა შესაძლებელიც რომ იყვეს, ვერც ერთი დედა ვერ წარმოიდგენდა, ალბათ.

არა, თევდორეს უნდა მოაყოლოს ლუკამ რაც მოხდა შემდეგ. უნდა მოაყოლოს, თუ მშვიდობით გათენდა, თუ მართლა სადმე არ მიდის ახლა ეს სახლი თავისი ორი ვაგონით...

არ უნდა დაიძინოს...

არ უნდა დაიძინოს...

არ უნდა დაიძინოს...

არ უნდა...

არ...

ჩათვლიმა.

შეკრთა!

თითქოს რაღაცა ხმა მოესმა თევდორეს საძინებელი ოთახიდან.

მიაყურადა.

ისევ დუმილი.

ცეცხლის შუქზე ახლა უფრო გვიან-გვიან ნათლებიან კედელზე გაკრული სურათები.

ახლა მოპირდაპირე მხარეს, ბოძზე ჩამოკიდებულ ძველისძველ ხანჯარსაც მოჰკრა ლუკამ თვალი.

მიაყურადა.

ხმა არსაიდან ისმოდა.

თუ გადაარჩენს, ის ხანჯარი გადაარჩენს.

ფრთხილად წამოდგა, ბოძიდან ასევე ფრთხილად ჩამოხსნა ხანჯარი და ლოგინში ჩაწვა. ვადას მოსწია. ძვრა ვერ უყო. მთელი ძალით დაეზიდა. ამაო იყო ყოველი ცდა.

ცეცხლის შუქმა ისევ გამოანათა სურათებიანი კედელი. ბავშვიანი ქალი გამოკრთა.

შერცხვა ლუკას. ხანჯარს ხომ იმის შვილისათვის...

ქალის თვალებს წააწყდა.

ისევ ფრთხილად წამოდგა ლოგინიდან.

ბოძზე ისევ ისე ჩამოჰკიდა, ერთი წუთით დაფიქრდა.

ისევ ჩამოიღო ხანჯარი, თუნგით წყალი ჩაასხა ქარქაშში.

ამოსწია! არა ძვრა ვერ უყო. ძალღმა ისევ დაიყეფა. შეკრთა ლუკა. ბოძზე ჩამოჰკიდა ხანჯარი. უხმოდ ჩაწვა ლოგინში და ეჭვიან ფიქრებს მიეცა:

ნუთუ მართლა ამ ღამით უნდა დასრულდეს ყველაფერი.

არ იქნებ?.. შეაჟრჟოლა ლუკას... ან იქნებ ისიც მგლად უნდა აქციონ!

საშინელი ელდა, სახის გადაფითრება და კინაღამ ყვირილიც კი მოერია. ნუთუ მართლა ეს მოელის?

ნუთუ ამ ღამის მერე მგლად უნდა იწანწალოს მანაც ქვეყანაზე, ჩაუსაფრდეს მგზავრს, დაკარგოს ნიჭი ადამიანური ცოდვა-მადლის შეგრძნებისა, გახდეს უგრძნობი, არგადამხვეველი მგლური კანონისა და ვერგამრჩეველი იმისა თუ... ნუთუ მასაც შეეძლება მერე რომ ცაში გაფრენაზე მეოცნებე გოგონას დაესხას თავს... ნუთუ???

უნდა გავიპარო, გაუელვა უცებ თავში, აქედან უნდა გავიპარო.. მაგრამ როგორ?

სულ რაღაც რამდენიმე საათის უკან ჯერ უკან ადევნებული და მერე გარს შემოწყობილი მგლები გაახსენდა, ალბათ, ახლაც სადმე დამრწიან ის მგლები და საკბილოს ეძებენ. იქნებ უკვე გაჰკრეს კიდეც ვიღაცას კბილი. იქნებ სახლის გარშემოც არიან შემოწყობილი და ჯერ ვერ ბედავენ წრის შევიწროვებას.

მგლების რკალის გახსენებაზე ჟრუანტელმა დაუარა ლუკას. რატომღაც მოეჩვენა რომ მგლების რკალშია მთელი ცხოვრება და თანდათან ვიწროვდება ეს წრე. საით გაიქცეს, რომელ მხარეს შეიძლება წრის გარღვევა? ან შეიძლება კი?

კურდღელი გაახსენდა: როგორ იფარებდა თვალებზე წინა თათებს და ყვიროდა. წრიდან რომ გავარდა და იქ კი მელია დაუხვდა.

ნეტავი რა იფიქრა ბოლო წამს?

რა კურდღელივით ფიქრები მომდის, \_ გაიფიქრა ლუკამ და გულაღმა გადაწვა ბალიშზე. შემჭვარტლულ ჭერზე მკრთალად ლიცლიცებდა ცეცხლის შუქი.

რომელი სჯობია, რომ ვიყო:

კურდღელი? თუ, მგელი?

კურდღლები ისე კრთიან მთელი სიცოცხლე, როგორც აი, ეს მკრთალი ცეცხლის შუქი თრთის და კანკალებს შემჭვარტლულ ჭერზე. ეს ჭერი კი შავია, კურდღლის გზასავით შავად დახლართული.

მგელი?

მგლებმა არც კი იკადრეს კურდღლისათვის მიექციათ ყურადღება, როცა მან წრიდან გასვლა მოინდომა, მერე ისევ შიგნით შემოუშვეს მელიისაგან გულგახეთქილი.

მგლის გზა სხვა არის..

ნუთუ მართლა ამ გზაზე წანწალი მოელის ლუკას?

ნუთუ იმიტომაცა თევდორე შიგნით ოთახში დაყურსული რომ ემზადება, ემზადება რათა კიდევ ერთი სამგლო საქმე აასრულოს \_ სამგლეთს შემატოს ერთი მგელიც.

მაგრამ?.. უკვე მერამდენედ ეკითხება საკუთარ თავს ლუკა და პასუხს ვერ აძლევს.

პასუხი თევდორემ წაიყოლა თან. ლუკას კი დაუტოვა ბნელი ოთახი, უძილო ღამე, წყლიანი თუნგი, ღუმელი, რომელიც ახლა ძლივსდა ფუკ-ფუკებს და ოთახიც მასთან ერთად ჩერდება, შემჭვარტლული ჭერი, ზედ მოლიცლიცე კურდღელივით მფრთხალი ლანდებით, კედელზე ჩამოკიდებული რამოდენიმე სურათი, ბომბეჩამოკიდებული ჩაჟანგებული ხანჯარი და კიდევ ათასი სხვა წვრილმანი, რომელნიც ავსებენ ოთახს; დაუტოვა შიში, ყოვლისმომცველი და უსახური შიში. თითქოს ყველაფერ ამას ძალღი ჰყარაულობს.

გაიპარებოდა ლუკა აქედან სანამ დროა, მაგრამ .. მგლები?

აქ მაინც რაღაცის იმედი აქვს, ჯერ კიდევ.

თუნდაც აი, იმ კედელზე ჩამოკიდებული სურათების.

თუნდაც თევდორეს თვალების..

მაგრამ მის ხარსაც ხომ ჰქონდა ამ თვალების იმედი?..

იქნებ სცადოს? როგორც იმ კურდღელმა ქნა, გაიქცეს ამ სახლიდან და თუ იქეთ ისევ დაუხვდებიან მგლები უკან მობრუნდეს.. ეს ღამე კი არა \_ საუკუნეა. არ უნდა დაიძინოს.. არ უნდა დაიძინოს.. არ უნდა.. როგორმე.. როგორმე არ უნდა.. დაიძინოს.. წამიერი ჩათვლემ, და ისევ რაღაცამ შეაკრთო: თითქოს ისევ ხმაური მოესმა შიგნითა ოთახიდან. ყური მიუგდო: ისევ დუმილი და ჭერზე მკრთალად აციმციმებული ცეცხლის შუქი.

ასე გულაღმა ბალიშზე გადაწოლილი მისჩერებოდა ერთხ-ანს ჭერს და რაღაცას იხსენებდა. ახლა, რატომღაც, მთელი არსებით მოუნდა, ისევ გასჩვენებოდა თავისი ბავშვობისდროინდელი რომელიმე დღე, თუნდაც წითელი ზამთარი, მაგრამ ამჟამად გაზაფხულის მოჟივჟივე ჩიტებით აჟრიაშულელებული დღე ამოჰყვა მეხსიერებას:

ლუკა სკოლის მერხზე იჯდა და ყურს უგდებდა ზოოლოგიის მასწავლებელს, რომელსაც დაფაზე პატარ-პატარა რუკები გაეკრა და მოწაფეებს შინაური ცხოველების აგებულებას უხსნიდა. მასწავლებელი სამოც წელს გადაცილებული კაცი იყო, დაბალი, სწრაფადმოსიარულე ფეხებზე შემდგარი. ყოველთვის ცდილობდა თავი ღირსეულად დაეჭირა და სიმშვიდე შეენარჩუნებინა. მარტო მისი ჭროლა თვალები ვერ მალავდნენ მოუსვენრობას.

გარეთ გაზაფხულის დამატრობელი დღე იდგა. კლასში მასწავლებელი ახალ გაკვეთილს ხსნიდა და მოწაფეები სულგანაბულნი ყურს უგდებდნენ. ასეთ დროს მასწავლებელი ზედმეტად მომთხოვნი იყო, მერხზეც კი არ უნდა დაჰყრდნობოდი იდაყვებით, წელში გაჭიმული უნდა მჯდარიყავი, ხელები ზურგსუკან გწყობოდა და თვალი მოუშორებლივ გედევნებინა მასწავლებლის მოძრაობებისათვის, ფანჯარაში გახედვა ხომ საერთოდ აკრძალული იყო გაკვეთილის ახსნისას, არა და გარეთ გაზაფხულია, სკოლის ეზოში ყვავილები ამოსულან, ღობისპირზე ჩამწკრივებული ტყემლები გამოკვირტულან და ეს-ესაა გაიშლებიან. მთელი ხეობა გალობს, საზეიმო ელფერი დაჰკრავს დედაბუნებას. მოფრენილან გულყვითელა ჩიტები, ბოლოცეცლები, გუთნის ჩიტები და კიდევ სხვანი.

\_ მერცხალი მოფრინდა, მერცხალი! \_ ყვირის ვიღაც სკოლის ეზოში.

ბალღებს ეს დამახილი ფანჯრებისაკენ გააპარებინებს მზერას, მაგრამ ზოოლოგიის მასწავლებელი მკაცრი: კჰ-კჰ \_ ახველებს ის და ეს არის გამაფრთხილებელი ნიშანი ყურადღებისა.

გარეთ მთელი თავისი დიდებულებით გალობს გაზაფხული. კლასში მასწავლებელი გაკვეთილს უხსნის მოწაფეებს. უცებ ხალხის ყაყანი გაისმის. ხალხის ხმა სკოლის ეზოს იქეთიდან მოდის. ბავშვებს უნდათ ფანჯრიდან გახედვა, მაგრამ მასწავლებლის შიში აქვთ. ხალხის ყაყანი უფრო ძლიერდება, თითქოს ვიღაცას მოსდევინ დასაჭერად. მოწაფეები თვალს ვერ აშორებენ მასწავლებელს და უცებ თვითონ მასწავლებელს გაექცევა თვალი სკოლის ეზოსაკენ. ბალღებიც იქეთ იხედებიან. ქვის ღობის იქედან ეზოში გადმოხტება შველი. ქვის ყორეს მადევარი ხალხი მოაწყდა იქედან. მასწავლებელმა უცებ საჩვენებელ მწვეტ ჯოხს დასტაცა ხელი და კლასიდან გავარდა. იმის დანახვაზე, ეზოში ჩამომხტარი შველი დაფრთხა, ღობის მიყოლებით გაიქცა. მასწავლებელი ჯოხით გაეკიდა, თან ყვიროდა:

\_ იქეთ, არ გაგექცეთ, იქეთ! \_ მისძახოდა ის ღობის გარეთ შვლის მიმართულებით მორბენალ ხალხს. სხვა მასწავლებლებიც გამოცვივდნენ კლასებიდან და სამასწავლებლოდან. მსუქანი, ჩამრგვალებული სიმღერის მასწავლებელი ქალიც შველს გაეკიდა დასაჭერად, გეომეტრიის მასწავლებელიც მათ მიჰყვა, დანარჩენმა მასწავლებლებმა თავი შეიკავეს. მასწავლებლებს რამდენიმე მოწაფე მისდევდა უკან შვლის დასაჭერად. შველი დარბოდა ეზოს გარშემო და გასასვლელს ეძებდა. კედლის იქით ხალხი მორბოდა მისკენ და გასასვლელს არ აძლევდა. შიგნით მასწავლებლები და მოწაფეები მისდევდნენ ფეხდაფეხ. სკოლის ეზო კარგა მოზრდილი იყო და შველი

ახერხებდა მდევრებისაგან თავის დაღწევას. ერთხელ, სწორედ ასე დარბოდა ლუკა ამ ეზოში, უკან მისდევდნენ მოწაფეები და უყვიროდნენ:

– ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა!

ლუკა გარბოდა რაც შეეძლო, ტანზე ძაფებით გადაბმული წითელი კვერცხები ეკიდა.

წინა დღეს აღდგომა იყო და დირექტორმა მოწაფეები გააფრთხილა, სკოლა არავის გაეცდინა, თორემ დასჯიდა. აღდგომა დღეს, მიცვალებულის სულელებს კვერცხს უდგამდნენ სამიზნეზე პატრონები. ამ ქადის კვერცხს ხალხი შვილდებითა და ბოდლებით ისრებს ესროდა მიზანში. ვინც მიზანში მოარტყამდა, იმისი იყო მიცვალებულის კვერი, რომელსაც თან კიდევ წითელი კვერცხები და სხვადასხვა საჩუქრები მოჰყვებოდა. მთელი ერთი კვირა დადიოდა გაკვეთილების მერე ლუკა ტყეში შვილდის ხისათვის. ერთ წვრილიან ტყეში სწორ შვინდნაწლას წააწყდა. ცულით ძლივს მოჭრა, ისეთი მაგარი იყო სამშვილდე ხე. გაზაფხული იყო და ხეებს უკვე წყალი ჰქონდათ ჩამდგარი. ლუკას ჯერ შეეშინდა, ხელში ხომ არ მოვირტყიო, მაგრამ მერე მიხვდა რომ ხეს მოსდიოდა სისხლი. ეს ამბავი არავისათვის გაუმხელია. წამოიღო ის მოჭრილი სამშვილდე და გამართა შვილდ-ისარი. ერთი თვე მიზანში სროლაში ვარჯიშობდა.

დადგა აღდგომა დღე.

მოწაფეები სკოლაში წავიდნენ.

მარტო ლუკას დასძლია მიზანში სროლის სურვილმა და მთელი დღე მიცვალებულთა სულის კვერცხს ესროდა შვილდ-ისარს.

მეორე დღეს მასწავლებელმა ეზოში გამოიყვანა. მოწაფეებს მოატანინა წითელი კვერცხები, აქეთ-იქით ჩამოჰკიდეს ლუკას, ზურგზე მიაკრეს კარდონის ქაღალდი წარწერით:

– ქრისტე აღსდგა!

– ბავშვებო, ხომ გაგაფრთხილეთ სკოლა არ გააცდინოთ-მეთქი.. ეკითხება დირექტორი ლუკას გარშემო შემოხვეულ მოწაფეებს.

– დიახ, მასწავლებელო! – პასუხობენ ისინი ხმაშეწყობილად.

– ხომ არ არსებობს აღდგომა.

– დიახ, მასწავლებელო!

– დიახ კი არა, არა-თქო!

– არა, მასწავლებელო!

– მაშე ეს ბიჭი ხომ იმსახურებს ამისათვის სასჯელს, – ლუკაზე მიუთითა დირექტორმა.

– დიახ, მასწავლებელო.

– აბა, შემოარბენინეთ ასი წრე! – ბრძანა დირექტორმა და ბაღლები კიყინით გაეკიდნენ ლუკას.

– ერთი, ორი, სამი.. – ითვლიდა დირექტორი და შუა ეზოში ტრიალებდა ერთ ადგილას. ორმოცდამეთხუთმეტე წრეზე მთელი ეზო თვალეში დაუტრიალდა ლუკას და გონი აერია, მუხლები მოეკვეთა და წაიქცა. დირექტორმა წამოაყენა და ჩაეკითხა:

– აბა, აღსდგა ქრისტე?

– ჭემმარიტად, მასწავლებლო! – ამოილულლულა ლუკამ.

– აბა, მიდი, მიდი, შემოურბინე! – ბრძანა დირექტორმა და ლუკაც წალასლასდა. გზადაგზა წითელი კვერცხები სცვიოდა და იმტვრეოდა. მაშინ ჯერ კიდევ პატარა იყო იმისი ბოჩოლა და სკოლაში არ დაჰყვებოდა.

მირბოდა ლუკა უკანასკნელი ძალით და უკან ჟრიამული მიჰყვებოდა. ახლა ასევე ყიჟინითა და ჟრიამულით მისდევენ დამფრთხალ შველს მასწავლებლები და მოწაფეები. მსუქანი სიმღერის მასწავლებელი დაღლილა, მდევარს გამოსთიშვია, შუა ეზოში დირიჟორივით დგას და ყვირის:

– როგორმე უკანა ფეხში დასწვდი, უკანაში!

ხმა კი აქვს იმისთანა ნავარჯიშები, ზარივით ისმის და გამოირჩევა სკოლის ეზოს შიგნით და გარეთ მოყაყანე ხალხის ხმაში.

შველმა რამდენჯერმე წაიმუხლა და ამ დროს კინალამ თავს დაეცნენ, ძლივს მოასწრო, თითქმის ხელიდან გაუსხლტა ზოოლოგიის მასწავლებელს.

– იი, შე გლახა, შენა! – უყვირა სიმღერის მასწავლებელმა და ექსტაზში შესული ისევ ფაშფაშით გაეკიდა შველს. მოწაფეებს ეტყობა მასწავლებლის რიდი ჰქონდათ, წინ არ უსწრებდნენ მას.

უცებ შველმა დაბალი ღობე ნახა, შედგა, თავი ასწია, თვითონაც მთელი ტანით აიწია და გადახტა. გარეთ მყოფთ ვერ მოასწრეს მისი დაჭერა. ზოოლოგიის მასწავლებელი და რამდენიმე მოწაფე თან გადაჰყვნენ. გეომეტრიის მასწავლებელი იქვე ჩამოჯდა და ძლივს ითქვამდა სულს. სიმღერის მასწავლებელი სამასწავლებლოსაკენ მოდიოდა და გზადაგზა იძახდა:

– აახ, რა მწვადი ჰქონდა!

შველი გარბოდა, გარბოდა ახლა უკვე ტყისაკენ. გზადაგზა სულ ცოტანიდა რჩებოდნენ მდევრები და როცა შველმა ტყეს შეაფარა თავი, ხუთი თუ ექვსი მდევარიღა შეჰყვა თან.

რამდენიმე ხანს კიდევ მოისმოდა ტყიდან კვილი, სტვენა და მერე ისიც მიწყდა. კარგა ხანს არავინ გამოსულა ტყიდან, სადამოს ხანზე გამოჩნდნენ, წინ ზოოლოგიის მასწავლებელი მოუძლოდა, უკან დანარჩენები მოჰყვებოდნენ.

ნუთუ შეჭამეს მაშინ ის შველი? – ახლა გაიფიქრა ლუკამ. ნუთუ ზოოლოგიის მასწავლებელსაც მგელი ეჯდა სულში, გეომეტრიის მასწავლებელსაც და სიმღერის მასწავლებელსაც? ხმა დადიოდა, ღამ-ღამობით, როცა სიმღერის მასწავლებელს ქმარი სახლში არ ჰყავს, მასთან ჩუმიად ზოოლოგიის მასწავლებელი დადისო.

– რა უნდა, რას დამვრება? – ბრაზობდა ხალხი.

\_ სიმღერას ასწავლის, \_ დასცინოდნენ ზოგიერთები.

\_ თავის ცოლ-შვილში იმღეროს ისა სჯობია, \_ ისევ ბრაზობდნენ პირველნი.  
ნუთუ მართლა მგელი ეჯდა ორივეს არსებაში.

ნუთუ სიმღერის მასწავლებელი სუნით გრძნობდა ამას და ღამ-ღამობით იმიტომ უგორდებოდა ქვეშ ბებერ მგელს, რომელიც ყველაზე პირველი შეჰყვა ტყეში შველს და იქედანაც პირველი გამობრუნდა უკან. ალბათ, პირველმაც იმან გაჰკრა ყელში კბილი. მერე კი, ვითომც არაფერი, ისევ ისე ხსნიდა გაკვეთილებს და ისევ უკრძალავდა ბავშვებს ფანჯრიდან ეზოში გახედვას.

ერთხელ კი შემოუვარდა კლასში გარსია და ზოოლოგიის მასწავლებელს ფერი აცვლეინა:

\_ შენა, თუ გულადი ხარ, გამომყევი ახლავე სკოლის ეზოში, მაგრამ ვიცი რა ვაჟკაცი ხარ. ვაჟკაცობა განა ის არი რო საწყალ შველს გამოუდგე, ვაჟკაცობა სხვა რამეა, სხვა რამე! ეხლავე გაჩვენებდი, შენცა და იმათაცა, შენთან რომ იყვნენ ტყეში, შველის მწვადებს რო სჯიჯგინდით, მაგრამ აემ ბალღების ხათრს რა ვუყო, ამათ როგორ ვუცემო თვალწინ მასწავლებელი. ერთს კი გეტყვი, არც ღამ-ღამობით წანწალია ვაჟკაცობა სხვის ცოლთან სიმღერის მასწავლებლად, დაიმახსოვრე ჩემი ნათქომი, ვაჟკაცობა სულ სხვა რამეა, სხვა! \_ ბოლოს ერთი დაჰკვილა გარსიამ ფერწასულ ზოოლოგიის მასწავლებელს, კლასის კარი გაიჯახუნა და წავიდა.

ეს გარსია სულ სავაჟკაცო საქმეებზე იყო გადამდგარი. დღეც იმაზე ფიქრობდა და ღამეც, თუ არ ევაჟკაცნა, რითი გამობრწყინებულყო სოფლის თვალში. ერთი შავი ცხენი ჰყავდა, სულ მუდამ შეკაზმული და დარახტული. მოჰკრავდა რამეს ყურს, აქადააქ ვიღაცეებს ჩხუბი აქვთო, მოახტებოდა ცხენს და გააჭენებდა ამბის დაწვრილებით გასაგებად. და ვაი იმისი ბრალი თუ ჩხუბში ვინმე ვაჟკაცურად არ მოიქცა. სუ ხანჯრებით ჰქონდა თავი დაჩეხილი, სხვისთვის მოქნეულ ხანჯარს, თავს არ უშვერდა.

\_ შე შავ საათზე დაბადებულო, ერთხელაც იქნება, მოგკლავს ვინმე, რა სუყველგან შენ ეჩხირები! \_ ეჩხუბებოდა ცოლი და თან ვინ იცის მერამდენედ უხვევდა ნახანჯრალ თავს.

\_ აბა, მაშ სხვებივით ხომ არ შევუშინდები და გამოვიქცევი, ეგ რალა ვაჟკაცობა იქნება, \_ იმახდა გარსია.

\_ ჰოდა, იარე სუ ერთთავად შახვიით შახვეული თავით, \_ ეუბნებოდა ცოლი.

\_ თორე შახები კი ვერა ყოფილან ვაჟკაცები, აი! \_ ახლა შახებს უქებს გარსია ვაჟკაცობას.

ერთი დათვი გადაეკიდა სოფლის ნახირს და მუსრს ავლებდა. რასაც ჭამდა ჭამდა, რასაც არა და ბეგავდა, მიწაში მარხავდა და საზამთროდ და საშემოდგომოდ ინახავდა. ვერავინ ვერ ბედავდა იმაზე ნადირობას, უშველებელი იყო, მთასავით დადიოდა. იმის ნაფეხურებში, წვიმის დროს, იმდენი წყალი გუბდებოდა, სიცხეში ერთ მოწყურებულ ხარს აძლობდა. ხარი ჯერ ეტყობა ვერ გრძნობდა საიდან სვამდა

წყალს, სულს რომ მოითქვამდა და წყურვილს მოიკლავდა, ერთს დაყნოსავდა ნაფეხურს, შეჰბლავლებდა და გარბოდა შემინებული.

შემოდგომაზე, როცა დათვი თხილიანში გაივლიდა, ისეთ კვალს ტოვებდა, ისე ლეწავდა თხილიანს, თითქოს ყანაში გაევლო. რამდენჯერმე ჩაუსაფრდნენ კიდეც, მაგრამ ვერ შებედეს სროლა.

– ტყვია მაგას ვერაფერს დააკლებსო, თავს იმართლებდნენ მონადირეები. იმას კი, დღეში ერთი ხარი არა ჰკმარობდა საჭმელად. ვიღაცამ უთხრა გარსიას:

– სუ რო «ვაჟკაცობა-ვაჟკაცობას» გაიძახი, წადი და იმ დათვს ევაჟკაცე.

გარსიას, ეტყობა, ჯერ აზრადაც არ გაევლო იმ დათვთან ევაჟკაცნა და ახლა თითქოს რაღაც აღმოეჩინოს, წამოიძახა:

– ეეე!

ხალხი გაისუსა, იფიქრეს ახლა იმას ვინც დათვზე ეს უთხრა გაათავებსო.

– ეეეე! – იძახდა გარსია, – მერედა სად ვნახო, გამიჩერდება?

– სადმე ჩაუსაფრდი და ესროლე!

– არააა, თოფით სროლა ხო ვაჟკაცობა აღარ იქნება.

– აბა, შენთან საჭიდაოდ იმას არა სცალიან და თუ ისევ შენ შეხვალ იმის სოროში, სხვაგან სალაპარაკოდ ვერცა ნახავ.

– სადა აქვს სორო?

– შავ კლდეში რომ გამოთხრილია, იქ ცხოვრობს.

წავიდა გარსია შავ კლდეებში. ერთი პატარა ხანჯარი წაიყოლა თან, ისიც სუ თავის მართლებით: იმას ჩემზე დიდი კბილები და ბრჭყალები აქვს, თორე ამასაც არ წავიღებდიო. გაჰყვა ხალხიც და გამოლმა მთიდან უყურებენ რას იზამს გარსია.

მიაღწია დათვის სოროსთან.

დაისვენა.

ქამარი მაგრად შემოიჭირა წელზე.

ჩაიცვა დაბამბული შარვალ-ხალათი, რომ ადვილად კბილი ვერ გაეკრა დათვს. დაიჭირა ხელში პატარა ხანჯარი და შესძახა:

– გამაგრდი, მოვდივარ! – ო.

შეძვრა.

კარგა ხანს დათვის სოროდან ღრიალი ესმოდა გამოლმა მთიდან მოყურადე ხალხს. რამდენიმე ხნის მერე სოროდან გამოძვრა თავპირდასისხლიანებული გარსია. გორი ჩამოიარა, ხალხთან მივიდა და იკითხა:

– ვარ თუ არა ვაჟკაცი?

– მოკალი?

– ვარ თუ არა ვაჟკაცი?

– ხარ, როგორ არა ხარ, – წამოიძახა ხალხმა.

– არა, ამან მითხრას, ვარ თუ არა ვაჟკაცი? – იმ კაცს მიუშვირა ხელი გარსიამ, გუშინ რომ წააქეზა, თუ ვაჟკაცი ხარ, წადი და დათვს ეჭიდეო.



\_ მოკალი თუ? \_ ჰკითხა იმ კაცმა.

\_ შენ დაგიბარა, ავად ვარ, მოსაკითხი მომიტანოსო, შეხვალ? \_ ჰკითხა გარსიამ, \_ მართლა მოკალი? \_ ეკითხებოდა ხალხი.

\_ მე ისიც მეპატოს, სახლში რო შევუვარდი, დანარჩენი შედით და თქვენა ნახეთ, \_ თქვა გარსიამ და სახლში წავიდა.

იმ დღის მერე დათვი აღარ გამოჩენილა. გარსია კი დადიოდა და ახალ-ახალ სავაჟკაცო საქმეებს ეძებდა.

ბოლო დროს ძალიან ჩიოდა: რა დრო დაგვიდგა, ვაჟკაცობას აღარავინ დაგიდევს, კურდღელმა და მელიებმა ჩაიგდეს ძალაუფლება ხელში და ლომებზე და ვეფხვებზე ისინი ბატონობენ, მგლებზე აღარას ვამბობ, მგლებმა ხომ ქვეყანა ამოაგდესო.

იმაზე ხომ სულ გადაირია, შველს რომ გამოეკიდა მთელი სოფელი.

შემოელია სავაჟკაცო საქმეები და დარდისაგან კინალამ გადაირია. ერთხელ, სწორედ იმ ზაფხულს, შველი რომ გადმოფრინდა სკოლის ეზოში, ხუთშაბათ დღეს, დიდი წვიმა მოვიდა. ჯერ ცა მოიღუშა, ავისმომასწავლებლად ჩამოწვა ღრუბლები. ათრთოლდნენ ბალახები და ხეები.

გაიელვა.

უცებ ატყდა საშინელი ჭექა-ქუხილი.

თითქოს ცა იმსხვრეოდა და ნამსხვრევები დედამიწაზე ცვიოდნენ.

წამოვიდა მსხვილი წვიმა.

ხევებში გამოქანდნენ ნიაღვრები.

მოწაფეები კლასის ფანჯრებიდან გაჰყურებდნენ წვიმას, მაგრამ ისე კოკისპირულად წვიმდა, არაფერი არ ჩანდა.

ასე გადაუღებლად იწვიმა ერთი გაკვეთილი.

მეორე.

მესამე გაკვეთილზე (თუმცა არც ერთი არ ჩატარებიათ რიგიანად) გამოიდარა.

უცებ გამოაჭყიტა მზემ.

დაწყნარებული ბუნება მზის სხივებში აციმციმდა, აელვარდა თვალის მომჭრელად.

ფრინველები სამალავებიდან გამოფრინდნენ და მოჰყენენ გალობას. აბლავლდა საქონელი. ხეობაში მანამდეც დიდი მდინარე მოექანებოდა, მაგრამ უცებ წამოვიდა კუპრივით შავი წყალი. ხალხი მის სანახავად მიაწყდა ფერდობებს. თითქოს ჯოჯობხეთის კარი გაეხსნათ და იქედან მდულარე კუპრი გამოეშვათ, ისეთ ფერზე მოექანებოდა მდინარე. ზემოდან მოიყოლიებდა შავ ნისლს და გზადაგზა ყველაფერს ნთქავდა, ყველაფერი მიჰქონდა, თავის შავ ტალღებში ახვევდა. შავი წყალი მანამდეც ენახა ხალხს, მაგრამ ასეთი შავი წყალი არავის ახსოვდა.

\_ რაღაც უბედურება მოვა, რაღაც უბედურებას მათწევს! \_ ისევ თავისებურად ავიშვიმდნენ ქალები.

კაცები ჩუმად იდგნენ, ჩუმად გაჰყურებდნენ მდინარეს, რომელიც წალეკვით ემუქრებოდა ყოველივეს. კაცების მზერაში ჩაბუდებულიყო უცნაური სევდა. ხანდახან ჩაახველებდნენ და მხრებზე ჩამოცურებულ მოსასხამს შეისწორებდნენ.

მზე ყვითლად კაშკაშებდა გადაწმენდილ ლურჯ ცაზე. მთები ელავდნენ მზის სხივებში. ბუნება დაწყნარებულიყო. მარტო ხეობაში გამოქანებული შავი წყალი დგანდგარებდა, ხურდა, ნისლს მოიყოლებდა და თან გრილი სიო მოჰქონდა.

– სულ დახოცავს თევზებს, – თქვა ვიღაცამ.

– თევზებს ვინ ჩივის, არავინ დაახრჩოს, – ხმა ამოიღო მეორე კაცმაც. დანარჩენები ჯერ ჩუმად იდგნენ.

იქვე იდგა გარსიაც, ცმუკავდა, ერთ ადგილას ვერ ისვენებდა, ეს-ეს იყო საიდანღაც მოაჭენა თავისი შავი ცხენი. გარსიას ეტყობა ჭექა-ქუხილმა და ამ ადევნებულმა მდინარემ სავაჟვაცო ნერვი აუფორიაქა, მაგრამ ჯერ ვერაფერი მოეფიქრებინა, წყალში ტყუილად შევარდნას რომ სისულელედ ჩაუთვლიდნენ ეს იცოდა.

უცებ საშინელმა ხმამ გააყრუა ხეობა. ხმა სადღაც მდინარის სათავეებიდან მოდიოდა. რაღაცა წიოდა, ასეთი ხმა არასოდეს მოესმინა ჯერ ხალხს. ისეთი შემზარავი ხმა იყო, გარსიაც კი შეკრთა ერთი წამით.

წივილის ხმაზე დაფრთხა საქონელი, მთის წვერებისაკენ გაიქცნენ აღმა. ფრინველებმა გალობა შეწყვიტეს და სადღაც გადაიკარგნენ. ძაღლებმა ატეხეს გაბმული ყმული. ცხენები ფრუტუნებდნენ. ყალყზე დგებოდნენ..

– რა ვქნათ, რა ამბავია შენ გენაცვალე?! – ჩიოდნენ ქალები. კაცებს უფრო მოსძალეობდათ სევდა თვალებში და იმ მხარეს გაჰყურებდნენ მდინარეს, საიდანაც ეს შემზარავი ყვირილი ისმოდა.

თითქოს ხის ფოთლებიც კი კრთოდნენ ამ ხმისაგან. იფიქრებდით, მზის სხივებმაც კი ფერი დაკარგაო.

ხმა თანდათან ახლოვდებოდა და უცებ ხალხმა შეამჩნია მდინარის ტალღებს აყოლილი წითელი გველეშაპი, რომელსაც მთელი მდინარის სიგანეზე ჰქონდა გაშლილი ფაფარი. თავი, გულისპირი და მთელი ტანი წითელი ჰქონდა. კუდს სადღაც შორს მოალიკლიკებდა, თავს მაღლა ჰაერში სწევდა და წიოდა.

ამის დანახვაზე ისეთმა ჟრუანტელმა დაუარა ხალხს, ადგილიდან ვეღარ დაიძრა, ხმა ჩაუწყდათ და მიწას ჩაეკრნენ. მარტო რამდენიმემ შესძლო გაქცევა. გარბოდნენ უკანმოუხედავად, ყურებში თითებდაცობილნი, რომ ეს საშინელი წივილი არ გაეგოთ.

გველეშაპი თანდათან ახლოვდებოდა. კუპრივით შავ მდინარეში ლივლივებდა მისი ფაფარი. ახლა თითქოს მისი სუნიც კი მისწვდა ხალხს და უფრო აკანკალდნენ. მზის სხივებზე წითლად ბზინავდა გველეშაპის მოელვარე კანი. თითქოს მისი თვალებიც კი წააწყდა ხალხის მზერას და უფრო საშინლად დაიწივლა.

ხალხი მიწას ეკვროდა, ემინოდათ ამ ხმას ფერდობიდან არ გადმოეყარა აბობოქრებულ შავ მდინარეში.

კანკალებდნენ.

უცებ გარსიამ დაარღვია სიჩუმე.

– რა გაშინებთ, ხალხო, მაგნაირებზე ვმჯდარვარ! – ამაყად თქვა გარსიამ. ხალხს ხუმრობის თავი აღარ ჰქონდა, მწყრაღად შეხედეს.

– ჰო-ჰო, ეგრე ნუ მიყურებთ თქვენა, მაგნაირებზე ვმჯდარვარ და თუ არა გჯერათ, გაჩვენებთ! – დაიქადნა გარსიამ, ცხენს მოახტა და მდინარისაკენ გააქანა.

– ეეეე! – აღმოხდა შეშინებულ ხალხს.

გველემაპი საზარლად წიოდა.

გარსია თანდათან წამოეწია.

მდინარის პირას გაუსწორდა მის კუდს.

უფრო წინ გააქენა ცხენი, გველემაპის თავისაკენ გააქენა და რო გაუსწორდა შეაგდო ცხენი ადევებულ წყალში.

ერთ წუთს ცხენიც და კაციც წყალმა დაფარა, მერე შავ ტალღებზედაფენილი გველემაპის ფაფარი იქი-აქა გადაიწია და ამოყო გარსიამ თავი, როგორც ცხენს, ისე მოახტა გველემაპს ზურგზე, ხელებით ფაფარში ჩააფრინდა, ფეხებით მუცელზე აპირებდა ჩამოხდომას.

ეს რომ დაინახეს გარსიას პატარა ბალებმა, ტირილით გაიქცნენ მდინარისაკენ:

– ჩამოხე მამი! – უკიოდნენ გარსიას.

– გაბრუნდით, შვილო, ამას მოვარჯულებ და მოვალ, ისეთ კამფეტებს მოგიტანთ, როო! – გამოჰკიოდა გარსია.

– ჭირმა მოვარჯულოს და ეშმაკმა, აი! – სწყევლიდა ცოლი.

– ერთი კარგი პურ-მარილი თქვენზეა, აი! – ხალხს გამოჰკივილა გარსიამ, მაგრამ უკვე ძლივს ისმოდა იმისი ხმა, უკვე შორს იყვნენ, თანაც გველემაპი წიოდა საშინლად.

გარსიას ცხენმა როგორც იქნა გამოცურა წყლიდან, პატრონს გახედა, გველემაპზე ამხედრებული რომ დაინახა, დაიჭიხვინა და უკან გაედევნა მდინარის სანაპიროზე. კარგა ხანს სდია ასე და პატრონმა რომ ყური არ უგდო, შედგა.

გველემაპი და იმის მხედარნი თვალს მიეფარნენ. ნელ-ნელა გამოერკვა ხალხი.

– რა ქნა, კაცოო?! – თქვა ვიღაცამ.

– მამაა! – ბალები ისევ გულსაკლავად მისტიროდნენ მდინარეს.

– წამო, შვილო, წამო, გამობრუნდით, მოუსავლეთში წავიდა მამათქვენი, – უკან მოაბრუნა გარსიას ცოლმა ბალები.

– წავიდეთ, კაცო, მივხედოთ, თავს არა აუტეხოს რა, – გარსიას მისამართით თქვა ერთმა.

– მაგაზე მეტი რა უნდა აუტეხოს, რა ქნა თქვენი ჭირიმეე! – მუხლებზე ხელებს ირტყამდნენ გაკვირვების ნიშნად დედაკაცები, – აიმაზე არ შავჯდებოდი, რო მილიონი რასმე მოეცა.

– რო ვერც ჩამოაგდო!

– რას უშვრებოდა ი კუდს, იმით უნდოდა მოშორება.

– შენ ეგა თქვი და გარსიასაც რომ გაუტკბა იმაზე ჯდომა, ის ვერ დაინახეთ, ცხენმა როგორ იეჭვიანა, ის კიდევ ყელმოღერებული იჯდა.

– წავიდეთ, გავიგოთ მაინც რა ქნა, თუ ვერას ვუშველით ამბავს მაინც მოვუტანთ იმის ცოლ-შვილსა, – ისევ თქვა იმ კაცმა, წელან რომ იმახდა, თავს არა აუტეხოს რაო.

რამდენიმე კაცმა ცხენები შეკაზმა და მდინარის ნაპირს აედევნენ.

მთის წვერებიდან ნელ-ნელა ქვემოთ ჩამოეფინა დამფრთხალი საქონელი. სამალავებში შეყუჟული ფრინველებიც გამოჩნდნენ და მოჰყვნენ ჟივჟივს. ძაღლებმაც შეწყვიტეს გაბმული ყმული და ახლა პატრონებს შეჰყურებდნენ შეძრწუნებული თვალებით: რა იყო, რა მოხდაო. გარსიას საშველად წასული მხედრების ცხენები ფრთხოდნენ მდინარის სიახლოვეს ყოფნით, ეტყობა კიდევ გრძნობდნენ გველეშაპის სუნს.

წვიმა აღარ იყო, მაგრამ მთელი დღე ადევებული მოდიოდა მდინარე. მოდიოდა ქვების ხათქა-ხუთქით, ტალღების ტყლაშუნით და მოიყოლიებდა მოშავფერო ნისლს. იმის სათავეებიდან რამოდენიმე მეცხვარე ჩამოვიდა სოფელში. გაკვირვებული და შეშინებული მეცხვარეები ჰყვებოდნენ, როგორ ამოხეთქა გველეშაპმა მდინარის სათავეში მიწა და აწივლდა. ჯერ თურმე მიწაზე ეხეთქებოდა, წიოდა, იკლავებოდა, მერე ადევებულ მდინარეს წამოუღია თავქვე. ჯერ თურმე წყალი ამოდიოდა შადრევანივით იმ ადგილზე სადაც გველეშაპმა ამოხეთქა, მერე წყალი შემწყდარა და როცა გაბედეს ახლოს მისვლა მწყემსებმა, ახლა უფრო გოაცებულან; საზარელი ყოფილა გველეშაპის ტანით ამოლესილი, ვინ იცის ქვესკნელამდე ჩახვრეტილი მიწის გული.

– შიგნით რომ ჩასძახო, სადღაც სიღრმეში იკარგება ხმა და უკან აღარ ბრუნდება, – თქვა ერთმა მწყემსმა.

– ისეთი საშინელი ჩასახედია, კაცს რკინის გული გინდა, რო იქ ჩაიხედო, ნაპირებთან იმისი წითელი ბალანი ყრია, – იმახდა ნანახით გოაცებული მწყემსი.

სალამო ხანს გარსიას საშველად წასული მხედრებიც მობრუნდნენ სოფელში და თქვეს:

– წასულა, გაუვლია.

– უნახავს ვინმეს?

– კი, მთელი ხეობა ისე გველეშაპზე ყელმოღერებულს გაუვლია, გადარეულია ხალხი.

– ჯერ გამოცხადება ჰგონებიათ, იმას რას მოიფიქრებდნენ გარსია იქნებოდა, მერე თვითონვე დაუძახნია: ნუ გეშინიათ, ხალხო, ამას ჩქარ მოვარჯულებ, ერთი პურ-მარილი თქვენზეა-ო, ის თურმე წიოდა, ჩამოგდება უნდოდა ზურგიდან გარსიასი, მაგრამ ვერ გადმოუგდია. მეორე მდინარეს რო უერთდება იქამდე ვდიეთ, იქაც გოაცებული ხალხი დაგვხვდა, იმათაც ეგრე გვითხრეს, იმათთვისაც ეგრე დაუძახნია, ამას

მოვარჯულებ, მოვბრუნდები და ერთი კაი პურ-მარილი თქვენზეაო. წასულა, გაჰყოლია წყალს ყელმოღერებული.

მთელ ღამეს კიდევ დგანდგარებდა მდინარე. ლოდების რახა-რუხი აყრუებდა ხეობას და არ ამინებდა ხალხს, თუმცა ვინ დაიძინებდა, ისე იყვნენ აფორიაქებულნი იმდღევანდელი სანახაობით.

გორისთავ გავსილი მთვარე გადმომდგარიყო და ანათებდა მთელ ხეობას. იმის სხივებში შავად ლაპლაპებდა აბორგებული მდინარე.

მეორე დღეს თანდათან იკლო წყალმა და ფერიც შეეცვალა. ახლა აღარც ლოდების ხმა ისმოდა ისე ძლიერად. იმ დღესაც ისევ გუშინნანახი ეკერა ყველას პირზე, ზოოლოგიის მასწავლებელსაც კი არ აუხსნია ახალი გაკვეთილი, ისიც გარსიას საგმირო საქმეზე ლაპარაკობდა, ცქმუტავდა, ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა.

გარსიასი არაფერი იცოდნენ. მთელი ერთი კვირა გავიდა იმ დღის მერე. გარსია კი არსად ჩანდა. ხანდახან თუ ვინმე მოიტანდა ამბავს, აქა და აქ უნახავთ, ისევ ისე ყელმოღერებული იჯდა გველეშაპზე და მდინარეს მიჰყევბოდაო.

დაიკარგა და დაიკარგა, აღარ გამოჩნდა კაცი.

დაღონდა სოფელი.

გარსიას ბაღლებს ცოდვით არ შეეხედებოდა.

ცოლიც კი, აქამდე რომ თავს იმაგრებდა და ხალხის მოსაჩვენებლად გარსიას სწყევლიდა: ჭირმა შაჭამოს იმისი თავი და იმ გველეშაპმა გამოუხრას ძოღმანი-ო, ახლა ისიც კი მოტეხილი და დადარდიანებული გაჰყურებდა სოფლისაკენ მომავალ გზას.

არ ჩანდა გარსია.

ვიღაცას გიორგი გაახსენდა:

ნათელმხილველი გიორგი.

გიორგი ოთხმოც წელს მიტანებული მთლად გათეთრებული ბერიკაცი იყო. აქედან მესამე სოფელში ცხოვრობდა. ღამით რომ სადმე წავიდოდა, რაღაცა ნათელი სვეტი ჩამოადგებოდა ციდან და გზას უნათებდა. გიორგი ხვეისბერი იყო და წმინდად ცხოვრობდა. სანთელს რომ აანთებდა, გაჰხედავდა და შიგ ხედავდა მომხდარ-მოსახდენს.

ახლა გაახსენდათ გიორგი და გარსიას გზა-კვალის გასაგებად მიადგნენ კარს.

დამბადებელი ახსენა გიორგიმ.

ქუდი მოიხადა.

პირჯვარი გამოისახა.

და..

აანთო სანთელი:

– ადა-და-და-დაა, ხალხნო, აბა გახედეთ! – თქვა გაკვირვებულმა გიორგიმ და სანთელში გაახედა ხალხი.

ყველამ ცხადად დაინახა, როგორ იჯდა გველეშაპზე ყელმოდერებული გარსია და ხან ერთ მდინარეში შეაჭენებდა და ხან მეორეში. გველეშაპი ეტყობა ისევ ცდილობდა იმის ჩამოგდებას, კუდს იქნევდა, იკლავებოდა. იმათ სანახავად გამორბოდა სოფლებიდან და ქალაქებიდან ხალხი. გარსია რაღაცას გაჰკვიოდა იმათ, ეტყობა:

\_ ნუ გეშინიათ, ხალხო, ამას ჩქარ მოვარჯულებ და მერე ერთი კაი პურ-მარილი თქვენზეაო. ხმა არ ისმოდა, მარტო ცხადად ჩანდა სანთლის ალში ყოველივე.

ერთი კვირის განმავლობაში ასე უყურებდნენ სინათლის ალში წითელ გველეშაპზე ყელმოდერებულ გარსიას და უკვირდათ:

\_ აბა-აბა, რა გამძლეობა აქვს, არ გიკვირთ, აჰა, წყალს თუ მდინარეს სვამს, შიმშილმა მაინც არ შეაწუხა?

\_ შეიძლება თევზებსა სჭამს გზადაგზა.

\_ არა. რა თევზებს, ვერ უყურებთ სუ ერთთავად ყელმოდერებული რო ზის.

\_ ეგ უხსენებულებიც რო მაგის საუბედუროდ გამოტყვრა!

\_ თანაც რო ვერ გადმოაგდო ამდენ ხანს?

\_ რას გადმოაგდებს, ჯერ არ მახსოვს როდისმე ცხენს ჩამოეგდოს გარსია.

\_ აჰა! \_ თქვა გიორგიმ.

გველეშაპი აბობოქრებულ ზღვაში შევარდა. ზღვის ტალღებში აბიბინდა იმისი წითელი ფაფარი. გარსიამ უფრო შემოაჭდო ფეხები იმის ტანს და ხელებით მაგრად ჩაებლაუჭა ფაფარში.

გველეშაპმა ერთ ხანს ზღვის ტალღებზე გაიქროლ-გამოიქროლა, თითქოს რაღაცას ეძებდა. მერე ეტყობა იპოვა ის რაღაც, ხმა არ ისმოდა მაგრამ, როგორც ჩანს ისე დაიწვილა, გარსია კინალამ გადმოვარდა, ჰაერში აიქნია კუდი და ჩაინთქა ზღვის სიღრმეში, თან ჩაიყოლია ტანზე შემოჭდობილი გარსია.

\_ მორჩა! \_ თქვა გიორგიმ და პირჯვარი გადაიწერა.

\_ რაა? \_ უცებ ვერ გაერკვა ხალხი.

\_ დაინთქა, ქვესკნელში დაინთქა გველეშაპი.

\_ გარსია?

\_ თან ჩაიყოლა.

\_ კი მაგრამ..

\_ როგორ?..

გაოგნებული იყო ხალხი. ვერ დაეჯერებინათ, რომ გარსია ასე დაასრულებდა თავის ვაჟკაცურ სიცოცხლეს.

\_ აანთე, გიორგი, აანთე, იქნებ კიდევ რამე გამოჩნდეს, \_ ეხვეწებოდა გიორგის.

გიორგი ანთებდა სანთელს, მაგრამ იმ დღის მერე აღარ გამოჩნდა, არც გველეშაპი და აღარც გარსია.

მარტო ზღვა ჩანდა, სანთლის ალში ლურჯად მოლივლივე და ეს იყო ნიშანი იმისა, რომ სადღაც ამ ზღვის სიღრმეში იპოვა ქვესკნელში ჩასაძრომი წითელმა გველეშაპმა. თუმცა, ხალხმა თავისი თვალით ნახა ეს, მაგრამ ზოგიერთები ვერ იჯერებდნენ, რომ

ზღვამ დაახრჩო გარსია და გულისგულში იმედი ჰქონდათ, რომ ქვესკნელამდე ცოცხლად ჩააღწევდა გველეშაპზე ამხედრებული გარსია, ის ისეთი უტეხი იყო, რომ ზღვაც კი ვერ დაახრჩობდა. ზოგიერთს იმის იმედიც კი ჰქონდა, რომ გარსია სწორედ იმ გზით დაბრუნდებოდა სამზეოზე ქვესკნელიდან, გველეშაპმა რომ ამოანგრია მდინარის სათავეში. ხშირად ჰყარაულობდნენ ამ ხვრელს, საიდანაც მუდმივად ამოქროდა ცივი ქარი, რომელსაც თან მოჰქონდა უცხო რამ სუნი. ზოგიერთები ირწმუნებოდნენ, რომ ეს იყო ქვესკნელის ჰაერი, ამომდინარე ამ ხვრელით და როცა ხეობაში ვინმე მოკვდებოდა, ქვესკნელის ჰაერს აბრალებდნენ ამას.

ვიღაცამ თქვა, რომ ამ ჰაერს ავადმყოფობა ამოჰქონდა მაღლა და სათათბიროდ შეიკრიბა ხალხი. ერთნი გადაჭრით მოითხოვდნენ გადაეხურათ ის ხვრელი და გადაეხეტონებინათ, რომ იქედან ვეღარ ამოსულიყო ქვესკნელის ჰაერი. სხვანი, ვისაც ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა, რომ გარსია კიდევ ცოცხალია და, ადრე თუ გვიან, ქვესკნელიდან იმ ხვრელით დაბრუნდებოდა სამზეოზე, ფეხს ითრევდნენ და არ ჩქარობდნენ იმ ხვრელის გადახურვას, ამით ხომ ერთადერთ უკან დასაბრუნებელ გზას მოუჭრიდნენ გარსიას. ამ დღის მერე სულ ჩხუბი და აყალმა-ყალი ჰქონდათ ერთმანეთში გამართული ამ ორ ბანაკს. დროდადრო თითქოს მიავიწყდებოდათ ამ ხვრელის არსებობა, მაგრამ მოკვდებოდა თუ არა ვინმე ხეობაში, ისევ გაახსენდებოდათ ის ხვრელი და ისე აღარავინ კვდებოდა, რომ იმის სიკვდილი ქვესკნელიდან ამომდინარე ჰაერს არ დაბრალებოდა. თავიდან იწყებოდა ჩხუბი, აყალმაყალი და იმ შავი დღის გახსენება, როცა წითელმა გველეშაპმა ამოანგრია დედამიწა. ერთ დღეს კი იოსებიანთ ანუელმა დაუსვა ბეჭედი ამ გაუთავებელ ჩხუბსაც და ხვრელიდან ამომავალ ჰაერსაც.

ანუელი მაშინ ისე მოხუცებული იყო, ზუსტად არავინ იცოდა მისი წლოვანება. ასზე კი ბევრით მეტისა არისო, ამბობდნენ სოფელში და ეს «ბევრით მეტი» რამდენი იყო, არავინ იცოდა.

ლუკას არ ახსოვს, როდის მოკვდა პირველად იოსებიანთ ანუელი, ხალხი იძახდა, მაშინ სამოცდაათი წლისა იქნებოდაო.

მთელი დღე და ღამე ყოფილა სულს გაყრილი.

რამდენჯერმე ჩაიწვა იმის თავ-ფეხთით სანთლები. მოდიოდნენ მეზობელი სოფლებიდან მოკეთეები და ხმით მოტირალნი. სოფელი ემზადებოდა ანუელის იმ ქვეყნად გასასტუმრებლად.

კიდევ ერთხელ რომ აუნთეს სანთლები, მაშინ წამოიწია თურმე და ისე წამოდგა, თითქოს ამდენი ხნის მანძილზე უსულო არ ყოფილიყო, არამედ ეძინა და ეს-ესაა გაიღვიძა.

ხალხი შიშის კანკალმა აიტანა. მათ ჯერ არავინ ენახათ უკან მობრუნებული.

შემდეგში ხშირად ჰყვებოდა იოსებიანთ ანუელი იმ ნათელი ქვეყნის ამბებს. გუნდ-გუნდათ ესხდნენ, თურმე, გაშლილ ტაბლებს იმისი ახლობლები:

\_ ანუელი მოდის, ანუელი! \_ დაიძახა ვიღაცამ.

წამოიშალნენ.

მოეგებნენ.

– ქალო, ჯერ აქ შენ რა გინდა! – გაიკვირვა ანუელის დედი ძმამ – წამო, წამო, გზა გასწავლო, ჯერ შენი აქ მოსვლის დრო არ არის, – წამოიყვანა ბიძამ და მოიყვანა სამძღვარამდე:

– წადი ახლა, აი ეს სამი სიტყვა დაიმახსოვრე, რასაც ახლა გეტყვი და მანამ სიკვდილი არ მოგენატრება, მანამდე არა სთქვა, თორემ, იმ წუთში მოკვდები, რა წამსაც იტყვი, – ის სამი სიტყვა უთხრა იმ კაცმა და გამოგზავნა უკან.

იმ დღიდან მოყოლებული იყო, ხან ვინ ეკითხებოდა ანუელს ხან ვინ:

გვითხარი, რა სამი სიტყვა გითხრეს ეგეთი.

– არა, ჩემო თავისანო, ასე გამაფრთხილეს, როგორც კი იტყვი, იმ წუთას მოკვდებიო, იმას რა მათქმევინებს! – უარობდა იოსებიანთ ანუელი.

– ერთი სიტყვა მაინც გვითხარი იმ სამიდან.

– არა, არა! – უარობდა ანუელი და ხელებს ასავსავებდა.

ხალხს ცნობისწადილის ჭია ღრღნიდა და დღე არ გავიდოდა იოსებიანთ ანუელისათვის ვინმეს არ ეკითხა, გვითხარ, რა სამი სიტყვა იცი, ვნახოთ, იქნება არ მოკვდეთ.

– რო მოკვდეთ? – თავის მხრივ ეკითხებოდა ანუელი.

– იქნებ არ მოკვდე.

– არა, არა! – ისევ ხელებს ასავსავებდა ანუელი უარის ნიშნად.

ცნობისწადილმა და ანუელის სიჯიუტემ გადარია ხალხი და ახლა უკვე აღარც ელაპარაკებოდა ზოგიერთი. რამდენჯერმე შვილებმაც მოინდომეს ანუელისათვის დაეცდინათ ის სამი სიტყვა და რო არც იმათ უთხრა, ახლა იმათაც ზურგი აქციეს ანუელს.

დრო გადიოდა. ბერდებოდა ანუელი.

ახლა თითქმის ყველასაგან ზურგმქცეული ძლივსლა დადიოდა. ხანდახან თუ ვინმე ჰკითხავდა:

– ეხლა მაინც თქვი, ანუელო, ეხლა ხო დროა.

ანუელი მარტო ჩამომჰკნარ ხელებს ასავსავებდა და ხმას არ იღებდა.

– არ იტყვი და, ლივე ჭირილდე? – ეუბნებოდნენ რძლები.

ყველამ ზურგი შეაქცია.

გაუჭირდა ასეთი ყოფნა იოსებიანთ ანუელს.

იფიქრა, რაც იქნება ვიტყვიო და:

ვეღარ გაიხსენა.. ბევრი ეწვალა.. შუბლზე მაგრად შემოიჭირა ცივი ტილო, სულ ტყუილად. ვეღარ გაიხსენა ის სამი სიტყვა, შეკრთა იოსებიანთ ანუელი, შეშინდა, აუცხროვდა ბებერი მუხლები. აუკანკალდა ჩამომჰკნარი ხელები.

ვერაფრით ვერ გაიხსენა ის სამი სიტყვა.



ვაითუ, ესე ზეზეურ გახმეს ამ ქვეყანაზე. ყველასაგან მოძულეებული. ზურგშექცეული, ვაითუ, აღარ ეღირსოს სიკვდილი.

ერთხელ, როცა ქვას ველარ გადააბიჯა ზემოდან, ფეხი წამოჰკრა და გზაზე წაიმთხვრია, თავს წაადგა ანჩხლი რძალი და დაჰკვივლა:

\_ თქვი, შე ჯანმკვდარო, თუ რამ იცი, რაღას გვაწვალე, ან ჩვენ, ან შენ თავს!

ანუელი წამოდგა, დარცხვენილმა შეხედა რძალს და წაილულლულა:

\_ დამავიწყდა, ქალო!

\_ ისრე შენი ქალობის ჩამოშლამა, როგორც შენ რამ დაგავიწყდა! \_ არ დაუჯერა რძალმა.

არც სხვები იჯერებდნენ.

\_ სიცოცხლით გაუმადლარია და სხვა არაფერი, \_ იძახდა გამწყრალი ხალხი.

\_ განა რა არის ეგრე ამ წუთისოფლის გამოფსკვნევა, ეგ რო იქცევა, \_ იძახოდნენ დედაკაცები.

\_ რა ლხინის ცხოვრება მაგასა აქვს, მაგრამ ერთიდაერთი რო გახარბდება სიცოცხლისათვის კაცი.

\_ რა არის და, რა, დედამტერთასა, ისე გაიხდის საქმეს რო აღარავინ დამარხავს ბოლოს, \_ ემდუროდნენ იოსებიანთ ანუელს და აყვედრიდნენ გამწარებულ სიცოცხლეს.

ანუელი დიდხანს იხსენებდა იმ სამ სიტყვას და ამოდ ეძებდა სიკვდილს.

მერე, ეტყობა იმედი რო გადაუწყდა, არავის სათავეში წავიდა და გველეშაპისაგან ამონგრეულ ხვრელში გადაეშვა იმ იმედით, რომ მარტო ამ გზითლა მოხვდებოდა საიქიოში.

მწყემსებს დაუნახავთ როგორ იდგა კარგა ხანს ხვრელის ნაპირას, ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა და იმ სამ სიტყვას იხსენებდა.

ამის მერე კი გადაწყვიტეს იმ ხვრელის გადახურვა.

შეიკრიბა ხალხი.. ცემენტის პარკები აჰკიდეს ცხენებს და გველეშაპის ხვრელისაკენ წავიდნენ.

ისე გადალესეს ის ხვრელი, რომ ჰაერს ველარ შესძლებოდა აქედან ამოსვლა. ბეტონზე ზემოდან მიწა მოაყარეს, რომ გადაბელტებულიყო და შემდეგში აღარავის სცოდნოდა იმ ხვრელის არსებობა.

ასე დაუსვა იოსებიანთ ანუელმა გველეშაპის ხვრელს ბეჭბედი და ამით საბოლოოდ გაუქრა ხალხს იმედი გარსიას ქვესკნელიდან დაბრუნებისა, მაგრამ ხალხში ჯერ კიდევ იყვნენ ზოგიერთები, რომელთაც სწამდათ, რომ ადრე თუ გვიან, მობრუნდებოდა გარსია. ისინი ხანდახან გიორგისთანაც კი მიდიოდნენ და სანთელს ანთებინებდნენ. სანთელში კი არავითარი ნიშანი აღარ ჩანდა. აღარც ზღვა ჩანდა.

სანთლის გახსენებაზე უცებ მოაგონდა ლუკას სადაც იყო და გველნაკბენივით წამოვარდა ბალიშზე გულადმაგადაწოლილი.

ღუმელში ისევ ჩანავლებულიყო ცეცხლი და ნელ-ნელა ივსებოდა ოთახი ბლანტი სიბნელით, რომელიც ჭერიდან აწვებოდა ოთახს და გაჟღენთილი იყო შიშისმომგვრელი ჟრუანტელით. ახლა აღარც კედელზე ჩამოკიდებული სურათები მოჩანდა და აღარც ის ჩაჟანგებული ხანჯარი, რომელიც ღმერთმა იცის, რამდენი ხანია რაც ვადიდან აღარ ამოუწევია კაცის მარჯვენას. ნუთუ ერთხელ არ დასჭირვებია თევდორეს, როდესაც წელან თვითონ უთხრა, მას ხომ მგლებისაგან ბევრი მგზავრი ჰყავს გადარჩენილი, მას მერე, რაც დორაისხვევლებისაგან თავი დააღწია და აქ დასახლდა. მას ხომ თოფიც კი არ ჰქონდა მგლების წრეში რომ შემოვარდა და დააფრთხო. თოფი კი არა, დანაც არ დაუნახავს ლუკას მის ხელში, არც რაიმე სხვა იარაღი, რის შიშითაც შეიძლებოდა ისე ამოეძუებინა მგლებისათვის კუდები. არა, აქ ნამდვილად რაღაცაში იყო საქმე და ლუკა ვერ მიმხვდარიყო ამას, ან მართლა დააღწია თევდორემ ტყვეობას თავი და ახლა რაღაც შელოცვა ან რაიმე სხვა ნიშანი იცის, რითაც უნდა დააფრთხოს მგლები, ან მამამისის ლოგინში წოლით გადმოდის მასზე ზეგარდმო მადლი, ანდა ტყუილად არ ემინია ლუკას, თევდორემ ვერ დააღწია სამუდამო ტყვეობას თავი, მის სულში ისევ დატოვებს ჩასაფრებული და ლუკასნაირ ადამიანებზე მოთვალთვალე მგელი დორაისხვევლებმა. თუ ასეა, ან ეს ღამე იქნება ლუკასათვის ბოლო ღამე, ანდა როგორმე უნდა შეძლოს აქედან გაპარვა. მართალია, შემოდგომით გრძელი ღამეები იცის, მაგრამ კარგა ღამე უნდა ყოფილიყო წასული და სადაცაა თენებაც დადგება. ლუკას გაახსენდა, რომ დღეს ორშაბათი იყო და შეიძლება დორაისხევში შეკრებაზე იყო თევდორე მიწვეული. იქ ალბათ მოახსენებს ჩემს აქ ყოფნას და გადასწყვეტენ როგორ მომამცირონ მგლად, თუ ისევ მეზობელ ოთახშია და როგორც თვითონა სთქვა, მამისეულ საწოლში მშვიდად სძინავს, ხომ კარგი, როცა გაიღვიძებს და ლუკა აქ აღარ დახვდება, იფიქრებს, ალბათ ძალიან ეჩქარებოდა და ჩემი გაღვიძება მოერიდა და დაუმშვიდობებლად იმიტომ წავიდაო; ხოლო თუ დორაისხევშია სამსჯავრო კრებაზე, მით უფრო უნდა იჩქაროს და გაასწროს აქედან.

ლუკა ლოგინიდან ფრთხილად წამოდგა და ხელისცეცებით ფანჯარასთან მივიდა. ფანჯრიდან მკრთალად გამოჩნდა თოვლიანი მწვერვალები. ეტყობოდა, თენდებოდა და თოვას გადაეღო. მერე მწვერვალებზე ჩამოყრდნობილი ცა გაარჩია ლუკამ და თითქოს საიდანღაც მამლის ყვილიც მისწვდა მის ყურს.

სიბნელეში ჩუმად ჩაიცვა. თან ერთთავად უკან იხედებოდა, ფიქრობდა, ალბათ რომელიმე ბნელი კუნჭულიდან მითვალთვალებს თევდორე, როგორ მივიპარები აქედანო.

ხელით თუნგი მოძებნა, მოიყუდა. ესამოვნა ცივი წყალი, თითქოს შიშაც გაუქარწყლდა. ფანჯარა გამოალო და სახლიდან ისე გავიდა, რომ დერეფანში დაბმულ ძალს არ გაეგო კარებიდან მისი გაპარვა. ფანჯრიდან რომ გადადიოდა, უცებ შედგა, რატომღაც მოეჩვენა რომ შიგნითა ოთახში შესასვლელ კარებთან თევდორე იდგა და უხმოდ უყურებდა.

ლუკამ უკან მოიხედა.

მოეჩვენა.

არავინ არ ჩანდა.

თოვლში ჩახტა და გარედან, როგორც შესძლო, ისე გაიხურა ღია ფანჯარა.

კარგა ხანს უკანმოუხედავად გარბოდა ქვემოთ. თავისი სოფლისაკენ მიმავალი გზა ქვევით ეგულებოდა. თევდორეს რომ სახლში მიჰყავდა, მაშინ კარგა ხანს იარეს აღმართზე.

ღამით დიდი თოვლი მოსულიყო და წელამდის ეფლობოდა. ახლა ზვავისაგანაც საშიში იყო. გაუკვალავ თოვლში სიარული უჭირდა და თავის სოფლამდის კი არა, რომელიმე სოფლამდის მაინც უნდა მიეღწია. ჯერ კიდევ არც ერთი სოფელი არ ჩანდა, წინ თოვლის უდაბნო იყო და ტყეებშიც კი აღარ ჩანდნენ შავად.

თენდებოდა. თუმცა ამ ყოვლისმომცველ სითეთრეში ძნელი იყო იმის გარკვევა, მართლა თენდებოდა, თუ არა, მაგრამ ზეცის ფერზე მიხვდა ლუკა, რომ თენდებოდა.

ქვემოთ, ჭალაზე, თოვლს დაეფარა მდინარის ტალღები და ალაგ-ალაგ მოჩანდა წყლის ვიწრო ზოლი.

ხეობაში ჩამოწოლილი თეთრი მდუმარება ზვავის გრიალმა გააყრუა. ამ ხმამ პირველად სიმხნევე შემატა ლუკას, მის გარშემო მყოფი დედამიწის რეალური ყოფნა აგრძნობინა, მანამდის კი, თითქოს თავის ბრჭყალებში მოექცა ირგვლივ გამეფებულ ავისმომასწავებელ დუმილს და სადღაც მიითრევდა. ზვავის ხმამ კი გონზე მოიყვანა, უფრო მყარად დააბიჯებდა გზაზე, რომელიც ის-ის იყო იპოვა და ერთი ეგ არის გზა ერქვა, თორემ არც მას ეტყობოდა რაიმე ნიშანწყალი ადამიანის არსებობისა. ერთი ნაკვალევიც კი არსად ჩანდა, გზაც ისევე იყო თოვლით გადალესილი, როგორც მთელი ხეობა. ერთადერთი უპირატესობა ამ გზაზე სიარულისა ის იყო, რომ ადრე თუ გვიან რომელიმე სოფელს მიადგებოდა, ან მგზავრი შემოეყრებოდა, მაგრამ თითქოს მის ჯიბრზე დაცარიელებულიყო და უკაცრიელი გამხდარიყო მთელი ხეობა, მგზავრის ჭაჭანება არსად ჩანდა. ირგვლივ თოვლის სითეთრე და მდუმარება მეფობდა, რომელიც ასე ავისმომასწავლებლად ეჩვენებოდა ლუკას. ზვავის ხმამ იმის იმედიც კი მისცა, რომ სადღაც ეს ხმა კიდევ ადამიანებმაც გაიგონეს.

იქნებ თევდორეც გამოაღვიძა ამ ხმამ? ჰა, თევდორე?

ლოგინში წამოჯდა, მიმოიხედა და ჩაიცვა.

ლუკა რომ იქ აღარ დახვდა, რა იფიქრა ნეტავ?

ალბათ, ისიც შეამჩნია, რომ ფანჯრიდან გაიპარა მისი სტუმარი, შეიძლება ახლა სახლს ათვალიერებს და ფიქრობს, ხომ არაფერი მომპარაო, სხვა აბა, მა რა უნდა იფიქროს, როცა მოყვარულად კარიდან შეყვანილი სტუმარი ფანჯრიდან გაეპარა.

ვაი, სირცხვილო! ეს რა დაემართა ლუკას, როგორ აცდუნა შიშმა. იქნებ თევდორეს როგორ ენატრება ადამიანური მოქცევა და ახლა როგორ დასწყდება გული მის საქციელზე.

თანდათან ინათა. დილის ნათელი დაეუფლა ხეობას. კიდევ გაისმა ზვავის ხმა.

ახლა უფრო შემზარავი მოეჩვენა ეს ხმა ლუკას, თითქოს მთელი ხეობა ირყეოდა, ზანზარებდა და მიწაც იძვროდა თოვლის ქვემოთ. ახლა ყოველ ნაბიჯზე ზვავი იყო მოსალოდნელი. ზვავები ხომ ყოველ წელიწადს აქ იმდენ მგზავრს ხოცავდა, ბოლო დროს ხალხმა შეწყვიტა კიდევ ახალმოსულ თოვლში მგზავრობა. დღეს, ალბათ, არ გამოჩნდება არც ერთი მგზავრი. მარტოკამ უნდა გაკვალოს ლუკამ წელამდე თოვლი და ვინ იცის რამდენ ხანს ეყოფა ამისთვის ძალა. თუ მოიღრუბლა და ისევ თოვლი წამოუშინა, მერე შეიძლება გზაც დაებნეს. ასეთ თოვლში ვერც მისკენ გამოქანებულ ზვავს გაექცევა სადმე.

როგორ მოიქცა, როგორ უსირცხვილოდ მიატოვა თევდორე. ისიც კი არ ჰკითხა, რა მოხდა მერე, როგორ დააღწია კაცმა ამდენ წამებას თავი.

დააღწია კი? \_ ისევ სადღაც გაჰკენწლა ეჭვმა, მაგრამ ახლა დღის სინათლე იყო და შიში ვეღარ ერეოდა ლუკას გონებას, ახლა უფრო სადად შეეძლო განსჯა:

თევდორე ცოდვებს ინანიებს. თუმცა მას არ შეეძლო ეს თავიდან აეცილებინა, მაგრამ მაინც ახსოვს რაც ჩაიდინა თევდორეში ჩასახლებულმა მგელმა და ახლა ინანიებს.

«იქნებ შეეძლო მგლობა აეცილებინა თავიდან?», ისევ გაჰკენწლა ეჭვმა ლუკას. მამამისმა ხომ უთხრა, იპოვე ყვავილით, იმან კი ყვავილის ძებნაში იმდენი ნადირი დახოცა, თავის თავი მგლად მოაქცია, თუმცა, ალბათ ასეც ეწერა, მაგრამ თვითონ შეუწყო ხელი წერა-მწერალს.

ნეტავი ლუკას თუ უწერია მგლობა. თუ უწერია, როგორ ასცდეს, საით გაექცეს წერა-მწერალს. იქნებ არ უნდა გამოქცეულიყო თევდორედან.

თევდორე ცოდვებს ინანიებს. მისთვის ახლა ძვირფასია ადამიანური წმინდა გრძნობები. ხალხთან რომ არ ცხოვრობს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იტანჯება, ხალხში მოწანწალე მგლებს ხედავს მისი სული, თანაც ალღოთი სიკვდილის მოახლოვებას გრძნობს, თორემ სხვა მხრივ ცოდვაა თევდორეზე იმისი ფიქრი, რასაც წუხელი ლუკა ფიქრობდა. ახლა დღეა და სხვანაირად ფიქრობს. ახლა ერთი სული აქვს, უკან მიბრუნდეს და თევდორეს დარჩენილი ამბავი მოაყოლოს. ლუკა ხომ ვეღარასოდეს გაიგებს, რა მოხდა მერე, როგორ დააღწია თევდორემ ტყვეობას თავი. იქნებ ლუკას გარდა არც არავის მოუყვა ამ ამბავს თევდორე. თუ ახლა ზვავებს გადაურჩა, მერე ხომ მთელი ცხოვრება საწამებლად გაჰყვება იმის გაფიქრებაც კი, რომ კაცი, რომელმაც მგლის ხროვას გადაარჩინა, გაქურდა და ისე მიატოვა.

გაქურდა?

აბა სხვა რა ჰქვია მის მოქმედებას, კარიდან სტუმრად შევიდა და ფანჯრიდან კი გამოიპარა ქურდულად. თევდორემ თავისი გასაჭირი მოუყვა, ამან კი ბოლომდე არ მოუსმინა, ცილიც კი დასწამა გუნებაში.

ეძინა კი მეორე ოთახში თევდორეს?

აჰა, ეხლა ხომ დღეა, ახლა რატომღა უნდა იფიქროს ასე, ახლა ხომ შეუძლია მიბრუნდეს უკან და თუ ვაჟკაცია, პირდაპირ უთხრას თევდორეს, შენზე ასეთი და ასეთი ეჭვი გამიჩნდა და იმიტომ გავიპარე, თუ მართალი ვარ, მითხარი რას მიპირებ, თუ ცილს გწამებ, მაპატიე, ისე მომიტევე, როგორც ამას მამათქვენი მიუტევებდა სხვას და მერე რა მოხდა, ან ტყვეობას როგორ დააღწიე თავი, ის მომიყევიო.

ეტყვის კი სიმართლეს?

ეტყვის. აუცილებლად ეტყვის.

უკან გაბრუნება დააპირა ლუკამ, მაგრამ ერთ წუთს ღია ფანჯარასთან მდგარი თევდორე წარმოიდგინა. შემკრთალი, გაოცებული თვალებით რომ იხედება იქა-აქა, განა ისეთი რა მქონდა, ნეტავი რა მოიპარა სტუმარმა, რომ ფანჯრიდან გაპარულაო, და შერცხვა ლუკას, ისევ წინ გააგრძელა გზა.

ხეობის ბოლოს ისევ ჩამოწვა სათოვლე ნისლი.

არ ესიამოვნა ნისლის დანახვა.

უცებ წინწამოშვერილი გორი დაინახა და გაეხარდა.

ამ გორს რომ გადაივილიდა, აქ ერთი სოფელი ეგულებოდა. გახარებულმა ნაბიჯს აუჩქარა, მაგრამ ელდანაკრავივით შედგა:

გორის ფხაზე მგლები ისხდნენ ჩამწკრივებულნი.

შედგა. ირგვლივ ავის მაუწყებელი მდუმარება მეფობდა.

ზვავის ხმაც კი არსაიდან ისმოდა. მგლებიც ჩუმად ისხდნენ.

ერთხანს ადგილზე იდგა და ფიქრობდა:

იქნებ მგლები არ არიან და გორის იქეთ მხარეს რომ სოფელია, იმ სოფლის ძაღლებია.

დაუსტვინა.

იმის სტვენას ერთ-ერთი მგელი წყნარი ყმუილით გამოეპასუხა. ამ ხმამ გუშინდელი ღამე გაახსენა ლუკას და თოვლში ჩაჯდა ძალაგამოცლილი.

კარგა ხანს იჯდა ასე და აღარ იცოდა საით წასულიყო. ეჩვენებოდა, რომ საითაც არ უნდა გადაედგა ნაბიჯი, ყველგან მგლები ისხდნენ და ელოდებოდნენ.

«ნუთუ მართლა მგლებით არის სავსე ქვეყანა?» – გაუელვა თავში ლუკას და თევდორეს ნათქვამი გაახსენდა, დაძუნძულებენ მგლები ქვეყანაზე და მგლურ საქმეებს ამრავლებენო.

საით წავიდეს?

აქ ხომ არ იჯდება დაღამებამდე, ან რა აზრი აქვს აქ ჯდომას და ლოდინს. ნეტავი რატომ არ მოდიან მგლები მისკენ.

ელოდებიან.

მაგრამ რატომ ელოდებიან იქ და აქ არ ესხმიან თავს? იქნებ თევდორესი ეშინიათ. აქედან უფრო ახლოსაა თევდორეს სახლი, ვიდრე იმ გორიდან, მაგრამ იმ გორის იქეთაც ხომ სოფელია. ნუთუ მიხვდნენ მგლები, რომ ლუკას სხვა გზა არა აქვს და ის გორა იმიტომ აირჩიეს.

აშკარა იყო, ჯერ ვერ ბედავდნენ მგლები ლუკაზე თავდასხმას და რკალის შეკვრას და იმიტომ ელოდებოდნენ იმ გორაზე. სხვა გზა არ იყო, ისევ თევდორესთან უნდა მიბრუნებულიყო.

«თევდორემ ხომ არ დაახვედრა ეს მგლები და ამით ერთადერთი გზა ჩაუკეტა?»

არა, ახლა სწორედ ასეთი ფიქრია მისთვის დამლუპველი. აღარ უნდა დაკარგოს დრო, არ უნდა დაიღამოს და დღის სინათლით მიბრუნდეს თევდორესთან, თორემ ღამით ველარაფერი დაუდგებათ მგლებს წინ.

ანაზღად თევდორეს სახლის მიმართულებით გაიხედა. მის ზემოთ, ასიოდე მეტრში ძალი იყო ბეჭობზე გადმომდგარი. შეშინებულ ლუკას უცებ მგელი ეგონა, მაგრამ ძალმა დაიყეფა და კუდისქნევით წამოვიდა მისკენ. ეს იმის ნიშანი იყო, რომ არ ერჩოდა, სამტროდ კი არა, სასიკეთოდ მოჰყვებოდა მის კვალს.

ძალი ახლოს მივიდა, წინ ჩამოუსკუპდა და ალერსიანი თვალებით მიაჩერდა ლუკას.

ახლადა იცნო თევდორეს ძალი.

გაეხარდა. აი, თურმე რისი ეშინოდათ მგლებს.

ძალი რამოდენიმე ნაბიჯით წინ წამოდგა და რამოდენიმეჯერ შეუყეფა გორის ფხაზე ჩამწკრივებულ მგლებს, მერე შემობრუნდა, ლუკას თევდორეს სახლისაკენ გაუძღვა და ისევ ალერსიან წკმუტუნს მოჰყვა. კუდისქნევით ანიშნებდა უკან მომყევით.

ლუკა ძალის კვალს აედევნა თევდორესაკენ. უშველებელი ძალი მკერდით მიაპობდა თოვლს, ლუკას უადვილდებოდა ნაკვალევში სიარული. დროდადრო ძალი შედგებოდა, უკან გაბრუნდებოდა და თავისი ბოხი ხმით შეუყეფდა მგლებს, ამით თითქოს ანიშნებდა, არაფერი გაბედოთ, უკან არ აგვედევნოთო, მერე ისევ კუდის ქნევით მიუძღვებოდა ლუკას და შრიალით მიჰკვალავდა თოვლს.

ლუკას სითამამეს მატებდა ძალის ერთგულება და ახლა აღარცკი ფიქრობდა გორზე ჩამომსხდარ მგლებზე. ახლა მას თევდორეთან ხელახლა შეხვედრა უხაროდა.

იქნებ ძალიც იმიტომ გამომიგზავნა რომ?.., სადღაც გონების სიღრმეში გაუელვა ფიქრმა, მაგრამ ძალი ისეთი ალერსით ეპყრობოდა, ისე მუქარით უყეფდა მგლებს, რომ მართლა ცოდვა იყო მასზე და მის პატრონზე ასეთი ფიქრი.

ერთი რამ აკვირვებდა მხოლოდ: ნუთუ ასეთი ჭკვიანი ძალი, ოდნავადაც ვერ გრძნობდა, რომ როდისმე მისი პატრონი ისეთივე მგელი იყო, როგორც ახლა იმ გორის ფხაზე ჩამწკრივებული მგლები არიან და ისე ელოდებიან გვიან მგზავრს, ანდა ღამდამობით კუდის ქნევით სოფლიდან მისნაირ ძალს გაიტყუებდა, მერე ხევში ჩასაფრებული დანარჩენი მგლები დაესეოდნენ და დადგებოდა ერთი ხრიალი და ხროტინი.

ნუთუ მართლა აღარაფერი შემორჩა მგლობიდან თევდორეს, რომ ძალმა იგრძნოს? ანდა რატომ ეჯავრებათ ძალებს მგლები და უფრო ერთგულნი არიან

ადამიანის, ვიდრე ადამიანები ერთმანეთის მიმართ. ადამიანები ხომ უფრო მიელტვიან მგლად ყოფნას და თანდათან მგლების ხროვას ემსგავსება კაცთა მოდგმა.

ამ ძაღლის ერთგულებაში კი ეჭვი აღარ ეპარება ლუკას და გულადად მიჰყვება იმის ნაკვალევს თევდორესაკენ.

ძაღლის ერთგულება ისევ ამოუტივტივებს მეხსიერებიდან შორეულ ამბავს:

შემოდგომა იყო, ცხვარ-მეცხვარე საზამთროდ იწეწებოდა.

საზამთრო სამოვრებისაკენ მიმავალი გზა ამ ხეობით გადადიოდა გადასასვლელზე და განუწყვეტლივ მოედინებოდა ცხვრის ფარები.

სწორედ იმ შემოდგომაზე წვიმიანი დღეები გადაება ერთურთს და მწყემსებს გაუჭირდათ მგზავრობა. ბარგმოკიდებული ცხენები ძლივს იმაგრებდნენ თავს, რომ ბილიკებიდან უფსკრულში არ გადაჩეხილიყვნენ. ძაღლები დაგრეხილი კუდეებით უხმოდ მიჰყვებოდნენ ფარას და ღამ-ღამობით ნადირს აფრთხოვდნენ.

ახლა ვეღარ იხსენებს ლუკა, ზუსტად როგორ მოხდა ეს, მაგრამ ის ცხადად ახსოვს, როგორ მოხსნეს, იმათი სოფლის იქით, ხრამში გადაჩეხილ ცხენს მწყემსებმა ბარგი, სხვა ცხენებს აჰკიდეს და იქვე დატოვეს ფეხმოტეხილი ცხენი, რომელიც შეშინებული თრთოდა, კანკალებდა და დახვიხვიანების თავიც აღარ ჰქონდა, მაშინაც კი ვერ ამოიღო ხმა, როცა იმისი პატრონი და მთელი იმათი ცხვრის ფარა თვალს მიეფარნენ. ცხენმა იგრძნო, რომ გაწირეს, თავი წინ გაიშვირა და უნდოდა დაეჭიხვინა, მაგრამ ვერ მოახერხა. კარგახანს ასე თავგაშვერილი იდგა და როცა სულ ვეღარაფერი დაინახა რაც პატრონთან დააკავშირებდა, ცრემლები გადმოსცვივდა. ლუკა და დანარჩენი იმის ტოლი ბაღლები ზემოდან გადაჰყურებდნენ ცხენს და ის-ის იყო ჩხუბიც წამოიწყეს:

\_ ჩემია! \_ თქვა ერთმა ბიჭმა.

\_ შენი კი არა, ჩემია, პირველად მე დავინახე, \_ შეეპასუხა მეორე.

\_ შენ რა დაინახე, მე არ გითხარი ცხენი გადაუვარდათ მწყემსებს-მეთქი? \_ წამოხტა მესამე ბიჭიც, \_ ეეე, ძაღლი! \_ დაიძახა ვიღაცამ.

ბაღლებმა დაინახეს, როგორ მოირბინა ცხენთან ჭრელმა ძაღლმა, გარს შემოუარა კუდისქნევით, თითქოს ანიშნებდა წამოდი, იარეო.

ცხენი წახინხილდა, მაგრამ ვერ შეძლო.

მაშინ ძაღლი შორიახლო ჩამოსკუპდა და მოიწყინა; ეტყობა თან არც ცხენის დატოვება უნდოდა, თან პატრონისაკენ და ცხვრის ფარისაკენაც სული ეწეოდა.

წვიმდა. მწყემსები ჩქარობდნენ გადასასვლელზე გადასვლას და ძაღლისათვის აღარავინ მობრუნებულა.

ის დღე ისე დაღამდა. ძაღლი ცხენს არ მოშორებია.

რამდენჯერმე კი დააპირა წასვლა, მაგრამ ისევ მობრუნდა და ცხენის შორიახლო წამოწვა.

ბაღლები, რა თქმა უნდა, ძაღლის შიშით ვერ მიეკარნენ ფეხმოტეხილ ცხენს.

ცხვრის ფარები მოედინებოდა და მოედინებოდა.

ძალი არ შორდებოდა ცხენს, რომელიც ახლო-მახლო ჭალებში სწიწკნიდა ცხვრის ფეხისაგან გაგლეჯილ ბალახს.

რამდენიმე უცხო მწყემსმა სცადა ძალის საჭმლით გადაბირება და თან წაყვანა, მაგრამ ძალი არავის გაჰყოლია, სუ ერთთავად ცხენს ჰყარაულობდა და ღამით ყეფით უფრთხოვდა ნადირს.

ბოლოს მიწყნარდა ხეობა.

გადაიარეს ცხვრის ფარებმა.

ჩამოდგა სიმშვიდე და წვიმებმაც გადაიღო.

ახლა, ეტყობა, უფრო ეტანებოდა ღამ-ღამობით ცხენს ნადირი, ძალის ყეფა ისმოდა მთელი ღამეები. ცხენი თანდათან გაიმართა ფეხში.

ახლა ფრთხილად ადგამდა კიდევ მოტეხილ ფეხს.

ბოლო დროს მალიმალ აუვლ-ჩაუვლიდა ხოლმე შორიახლოს ლადუაი ცხენს და ჰკვლევდა. ძალი ეტყობა რაღაცას გრძნობდა, უყეფდა, ახლოს არ აკარებდა.

ერთხელ ლადუამ თოფი გამოიტანა სახლიდან და ძალს აუტეხა სროლა.

– რას შვრები კაცო, რას გიშავებს, – ვიღაცა გამოექომაგა ძალს სოფელში.

– იმას მიშავებს, რომ ღამ-ღამობით კვერცხებს იპარავს ქათმის საბუდრიდან, – იცრუა ლადუამ და ისე დაუმიზნა თოფი.

დაიგრიალა თოფმა. გაფრთხა ცხენი.

ერთი კი დაიწკმუტუნა ძალმა და დაეცა.

წამოდგა.

კიდევ დაეცა.

ცხენისაკენ წალასლასდა.

თან სისხლის კვალს სტოვებდა.

დაეცა.

წამოდგომა უნდოდა, ვეღარ წამოდგა.

ახლა კი გამოიტანა ლადუამ სახლიდან საბელი და ცხენს გაედევნა დასაჭერად.

– ხედავ რა სდებია გულში? – თქვა ჯღუნამ.

ლადუა ცხენს მისდევდა.

ცხენი გარბოდა.

მოტეხილ ფეხს დროდადრო ანაბრებდა და ფრთხებოდა.

ძალმა რამდენჯერმე კიდევ წამოსწია თავი და დაუყეფა ლადუას.

ვერაფროით ვერ დაიჭირა ლადუამ იმ დღეს ცხენი.

ჩამოზნელდა.

თავი გაანება ცხენის დევნას.

ღამით კიდევ ისმოდა ძალის ყეფა.

დილით კი –

მგლებისაგან ყელგამოღადრული ცხენი ეგდო შეთრთვილულ ბალახზე.



შემცხარი შემობრუნდა ლადუა სახლისაკენ და ღობეზე დაუდევრად მიაგდო ცხენის დასაჭერად გამზადებული საბელი.

ერთ კვირას შორი-ახლო უტრიალებდნენ ბალები დაჭრილ ძაღლს. შორიდან პურს უყრიდნენ. ის ჯერ უყეფდა, მერე თანდათან მიეჩვია და კუდის ქნევას მოჰყვა.

წამოდგომაც შესძლო და ხანხალით აედევნა ბალებს.

მთელი სოფელი უვლიდა.

ყველას ეცოდებოდა.

რომ მორჩა, ღამის დარაჯად ჩაუდგა სოფელს.

ლადუაი აითვალწუნა. იმან კი კიდევ დააპირა თოფის სროლა, მაგრამ ჯღუნამ წყენით უთხრა:

\_ შენ ისიც გეყოს, ცხენი რომ შეჭამეს მგლებმა.

გაიარა ზამთარმა.

დადგა გაზაფხული.

მოუსვენრობა დაეტყო ძაღლს.

ახლა ის ყოველდღე ერთსადაიმავე გორზე იყო ჩამოსკუპებული და გაჰყურებდა საზამთრო სამოვრებისაკენ მიმავალ გზას.

ხანდახან გამოჩნდებოდა ხოლმე ცხვრის ფარა გადმოსასვლელზე და ძაღლი გარბოდა იმათ შესახვედრად.

ღამღამობით ისევ სოფელს ჰყარაულობდა.

დღისით ისევ გორიდან გაჰყურებდა გადმოსასვლელს.

ერთ დღეს ლუკა და სამი-ოთხი ბიჭი ხბოებს ამოვებდნენ სოფლის განაპირას.

ნისლიანი, ცრიატი დღე იდგა.

უცებ ხბოები დაფრთხნენ.

ხევის მხრიდან წამოეჩნია მგელი და ლუკას ხბოს ყელში გაეხა. გორიდან ძაღლი დაეშვა ყეფით და ეცა მგელს.

მგელმა ხბოს თავი ანება და შეეხა ძაღლს.

ტოტებზე დგებოდნენ.

წინა ფეხებს ერთურთში ხლართავდნენ და თავდაყირა გადადიოდნენ. მგელმა როგორღაც მოახერხა და მთელ სიგრძეზე გამოუფატრა ძაღლს მუცელი.

ამასობაში სოფლიდან მოირბინა მეორე ძაღლმა და ახლა ის ეცა მგელს.

მგელი ციბრუტივით ტრიალებდა.

მუცელგამოფატრულ ძაღლს ნაწლავები მიწაზე დასთრევდა, მაგრამ მაინც ეხმარებოდა მეორე ძაღლს მგლის დახრჩობაში, კბილებით ყელში ჩაფრენოდა მგელს და ახრიალებდა, არ უშვებდა.

ბოლოს უსულოდ დაეცა მგელი.

ძაღლმა მიწაზე გაითრია ნაწლავები და იმ ამოჩემებულ გორისაკენ წალასლასდა.

სწორედ ამ დროს ჩამოიარა ცხვრის ფარამ. ერთი მწყემსი ძაღლს დააკვირდა და გაიკვირვა:

– ე, ჩემი ძაღლი!

ძაღლი ჯერ ვერ ხედავდა, ეტყობა, ტკივილმა დაუკარგა მხედველობა.

– ე, ღენჯო, მოდი აქ! – დაუძახა მწყემსმა.

ძაღლმა პატრონის ხმა გაიგო და წამოლასლასდა, მიწაზე გამოითრია ნაწლავები.

– ე, რა დაგემართა, შე ტიალო?

– მგელმა გამოფატრა, – უთხრა მწყემსს ლუკამ.

ძაღლი მოვიდა და უნდოდა პატრონს ფეხზე აჰკვროდა, მაგრამ იმან გადმობრუნებულ სისხლიან ნაწლავებს რომ შეხედა, ფეხი წაჰკრა:

– გაიწი იქით, ე მაგიტო დარჩი აქა, რომ მგლების ლუკმა გამხდარიყავი, მე შენი!

ძაღლმა დაიწკმუტუნა.

ფარა წავიდა.

წავიდა მწყემსიც.

ძაღლი ერთხანს კი მიჰყვებოდა მომორებით ცხვრის ფარას, თან ნაწლავებს მიითრევდა ქვებზე, მერე სიარული ვედარ შესძლო და დაეცა.

იმ დღიდან სჯერა ძაღლების ერთგულება ლუკას და ახლაც იმედმოცემული მიჰყვება თევდორეს ძაღლს. გრძნობს, როგორ მოუთმენლად ელოდება თევდორე მათ დაბრუნებას. ალბათ, გულმა უგრძნო, რომ შეიძლება ისევ მგლებს გადაჰყროდა გზაზე ლუკა და აუშვა ძაღლი, რომელიც იმ წუთში მიხვდა პატრონის გუმანს, თანხმობის ნიშნად კუდი გააქნია და აედევნა ლუკას ნაკვალევს. თევდორეს შეიძლება აღარც კი უფიქრია, რომ ლუკა უკან მობრუნდებოდა, იქნებ მიხვდა კიდევაც, რომ შიშმა გააქცია აქედან. გული კი დასწყდა, რომ არ ენდო, მაგრამ მაინც შეეცოდა ბიჭი, ცოტა ხანს ფანჯრიდან გაჰყურებდა ლუკას ნაკვალევს, მერე დერეფანში გამოვიდა, ძაღლი აუშვა, ნაკვალევთან მიიყვანა და ანიშნა, გაჰყევი, მგლებმა არსად შეჰამონ გზაზეო.

თუ ძაღლიც მოჯადოებულია?

არა, არა! ძაღლს იმდენად სწამს ადამიანი, რომ არ შეიძლება მასზე ასეთი ფიქრი, ის კი არა, იმის პატრონზეც აღარ შეიძლება ასე დაუნდობელი და ეჭვიანი ფიქრი.

ვაითუ?

ძაღლი ისე ერთგულად მიარღვევს მკერდით თოვლს, ისევ გადაეყრება ლუკას ეჭვები გულიდან. ისევ გაახსენდება წუხანდელი მგლების რკალი და თევდორესადმი მადლიერების გრძნობით ივსება. ხალისიანად მიჰყვება ძაღლს უკან და უხარია რომ დაბრუნდა თევდორესთან.

წყურვილი იგრძნო.

თოვლი აიღო და ჩაკბიჩა.

თოვლს რა გემო უნდა ჰქონდეს, მაგრამ ახლა ლუკას თოვლიც ეგემრიელა.

აღმართს მიჰყვებოდნენ ზემოთ.

მგლები უკვე აღარ ჩანდნენ და ძაღლიც აღარ უყეფდა მათ.

ცოტაც და მიადგნენ თევდორეს სახლს.

სახლის აქეთ გამოეგება თევდორე.

– მოხვედი ლუკავ? – ისე ალაღად ჰკითხა, თითქოს თვალს არ უჯერებდა, რომ ლუკა მართლა დაბრუნდა. – მე კი მეგონა, სულ გამექეცი.

– არა, თენება რომ დაიწყო და აღარ თოვდა, ვიფიქრე, კარიდან რომ გავიდე, ძალი დანიწყებს ყეფას და ძია თევდორეს გაელვიძება-მეთქი, – იცრუა ლუკამ.

– აბა, ესეთ დროს გზაზე შედგომა ვის გაუგია ლუკავ, არ იცი როგორი საზოვეებია, ძალილა გამოგაყოლე, მე რატომღაც ვერ ვგრძნობდი ამ დილით თავს კარგად, მოტეხილი ჯანილა მაქვს გარეთ წანწალითა და ყინულებში გდებით. დილას აქეთია თქვენს გზას გამოვყურებ; დაილოცოს წმინდა სამება, რომ ხიფათს არ გადაეყარე, წამო, წამო, ცეცხლი დავანთოთ, თანაც მოგშივდებოდა, – თევდორემ ლუკას მხარზე წამოარტყა ხელი და წინ გაიმძღვარა.

– სად დაგეწია? – ჰკითხა თევდორემ.

– სოფლის გარეთ რომ გორი ჩამოსდგამს, იმას ვუახლოვდებოდი, გავიხედე და მგლები არ არიან ჩამწკრივებულნი, ისხდნენ და მელოდებოდნენ აღარ წავსულვარ, თოვლში ჩავჯექი. ეტყობა ძალს ხედავდნენ და ვერ გაბედეს ჩემსკენ წამოსვლა.

– მიგრძნობდა გული, განა არა, ალღოთი ვგრძნობდი სადღაც ახლოს დაწანწალებდნენ. მაგათ სიახლოვეს ყოველთვის მიგრძნობს გული. ის კი არა, ხალხში ვეღარ ვჩერდები, გული ხან რომელ კაცზე მეტყვის, ეს კაცი მგელიაო, ხან რომელზე. ერთხელ ქალაქში ვიყავი, კინაღამ გადავირიე, სოფელში ცოტა ხალხია და ისე არ იგრძნობა, ქალაქი სავსეა მგლებით. სადაც კი წავსულვარ, მთელ ქვეყანაზე მგლის სუნი ტრიალებს. მე ხო მარტო მგლობა მქონდა მოსჯილი და იმათ ვისაც კაცის სახით ხალხში უშვებდნენ, ზოგს რა ჰქონდა დავალებული და ზოგს რა. აი, ეგეთი მგლები დაწანწალებენ და ნადირობენ. შენ რომ კეთილ საქმეს აკეთებ ლუკავ, ეგ მგლები იმდენს ეცდებიან, ისე გაძვრებ-გამოძვრებიან რო, შენ კეთილ საქმეს ავად მოაჩვენებენ ხალხს, თავისნაირ მგლებს შენზე დაგეშავენ და სისხლს გამოგწოვენ. თვითონ მგლის სუნი უდგათ და კარგს ვერაფერს აკეთებენ, აბა მგლისაგან როგორ გამოვა ადამიანური, შენი კი შურთ, შურთ და თანაც დავალებული აქვთ ყელი გამოლადრონ კეთილ საქმეს. ამისათვის იშველიებენ ყველანაირ კანონს და გაჰყმუიან: – «ამა და ამ კანონის ძალით, ამას და ამას მიესაჯოს ესა და ეს!» ხალხი ცხვარია ლუკავ, როგორც კი მგლის სუნს იკრავს, ფრთხეზა, მით უმეტეს თუ სინათლე არსაიდან ჩანს და სიბნელეში ცხვარი დაფრთხა, დაღუპულია იმ ფარის საქმე. წამო, წამო, ცეცხლი დავანთოთ ლუკავ, სუ დასველებულხარ.

თევდორემ ცეცხლი დაანთო.

ლუკა ღუმელს მიეფიცხა.

თევდორემ ისევ გამოიტანა შიგნითა ოთახიდან სამფეხი ტაბლა, რომელზედაც ყველი, პური და თაფლიანი ხის ჯამი იდო.

– ერთხელ, შავ შუალამეში, ფარას დავესხით ლუკავ, – წამოიწყო თევდორემ და თვითონაც ცეცხლს მიეფიცხა, – ბნელოდა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი. დავეცით თუ არა და, დაფრთხა ფარა. ფარებს ერთი მხრიდან დიდი უფსკრული ჰქონდა.

ერთმა ცხვარმა რომ ისკუპა იმ უფსკრულში, დანარჩენი ფარა, სულ იმას მიჰყვა. მწყემსები წინ გადაეღობნენ, ყვიროდნენ, აქეთ ერეკებოდნენ, მაგრამ არა, ერთი რომ გადახტა, უკლებლივ გადაჰყვა ყველა. ჩვენ გაღმა მთაზე ავცვივდით და იქედან კარგა ხანს გადმოვყურებდით ამ სანახაობას. მეორე დღეს, უფსკრული ლამის ამოვსებული იყო, იმდენი ცხვარი იყო შიგ ჩაჩხილი. უზარმაზარი თოვლის ზვავე გეგონებოდა. მწყემსები იდგნენ უფსკრულის თავზე, ჯოხებს დაჰყრდნობდნენ და საცოდავად გადაჰყურებდნენ უფსკრულში გადაჩხილ ფარას.

ზოგიერთ მგლებს ისიც კი აქვთ დავალებული, რაც შეიძლება მეტი ქმრიანი ქალები აცდინონ. ასეთები მოდებულნი არიან ქალაქს და სოფელს, ამრავლებენ თავიანთ ჯიშს, მძუნაობენ და რყვნიან ქვეყანას. ასეთი მგელი მივა, აეგლისება რომელიმე ქალს, იმის გარშემო დაიწყებს წანწალს და თვალებშიც ვნების წყალს ჩაიყენებს. ამათ ქმრიანი ქალების შეცდენის სხვადასხვანაირი მეთოდები აქვთ: ქრთამი, სამსახური, ფული და ვინ იცის, რა ხერხს არ ხმარობენ, ამძუნებულნი ქალები, სუნზე გრძნობენ ასეთ მგლებს და მიჰყვებიან იმათ ნება-სურვილს, ვნებამორეულნი ძირს უგორდებიან და იმათ მგლურ ყმუილს აყოლებენ თავიანთ კრუსუნს. ამათგან იბადებიან ნაბუმარი მგლები, ხოლო ქალი, რომელმაც მგელთან უღალატა ქმარს, მოაწოვებს თუ არა შვილს ძუძუს, ამით მგლებს უწევს სამსახურს, მგლებს ამრავლებს ქვეყანაზე. დორაისხვევლებს დანგრეული და უნამუსო ოჯახები უფრო ხელს აძლევთ, ვიდრე მტკიცე და ხმაშეწყობილი. ნამუსახდილ ოჯახში უფრო მეტი შანსია დაიბადოს და გაიზარდოს მომავალი მგელი. ასე მტკიცდება და მრავლდება მგლების საზოგადოება.

თან არც გული მინდა გაგიტეხო ლუკავ, მაგრამ რაც ჩემი თვალით მინახავს და ალლოთი მივმხდარვარ, იმას გეუბნები.

მგლებთან ხმაშეწყობილი ქალები დორაისხვევშიც მოჰყავდათ ხოლმე მბრძანებლებისათვის. იყო დრო, როცა ერთმა დორაისხვეველმა მბრძანებელმა, თითქოს ხელში ჩაიგდო მთელი დორაისხვევის ძალაუფლება და თავისი მგლური საქმეებით მოგვაოხრებინა მთელი ქვეყანა. იმისი ნება-სურვილით ინგრეოდა ათასობით ოჯახი. დაწანწალებდნენ მგლები და სადაც კი ქალი მოეწონებოდათ, დორაისხვევში მიჰყავდათ თავიანთი მბრძანებლის ვნების დასაცხრობლად. ხალხს ღამ-ღამობის ძილი აღარ ეკარებოდა მგლების შიშით. დორაისხვევლებში გახშირდა სამსჯავროები და დამსმენს დამსმენზე გვიმატებდნენ ჯოგში. ახლა უკვე თვითოეული ჩვენთაგანი თავის ტყავის გადარჩენაზე ფიქრობდა და თუ აქამდე შესაძლებელი იყო წინამძღოლზე თავდასხმა, ახლა ასეთი რამის გულში გავლებაზეც კი გვაკანკალებდა. თვითონ დორაისხვევლ მბრძანებლებს ეშინოდათ ერთიმეორის.

მაშინდელი შიში დღესაც გამოიყვა ლუკავ. ხო უკვე ადამიანი ვარ, მაგრამ ხანდახან, ის დრო გამახსენდება და შევკრთები ხოლმე.

ეხ, რამდენი ცოდვა ჩამიდენია მეც, ხანდახან ისეთი რამ გამახსენდება, ცხროვა ამიტანს-ხოლმე, ნაბიჯს ვეღარ ვადგამ რომ გავიარო და ხელფეხშებორკილივით მივაჩერდები ერთ რომელიმე ადგილს.

იმდროინდელი ვარ, ეს ცხოვრება რომ დაიწყო. ბალღობისდროინდელი ამბები კარგად აღარ მახსოვს, მაგრამ რომ დაიძახეს, კოლექტივიაო, ის მახსოვს.

მაშინ ესე კი არ იყო, ეხლა რომ მთელ ხეობაზე ერთი კანტორა არის. მაშინ პატარ-პატარა კოლექტივები იყო და ყველამ თავ-თავის სოფლის კოლექტივში შერევა ცხვარი.

ჩვენს სოფელში ცხოვრობდა ერთი კაცი. ჩოხელაანთ გოგიას ეძახდა ხალხი. იმისი ცხვრის ფარა დილით რომ დაიწყებდა მდინარეზე გადებულ ხიდზე გადასვლას, საღამომდე ნახევარიც არ იყო გაღმა გასული. ჩოხელაანთ გოგიას, სოფელში ყველაზე კარგი სახლი ედგა და მერე, კოლექტივი რომ ჩამოყალიბდა, იმის სახლში გახსნეს კანტორა. საწველი ცხვარი მთაში ედგა, რაღა თქმა უნდა და ახალმოწველილი რძე, თიხის მილებით მოსდიოდა სახლში. ისე, თავის თავის უბედური კაცი კი იყო, იმდენს შრომობდა, იმდენი ცხვარ-ძროხა ჰყავდა და თავისთვის ახალი ქალამნების ჩაცმა ენანებოდა. ხშირად გვინახავს, ქალამნები მხარზე ჰქონდა გადაკიდებული და ფეხშიშველა მოაბიჯებდა. რისთვის ინახავდა, ან რად უნდოდა იმოდენა ცხოვრება.

კოლექტივი რომ დაიძახეს, რაღა თქმა უნდა ჯერ ჩოხელაანთ გოგიას ცხვარ-ძროხა გამოაცხადეს საერთო საცხოვრისად, მერე ადგნენ და იმის სახლში კანტორა გახსნეს.

მარტო ჩოხელაანთ გოგიას კი არ ჰყავდა ბევრი ცხვარ-ძროხა, მცხოვრებელი ხალხი იყო; მართალია, ესეთი ცხოვრება არ იყო, მაგრამ საქონლით სავსე ხალხი იყო.

გაერთიანდა ხალხი ცხვარ-ძროხით და ნელ-ნელა შეეჩვივნენ ახალ ცხოვრებას.

ჩოხელაანთ გოგიამ აიყარა ცხოვრებაზე გული.

იდარდა.

თავის ყოფილ ფარას რომ გახედავდა, ოხრავდა.

ერთი წელიც ვერ შეაწია ასეთ ყოფაში.

დადნა.

დაიღია.

ჩუმად გაიპარა..

ერთი კი ვერ ჰქნა კოლექტივმა კაი საქმე: ახალი ცხოვრება არის და ახალი წესებით ვცხოვრობთო, სამისკრავი არ დაუკლეს გოგიას. იმოდენა ცხვრის პატრონი კაცი იყო და უსამისკრავოდ წავიდა ამ ქვეყნიდან.

მერე კულაკობაც დაიძახეს და რამოდენიმე კაცი დადიოდა სოფელ-სოფელ. თუ ვისმე ორი ქვაბი ჰქონდა ერთს ართმევდნენ. ზოგმა მოასწრო და სარჩო ტყეებში გადამალა. მოენეები ჰყავდათ, იმათ უკლებლივ იცოდნენ სახლში ვის რა ჰქონდა.

როდის ეს ამბავი იყო და მაშინ გადამალული მატყლი, ხუთი წლის წინლა იპოვეს ხიზანიანთ.

ეგენიც მცხოვრებელი ხალხი იყო.

მაგათი ცხვარ-ძროხაც მიწას უმძიმდა.

კულაკობა რომ ჩამოვარდა, მაშინ ღამდამობით, თურმე, ტყეში გაჰქონდათ მატყლი და იქ მალავდნენ.

კულაკობამ რომ ჩაიარა მოიკითხეს.

ველარ ნახეს მატყლიანი ტომრები იმ სამალავში.

ჯერ ჩუმად ეძებეს.

მერე თანდათან გამოააშკარავეს.

ხან ვიზე ჰქონდათ ეჭვი და ხან ვიზე.

მერე მიავიწყდათ კიდევ.

ბევრი ისეთი კაციც წავიდა ამ ქვეყნიდან, ვისაც იმ მატყლის მოპარვა ჰბრალებოდა.

ხუთი წლის წინ ერთი თეთრი დათვი შემოესია საქონელს.

შენ, ალბათ, გემახსოვრება კიდევ ლუკავ, ხალხს უკვირდა, თეთრი დათვი აქ საიდან გადმოიხვეწაო, აბა აქ რა უნდოდა თეთრ დათვს, მაგრამ ვის მოუვიდოდა აზრად რომ ხიზანიანთ მატყლში თეთრად გამოპრანჭული დათვი იყო.

უთვალთვალეს იმ დათვს.

გაიგეს, სადაც ჰქონდა ბუნაგი და შესასვლელში დაუგეს დიდი ხაფანგი.

გაეზა.

საზარლად აღრიალდა.

ხეობას აყრუებდა იმისი ხმა.

დათვის მოკვლა ხომ აკრძალულია და ხაფანგი იმიტომ დაუგეს, თოფის სროლა ვერავინ გაბედა. დაჭრილ დათვს მისცვივდნენ კეტებით და რომ ურტყამდნენ, მატყლის კორიანტელი დადგა.

გაოცდა ხალხი.

იმათ წინ ახლა მურა დათვი იყო ხაფანგში გაბმული.

შეატყობინეს ეს მთავრობას, დათვი დავიჭირეთ და თუ ნებას მოგვცემთ მოვკლავთ, თუ არადა როგორმე წაიყვანეთო.

მოვიდა მილიცია.

გამოიკითხა ვინ დაუგო დათვს ხაფანგი.

გაარკვიეს.

წაიყვანეს: დათვიც და ისინიც, ვინც ხაფანგი დააგო.

ხალხი საგონებელში იყო ჩავარდნილი, ვერ ხვდებოდნენ საიდან ჰქონდა დათვს ამდენი მატყლი, რომ სულ გათეთრებული იყო.

ვიღაცამ გაბედა და შეძვრა იმ დათვის სოროში.

იქედან გაოცებული გამოვიდა.

მთელი ხიზანიანთ მატყლი დათვის სოროში იყო დაფენილი. დათვს რამოდენიმე ოთახი ჰქონდა და ყველა მათგანში მატყლი იყო დაფენილი.

მარტო მატყლი კი არა: ქვაბები, ვერცხლის უნაგირი, გარმონი, რამოდენიმე ჭრელი ფარდაგი, ახლა უკვე კირკილისაგან შექმნილი და ჩამორღვეული. ხიზანიანთ ელისომ იცნო თავის მოქსოვილი ფარდაგი, გაშალა მიწაზე და ხმით ატირდა.

– ა, ტიალო დროებაო:

ჩვენ ნაშრომზე დათვი გაალაღე,

ჩვენ ჯან-სიყმე ჩამოგვიშალე,

ა, ტიალო დროებაო,

აი, და-და-და-და წუთისოფელოო!

ახლა თავის ნაქონი გარმონი რომ გამოუტანეს სოროდან ელისოს, ახლა იმაზე მორთო ტირილი. დაიჭირა გარმონი, ვითომ იმის ხმაზე უნდოდა დატირება, გადაივიდა მხარზე ღვედი, გასწია და ერთი კი დაიბზუკუნა გარმონმა, გაიწელა და შუაზე გაწყდა.

– ა, შენც მოგიკვდა პატრონი! – შორს მოისროლა ნაგლეჯები ელისომ.

გაშლილ ფარდაგზე ირემი იყო ამოქარგული. ირემი რქებით მგელს ეჩხუბებოდა. მგელს წითელი ხახა დაეღო, წინა ფეხები მალლა ჰქონდა აშვერილი. კირკილას სწორედ ეს ადგილი შეეჭამა, სადაც წესით ირმის თავი უნდა ყოფილიყო გამოსული და იმ ადგილზე გახვრეტილი იყო ფარდაგი. ირემი უთავოდ იყო დარჩენილი ხახაგაღებული მგლის წინ. ფარდაგის თავში თეთრად იყო ამოქარგული: მოვქარგე ელისომ!

– აი, ის დღე დაიწოს, როცა შენ მოვქარგე, აი! – ახლა ფარდაგს მიაწყევლა ელისომ.

– კაცო, რა ვუყოთ ამ ქვაბებს და ვერცხლის უნაგირს? – იკითხა ვილაცამ.

– როგორ თუ რა ვუყოთ, ვისიც არის იმან წაიღოს.

– წაიღოს კია, მაგრამ რო გაგვიგონ?

– ვინ?

– რა ვიცი, აბა, რო სადმე გაიგონ?

– კაცო, ვინ უნდა გაიგოს, რალა დროს ეგ ამბავია, იმის მერე მთელი ცხოვრება არის წასული.

– არა, თუ ძმა ხარ, მე მაგას ხელს არ მოგვიდებ, როცა მჭირდებოდა მაშინ მაკლდა და ეხლა რალა თავში ვიხლი მაგ გამურულ ქვაბებს, – თქვა ხიზანიანთ ვასილამ.

– უნაგირი, უნაგირი ხო ვერცხლისია, გაყიდი მაინც.

– არა, ვინც მან უნაგირზე ჯდებოდა, ცოცხალი აღარ არის, მკვდარს მე როგორ გავუყიდო უნაგირი, არ მინდა, მაკლდეს ეგაც, – ყველაფერზე უარი თქვა ვასილამ.

მარტო ელისომ ამოარჩია დათვის სოროსთან დაგროვილ იმოდენა სარჩო-საბადებელში ერთი წვრილი ვერცხლის ქამარი, ოქროთი დაფერილი და ძვირფასი თვლებით მოჭედილი, წელზე შემოირტყა და თქვა:

– დედაჩემის ნაქონია, თავს მოვიკლავ და ამას კი აღარავის დავანებებ.

– აჰა, მატყლი თბილია და იმიტომ შეზიდა სოროში, ე ქვაბები და უნაგირი რალად უნდოდა?! – უკვირდა დათვის საქციელი ხალხს.

– კაცო, თქვენ ხომ არ შეზიდეთ აქ და დათვმა მერე გაიკეთა ბუნაგი? – ეჭვი შეეპარათ ზოგიერთებს და ჰკითხეს ხიზანიანთ ვასილას.

– არა, დედ-მამის სულს გეფიცებით, ქვევით ტყეში გვქონდა დამალული, დათვის სოროში რატომღა შევზიდავდით განა ჰკოგამოლეულებიც ვიყავით.

– ვინ იცის, რამდენი დათვი გაიზარდა თქვენს მატყლში.

– ხო, აბა, ეს პირველი კი არ იქნება, რამდენი ხანია მას მერე, ალბათ, ამის პაპისპაპის ხელი ერევა ამ საქმეში, – თქვა ვასილამ.

– ქვაბებს რაღაზე მალავდით, ამეებს ვინღა წაგართმევდათ?!

– ეხლა ეგრე იმახი და აბა ზოგი მაშინ გეთქო, არ იცი რა დრო იყო, ორი ქვაბი გქონიყო ოჯახში, კულაკს გემახოდნენ და გართმევდნენ, – იმახდა ვასილაი.

მარტო ქვაბებს კი არა, ზოგს კოვზებსაც კი ართმევდნენ ისეთი დრო იყო. ისეთი ხალხი იყო იმ სოფელ-სოფელ მოსიარულე რაზმში მოხვედრილი, რომელთაც მარტო რამე წასაღები ენახათ და აღარ გეკითხებოდნენ ვინ იყავი და რა იყავი. ხომ გითხარი, მამაჩემი წმინდა კაცი იყო და პირველად ჩვენ მოგვადგნენ.

მაშინ სიმინდის ფქვილი არ იშოვებოდა და სწორედ იმ დღეებში მოიტანა მამამ შორიდან.

დედაჩემი სიმინდის ფაფას ადუღებდა.

ბაღლები მოუთმენლად ველოდით, როდის გადმოგვიღებდნენ ქვაბიდან ყვითელ ფაფას. მერე ხომ თუ შიგ თითო კოვზ ერბოსაც ჩაგვირევდნენ, ამაზე უკეთესი საჭმელი აღარ არსებობდა ჩვენთვის.

წინასწარ ჩვენ-ჩვენი კოვზები მოვიმარჯვეთ და ასე ველოდებოდით როდის გადმოსდგამდნენ ცეცხლიდან ქვაბს.

– მოდიან, მოდიან! – დაიმახა ვილაცამ სოფელში.

რამოდენიმე კაცმა ჩამოიარა, ზოგიერთს ვიცნობდი კიდევ. დასამალი რა გვქონდა, წყნარად დაველოდეთ, როდის ჩამოივლიდნენ ჩვენს კარებზე.

– აბა, აღწერაზე ვართ, რა გაქვთ ზედმეტი? – ჰკითხა მამას იმათ წინამძღოლმა და პასუხს აღარ დაელოდნენ, დაათვალიერეს ჩვენი ავლა-დიდება.

ზედმეტი არაფერი გვქონდა, მაგრამ იმათ ეტყობა მაინც ებევრად ჩვენი ქონება და რაღაც-რაღაცეები აჰკიდეს ცხენებს.

– ქვაბი? – ჰკითხა ერთ-ერთმა ხელქვეითმა უფროსს.

– რომელი ქვაბი? – დაიბნა უფროსი.

– აი, ეს ქვაბი, სპილენძისაა, არ წავილოთ? – ცეცხლზე შემოკიდებულ ფაფით სავსე ქვაბზე მიუღერა თითი.

– ჰოო, მეორე ქვაბი აქვთ?

– კი, აგე კუთხეში უყუდიათ მეორე, სჯობია ის დავუგდოთ, ეს უფრო მდიდრულია და ამათ არ ეკადრებათ ასე მდიდრულ ქვაბში ამზადონ ნაირ-ნაირი საჭმელები.



– ჰოო, სპილენძი თუა ჩამოხსენით, – ბრძანა უფროსმა, რომელსაც პრიალა მაუზერი ეკიდა წელზე.

ხელქვეითები ეცნენ, ფაფიანი ქვაბი ჩამოხსნეს და თან წაიღეს.

ქვაბის საკიდელს შუაში ჯობი გაუყარეს, აქეთ-იქიდან ასწიეს და ორღობე ისე ჩაიარეს ჯერ კიდევ დუღდა შიგ ფაფა, ორთქლი ასდიოდა.

მამაჩვენი დაიბნა.

ჩვენ კოვზები გვეჭირა ხელში და მამას მივჩერებოდით. დედამ რომ ასეთ ყოფაში დაგვინახა, ვეღარ მოითმინა და ტირილი წასკდა.

– მოგიკვდეთ თქვენ დედა, შვილებო, აი! – შემოგვტიროდა და ჩიქილის ტოტით იმშრალეზდა ლოყაზე ჩამოგორებულ ცრემლებს.

მამა არასოდეს აღელდებოდა, ახლაც მშვიდად შეხვდა ამ ამბავს. წყნარად ჩამოგვართვა კოვზები, სახლის ბანზე გადადგა და იმათ, ვინც ქვაბი წაიღო, გადასძახა:

– კოვზები დაგავიწყდათ, ხალხო, კოვზები!

– გვაქვს, გვაქვს! – შემოსძახეს იმათ და იქედან აჩვენეს კოვზები.

მაშინ ასე იყო, ვინც რას მოასწრებდა ტყეში მალავდა, რასაც ვერ მოასწრებდნენ, მიჰქონდათ.

– გამსის ეკლესია ხომ იცი?

– კი, როგორ არ ვიცი.

მაშინ იმ ეკლესიაში სწირავდა მღვდელი. შაბათ-კვირას მთელი ხეობა გამსისაკენ დაიდრებოდა და ხალხის ტევა არ იყო ეკლესიაში.

მღვდელი აქაური კაცი იყო, თადეოზი ერქვა სახელად.

ნათელი სახე ჰქონდა.

თეთრი თმა-წვერი ტალღა-ტალღა ეფინა შავ ანაფორაზე.

ხალხმა რომ ტყეში ქვაბებისა და მატყლის გადამალვა დაიწყო, ამ თადეოზმაც მოჰკიდა ხელი ეკლესიის განძს და სადღაც გადამალა.

შეწყდა წირვა.

ეკლესიის ეზოს შამში მოეძალა.

სწორედ იმ ხანებში კომკავშირი დაიძახეს და რაზმებად გავერთიანდით. დავდიოდით სოფელ-სოფელ და ეკლესიებიდან განძი გამოგვქონდა.

დიდხანს ვეძებდით თადეოზს, მაგრამ ვერსად მივაგენით, ბოლოს ისევ იმის ბიჭი მოგვეხმარა ამ საქმეში.

ბიჭს ქორა ერქვა.

ქორა გამსიველი მოვიდა ჩვენთან და რაზმში ჩარიცხვა გვთხოვა.

– მღვდლებისა და მოღალატეების შვილებს ჩვენ რიგებში არა ვღებულობთ, – უარით გაისტუმრა თადეოზის ბიჭი რაზმის ხელმძღვანელმა.

ქორა დაფიქრებული წავიდა.

მეორე დღეს ის-ის იყო დავალების შესასრულებლად ვაპირებდით წასვლას, რომ სოფელში ერთი ჩოჩქოლი ატყდა.

გავიხედეთ:

ქორას მამამისისთვის თმა-წვერი გაეკრიჭა, გადამალული განძეულობა ზედ გადაეკიდნა და ასე სოფელ-სოფელ მოჰყავდა ყელზესაბელშებმული.

\_ გაგიწყრა მამაზეციერის მადლი! \_ სწყევლიდა შვილს თადეოზი, მაგრამ ამაოდ.

უკან ხალხი მოსდევდა ჩოჩქოლით, მაგრამ აშკარად მღვდლის გამოქომაგებას ყველა ერიდებოდა.

ქორამ თადეოზი ჩვენამდე მოიყვანა, საბელი ღობეზე გამოაბა, განძი ჩამოხსნა და მერე გაუშვა.

\_ მოგვეკითხება! \_ ერთი ეს თქვა თმა-წვერ გადაკრეჭილმა მღვდელმა და წალასლასდა ძალაგამოცლილი.

ქორა იმ დღესვე მივიღეთ რაზმში და ისე გამოიჩინა თავი, სულ მალე დაწინაურდა.

მღვდელი კი იმ დღის მერე სადღაც გადაიკარგა.

აღარც ცოცხალი უნახავს ვინმეს და აღარც მკვდარი.

იმის მერე ჩაიარა ბევრმა წყალმა და ჩემი მგლად ყოფნის დროს წავაწყდი მფრინავი ბერების მთაზე თადეოზს. პირველად ვერც ვიცანი. აღარც კი მახსოვდა, როდისმე თუ არსებობდა თადეოზი.

ეს იმ ღამით იყო, მთაზე მიმავალ დონატას რომ წამოვეწიეთ და მერე ცაზე ამოგორებულმა გავსილმა მთვარემ რომ დაგვაფრთხო. კუდები ამოვიძუეთ და მივიმალეთ დეკიანებში.

აი, მაშინ, დეკისქვეშ რომ ვემალეობდი მთვარეს, დავინახე ნანგრევებში მოლასლასე თეთრწვერა მოხუცი.

ეტყობა, სხვა მგლებმაც დაინახეს, ჩუმ-ჩუმად წავუყმუვლეთ ერთიმეორეს.

მაშინ, დეკის ქვეშ მიმალულს გამახსენდა ის დღე, ქორა გამსიველმა, საბლით რომ მოგვაყენა მამა და ღობეზე გამოაბა.

ახლა ძლივს ვიცანი თადეოზი.

დაბერებულიყო.

ძლივსღა დადიოდა.

ანაფორაზე ისევ ეფინა თეთრი თმა-წვერი.

უკვე ყველას დავიწყებული ჰყავდა, აღარავინ იცოდა მისი არსებობა. ეტყობა აქ იმიტომ წამოვიდა, რომ ეს მთა წმინდა ადგილად ითვლებოდა და ხალხს გამოეერიდა.

ან იქნებ იცოდა ვინმემ კიდევ მისი სამყოფელი და საჭმელიც ამოჰქონდა მისთვის ჩუმ-ჩუმად.

\_ იქნებ დონატამ იცოდა? \_ თქვა ლუკამ.

\_ არ ვიცი, შეიძლება დონატამაც იცოდა, \_ თქვა თევდორემ, \_ მაშინ ამაზე არ მიფიქრია, ვუყურებდი ნანგრევებში მთვარის შუქით განათებულ მოხუცს და ის დღე მახსენდებოდა.

მოხუცს წიგნი ეჭირა და ეტყობა ლოცვებს კითხულობდა.

დეკიანში ავად დაიღრინა ჯალაბამ. თადეოზისაკენ გაიწია. წინამძღოლმა არ დართო ნება.

მთვარემ კი უფრო ამოანათა.

ერთხელ, ქორა მგლის წინამძღოლობის დროს, ისევ დავწალიკდით ბერების მთისაკენ მიმავალ სერზე.

ქორას დორაისხევიდან ბრძანება ჰქონდა მღვდელზე თავდასხმისა და მუხლჩაუხრელად მივძუნძულელებდით.

მშივრებიც ვიყავით.

მზე ჩადიოდა.

მოხუცი მღვდელი ნანგრევების ქვემოთ დაგვიხვდა წყაროზე ჩასული.

გავწექით დეკიანებში. გავხობდით.

იქით-აქეთიდან წამოვეპარეთ და წრეში მოვაქციეთ.

ან რა წრის შეკვრა უნდოდა, ძლივს დადიოდა.

წამოვადექით, აიხედა. შეცბა.

პირჯვარი გადაიწერა. თითო ნაბიჯით წავიწიეთ წინ.

ისევ გადაიწერა პირჯვარი. ისევ წავიწიეთ.

მერე კიდევ.

მერე უფრო ახლოს მივედით.

იმან უბიდან წიგნი ამოიღო, გადაშალა და ხმამაღლა გვიკითხავდა რაღაცას. გვშიოდა. არ გვესმოდა მღვდლის არც ერთი სიტყვა. ადგილიდან ისკუპა ქორამ და მოწყვეტით დაიტანა მოხუცი.

ერთი ეს მახსოვს, ქორას კლანჭებში მოქცეულმა თადეოზმა რომ დაიხრიალა ყელში:

\_ მოგეკითხება.

\_ მართლა მოგეკითხა ქორას და განა მარტო ეს, მეორე დღეს იმაზე უფრო დიდი ცოდვა ჩავიდინეთ. შიმშილობა რომ ჩამოვარდა, შენ, ალბათ, აღარც გახსოვს, მაშინ პატარა იქნებოდი.

\_ მახსოვს, პირველ კლასში ვიყავი იმ შემოდგომაზე და ჩემ კლასელ ბიჭს დედა შეუჭამა მგელმა, \_ თქვა ლუკამ.

\_ მთაში ხო არა, თივას ზიდავდა ის ქალი.

\_ ჰო, მგონი, ბუნდოვნად მახსოვს.

\_ ჰო, ქორას წინამძღოლობით ჩავიდინეთ ეგ ცოდვა. ახლა რომ მახსენდება, რატომღაც იმასაც წარმოვიდგენიხოლმე, როგორ წამოვიდნენ სახლიდან ის ორი პატარა ბიჭი, დედისათვის რომ მიეტანათ მთაში პური.

ობლები იყვნენ.

მამა არ ჰყავდათ.

დედა დღე-ღამეს ასწორებდა მუშაობაში, რომ შიმშილისათვის გამოეტაცნა თავისი ობლები.

მაშინ ყველას უჭირდა.

მგლებსაც გვმოიდა.

ხვნა-თესვაც მოშლილი იყო და ფქვილი არ იშოვებოდა.

შემოდგომა იყო.

პატარა ბიჭების დედა მთაში მუშაობდა, ტვირთით თივა გამოჰქონდა საგულეებელში და საზამთროდ ამზადებდა.

დაღლილს სოფელში ჩასვლა უჭირდა.

სოფლამდე გრძელი დაღმართი იყო ჩასასვლელი.

ქალი ღამეს თივაში ათენებდა.

დილაუთენია ისევ ტვირთს მოიკიდებდა და საგულეებელში აგებდა.

ალბათ, პატარა ბიჭების დარდიც ჰქონდა. წამოსვლისას რამოდენიმე გამხმარი პურის კვერი დაუტოვა ვარცლში.

ერთი ბიჭი სკოლაში დადიოდა, მეორე არა.

\_ მეორე პატარა იყო, \_ თქვა ლუკამ.

\_ ჰო, მერე მეც ვნახე, უფრო პატარა იყო.

\_ ბიჭებს პაპა ჰყავდათ კიდეც, \_ თქვა ლუკამ.

\_ პაპა, ალბათ უკვე მოხუცი იქნებოდა და როგორც ხშირად გაჭირვებაში ჩავარდნილ მოხუცებს სჩვევიათ, ყველაფერს უკრძალავდა ბიჭებს. თვითონ ბევრ საჭმელს აღარ სთხოვდა გადაბერებული ორგანიზმი, ბიჭებს კი შიოდან და პაპა თითო ნაჭერ პურს დილით აძლევდა, თითო ნაჭერს კი საღამოთი, ძროხებსა და ხბოებს რომ დააბინავებდნენ გომურში იმის მერე.

ხანდახან თხელ საჭამანდსაც გაუცხელებდა-ხოლმე მოხუცი. პატარა ბიჭებს ცხელი საჭმელი სიამოვნებდათ და თუ პაპის თვალს იცდენდნენ, მეორედაც დაისხამდნენ ჯამში.

მიუხვდა პაპა და ბევრი რომ არ ეჭამათ და გამოეზოგნათ, მწარე წიწაკა ჩააჭრა საჭამანდს.

პირი დაეთუთქათ ბიჭებს.

გამხმარ პურს მაინც ეს სჯობდა.

ღამ-ღამობით ციოდა და დედისაგან ვარცლში დანატოვარი გამხმარი პურის კვერები იყინებოდა და ქვასავით ხდებოდა.

შემოდგომა იყო.

ღამ-ღამობით ციოდა.

ქალი თივაში იძინებდა ღამით, დღისით მუშაობდა.

ბიჭებმა იფიქრეს, დედას პური აღარ ექნებაო, ვარცლიდან აიღეს ერთი კვერი და აუყვნენ მთისაკენ მიმავალ აღმართს.

ციოდა.

ბიჭებს ხელები ეყინებოდათ და ხან ერთს მიჰქონდა გულზე მიხუტებული პური, ხან მეორეს.

ჩვენ თხილიანებში ვიყავით ჩამალულნი და იქედან გავყურებდით.

ქორაის წინამძღოლობის დრო იყო იმ დღეს.

ბიჭები აღმართს მიუყვებოდნენ და თან პურს იკრავდნენ გულზე.

უცებ ერთ-ერთ მათგანს, მე მგონი პატარას, ეტყობა ისე შესცივდა ხელებზე, პური ხელიდან გაუვარდა და დაუგორდა.

ბიჭები თავპირისმტვრევით გამოედევნენ დაგორებულ პურის კვერს, რომელიც ბურთივით ხტოდა ჰაერში და ისე ჩაეხეთქა გაყინულ ხევში, ნამცეცი არ გავარდნია.

ბიჭებმა ხევში ჩაირბინეს, პური აიღეს და ისევ დედისაკენ მიმავალ გზას გაჰყვნენ აღმა. ახლა უკვე დიდ ბიჭს ჰქონდა ჩახუტებული პური. პატარა დარცხვენილი მიჰყვებოდა შორიახლო.

ციოდა.

მგლები თხილიანში ვისხედით და კბილებს ვაკაწკაწებდით.

ბიჭები ზემოთ მიდიოდნენ და თბილ ორთქლს უშვებდნენ გაყინულ ჰაერში.

ჩვენ კარგა ქვემოთ დავრჩით.

აღარ გაგვიხედა ზემოთ.

მარტო მაშინ გადავხედეთ ერთურთს, როცა ტირილით დაეშვნენ თივების საგელებიდან ბიჭები ქვემოთ.

ამჯერად პური აღარ დაჰგორებიათ.

წინა ღამით თივაში მძინარე ქალზე თავდასხმა ბრძანა ქორამ და თვითონვე მოიყვანა სისრულეში. წინააღმდეგობა არავის გაგვიწევია. ყველას გამოვლილი გვქონდა დორაის ხევში მწარე გაკვეთილი და თავ-თავის ტყავს ვუფრთხილდებოდით.

ახლაც ყურებში მიდგას იმ პატარა ბიჭების გამწარებული ტირილი.

ახლაც ცხადად ვხედავ, როგორ გულზემიხუტებული მიჰქონდათ დედისათვის პური.

მერე გარბოდნენ.

გარბოდნენ სოფლისაკენ.

ჯერ კარგად არ იცოდნენ, რა იყო დედის სიკვდილი.

ციოდა.

დაღებული ხახებიდან თბილი ორთქლი ამოგვდიოდა.

მერე ქორამ მბრძანებლურად აგვიქნია ტოტი და ავიშალენით.

დაწალიკებულნი ავყევით ტყის პირს.

ციოდა.

– საცოდავი ბიჭები, ალბათ, რამდენჯერ შიოდათ მერე.

– მაშინ ყველას შიოდა, – თქვა ლუკამ, – ერთხელ მასწავლებელმა კუთხეში დამაყენა და ისე მშიოდა, წავიქეცი. მერე ის მასწავლებელი დასაჯეს იმის გულისათვის, ბავშვი ავად ყოფილა და შენ კიდევ კუთხეში დაგიყენებიაო, იმათ რა იცოდნენ რომ მე ავად არ ვიყავი, მშიოდა.

– ის ბიჭები რაღას შვრებოდნენ?

– იმათაც შიოდათ, ერთხანს დედისძმა ჰპატრონობდა, გულადი დედისძმა ჰყავდათ, მეზობელ სოფელში ცხოვრობდა, ჯარჯი ერქვა, ისიც დორაისხეველებმა მოაჯადოვეს და იმას გადაჰყვა.

თევდორეს სახე დაემაბა.

რაღაცას იხსენებდა.

– ჯარჯი? გულადი? ეგ იმ ბიჭის დედისძმა იყო?

– ჰო, დედა რომ შეუჭამეს მგლებმა, იმის დედისძმა ხშირად აკითხავდა ბალებს, სახლში წაყვანაც უნდოდა იმათი, მაგრამ ბიჭებმა პაპა არ დატოვეს მარტოკა.

– პაპასაც ჩემთან წავიყვანთ, – უთხრა ჯარჯიმ.

– არა, სანამ პირში სული მიდგას, კერას ვერ მივატოვებ, ისევ ბალები წაიყვანე და მიმიხედე, – თქვა ბიჭების პაპამ.

იმათ მაინც არ დატოვეს პაპა, თვითონაც მამისეულ სახლში დარჩნენ და ჯარჯის იქ მოჰქონდა მათთვის პური. ჯარჯის დედაც ცოცხალი ჰყავდა და ისიც ხშირად მოდიოდა თავის შვილიშვილებთან. სოფლის ბოლოს რომ გამოჩნდებოდა, ხმით მორთავდა ტირილს. ახლაც მახსოვს, ერთხელ ასე ამბობდა:

– რას შვრები ღმერთო, დალოცვილო, ქვეყნად რომ მგლები გაამრავლე!..

მეტი აღარ მახსოვს, მაგრამ ეს სიტყვები რატომღაც არ მავიწყდება. ჯარჯი კი ხშირად სკოლაშიც მოაკითხავდა ხოლმე თავის დიშვილებს. მთელ ხეობაში გულადობით იყო განთქმული და იმის შიშით, ვინ რას გაუბედავდა ბიჭებს.

– მახსოვს ჯარჯი, როგორ არ მახსოვს, ისევ დაემაბა სახე თევდორეს, – დორაისხევეში ხშირად იცვლებოდნენ მბრძანებლები და სულ გარდაქმნებში და დამაბულობაში ვიყავით. ზოგი მბრძანებელი თვითონ კვდებოდა თავისი სიკვდილით, ზოგსაც კლავდნენ. ჩვენ გვეუბნებოდნენ რომ მოკვდაო, მაგრამ სამსჯავროდან ხმა ამოდიოდა, ესა და ეს მბრძანებელი მოკლესო.

მბრძანებლებს იქვე, დორაის კლდეში ასაფლავებდნენ დიდი პატივით. ჩემი იქ ყოფნისას, რამდენიმე მბრძანებელი გამოიცვალა და ყველა თავისებურ კანონებს გვიწესებდა. წინა მბრძანებელს უცებ ვივიწყებდით და ახლის წინაშე ვკანკალებდით. დორაისხევეში ვერ იტანდნენ თუ ქვეყანაზე სადმე გულადი კაცი დაიარებოდა. იმდენს ეცდებოდნენ, სანამ ასეთ კაცს სულს არ გააყიდვინებდნენ და სათავისოდ არ მოაქცევდნენ. ზოგს თავიდანვე იშორებდნენ გზიდან, ან მგლებს მიგვისევდნენ, ანდა რაიმე ხიფათს გადაჰყრიდნენ. ამ კანონს, ყველა ახალი მბრძანებელი უცვლელად სტოვებდა დორაისხევის სამსჯავროზე.

მანამ ჯარჯის დას დავეცემოდით ღამით თივების საგულეებელში, მანამდე, უკვე იცოდნენ ჯარჯის გულადობის შესახებ დორაისხევში და ერთი მგლის ლეკვი მიუჩინეს.

ჯარჯი მეცხვარე იყო და გაზარდა ის მგლის ლეკვი, იმ იმედით რომ შემდეგ იმის ცხვრის ფარას მგლებისაგან დაიცავდა მოშინაურებული მგელი.

მარტო ჯარჯის კი არა, სხვა მწყემსებიც მიეჩვივნენ ამ მგელს და უკვე აღარავის ეშინოდა მისი, ენდობოდნენ.

ღამდამობით იქვე ახლოს, ჯარჯის ფეხებთან წვებოდა მგელი, სხვა მწყემსები მაინც ფრთხილობდნენ, მაგრამ ჯარჯი ცარიელი გული იყო და შიში რა იყო არ იცოდა, აკი ამიტომაც გადასწყვიტეს სამსჯავროზე დორაისხეველებმა მისი მოშორება.

ერთ ღამეს რაღაც უცხო ხმამ გამოადვიდა ნაბადში დაძინებული ჯარჯი. ნაბდის ყური გადასწია და გამოიხედა.

ის-ის იყო ჩასძინებოდა ცეცხლის პირას.

ფარაში იმ ღამით მარტოკა იყო.

არც ძაღლები ჰყავდა.

მარტო მოშინაურებული მგელი ახლდა და იმის იმედი ჰქონდა რომ ნადირს არ მოუშვებდა, თორემ ალბათ არც დაიძინებდა.

აქამდე ასეთი რამ არ გაეკეთებინა მგელს, მანამდე ყოველთვის ერიდებოდა ცეცხლთან ახლოს მისვლას და ახლა გაუკვირდა ჯარჯის, როცა დაინახა რომ მგელი ცეცხლის პირს იდგა, სველ ბეწვს იბერტყავდა ტანიდან და იმით ცეცხლის ჩაქრობას ცდილობდა. გაიბერტყავდა ტანს, გაიქცეოდა, მდინარეში ჩაწვებოდა, ისევ მოირბენდა და ისევ აქრობდა წყლით ცეცხლს.

ჯარჯი თავიდან ვერ მიხვდა რას აპირებდა მგელი.

იფიქრა, ეტყობა, ცეცხლის ეშინია და იმიტომ აქრობსო.

მერე რაღაცას მიხვდა გუმანით.

როცა მგელი ისევ გაიქცა მდინარისაკენ, წამოდგა, ნაბადი ისე შეახვია, თითქოს ისევ შიგ იწვა და თვითონ იქვე ახლოს ჩაიმალა ლოდებში.

იმდენი წყალი მოზიდა მდინარიდან მგელმა, მანამ სულ არ ჩააქრო ცეცხლი. მერე ნაბადს ეცა და დაუწყო კბილებით ღრღნა.

ახლა კი ცხადი იყო, რაც ეწადა მგელს. ეტყობა ცეცხლს იმიტომ აქრობდა, რომ ცეცხლისა ეშინოდა და ვერ ბედავდა ჯარჯიზე თავდასხმას. კარგა ხანს ვერც კი გაიგო, რომ ნაბადში კაცი აღარ იწვა, ღრღნიდა, ბუბნიდა.

ჯარჯი წამოეპარა და ხერხემალში ტარამდე ჩასცა სამღარიანი ხანჯარი.

მგელი იქვე უსულოდ დაეცა.

მეორე დღეს ბინაზე მობრუნებულ დანარჩენ მწყემსებს გაუკვირდათ ჯარჯის თვითონვე რომ მოეკლა თავისი გაზრდილი მგელი.

ჯარჯის არც იმ ღამის მერე გაჰკარებია გულში შიშის ნატამალი.

მერე იყო, იმის დასაც დავეცით საგულეებელში.

ამის მერე, რაღა თქმა უნდა, მგლებს აღარ დაენდობოდა ჯარჯი და დორაისხევში ერთ მგელს, სახელად თათარას, დაევალა როგორმე მოეშორებინა ჯარჯი.

ერთ ღამეს, მთვარე რომ არსად ჩანდა და უკუნეთი სიბნელე დაჰპატრონებოდა მთელ ხეობას, ჯარჯიმ აიტეხა, ჩემ დიშვილებთან უნდა წავიდე, უნდა დავხედო.

– ამ ღამეში სად წახვალ, სადმე არ გადავარდე, ან რა წასვლისია, ეხლა ეძინებათ კიდევ, იმათ ენაცვალოთ ბებო, არ შემშიშინო.

– ვერ გავძლებ, ვერ დავიძინებ, რომ არა ვნახო ამაღამ.

– კარგი, ჯარჯი, ღამეა, გზა არ ჩანს, იმათი პაპაც შეშინდება, – გადაუდგა წინ დედა. ჯარჯიმ არ დაიშალა.

მოახტა თავის ლურჯ ცხენს და დიშვილების სანახავად შეაჭენა შავ ღამეში.

ადიდებული მოდიოდა მდინარე.

ღამე ფონს ვერ იპოვიდა და შორი გზით მოვლა აირჩია, იქ ხიდი იყო და ამ ხიდით გადავიდოდა გაღმა ნაპირზე.

გარშემო არაფერი არ ჩანდა.

მთლიანად ცხენის ალღოს იყო მინდობილი ჯარჯი.

ცხენი ხვდებოდა საითაც მიუწევდა მის პატრონს გული.

ნალების წკრიალი ავსებდა ღამის მდუმარებას.

ხიდთან რომ მივიდნენ, ცხენი შედგა. ვერ გაბედა ხიდზე შედგომა.

ჯარჯიმ დეზი ჰკრა.

ცხენი უკანა ფეხებზე დგებოდა.

ფრუტუნებდა.

ჯარჯიმ ახლა მათრახი გადაჰკრა.

მაინც ვერ შეაყენა ცხენი ხიდზე.

ჯარჯი მიხვდა, ხიდზე რაღაც საშიშროებას ხედავდა ცხენი და პირდაპირ ადევებულ მდინარეში შეაგდო.

ჯარჯისთვის არ არსებობდა შიში და უკან დახევა.

ცხენი ცურვა-ცურვით წავიდა ნაპირისაკენ.

ხანდახან ფსკერამდე დაეშვებოდა, მაგრამ ფეხებიდან იმ წუთას აცლიდა ღამის მდინარე.

ჯარჯი დაკვივლებით ამხნევებდა.

როგორც იქნა, ნაპირს მიაღწიეს და ის იყო, წინა ფეხები ნაპირზე დააბიჯა ცხენმა, რომ წინიდან მგელი დახვდა. მგელი ცხენს მკერდზე მივარდა, რომ ისევ წყალში შეეგდო. თვალებიდან ცეცხლი გადმოსდიოდა და სიბნელეში მეტი რომ ვერაფერი დაინახა, ხანჯალი ატაკა იმ ცეცხლს ჯარჯიმ.

მგელმა საზარლად დაიყმუვლა და გაიქცა.

ჯარჯი ნაპირზე ამოვიდა და გზა გააგრძელა.

არც ახლა გაჰკარებია იმის გულს შიშის ნაპერწკალი.

გავიდა ერთი წელი ამის მერე.



ზამთრის სამოვრებზე ჰყავდა ცხვარი ჯარჯის.

ზამთრის ღამით გულმოკლული, ოჯახსმონატრებული მწყემსები ისხდნენ და ყვებოდნენ ძველ ამბებს.

ჯარჯიმაც რაღაც გაიხსენა.

მწყემსებში ერთი ცალთვალა თათარი იყო, ამათ ცხვარში შემოდგომით წამოვიდა მორიგებით.

– აის ამბავი მოყევი, დიშვილებთან რომ მიდიოდი და მგელი რომ დაგხვდა ხიდზეო, – პირდაპირ უთხრა თათარმა ჯარჯის.

– ე, შენ საიდან იცი?! – გაუკვირდა ჯარჯის.

– აი, ამ თვალს ხედავ? – გამოთხრილი თვალი აჩვენა თათარმა.

– მერე?

– ეს, შენ რომ ხანჯარი მატაკე, მაშინდელია. ის მგელი მე ვარ, უფრო სწორად, მაშინ მგელი ვიყავი და დორაისხევიდან დავალეებული მქონდა, იმ ღამეს წყალში უნდა ჩამეგდე. შენ რომ ხანჯარი მატაკე, ველარ შევძელი. იმის მერე თავის რიგებიდან გამომავდეს დორაისხეველებმა და მგლად გადაქცევის ნიჭიც წამართვეს.

– შენ რაღაც ზღაპრებს გვიყვები, აი! – არ დაუჯერა ჯარჯიმ, თუმცა თვითონ უკვირდა, დღემდე არავისთან გაუცხადებია რომ იმ ღამით მგელი დახვდა ხიდზე, სულ ღამე დავდივარ და დედაჩემი შემეშინდებო, არავისთვის უთქვამს ეს ამბავი.

ახლაც შორს დაიჭირა თათრის მონაყოლი.

ის თათარი კი იცინოდა და აქეთ-იქით ატრიალებდა ცალ თვალს.

არც ახლა გაჰკარებია ჯარჯის გულში შიში.

არც – ამის მერე.

ცოლი, მგონი, არა ჰყავდა ჯერ.

– არა, არ ჰყოლია, – დაემოწმა ლუკა.

– მარტო დედა ჰყავდა.

– და დიშვილები, პაპა რომ მოუკვდათ, თავისთან წაიყვანა ჯარჯიმ, – თქვა ლუკამ.

– ჯარჯის ერთი გოგო უყვარდა თქვენს სოფელში, ბიჭების მეზობლად ცხოვრობდა ის გოგო. მერეც ხშირად მოდიოდა ღამ-ღამობით, დიშვილები რომ თავისთან წაიყვანა.

ერთ ღამესაც აიტეხა, უნდა წავიდეთ.

დედამ იცოდა, შვილს გულში რა ცეცხლი ენთო, მაგრამ, გზად ის ხევი უნდა გაევლო, მგელქალი რომ გადააგდო ხალხმა და წასვლა დაუშალა დედამ.

– ნუ გეშინია, დედი, იმათ დედებმა იდარდონ, ვისაც მშვიდარა შვილები ჰყავთ, – თქვა ჯარჯიმ და ცხენი გააჭენა.

ახლა უკვე მთვარე მკრთალად დაჰფენოდა ხეობას.

ჯარჯი მიდის და მილიღინებს.

იმისი გული სავსეა სიყვარულით.

იმისმა გულმა არ იცის შიში.

იმის გულს ბაგა-ბუგი გააქვს თავის ტოლთან შეყრის მოლოდინით.

ჯარჯის სისხლი მოუსვენარია და გალობს, ჩქეფითა და ჩხრიალით დადის მარღვებში.

ჯარჯის ლურჯა ცხენი ნიავ-ქარს ეტოლება.

ჯარჯი გაუტეხელთა ჩამომავლობისაა.

ჯარჯიმ შიში არ იცის.

ჯარჯის დორაისხევი ემტერება.

ჯარჯიმ არ იცის ეს.

სამსჯავროზე დაადგინეს, როგორმე სათავისოდ მოაქციონ ჯარჯი.

დორაისხეველებს არ უყვართ ის, ვისაც არ ეშინია და თავის ნება-სურვილზე დადის.

ჯარჯიმ არ იცის შიში..

და,

უცებ, თვალს მოჰკრავს: ხევში ცეცხლი ანთია!

სხვანაირი ფერი დაჰკრავს ამ ცეცხლს.

გახსენდება დედის ნათქვამი, მაგრამ ჯარჯი უტეხია და არ იცის რა არის შიში.

მთვარე ანათებს.

ფერდობზე გოგო ჩამორბის.

ჯარჯი ცხენის ლაგამს მოსწევს და აჩერებს.

გაოგნებულია გოგოს სილამაზით.

გოგოს საპატარძლო ტანსაცმელი აცვია და ისე გამორბის.

«ალბათ ვიღაცას გამოექცა ქორწილიდან», ფიქრობს ჯარჯი. პატარძალი მასთან მოირბენს, ისეთი თვალები აქვს, ასეთი ლამაზი თვალები ჯერ არ უნახავს ვაჟს.

\_ შენ გახარებას, შემისვი ცხენზე, \_ ეუბნება პატარძალი, \_ არ შემისვამ? \_ ეკითხება მერე მუდართით.

\_ შეგისვამ, რატომ არ შეგისვამ, \_ ამბობს ჯარჯი და ცხენიდან ჩამოდის.

პატარძალი სამკაულების ჟღერალით ჩამოირბენს დარჩენილ ფერდობს და ჯარჯი ეხმარება ცხენზე შეჯდომაში.

ცხენი ფრთხება.

ადგილზე ვერ ჩერდება.

ფრუტუნებს.

\_ დრო, ჰო! \_ დაჰკვივლებს ცხენს ჯარჯი და პატარძალს მიეხმარება რომ უზანგში ფეხი გაუყაროს.

შეცბა ჯარჯი:

პატარძალს ტერფები უკანა აქვს მობრუნებული და ქუსლი წინა აქვს.

არაფერს შეიმჩნევს.

უკვე მიხვდა, ვისთანაცა აქვს საქმე, მაგრამ ჯარჯიმ შიში არ იცის, თვითონაც უკან შემოუჯდება და წავლენ ფერდობის შეყოლებით.

დამატრობელია პატარძლის თმების სურნელი. ჟრუანტელივით უვლის იმისი ტანიდან გადმოღვრილი სიმხურვალე ჯარჯის.

ცალი ხელით ცხენის სადავე უჭირავს და დროდადრო ამხნეებს დამფრთხალ ცხენს.

მთვარიან ღამეში წვრილებენ პატარძლის საყურეები.

ეტყობა გოგოსაც მოსწონს ვაჟი. ჩუმი ხმით ამბობს:

\_ როგორ მენანები!

\_ რატომ? \_ ეკითხება ჯარჯი.

\_ იცი, ვინა ვარ?

\_ ვიცი, ვიცი, \_ მშვიდად პასუხობს ჯარჯი.

\_ მერე, რატომ იარაღს არ ამოიღებ და მესვრი.

\_ სულ ვერ მაშინებ, \_ ეუბნება ჯარჯი.

\_ მე მომწონხარ, თითქოს უკვე მიყვარხარ კიდეც, მაგრამ რა გიშველო, დორაისხევში უნდა წამომყვე, სხვა მხრივ ყველა გზა მოჭრილი გაქვს, \_ ამბობს პატარძალი.

\_ მერე? \_ ეკითხება ჯარჯი.

\_ იქ დიდძალი ხალხი დაგვხვდება. ხმა არავის გასცე, ვინც რა უნდა გითხრას, ჩუმად იყავი. სხვების ჩამოტარებული ხორცი არ აიღო, როცა მე ჩამოვატარებ, მაშინ აიღე და ძვლები იქ დაყარე, სადაც ძვლებს დაყრიან, \_ დაარიგა ქალმა.

ჯარჯის ათობს მისი თმის სურნელემა.

ჯარჯი უტეხი და გულადაია.

ართობს კიდეც ასეთი ფათერაკი.

სამსჯავრო იყო იმ ღამეს დორაისხევში.

დიდი სამსჯავრო.

თან ახალი მბრძანებელი გვყავდა და იმის დანიშვნას ვდღესასწაულობდით.

ცეკვა-სიმღერა აყრუებდა მიდამოს.

გრიალი გაჰქონდა ხეობას.

პატარძალმა ჯარჯი წარუდგინა უფროსებს.

იმან ხმა არავის გასცა.

მასპინძლებმა პატარძალს შეხედეს ეჭვის თვალით.

საპატიო ადგილას დასვეს ჯარჯი.

ისე იჯდა, წარბსაც არ იხრიდა.

თითქოს მართლა ქორწილში იჯდა.

\_ საკლავი მოიყვანეთო! \_ ბრძანა მთავარმა მბრძანებელმა.

მგლები ცალკე სუფრაზე ვისხედით.

ჯარჯი იქ იჯდა, სადაც ხალხი ისხდა.

გაგზავნილებმა ხარი მოიყვანეს.

თეთრი ხარი იყო.

შუბლმთვარიანი.

თავისი ხარი იცნო ჯარჯიმ, მაგრამ კრინტი არ დაძრა.

წამოაქციეს და დაკლეს ხარი.

გაატყავეს.

აქნეს ასო-ასო.

მოხარშეს.

ხონჩებზე ამოიღეს მოხარშული ხორცი და ჩამოატარეს პატარძლებმა.

რალა თქმა უნდა, ჯარჯისაც შესთავაზეს.

იმ პატარძალმა შორიდან თვალი უყო, სხვის ტაბლიდან ხორცი არ აიღო.

როცა იმისი ჯერი მიდგა და ჩამოიარა, იმის ტაბლიდან აიღო ჯარჯიმ ერთი ბეჭი.

შეჭამა.

ძვლებს ერთ ადგილას აგროვებდნენ.

ჯარჯიმ იმ ქვის ძირ ამოდო ძვალი, სადაც თვითონ იჯდა.

დამთავრდა სმა-ჭამა.

ელაპარაკებიან ჯარჯის, ის ხმას არ იღებს.

მოაგროვებს ძვლები.

ბეჭი დააკლდათ.

ემებეს.

ვერ იპოვეს.

ჯარჯი ადგილიდან არ განძრეულა.

სიპი ქვა მიათვალეს ძვლების სათვალავს.

წამოჰკერეს სახრე და წამოხტა თეთრი ხარი.

– წაიყვანეთ და იქვე დააბით! – ბრძანა მზრძანებელმა.

– ესეც წაიყვანე, დაშლის დროა! – უბრძანეს იმ პატარძალს, ვინც მოიყვანა ჯარჯი.

პატარძალმა გამოაცილა.

დამშვიდობებისას დაარიგა:

– არსად არ თქვა, რაც აქ ნახე, თორემ იმ წუთში მოკვდები.

შეაჟღერიალა საყურეები და გაქრა.

იმ ღამეს აღარ წასულა თავის საყვარელთან ჯარჯი, ან რალას წავიდოდა, სადაცაა თენება უნდა დაწყებულიყო.

სახლში წამოვიდა.

იმ დღიდან ჩაუდგა დარდი ჯარჯის თვალებს.

იმ დღიდან გაეხსნა გული იმ უცნაური პატარძლის სიყვარულით, იმის ტანის მხურვალეობას გრძნობდა, იმისი თმების სურნელება არ შორდებოდა.

სახლში როგორც მოვიდა, იმ წუთში საქონლის ბოსელში შევარდა.

თეთრი ხარი ბაგასთან იწვა და იცოხნებოდა.

მოსვენება დაეკარგა ჯარჯის.

ყოველდღე უყურებდა ხარს და ვედარ გარკვეულიყო, მართლა ეს ხარი დაკლეს იმ დღეს დორაისხვევლებმა, თუ არა.

აღარ წასულა თავის სატრფოს სანახავად.

ახლა დღემუდამ, ძილშიც კი ის უცნაური პატარძალი ედგა თვალწინ. შიში არც იმ დამის მერე გაჰკარებია მის გულს და ხშირად მიდიოდა შუალამისას იმ ადგილზე სადაც პირველად დაინახა მთვარის შუქით განათებულ ფერდობზე მისკენ სიცილ-კისკისითა და სამკაულების ჟღერიალით ჩამომავალი.

აღარსად ჩანდა ის უცნაური პატარძალი.

ჯარჯი კი ილეოდა.

ილეოდა სიყვარულით.

ვერავისათვის გაემხილა რა ამბავი იყო მის თავს.

ლოგინად ჩავარდა.

პირველ ხანებში ხალხს ეგონა, საცოლე რომ მოსტაცეს, იმას გლოვობდა. უკვირდათ კიდეც ჯარჯისაგან, სამაგიეროს გადასახდელად რომ არ შეკაზმა თავისი ლურჯი ცხენი და იმის საპატარძლოს გამტაცებლებს არ მიუვარდა საავდროდ მოღრუბლული სახით.

იწვა.

ილეოდა.

– შვილო, ჯარჯი, ქვეყანაზე ქალი ხო არ დაილია, დარდით რო თავს იკლავ, – საყვედურით უთხრა დედამ.

– დაილია დედი, დაილია, ვინც მე მიყვარს, იმნაირი ქალი სამზეოზე არ დადის, – თქვა დარდიანად ჯარჯიმ და კინაღამ გული ამოაყოლა, ისე ამოიოხრა.

– განა შენს ხელთ არ იყო, სხვებს რაღად გაატანე? – ვერ მიუხვდა დედა.

ჯარჯის შეეცოდა დარდით ფერწასული და წელშიმოხრილი დედა, რომელსაც ვერ გაეგო, რა ემართება იმის შვილს. უნდა ყველაფერი მოუყვეს, უნდა განთავისუფლდეს იმ რაღაცისაგან, მაგრამ იმავე წამს ახსენდება იმ ქალის დარიგება: რაც აქ ნახე, არავისთან გააწამო, თორემ იმ დღესვე მოკვდები.

სული ტკბილია.

ერთ დღეს ითმინა ჯარჯიმ.

მეორე დღეს ხარი დაინახა ფანჯრიდან.

ისევ აეშალა ფიქრები.

ისევ მოუნდა დედისათვის გაემხილა რაც ნახა.

ისევ დატრიალდა იმ ქალის თმების სურნელება მის გარშემო.

ისევ თავი შეიკავა.

დაილია.

გაწყდა მოთმინების ძაფი.

– დედი! – დაუძახა და გვერდზე მოისვა.

მოუყვა.

თავიდან ბოლომდე მოუყვა რაც გადახდა.

დედა გაფითრდა.

გაფითრდა ჯარჯიც.

მზე გადაიწვერა.

მერე ჩაესვენა.

ჯარჯიც მიესვენა.

შეწყდა მაჯისცემა.

იმ წუთას დორაისხევიდან ბრძანება გამოვიდა, რომ სამოვარზე გაშვებული თეთრი ხარი მოგვექცია წრეში და გაგვექრო.

გაგვექცა.

სოფლისაკენ დაეშვა ყვირილით.

სოფელში ის ამბავი ელოდებოდა.

დაკლეს.

ჯარჯის გასასტუმრებლად დაკლეს.

\_ მახსოვს! \_ წამოიძახა ლუკამ, \_ რომ გაატყავეს, თურმე, ბეჭის მაგიერ სიპი ჰქონდა მარცხენა ფეხში ჩამდგარი.

\_ ჰოო, ნამდვილად ეგრე იყო, \_ დაუდასტურა თევდორემ. \_ ბიჭები? \_ ჰკითხა მერე.

\_ ბიჭები დარჩნენ ისევ ობლად, \_ თქვა ლუკამ, \_ მოხუცი ბებილა ჰპატრონობდათ.

\_ ახლა?

\_ ახლა არ ვიცი, სად არიან, შეიძლება..

\_ არა, ეგეთები მგლების კვალზე არ შედგებიან, \_ თქვა თევდორემ.

უცებ ლუკა შეკრთა.

მიხვდა, რომ ამდენი ხნის მანძილზე ისე ლაპარაკობდნენ ის და თევდორე ერთი და იგივე ამბავზე, თითქოს ლუკაც იმ ჯოგში ყოფილიყოს, სადაც თევდორე იყო.

«ნუთუ დიდიხანია გადაბირებული ვარ?» გაიფიქრა ლუკამ.

არა, ცხადად გრძნობს რომ ჯერ არავითარი ნიშანწყალი მგლობისა მის სულში არ არის, მაგრამ რას უპირებს დღევანდელი დღე, ან როგორი იქნება ღამე, რომელიც ახლოვდება და სადაცაა გულში ჩაიხვევს მთელ ხეობას.

ნუთუ წუხანდელ ღამესავით უძილო უნდა იყვეს ეს ღამეც.

რაც მოსასვლელია, მაინც მოვა, ვერსად ვეღარ გაექცევა, ფანჯრიდან კი არა, სახლის სახურავიდანაც რომ გაიპაროს.

გაფრინდები?

სად შეუძლია.

ადამიანმა, დიდი ხანია, დაკარგა ფრენის უნარი.

არა და, როგორ არ უნდა ეს ღამეც წუხანდელივით გაგრძელდეს. გაწყვეტილია მოთმინების ძაფი. ვეღარ გაუძლებს წუხანდებურ დუმილს, როგორც კი მარტო დარჩება და ოთახში სიბნელე ჩამოწვება, ეს სიბნელე დაახრჩობს.

რა ხდება? რას აპირებს თევდორე? ნუთუ მართლა ცოდვებს ინანიებს ლუკას წინაშე. იმიტომ უყვება თავის გადამხდარ ამბებს, რომ შეიმსუბუქოს ჩადენილი ცოდვა, თუ წინასწარ აჩვევს ლუკას, განგებ უყვება იმ ცხოვრებაზე რაც მგლადმოქცევის მერე უნდა გალიოს ლუკამ.

ნუთუ აღარსად არის ღმერთი.

ან, თუ არის, რატომ არ შეუძლიათ ადამიანებს ფრენა, უსაზღვრო გაჭირვების, ანდა სიხარულის დროს.

ანდა იქნებ იმიტომ ვეღარ ფრენენ, რომ საუკუნეების მანძილზე ჩადენილმა ცოდვებმა დაამძიმეს ადამიანი, მიწამ შეიჩვია და აღარ სწადია კაცის სულს ფრენა.

მიწამ ხომ შეჩვევა იცის.

რა ბედნიერი იქნებოდა, ახლა რომ შეეძლოს, გავიდეს გარეთ, გაშალოს ხელები და ასე ხელგაშლილი აფრინდეს. მხოლოდ ასე თუ დააღწევდა ამ მგლების წრეს თავს.

მაგრამ რა ცოდვა ეწევა მიწისაკენ.

ლუკას ხომ ჯერ ისეთი არაფერი ჩაუდენია.

იქნებ რომელიმე წინაპრის ცოდვა ამძიმებს.

იქნებ უცოდველებს უფრო ეტანება დედამიწა.

ნუთუ მართლა დაიკარგა და მგლების ლუკმად მიატოვა თავისგანვე შექმნილი კაცი შემოქმედმა?!

მოქცეული ხარ მგლების რკალში!..

თუ შესძლებ და ამისათვის გეყოფა შენ თავში რწმენა და ძალა, მიდი, გაარღვიე ეს წრე, თუ არა და დანებდი, შენც მგლად იქცევი, შენც იმათ წრეში ჩადექი და სხვას ჩაუსაფრდი. მერე რა რომ მგლად იქცევი, განა ერთი და ორი მგელია შენს გარშემო? ქვეყანა სავსეა მგლებით, იმათია ასპარეზი, ხოლო ვინც კაცი გააჩინა, დაკარგულია, სადღაც იმალება, იშვიათად თუ ვინმემ იცის მისი ადგილ-სამყოფელი.

იმალება გამჩენი..

მგლებს კი წრე აქვთ შეკრული.

მიდი და გაარღვიე ეს წრე, თუ ვაჟკაცი ხარ.

თევდორე?

ნუთუ მართლა მოახერხა თევდორემ ამ წრის გარღვევა და ახლა ლუკას წინ უცოდველი ზის.

უცოდველი?

არა, უცოდველი როგორ იქნება, განა იმიტომ არ მოაჯადოვეს და განა იმიტომ არ აქციეს მგლად, რომ შეეშინდათ დორასხეველებს, მამამისივით არ აყვავებულიყო ესეც ღრმა სიბერეში, ისე დაუბნიეს თავგზა, ისე დაუმძიმეს ნადირის ხოცვით სული, ღმერთს მასზე ხელი აადებინეს, მერე მგლების ხროვაში უკრეს თავი და აწანწალეს ქვეყანაზე.

ახლაც ჯერ კარგად არ იცის ლუკამ, კიდეც რა უდევს თევდორეს გულში. იქნებ ახლაც დორაისხვევლების ბრძანებას ასრულებს და ტყუილად ახსენებს წმინდა სამებას.

როგორ გაიგოს ლუკამ?

ენდოს?

თუ არ ენდობა, რა ქნას?

წრეშია მოქცეული.

ირგვლივ მგლებია.

მშველელი არ ჩანს.

ვინ გაიყვანს ამ წრიდან?

ოთახში კი თბილა.

ჯერ დღეა და ცეცხლის შუქი არ კრთის კედლებზე და ჭერზე.

ღუმელი კი წუხანდელივით ფუკფუკებს.

ჩასთვლიმა ლუკას.

დაესიზმრა:

ცეცხლი უკიდია დედამიწას, ხტუნავს, ტორტმანებს.

ერთიმეორეში ირევა ხალხი.

ვერ გაიგებ ვინ საით გარბის.

ცეცხლი ეკიდება დედამიწას,

ტყვრება.

ტორტმანებს.

ხალხი აზღავლებულ ცხვრის ფარასავით აწყდება აქეთ-იქით, მაგრამ ყველაგან ცეცხლია.

ტირილი;

კვნესა;

ხვეწნა;

მუდარა \_ ერთმანეთშია არეული.

ლუკაც ხალხშია, ისიც გასასვლელს ეძებს.

კვამლის სუნი ახრჩობს ხალხს.

კვამლმა ღრუბელივით დაფარა გარემო.

აღარაფერი აღარა ჩანს.

გადის ერთი დღე;

მეორე;

მესამე;

ლუკა ძილში გრძნობს დღეების გასვლას.

დაიქუხა.

მთელი ცის სიგრძე-სიგანეზე გაკრთა ელვა.

გაიფანტა კვამლი და გამოჩნდა:



დაკარგული ღმერთი!..

მაღლა გაჩერდა და ხალხს ჩამოსძახა:

– უცოდველნი ამოფრინდით!

ფრენით წავიდა აღმა ხალხი.

ვითომ ლუკაც მათ შორის იყო.

ვინც ფრენა ვერ შეძლო, ისინი ისევ მიწაზე დარჩნენ და ახლა კაცის ხმაზე კი არ შესთხოვდნენ შველას, ყმუოდნენ.

მიწას ცეცხლი ეკიდა და ჰაერში ტორტმანებდა.

ლუკა ვითომ ღმერთს ეხვეწებოდა ხალხის შველას, რომლებიც ყმუილით შეჰბლაოდნენ ცას.

– წადი, იპოვე ყვავილი! – მხარზე ხელი დაადო ღმერთმა და ლუკა ძირს დაეშვა.

უცებ გაელვია.

თევდორე იჯდა და უღიმოდა.

– ჩამეძინა! – თქვა ლუკამ.

– დაღლილი ხარ, ცოტა დაისვენე, მე წავალ, ძროხებს წავასხამ წყალზე.

თევდორე წამოდგა და გარეთ გავიდა.

«ძროხები ჰყოლია», გაეხარდა ლუკას.

დერეფანში გამოვიდა.

თევდორეს ორი ძროხა და ერთი პატარა ხბო მიჰყავდა წყლისაკენ თოვლში გაკვალულ ბილიკზე.

უკან ძაღლი მისდევდა.

სიმშვიდე იგრძნო.

«სადაც ძაღლია, ძროხები, ადამიანი და ახალმოსული თოვლი, იქ აღარ შეიძლება ავი ფიქრი», გაუელვა ლუკას და თავისივე აღმოჩენით გახარებულს ყვირილი მოუწნა.

ძროხები ნელა მიდიოდნენ წყაროსაკენ, იმათ მშვიდად მიჰყვებოდა თევდორე და უფრო მშვიდი ნაბიჯებით ძაღლი მისდევდა უკან. მარტო პატარა ხბო ვერ ისვენებდა, დედის გარშემო დარბოდა, ახალმოსულ თოვლში ეფლობოდა.

აღარ თოვდა.

ცა მოწმენდილიყო და ის-ის იყო მზე ჩადიოდა თოვლიანი სერების იქით.

ხვალ თუ აღარ ითოვებდა, ზვავებიც ჩამოზვავდებოდა და ზეგ მგზავრების მიმოსვლაც დაიწყებოდა.

ისე გადაეწმინდა ლუკას ავი ფიქრებისაგან გუნება, როგორც ეს ცა იყო მოწმენდილი და ერთი ღრუბელიც აღარსად ჩანდა.

ლუკა სახლში შებრუნდა, უნდოდა შიგნითა ოთახის კარი შეეღო და ენახა თევდორეს საძინებელი ოთახი.

კართან მივიდა.

ხელი წაავლო.

მაგრამ ვერ გაბედა.

«არ შეხვიდე», თითქოს გააფრთხილა ვიღაცამ.

«რომ შევიდეს?»

«არ შეხვიდე», ისევ გაუელვა გონებაში.

ცივად შემობრუნდა.

დაღონდა.

დაფიქრდა.

რა იყო ის ხმა, რომ აფრთხილებდა, შიგნით არ შეხვიდეო. ვითომ რა არის იქ?

მეტი აღარ შეუძლია.

მოვიდეს თევდორე და მოხდეს ბარემ რაც მოსახდენია. თუ რამეს უპირებს, დროზე ქნას, თუ არა და დაამთავროს მაინც ეს ამბავი.

ასე გაგიჟებაც შეიძლება.

თანაც ღამე მოდის.

დღისით უფრო ადვილია საფრთხის გადატანა;

თუნდაც სიკვდილის.

სიკვდილის?!

რაა სიკვდილი? \_ ზოგისთვის წამი, ზოგისთვის მთელი ცხოვრება.

ზოგი დაბადებიდან გრძნობს თანდაყოლილ სიკვდილს და მანამდე აწვალებს ამის შიში, მანამ სულ-ხორცი არ გაეყრება ერთიმეორეს.

სულ-ხორცის გაყრა სიკვდილია?

მაშინ სიცოცხლე რაღაა?

აღბათ სულ-ხორცის ერთიანობა.

მაგრამ ვიღაც, თუ რაღაც ხოა, ვინაც სულ-ხორცი შექმნა და დაუწერა სიკვდილ-სიცოცხლე.

სიცოცხლე ჩვენთან არის და სიკვდილიც აქვეა, ის კი არა ჩანს, ცოცხლები ვერსად ვხედავთ და ვინ იცის მკვდარნი სულ ვედარაფერს ხედავენ..

ლუკას შეაჟრჟოლა და გაიფიქრა:

რა დროს ფილოსოფოსობაა, როცა სადაცაა დამთავრდება ყველაფერი. მობრუნდება თევდორე წყლიდან და სადაცაა ღამეც ჩამოდგება.

სიკვდილს შიში ახლავს.

მშიერი მგელივით იცის თავს წამოვარდნა და იმიტომ.

იქნებ მოახლოებულ სიკვდილს გრძნობს ლუკა და იმიტომ ემინია ასე. გარბის და ვერ გაქცეულა. სად გაიქცევა, სიკვდილი ხომ ყოველთვის იქ არის, სადაც წერა-მწერალი მიუღერებს ხელს.

ისიც მგელივითაა.

ბებერ მგელსა ჰგავს. აღარაფერი რომ აღარ უთბობს ბებერ გულს და იმდენჯერ მოთხვრილია სისხლით, ახლა მთელი ღამ-პირი წითელი აქვს.

ბებერმა მგელმა არ იცის შეცოდება.

სად გაექცევა ლუკა ამ მგელს, თუ წერა-მწერლისაგან ასე უწერია და იქნებ ამაღამ, შუალამისას, ან ცოტა მერე, უფრო რომ ჩაღრმავდება ღამე.

იქნებ კიდევ სცადოს გაქცევა.

სანამ დღეა.

სანამ თევდორე წყაროდან მობრუნებულა.

დარწმუნებული რომ იყოს, რომ ამ სახლში ელოდება სიკვდილი, გაიქცეოდა, მაგრამ ხომ ხშირად გარბიან ადამიანები იქიდან, სადაც სიკვდილი ეგულებათ და იქით კი მირბიან, სადაც სინამდვილეში ელოდება ის.

დარჩეს?

თუ გაიქცეს?

უწერია?

თუ არ უწერია?

სიკვდილი თუ არა, დორაისხვევლები ხომ მაინც მონათლავენ ამაღამ მგლად.

ღმერთო, სად დაიკარგე?

ანდა, თუ არ ყოფილხარ არასოდეს, ვინ გააჩინა სიკვდილ-სიცოცხლე?

სიცოცხლეს ვხედავთ, რასაც ჰქვია;

რაშიც ვლინდება.

სიკვდილი?!

ყოველივე სრულდება ამით?

«ნეტავ რას ვფილოსოფოლობ», ისევ გაიფიქრა ლუკამ, «განა ვინმე ყოფილა ამ ქვეყანაზე, ვისაც ჩამოსდგომია ღმერთი და უთქვამს რაც არის სიკვდილი?»

მოვა და გაიგებ.

უბედურება კი ის არის, რომ არ იცის მანამდე რა უწერია ლუკას. სიკვდილი რომ გარდაუვალია, იცის.

ყველა კაცი რომ საკუთარ სიკვდილს დაატარებს, ამას რა მიხვედრა უნდა.

როგორ მგელივით იცის ჩასაფრება სიკვდილმა, საიდან წამოგვარდება და როდის, ვერ გაიგებ.

ზოგჯერ სიტყვაშიც არის.

კაცის პირიდან ამოხტება \_ ერთი კაცი რომ მეორეს უღვთო სიტყვას ეტყვის, იმ სიტყვას მოსდევს თან.

გაგი დაუდგა ლუკას თვალი.

ლუკას წარსულიდან გადმოვიდა გაგი, ჩამოიარა სოფლის ორღობე, აგერ დერეფანშიც მოვიდა, ლუკასა და მის ბოჩოლას მოეფერა.

მერე წავიდა.

გაგი მაღალია, ხმელი და ძლიერი.

გაგის არავისი ეშინია.

ლუკა ხვდება, რომ გაგი ყოველთვის დაიცავს მას.

გაგი კეთილია და ყველას უყვარს.

გაგისაც უყვარს ერთი გოგო.

გოგოს მართა ჰქვია.

გაგი ცოლად მოიყვანს მართას.

ქორწილი არის ძველებური, დიდი თასებით სვამენ სვიან ლუდს. ყველა გახარებულია გაგის ბედნიერებით.

დრო გადის, გაგის შვილი უნდა შეეძინოს.

იმათი სოფელი წმინდა ადგილად ითვლება და წესის მიხედვით მართა სოფლიდან შორს მიდის სამშობიაროდ. ჯერ არავის დაურღვევია ეს წესი და არც მართა დაარღვევს, თუმცა იმ შორეულ ქოხში, სადაც აქაურები ბოსელს ეძახიან, მშობიარე ქალისათვის უკიდურესი პირობებია: ცივა, სიმარტოვეა და სადღაც მგლები ყმუიან. ხანდახან ბებიაქალიც არსად არის, მარტოა მშობიარე!

მამაკაცები აქ მოსვლას ერიდებიან.

ეს ადგილი შორეულ ადგილად ითვლება და მანამ ორმოცი დღე არ გაივლის, აქ არიან ბავშვიანი ქალები. სამი დღის მანძილზე საჭმელს შორიდან აწვდიან. მერე მოსაკითხი მოაქვთ ახლობელ ქალებს. კაცები კი აქ არ მოდიან.

ამ თოვლიან მთებივით მკაცრი წესი დაუდგენიათ აქაური ქალებისათვის მათ წინაპრებს.

უკვე მეორე კვირაა, ამ ბოსელშია მართა თავის პატარა ბიჭთან ერთად. იმათთან არის კიდევ ერთი ქალი, ანა, ისიც მართას ტოლია, იმასაც ბიჭი ჰყავს.

სოფლიდან ქალები ამოდიან ხოლმე იმათ სანახავად.

გაგის ერთი სული აქვს, როდის ნახავს თავის პატარა ბიჭს, თითქოს ხედავს კიდევ მართას მკერდზეჩახუტებულს, როცა თვალებს ხუჭავს. გაგის მოთმინება ელევა, უნდა მივიდეს და შორიდან მაინც დაინახოს მართა, მაგრამ სირცხვილად ითვლება კაცის ასეთი ამჩატება, ესეც შორეულ წინაპრებს დაუდგენიათ და ვერავინ გადადის ამ წესს.

წინ კიდევ დიდი დროა.

ითვლის დღეებს.

ერთხელ, ცხვრიდან რომ ბრუნდებოდა, ვეღარ მოითმინა და გზიდან სამშობიარო ბოსლისაკენ გადაუხვია.

\_ მართა! \_ დაუძახა ფრთხილად.

ხმა არავინ გასცა.

\_ მართა! \_ ისევ დაიძახა გაგიმ.

კარი გაიღო და ქოხიდან ანა გამოვიდა.

ერთ წამს ორივე შეკრთა.

გაგის შერცხვა.

ანას ფარულად უყვარდა გაგი, უყვარდა თავდავიწყებით და ვერ ამჟღავნებდა. გაგი ვერასოდეს ხვდებოდა ამას. იმისი თვალელები მართას იქეთ ქალს ვეღარ ხედავდნენ და როცა ცოლად მოიყვანა, მაშინ გადასწყვიტა ანამ, სამაგიერო რითიმე გადაეხადა

მართასთვის. ეს რომ სცოდნოდა, ალბათ თვალსაც არ მოხუჭავდა მართა. რა დააძინებდა, როცა გვერდით ასეთი მეტოქე ეგულებოდა. ან როგორ ანდობდა ხანდახან ბავშვს, როცა თვითონ ხევში ჩადიოდა ტანსაცმლის გასარეცხად, მაგრამ ანაც ხომ დედა იყო და ასეთ რამეს როგორ გაივლებდა გულში. იგი ასეთ დროს სიყვარულით ეფერებოდა გაგის ბიჭს, ბავშვი რაღაცით აახლოვებდა გაგისთან.

ახლა კი, როცა გაგი დაინახა, კინაღამ ქოხის კარებთან ჩაიკეცა ანა. საიდანღაც ისევ მოვარდა ძველი სიყვარული და ღონე გამოაცალა ქალს.

\_ მართას დაუმახე, \_ უთხრა გაგიმ დარცხვენით.

\_ მართა წავიდა, \_ ძლივს ამოიღო ხმა ანამ.

\_ სად წავიდა?! \_ გაუკვირდა გაგის.

\_ წავიდა, სახლში წამოვიდა, ბიჭი წამოიყვანა, \_ თქვა ანამ.

\_ უკვე?! \_ ისე დაიბნა სიხარულით გაგი, დაავიწყდა კიდევ რომ ამდენი ხანია ელოდა, ეჩვენებოდა რომ წლები გავიდა მართას მოსვლამდე. გახარებული გამობრუნდა და სახლისაკენ გაიქცა.

შვილი რომ ნახა, უფრო გაუორკეცდა გაგის მართას სიყვარული.

და..

ერთ დღეს.

მეხვიით გავარდა სოფელში ჭორი.

ანას ეთქვა \_ გაგი ბოსელში მომივარდა და ჩემზე ძალადობა მოინდომაო.

დაიგრიალა სოფელმა.

ახმაურდა.

აყაყანდა ხალხი.

დიდსა და პატარას ეს ამბავი ეკერა პირზე.

ასეთი რამე დღემდე არავის გაეგონა, რომ ბავშვიან ქალს სამშობიაროში მივარდნოდეს ვინმე და მასზე ძალა ეხმაროს.

დაილესნენ გაგიზე.

შეიკრიბნენ და..

უკვე აღარავის რომ არ ახსოვდა, ისეთი გაუგონარი სასჯელი დაუდგინეს გაგის:

მ ო კ ვ ე თ ა!

მოხუცებსაც კი აღარ ახსოვდათ, როდის მოიკვეთეს ბოლო კაცი ხალხიდან. ახლა გაიხსენეს, ამ გაუგონარი ამბით შემფოთებულებმა ამოქექეს მეხსიერებიდან.

\_ სჯობია, სახლშიც აღარ შემოხვიდე, ბიჭი როგორმე უშენოდ გაიზრდება, ან კი რა თავში იხლის შენნაირ მამას, \_ შეაგება მართამ კარებში გაგის.

\_ მომისმინე მართა..

\_ სიკვდილმა მოგისმინოს, \_ თქვა მართამ. მაშინ არ იცოდა, რომ მართლა უსმენდა სიკვდილი, არც ანამ იცოდა მაშინ, რომ მისი პირიდან ამოსულ სიტყვებს:

\_ გაგიმ ძალადობა მოინდომა ჩემზე-ო, \_ რომ სიკვდილი მოჰყვებოდა თან.

ეეე, ვინ რა იცის, საიდან წამოფრინდება სიკვდილი და ბებერი მგელივით დაეძგერება კაცს.

გაგი უხმოდ გავიდა სახლიდან.

ერთი თვე კლდე-ღრეებში დაწანწალებდა.

ენატრებოდა მართა.

ენატრებოდა თავისი ბიჭი.

ხანდახან სოფელს ჩაჰყურებდა და დარდით ილეოდა. თუ ვინმე შემთხვევით წააწყდებოდა, გაგის დანახვაზე გველნაკბენივით კრთებოდნენ, ზურგს შეაქცევდნენ და გარბოდნენ.

ერთხელ, მთიდან მომავალ ანას გადაეყარა.

გზაზე გადაუდგა.

შეშინდა ანა, მუხლები მოეკვეთა და ჩაიხვია.

– არ მომკლა, გაგი. შვილი დამრჩება ობლად, – შეეხვეწა ანა გაგის, მაგრამ გაგის არც უფიქრია მისი მოკვლა და უთხრა ანას:

– მე არც ძალადობა მიფიქრია შენზე და არც სიკვდილს ვაპირებ შენსას, ან კი როგორ მოგკლავ, მე ხომ უკვე მკვდარი ვარ შენგან, – თქვა გაგიმ, შეიტრიალა თოფი და გამოჰკრა სასხლეტს.

ანა დიდხანს ეხვეოდა უსულო გაგის. ეხვეწებოდა გაცოცხლებულიყო, პატიებას სთხოვდა.

იმის მერე, აღარც ანას უცოცხლია დიდხანს.

ლოგინად ჩავარდა.

დადნა.

დღითიდღე მთვარესავით დაილია და იმ გზას გაჰყვა იმისი სული, საითაც გაგი იყო წასული.

სიკვდილი ხომ მშვიერ მგელივით არის და არავინ იცის საით ვის ამოუხტება.

ნეტავი როდის, სად, ვის ამოუხტა პირველად.

მთაში?

იქნებ მინდორში, თავის გზაზე წყნარად მიმავალს.

ან იქნებ?..

პაპის ნათქვამი ახსენდება ლუკას ბავშვობაში ზღაპრად მონაყოლი.

მშვილო, დამიგდე ყური: ძმა რომ გეყოლება და გაიზრდები, რაც არ უნდა მოხდეს, შენს ძმას ავი არ გაუკეთო.

– რა ავი პაპავ?

– არ ეჩხუბო.

– არ ვეჩხუბები.

– არ აწყენინო.

– ის თუ მაწყენინებს?

– შენ მაინც არ აწყენინო.

\_ სხვებს რომ ვეჩხუბო პაპავ.

\_ არც სხვას ეჩხუბო, შვილო.

\_ არც სხვას და არც ჩემ ძმას?

\_ ჰოო, შვილო, არავის.

\_ ძმა რომ მომიკლან, არც მაშინ ვეჩხუბო?

პაპა შეკრთა, არ მოელოდა ასეთ შეკითხვას, თამბაქო შეახვია გაზეთის ნახევში და გააბოლა.

\_ სიკვდილი რა არის პაპავ, ჰა? \_ ახლა მეორე მოულოდნელი კითხვა მიახალა ლუკამ.

\_ რა ვიცი შვილო, ღმერთმა დასწყევლოს!

\_ ღმერთი სად არის?

\_ ღმერთი ცაშია და ჩვენ გვიყურებს.

\_ რატომ გვიყურებს?

\_ იმიტომ, რომ არაფერი დავუშავოთ ერთიმეორეს.

\_ თუ დავუშავეთ?

\_ გაბრაზდება.

\_ რატო გაბრაზდება?

\_ ერთმანეთს რატომ ეჩხუბებითო.

\_ რატომ კლავთო?

\_ ჰო.

\_ ვინ მოიგონა სიკვდილი, პაპავ, ჰა?

\_ კაენმა, შვილო.

\_ კაენი ვინ იყო? მოხუცი დაფიქრდა, დიდხანს პასუხი არ გასცა შვილიშვილს, სიგარეტს აბოლებდა.

\_ კაენი ვინ იყო პაპავ?

\_ კაენი, შვილო, სულ პირველად რომ ადამიანი გააჩინა ღმერთმა, იმის შვილი იყო, ისიც ჩემსავით შენი პაპა იყო, ოღონდ უფრო შორეული პაპა.

\_ პაპისპაპის პაპისპაპა?

\_ ჰოო და, უფრო იმისიმის პაპა.

\_ იმისი იმისი იმისი იმისი?

\_ ჰოო.

\_ როგორ მოიგონა, პაპავ, კაენმა სიკვდილი?

\_ იმას მეორე ძმაც ჰყავდა, ორნი ძმანი იყვნენ, მეორეს აბელი ერქვა.

\_ ის ვისი, იმისიმისიმის პაპადა იყო, პაპავ?

\_ ის არავისი, შვილო. ჩვენ სუყველანი კაენის შვილიშვილები ვართ.

\_ შენც შვილიშვილი ხარ, პაპავ?

\_ ჰოო, შვილო.

\_ აბა, პაპა რო ხარ?!

\_ პაპა შენთვის ვარ, შვილო, და მე რომ პაპა მყავდა, იმისთვის შვილიშვილი.

\_ მე რომ შენი სწორი შვილიშვილი მეყოლება, მაიცა.. \_ დაიბნა ლუკა, \_ მე რო პაპა ვიქნები, ხო მეყოლება შვილიშვილი, პაპავ?

\_ ჰოო, შვილო, გეყოლება.

\_ მერე?

\_ რა მერე?

\_ მერე სად წავალ, პაპავ?

მოხუცი ისევ დადუმდა, გააბოლა, მერე თქვა:

\_ ლუკავ, აბა ყური დამიგდე, ზღაპარს მოგიყვები.

ლუკა მუხლზე შემოუსკუპდა და გაინაბა.

\_ იყო ორი ძმა, \_ დაიწყო მოხუცმა, \_ ერთს კაენი ერქვა, მეორეს აბელი. იმათ, მშობლების გარდა არავინ ჰყავდა. არც იმათ მშობლებს ჰყავდა მეტი ვინმე. მთელ ქვეყანაზე ამათ გარდა, კაცის შვილი არ ჭაჭანებდა. აბელი ცხვარს მწყემსავდა, კაენი კიდე, მიწასა ხნავდა, ისეთი ყანები ჰქონდა, ქარი რომ წამოუბერავდა, ზღვასავით ღელავდა. აბელსაც ბევრი ცხვარი ჰყავდა. ესენი ამიტომ ღმერთის მადლობლები იყვნენ და შესაწირი მიართვეს, ერთმაც თავისი ალალი გულით, მეორემაც. ღმერთი აბელისაგან უფრო მადლიერი დარჩა, იმის შესაწირი უფრო ესიამოვნა. კაენს ეწყინა ძმის სიკეთე და ღმერთს უსაყვედურა, რატო მაგას და მე, არაო.

\_ მაგას რაო? \_ ჰკითხა ლუკამ.

\_ მაგას რატომ ემადლიერებო?

\_ ამან უფრო ალალი გულით შემომწირაო, \_ უთხრა ღმერთმა. წამოვიდა კაენი. ერთი სული აქვს ძმას რამე უხიმანოს, არ იცის კი რა. დედ-მამისა ეშინოდა და ძმას უთხრა, წამო, მინდორში გავისეირნოთო. რა მინდორი ის იყო, უდაბნოში ცხოვრობდნენ. წაჰყვა ესეც თავის ალალ გულზე, ან რისი შიში უნდა ჰქონოდა, ჯერ არც ერთმა არ იცოდა, რა იყო სიკვდილი. ჯერ არავინ მომკვდარიყო და აბა საიდან ეცოდინებოდა. ჰოდა, ეტყობა ქვიანი ადგილიც იყო, აილო ქვა და ძმას თავში ჩაარტყა გულმოსულმა კაენმა. გადაიქცა აბელი, აფართხალდა და მოკვდა.

კაენი ჯერ ვერ მიხვდა რა მოუვიდა ძმას.

წამოყენება უნდოდა, აზიდა, ასწორა, ფეხზე ვერ დააყენა. რა არ სცადა, რა არ იღონა, არ იცოდა რა იყო სიკვდილიდა ხან ეხვეწებოდა ადექო, ხან უყვიროდა. მანამდე ცხვარი დაეკლა შესაწირავად და საჭმელად, მაგრამ კაცის სიკვდილი თუ შეიძლებოდა, ამას ვერ წარმოიდგენდა. აბელი აღარ ამდგარა. რაღას ადგებოდა, მოკვდა.

ბოლოს, ფეხზე რომ ვერ დააყენა, დედ-მამისა შეეშინდა კაენს და გადაწყვიტა დაემალა ძმა.

იფიქრა, იფიქრა, ვერაფერი მოიფიქრა.



ეს რომ ამ ფიქრში იყო, ამ დროს, იმათ შორიახლო მოფრინდა ორი ყვავი. ერთმა მეორე მოკლა, მერე ფეხებით მიწა გაქექა, ამოთხრილ მიწაში მკვდარი ყვავი ჩააგდო და ზემოდან ისევ მიაყარა მიწა.

ეს რომ კაენმა დაინახა, თვითონაც გათხარა მიწა, ჩააგდო შიგ მკვდარი ძმა და მიაყარა მიწა.

აი, ესე მოიგონა კაენმა სიკვდილი, შვილო, \_ უთხრა პაპამ ლუკას და ჩამქრალი სიგარეტი შორს მოისროლა.

მაშინ ზღაპარივით მოუყვა პაპამ და სერიოზულად არასოდეს უფიქრია ლუკას ამაზე. სიკვდილის რიდი და შიში კი ყოველთვის ჰქონდა. როცა სოფელში ვინმე მოკვდებოდა, რაღაც ამოუცნობი მძიმე სევდა რამ დააწვებოდა პატარა გულზე და სულს უხუთავდა.

მერე თანდათან შეამჩნია, სოფელში ყვავი რომ საავოდ ასტეხდა ჩხავილს, ვინმეს სიკვდილი გაიგონებო, ჩიოდა ხალხი.

როცა ბუნება გარდაიცვლებოდა და ზამთარი უნდა დამდგარიყო, აი, მაშინაც ყვავები მორთავდნენ ჩხავილს.

ნეტავ რა იციან ყვავებმა?

ამ ფიქრებში იყო გართული, რომ ყვავის ხმა მოესმა გარედან ლუკას.

შეკრთა.

ანგარიშმიუცემლად გამოვარდა გარეთ:

ყვავი კი არა, თევდორე იდგა სახლის შორი-ახლო და ლუკას ეძახდა:

\_ ლუკაა! ლუკაა!

ლუკას კიდევ ისე ჩაესმა სახლში, თითქოს ყვავი ჩხაოდა:

\_ ყვააა! ყვააა!

\_ მოდი, ლუკავ, მომეშველე, \_ ეძახდა თევდორე.

ლუკამ თევდორესთან მიიღბინა. იმას ჭრელი ძროხა ეჭირა და უყვავებდა, ეფერებოდა.

\_ რა დაემართა?

\_ ხბოს აჩენს ლუკავ, შენ საბლით დამიჭირე, მე მივეხმარები, \_ თქვა თევდორემ და პალტო გაიხადა.

ძროხას დიდი, ჭკვიანი თვალები ჰქონდა.

მეორე ძროხაც იქვე იდგა, ზმუოდა.

ძალიც იქვე ჩამომჯდარიყო და ყურებდაცქვეტილი თვალს ადევნებდა.

მარტო პატარა ხბო ვერ ისვენებდა, ხტოდა, დარბოდა, თოვლში ეფლობოდა.

თევდორე ძროხას ეხმარებოდა ხბოს გაჩენაში.

ლუკას საბელი ეჭირა და ძროხას აკავებდა.

დაიბადა.

თოვლივით თეთრი ხბო დაიბადა.

\_ სახარეა, \_ თქვა თევდორემ და რომ არ გაცივებულებო, თოვლზე თავისი პალტო დაუფინა და ზედ დააწვინა.

პატარა ბოჩოლა იმ წუთში აიტანა კანკალმა.

დედამ ალოკა.

დევდორეს გაბრწყინებული სახე ჰქონდა და თოვლით იბანდა ხელებს, მერე ბოჩოლას დააკვირდა გაღიმებული.

\_ რა თეთრია, \_ თქვა ლუკამ.

\_ ჰო, თუ ამასაც წითელი მგელი არცა წამოვარდა თავს, \_ თქვა თევდორემ, რომელსაც იმის თქმაზე სევდა ჩაუდგა თვალებში.

წუთის წინ სიცოცხლის დაბადებას ზეიმობდნენ. ისეთი ბედნიერი სახე ჰქონდა თევდორეს, ისე იდგა, ისე უცმიციმებდა სიხარულით თვალები. ახლა ის ხალათის უბეზე გამოკერებული ყვავილიც ისე უხდებოდა, წამით დაავიწყდა კიდევ ლუკას რომ თევდორე როდისმე უბედური იყო, თითქოს ცოდვებიც ჩამოხსნოდა, ისე იდგა გაბრწყინებული, ახლა კი უცებ მოიწვინა და სევდა ჩაუდგა თვალებში.

\_ ცუდად ხომ არ გახდი, ძია თევდორე?

\_ არა. ლუკავ, ცოდვამ მომაკითხა. განა ერთი და ორი მაქვს ჩადენილი, მაგრამ ისინი მე აღარ მეკითხებოდა, მანამდე რაც ჩამიდენია, ის უფრო მიმძიმს.

\_ რას იზამ, ნადირი ვის არ უბოცია, \_ გამართლება მოუძებნა ლუკამ.

\_ მარტო ეგ რომ იყოს, კიდევ რა უჭირს, განა ესეღა დავისჯებოდი. ისე გამიერთგულა სიკვდილმა, ერთხელ, რომ ველარაფერი ვინადირე, პატარა ხბო დავკალი და თავისივე დედის რძეში მოვხარშე. კი ვჭამე, მაგრამ ვაი იმ ღამის გათენებას, მოვხუჭავდი თუ არა თვალს, მამაჩემი დამიდგებოდა. შეწუხებული სახით შემომყურებდა გოცებულს. უცებ მეღვიძებოდა, ვბორგავდი, ძლივს გავათენე. მეორე დღეს სანადიროდ წავედი და აკი იმ ამბავს არ გადავაწყდი.

ძროხას უკვე გაელოკნა ხბო.

ახლა უფრო თეთრად ქათქათებდა.

თევდორემ პალტოში შეახვია და ისე წაიყვანა გომურისაკენ. ძროხა ზმუილით გაჰყვა.

«ნეტა თუ გრძნობს, რომ მგელს უჭირავს მისი შვილი და იმიტომ ზმუის» \_ გაიფიქრა ლუკამ.

თვითონვე შერცხვა თავისი ფიქრის.

ისე ჩახუტებული მიჰყავდა ხბო თევდორეს და უკან ადევნებული ძროხები და ძაღლიც კი, ისეთ იდილიას ქმნიდნენ, ცოდვა იყო თევდორეზე ცუდად გეფიქრა.

ან როგორ გაბრწყინებული თვალები ჰქონდა.

ანდა როგორ ახვევდა თავის პალტოში, რომ არ შესცივნოდა ხბოს.

«მაგრამ?..»

«თანაც რომ ღამდება?»

«არა, არა, ცოდვა არის ასეთი ფიქრი»..

ლუკა გომურისაკენ წავიდა. თევდორეს უკვე ბაგაში ჩაფენილ თივაში ჩაეწვინა ხბო.

– ჯერ გათბეს, მერე მოვაწოვებ, – უთხრა ლუკას და მეორე ძროხაც დააბა.

მერე თივა შემოიტანა და ბაგებში ჩაუყარა.

ძალლი გომურის შესასვლელთან იჯდა და ცალი თვალით იყურებოდა, ეტყობა ძალიან აინტერესებდა შიგნით რა ხდებოდა. შემოსვლით კი არ შემოდიოდა, ეტყობა თავისი ძალღური სინდისი არ აძლევდა ამის ნებას.

დიდი ხბო თავისდედას სწოვდა.

– ამასაც ემშიება, ლუკავ, ამასაც მოვაწოვოთ, – თქვა თევდორემ და პატარა ხბო ამოიყვანა ბაგიდან, დედას მიუსვა და იმანაც იმ წუთში იპოვა ძუძუ.

უცებ თევდორეს ქუდი მოეხადა და პატარა ხბოს ჩამოეცვა თავზე.

იმან გაკვირვებულმა თავი ასწია და გაიტრუნა.

ლუკამ გაიცინა.

თევდორესაც გაეღიმა, ხბოს ქუდი მოხადა და დაიხურა.

– ჩვენ ხროში ერთი მგელი იყო, ფაცას ვეძახდით, – ამბის მოყოლა დაიწყო თევდორემ და ბაგაზე ჩამოჯდა, – ეხლა რომ მახსენდება, მეცინება, უფრო კი მეცოდება. რაღაც უცხო რამ ამბავი იყო იმის თავს, აიმ დათვისა არ იყვეს, ხიზანიანთ რომ მოჰპარა გადამალული ქვები და უნაგირი. აბა რად უნდოდა, ცხენს ის ვერ შეჰკაზმავდა და საჭმელს ქვაბში ვერ გაიცხელებდა, მაგრამ დათვია და ხასიათი, მოეწონა და თავის სოროში წაიღო. ფაცასაც ერთი ქუდი ჰქონდა, კაზახური ქუდი, სადაც წავიდოდით, იმ ქუდს დაათრევდა პირით, დავისვენებდით, ისიც შეჰყოფდა ქუდში თავს, ჩამოსკუპდებოდა და იჯდა კაცივით ქუდჩამოფხატული. არ ვიცი, იქ არავინ არ ამხელდა თავის ვინაობას, შეიძლება ფაცაც ჩემნაირი მგელი იყო, მიჩვეული იყო ქუდის ტარებას და იქაც ვერ იშორებდა. ხო იცი მიჩვევამ როგორ იცის, ერთხელ რომ გაუტკბა მიწას კაცის ხორცი, იმის მერე შემოგვეჩვია და გვჭამს. ჩვეულება ისეთი რამეა, ძნელად თუ ვინმეღა რამეს მაიშლის. შეიძლება ფაცაც ქუდს იყო ერთ დროს, მიჩვეული და მგლობაშიც ვეღარ იშორებდა. შეიძლება სულაც თავიდანვე მგლად დაიბადა და იმ დათვისა არ იყოს, სადღაც იპოვა ის ქუდი, ან რომელიმე კაცის თავზე დახურული ნახა მგზავრი, ალბათ, მგლებმა მოაქციეს რკალში, ერთი სიტყვით ფაცას კაზახური ქუდი ჰქონდა. სამსჯავროზე უშლიდნენ იმ ქუდით ჯდომას და როცა დორაისხევში უნდა წარვმდგარიყავით, ერთ ამოჩემებულ ადგილას ინახავდა ტყეში.

საწყალი გულისა კი იყო ფაცა.

ეგეთი კეთილი მგელი მე არ მინახავს: წრეში რო ვინმეს მოვიმწყვდევდით, ფაცა ქუდს ჩამოიხურავდა და ისე იჯდა თავის ადგილზე. წავიწევდით, წამოიწევდა ქუდჩამოფხატებული. რო მივესეოდით მსხვერპლს და ვჯიჯგნიდით, ფაცა ისევ ქუდჩამოფხატული იჯდა და გვიყურებდა.

– ქუდი არ მოგძვრეს, ქუდი, – დასცინოდნენ მგლები.

ერთი-ორჯერ კი შევამჩნიე, ასე ჩამომჯდარ ფაცას ცრემლები ჩამოსდიოდა.

ნახევარზე მეტად მშიერი დადიოდა.

გამხდარი იყო, გაძვალტყავებული.

ერთხელაც, როცა სამსჯავროდან ავიშალენით და ტყეს შევერიეთ, ფაცამ თავისი ქუდი მოძებნა. იმ ადგილას რომ მივიდა, სადაც შეინახა, ჩიტმა შეიფრთხიალა.

ფაცა შედგა.

ყურები აცქვიტა და ქუდს დააჩერდა.

არ იღებდა, ჩვენსკენ იყურებოდა. მგლები წიფლებში მიძუნძულებდნენ. ფაცა იდგა და ყურებდაცქვეტილი ქუდს უყურებდა.

მივედი.

ვხედავ, ქუდში სამი ვარდისფერი კვერცხი ჩაუდია ჩიტს.

ფაცამ მე შემომხედა.

მე თვალი ავარიდე.

ის შემობრუნდა და მგლებს აედევნა.

მეც იმას წავეყვი.

ამის მერე ხშირად მოდიოდა, ქუჩის შორიახლო ჩამოყუნცდებოდა და მალულად უთვალთვალებდა შიგ ჩაბუდებულ ჩიტს. მელიას და კვერნას ხომ არ ატარებდა ახლომახლო.

ასე გაგრძელდა, მანამ ჩიტმა ბარტყები არ გამოჩეკა.

მერეც ასე გაგრძელდა.

ახლა უფრო ყარაულობდა ფაცა ჩიტის ბუდეს. ხანდახან კისერს წაიგრძელებდა და ინტერესით გადაჰყურებდა ბუჩქებიდან. ახლოს კი არ მივიდოდა, ეტყობა არ უნდოდა ჩიტის დაფრთხობა.

მერე ბარტყებმა ფრენა ისწავლეს.

გაფრინდებოდნენ, ისევ მოფრინდებოდნენ.

ერთხელაც, როცა გაფრინდნენ, აღარ გამოჩნდნენ.

ფაცა ცოტა ხანს კიდევ დაელოდა, მერე მივიდა. აილო თავისი ქუდი და მონატრებულმა თავზე დაიხურა.

ასე იჯდა კარგა ხანს.

ამის მერე ისევ კბილებით დაჰქონდა.

ერთხელ, ჯალაბას წინამძღოლობისას, დამშეულები ვიყავით და ერთი მაღალი სერიდან ჩამოვყურებდით ქვეყანას.

ქვემოთ ფერდი იყო.

უფრო ქვემოთ კი დიდი უფსკრული.

სერზე ვისხედით და წინამძღოლის ბრძანებას ველოდებოდით.

ჯალაბამ აგვიარ-ჩაგვიარა ასე ჩამომსხდრებს.

გვაკვირდებოდა.

თვალს თვალში გვიყრიდა.

ფაცასთან რომ მივიდა შედგა, ავად აებურძგლა ბეწვი.

ფაცა უკანა ფეხებზე იჯდა და თავისი კაზახური ქუდი ეხურა.

– რა გააჭირე საქმე! – გაუქნია ჯალაბამ ტოტი და გააგდებინა თავიდან ქუდი.

ჩვენს ქვემოთ დაქანებულ ფერდობზე დაგორდა ქუდი.

გამოედევნა ფაცა.

ქუდი მრგვალი იყო და სწრაფად მიგორავდა.

ფაცას დაღმართში სირბილი უჭირდა.

წაეტანა.

თითქოს დაიჭირა კიდეც წინა თათებით.

მაგრამ ქუდი ისევ გაუვარდა და ისევ გაგორდა.

ისევ დაედევნა ფაცა.

ქვემოთ ფერდობი თავდებოდა და კლდე იწყებოდა.

ჰაერში გაფრინდა ქუდი და ქვემოთ დაემშვა.

ფაცამ თავი ველარ შეიკავა და თან გადაჰყვა.

კარგა ხანს იმისი დაცემის ბანჩა-ბუნჩი ისმოდა უფსკრულიდან, მერე ეს ხმა ნელ-ნელა მიწყდა და როცა უფსკრულს გადავხედეთ, ჩვენს ქვემოთ წითლად იყო კლდე შეღებილი..

ქუდი კი უფსკრულის სიღრმეში მიფრინავდა.

გარეთ ნელ-ნელა ჩამობინდდა.

ახლა ძაღლის სილუეტითა ჩანდა შემოსასვლელში.

– წამო ლუკავ, ჩვენც დავნაყრდეთ, – წამოდგა თევდორე და ხბო ისევ ბაგაში ჩაფენილ თივაში ჩააწვინა.

სახლში შევიდნენ.

– ლუკავ, შენ ცეცხლი აანთე, სტუმარი ხო აღარა ხარ, უკვე შინაური ხარ, – უთხრა თევდორემ და ხელ-პირის დასაბანად გაბრუნდა დერეფანში.

ლუკამ ცეცხლი აანთო.

– ფუკ-ფუკ-ფუკ-ფუკ, – ისევ წუხანდელივით აგუგუნდა ღუმელი, ლამფა არ ენთო და ცეცხლის შუქმა გაანათა კედლები.

ლუკა სურათებთან მივიდა.

პატარა გოგონას, ხელში ყვავილები რომ ეჭირა და ცხენებზე ამხედრებულ კაცებს უწვდიდა, ახლოდან ანგელოზს ჰგავდა. ჩალისფერი კულულები ეყარა პატარა ბეჭებზე და მხრებსაც უფარავდა, სამაგიეროდ მხედრები გამოიყურებოდნენ მიწიერი სიჯიუტით.

თევდორე შემოვიდა.

ლამფა აანთო და მერე ისიც ლუკასთან მივიდა.

– კარგი სურათია, – თქვა ლუკამ, უფრო იმიტომ, რომ ვერ იტანდა, როცა თევდორე ღუმდა; ჩვენებოდა რომ ასეთ დროს, რაღაცას მასზე ფიქრობდა თევდორე.

– ეგ თეთრწვერა კაცი მამაჩემია, ეგ მხედრები კი ჩვენი სოფლელი ბიჭები.

\_ სად მიდიან?

\_ ომში წავიდნენ და აღარც ერთი აღარ მობრუნებულა, ჩემი ძმის გარდა, ერთადერთი ეგ გადარჩა, დანარჩენებს ეხლაც ელოდებიან, მაგრამ მომსვლელნი აქამდე მოვიდოდნენ. ჩემი ძმაც რა ვიცი რა ძალამ გადაარჩინა, დაილოცოს წმინდა სამება. მამაჩემის ალი და კვალთა თავით ბოლომდე. ეხლაც ცოცხალია, ჩემზე უფროსია, ქვემოთ სოფელში ცხოვრობს. ხანდახან ვფიქრობ ხოლმე: მამაჩემს რომ დაემსგავსა, იმან უშველა-მეთქი ომში, თორემ რაღა ეგ გადარჩა! ლეგო ჰქვია. ბაღდათიდანვე ისეთი გულის პატრონი იყო, სხვები რომ ჩიტებს დასდევდნენ შურდულებით, ეგ ტირილით დასდევდა იმათ და არ ესროლოთო, ეხვეწებოდა. სუ რაღაცა ეცოდებოდა თავის ცხოვრება, სუ იმას მიშლიდა, შეუბრალებელი ნუ ხარ, სანადიროდ ნუ დადიხარო. აბა, ამხელა ხეობიდან იმოდენა ხალხი წავიდა და თითქმის სუ იქ ჩაიხოცნენ, იშვიათად თუ ვინმეღა მობრუნდა, ისინიც ზოგი დაჭრილი იყო, ზოგი ცალფეხა და ზოგიც მერე გადაჰკარგეს შორეულში, ტყვედნამყოფები ვინც იყვნენ, იმათ არ ენდობოდნენ, რატო ჩამოჰბარდითო. ჩემ ძმასაც დაუპირეს ერთი ხანობა რაღაც, მაგრამ ისევ უშველა ვიღაცამ.. თავის სიკეთემ უშველა, აბა რამ უშველა. სადაც ლეგოს ნაწილი იდგა, იმის მოშორებით გველის წიწილები უნახავს ლეგოს. მე რა გამაჩერებდა, თავებს არ გავუსრესდი, მაგას არა,ხო გეუბნები, ისეთი გული აქვს, რო!

ერთ დღეს წავიდა ლეგო, წაუღო რძე და აჭამა ი გველის წიწილებს. დაობლებულები ეგონა და ეცოდებოდა. რა ვიცი, იმათ შეცოდებას რა მამაფიქრებდა.

მეორე დღეს წავიდა.

მესამე დღეს.

აჭმევს რძეს და ისინიც მიეჩვივნენ.

ერთხელაც, რო დაუდგა რძე საჭმელად და იმათ ჩაყვეს «კატილოკში» თავები, უკანიდან სისინი მოესმა.

მოიხედა.

უზარმაზარი გველი დგას ყალყზე, წამოუწევია თავი და სისინებს.

გაქცეულა.

ერთი კვირა აღარ მიჰკარებია იმ ადგილს.

მე ან მერე რა მიმაკარებდა, მაგრამ ისევ მისულა.

უკვე იცოდა, როდის იყვნენ მარტოკები. იმის მერე, თურმე, ისევ უზიდავდა რძეს.

წავა-წამოვა.

წავა-წამოვა.

ერთხელაც, კიდევ რო დაუდგა რძე და იმათ თავები ჩაყვეს რძიან «კატილოკში», ამ დროს შემოჰხვევია ის უშველებელი გველი ფეხებიდან. სადღა გაიქცევა ლეგო. დაეხვია, დაეხვია და თავი ისე გასწია იმის თავთან, თვალეზში უყურებს.

გული წაუვიდა ლეგოს.

არ ვიცი, გული წამივიდა, თუ დამეძინაო, ეხლა იხსენებს-ხოლმე. გონს რომ მოვიდა, თურმე ისევ ახვევია და არ უშვებს და თვალეზში უყურებს.

მერე, რა ვიცი, რამდენ ხანს ჰყავდა ასე დაჭერილი, ისევ თვითონ შემოიხსნა და გაუშვა.

იმ ადგილას რომ მივიდა ლეგო, სადაც იმის ნაწილი იდგა, გაოგნებულა, იმაზე მეტად, ვიდრე იმ გველმა დამართა: გერმანელები დასცემიყვნენ თავს და ერთი არ დაეტოვებინათ ცოცხალი.

ახლა იქ წასვლია ლეგოს გული.

ომი რომ დამთავრდა და შინ მოვიდა, ერთი პირობა ლეგოსაც დაუპირეს შორეულში გადაგზავნა, ეჭვი ეპარებოდათ, ან გაპარული იყო, ან გერმანელებთან ჰქონდა პირი, თორემ რაღა ეგ გადარჩა ცოცხალიო, ისევ რაღაცამ უშველა; ალა რაღაცამ, თავის გულმა და მამაჩემის ალი-კვალობამა.ეგეც ისევე დაბერდება, შეიძლება ისე არ აყვავდეს, მაგრამ სამარე მაინც აუყვავდება, ეგეთია, ყვავილივით უცოდველი კაცია თვითონაც.

\_ ის პატარა გოგო ვინდა არის?

\_ ჰოო, მარიამია, ლეგოს უფროსი გოგო, ომში რომ წავიდა, მაშინ მარტო ეგ ჰყავდა.

\_ ეხლაც ეგეთი ლამაზია?

\_ ალბათ.

\_ აღარ გინახავს?!

\_ ლეგო რომ წავიდა, მაგან ყვავილები მოუტანა. ლეგო აბა ყვავილებს ხომ არ გამოართმევდა ბავშვებს, უბრალოდ ვერ მოიფიქრა, ომში მიდიოდა, რაღა ყვავილების გული ჰქონდა, ცოლ-შვილს სტოვებდა. არ ვიცი, ის იდარდა მარიამმა, მამამ ყვავილები რომ არ გამოართვა, უფრო იმას ვფიქრობთ, მამის დაშორება ვერ აიტანა, ისე უყვარდა, სულ ყელზე ჰყავდა ჩამოკიდებული ლეგოს. აღარც სვამდა, აღარც ჭამდა, სუ ლეგოს გზას გაჰყურებდა, მოელოდა, დარდობდა, თვალსა და ხელს შუა გვიქრებოდა.

აკი გაგვიქრა კიდეც.

ომიდან რომ დაბრუნდა და ეს ამბავი დახვდა, ერთი ესა თქვა ლეგომ:

\_ მე არ დავჩენილიყავი და ის დარჩენილიყო ცოცხალი, რა იქნებოდაო! \_ ამის მეტი ღვთის სამდურავი სიტყვა არ დასცდენია იმის ბაგეებს.

ის ყვავილები ეხლაც შენახული აქვს.

\_ რო მოვა, მაშინ გამომართმევს მამიკოო, იმახოდა მარიამი და ინახავდა ბალიშის ქვეშ ყვავილების თაიგულს.

ის ნაწნავებიანი ქალი დედაჩემია.

ხელში რომ ბიჭი უჭირავს, ის მე ვარ. თევდორემ ლუკას შეხედა და ჰკითხა:

\_ მგაავს?

\_ კი, გგავთ, \_ ორივემ გაიცინა.

\_ მოდი ეხლა და ჩვენ გავტეხოთ პური, ლუკავ, \_ თევდორემ ხშიადი გადატეხა, მერე თაფლის არაყი ჩამოასხა და დაილოცა.

\_ პურისა და წყლის გამჩენს გაუმარჯოს ქვეყანაზე.

\_ ამინ, \_ დაემოწმა ლუკა.

არაყი მოსვეს და მომშეულები მადიანად შეექცნენ ხმადსა და თაფლს.

ცოტა ხანი ჩუმად იყვნენ.

უხმოდ ჭამდნენ.

ლუკამ თაფლიან ჯამში მკვდარი ფუტკარი დაინახა და დააკვირდა. თევდორემაც შენიშნა.

ორივე ფუტკარს უყურებდა.

თევდორემ ფუტკარი ამოიღო პურის ყუით, ხელზე დაიდო და თქვა:

\_ სუფთა, სუბუქი ფრინველი, შორით მომტანი ვარდისა.

ჯერ ცისა მოსამსახურე, მერე ყოველი კაცისა.

მწერთათვის კი ასე დაუწესებია ღმერთს ლუკავ, ზოგი ფუტკრად და ჭიანჭველად გააჩინა, ზოგი წურბელად და ზოგი ობობად. ერთნი სულ ჯაფაში არიან, მეორენი სხვის სისხლსა სწოვენ, სხვანი კი ერთთავად მახეს აგებენ. ზოგი კიდევ პატარა ციციანათელად გაუჩენია ო

იწვის,

ანათებს,

თავისთვის იწვის, ცეცხლი უკიდია, არაფერს კი არ სწვავს თავის თავის მეტს, მთელ ღამეს კი ათბობს იმისი შუქი.

ასეა, ასე დაუწესებია დამბადებელს.

ყველანი იმად არიან დღემდე, რადაც გააჩინა გამჩენმა.

მერე, ვინ იცის, ზოგი მგლად ვიქცევით, ზოგი ფუტკრად, ზოგი ობობად ზოგიც ციციანათელებად, იმისდამიხედვით თუ ვინ როგორ ვცხოვრობდით ამ ქვეყანაზე.

ლუკა ყურს უგდებდა.

ღუმელი თავის საფიქრალს ჰყვებოდა.

თევდორემ კიდევ ჩამოასხა:

\_ ამით დედებს გაუმარჯოს, ლუკავ, წასულებსაც და ცოცხლებსაც. საერთოდ დედობის გრძნობას გაუმარჯოს. ყველას ხო დედა აჩენს კაცსაც, ფუტკარსაც, ჭიანჭველასაც. შენ წარმოიდგინე, როგორი თბილია ციციანათელის დედის გული, როგორი დადლილ-დაქანცულია ფუტკრის დედის გული.

ლუკა გაოცებული უსმენდა თევდორეს.

\_ ერთხელ, ამასაც ისევ ჩემი მგლობისდროინდელს გიყვები, კარგად აღარ მახსოვს, რომელი იყო წინამძღოლი, ფაცა ჯერ ისევ ცოცხალი იყო, ისიც ჩვენთან ერთად იყო ჩამოყუნცებული და თავისი განუყრელი ქუდი ეხურა. დილას აქეთ დათვებს ჩავყურებდით: დედა იყო, მამა და ორი პატარა ბელი. არ ვიცი რა იყო მიზეზი, სხვა დროს ასეთი რამე არ მინახავს, მამა დათვი შესაჭმელად ეტანებოდა, დედა დათვი გამწარებული იგერიებდა და შვილებს ეფარებოდა, რომლებიც შეშინებულნი



ჩხაოდნენ, ეტყობა მიხვდნენ რაშიც იყო საქმე. დედას ეკვროდნენ უკანა ფეხებთან, წინა ფეხებითა და კბილებით კი მამას იგერიებდა დედა.

დილიდან ამ სანახაობას ვუყურებდით. არ ვიცი, ისე როგორ შიოდა მამას, რომ შვილებისაკენ იწევდა, ასეთ რამეს მგლებთან არასოდეს შევხვედრივარ და სხვაგანაც პირველად ვხედავდი. ეტყობა ყველას უკვირდა, ყველა ხმის ამოუღებლად ვადევნებდით თვალს.

მამა დიდი იყო და ღონიერიც, მაგრამ დედა ისე იყო შვილებზე გადაფოფრილი, მხოლოდ კბილს თუ გაჰკრავდა ან ერთს, ან მეორეს მამა, დანარჩენის საშუალებას ჯერჯერობით არ აძლევდა დედა.

ისეთი ამბავი იყო, იმ ადგილიდან შორს მიფრინავდნენ ფრინველები. მარტო ყორნები უვლიდნენ ჩვენს ზემოთ ცაში წრეს. ეტყობა იმათაც მამა დათვის იმედი ჰქონდათ და მოთმინებით ელოდნენ ნასუფრალს.

გადავიდა შუადღე.

მზე გადაიხარა.

ჩანდა, დედა დათვის ძალა ელეოდა, ძლივსღა იგერიებდა.

სხვა დროს დათვების ჩხუბში არ ჩავერეოდით, მაგრამ ახლა რატომღაც გადავწყვიტეთ დედა დათვის მივშველებოდით.

საომრად დავეწყვეთ და წინამძღოლის ნიშანსღა ველოდით.

დედა დათვის ძალა ელეოდა.

აიქნია წინამძღოლმა ტოტი და გავქანდით.

უცებ წრეში მოვაქციეთ მამა დათვი და დედას საშუალება მივეცით გაქცეულიყო, გაეცილებინა შვილები. თუ ვერაფერს ვუზამდით მამა დათვის, იმდენხანს მაინც დავაკავებდით, რომ დედას სამშვიდობო ადგილას გაეყვანა ბელები.

ჩვენ წრეში ღრიალით დატრიალდა მამა.

დედა ცოტა ხანს სულს ითქვამდა; არ მიჰყავდა ბელები, მაგრამ სული რომ მოითქვა, იცი რა ქნა? ჩვენსკენ გამოექანა და უკანიდან ხან ერთს დაგვეცემოდა, ხან მეორეს, ცდილობდა როგორმე ჩვენი წრე დაეშალა, რომ იქედან გასვლა შეძლებოდა მამა დათვის.

რა თქმა უნდა, მოახერხა ეს და გაგვისხლტა მამა დათვი, წაიქშუტუნა, ქვემოთ დაეშვა და დედა დათვიც იმის კვალს გაჰყვა ბელებიანად.

ცოტა ხანს ასე ვისხედით წრეზე. ერთმანეთს ვუყურებდით პირდაღებულნი. მერე ისევ გორზე გადავდექით და ქვემოთ გავიხედეთ: დათვები ისევ ერთად გარბოდნენ, გზადაგზა შეისვენებდნენ, ბელებს დაელოდებოდნენ, მერე თათებს წამოარტყამდნენ უკან, ააჩქარებდნენ, ამით, წინ გაუშვებდნენ, მოგვხედავდნენ, კიდევ ხომ არ მოგვდევენო და ისევ გარბოდნენ.

\_ ხო იცი, ლუკავ, შაშვმა რა თქვა.

\_ რა?

– თორმეტი გალობა ვიცოდი, მიმინომ დამიქროლა და სულ დამავიწყდაო, ეგრე ვართ, მგლებმა სუყველაფერი გადამავიწყეს. თუ კაცი ერთხელ მგლის გზას დაადგა, ადამიანებისას ივიწყებს. ისევ იმ ჩემი მგლობისას გიყვები, კინაღამ ჩემ ძმას რომ დავეწიე სოფლის ბოლოს.

ლუკა გაინაბა.

– ზამთარი იყო, ჯერ მთვარე არ ამოსულიყო, მაგრამ ნათელი ღამე იყო. სოფელს ვუთვალთვალეზდით გაღმა გორიდან.

გვშიოდა.

თან ციოდა.

კბილს კბილზე ვაკაწკაწებდით.

გეგმა დავაწყეთ: მე უნდა ავსულიყავი სოფელში, რომელიმე ძაღლს ქვეშ გავგებოდი, მელაქუცნა, კუდი მექნივნა და ხევში გამომეტყუებინა, იქ დანარჩენებიც დავგვხვდებოდნენ და მერე შენ იცი.

ლუკას შეაჟრჟოლა. ახლა მას ისევ მოეჩვენა რომ თევდორე, რაღაც თამაშში აბამდა. თითქოს ლუკა ძაღლი იყო და თევდორე თავისი ლამაზი სიტყვებით საითკენაც იტყუებდა, სადღაც სხვა მგლები ჰყავდა ჩასაფრებული.

ისინი ხევს აჰყვნენ ძალულად, მე სოფლისაკენ წავედი. არ გამეველო დიდი გზა და ვხედავ სოფლისაკენ კაცი მიდის. ხო, ის აღარ გითხარი. ჩემ სოფელს ვუთვალთვალეზდით. კაცი რომ დავინახე, ჯერ მოზრუნება დავაპირე, ვიფიქრე დანარჩენებისათვისაც შემეტყობინებინა, მაგრამ ისევ გადავიფიქრე: ამასობაში შეიძლება კაცი შორს წასულიყო და ვეღარ დავწეოდით.

თოვლში გავწექი და ხოხვით დავიწყე მიჰარება.

მანძილს თანდათან შეუმჩნეველად ვამოკლებდი.

ერთ ადგილს შედგა.

სიგარეტს მოუკიდა.

ცეცხლმა ცოტა შემაკრთო, მაგრამ დამშეული ვიყავი.

უცებ მოსწყდა ადგილს და გაიქცა სოფლისაკენ, ეტყობა დამინახა. წამოვვარდი და მეც დავედევნე.

მირბოდა და ყვიროდა, უსტვენდა.

ჯერ კიდევ კარგა გზა გვქონდა სოფლამდე დარჩენილი.

თანდათან ვუახლოვდებოდი და რაც უფრო ახლოს მივდიოდი, მით უფრო რაღაცით ვგრძნობდი რომ ლეგო იყო, ჩემი ძმა, რაღაცა შემაყენებდა, მაგრამ რაღაცა ისევ წინ მიბიძგებდა. თან იმასაც ვგრძნობდი რომ ლეგო იყო, თან იმისი უცოდველობა უფრო მახელებდა, ჩემი მხრიდან მგელი ვიყავი.

ის, რა თქმა უნდა, ამას ვერ გრძნობდა, ყვიროდა. მშველელს ეძახდა.

სოფელში ძაღლები აყეფდნენ.

ჩვენ შორის თანდათან მოკლდებოდა მანძილი და ის იყო უნდა დავცემოდი. ნახტომიც კი გავაკეთე ამისათვის, რომ ლეგომ ღობეზე გადამასწრო, ფეხი წამოსდო და თავით ჩაერჭო თოვლში.

მე ლეგოს ჩექმა შემრჩა პირში და ამ დროს მეცნენ სოფლის ძაღლები. თავი ვანებე ლეგოს და იმათ წავეტანე.

ბევრნი იყვნენ.

მეტანებოდნენ.

ერთი ზედ მვარდებოდა, არ მერიდებოდა.

გაცლა ვარჩიე და ხევში დავბრუნდი.

იქ დამშეული მგლები მელოდნენ და მარტოკა რომ დამინახეს, ავად შემომღრინეს.

ის ღამე შიმშილში და კბილების კაწკაწში გავატარეთ.

უკვე ლუკასაც ააკანკალებდა, სადაც იყო.

– გავალ ერთი, ჩემ ხბოს მივხედავ, არ მოიწყინო, – წამოდგა თევდორე.

ლუკა ისევ წუხანდელ შიშს აეტანა. ახლა მას სიმარტოვე უფრო აფრთხობდა. მარტოობა ფიქრის დედაა და ლუკას ფიქრიც რას არ მისწვდა, რომელ მხარეს არ წაეპოტინა. წამოდგა, უნდოდა თევდორესთან გასულიყო გომურში, ოღონდ აქ არ დარჩენილიყო მარტო.

მაგრამ, ღმერთმა იცის, იქ რა ხდებოდა. იქნებ თევდორეს იმ ამბის მოყოლამ და იმდამინდელმა შიმშილმა ავი რამ გადააწყვეტინა. წავალ, ხბოს მივხედავო, თქვა და გავიდა.

ნუთუ ხბოს შეჭამს?

არა! არა! თევდორე ამას არ იზამს, განა წელან თავის პალტოში არ შეახვია, რომ თოვლზე არ გაცივებულიყო. განა მეორე ხბოც არა ჰყავს? იმასაც ხომ არ დატოვებდა აქამდე.

მაგრამ იქნებ ახლა იმ ამბის გახსენებამ ჩაადენინოს ეს.

ლუკა აღარ გავიდა გარეთ. თევდორეს მონაყოლს უფიქრდებოდა, ანალიზებდა და როგორღა არ ფიქრობდა, რანაირად არ უნდოდა ამოეგდო თავიდან ავი ფიქრი. გამოჰქცეოდა შიშს, რომელმაც ისე უცებ აავსო მთელი ოთახი, ფანჯრებიდანაც კი შიშის თვალებით შემოიყურებოდა შიგნით ღამე.

დანდობაზე რომ ჩამოაგდო ლაპარაკი?

ნუთუ ეს ამბავი იმის ნიშანი იყო, ჩემი ძმა არ დავინდე ლუკავ და შენ რას დაგინდობ. ეგეთი თვალებით ტყუილად მიყურებო.

ხო არც თავისი ხარი დაინდო.

ალბათ, არც ხბოს არ დაინდობს. დედის წინ მაინც არ შეჭამოს, თუმცა, თუ მართლა მგლობამ წამოუარა, რაღას დაგიდევს, აკი თვითონ არ ამბობდა: სანამ მგლად მაქცევდნენ, მანამდე ერთი ისეთი ცოდვა ჩავიდინე, ხბო დავკალი და თავისი დედის რძეში მოვხარშეო.

ღმერთო!

მაგრამ რატომღა არის ახლა ასე დამშვიდებული. ნუთუ მართლა მამის საწოლი უდგას შიგნით ოთახში და ის ამშვიდება?

უნდა ნახოს.

უნდა შევიდეს.

ისევ გადაადგამს ლუკა ფეხს, ხელსაც წაატანებს კარის სახელურს, მაგრამ ისევ ჩასძახებს რაღაც შინაგანი ხმა:

«არ შეხვიდე!»

შემობრუნდება.

უაზროდ ტრიალებს ოთახში.

შიში თვითონ მოუხრის მუხლებს და ჩამოჯდება.

როგორმე შიში უნდა მოიშოროს თავიდან.

სხვა რამეზე უნდა იფიქროს.

ვინმე უშიშარი უნდა გაიხსენოს.

და..

გარსია წამოდგა მხსნელად.

გარსიამ ხომ შიში არ იცოდა რა იყო და ამიტომაც არ ჰკარგავდნენ სოფელში ზოგიერთები იმედს, რომ ადრე თუ გვიან, გარსია დაბრუნდებოდა. თუმცა, თავისი თვალთ ნახეს სანთლის ალში, როგორ დაინთქა ზღვაში გველეშაპი და გარსიაც თან ჩაიტანა, მაგრამ ის ისეთი უშიშარი და გაუტეხელი იყო, იმედს მაინც იტოვებდა ხალხი და, თუმცა ამ ამბის მერე ბევრს მიავიწყდა, ხოლო რაც გველეშაპის ხვრელში ვიღაც ჩავარდა და გადაკეტეს ზემოდან, რომ შემდეგში აღარავის სცოდნოდა ეს ადგილი, ამის მერე იშვიათად თუ ვინმელა ახსენებდა გარსიას. სოფელი თანდათან ივიწყებდა და, ალბათ, მალე, სულაც დაივიწყებდნენ, ისევე როგორც ბევრი დაუვიწყებიათ დღემდე, თვითონ გარსიას რომ არ შეეხსენებინა თავისი თავი. ეს ამბავი ზაფხულის დღეს მოხდა:

მთელი სოფელი სათიბზე იყო გამოსული. მზის სხივებზე ბრჭყვიალებდნენ ალესილი ცელის პირები, გარსიას ცოლიც თიბავდა. დროდადრო ბაღლები შეეშველებოდნენ-ხოლმე დაღლილ დედას. როცა ქალი ცელის ქნევით დაიღლებოდა და მეტი აღარ შეეძლო, ნათიბში ჩაჯდებოდა სულის მოსათქმელად, წამოცვივდებოდნენ იქვე მყოფი ბაღლები და ახლა ისინი იქნევდნენ სათიბ ბალახში ცელს.

ცხელოდა.

ასეთ სიცხეში არაქათის გამომცლელი იყო თიბვა და გარსიას ცოლშვილსაც მეტი აღარ შეეძლო, მაგრამ მაინც თიბავდნენ, ეშურებოდნენ, რომ ამინდის შეცვლამდე დაემზადებინათ თივა, თორემ თუ წვიმები დაიწყებოდა, მიწაში ჩაალპობდა ნათიბ ბალახს.

სათიბები სოფლის თავფერდობზე იყო და ხალხი შავად იყო შეფენილი.

გარსია თავის სათიბებს ერთ კვირაში თიბავდა-ხოლმე, მაგრამ ახლა უჭირდა იმის ცოლ-შვილს და მომხმარეც არავინ ჩანდა.

ის იყო, ერთხელ კიდევ უნდა შეესვენა ქალს ნათიბში, ბალღებიც წაეტანნენ დედის ცელს, რომ გარსიას ხმა გაისმა მთელ სათიბებში:

\_ აი, მოგიკვდეთ მამა, შვილებო!

ქალი წამოხტა.

მიიხედ-მოიხედა.

ხალხმაც ყური მიუგდო ამ ხმას.

სათიბებში, პირდაპირ ცოლ-შვილისაკენ მოდიოდა გარსიას ლანდი, მოდიოდა ჩვეულებრივად, ფეხზემდგარი, როგორც კაცი, მოაბიჯებდა ისე, როგორც გარსიამ იცოდა. ყველაფრით გარსია იყო, თითქოს ჩაცმულიც იყო ლანდი, მაგრამ თანაც უხორცო იყო, ჩრდილი იყო, ოღონდ მიწაზე გართხმული კი არა, ადამიანებს რომ დაჰყვება-ხოლმე, არა, ჩვეულებრივად ფეხზე იდგა. ჩვეულებრივად მოაბიჯებდა.

\_ მოგიკვდეთ მამა. შვილებო, რა დღეში ხართ. \_ კიდევ თავისებურად დაილაპარაკა გარსიას ლანდმა, მოვიდა, შვილებს ცელი გამოართა, სალესი გაუსვ-გამოუსვა და დაიწყო თიბვა.

ცოლ-შვილი შეშინებული შეჰყურებდა გარსიას.

გარსია თიბავდა, თან ცოლ-შვილს რაღაცას ელაპარაკებოდა, ხალხში კარგად არ ისმოდა ეს ხმა. მთიბლებმა თიბვას თავი ანებეს და გასიას მამულში მოგროვდნენ.

\_ აბა, როგორ ხართ, ხალხო, ხო ყველანი მშვიდობითა ხართ? \_ მიესალმა გარსია ხალხს.

\_ რა გვიჭირს, ავი დღე და წუთისოფელი არ გვაკლია, თვითონ როგორა ხარ? \_ თავის მხრით ეკითხებოდნენ და თან ეშინოდათ, აქამდე არ ენახათ ჩრდილის კაცი, ნაბიჯს გაუბედავად დგამდნენ წინ, როცა გარსია ვინმესკენ წამოვიდოდა და ხელს გაუწვდიდა ჩამოსართმევად. ისინი გრძნობდნენ იმის ხელის სითბოს, მაგრამ შეშინებულნი იყვნენ.

\_ შეპირებულ პურ-მარილზე როგორა ხართ? \_ იცინოდა გარსია.

\_ პირობა, პირობა არის, \_ თქვა ვიღაცამ. თითქოს თანდათან მიეჩვივნენ კიდევ.

\_ სად იყავ. სად რა მოიხილე გარსიავ? \_ ჰკითხა ვიღაცამ.

\_ ქვესკნელში. ქვესკნელის ქვეყანაში ვიყავ, \_ თქვა გარსიამ.

\_ იმით იყავი?

\_ ჰო, იმას ჩავყევი. აბა მე გზა სად ვიცოდი.

\_ რა ნახე, რა მოიხილე?

\_ რო ჩავედით, კი მეტანებოდა, მაგრამ ისე დაღლილი იყო, კუდის განძრევის თავიც აღარა ჰქონდა, როგორც კი თავი სამშვიდობოს დაიგულა, ჩაეძინა. გადმოვხტი იმის ზურგიდან და წაველ ფეხით, გავერიე იმათ ქვეყანაში.

გარსია ისეთ საოცრებებს ყვებოდა, უცებ მიიწურა დღე და ხალხმა ვერც კი გაიგო როგორ ჩამოწვა ღამე.

გარსიას, როგორც კი ქვესკნელის ჰაერი ჩაისუნთქა, ნელ-ნელა შემოსდნობია ხორცი და ძვალი და უსხეულო გამხდარა. დანარჩენი ხალხიც ასევე უსხეულო ყოფილა იქ. კარგად მიუღიათ გარსია, ამასაც ძალიან მოსწონებია, მაგრამ ერთ რამეში ვერ შეჰგუებია ქვესკნელს: სავაჟვაცო საქმეები არაფრად მიაჩნდათ და არცრა იყო საამისო. გადაუწყვეტიათ ისევ აქ დაბრუნებულიყო, მაგრამ თურმე ნებას არ აძლევდნენ: წესი არ არის, აქ ჩამოსული, უკან დაბრუნდესო. ძალიან დავლონდი. ძალიან გული შამიწუხდა, ისე რო, მეტი არ შეიძლებაო.

ისევ იმ გველეშაპის ძებნა დაუწყია, იქნებ სადმე ვიპოვო, რამენაირად ზედ მოვახტე და შავაღონ-შავაწუხო, თავი ისევ ზემოთ წავაყვანინო. ველარ უპოვია. მთელი ქვესკნელი იმ გველეშაპით წითელი იყო. მდინარეები და წყაროებიც წითელი მოდენილა. ცაც წითელი ყოფილა და მიწაც. მარტო ხალხი ყოფილა შავად, ლანდისფერი, ისეთივე, როგორც გარსია იყო ახლა. რო ველარ გაუძლია გარსიას, მერე კი უცდია თავი და ისეთი რამე ვქენი, ისეთ რაღაცაზე შევჯექი, ხრიალი აქ ამოვიტანეო. რა ქნა, ან რაზე შეჯდა არ ამბობდა, მერე ვიტყვიო.

თანდათან შეეჩვია ხალხი გარსიას.

ისიც მთელ ზაფხულს თიბავდა, სხვებთან ერთად დადიოდა სოფლის საქმეებზე, ერთი ეგ არის არ ჭამდა, მარტო წყალს დალევდა ხოლმე ხანდახან, წყალი რომ არ დავლიო არ შემიძლია, მზეზე გავშრებიო.

ასე მიიღია ზაფხული.

დადგა ზამთარიც და ის-ის იყო უნდა მოსულიყო გაზაფხული, მოვიდა კიდევ, თოვლმა დნობა დაიწყო.

სოფელი მომავალი არჩევნებისათვის ემზადებოდა. კლუბში მოაწყვეს საარჩევნო უბანი და გამოაკრეს პლაკატები. ახლო-მახლო მყოფ სოფლებს ამ საარჩევნო უბანში უნდა მიეცათ ხმა და ესენიც ემზადებოდნენ.

არჩევნების დღისათვის ამზადებდნენ კონცერტს სკოლაში. სპეციალურ ლექსებს იზეპირებდნენ მოწაფეები. დანიშნულ დღეს წარმომადგენელსაც ელოდნენ რაიონიდან და ყველაფერი მზადდებოდა ისე, რომ არ შერცხვენილიყვნენ.

დადგა ეს დღეც.

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ, კოფიამ ზარს ჩამოჰკრა და დაიწყო არჩევნები.

სოფლებიდან მოედინებოდა ხალხი, რომელთაც ერთ ოთახში აძლევდნენ ბარათებს და მერე ამ ბარათებს სადღესასწაულოდ აგდებდნენ წითელ ყუთში.

უკრავდნენ დოლ-გარმონს.

საარჩევნო ყუთთან რამდენიმე კაცი იჯდა: კოფია, რაიონის წარმომადგენელი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე და სკოლის დირექტორი.

არჩევნები მშვიდად, დოლ-გარმონის ხმაში მიდიოდა. სკოლის მოწაფეები მზად იყვნენ კონცერტისათვის. ლუკას ლექსი უნდა ეთქვა და მეათასედ იმეორებდა.

ალბათ, ყველაფერი მშვიდად ჩაივლიდა იმ დღეს, გარსიას რომ არ აეტეხა ერთი ამბავი. სადაც ბარათებს აძლევდნენ, იმ ოთახში თავისი ბარათი მოითხოვა გარსიამ.

რა თქმა უნდა, ასეთი ბარათი არ არსებობდა და ყუთთან მყოფი კაცებისაკენ წავიდა გარსია.

\_ კაცო, კოფიავ, მე რატო არ მამლევეთ ბარათს? \_ ჰკითხა გარსიამ კოფიას.

\_ შენ არ გეკუთვნის, \_ თქვა კოფიამ.

\_ რატომ? ვითომ რატომ?

\_ იმიტომ. რომმმ.. \_ დაიბნა კოფია.

რაიონის წარმომადგენელი გაოცებული შეჰყურებდა ლანდს, ხან კოფიას და ხანაც ცნობისმოყვარე ხალხს, ვერაფრით ვერ გარკვეულიყო რა ხდებოდა და რაკი ვერ გარკვეულიყო და ხალხიც ასე სერიოზულად ისმენდა თავმჯდომარისა და ამომრჩევლის ლაპარაკს, თვითონაც ცდილობდა სერიოზული იერი არ დაეკარგა.

\_ რატომ, რატომ არ მეკუთვნის? \_ იმეორებდა გარსია.

\_ იმიტომ რომ ამოგწერეთ.

\_ საიდან ამომწერეთ?

\_ საიდან და საბჭოდან.

\_ მერე, სად ჩამწერეთ?

\_ ეგ ჩემი საქმე არ არის..

\_ რატომ?

\_ იმიტომ, რომ ჩვენ აღარ გვეკუთვნი.

\_ შე მამაცხონებულო, თუ თქვენ აღარ გეკუთვნით, მა რატომღა მამუშავეთ ამ ზაფხულს კოლექტივის სათიბებში, შენ არ გამომიგზავნე კაცი, სათიბზე წამოვიდესო.

\_ მე კი არ გამოგიგზავნე და მე კი არ გამუშავე, აი, ამან გამოგიგზავნა, \_ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მოუღერა თითი კოფიამ.

\_ მაშ, გადასახადი რატომღა გამომიგზავნე ხუთ სულზე, თუკი ამომწერე, უჩემოდ ხომ ოთხნი არიან ჩემ ოჯახში.

\_ ეგ, შეშლიათ, გავარკვევ, \_ თქვა კოფიამ.

\_ კარგი, მაშინ ერთი მაჩვენეთ, სად გიწერიათ რომ მოვკვდი, მაჩვენეთ ერთი სადა ვმარხივარ? ხო აქა ვარ არა? ხო მხედავს ხალხი არა? ხო ვშრომობ არა? მაშინ რატომ არ მამლევეთ არჩევანის უფლებას, იქნებ არ მომწონს ის კაცი, ვისაც ირჩევთ.

\_ აბა, აბა! ეგე მსხვილ-მსხვილებს ნუ ლაპარაკობ! \_ გაბრაზდა კოფია და ხელი დაჰკრა მაგიდას.

\_ ხალხოო! \_ რაღაცის თქმა დააპირა გარსიამ, მაგრამ კოფია წამოხტა და უყვირა:

\_ ხალხს ნუ მიბუნტებ! სასწრაფოდ გამოუძახეთ მილიციას!

ახლა კი წამოხტა რაიონის წარმომადგენელი და ის იყო დაიძახა, რაიონთან დამაკავშირეთო, რომ ამ დროს წამოავლო გარსიამ საარჩევნო ყუთს ხელი და გაიქცა.

\_ ყუთი დააგდე! \_ გამოედევნა კოფია.

იმას სხვებიც მიჰყვნენ.

გარსიამ სოფლის ორღობე აირბინა და სოფლის თავ მდგარ ქვითკირის ციხეში შეასწრო მდევერებს, რომელთაც ცხვირწინ მიუხურა რკინის ჟანგმოდებული კარი და შიგნიდან გადაკეტა.

ხალხი გარს შემოეწყო ციხეს.

ვერავინ მოახერხა შიგნით შესვლა, ციხე მტკიცედ იყო ნაგები და თუმცა რამოდენიმე კიბე მოიტანეს სოფლიდან, მაინც ვერც ერთი ვერ შესწვდა იმ ადგილს, საიდანაც შეიძლებოდა შიგნით შესვლა.

ემახდნენ გარსიას დაებრუნებინა ყუთი, მაგრამ ის ხმას არ იღებდა.

დღე ილეოდა.

მოვიდა მილიციაც, მაგრამ ვერც იმათ გააწყვეს ვერაფერი. რამდენჯერმე ესროლეს კიდეც შიგნით, კარის ხვრელებიდან შესაშინებლად.

სალამო ხანს ციხის თავზე გადმოდგა გარსია, თან ისე, რომ ტყვია ვერ ესროლათ და ჩამოსძახა კოფიას:

\_ მაშ, ამომწერეთ, არა?

\_ დააბრუნე ყუთი და ჩაგწერთ ისევ, \_ ხერხი იხმარა კოფიამ.

\_ ბარათს მაძლევთ?

\_ ეხლავე გაგიშვადებთ.

\_ კარიდან შიგნით შემომიგდეთ და როცა ჩავაგდებ მერე გაგიღებთ კარებს, თორე მერე ისევ მეტყვით არ გეკუთვნისო.

გაუმზადეს ბარათი და კარის ჭრილიდან შიგნით შეუგდეს.

გარსია დაბლა ჩავიდა.

კარგა ხანს არ გაღებულა კარი.

მერე ისევ ციხის თავზე გადმოდგა:

\_ ამ ბარათს მანამდე არ ჩავაგდებ, მანამ იმ კაცს არ მაჩვენებთ, ვისაც ვირჩევთ.

\_ ეეე, გაგიჟდი შენ? \_ გაუბრაზდა კოფიანი.

\_ რატომ, სერიოზულად ვამბობ, ვინ არის, რა არის, იქნებ არ მოგვწონს.

\_ შენ თუ არ მოგწონს, სხვებს მოსწონს.

\_ ვინ იცნობს, ასწიეთ ხელი, \_ გადმოსძახა გარსიამ ხალხს.

არავის ხელი არ აუწევია, იმათ გარდა ვინც წელან საარჩევნო ყუთთან ისხდნენ.

\_ აი, ხომ ხედავ, არავინაც არ იცნობს, \_ ჩამოსძახა გარსიამ კოფიას.

\_ მე ვიცნობ და გეუბნები ძალიან კარგი კაცია.

\_ შეიძლება, \_ თქვა გარსიამ.

\_ შეიძლება კი არა, კარგი კაცია.

\_ ალბათ, \_ ისევ ჩამოსძახა გარსიამ.

\_ მაშ, რაღა გინდა მეტი?

\_ ხომ უნდა ვიცნობდეთ.

\_ არ გვენდობით?!

\_ რა კაცია?



\_ მოწინავე აგრონომია თავის მეურნეობაში.

\_ სანამ აქ არ მოიყვანთ და არ გავიცნობ, არც კარებს გაგიღებთ და არც ყუთს დაგიბრუნებთ, \_ თქვა გარსიამ და ციხეში ჩაიმალა.

გარეთ მყოფნი საგონებელში ჩავარდნენ.

რადაც ითათბირეს.

სადღაც დარეკეს.

მერე ხალხი მოაშორეს ციხეს და დინამიტები ჩააწყვეს საძირკველში.

\_ ეეე! ციხეს აფეთქებენ! \_ თქვა ვილაცამ.

\_ იცოდე აგაფეთქებს, თუ არ გამოხვალ, \_ შესძახეს გარსიას.

\_ მანამ იმ კაცს არ მოიყვანთ, არ გამოვალ, \_ გამოსძახა გარსიამ.

იმათ ცოტა ხანს კიდევ აცალეს, და..

აფეთქების ხმამ გააყრუა მიდამო.

კარგა ხანს გუგუნებდა ხეობა, მთები ბანს აძლევდნენ ერთურთს. მერე ნელ-ნელა ჩაწყნარდნენ.

ჩამოდგა სიმშვიდე.

იმ ადგილას, სადაც ვინ იცის როდიდან მოყოლებული იდგა ძველისძველი ციხე, ქვაც კი აღარ ეგდო, მარტო მიწა იყო ღრმად ამოთხრილი.

გარსია აღარსად იყო.

მართალია, ზოგს ამის მერე ჯიუტად სწამდა, რომ გარსია ადრე თუ გვიან ისევ საიდანღაც დაბრუნდებოდა, მაგრამ აგერ უკვე რამდენი ხანია, ციხის არსებობაც კი დაავიწყდა ხალხს, გარსია აღარავის გახსენებია, მარტო ზოგიერთს თუ მოაგონდება და ისიც თავისთვის გაიელვებს ფიქრად წამიერად. ლუკასაც შიშმა გაახსენა.

ამ შიშით გავსილა მთელი ოთახი.

ღამეც შიშის თვალეზით იყურება სახლში ფანჯრებიდან.

გასაქცევი არსაით არის.

და..

ერთხელ,

მეორედ,

არ უნდა ამაზე ფიქრი, მაგრამ ფიქრს ვერ დაიჭერს. თავისთავად მოდის, თითქოს ფიქრიც არ არის, ვილაცის ხმაა, ვილაც ჩააგონებს:

«მოკალი».

ვინ?

თევდორე?

ლუკამ უნდა მოკლას?

ნუთუ ხსნის ერთადერთი გზა ეს არის? მაგრამ როგორ? ლუკას ხომ ჯერ მწერიც არ მოუკლავს შეგნებულად. მას ხომ ამის გაფიქრებაც ზარავს, იმაზე უფრო მეტადაც კი, ვიდრე მგლად მოქცევა, ანდა მგლებისგან შეჭმა არის.

როგორ უნდა მოკლას თევდორე?

რით უნდა მოკლას?

ხანჯლით?

ხანჯალი ხომ ჩაქანგულია.

ლუკამ იცის, რომ თოფით უფრო ადვილად კლავენ, მაგრამ რა არის ადვილი, ის რომ თოფის სასხლეტს გამოსწიო, თუ ის, რომ გამოწევა გადასწყვიტო.

ანდა სად არის თოფი?

იქნებ ცულით?

კარებს უკან ჩაუსაფრდება და..

არა! არა! ლუკა ამას ვერ იზამს.

მერე ხომ მთელი ცხოვრება ცოდვის წრეში უნდა იტრიალოს. სუ უნდა იწვალოს. მან ხომ ჯერ გადაწყვეტიტაც კი არ იცის, რას უპირებს თევდორე.

«დაასწარი! დაასწარი!» \_ აქეზებს რაღაც იდუმალი ხმა, მაგრამ ვინ ჩასძახის ამას? იქნებ თევდორეს უხდის ვინმე სამაგიეროს.

თუ ლუკა თევდორეს მოკვლით თავს გადაირჩენს, მერე ხომ სულ უნდა ტანჯოს იმის ფიქრმა რომ ვერ გაიგო, სწორედ მოიქცა, თუ არა. იქნებ სწორედ ეს არის გზის გადაცდენა?

არა, ლუკამ როგორმე უნდა სძლიოს ასეთ ფიქრს.

\_ ლუკაა! \_ ისმის გარედან.

ლუკა შეკრთა.

ფიქრებიდან გამოარკვია ამ ხმამ.

\_ ლუკაა!

თევდორეა. თევდორე იძახის. რა უნდა? იქნებ სახლიდან გატყუება უნდა ლუკასი. იქნებ მოიყვანა დორაისხეველები და ახლა უნდა აღსრულდეს ყველაფერი.

მერე რატომ სახლში არ შემოდის?

იქნებ ასეთ საქმეს ვერ ჩაიდენს იმ სახლში, სადაც მამამისის საწოლი დგას.

თუ მამის საწოლს პატივს სცემს, მაშინ..

მაშინ, ალბათ, არც არავითარი კავშირი აღარა აქვს დორაისხეველებთან \_ გაუნათდა გონება ლუკას და კარი გამოაღო.

\_ გამოდი, ლუკავ, რა დაგანახვო, \_ გამოსძახა გომურის წინ მდგარმა თევდორემ, რომელსაც გვერდით ძაღლი ჩამოსკუპებოდა.

ლუკა მათთან მივიდა.

\_ შეხედე, \_ თქვა თევდორემ.

ლუკამ ცას შეხედა: ვარსკვლავებით მოჭედილი ცა იყო და ვარსკვლავებს შორის ბრდღვიალებდა გავსილი მთვარე.

\_ ხედავ? \_ ჰკითხა თევდორემ.

\_ რას? \_ დაბნეულად იკითხა ლუკამ.

\_ ვარსკვლავებს.

\_ კი, \_ უფრო დაიბნა ლუკა.

\_ რაც თავი მახსოვს, ამ ცას ვუყურებ და ერთი რამ ვერ გავუგე იმ დალოცვილ ღმერთს, ამ ცაზე ასეთი სიმშვიდე და წესრიგი დაამყარა და კაცი სულს კი ვერაფერი მოუხერხა, \_ თქვა თევდორემ.

ძალიც ცას შეჰყურებდა, თითქოს ისიც ფიქრობდა.

\_ ერთ ამოცანას დაგიყენებ ლუკავ, აბა გამოიცან რა არის: არ მახსოვს და არ ვიცი.

ლუკა ჩაფიქრდა.

თევდორე გაღიმებული უყურებდა.

\_ ვერა, ვერ გამოვიცან, \_ თქვა ლუკამ.

\_ დაბადება და სიკვდილი, \_ აუხსნა თევდორემ.

ერთ ხანს ორივე ჩუმად შეჰყურებდა ცას. ლუკა გამოაცოცხლა ცივმა ჰაერმა და შორეულმა ვარსკვლავებმა.

\_ ვერც ვერასოდეს გავიხსენებთ და ვერც ვერასოდეს გავიგებთ, წამო, შევიდეთ სახლში და მივყვეთ ამ წუთისოფელს ლუკავ, \_ თქვა თევდორემ და სახლისაკენ წაუძღვა ლუკას.

ლუკა საკმაოდ გამოცოცხლებულიყო და ხალისით მიჰყვებოდა თევდორეს. ახლა მას ერთი სული ჰქონდა, როდის გააგრძელებდა თევდორე თავის ტყვეობის ამბავს. ასე ერთბაშად ეცვლებოდა ხასიათი, ხან შიში მოიცავდა, ყოვლისწამლევკავი შიში და ხანაც სურვილით აივსებოდა, სურვილით \_ გაეგო როგორ დააღწია თევდორემ ტყვეობას თავი.

«დააღწია კი?» \_ გაჰკრავდა ეჭვი.

თევდორე არ ჩქარობდა.

სახლში შევიდნენ თუ არა, ლუკამ ვეღარ მოითმინა და დააპირა ეკითხა, როგორ დააღწიე დორაისხვევლებს თავიო, მაგრამ ისევ მოერიდა ამ კითხვას არ დაეფრთხო თევდორე და ისევ შორიდან მოუარა:

\_ ძია თევდორე!

\_ რა?

\_ თქვენ თქვით, თადეოზმა ქორას უთხრა მოგეკითხებაო, და მოეკითხა კიდევო, როგორ მოეკითხა?

\_ შვილს თუ მგელს?

\_ შვილსაც მოეკითხა?

\_ არ ვიცი.

\_ მგელსაც ხომ ასევე უთხრა.

\_ ხო, ორივეს ასე უთხრა და ჩემი თვალით ვნახე როგორ მოეკითხა, შეიძლება შვილსაც მოეკითხა, შეიძლება ჯერ არა, მაგრამ რაკი ჩვენ წინამძღოლს მოეკითხა, ალბათ, თადეოზის შვილსაც მოეკითხება ადრე თუ გვიან. როცა ქორაი ჩვენს წინამძღოლად აირჩიეს, ყველაზე უფრო მაშინ გამოამჟღავნა თავი. საერთოდ ხო ასეა, წინამძღოლი ყოველთვის ჩანს და ვერ მალავს თავს, მარტო მგლებში კი არა, ადამიანებშიც ასეა. ყველა წინამძღოლი იმით რჩება ხალხის ხსოვნაში, რაც გააკეთა

თავის წინამძღოლობისას. ზოგი ავად რჩება, ზოგი კარგად, ზოგსაც საერთოდ ივიწყებენ. მე მოწმე ვიყავი ომის მერე. ერთი წინამძღოლის სიკვდილი როგორ იდღესასწაულეს ამ ხეობის დედაკაცებმა. ერთსა და ორს რომ გაეკეთებინა ეს, ალბათ, ყურადღებასაც არავინ მიაქცევდა, მაგრამ რაც ამ ხეობაზე დედაკაცები იყვნენ, ყველას ერთი პირი ექნა, კლუბის შენობიდან გამოეტანათ იმ მრისხანე წინამძღოლის სურათი, ერთ მოედანზე თივით, ქათმის საბუდარის მსგავსი საბუდარი გაეკეთებინათ, იმ საბუდარისაკენ მოჰქონდათ სურათი და კაკანებდნენ ქათმებივით:

ოკა-კა-კა-კა-კა-კა-კაა!..

– მეკვერცხე! მეკვერცხე! – გაჰკიოდნენ ზოგნი.

მიიტანეს, საბუდარში ჩადვეს სურათი, ზემოდან დაასხდნენ და ისევ აკაკანდნენ, თან ისევ გაჰკიოდნენ:

– მეკვერცხე! მეკვერცხე!..

კაცებს ჯერ ისევ ჰქონდათ იმ მრისხანე წინამძღოლის შიში და ძერა რომ მიჰფანტ-მოჰფანტავს ხოლმე ქათმებს, ისე ააწიოკეს.

მაშინ ვერ გავიგე, რატომ ეძახდნენ იმ მრისხანე წინამძღოლს მეკვერცხეს, ან რატომ ისხდნენ ზედ და რატომ კაკანებდნენ კვერცხისმდებელი ქათმებივით. კარგა ხნის მერე ვკითხე ერთ მოხუც დედაბერს და იმან მითხრა:

– მეკვერცხე არ იყო, აბა მა რა იყო? მეფე რომ იმით აცხოვრებს ქვეყანას, საბუდარზე კვერცხებს გამოეკიდება და ჩემნაირებს სახლში არაფერს გაუჩერებს, მეფე კი არა, მეკვერცხეა.

– მერე ის ხომ მეფე არ იყო.

– შენ რაც გინდა, ის დაუძახე.

– ზედ რატომღა ესხედით სურათს და რატომ კაკანებდით?

მჩვენ ქათმები ვიყავით და საბოლოოდ რომ გამძლარიყო, ვითომ კვერცხებს ვუდებდით, – თქვა ქალმა, სავსებით დარწმუნებულმა იმაში, რომ ის მრისხანე მბრძანებელი, ერთ დროს ქვეყანას რომ აზანზარებდა, სინამდვილეში ერთი მეკვერცხე იყო და მეტი არავინ. ასე სწამდა ამ ქალს, ასე ხედავდა მისი თვალები და გონებაც ასე უჭრიდა. სამარეშიც ასე ჩავიდა.

მე შევეცადე, გამემართლებინა ის წინამძღოლი და ვუთხარი:

– იმიტომ გართმევდათ რომ შემდეგში გაჭირვება აღარ გენახათ-მეთქი.

– როცა მიჭირს, მაშინ არ უნდა წამართვა, თორემ.. – აღარ დაამთავრა დედაბერმა, წავიდა, გამცდა, წაცუცხუნდა.

იქნებ ქორას არც უწია თადეოზის ცოდვამ, მაგრამ წინამძღოლობის დროს კი მოუხდა ეს ამბავი:

დილიდან ვუთვალთვალეზდით ცხენს.

ლურჯი ცხენი იყო, მკვრივი აღნაგობის, შუბლზე თეთრი ნიკორი აჩნდა. დილით გამოუშვა პატრონმა სოფლიდან და ნელ-ნელა, ძოვით მოუყვებოდა ფერდობს აღმა, ფერდობის ზემოთ, თხილიანებში კი ჩვენ ვიყავით ჩამალულნი.

მზეზე უბრწყინავდა ცხენს გავსილი გავა.

თვალს ვერ მოსწყვეტდი, ისეთი სანახავი იყო. რაც უფრო გვიახლოვდებოდა, მით უფრო გვეკარგებოდა მოთმინება. თითქმის სულ ახლოს მოვიდა, თავი მაღალ ბალახებში ჰქონდა ჩამალული და სძოვდა. ერთი სული გვექონდა როდის შემოვეწყობოდით წრეზე. წინამძღოლის ნიშანს ველოდებოდით. იმ დროს ქორაი იყო წინამძღოლი. მართალია ჯერ დღე იყო, მაგრამ რაკი ტყის პირას იყო ცხენი, შეიძლებოდა თავდასხმა. ასეთი საკბილო ჯერ არ გვენახა. ცხენი ბევრჯერ მოგვიქცევია წრეში, ბევრისთვის კბილიც გაგვიკრავს, მაგრამ ასეთი ლამაზი ცხენი ჯერ არ გვენახა. ერთხელ იყო, ჯღუნაის წინამძღოლობისას, აგვისტოში მოვიდა თოვლი, ისეთი დიდი თოვლი მოვიდა, იალალებზე გამოშვებული ცხენების რემა, ერთი მაღალი მთის წვერზე დარჩა, ვეღარც პატრონები ადიოდნენ ზვავის შიშით ცხენების ჩამოსაყვანად და ვერც ცხენები ბედავდნენ მთიდან დაშვებას. ავეყვით სერს და მთის წვერს შემოვეწყვეთ წრეზე. დღე იყო, ხალხი გვიყურებდა სოფლებიდან. ხანდახან თოფებს ისროდნენ ჩვენს შესამინებლად, მაგრამ საზოვარი იყო და შიშით ვერავინ ბედავდა ცხენების საშველად წამოსვლას. ცხენებმაც დაგვინახეს და ატეხეს ჭიხვინი. ჩვენ მზითგამთბარ თოვლში სიარული გვიჭირდა და ნელ-ნელა მივიწევდით ყმუილით, მაგრამ მშველელი ჯერ არ ჩანდა. უკვე გამოდარებული იყო და აგვისტოს მზე ჩახჩახებდა ცაზე, გვიჭირდა წყლიან თოვლში სიარული.

როგორც იქნა, მივალწიეთ მწვერვალს.

ცხენები ჭიხვინით ეძებდნენ თავქვე გასაქცევს, მაგრამ ყველა გზა მოჭრილი გვექონდა მათთვის. უცებ ერთმა იმარჯვა და გასხლტა, გაგვექცა, იმას მიჰყვა დანარჩენი რემა. ჩვენც აღარ დავახანეთ და დავახტით ზურგებზე. შეშინებული ცხენები ჭიხვინით დაეშვნენ სოფლებისაკენ. ფაცას თავისი კაზახური ქუდი ჩამოეფხატნა, მთის წვერზე გადმომჯდარიყო და იქედან გადმოგვეყურებდა მშვიდად, როგორ ვისხედით ცხენებზე და მივაჭენებდით თოვლში ქვემოთ. ყველანი იმას ვცდილობდით, როგორმე არ ჩამოვარდნილიყავით და დაგვეუსტებინა ცხენი. ისინი კი სოფლებისაკენ მიგვაქროლებდნენ ჭიხვინით და არ ვიცი რით დამთავრდებოდა ფაცას რომ არ აეტეხა სერზე ყმუილი. ჩვენ ყური არ ვათხოვეთ ფაცას ყმუილს, მაგრამ წინამძღოლი ჯღუნა გადმოხტა ცხენიდან და ატეხა იმანაც საგანგაშო ყმუილი. ეს იყო ბრძანება და თანაც გამაფრთხილებელი ნიშანი, რაზეც თავი ვანებეთ ცხენებს და ყველა მიწაზე ჩამოვხტით, წინამძღოლთან შევიკრიბეთ და გავხედეთ: სოფლებიდან თოფებით შეიარაღებული ხალხი მორბოდა ჩვენსკენ. ძლივს მოვასწარით უკან გაქცევა. უკანიდან მოგვაყარეს ტყვიის წვიმა. მოვკურცხლეთ რაც კი შეგვეძლო და მახლობელ ტყეში შევაფარეთ თავი. ფაცა ჯერ ისევ სერზე იჯდა და ქუდჩამოფხატებული გადმოჰყურებდა მიდამოს. იმის გარშემო კი დარბოდა ერთი პატარა კვიცი, თოვლში ეფლობოდა და ვერ ბედავდა მთიდან დაშვებას. ფაცა ყურადღებასაც არ აქცევდა, ჩაფიქრებული გადმოჰყურებდა ქვეყნიერებას. როგორც იქნა, გაბედა კვიცმა და ქვემოთ დაეშვა ცხენების ნაკვალევზე. ფაცა სალამომდე იჯდა

სერზე. ჩვენ ტყეში ვუცდიდით და იმ დღის მერე რატომღაც ვერიდებოდით ცხენებზე თავდასხმას. ახლა კი, ფერდობზე ჩვენსკენ მოვნიტ მომავალმა ლურჯთვირთველა ლამაზმა ცხენმა ისევ აგვიშალა საღერღელი. ველოდით, როდის აიქნევდა ქორაი ტოტს; მაგრამ იმან გვანიშნა, თქვენ აქ იყავითო, თვითონ კი გახობდა ზურგზე. ცხენი დაფრთხა, მაგრამ ქორაი მაგრად ჩაებლაუჭა იმის ფაფარს და კბილები ჩაასო. დაიჭიხვინა ცხენმა და სირბილით დაეშვა სოფლისაკენ. ქორაი, ეტყობა, ისე გააბრუა სისხლის სუნმა, ვერც კი გაიგო საით მიაჭენებდა ცხენი და ასე სისხლსდაწაფებული ცხენის ჭენებას მინდობილი, გრიალით შევარდა სოფლის ორღობებში.

კარგა ხანს სოფლიდან ყვირილი, სტვენა და თოფების სროლის ხმა ისმოდა. მერე ცოტა ხნით ჩაწყნარდა სოფელი და კიდევ რომ გამოხდა ხანი, დავინახეთ, როგორ გამოვიდა სოფლიდან ხალხი. აღმა ამოდიოდნენ და თოკებით ქორას მოათრევდნენ. სოფლის თავ, ერთ ბებერ იფანთან შეჩერდნენ, ხის ტოტზე ჩამოჰკიდეს ქორაი და კარგა ხანს რომ იყაყანეს, წავიდნენ.

სალამომდე ასე ვიყავით ჩამალულნი. ვხედავდით როგორ აქანავებდა ქარი ხეზე თოკით ჩამობმულ ქორას. ხის თავზე ტრიალებდნენ ყვავ-ყორნები.

ჩვენ ისევ ცოცხალი გვეგონა ქორაი და ღამეს ველოდებოდით. რომ დაღამდა, კარგა ხანს კიდევ ვერ ვხედავდით ქვემოთ დაშვებას. მერე თანდათან წავედით და ახლოს რომ მივედით, ხის ძირიდან რამოდენიმე მელია გაფრთხა.

ქარი ქროდა.

უსულოდ ქანაობდა ჩვენი წინამძღოლი.

გავიფანტეთ.

იმ დღის მერე, აღარც გავკარებოვართ სოფელს.

სანამ მორიგი შეკრება შესდგებოდა დორაისხევეში, მანამდე უწინამძღოლოდ დავხეტიალობდით ორ-ორი, სამ-სამი და ვინც რას გავხდებოდით, იმით ვირჩენდით თავს.

სწორედ იმ დღეებში ჩავცვივდით ორმოში მე და ორი სხვა მგელი. ერთს ღენჯა ერქვა, მეორეს ქალობა. ქალობა ახალგაზრდა ლამაზი მგელი იყო და იმ ხანებში ღენჯა გამიჯნურებული იყო ქალობაზე, გვერდიდან არ სცილდებოდა და რაკი ჯანიც მოსდევდა საამისოდ, სხვასაც არავის აკარებდა ახლომარეთ. ერთი ორჯერ კი გაუბედა ქორამ, მანამ ცოცხალი იყო, ქალობას გაარშიყება, მაგრამ ქალობამ შორს დაიჭირა და ქორამ აშკარად ვეღარ გამოიყენა წინამძღოლის ძალაუფლება.

ქორა რომ ხეზე ჩამოჰკიდეს და დავიქსაქსენით, ჩვენ სამს მოგვიხდა ერთად ყოფნა. მთვარიანი ღამე იყო, ჯაგებში მივრბოდით და უცებ მიწა გამოგვეცალა ფეხქვეშ, დავტრიალდით და სამივე ერთ უშველებელ ორმოში ჩავვარდით. ფსკერამდე რომ ჩავაღწიეთ, ერთმანეთს დავეხეთქეთ და ჯერ აზრზე არ ვიყავით რა მოხდა ჩვენს თავს, წამოვხტით გასაქცევად დაზეზებულები. სად გაიქცევი, ორმოში ხარ; ავებლატეთ, უკან ჩამოვცვივდით. კარგა ხანს ვწვალობდით, ბრჭყალებით ვვხოჭნიდით მიწას. ერთხელ, თითქმის შუამდეც კი მივაღწიე, მაგრამ ბრჭყალებში

ღონე აღარ მეყო და ზურგით დავებეთქე ფსკერს. თვალებიდან ნაპერწკლები წამომცვივდა, წამოვჯექი. მაღლა ავიხედე. ორმოდან უფრო საშინელი მომეჩვენა გავსილი მთვარე და კედელს ავეკარი. ღერჯა და ქალობა კარგახანს ცდილობდნენ, როგორმე ამოხოზღებულნიყვნენ ორმოდან, მაგრამ გათენებისას იმათაც იმედი გადაწყვიტეს და ცისაკენ თავაწეულები ჩამოსხდნენ.

ვიცოდით, ასეთ ორმოებს მონადირეები თხრიდნენ ნადირის დასაჭერად და ყოველთვის ვერიდებოდით. იმ ღამეს კი რატომღაც ვერ შევამჩნიეთ, ისე იყო ხის ფოთლებითა და ბალახებით შენიღბული ზემოდან.

ინათა.

დასვენებულებმა კიდევ ვცადეთ ამოსვლა, მაგრამ ისე გვტკიოდა ბრჭყალები, მალე თავი მივანებეთ და ერთმანეთს შევხედეთ.

თევდორემ ლუკას შეხედა.

ლუკამ თვალი ვერ გაუსწორა, თავი დახარა.

ცოტა კიდევ რომ ინათა, ზემოდან ნაბიჯების ხმა შემოგვესმა. გავიტრუნეთ, ორმოს კედლებს ავეკარით იქით-აქეთ. ნაბიჯების ხმა თანდათან ახლოვდებოდა და ჩვენს თავზე შეწყდა.

ავიხედეთ.

მონადირე ჩამოგვეყურებდა.

კუდები ამოვიძუეთ.

უცებ, არ ვიცი, ეტყობა, ორმოს ნაპირზე ფეხი თუ გაუსხლტა, თავდაყირა წამოვიდა მონადირე და ჩვენს შორის ზღართანი მოადინა. თოფი არ ჰქონდა, ეტყობა ზემოთ გაუვარდა.

ისიც ისევე უცებ წამოვარდა, როგორც ჩვენ წამოვცვივდით ჩამოვარდნისას და გასაქცევად მოემზადა, მაგრამ სად გაიქცეოდა; მალევე მოეგო გონს და თვალეზე ხელები აიფარა.

ჩვენ ადგილზე ჩამოვსხედით და დავუწყეთ ყურება. ის შემინებული თვალეებით ხან ჩვენ გვიყურებდა და ერთიანად კანკალებდა, ხანაც ზემოთ იყურებოდა.

მზე ამოვიდა.

ვისხედით გაუნძრევლად და ის ჩვენ გვიყურებდა, ჩვენ იმას არ ვაცილებდით თვალს. მხარილლივ თოკი ჰქონდა გადაკიდებული. ეტყობა საჭიროების შემთხვევაში ამ თოკს მოაბამდა ხოლმე ზემოთ მდგარ რომელიმე ხეს და მეორე ბოლოთი ორმოში ეშვებოდა. ახლა ვეღარ მოასწრო, რაღაცა შემთხვევამ, თუ ბედისწერამ მოწყვეტით ჩამოაგდო ჩვენთან.

მზემ ორმოშიც ჩამოიხედა.

ჩამოცხა.

ჩვენ ერთი კვირის ნაშიმშილები ვიყავით და ძლივს ვიკავებდით თავს რომ არ ვცემოდით მონადირეს, მაგრამ რაღაცა მგლური ბუნება არ გვაძლევდა იმის ნებას, ამ შემთხვევაში კაციც ჩვენნაირ განსაცდელში იყო ჩავარდნილი და, მართალია,

შიშშილით თვალები გვქონდა ამღვრეული, მაინც არ ვეკარებოდით მონადირეს. შეიძლება, შეყვარებულებს ერთმანეთის სიყვარული არ აძლევდა ასეთი ნაბიჯის გადადგმის უფლებას.

მე?

მე რაღა მაკავებდა?

იქნებ ის, რომ ჩემ სულში ჯერ კიდევ ენთო ადამიანი.

არ ვიცი.

მონადირე კი ისეთი საწყალი თვალებით შემოგვყურებდა, თითქოს თვითონვე არ ამოეთხაროს ეს ორმო.

შეწყალებას გვთხოვდა იმისი მზერა.

მზე გადაიხარა.

მიიწურა ის დღე.

ჩამოლამდა.

ორმოში სიბნელე ჩამოწვა.

ჩვენ ვისხედით, მონადირე ველარაფერს ხედავდა. ზურგით ორმოს კედელს ეკვროდა. ჯიბიდან პატარა დანა ამოიღო და გახსნა. ეტყობა ამით აპირებდა თავდაცვას. ალბათ, არ იცოდა რომ ვხედავდით, თორემ დანას იმ წუთში აღარ დამალავდა, როცა მთვარის პირველმა სხივმა მკრთალად გაანათა ორმო. მონადირემ იმ წუთას გადამალა პატარა დანა და ისევ საცოდავი თვალები შემოგვაფეთა.

ორმო თანდათან გაანათა მთვარის შუქმა.

ჩვენ ჩუმად ვისხედით და შევყურებდით ერთიმეორეს. ღენჯა და ქალობა გვერდებით აჰკვროდნენ ერთურთს, ხანდახან თავებს გადახრიდნენ და წაეალერსებოდნენ ერთმანეთს, მერე ეტყობა ისევ გაახსენდებოდათ სადაც ვიყავით, ისევ ახედავდნენ ზემოთ.

მონადირე იყო შუახნის კაცი, გამხდარი. მკვეთრი ნაკვთებით და წვრილი თვალებით, რომლებითაც ახლა შეშინებული შემოგვყურებდა.

ჩუმად ვისხედით.

უცებ ორმოში ჭრიჭინობელა ჩამოხტა და მოჰყვა ჭრიჭინს. ხტუნავდა, ეტყობა გასასვლელს ეძებდა, მაგრამ ვერ პოულობდა.

მთელი ღამე ჭრიჭინობელას ძახილში გავლიეთ. ხანდახან წაგვთვლემდა, მაგრამ, უცებ შევკრთებოდით, მონადირესაც წასთვლიმა რამდენჯერმე.

ინათა.

ჭრიჭინობელამ მღერა შეწყვიტა.

დილის ჰაერმა შიმშილი გაგვიძლიერა.

ისევ ჩამოდგა ორმოში მზის სხივი.

მერე მოიღრუბლა.

ელვა დაიკლაკნა.

იქუხა.



წამოვიდა კოკისპირული წვიმა.

ზემოდან თქეში მოდიოდა და ფსკერზე გროვდებოდა, მიწის გული ვერ ასწრებდა წყლის ჩანთქმას.

თანდათან ძლიერდებოდა წვიმა.

ახლა უკვე წყალში ვისხედით, მარტო თავები გვქონდა ზემოთ ამოწეული და ისე შევყურებდით ერთიმეორეს.

ჭრიჭინობელა წყლის ზედაპირზე დაცურავდა.

აღარ ჭრიჭინებდა.

როგორც უცებ წამოვიდა წვიმა, ასევე უცებ გადაიღო.

მზემ ისევ გამოანათა.

წყალიც თანდათან დაიშრიტა და ისევ მშრალზე დავრჩით.

ისევ ისე შემოგვყურებდა კაცი.

ჩვენ, რა თქმა უნდა გვშიოდა.

ისევ მიიღია დღე.

ისევ ჩამოწვა სიბნელე.

ისევ გახსნა კაცმა პატარა დანა და მთვარე რომ ამოვიდა, ისევ დამალა.

ისევ ამღერდა ჭრიჭინობელა.

ისევ ინათა,

და..

კაცმა ნელ-ნელა წამოიწია, თან ჩვენ გვიყურებდა.

ადგა.

პატარა დანით საფეხურების კეთება დაიწყო ორმოს კედელში. საოცარია, ამხელა ორმო ამოეთხარა და ახლალა გაახსენდა საფეხურების გაკეთება. ეტყობა თოკით ჩამოეშვებოდა ხოლმე აქამდე და მიწაც თოკით აჰქონდა ვედროებით.

დანით მიწას თხრიდა. მაინც ვერ გვენდობოდა და დროდადრო უკან იყურებოდა. ჩვენ უხმოდ ვუყურებდით.

თანდათან ზემოთ წავიდა.

ერთ ადგილას ფეხი დაუცურდა და გულაღმა დაეცა ჩვენს წინ. დაბლიდან ამოგვხედა მიწაზეგართხმულმა. საცოდავი თვალები ჰქონდა.

ძლივს წამოიწია.

წამოდგა.

ისევ აუყვა საფეხურებს.

ისევ თხრა დაიწყო.

ჩვენ მას შევყურებდით, ახლა მარტო მისი იმედილა გვქონდა.

რაც უფრო ზემოთ მიდიოდა მონადირე, მით უფრო გახარებული თვალებით უყურებდნენ ერთურთს შეყვარებულები.

– ავა, ძელს ჩამოუშვებს და იმას ავეყვებით, – ეუბნებოდა ქალობას ღენჯა და გაფაციცებული შევყურებდით ზემოთ.

არასოდეს დამავიწყდება ის სიხარული, რაც ღენჯას და ქალობას ედგა თვალებში, როცა კაცმა ბოლო საფეხური გამოთხარა, ფეხი შედგა და ზემოთ ავიდა.

ამოვისუნთქეთ.

კაცი ერთ წუთს გაქრა.

«ეტყობა ძელისთვის წავიდა».

გაფაციცებული შევყურებდით ზემოთ.

ისევ გამოჩნდა კაცი.

ჩამოგვხედა.

თოფი ჩამოგვიშვირა და გვესროლა!

ერთხელ.

მეორედ.

მესამედ.

ორმოში წამლის კვამლი და სუნი დატრიალდა.

კიდევ იქუხა.

აღარაფერი მახსოვს.

რადაცამ ცეცხლივით გამიარა.

აღარ მახსოვს.

გონი დავკარგე.

არ ვიცი რამდენ ხანს ვიყავი ასე. გონს რომ მოვედი, წამოწევა დავაპირე. წამოვწიე თავი და ჯერ ისევ ზემოთ ავიხედე. მონადირე აღარსად ჩანდა. მიმოვიხედე: ჩემს გვერდით ეყარნენ დახოცილი ღენჯა და ქალობა, წინა თათები ერთმანეთისათვის გადაეხვიათ და თითქოს ეძინათ.

ვერ წამოვდექი. დაჭრილი ვიყავი, სისხლი ჯერ კიდევ მდიოდა და ღონე მელეოდა. ისევ დავკარგე გრძნობა და მაშინღა მოვედი გონზე ორი კაცი ზემოთ რომ მიმათრევდა თოკებით.

– მაშინვე გამიკვირდა, როგორც კი ჩავხედე და წითელი მგელი დავინახე, – ამბობდა ერთი, – თავი ველარ შევიკავე და შიგ არ ჩავვარდი!..

– მერე როგორ სისხლივით წითელია?!.

– ჰო, იმიტომ არ მოვკალი, ამას ცოცხლად უფრო კარგი ფასი ექნება.

– ორმოში რომ ვიყავი, სუ იმაზე კვლევდი, სად გამერტყა ტყვია, რომ არ მომკვდარიყო.

– კიდე მაგაზე ფიქრობდი?

– როცა მივხვდი რო აღარ მერჩოდნენ..

– ოო, რა მძიმეა.

ამომათრიეს.

შეყვარებული მგლები იქვე ეყარა.

მე პირი მქონდა ღვედებით შეკრული. არ მახსოვს, როდის ამიკრეს, ეტყობა უგრძნობი რომ ვიყავი, მაშინ შემიკრეს, რომ არ მეკბინა.

ერთმა ღენჯა გაატყავა, მეორემ \_ ქალობა.

ტომარაში ჩამსვეს და მერე ხურჯინის ერთ თვალში ჩადებული გადამკიდეს ცხენზე.

ცხენი ფრთხელობდა.

ფრუტუნებდა.

ტომრიდან რომ ამომსვეს, მთელი სოფელი გარს მეხვია.

ჯოხებს მიჩიჩხინებდნენ, აქეთ-იქიდან ქვებს მესროდნენ ბალღები.

\_ გაანებეთ თავი! \_ გაბრაზდა ის მონადირე, ვინც დამიჭირა.

რამდენიმე დღე საბძელში ვყავდი ჯაჭვით დაბმული. ოდნავ მოუშვებდა ხოლმე ჩემ პირზე შემოჭერილ ღვედებს, რომ სალაფავი შემეჭამა, მაგრამ იმასაც არ ვჭამდი.

მერე ჩამსვეს მანქანაში და ქალაქში ამომაცოფინეს თავი.

რამოდენიმე ხანს ზოოპარკში ვიყავი გამომწყვდეული და მოდიოდა და მოდიოდა ჩემ სანახავად ხალხი.

იდგნენ.

მიყურებდნენ.

ერთხელ ერთ კაცთან წამიყვანეს და იმის სახლში გამომამწყვდიეს გალიაში.

ის კაცი ყოველ დილით მოდიოდა, დგებოდა ჩემ წინ და მიყურებდა, მკვლევდა, სწავლობდა ჩემს ქცევებს.

ასე გაგრძელდა ერთ თვემდე.

ვგრძნობდი, რაღაც ძალას იღებდა ჩემგან ის კაცი.

მერე ისევ ზოოპარკში დამაბრუნეს.

სანატრელი გამიხდა ხროვაში ცხოვრება.

ერთი რამ კია საინტერესო, მთელი ამ ხნის განმავლობაში ის თივის ალდახი, ყელზე რომ შემაბეს დორაისხვევლებმა და გამონასკვეს, თან მქონდა და არავის არ შეუნიშნავს, ან ხედავდნენ და ყურადღებას არ აქცევდნენ, ან შეუმჩნეველი იყო, სხვა ვერ ხედავდა, არ ჩანდა. მაშინ რა ვიცოდი, რომ მთელი საიდუმლო, ჩემი მგლობისა, იმ გამონასკვეულ ალდახში იყო.

რა არ გადამხდა, რა არ გადავიტანე.

ბოლოს დამეპატრონა ერთი პროფესორი, რომელიც დაკვირვებას აწარმოებდა ჩემზე. არა, ნამდვილი ჯოჯოხეთი მაქვს გამოვლილი, და ეს ყველაფერი იმ ცოდვებისათვის, რაც მგლად მოქცევამდე მქონდა ჩადენილი.

ბატონ პროფესორს (ასე ეძახდნენ მას) ჰყავდა თანაშემწეები, რომლებიც დამაწვენდნენ მაგიდაზე, შემკრავდნენ ღვედებით და შემიერთებდნენ დენს. ვმაგმაგებდი, ვხტოდი, მინდოდა ყმული ტკივილისაგან, მაგრამ, პირი აკრული მქონდა.

\_ კარგია! \_ იძახდა ბატონი პროფესორი.

იყო შემთხვევა, როცა პროფესორის არყოფნის დროს რამოდენიმე ბიჭი შემოსულა იმ ოთახში, სადაც ჩემი გალია იდგა. შენი ტოლები იქნებოდნენ ლუკავ.

შემოვიდოდნენ, შიგნიდან ჩაკეტავდნენ კარს, იდგნენ საათობით ჩემს გალიასთან, მიყურებდნენ და ხარხარებდნენ:

\_ ბიჭო, ბიჭო, შეხე რა საკაიფოაა!

\_ აუუუ რა მასტიააა!

იმახდნენ და გაუთავებლად ხარხარებდნენ. ერთხელ რაღაც ნემსი მიჩხვლიტეს და ეეე, წავედი ცაში. ვუყურებდი იმ ბიჭებს და მეჩვენებოდა, რომ ჩემს წინ მგლები იდგნენ, შემომყურებდნენ და ხარხარებდნენ.

ბატონი პროფესორი კი სულ ერთიდაიმავეს გაიმახოდა:

\_ კარგიაა! ძალიან კარგიაა!

რა იყო კარგი, ვერ ვგებულობდი.

ასე გაგრძელდა ერთ ხანს და ერთხელაც იმ პროფესორთან ერთად, ოთახში ის კაცი შემოვიდა, ერთი თვის მანძილზე ყოველდღე რომ მიყურებდა სახლიდან გასვლისას.

მოვიდა, შემომხედა.

რაღაც უთხრა პროფესორს, ვერ გავიგონე.

\_ კი ბატონო! დიდი სიამოვნებით! \_ მომესმა პროფესორის ხმა. აშკარა იყო, ჩემზე ჰქონდათ საუბარი, მე მიყურებდნენ.

ღამით მანქანაში ჩამსვეს და ქალაქიდან გამიყვანეს.

გამიშვეს.

გავიქეცი.

ძლივს მივაგენი ხროვას.

ისევ ჩავუდექი წინამძღოლს კვალში და სოფლისაკენ წავყევი ძუნძულით.

როცა დორაისხევში მორიგ სამსჯავროზე წარვდექი, ის კაცი, ვინც მე გამომიშვა ქალაქიდან, იქ დავინახე, მე კი დილეგში ჩამაგდეს იმის გულისათვის, რომ ტყვედ ჩავვარდი და კარგა ხანს უსმელ-უჭმელი ვეგდე იქ.

დორაისხევში მბრძანებელი შეიცვალა და გამომიშვეს.

დასუსტებული გავყევი ხროვას.

ლუკას ჩასთვლიდა.

თავი ჩაჰკიდა.

\_ ლუკა! \_ ხელი მოჰკიდა თევდორემ.

\_ ჰა? \_ ძილში იკითხა ლუკამ.

\_ გეძინება ლუკა?

ლუკას უკვე ეძინა..

შემკრთალს გაეღვიძა. ლოგინში იწვა და თევდორე აღარსად იყო. ის-ის იყო თენდებოდა.

წამოჯდა.

თავი შეათვალიერა.

რა მოხდა?

როგორ ჩაეძინა?

ნეტავი ძილში ხომ არ მოაჯადოვეს? არა, ისევ ადამიანის ფორმა აქვს, ფეხებიც ლუკასია, ხელებიც, ისევ ლუკაა, მაგრამ თევდორე?

ალბათ სძინავს.

ცოტა ხანს ლოგინიდან ადევნებდა ფანჯარაში თვალს, როგორ ნათდებოდა თანდათან.

– ლუკაა! – მოესმა შიგნიდან თევდორეს ძახილი.

ლუკამ ყური მიუგდო, ხომ არ მომეჩვენაო.

– ლუკაა! არ გაგიღვიძია ლუკა?! – ისევ მოისმა თევდორეს ხმა.

– ჰო, ძია თევდორე, გავიღვიძე, – გაეპასუხა ლუკა და ლოგინიდან წამოდგა, ასევე ტანსაცმელგაუხდელად ჩაეწვინა თევდორეს ლოგინში წუხელ.

– შემოიხედე, ლუკავ, ცოტა ხანს.

ნეტავ რა უნდა თევდორეს? რატომ თვითონ არ გამოდის, რატომ ეძახის იქიდან ლუკას, შემოიხედეო.

დორაისხვევლები ხომ არ არიან იქ?

მერე და, თუ არიან, განა ვერ გამოვა თევდორე, თვითონ ვერ შეიყვანს ლუკას.

– რას შვრები ლუკავ, რატომ არ შემოდიხარ?

ლუკამ ნაბიჯი გადადგა კარისაკენ, ხელი წაავლო სახელოს, მაგრამ ღონე არ ეყო რომ შეეღო.

«რაც მიწერია, არ ამცდება», – გაიფიქრა უცებ და მიაწვა კარს.

თევდორე ლოგინში იწვა.

– დილა მშვიდობისა, ლუკავ! – მიესალმა ის ლუკას.

– ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, ძია თევდორე!..

– რო აღარ მამღევეს, ლუკავ, აღარ მივყევარ, მაწვალეებს, წასასვლელი პირი მაქვს და აღარც ვრჩები, აღარც მივდივარ.

– რა დროს წასვლაა, ძია თევდორე.

– ვეღარ ავდექი ლოგინიდან, ლუკავ, ჯანი აღარ მომდევს. გატეხილი ვარ, ამ ბოლო დროს სუ ავადა ვარ; დილასაც დავაპირე ადგომა, მაგრამ აჰა, ვერა, აღარ მომყვება ასობა, – წამოწევა დააპირა თევდორემ და ვერ წამოიწია, ისევ ლოგინს მიენდო.

ხის საწოლი, სადაც თევდორე იწვა, კვამლისაგან იყო გაჭვარტლული. ზედ ლამაზი ორნამენტები ამოეჭრა ხელოსანს. თითქოს ლუკამაც სიმშვიდე იგრძნო ამ საწოლის დანახვაზე. სკამზე ჩამოჯდა.

– ეს ლოგინილა მიყურებს ტკივილებს, ლუკავ, თორემ რაც მე გადამიტანია, რა ადამიანისშვილის გადასატანია ის. ვინ იცის, ბოლომდე მგლადაც კი დავრჩენილიყავ, სამივე ყინული რომ არ ჩამომეგდო ერთი შეყმუვლებით და წინამძღოლი არ გავმხდარიყავი. თითქმის აღარაფერი მახსოვს ადამიანისდროინდელი. წინამძღოლი რომ გავხდი, წავიგდე მკერდი წინ და წავუძეხი ხროვას სოფლისაკენ.

იმ დღეს ერთ ცხვრის ფარას ვუთვალთვალეთ. საღამოთი ბაკში შეყარეს ცხვარი მეცხვარეებმა და ღამე რომ ჩაღრმავდა, ქოხში შევიდნენ დასაძინებლად.

მიწაზე გავწეკი და დანარჩენებმაც მე მომბამეს.

ხოხვით მივედით ფარეხამდე.

ძაღლებმა ვერაფერი ვერ გაგვიგეს.

საჭირო იყო, ვინმე ბაკში გადამხტარიყო და იქედან დაეფრთხო ფარა, რომ ცხვრის ფარას თვითონ ეპოვა გარეთ გამოსასვლელი და სიბნელეში რომ გაიფანტებოდა ფარა, მანამ მწყემსები შეაგროვებენ, თითო მგელს, თითო ცხვარი მაინც შეგვხვდებოდა. ყველა მგელის ბაკში გადახტომა კი სარისკო იყო, რა იცი, ხიფათს არ სძინავს, სიფრთხილეს საჭირო. წინამძღოლი ვიყავი და მე გადავწყვიტე ბაკში გადაფრენა. დანარჩენი მგლები, იქვე შორიახლოს ჩაწოლილები მელოდებოდნენ.

ძალაღი იყო ბაკის ღობე.

გადასახტომი მანძილი მოვზომე.

ავიწიე და გადავევლე ზემოდან ღობეს. უცებ რაღაცას გამოვედე, მარგილზე იმ ყელგამონასკვული ბალახების აღდახით ჩამოვეკიდე, მგლადმონათვლისას რომ შემაბეს ყელზე.

ცხვარი დაფრთხა.

ძაღლებმა ყეფა ატეხეს.

მე მარგილზე ვარ ჩამოკიდებული და ვიხრჩვები, თვალთ მიბნელდება, ვიხრჩვები..

ქოხიდან გამოცვივდნენ მეცხვარეები, ატეხეს ყვირილი.

უცებ ყელზეგამობმული აღდახი გაწყდა და ცხვრის ფარაში დავეცი.

იმწუთას წამოვხტი და გაქცევა დავაპირე, მაგრამ რას გაიქცევი, მგელი აღარა ხარ, შიშველ-ტიტველი ადამიანი ვდგავარ ფარაში.

მოცვივდნენ მეცხვარეები, საცემლად შემომხევივნენ, მაგრამ მხედავენ შიშველი კაცი ვდგავარ.

გაოცდნენ.

მეც კარგა ხანს აზრზე ვერ მოვდიოდი.

შემიყვანეს ქოხში, ჩამაცვეს თავიანთი ტანსაცმელი.

მოვუყევი ჩემი ამბავი.

დამეძინა.

იმ ღამეს კიდე მესიზმრა მამაჩემი, ახლა უკვე გახარებული სახით მიყურებდა და მეძახდა: \_ ყვავილი იპოვე, შვილო, ყვავილი, თორემ არ მოგასვენებენ.

მანამდეც, რამდენჯერ მეძახდა ამას, მგლად ყოფნის დროსაც, ჩავთვლემდი თუ არა, შეწუხებული სახით წარმომიდგებოდა და, ყვავილი იპოვე, ყვავილიო, მეძახდა. მგელი ვიყავი და აზრი ვეღარ გამომქონდა ამ ხილვებიდან. ცოტა ხანს მთებს შემოვირბენდი ყვავილს ვსუნავდი და მგონი უფრო ვთელავდი ფეხით, ეგ იყო და ეგ. ახლა კი, როცა ისევ ადამიანი გავხდი, გამეღვიძა თუ არა, გამოვემშვიდობე მწყემსებს და წამოვედი. იმ დღიდან ვეძებდი ისეთ ყვავილს, მამაჩემი რომ აყვავდა და მერე ქარმა მიმოაბნია. კარგა დრო იყო იმის მერე გასული, ზამთარიც ბევრი გამოიარა დედამიწამ და ზაფხულიც, ვეღარსად ვნახე ის ყვავილი. ერთ დღეს კი სულ

შემთხვევით წავაწყდი კალობანზე, სახლის ჭერხოში, შებოლილ ხეებს შორის იყო გაჩხერილი ეს ერთი ცალი. ეტყობა ქარმა შეაგდო იქ. ჩამოვიღე და გულზე დავიკერე. იმის მერეღა დამიმშვიდდა სული. აღარ მეშინოდა. თუ სადმე მგლები წამაწყებოდნენ, დაინახავდნენ თუ არა ამ ყვავილს, კუდამოძუებულნი გარბოდნენ. ეეე, ჯანი აღარ მომდევს ლუკავ, თორემ შემოვივლიდი ამ ყვავილით მთელ ქვეყანას. გატეხილი ვარ, გატეხილი, შენნაირი ჯელი უნდა ასეთ საქმეს, მე რა, ეტყობა ამ ყვავილითღა მიდგა ჯერჯერობით სული, თორემ გზაზე ვდგავარ, მივემგზავრები.

ლუკაც ჩუმად ათვალიერებდა ოთახს და სულში რაღაცა დიდ სიმშვიდეს გრძნობდა. უკვე განთავისუფლებულიყო მტანჯველი ეჭვებისაგან.

– წადი ლუკავ, საქონელს თივა დაუყარე და ხბოებს მოაწოვე, – სთხოვა თევდორემ.

ლუკა გარეთ გამოვიდა.

მზე ამოდიოდა.

მოწმენდილ ცაზე ღრუბლის ნატამალი არსად ჩანდა, ლუკამ საბძლიდან თივა აიღო და ძროხებს შეუტანა გომურში, შემოღობილიდან ხბოები გამოუშვა და ისინიც იმავე წუთას ეცნენ დედებს ცურებში. ლუკამ ოთახიდან ვედრო გამოიტანა, ძროხა ჩამოწველა, ცეცხლზე დაადგა და ადუღებულ რძე დაალევინა თევდორეს.

მოხუცს ძალიან უხაროდა ლუკას ყურადღება, სახეზე სიამოვნების ნათელი ფერები გადასდიოდა. თვალეები უბრწყინავდა.

– ერთიც არ დაიზარო, ლუკავ, ქვემოთ სოფელში ჩადი, ჩემი ძმა იკითხე და უთხარ თევდორე ცუდად არის-თქო, თორემ ისე სუსტადა ვგრძნობ თავს, შენ არ ჩაგაკვდე ხელში, წერა-მწერლისას რას გაიგებ, მომზადებული დავხვდეთ, – მშვიდად ლაპარაკობდა თევდორე, – მგლების ნულარ გეშინია, წუხელ გაყინა თოვლი და საზოვარი აღარ არის, მგზავრები დაიწყებენ მიმოსვლას. ძალლი აუშვი და თან წაიყოლე, მაგასთან ნურაფრისა შეგეშინდება, პირველი სოფელი სადაც შეგხვდება, იქ ცხოვრობს ჩემი ძმა.

თითქოს, სიმშვიდესთან ერთად, რაღაც სხვა ძალასაც გრძნობდა ლუკა. სადღაც გამქრალიყო შიში, მიდიოდა გაყინულ თოვლზე და ძალლი მიჰყვებოდა უკან.

მზის სხივებში ბრჭყვიალებდა ხეობა. გზაზე მგზავრები მიმოდიოდნენ. სიცოცხლის ნიშანწყალი უბრუნდებოდა არემარეს.

ვერც კი გაიგო, როგორ გაიარა თევდორეს ძმის სახლამდე ლუკამ გზა. იმის დაძახილზე სახლიდან თევდორეზე უფრო ხნიერი კაცი გამოვიდა.

– ვინ გინდა ძიას კაცო? – ჰკითხა ლუკას.

– ლეგო მინდა.

– ლეგო მე ვარ.

– თევდორემ გამომაგზავნა ამომხედო.

– ცუდად არის?

– ჰო, შეუძლოდ არის.

– ეხლავე, შვილო, წამო, სახლში შემოდი, სანამ მოვემზადები.

– არა, გარეთ დაგიცდით, კარგი ამინდია.  
 ლეგო სახლში შებრუნდა.  
 ლუკამ ცხენოსნებს მოჰკრა თვალი. თავის სოფელელები იცნო და იმათკენ წავიდა.  
 – ე, ლუკავ, შენა ხარ?! – გაუკვირდა იმათ.  
 – ჰო, რა გიკვირთ.  
 – რა ვიცი, რამდენი ხანია დაკარგული ხარ, სოფელში აღარ ამოდიხარ, გაგიტკბა ქალაქი.  
 – რას იზამ, ტკბილია და, – გაიცინა ლუკამ. იმათაც გაიცინეს.  
 – სახლში მოდიხარ?  
 – არა. ჰო, ჰო, სახლში მოვდივარ, – დაიბნა ლუკა.  
 – წამო, ბარემ ცხენებითა ვართ, სამანქანედ, რა ვიცი, როდის გაწმენდენ თოვლს გზაზე, შენ კი ხარ დაჩვეული მანქანით სიარულს და ლოდინი მოგიწევს.  
 – დამელოდეთ, ეხლავე მოვალ, – უთხრა ლუკამ და ლეგოსაკენ გაიქცა.  
 – ძია ლეგო, მე სოფელში წავალ და თევდორეს უთხარ, მალე ამოვალ-თქო, ჩვენებურები მელოდებიან ცხენებით, აი, ძალი წაიყოლეთ, – უცებ ლუკა შეკრთა: ლეგოს ულამაზესი გოგონა ედგა გვერდით. თითქოს მთელი სიცოცხლე ამ გოგოს ეძებდა ლუკა.  
 – კაი, შვილო, ვეტყვი, – თქვა ლეგომ წყნარად და გზას დაადგა, გოგოც თან გაჰყვა. ლუკა ცხენოსნებს გაჰყვა.  
 – ზაფხულში არ ამოხვედი და რაღა ამ დიდთოვლიანობისას მოგინდა სოფელი? – ჰკითხა ერთმა.  
 – რა ვიცი, ეგრე მოხდა, – უთხრა ლუკამ და მერე თვითონ შეეკითხა:  
 – თქვენ საით ყოფილხართ?  
 – საბჭოში ვიყავით, ექიმი გამოვიძახეთ რაიონიდან, საქონლის ექიმი.  
 – ექიმი რად გინდათ?  
 – რა ვიცი, საქონელი უცოფდებათ ხალხს, გიჟებივით დარბიან და საჩურგნელად გვეტანებიან. ამას წინებზე ერთი კოჭლი მგელი საიდანმე შემოხვეწილა სოფელში და რასაც კი გაწვდა, დაუკბენია საქონელი, ეტყობა ცოფიანი იყო, ისეთ დღეში ვართ, აღარ ვიცი რა ვქნათ, დედაშენსაც გაუცოფდა ძროხა. ახლოს ვეღარ ვეკარებით, გიჟებივით დარბიან. ახლა თუ ხალხსაც გადაგვედო, დავიღუპებით. რაიონში დავრეკეთ, შეგვპირდნენ სასწრაფოდ ამოვალთო.  
 – ვერა ყოფილა კარგი ამბავი.  
 – ხო, ლუკავ, მაგიტომაც გეუბნები, რაღა ეხლა მოგინდა-მეთქი სოფელში წამოსვლა, ყოფილიყავი იქ, ჩვენ არა ვკმარვართ აქ რომ ამ დღეში ვართ?

## სოფელი



სოფელი, სადაც ლუკა უნდა დაბადებულიყო, წმინდა ადგილად ითვლებოდა, ამიტომ მშობიარე ქალები სოფლიდან მიდიოდნენ და სადმე, სოფლიდან მოშორებით აჩენდნენ შვილებს. მართალია ბევრი რამ შეცვლილიყო უკვე სოფელში, ბევრი ძველი წეს-ჩვეულება დავიწყებასაც მისცემოდა უკვე, მაგრამ ამ წესს ჯერ ისევ ძველებურად ინახავდნენ და როგორც კი სამშობიარო ტკივილი იგრძნო, ლელამ სახელდახელოდ გამოჰკრა პატარა ფუთა და თავისი მამისახლთ სოფლისაკენ მიმავალ გზას დადგა. ჯერ დააპირა ვინმე მეზობელი ქალი გაეყოლებინა, მაგრამ იმ დროს სახლში არავინ იყო და იქნებ როგორმე მამისახლამდე მივაღწიო დაღამებამდეო, აჩქარდა.

ბინდდებოდა.

გზა ხეობას მიუყვებოდა ზემოთ, ბუსარჭილისაკენ.

უჭირდა ლელას სიარული. ერთი-ორი გვიანი მგზავრიც შემოეყარა და ფეხმძიმე ქალი რომ დაინახეს, გაკვირვებულებმა ჰკითხეს:

– ხომ დაგიღამდება, რამ დაგაყენა გზაზე?!..

– არა უშავს, ჩქარა ვივლი, – მიუგო ლელამ და ფეხს აუჩქარა.

ნელ-ნელა ბინდდებოდა, მამისახლთ სოფელი ჯერ კიდევ არ ჩანდა.

შემომგლისფერდა.

ლელამ მეტი ვეღარ შესძლო და ერთი წამოყუდებული კლდის ქვეშ ჩაიკეცა უღონოდ.

იმ საღამოს დაიბადა ლუკა.

კლდის თავზე არწივი ჩამომჯდარიყო და ჰყეფდა.

ლელას არწივის ყეფა რაღაცნაირი სიმხნევით ავსებდა და შიშს უფრთხობდა. მალე მთვარეც გადმოდგა და გაანათა კლდის ქვეშ ყველაფერი. ლელას ლუკა ჩიქილაში გაეხვია და აწოვებდა. სიჩუმე იყო, მარტო არწივი ჰყეფდა კლდის თავზე მთელ ღამეს და თითქოს დედა-შვილს ჰყარაულობდა. დილაუთენია კი ისევ მამისახლისაკენ მიმავალ გზას დაადგა ლელა და ორმოცი დღე დაჰყო მშობლებთან, ამის მერე კი უკვე უფლება ჰქონდა ქმრის სოფელში დაბრუნებულიყო და წამოვიდა.

მამა აღარ ახსოვს ლუკას. ჯერ კიდევ აკვანში წოლილა, როცა მამა სანადიროდ წასულა და ეტყობა მიუვალ მყინვარებში გადაიჩეხა, აღარ დაბრუნებულა უკან.

ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერსად მიაკვლიეს. ამოდ ჩასძახოდნენ მყინვარებში მონადირეები:

– გუჯიაა! გუჯიაა!

გუჯია არსად ჩანდა, მყინვარების საკუთრება გამხდარიყო საბოლოოდ.

ასე იყო, როცა ვინმე კარგი მონადირე უგზო-უკვლოდ იკარგებოდა და ხალხს არ უნდოდა მისი სიკვდილის დაჯერება, ათასნაირ ამბებსა თხზავდნენ, ათასნაირ ამბებს იგონებდნენ და სოფელში ისე ჰყვებოდნენ, ნელ-ნელა იჯერებდა ხალხი. ასე იქმნებოდა ასეთ მონადირეებზე ლეგენდები, ზღაპრები.

გუჯიაზეც დაიწყო ხალხმა ლაპარაკი და იქამდის მივიდნენ, ერთი დედაკაცი შვილებს ფიცულობდა, ისე დაწვრილებით უყვებოდა დანარჩენებს ლუკას დაბადებას, თითქოს თვითონ ყოფილიყო ამ ამბის შემსწრე.

– მაგათი მოდგმა ხომ ნაწილიანია, – ჰყვებოდა ქალი, – ლუკას მამაც ნაწილიანი იყო, ჩემი დედამთილი მიყვებოდა, გუჯია რომ დაიბადა, მე შევესწარი, მარცხენა მხარზე ნიშანი ჰქონდა, ფრთებგაშლილი არწივი ეხატაო. ლელას დედამთილს იმ წუთში შეუხვევია შვილი, რომ სხვებს არ დაენახათ ეს, მაგრამ ჩემ დედამთილს, მაინც დაუნახავს. ლუკასაც ახატია ასეთი არწივი და აბა თუ გინახავთ ერთხელ, როდესმე სახალხოდ გაეხადოს ლელას მისთვის პერანგი. ეგ არაფერი, ღვთის ნაწილია და ღვთისგან არის, ლუკასთან ერთად გველი დაბადებულა, ერთ ძუძუს რომ ბალღს აწოვებდა, მეორეს გველი სწოვდა. ისე უვლიდა, ისე ჰყავდა მიჩვეული, სამკალზე რომ წავიდოდა და ბალღს მძინარეს დატოვებდა აკვანში, ის გველი ტირილს დაიწყებდა, გველი პირში კუდს ჩაუდებდა და აწოვებდა. ერთხელაც, ასეთ დროს შესულა გუჯია სახლში, რომ გველი ახვევია აკვნის ტარზე და ბალღს აჩუმებს კუდით. მოუკლავს გუჯიას ის გველი და გარეთ გამოუგდია. ლელას რომ მოკლული გველი უნახავს, კინაღამ გაგიჟებულა, გუჯიასათვის დაუწყია ჩხუბი, რატომ მოჰკალიო. ამდგარა გუჯია და სანადიროდ წასულა..

ისე ჰყვებოდა ამ ამბავს ქალი და სხვებიც ისე უგდებდნენ ყურს, თითქოს ერთი ტყუილიც კი არ ერია შიგ. ლუკას ჩამომავლობას მართლაც ჰქონდა ღვთაებრივი ნიშანი, მართლა ეხატა ლუკას მარცხენა მხარზე ლურჯად მხრებგაშლილი არწივი, რომელიც ხანდახან მკრთალად განათდებოდა, იმ დამითაც მართლა ჰყეფდა არწივი, როცა ლუკა დაიბადა, მაგრამ გველის ამბავი, აქაური დედაკაცების ფანტაზიის ნაყოფი იყო.

იმ დღეებში ლელა შეუძლოდ იყო და გუჯია იმიტომაც წავიდა სანადიროდ, რომ მეუღლისათვის ჯიხვის ხორცი მოეტანა. წავიდა და ნისლიან ამინდში გადაიჩეხა ჯიხვების არვეს გადევნებული.

ახლა კიდევ ერთი კაცი ჰყვებოდა სოფელში:

– გავხედე, მონადირეა, მწვერვალზე მიდის ზემოთ. უცებ ფეხი მოუსხლტა და ქალამნის ჯღანით დაეკიდა. რა ვქნა, კაცო, ვუყურებ, შველა მწადია, მაგრამ რას მიეშველები, როგორ ახვალ იქ, ან ის როგორ ავიდა, მიკვირს ბეწვით ჰკიდია იმის სიცოცხლე კლდეზე. თუ გაწყდა, მოგჭამა ჭირი, წამოვა ძირს. ვუყურებ ესე გაოგნებული და გაწყდა კიდევ, წამოვიდა ჰაერში, მაგრამ აღარც კი დაცემულა კლდეზე, ჰაერშივე იქცა არწივად და აფრინდა.

– ეჰეჰეჰეე! – გაკვირვებით იმახდნენ დანარჩენები და თითქოს არც იმათ შორის ეპარებოდა ვინმეს ეჭვი, ის კი არა და გამოჩნდა ვიღაც კაცი, რომელიც ჰყვებოდა, როგორ ჩაუვარდა ომის დროს გერმანელებს ტყვედ გუჯიასთან ერთად.

– ჩვენთვის დამლა უნდა დაესვათ ტანზე გერმანელებს. ტანსაცმელი რომ გაგვხადეს და გუჯიას მხარზე გამონათებული ფრთებგაშლილი არწივი დაინახეს

ჰიტლერთან წაიყვანეს, – ჰყვებოდა ის კაცი და თანაც ისე რომ, ვითომ თვითონვე ესწრებოდა ჰიტლერისა და გუჯიას საუბარს.

– ჰიტლერი რომ დარწმუნდა, რომ თანდაყოლილი ჰქონდა გუჯიას მხარზე არწივი, ჰკითხა:

– გამარჯვებას ხომ მიწინასწარმეტყველებ, ხომ გავიმარჯვებ?

– არა, დამარცხდები, – უთხრა გუჯიამ.

– დახვრიტეთ! – ბრძანა ჰიტლერმა და დასახვრეტად გაიყვანეს ეზოში გუჯია.

ის იყო, უნდა ესროლათ გერმანელებს, ითვლიდნენ კიდევ აინ, ცვაინ .. რომ ამ დროს გუჯია არწივად იქცა, ფრთები აიქნია და ცაში აიჭრა. ისინი ჯერ გაოგნდნენ, მერე არწივს დაუწყეს ჰაერში სროლა, მაგრამ ის უკვე შორს იყო.

– ეჰეჰეჰე! – ისე გაკვირვებული იძახდნენ მსმენელები, არც კი შეჰპარვია ეჭვი არავის, არც კი დაფიქრებულან, რომ თითქმის ომის დამთავრებისასღა წაიყვანეს, ჯერ კიდევ პირტიტველა გუჯია ომში და როდისღა მოასწრო ან ტყვედ ჩავარდნა, ან ჰიტლერთან კაბინეტში წინასწარმეტყველება. ანდა როგორღა მოიქცა არწივი ისევ ადამიანად.

– ეჰეჰეჰე!

– აბა-ბააა!

იძახდნენ კაცები გაკვირვებული სახეებით.

– მე ჩემი თვალით ვნახე, როგორ აჰყავდა ერთ არწივს ჰაერში გველები და იქედან ახეთქებდა კლდეებზე, ალბათ ის იყო, – ირწმუნებოდა ერთი ახალგაზრდა მწყემსი.

ჭორი ჭორს მოსდევდა და ლეგენდა ლეგენდაზე იქმნებოდა. ლუკას მომავალზეც ბევრს წინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ცალკე იმ ამბავმა, რომ ლუკა ჩვეულებრივი ბიჭი იყო, არაფრით არ გამოირჩეოდა თავის თანატოლებისაგან და ცალკე გუჯიას დაკარგვიდან დროის გასვლამაც ნელ-ნელა მიავიწყა ეს ამბები ხალხს.

ლელა დიდი გაჭირვებით ზრდიდა შვილებს. ლუკა თავის დაზე ოთხი წლით უმცროსი იყო.

– მართლა არწივი ახატია შენ ძმას მარცხენა მხარზე? – ხანდახან რომელიმე თანატოლი გოგო თუ ჰკითხავდა მას და ისიც, ამით დაინტერესებული, ეხვეწებოდა მას ეჩვენებინა მისთვის არწივი და როცა ძმის მხარზე ცისფრად გამონათებულ ფრთაგაშლილ არწივს ნახავდა ჩუმად უყვებოდა გოგოებს:

– ახატია, კი, ახატია!

– რას აკეთებს? – უკვირდათ მათ.

– ვინ, არწივი?

– ჰო.

– კივის და გასაფრენად ემზადება, – იტყუებოდა გოგო.

ეს იყო ადრე, ბავშვობაში, მერე ამის შესახებ დაც აღარაფერს ეკითხებოდა, თვითონ ლუკასაც არწივის ფორმის ლაქად მიაჩნდა თავის მხარზე გამოხატული არწივი.

არაფერი ისეთი საოცარი და მნიშვნელოვანი არ იყო. არაფერს ეს ნიშანი არ სცვლიდა ლუკას ცხოვრებაში.

ერთმა თანასოფელელმა ახლაც დააპირა ეკითხა ლუკასთვის ამის შესახებ, მაგრამ ის ვერ მოიფიქრა როგორ ეკითხა და როცა უთხრა:

\_ იცი, რა მინდა გკითხო ლუკა?

\_ რა?

\_ ისაა, აი, ცოფი ხალხზედაც გადადის საქონლიდანო, მართალია? \_ სხვა თემაზე გადაიტანა კაცმა კითხვა.

მარ ვიცი, \_ უთხრა ლუკამ.

\_ ამას საიდანღა ეცოდინება, ბაღლია ჩვენთან შედარებით, სად უნახია ამისთანები, \_ თქვა მეორე ცხენოსანმა.

\_ რა ვიცი, ქალაქში გავლილ-გამოვლილია.

\_ ქალაქში საქონელი არც არი, \_ თქვა ისევ იმ ცხენოსანმა.

სოფელს რომ მიუახლოვდნენ, კლდეში გადამალული თოფები გადაიკიდეს ცხენოსნებმა და ისე წავიდნენ სოფლისაკენ. უნდოდა ეკითხა ლუკას, ნადირისგან თუ გეშინოდათ, თან რატომ არ გქონდათ წამოდებული იარაღი და სოფელში რაშიღა გჭირდებოდათ, მაგრამ აღარ ჰკითხა. იარაღს ყველა მალავდა და არც უყვარდათ ამ თემაზე შეკითხვები, აღარც ლუკამ ჰკითხა არაფერი. ის იყო, უნდა შესულიყვნენ სოფლის ორღობეში, რომ ერთი გაცოფებული ხარი, ყვირილით გამოექანა მათკენ. პირდაპირ მოდიოდა პირზე ქაფმოდებული.

ცხენოსნები შედგნენ. თოფები შეაყენეს.

ტყვიასავით მოჰქროდა ხარი.

\_ ნუ გეშინია, ლუკავ, თქვა ერთმა ცხენოსანმა და გამოჰკრა თოფის სასხლეტს. ხარი ადგილზე დატრიალდა. ახლა მეორე ესროლა. ხარი დაეცა. კიდევ ბლაოდა. კიდევ ესროლეს. გაჩუმდა.

\_ შენი ხარიც ასე მოგვკალით გუშინ, ლუკავ, დედაშენმა ბევრიც იტირა ამაზე, ლუკას გაზრდილი იყო. კიდევ კარგი იქ შევესწართ და ლელას არა დაუშავა-რა.

\_ რატომ ხოცავთ? \_ ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყო ლუკა.

\_ გაცოფებულნი არიან და კაცს ეტანებიან, მაგიტომაც დავარეკინეთ რაიონში, აღარ ვიცი რა გვეშველება, საქონელი ჯანდაბას, ხალხსაც არ გადადოს, სახლებში ვართ ჩაკეტილები და თუ დროზე გავიგეთ რო ვინმეს ძროხა უნდა გაცოფდეს, ხო კარგი, მაშინვე ვესვრით, თუ ვერ გავიგეთ და აესე დაგვდევენ საჩურგნელად.

ლელამ ძალიან გაიხარა შვილის დანახვით. მარტო იყო, ლუკას დამ ინსტიტუტი რომ დაამთავრა რაიონის სკოლაში გაანაწილეს მასწავლებლად. ლელამ ტირილით შესჩივლა ბიჭს შენი ხარი გაგვიცოფდა და თოფით მოგვკალითო.

\_ ვიცი, დედი, ვიცი, \_ ამშვიდებდა ლუკა.

იმ საღამოს რამოდენიმეჯერ კიდევ გავარდა სოფელში თოფი. რომ ჩამოვამდა ავად დაიარა სოფელში ხმამ. შიოყაურიანთ ტეფაიც გაცოფებულა. ძლივს მოასწრეს და ბნელ ოთახში გამოკეტესო.

დილით წყალზე გაიყვანა საქონელი ხალხმა და თან თოფებით ჰყარაულობდნენ, რომელი ძროხაც წყლის დანახვაზე შეკრთებოდა, იმას მალე ცოფიც გამოაჩნდებოდა. ასეთებს იქვე ესვროდნენ. დანარჩენი საქონელი მოკლულს ეხვეოდა და სისხლის დანახვაზე ღრიალებდა.

იმ დღეს ჩამოვიდნენ რაიონის წარმომადგენლები და ეს ამბავი რომ იხილეს სასწრაფოდ მიიღეს ზომები. იმავე დღეს გაწმინდეს ბულდოზერებით გზაზე თოვლი და სოფლის გარშემო გააკეთეს სახელდახელო საგუმბაგოები.

კიდევ ვიღაც ქალი და კაცი გაცოფდნენ იმ დღეს.

უკვე საშიში იყო მთელი სოფელი. ერთმანეთის შიშით, სახლებიდან გარეთ ვეღარ გამოდიოდნენ.

მესამე დღეს ჯარი შემოერთყა სოფელს, საგუმბაგოებში დაბანაკდნენ და ხმის გამაძლიერებლებით გამოუცხადეს სოფელს, რომ მანამ ყველაფერს არ გამოიკვლევდნენ და სპეციალური ბრძანება არ იქნებოდა, არავის გაებედა სოფლიდან გასვლა.

მდინარის ნაპირებთანაც მოაწყვეს რამოდენიმე საგუმბაგო და აუკრძალეს მდინარეზე საქონლის ჩაყვანა. ეს სწორი გადაწყვეტილება იყო, მდინარე ხომ ქვემოთაც მიდიოდა და საშიში იყო ქვემოთაც არ გავრცელებულიყო ცოფი.

სოფლის გარშემო წრე შეიკრა. ხალხი ერთი პატარა წყაროს ანაბარა დარჩა, აქედან მიჰქონდათ სასმელი წყალიც და ჯანსაღ საქონელსაც აქედან უზიდავდნენ ვედროებით.

ხალხს ხმის გამაძლიერებლებით გამოუცხადეს საქონელთან არავითარი კონტაქტი არ ჰქონოდათ, მაგრამ ისე იყვნენ თავიანთ გაზრდილ ძროხებს მიჩვეულნი, ენანებოდათ იმათი უპატრონოდ დატოვება.

კიდევ რამდენიმე კაცი გაცოფდა სოფელში. ვინც კი ჯანსაღად იყო, იმათ ნაბრძანები ჰქონდათ გამოცხადებულიყვნენ სპეციალურ ჯიხურში, სადაც ცოფის საწინააღმდეგო ნემსებს უკეთებდნენ, მაგრამ ამ ნემსების მიღების მერე უფრო გახშირდა ცოფიანი ხალხი და ახლა იშვიათად ვინმეღა ემორჩილებოდა ამ ბრძანებას. ზოგიერთებმა წყაროს წყალზეც დაყარეს ეჭვი. წყაროს ზემოთ საფლავეები იყო და ვიღაცამ თქვა: ცოფი იმიტომ გავრცელდა, მგელმა კი არ დაკბინა საქონელი, წყაროს წყალში მკვდრების ნაჟური წყალი ერევა და ის გვაცოფებსო.

ზოგმა დაიჯერა და ახლა თოვლის წყალსღა სვამდნენ, მაგრამ არც ეს იყო მთლად საიმედო, თოვლი აქა-იქ შეღებილი იყო გაცოფებული და თოფებით დახოცილი საქონლის სისხლით, თანაც მზიანი ამინდები იდგა და დღითიდღე დნებოდა.

ჩაკეტილ წრეში იყო სოფელი მოქცეული, არავის უშვებდნენ ამ წრის გარეთ. ხედავდნენ როგორ აიყარა ხალხი ახლო-მახლო სოფლებიდან და წავიდა, გაერიდნენ

აქაურობას. უყურებდნენ სახლის ფანჯრებიდან და არ შეეძლოთ გაქცევა. ბედს იყვნენ მინდობილნი, საკუთარ ჭერქვეშ გადარჩენის იმედი ჰქონდათ და ერიდებოდნენ ტყვიით სიკვდილს. იმის მერე უფრო ველარ ბედავდნენ გაპარვას სოფლიდან, რაც შეეყვარებულები დახოცეს საზღვართან.

თეთრუაის ბიჭს შეეყვარებული ჰყავდა.

სამი დღის მთვარესავით ლამაზი იყო გოგო.

ბიჭს გიორგი ერქვა, გოგოს ნინო.

სოფელში ცოფი მძვინვარებდა. სოფელში არ იყო წყალი.

მეზობლები ველარ ენდობოდნენ ერთმანეთს, ყველას ერთმანეთის ცოფისა ეშინოდა. სოფელში თანდათან ილეოდა პური. მკვდარს აღარავინ ასაფლავებდა თავის წესზე. სოფელში ჩამდგარიყო დიდი შიში. და..

ამ სოფელში:

ცხოვრობდა ბიჭი და გოგო.

იმათ შორის ენთო სიყვარული.

უნდა გადარჩენილიყო ეს სიყვარული.

უნდა აყვავებულიყო. უნდა გამრავლებულიყო.

გოგოს ბიჭის იმედი ჰქონდა, ბიჭი ძლიერი იყო.

გოგოს თვალში ბიჭს ყველაფერი შეეძლო, უძლეველი იყო. და სთხოვა გოგომ ბიჭს სიყვარულის გადარჩენა.

ბიჭმა სოფლის გარშემო შემოვლებულ ალყას გახედა:

შეაჟრჟოლა. გოგოს არ შეუმჩნევია ეს, გოგოს თვალში ბიჭი უძლეველი იყო.

\_ რა ვქნათ? \_ თვალეზში უყურებდა გოგო ბიჭს.

\_ გავიქცეთ, \_ ამბობს ბიჭი, თან საგუშაგოებზე წამომდგარ ჯარისკაცებს გაჰყურებს.

\_ ახლავე? \_ თრთოლვით ამბობს გოგო.

\_ დაბინდებისას, \_ პასუხობს ბიჭი.

დაბინდებამდე თივაში არიან ერთმანეთს ჩახუტებულნი.

ბინდდება. სოფლიდან ფეხაკრეფით გადიან ბიჭი და გოგო, თოფების ხმა ისმის.

დილით, ასევე ფეხაკრეფით მოასვენებდნენ სოფლისაკენ ბიჭსა და გოგოს.

ამის მერე უფრო დაშინდა სოფელი. ახლა თითქმის აღარც კი ფიქრობდნენ გაქცევაზე. სოფელს თანდათან ერეოდა ცოფი. თოვლიც თანდათან დნებოდა. მარტო ჩალხიას უხაროდა ასეთ ჩაკეტილ გარემოცვაში ყოფნა.

რამოდენიმე წლის წინ ორი ხევსური მოკლა სოფლის ზემოთ ჩალხიამ თოფით. თვითონ დახვრეტას გადაურჩა, მაგრამ თხუთმეტი წლის თავისუფლებას კი გამოეთხოვა. ხევსურების ცხენებს იპარავდნენ და იმათი სიკვდილი განზრახმკვლელობაში არ ჩაეთვალა ჩალხიას. მოკლულის ახლობლებს სისხლის აღება ეწადათ, მაგრამ ჩალხია თვითონ გამოეცხადა მართლმსაჯულებას და აღარ გამოსდევნიან დაზარალებულები სისხლის აღების ძველ წესს, რომ ვინმე ჩალხიას ახლო ბიძაშვილი მოეკლათ და ასე აეღოთ სისხლი. რაკი თითქმის უკვე

გადავარდნილი იყო ეს წესი, იმათაც გულში შემოინახეს მკვლევლობის ამბავი და ჩალხიას დაუწყეს ციხიდან ლოდინი. იმის მერე კარგა ხანი იყო გასული და თითქმის აღარც კი ვინმეს ახსოვდა ეს ამბავი. ჩალხიას, რა თქმა უნდა, ოჯახი მოენატრა ამ ხნის მანძილზე და არავინ იცის, როგორ მოახერხა ეს, ერთი კვირით გამოუშვეს ციხიდან ცოლ-შვილის სანახავად.

სოფელს თანდათან ცეცხლის ალივით ეკიდებოდა ცოფი, მაგრამ ჩალხიას, რომელიც უკვე შეჰკუებოდა ჩაკეტილ გარემოში ყოფნას, ახლა სოფელში და შინაურებში ტრიალი თავისუფლებად ეჩვენებოდა, სოფელი კი ისე იყო ჩაკეტილი, რომ იტყვიან, ჩიტიც ვერ გადაფრინდებოდა აქიდან.

ერთ ღამეს რამოდენიმე თოფი გავარდა სოფელში.

ხალხი ისე იყო თოფის სროლას შეჩვეული, ჩვეულებრივ ამბად მიიჩნიეს, იფიქრეს, ვიღაცას ძროხები გაუცოფდა და თოფით დახოცაო.

გამოხდა ხანი და ახლა საგუშაგოებთანაც ატყდა სროლა.

დილით ხმის გამამღიერებლებით გადმოსცეს, დახოცილები წაასვენეთო.

რამდენიმე კაცი წავიდა.

ჯერ არავინ იცოდა, ვინ გაიპარა იმ ღამეს გასაქცევად სოფლიდან.

მივიდნენ.

ნახეს.

ვერ იცნეს.

ჯარისკაცებმა არ დაუჯერეს, რომ ვერ სცნობდნენ და უბრძანეს წაესვენებინათ მკვდრები სოფელში.

ჩამოასვენეს.

ხალხი თავ-თავიანთ სახლებში იყო გამოკეტილი და ჯერ ვერ გაიგეს რა ხდებოდა.

მერე სოფელში ხმა გამოვიდა, რომ წუხელ ჩალხია მოეკლათ მოსისხლეებს.

\_ როგორ?

\_ საიდან შემოიპარნენ?

უკვირდა ხალხს.

ეტყობა, შემომსვლელებს არ ერჩოდნენ ჯარისკაცები, მათთვის სოფლიდან გამსვლელი იყო საშიში, რომ ცოფი არავის გაჰყოლოდა თან და კი შემოუშვეს ჩალხიას მოსისხლეები, მაგრამ გასვლისას დახოცეს.

უფრო დაფრთხა ხალხი.

უფრო შეიკეტა სახლებში.

ლუკასაც იშვიათად უშვებდა დედა გარეთ.

წყალზე თუ გაუშვებდა ხანდახან, ისიც დიდი ჩხუბით.

ლუკას ცალკე აქაური ამბავი უკარგავდა მოსვენებას, ცალკე თევდორე ახსენდებოდა და დამნაშავედ გრძნობდა თავს.

ნეტავი რას იფიქრებდა მასზე თევდორე?

ლუკა თავის თავს არ უტყდებოდა, მაგრამ იმ დღიდან, რაც ლეგოს გვერდით მიმავალ გოგოს მოჰკრა თვალი, იმის მერე აღარ შორდებოდა მისი სახე და როცა დასაძინებლად წვებოდა, ვერ იძინებდა, ოცნებობდა. სიყვარული მოედო ლუკას, უცებ დაიპყრო მისმა ალმა და მოსვენება დაუკარგა. რაზეც არ უნდა ეფიქრა, ყველანაირ ფიქრს იმ გოგოსთან მიჰყავდა. აქამდე არასოდეს ჰქონია ეს განცდა და ახლა ისე შეიპყრო სიყვარულმა, ვეღარ ისვენებდა. არ იცნობდა იმ გოგოს და ენატრებოდა კი, ისე ენატრებოდა, ლამის იყო გამოვარდნილიყო სახლიდან, გაერბინა სოფლის ორღობეები და.. ხანდახან ისიც კი აღარ ახსოვდა, რომ ჩაკეტილ წრეში იყო მომწყვდეული.

ლუკამ გომურში გამომწყვდეულ ძროხებს წყალი შეუტანა ვედროთი და ერთი ძროხა როცა დასაღევად დაეწაფა, დაფრთხა წყლის დანახვაზე. ეს ცოფის ნიშანი იყო. ლუკა სხვა დროს, ალბათ, ვერც კი მოიფიქრებდა, რომ შეძლებდა საკუთარი ძროხისათვის ტყვია ესროლა, მაგრამ ახლა იმის წარმოდგენამ, რომ ცოფიან ძროხას ან მისთვის, ან დედამისისთვის შეიძლება ცოფი გადაედო, ძალაუნებურად წაიყვანა მეზობელთან.

დიდხანს ეძახდა, არავინ იხედებოდა გარეთ.

\_ სანდრო, ა სანდრო! \_ ყვიროდა ლუკა.

\_ რა იყო? \_ გამოიხედა როგორც იქნა, სანდრომ გარეთ.

\_ თოფი მათხოვე.

\_ რამდენი ტყვია გინდა?

\_ რა ვიცი, ერთი ან ორი, \_ თქვა ლუკამ.

სანდრუამ თოფი და ტყვიები გამოუტანა.

ლელამ რომ ლუკას ხელში თოფი დაინახა, გაუკვირდა.

\_ რად გინდა, შვილო, თოფი?!

\_ დედი, ჩვენ ძროხას ცოფის ნიშნები აქვს.

\_ რომელს?

\_ მესკვლიას.

\_ მერე?

\_ მეტი რა გზაა, უნდა მოვკლათ.

ქალს ცრემლები ჩამოსცვივდა.

ლუკამ ძროხა საბლით გამოიყვანა და ტყვიები ჩადო თოფში.

დაუმიზნა.

დედა შემფოთებული უყურებდა შვილს.

ძროხაც დაფეთებული თვალებით შეჰყურებდა.

ლუკას უჭირდა.

უჭირდა სასხლეტისათვის გამოეკრა ხელი.

ვერა, ვერ შეძლო.

ძროხა ეზოდან გაიყვანა და კარი მიუხურა.



დიდხანს ზმუოდა ღობის იქეთ ძროხა და სახლში შეშვებას ითხოვდა.

– იქნებ არ გაცოფდეს, შვილო? ჰა, ცოდოა, – თქვა ლელამ.

ლუკასაც ენანებოდა, მაგრამ თავს ძალას ატანდა.

თანდათან მოერია ცოფი და ძროხამ ღობეს დაუწყო ჩურგვა. მერე მთლად გადაირია და სოფლიდან გავარდა საგუშაგოებისაკენ.

საგუშაგოებიდან თოფის ხმა მოისმა.

საექიმო ჯიხურს თითქმის აღარავინ ეკარებოდა, სახლებში იყო ხალხი ჩაკეტილი და ბედსმინდობილნი მოელოდნენ განსაცდელსა თუ შველას.

სოფელს თანდათან ედებოდა ცოფი.

ხოლო ლუკას – იმ უცნობი გოგოს სიყვარული.

ბედი არ უნდა კაცს? მოვიდა სიყვარული, მაგრამ სად, ჩაკეტილ წრეში, სადაც სოფელს ცოფი სჭირს და კაცმა არ იცის ვის რა მოელის. ექიმები ცოფს ეძახიან, მაგრამ თვითონვე აქვთ ეჭვი, ჯერ კარგადაც არ იციან რა არის ეს. ცოფია, მაგრამ ცოფზე უარესია, არც წამალი შველის, არაფერი, ხალხი და საქონელი ერთნაირად ცოფდება.

ლუკას გარეთ ეწევა გული.

დედა ეცოდება მარტო დასატოვებლად, თორემ აქამდე სცდიდა გაპარვას.

რამდენიმეჯერ იმ ადგილას ავიდა, სადაც ადრე ძველი ციხე იდგა. აქედან კარგად ჩანდა სოფლის გარშემო მყოფი საგუშაგოები. ეტყობა ციხეც იმიტომ აშენებინათ ადრე აქ. იმის მერე კი, რაც გარსია ჩაიკეტა შიგნით და ააფეთქეს, სახელადღა შემორჩა ციხე-გორი.

იჯდა ლუკა და გასასვლელს ეძებდა.

გასასვლელი კი არ ჩანდა.

საიმედოდ იყო ჩაკეტილი საგუშაგოებით, საიდანაც კი გასვლა შეუძლებოდა.

სიკვდილს ნიშნავდა გაპარვის ცდა.

ლუკას კი სიყვარული მოსდებოდა და ჩაკეტილი წრის გარედან ეძახდა მისი ხმა.

თითქოს მარცხენა მხარაც სტკიოდა. ტანსაცმელი გადაიწია, შეხედა: არწივის ნიშანი ფეთქავდა, თითქოს სიყვარულთან ერთად არწივი იღვიძებდა ლუკას არსებაში და ახელებდა. ერთ ადგილას ველარ ჩერდებოდა.

გაპარვის მცდელობა სიკვდილს უდრიდა.

თან დედა ეცოდებოდა, მარტო დატოვება არ უნდოდა.

თან გამართლებას უძებნიდა თავის სურვილს:

თუ როგორმე გაიპარება და თევდორეს ნახავს (ის გოგოც, ალბათ, იქ იქნება), იქნებ თევდორემ იცოდეს რაიმე წამალი. თევდორემ ხომ ყველაფერი იცის მგლების შესახებ. ეს ცოფიც ხომ მგელმა გაუჩინა სოფელს. იქნებ ყველაფერი დორაისხვევლებისაგან მოდის და იმიტომაც ვერაფერს ხდებიან ექიმები.

გასასვლელი არ ჩანს.

იქნებ აქ უწერია სიკვდილი?

ნუთუ ისე უნდა მოკვდეს, რომ ერთხელ მაინც ვეღარ იხილოს ის გოგო, ნუთუ სახელი მაინც ვერ უნდა გაიგოს მისი?

არწივი აფორიაქდა ლუკას სულში.

გარედან სიყვარულის ხმა ემახდა და პასუხის გაცემა არ შეეძლო.

იგრძნო, რაღაცა წამოადგა თავზე.

აიხედა.

გარსია იყო.

გარსიას ლანდი.

ისევ ისეთი უხორცო.

მაგრამ ისევ ისეთი სრულყოფილი.

\_ გაქცევა ხომ არ გინდა, ლუკავ? \_ ჰკითხა გარსიამ.

\_ კი, მინდა, მაგრამ გასასვლელი არსაითა ჩანს, ყველგან ისეა ჩაკეტილი, ვერსაიდან გაიპარები.

\_ იცი, რას გეტყვი? სადამოს მოდი, მე გაგიყვან, თანაც ბინდ-ბუნდში სჯობია, ვერ დაგინახავენ, \_ უთხრა გარსიამ.

შეთანხმდნენ და ლუკა სახლში წავიდა დედასთან.

შეეცოდა დედა რომ მარტო უნდა დაეტოვებინა, მაგრამ აღარ შეეძლო წაუსვლელობა, გამუდმებით ემახდა სიყვარულის ხმა.

«ერთი დღით წავალ, თევდორეს ვნახავ (იმ გოგოსაც) და ისევ დედასთან მოვბრუნდები. იქედან ალბათ არ გამიჭირდება, იქედან შემოსულებს ხომ არ ესვრიან», \_ თავის გადაწყვეტილებას ამართლებდა ლუკა.

როგორ უთხრას დედას, რომ გაპარვას აპირებს?

ხომ შიშისგან დაილევს ქალი.

იქნებ არ უთხრას?

სახლში რომ არ იქნება ღამით და მოიკითხავს დედა, ხომ იფიქრებს, ალბათ, სადმე გაცოფდაო, რაღა გააჩერებს სახლში, დაუწყებს ძებნას და ვინ იცის რას გადაეყრება.

\_ რა ქნას?

როგორ მოიქცეს?

ხმა კი ემახის, სიყვარულის ხმა ემახის და ერთ ადგილას აღარ აჩერებს. წაუსვლელობა არ იქნება. გარსია ისეთი გულადია, რაღაცას მოიფიქრებს, გარსია სწორედ სულზე გამოეცხადა, ეტყობა იგრძნო, რომ საჭირო იყო.

საცაა უნდა შებინდდეს.

სადაცაა უნდა წავიდეს.

მაგრამ დედა?

იქნებ უთხრას, რასაც აპირებს, მშვიდად მოუყვეს ყველაფერი და დააიმედოს რომ გარსია უსაფრთხოდ გაიყვანს.

არწივი აბორგებულა მის არსებაში, მოქმედებას ითხოვს, მაგრამ გველი არსად ჩანს, გველის სიბრძნე აკლია მის მოქმედებას.

მოიფიქრა: არაფრით არ შეიძლებოდა დედისთვის გაემხილა, რომ გაპარვას აპირებდა, ამით ხომ წინასწარ ჰკლავდა დედის გულს და ჯერ მას უშვებდა ტყვიების წვიმაში, ესროდნენ და არა ლუკას, მერე თვითონ მიჰყვებოდა. მოლოდინის ელდას, ისევ ტყუილი ამჯობინა:

– დედა, დღეს ღამით სამხედროებმა გამომიძახეს მთავარ შტაბში, როგორც განათლებულს, სოფლის საქმეებზე უნდა მომელაპარაკონ, უჩემოდ არ შეგეშინდეს, ხვალ მოვბრუნდები სახლში.

– მაგდენი რა უნდა გელაპარაკონ, შვილო? – შეკრთა ქალი.

– არ ვიცი დედი, ალბათ, საქმე აქვთ, უჩემოდ გარეთ არ გამოხვიდე, რაც არ უნდა მოხდეს არ გამოხვიდე, ასე გამაფრთხილეს.

– კარგი, არ გამოვალ, – დაუჯერა ქალმა, მაგრამ შიში მაინც დარჩა თვალებში.

ლუკა, სანამ სახლიდან გამოვიდოდა, დედას უყურებდა და გული სწყდებოდა, რომ ატყუებდა.

იქნებ უკანასკნელად უყურებს.

იქნებ ვერ გააღწიოს საზღვარზე.

იქნებ ხვალ დილით მოუსვენონ დედას და რას უტოვებს მარტოხელა ქალს – ტყუილს?

– წადი, შვილო, წადი, მე არაფერი მიშავს, – გამოაფხიზლა დედის ხმამ.

ლუკა სახლიდან გამოვიდა.

ბინდებოდა.

ციხეგორთან გარსია ელოდებოდა.

– აი, იმ საგუშაგოს ხომ ხედავ? – მიანიშნა გარსიამ.

– ჰო, ვხედავ.

– ჯერ მე წავალ მაგისკენ, რომ გავუსწორდები, განგებ ავხმაურდები, ისინი მე დამიწყებენ თოფის სროლას და შენ ამ დროს უნდა მოახერხო მარცხენა მხრიდან გაპარვა.

– მერე შენ?

– ჩემზე ნუ ფიქრობ, მე რა უნდა დამაკლოს ტყვიამ, თანაც ღამით ისე ვჩანვარ, როგორც ხორციელი.

გარსია წავიდა.

– სანამ სროლას არ დამიწყებენ, მანამდე დამალული იყავი, – მოაძახა გზიდან.

დაბინდდა.

ლუკა ნელ-ნელა წავიდა ხობვით საგუშაგოსაკენ.

ადარ ჩანდა გარსია.

უცებ გაისმა სროლის ხმა.

საგუშაგოდან მარჯვნივ მიანათეს სინათლე.

განათდა გარსია.

ატეხეს სროლა.

ლუკა მარცხნივ გაიქცა.

გააღწია.

სამშვიდობოს გავიდა.

ჯერ კიდევ ესროდნენ გარსიას, ის ახლა სოფლისაკენ გარბოდა და იქეთ იქცევდა მათ ყურადღებას.

ლუკა გზას დაადგა.

თოვლი უკვე დაედნო გზებზე მზეს და აღარ უჭირდა სიარული.

მთვარეც ამოვიდა.

ეტყობა, თოვის ხმამ დააფრთხო მგლები, თევდორეს სახლამდე ისე იარა, ერთი დაყმუვლებაც არსად გაუგონია. უკვე თენდებოდა.

ინათა.

სახლთან თევდორეს ძალი შემოეგება.

– მია თევდორეე! – დაიძახა კარებზე ლუკამ.

სახლიდან ლეგო გამოვიდა.

– ააა, შენა ხარ? შემოდი, – სახლში მიიპატიჟა ლუკა ლეგომ.

ოთახში უკვე შემოჭრილიყო დილის ნათელი.

– ადექი, გოგო, სტუმარი მოვიდა, სირცხვილია, – გააღვიძა მძინარე გოგო ლეგომ.

ლუკას აქ რომ ეძინა, იმ საწოლიდან გოგომ წამოიხედა.

ლუკას შეხედა.

კინალამ გული წაუვიდა ლუკას.

– წამო, შვილო, მანამ ე გოგო ადგება, შიგნით ოთახში შევიდეთ, – თევდორეს ოთახში შეუძღვა ლეგო.

ოთახში თევდორე არ იყო.

– ძროხებთან არის? – იკითხა ლუკამ.

– არა, შვილო, წავიდა, გუშინ მივაბარეთ მიწას.

ლუკა ამას არ მოელოდა, დაბნეულად მიმოიხედა, საწოლი ვედარსად დაინახა და ლეგოს ჰკითხა:

– საწოლი?

– მთხოვა, ამ საწოლით დამსაფლავეთო, მამაჩემის ნაქონი იყო და სიმშვიდეს გრძნობდა შიგ. ნათესავები გუშინვე წავიდნენ, მე და ე, ჩემი შვილიშვილიდა დარჯჩით აქ, მინამ ორმოცს არ გადავუხდით, იმისი სული ამ სახლში ტრიალებს და არ გვინდა გამოვკეტოთ კარი.

ლეგო გაჩუმდა.

დუმილი ჩამოწვა.

– აი, ეს ყვავილი დაგიტოვა, მთხოვა, თუ თვითონ აღარ მობრუნდება, შენ იპოვე და მიეციო, ამბობდა: ლუკას მგლები ეტანებიან და სასიკეთოდ მოიხმაროსო.

ლუკამ ის ყვავილი გამოართა ლეგოს, ხალათის გულისპირზე რომ ეკერა თევდორეს.

როგორც კი ყვავილი დაიჭირა ხელში, შინაგანი ძალა იგრძნო.

წინა ოთახში გამოვიდნენ.

გოგონა უკვე ამდგარიყო და ცეცხლს ანთებდა.

ცეცხლის შუქმა გაანათა კედელზე ჩამოკიდებული სურათები. ეს გოგო, საოცრად ჰგავდა სურათში მყოფ პატარა გოგოს, ხელში ყვავილების თაიგული რომ ეჭირა და ომში მიმავალ ლეგოს უწვდიდა.

ლეგომ ლუკას მზერა დაიჭირა.

ლუკამ გოგოს შეხედა, იმან თვალი აარიდა.

– გაიცანით, შვილო, ერთმანეთი, – წყნარად უთხრა ლეგომ.

– ანა! – ხელი გამოუწოდა გოგომ.

– ლუკა! – თქვა ლუკამ და კინაღამ გული ამოუვარდა მკერდიდან, როცა გოგოს ხელი ჩამოართვა.

– მე წავალ, სახლში მელოდებიან, – თქვა ლუკამ. უფრო იმიტომ რომ დაბნეულმა აღარ იცოდა რა ექნა. ან რა ეთქვა.

ლეგომ და ანამ წყნარად შეხედეს.

ლუკა გარეთ გამოვიდა.

– თქვენ ხომ ჯერ აქ იქნებით? – იკითხა ლუკამ.

– ხო, ჯერ აქ ვიქნებით, – უთხრა ლეგომ.

– მე წავალ და მოვალ, – ისევ თქვა ლუკამ და წავიდა.

გზიდან რამდენჯერმე მოიხედა.

გოგოც დიდხანს უყურებდა.

მანამ,

მანამ,

მანამ,

მანამ თვალს არ მიეფარა ლუკა.

ძალღმა გორამდე გამოაცილა.

მარტო რომ დარჩა და გზას დაადგა, დაინახა, რომ სამი მგელი პირდაპირ მისკენ მორბოდა. ცოფიანებს გავდნენ, ისე მორბოდნენ ლუკასაკენ. ეტყობა ცოფით დახოცილი საქონლის ლეში ჭამეს და გადაირივნენ.

ლუკა შიშმა აიტანა.

აღრავფერი აღარ იხსნიდა ახლა თევდორეს დანატოვარი ყვავილის მეტი და ეს ყვავილი დაიჭირა ლუკამ იმ მხარეს, საიდანაც მგლები მორბოდნენ.

ცოფიანი მგლები უცებ შედგნენ ყვავილის დანახვაზე, თუ სუნზე (გამხმარი იყო, მაგრამ მაინც სურნელი ჰქონდა ყვავილს), დაიყმუვლეს, კუდები ამოიძუეს და გაიქცნენ.

სოფელში ყვავილით შევიდა ლუკა, გაცოფებული საქონელი ღრიალით გაცვივდა სოფლიდან. ხალხს, ვისაც უკვე მორეოდა ცოფი, საამქვეყნოდ პირი მიეცათ,

შეეხებოდა თუ არა ასეთებს ლუკა ყვავილით, იკურნებოდნენ და უჭირველი რჩებოდნენ. მესამე დღესვე მოხსნეს ჯარისკაცებმა ალყა და წავიდნენ.

სოფელი აავსო ყვავილის სურნელმა.

წამოვიდა ლუკა,

დადიოდა სოფელ-სოფელ,

დადიოდა ქალაქიდან-ქალაქში.

დადიოდა ანას სიყვარულით ანთებული.

ხელში ყვავილი ეჭირა და იმის დანახვაზე გარბოდნენ მგლები. გარბოდნენ სოფლებიდან. გარბოდნენ ქალაქებიდან. მგლებისაგან იცლებოდა ქვეყანა.

ლუკას ხელში თანდათან ღვივდებოდა ეს ყვავილი და მთელ დედამიწას თავის სურნელებით ავსებდა. დორაისხევლებსაც მისწვდენოდათ ეს სურნელება და კანკალებდნენ, თრთოდნენ, შეშინებულნი დიდ საგონებელში იყვნენ ჩაცვივნილი.

დადიოდა ლუკა ქვეყანაზე, რომლის ერთ სოფელში ანა ელოდებოდა.

## მ ა რ თ ა

გაზაფხული იდგა.

მარტი ილეოდა.

კავკასიონის მთებზე ნაადრევად შემშრალიყო თოვლი.

უღელტეხილები სამოყვროდაც გახსნილა და სამტროდაც.

ეს ის დრო იყო, როცა ევროპის კარზე დამაშვრალი ქართველები ამაოდ შესთხოვდნენ საქრისტიანოს შველას. საქართველოს გვირგვინოსანი მეფე უკვე მერამდენე ელჩს უგზავნიდა ერთმორწმუნე რუსეთის იმპერატორს; იმპერატორი კი სულ სხვას ფიქრობდა.

ეს ის დრო იყო, როცა საქართველო მთლიანად გაეწირნა თავის იღბალს, ხოლო ურჯულოები ისე იტაცებდნენ ქრისტიანებს როგორც მგლები ბატკნებს.

აღმოსავლეთი წალეკვით იმუქრებოდა.

ხან ლომი ბრდღვინავდა, ხან ნამგალა მთვარე კაშკაშებდა ავისმომასწავლებლად.

სტამბოლის ბაზარზე უამრავი ქართველი ტყვე იყიდებოდა – შოლტივით მოქნეული თვალშურთხა ქალწულები, პატარა ბიჭები, შეშინებულ, უდედოდ დარჩენილ შვლის ნუკრებივით რომ აფეთებდნენ თვალებს, შეღერებული ვაჟკაცები, ბეჭბრტყელნი და კუშტად მომზირალნი, ბრაზით რომ ენთებოდათ არწივის თვალები, როცა მისი მისამართით ამბობდა თათარი: გიურჯ! გიურჯ!

ბული ასდიოდა სტამბულის ბაზარს.

სათნობას ქადაგებდა ევროპული საქრისტიანო.

თავისას ფიქრობდა იმპერატორი.

იქით ხომ მიჰყავდათ და მიჰყავდათ (ზოგი – მტრებს, ზოგსაც შინაური მოღალატეები ჰყიდდნენ), აქეთ კიდევ დიდოები წაექეზებინათ და ისინი

მოსდებოდნენ მთას, ისე იპარავდნენ ქალსა და ბაღს, სამკალ-სათიბზე გასულს, – თვალსა და ხელს შუა აგაცლიდნენ.

ერთ დროს წისქვილში წასვლა რიტუალს ჰგავდა – ახლა კი შავეთში წასვლას უფრო, საიდანაც, კაცმა არ იცის, მოზრუნდება როდისმე თუ აღარა.

უმეტესად ქალებს და ბაღებს იტაცებდნენ დიდოები. ჩაუსაფრდებოდნენ და...

შიშის თვალებით იმზირებოდა ტყე.

შიში უთვალთვალებდა წისქვილს.

წყაროზე დოქით მიმავალ ფეხშიშველა ბაღს შიში უმზერდა.

შიშს თვალები გაჰფართოებოდა და მთელს საქართველოს მისჩერებოდა.

აი, ახლაც, შიშით შეჰყურებდნენ მართა და მისი უმცროსი და მარეხი თოვლშემშრალ კავკასიონს.

მართა მამის სახლიდან მოდიოდა ქმრის ოჯახში. იქ, შემოდგომაზე, ომში დაჭრილი მამა მოჰკვდომოდა და ის დასაფლავეს. გამცილებლად თავისი ერთადერთი და მოჰყვებოდა. დედა კარგა ხანია აღარ ჰყავდათ.

აღარც ქმარი ჰყავდა მართას.

სიბე-სიმამრი ერთად იყვნენ კახეთში შემოსეულ მტერთან საბრძოლველად და იქიდან მარტო სიმამრიღა დაბრუნდა, ისიც დაჭრილი.

ერთი წელიც არ უცხოვრია ქმართან მართას, ერთხელაც კი ვერ შეუხედნია ხეირიანად მისთვის თვალეში, ისე დაქვრივდა. შერჩა უიღბლო სიცოცხლეს იმ იმედით, რომ არ გააცივებდა მეუღლის კერას.

ფეხმძიმედ იყო.

წინ ტყე ჰქონდათ გასავლელი მართას და მარეხს.

გარინდებული ტყე შიშის თვალეში იყურებოდა.

თუმცა ჯერ არ გამოფოთლილიყვნენ ხეები, მაგრამ მაინც ჩამოებურა ხშირ წიფლნარს.

დებმა ერთხელ კიდევ შეხედეს უღელტეხილს და ტყეში შევიდნენ.

ლეკების დანახვაზე შეკრთნენ, გაქცევა დააპირეს, მაგრამ საითაც გაიქცნენ, ყველა მხრიდან მათკენ წიფლის უკანმიმალული ნაბადი ეჭირათ.

იმათ გარშემო ნელ-ნელა შეიკრა ნაბდების წრე.

როცა ორივეს გული წაუვიდა შიშით, კიდევ რომ ეთქვათ დიდოებს, გაიქცეითო, ამის თავიც აღარ ჰქონდათ. ქალები ნაბადში გამოხვიეს, თოკებით შეკრეს, ცხენებზე დააკრეს და თვითონაც ამხედრდნენ.

ჩქარობდნენ ლეკები.

მაინცდამაინც კარგად არ იყო ამშრალი თოვლი და თადარიგს იჭერდნენ, რო, თუ მდევარი დაედევნებოდათ, როგორმე უღელტეხილზე გადაესწროთ.

მერე აღარ ეშინოდათ.

სწორედ ეს უღელტეხილი ჰყოფდა საქართველოს დაღესტნისაგან.

ამ მთას საქართველოს გამოსახედს ემახდნენ აქაურები.

ამბობენ, როცა ტყვეები მიჰყავდათ, ისინი ცდილობდნენ აქედან ერთხელ კიდევ გადმოეხედათ საქართველოსთვის, რადგან, ვინ იცის, იქნება უკან ვეღარც დაბრუნებულიყვნენ ვერასოდეს. თუ პატრონი მოინდომებდა მოტაცებული ტყვის გამოხსნას, ისეთ ფასს ადებდნენ, ძნელად თუ ვინმეს შეეძლო ამ ფასის გადახდა. ამიტომ ბევრს მართლა უკანასკნელად უხდებოდა იმ უღელტეხილიდან საქართველოს გადმოხედვა. თუ ლეკებს მოეწონებოდათ ქალი, რჯულს შეაცვლევინებდნენ და ცოლად ირთავდნენ. ხოლო ვინც რჯულის გამოცვლაზე უარს ამბობდა, ბავშვებთან და კაცებთან ერთად აღმოსავლეთის ბაზრებისაკენ მიჰყავდათ გასაყიდად. იქ დიდი ფასი ედოთ "გიურჯებს".

ისინი კი, ვინც რჯულის შეცვლა და ლეკის ცოლობა ინდომა, ურიგდებოდნენ თავიანთ ბედს, მაგრამ სამარეში თითქმის ყველა მაინც ერთი ნატვრით ჩადიოდა – ნეტავ ერთხელ მაინც გადამახედა იქით, საქართველოს გადასახედიდან.

ასეთი იყო ტყვეების ბედი.

მართა და მარეხი კი ვერ გადმოხედავდნენ საქართველოს უკანასკნელად, რადგან დიდობებს ეს ძვირფასი ტყვეები საგულდაგულოდ გამოეხვიათ ნაბდებში.

როცა უღელტეხილი გაიარეს და თავის სამშვიდობოს დაიგულეს, მაშინლა გამოხსნეს და გოცებულები დარჩნენ: სიჩქარეში, მათი შეპყრობისას, ვერც კი შეემჩნიათ დების სილამაზე.

მართას და მარეხის სილამაზე განთქმული იყო. ორივეს ღია-წაბლისფერი თმა ჰქონდა, ტანად აშოლტილნი და წელწვრილნი იყვნენ. მარეხს მაცვალივით შავი თვალები ჰქონდა, ხოლო მართას მოცისფრო-მოიისფრო. მარეხი ის-ის იყო შედიოდა სრულქმნილებაში, მართა კი უკვე დაქალეულიყო და სილამაზითაც ბევრითა სჯობდა უმცროს დას.

ლეკებმა ხარბად აათვალ-ჩაათვალიერეს დები და როცა მართას გამობერილ მუცელზე შეაჩერეს მზერა, ერთ-ერთმა ლეკმა ხელი მიადო ზედ.

– გიურჯ, გიურჯ! პატარა გიურჯ! – ჩაიცინა ლეკმა. მართამ განზე გაიწია.

ლეკებმა კარგა ხანს ხარბად ათვალიერეს დები და მერე, ეტყობა იმის შიშით, სხვას არავის შეემჩნია მათ მხარეში ტყვეების სილამაზე, საგულდაგულოდ ისევ ნაბდებში გაახვიეს, ოღონდ ახლა მუცლით აღარ გადაუწვენიათ მართა ცხენის ტახტაზე, უფრო ფრთხილად მოექცნენ.

შებინდდა.

ღამე მდინარის პირას გაათენეს ლეკებმა.

რალა თქმა უნდა, კიდევ გამოხსნეს ნაბდებიდან ძვირფასი ტყვეები და ახლა ცეცხლის შუქზე ტკბებოდნენ იმათი ცქერით. რაღაცას თავის ენაზე ხმამაღლა ყაყანებდნენ, რაღაცაში ვერ რიგდებოდნენ, დროდადრო ხან მართაზე ანიშნებდნენ ერთმანეთს, ხან მარეხზე.

ეტყობა, ვერ მორიგდნენ.

დები ისევ ნაბდებში შეახვიეს, შეთოკეს და თვითონაც დასაძინებლად მიწვნენ.



ცეცხლი ნელ-ნელა ჩაცივდა.  
ჩამოიბურა გულის შემხუთველი ღამე.  
ეძინათ დიდოებს.  
მარტო ყარაული ფხიზლობდა.  
დებს კი რა დააძინებდათ.  
დაფეთებული თვალებით იყურებოდნენ ნაბდებიდან.  
ყარაული შუა ხნის კაცი იყო.  
ნიკაპით თოფის ლულას დაჰბჯენოდა.  
მერე წამოდგა.  
მართას სახეზე ნაბადი გადაუწია და დიდხანს უყურა.  
ქალს შიშისაგან ჟრუანტელმა დაუარა.  
ლეკმა ორი თითი ნიკაპქვეშ ამოსდო, სახე აუწია, სულ ახლოს მიიტანა სახესთან,  
თვალეში ჩახედა.  
მართას ნიკაპი აუცხროვდა.  
ლეკმა უფრო დაიწია ქვემოთ, ტუჩები მართას ტუჩებს დაადო და ასე გაირინდა  
ერთ წამს.  
მართამ სახე მოარიდა.  
ლეკმა ისევ თითებით აუწია ნიკაპი, ისევ ჩახედა თვალეში და ქართულად  
ჩასჩურჩულა:  
\_ შენ, ლამაზო გოგო, ჩემი ცოლი იქნები.  
მართამ ვედარ აიტანა ლეკის ტუჩებისაგან დანატოვარი მყრალი გემო და  
გადმოაფურთხა.  
ლეკმა ხანჯალი ამოსწია.  
მერე ისევ ჩააგო.  
მიმოიხედა.  
მართას გამორდა და ისევ საყარაულოდ დადგა.  
როჭოებმა მთებში ყივილი ატეხეს. ამ ხმაზე ლეკები წამოიშალნენ.  
ეტყობა, თენდებოდა.  
შეკაზმეს ცხენები და ისევ გაუდგნენ გზას.  
ის დღევ იარეს.  
შებინდებისას აულს მიატანეს.  
მოლა გაჰკიოდა მწუხრის ლოცვას.  
ძაღლების ყეფაც მოისმოდა აქეთ\_ იქიდან.  
მოსულთა შესაგებებლად ბანებზე გადმომდგარიყო ქალი და კაცი.  
ძვირფასი ტყვეები ისევ ნაბდებში იყვნენ საგულდაგულოდ გამოხვეულნი.  
ამაოდ ცდილობდნენ დიდოები იმათ დანახვას.  
ტყვეები ერთ მაღალ სახლში შეიყვანეს და უკან ადევნებულ აულს ცხვირწინ  
მიუხერეს კარი.

ჯერ ვერაფერს ხედავდნენ მართა და მარეხი. მხოლოდ აულის სუნით გრძნობდნენ, რომ მუსლიმანურ სამყაროში მოხვდნენ. ასეთივე სუნი ასდიოდათ მათ გამომტაცებლებს. მართას ჯერ ისევ ტუჩებში ჰქონდა გამჯდარი ლეკის ტუჩების უსიამოვნო გემო, რომელიც ასეთივე სუნით დაამახსოვრდა.

გარეთ ცნობისმოყვარე აულის ჩოჩქოლი მიწყნარდა.

ტყვეები ნაბდებიდან გამოხსნეს.

იმათმა სილამაზემ ისევ თვალი მოსჭრა და ვნებით გააბრუა ლეკები.

ისევ ატეხეს ყაყანი.

რადაცაზე ისევ ვერ თანხმდებოდნენ.

მერე რამდენიმე მოხუცი მოიყვანეს და ახლა იმათი თანდასწრებით ყარეს წილი.

ერთმა თეთრწვერა მოხუცმა ლეკმა განაჩენი გამოიტანა.

ეს განაჩენი ქართულად გადაუთარგმნეს დებს:

– თქვენი სილამაზე გიხსნით თქვენ. ჩვენი აულის უმდიდრეს ვაჟკაცებს გადაუწყვეტიათ თქვენი ცოლად შერთვა. ამისათვის უნდა დაუტევოთ ღმერთი თქვენი და შეუდგეთ ალლაჰს, დიდი არს ძალა მისი, ილოცეთ მისთვის, რომ გადაგარჩინათ აღმოსავლეთის ბაზარზე გაყიდვას.

თარჯიმანმა მარეხს ახარა, რომ მას შეუძლია ახლავე გახდეს ლეკის ცოლი, ხოლო მართას, რაკი ფეხშიძედაა, მანამდე არ გააჩენს, ვერ შეირთავს საქმრო, რჯულის შეცვლა კი ახლავე შეუძლია, მარეხთან ერთად.

მარეხი იმ ღამესვე წაიყვანა თავისთან საქმრომ. გამოთხოვებისას შეშინებული ეხვეოდა მარეხი დას.

კარებში რომ გაჰყავდათ, მართამ მიაძახა:

– რჯული არ შეიცვალო, მარეხ!

ასე გაჰყარეს დები ერთმანეთს.

მეორე დღეს დიდი გამოცოცხლება იყო აულში.

მეჩეთისკენ გარბოდა დიდი და პატარა.

დიდოებს მარეხი დაეყოლიებინათ რჯულის შეცვლაზე და ახლა ყველა იმისი სილამაზის სანახავად მიიჩქაროდა.

მართა კი ვერა და ვერ დაიყოლიეს. რა არ აღუთქვეს, რას არ შეჰპირდნენ, მაგრამ მაინც მტკიცედ იდგა ქრისტეს რჯულზე.

ისიც დაანახვეს, როგორ ინათლებოდა მისი და.

დაემუქრნენ კიდევ, – აღმოსავლეთში გაგყიდით და შვილთან ერთად მონურ წამებაში ამოგხდიან სულსო.

ვერ გატეხეს.

ადგნენ და გომურში შეაგდეს.

აშიმშილეს.

დროდადრო შორიდან აყურებინებდნენ, როგორ გამო\_ ჰქონდა მარეხს სახლიდან გასამზურებლად ლოგინი.

ერთხელ მიუგზავნეს კიდეც მარეხი, რათა იმას მაინც დაერწმუნებინა, რომ ალაჰი ჭეშმარიტი ღმერთია და როგორმე დაეყოლიებინა რწმენის შეცვლაზე.

დები პირისპირ დარჩნენ.

მარეხი გულზე მიეკრა და აქვითინდა.

მართა აწყნარებდა.

– იმ ღამის მერე ისე ვიყავი ღმერთზეც და ყველაზეც გაჯავრებული, მე თვითონ არ ვიცი, რატომ დავთანხმდი. – ჩურჩულებდა მარეხი.

მართა აწყნარებდა.

გამომშვიდობებისას, კარებთან მისული მარეხი შედგა, დას მოხედა და თქვა:

– იქნებ როგორმე შეძლო რჯულის შენარჩუნება, სხვანაირად ამაოა ყველაფერი.

კარები გაიხურა.

დროდადრო საქმრო ძვირფას საჩუქრებს უგზავნიდა მართას.

რამდენჯერმე ინახულა კიდეც.

თავიდან რატომღაც ეგონა მართას, იმ კაცზე უპირებდნენ გათხოვებას, ნაბადში გახვეულს რომ აკოცა.

არა, ეს ის კაცი არ იყო.

ეს არც მომტაცებლებში ერია.

ამას დიდი რიდით ეპყრობოდნენ აქაურები.

სახეზე სიამაყე ეწერა.

მძიმედ, აუჩქარებლად დადიოდა.

ამკარა ღირსეუბებით გამოირჩეოდა დანარჩენთაგან.

თუმცა მართას არც მისი ღირსეუბები შეუმჩნევია და არც მის ცოლობაზე უფიქრია.

იგი ოცნებით ომში დაღუპულ მეუღლეს ხედავდა.

ეჩურჩულებოდა.

ფიცს აძლევდა.

ისე შეეჩვია მასზე ფიქრს, ისე გაიტაცა მასზე ოცნებამ, დაავიწყდა კიდეც, რომ ის ცოცხალთა შორის აღარ იყო.

მოენატრა.

ისიც და საქართველოც.

ორივე ერთად.

ერთ დღეს ისიც "გაახსენდა", მისი მეუღლე ცოცხალი რომ აღარ არის, მტერთან ბრძოლაში რომ დაიღუპა და ქართულ მიწას მიეზარა.

მეუღლე და საქართველო ერთმანეთში გააიგივა მართამ.

მერე დედ-მამა გააიგივა საქართველოსთან.

აქამდე გულით გრძნობდა.

ახლა გონებითაც შეიგრძნო საქართველო.

უფრო შეიყვარა.

უფრო მოენატრა.

ისე მოენატრა, როგორც დედა, მამა და საყვარელი მეუღლე მოენატრება კაცს.  
უფრო მეტადაც.  
და ეს დედ-მამაზე და მეუღლეზე უფრო მეტად მონატრება ჟრუანტელად უვლიდა.  
ღამღამობით სიზმარში ხედავდა, რომ ტყვეობიდან გარბოდა და გადასახედიდან  
გადაჰყურებდა საქართველოს.  
იქიდან მოჰქროდა სასიამოვნო ნიავი.  
იქიდან, მის შესახვედრად გამორბოდნენ დედ-მამა, ქმარი, მეგობრები, ნათესავები.  
ავგისტოს ალმური ტრიალებდა აულში.  
მართა ბოლო თვეში იდგა.  
ახლა მას აღარც ბორკილებს ადებდნენ და სოფლის გარეთაც უშვებდნენ.  
მისი გაქცევისა აღარ ეშინოდათ.  
მართას კი ისე მონატრებოდა სამშობლო, ისე შეეპყრო გაქცევაზე ფიქრს, რომ სულ  
ერთთავად გასაქცევ ბილიკებს ჰკვლევდა, სულ გაქცევის გეგმას ადგენდა.  
მარებს, ეტყობა, უკრძალავდნენ დასთან შეხვედრას.  
მხოლოდ შორიდან ხედავდა ხოლმე ბანზე გადმომდგარს.  
ახლა ისიც ფეხმძიმედ იყო.  
ერთხელ შემთხვევით შეხვდა წყაროდან მომავალს.  
მარებს ისევ ცრემლები გადმოსცვივდა.  
\_ თუ ქრისტიანობას არ უარყოფ და ასლანას ცოლი არ გახდები, ბაზარზე  
გიპირებენ გაყიდვას, \_ ტირილით თქვა მარებმა.  
მართამ ისევ დედასავით მიუაღერსა.  
მარები საჩქაროდ გაშორდა დას.  
მართამ სიბნელეში, მარტოდმარტომ იმშობიარა.  
როგორც კი წამოწევა შეძლო, ჩვილი გულზე მიიკრა, თითქოს ეშინოდა არავის  
წაერთმია.  
გაბანა.  
კიდევ კარგი, ზაფხული იდგა და წყალი არ იყო ცივი.  
ძონძებში შეახვია.  
ნახშირი აიღო და პატარა ბიჭს იმით შუბლზე ჯვარი გამოსახა.  
ბიჭი ტიროდა.  
მართამ მოაწოვა.  
ბიჭი გაჩუმდა.  
ბავშვის ტირილზე ლეკვის ქალმა შემოიხედა.  
მართამ უფრო მიიკრა ბავშვი გულზე.  
ქალი ახლოს მოვიდა.  
მართას თავზე ხელი დაადო და მოეფერა.  
მერე საჭმელი შემოუტანა.  
რამდენიმე დღეს ასე უვლიდა ქალი მართას.

ერთხელ, დილით, ტირილით შემოვიდა.

ისევ ხელი დაადო თავზე.

მოეფერა.

მერე ბავშვი აიყვანა ხელში.

დიდხანს სევდიანად უყურა მართას და თქვა:

– თუ ალაჰი არა, გაყიდის შენ.

ქალი წავიდა.

მართა საგონებელში ჩავარდა.

მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც იქ იყო, მართა ხვრელს თხრიდა გომურის ბნელ კუთხეში.

დამდამობით, გომურში, მასთან ვირს შემოაგდებდნენ ხოლმე. იმ ვირს ყელზე დასაბმელი თოკი ეკიდა. თოკს ბოლოში რკინის პალო ჰქონდა გამობმული.

მართა სწორედ იმ პალოთი თხრიდა მიწას.

ვირი ჭკვიანი თვალებით უყურებდა.

ერთხელ ქართულის მცოდნე ლეკს წარუდგინეს მართა და აუწყეს, რომ მოსაფიქრებლად ათ დღეს აძლევენ.

ათი დღის მერე – ან ალაჰი და ასლანას ბედნიერი ცოლობა, ან აღმოსავლური ბაზრები და უდაბნოს ხვატი და მონობა.

ათი დღე საკუთარ განცდებს ებრძოდა მართა.

გაქცევაზე ფიქრი ჩასჯდომოდა თავში.

ხვრელიც უკვე მზად ჰქონდა, მაგრამ ცალკე საქართველო ეძახდა თავისკენ, ცალკე პატარა პირმშო შემოკლულუნებდა მტრედივით.

აშკარა იყო, ბავშვით ვერ გაიქცეოდა.

ვერ ივლიდა.

მდევარი მალევე წამოეწეოდა.

თან ნადირის შიშიც ჰქონდა.

რომ წარმოიდგენდა ამას, შვილს მაგრად იკრავდა გულზე.

ძილში კი, მთაზე იდგა და საქართველოს გადაჰყურებდა.

ახლოვდებოდა გადამწყვეტი ჟამი.

პატარა ბიჭი გატრუნული იწვა დედის კალთაში.

ემინა.

ვერა გრძნობდა სახეზე დედის ცრემლებს.

დროდადრო ბედნიერად იღიმებოდა.

გარეთ ბნელოდა.

მთვარისაგან მკრთალად განათებული ღამე ჩამოწოლილიყო.

მართა საფიქრალს მისცემოდა.

თუ ტყვეობას თავს დააღწევს, კარდაკარ შემოივლის საქართველოს და ხვეწნა-მუდარით შეაგროვებს შვილის გამოსასყიდ ფულს...

თუ არ გაიქცევა, ან რჯული უნდა უარყოს და ან ღმერთმა იცის, სად გაჰყიდნან.  
ცოტა მარების იმედი აქვს.

უფრო მეტად – მასპინძელი ქალის. სანამ საქართველოში შვილის გამოსასყიდ  
ფულს შეაგროვებს, მანამდე ეს ქალი მიხედავს მის ბიჭს.

ეს თითქოს დღესაც აგრძნობინა ქალმა.

ხელში აიყვანა ბიჭი, დალაით რძე დააღვინა. პატარამ ერთი კი იუცხოვა, დედის  
ძუძუს არ ჰგავდა დალაი და დაიჭყანა.

მერე დალია.

ლეკის ქალი კეთილად იცინოდა.

მერე მართას გადაუსვა თავზე ხელი.

ხვალ თუ ზეგ გადამწყვეტი დღე უნდა დამდგარიყო.

მართა იჯდა ერთ ადგილას თვალმიმტერებული და ფიქრობდა.

კალთაში მშვიდად ეძინა ბიჭს.

ბავშვმა ჯერ არ იცოდა, რომ სადღაც არსებობდა საქართველო, რომელიც ამ წუთში  
მთელი ძალით უძახდა მართას, თავისკენ იხმობდა და საზარელი გადამწყვეტი  
წუთის წინაშე აყენებდა. რალა თქმა უნდა, იმ ბიჭმა არც ის იცოდა, რომ იმ  
საქართველოში ეკლესია იდგა, რომლის გუმბათზეც მტერი იჯდა, ხოლო შიგნით  
პაატა სააკაძე ესვენა. არა, ჯერ ჩვილმა ამის შესახებ არაფერი იცოდა, დედის კალთაში  
მშვიდად იწვა და ძილში ანგელოზებს შეჰლიმოდა.

იქვე ცარიელი აკვანი იდგა.

აკვანი ლეკის ქალმა შემოუტანა მართას.

ბიჭი აკვანში გადააწვინა მართამ.

აკოცა.

პირჯვარი გადაიწერა და ხვრელში გაძვრა.

გარეთ კარგა ხანს იდგა გაუნძრევლად.

ფეხის გადადგმა გაუჭირდა.

კედელზე ყურმიდებული გაშეშებულიყო.

უცებ შიგნიდან ბაღის ტირილი მოისმა.

მართა ისევ გომურში შეძვრა.

ბიჭს ძუძუ ჩაუდო პირში და ისიც გაჩუმდა.

ისევ ჩაეძინა.

ახლა უფრო ღრმად, უფრო მშვიდად.

ერთხელ კიდევ გადაიწერა მართამ პირჯვარი და გომურიდან გარეთ გამოსული  
ღამეს შეერია.

მარტო რამდენიმე ძაღლმა ასტეხა ყეფა და მერე ისინიც ჩაჩუმდნენ.

გარბოდა მართა.

გარბოდა, რაც კი შეეძლო.

ერთ ადგილას, მდინარეზე ხიდი იყო გადებული.

მართამ არ იცოდა, რომ ხიდზე ნაცარი ეყარა და რომ გადაირბინა, გარკვევით დააჩნდა მისი კვალი.

მთელი ღამე შეუსვენებლივ იარა.

ყანებში შემოათენდა.

პურის ძნაში დაიძალა.

გამოეფინენ დიდოები აულიდან ყანის სამკელად.

მთელი დღე ძნაში დამალული გაჰყურებდა მათ.

მერე მდევარიც დაინახა.

ცხენებით მოვიდნენ და აქაურებს რაღაცა ჰკითხეს.

ეტყობა, მართას ეძებდნენ.

მართა უფრო ღრმად შეიმალა ზვინში.

მზის ჩასვლისას ლეკებმა მკა შეწყვიტეს.

წავიდ\_ წამოვიდნენ.

დაღამდა.

სამალავიდან გამოვიდა მართა და გზას დაადგა.

ყურებში ზავშვის ტირილი ედგა და უკან ეწეოდა.

წინ საქართველოს გადასახედი ელოდებოდა.

გარბოდა.

უგზოზე მიდიოდა, რომ მდევარს არსად გადაჰყროდა.

ის ღამეც იარა.

დილით აღმართს შეუდგა.

საქართველოს საზღვარი იცნო მართამ.

გულმა ბაგაბუგი დაუწყო.

ულელტეხილამდე ორი საათის გზა იყო დარჩენილი.

მირბოდა მართა.

ნახევარი გზა აიარა კიდეც და შორეული ხმა მოესმა.

მის უკან, ხეობის სიღრმეში, მდევარი მოდიოდა.

რაც კი შეეძლო, აჩქარდა.

გული ამოვარდნაზე ჰქონდა.

მდევარი თანდათან უახლოვდებოდა.

ზემოთ საქართველოს გადასახედი იყო.

როგორმე იქამდე უნდა მიეღწია.

მერე ისე აშკარად ვეღარც ლეკები გაბედავდნენ გამოდევნებას. ისინი ან ნისლიანში ბედავდნენ იქით გადასვლას, ან ღამით. ახლა კი მზიანი დილა იყო.

ზურგიდან თანდათან ახლოვდებოდა მდევრის ხმა.

უკანასკნელი ღონე მოიკრიბა მართამ და ააღწია ულელტეხილამდე.

იმ ლეკმა, აქედან გატაცებისას რომ აკოცა მართას, ქვასთან ჩაიმუხლა, თოფი დაუმიზნა და ისეთივე გახელებით გამოსწია ჩახმახს, როგორი გახელებითაც მის ტუჩებს დაეწაფა ერთ დროს.

ზუსტი გამოდგა მისი ნასროლი.

– ვაი, შვილო! – აღმოხდა მართას და შეტორტმანდა. უნდოდა უკან მიხედვა, მაგრამ წინ საქართველო იყო.

მთაზე მდგარი ქარისაგან დაძრულ ლერწამივით ქანაობდა და მანამდე გადაჰყურებდა მშობლიურ მთებს, სანამ რაიმეს დანახვა კიდევ შეეძლო მის თვალებს.

მერე წინ გადაქანდა მოწყვეტით და საქართველოს მხარეს თავგადახრილი მიწას ჩაებლაუჭა.

\*

თქვენ კი მაინც ჯიუტად კითხულობთ:

– რამ გადაარჩინა საქართველო?!